საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბი... შიგ ჩასმული ბადახში

www.tbiliselebi.ge

№30 (709) ...ასი 1,50 ლარი ... – 3 აგვისტო




# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრთხილად, სოკო!



## ზაფხული სოკოვანი დაავადებების გარეშე

უკანასკნელ ათწლეულში მთელს მსოფლიოსა და საქართველოშიც განსაკუთრებით იმატა სოკოვანმა დაავადებებმა. საქართველოში დერმატოლოგს ყოველი მეოთხე პაციენტი სოკოვანი დაავადების გამო აკითხავს.
სოკოვანი დაავდებების სიხშირის ასეთი მატება სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული, როგორიცაა გლობალური დათბობა და ტენიანობის მომატება, რის გამოც შესანიშნავი პირობები იქმნება სოკოვანი დაავადებების გავრცელებისათვის.
განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული ტერფების მიკოზი, ტერფის ეპიდერმოფიტია, უშუალოდ ტერფის კანის და ფრჩხილების სოკოვანი დაზიანება.

### რა უწყობს ხელს ტერფის სოკოს განვითარებას?

დასნებოვნება ხდება დაავადებულ ადამიანთან ან მის ნივთებთან (ფეხსაცმელი, წინდები, თეთრეული) კონტაქტით. ტერფის სოკოთი დაავადებული ადამიანის აქერცლილი კანი ხვდება იატაკზე, ფეხის საწმენდ პირსახოცზე, ლოგინზე(?) — ღრუბელზე და ტერფის მოსავლელ საგნებზე, შემდეგ კი ამ საგნებიდან (თუ მათ დეზინფექცია არ ჩაუტარდა) სხვას გადაედება.
დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია ოფლიანობა, მიკროტრავმები (მანიკიურის და პედიკიურის გაკეთების, ვიწრო ფეხსაცმლის ტარების დროს), ბრტყელტერფიანობა, ჰიგიენის წესების დაუცველობა, იმუნიტეტის დაქვეითება. გარემო ფაქტორებიდან სოკოვანი დაავადების განვითარებას ხელს უწყობს სიცხე, ტენიანობა, ულტრაიისფერი სხივები და საყოფაცხოვრებო ქიმიური ნივთიერებები.
ტერფის სოკოვანი დაავადება განსაკუთრებით ხშირდება და მწვავდება ზაფხულში, ზამთარში კი განიცდის რემისიას, თუმცა გამომწვევი სოკო კვლავ ბუდობს კანზე და მისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნის დროს კვლავ აქტიურდება.

### როგორ ვლინდება ტერფის სოკო?

ტერფის სოკო ძირითადად იწყება ფეხის თითებშუა ნაოჭების დაზიანებით. საწყისი ფორმის სიმპტომები ნაკლებადაა გამოხატული და შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ კანის აქერცვლით თითებშუა ნაოჭებში. ამას შეიძლება დაერთოს ქავილი, სიმშრალე და სიწითლე. პროცესი თანდათან ვრცელდება დანარჩენ კანსა და ფრჩხილის ფირფიტაზე. დაზიანებული ადგილების კანი სქელია და დაფარულია ქატოსებრი ქერცლით, ზოგჯერ ვითარდება მტკივნეული ნახეთქებიც. ფრჩხილების დაზიანება უმეტესად იწყება თავისუფალი კიდიდან. ფრჩხილის ფირფიტის სიღრმეში წარმოიქმნება მონაცრისფრო-მოთეთრო ლაქა ან ზოლი. ფირფიტა თანდათან ფერს იცვლის, სქელდება, ფხვიერი და მყიფე ხდება, ზედაპირი უსწორმასწორო უხდება.
ზოგჯერ ფრჩხილის ფირფიტა იმდენად სქელდება, რომ მტკივნეულია ფეხსაცმლის ტარებისას. დროთა განმავლობაში შესაძლებელია მოხდეს პროცესის გავრეცელება საღ კანზე ან სოკოვანი დაავადების გართულება ალერგიული და ბაქტერიული ინფექციით.

### როგორ ვუმკურნალოთ ტერფის სოკოვან დაავადებას?

დღესდღეისობით ტერფის სოკოს მკურნალობა არ არის რთული და სრული გამოჯანმრთელებით სრულდება. მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების კლინიკურ ფორმასა და თავად პაციენტზე - როგორ იცავს ჰიგიენას და ექიმის დანიშნულებას.
მკურნალობა ტარდება სისტემური და ადგილობრივი მოქმედების ანტიმიკოზური საშუალებებით. ტერფის მიკოზის შედარებით მსუბუქი ფორმების დროს საკმარისია ადგილობრივად მოქმედი ანტიმიკოზური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა ციკლოდერმის კრემი.




ციკლოდერმის კრემი ხასიათდება ძლიერი ორმაგი ანტიმიკოზური, მოქმედებით ასევე ასეპტიკური და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით, მოქმედებს ყველა ტიპის სოკოზე. ციკლოდერმის კრემი კარგად შეიწოვება კანის ღრმა შრეებში, სწრაფად აქრობს სოკოთი გამოწვეულ გამონაყარს, სიწითლეს, აქერცვლას, ნახეთქებს და ამცირებს ქავილს.
ციკლოდერმი კრემის თხელი ფენის შეზელვა ხდება დაზიანებულ კანზე და მის გარშემო 2-ჯერ დღეში, დილას და საღამოს. სოკოვანი ინფექციის ნიშნების ალაგებიდან მკურნალობა გრძელდება კიდევ 1-2 კვირის განმავლობაში სოკოვანი ინფექციის რეციდივის პრევენციის მიზნით ტერფის სოკოვანი დაავადების მკურნალობის პარალელურად აუცილებელია დავადების ხელშემწყობი ფაქტორების აღმოფხვრა და სათანადო ჰიგიენური თუ პროფილაქტიკური წესების დაცვა. მიკოზის მკურნალობის პერიოდში მნიშვნელოვანია ყველაფრის დეზინფექცია, რასაც სოკო ეხება. აბაზანა სარეცხი ფხვნილისა და




ქლორის ნარევით უნდა დამუშავდეს თეთრეული უნდა გამოიხარშოს და დაუთოვდეს ცხელი უთოთი. მანიკიურის მაკრატელი უნდა ჩაიდოს სპირტში და შემდეგ გადახურდეს გაზქურის ალზე. აუცილებელია ფეხსაცმელების და წინდების დეზინფექცია. ამისთვის არსებობს მარტივად გამოსაყენებელი საშუალება მიკოტას ფხვნილი, რომელსაც აქვს ასევე სოკოს საწინააღმდეგო მოქმედება. მიკოტას ფხვნილი უნდა ჩაიყაროს სუფთა ფეხსაცმელსა და წინდებში და შეინახოს ერთი დღით.

### როგორ ავიცილოთ თავიდან ტერფის სოკოვანი დაავადებები?

- ❖მოერიდეთ ფეხშიშველა სიარულს
- ❖არასოდეს ჩაიცვათ სხვისი ფეხსაცმელი
- ❖ატარეთ ისეთი მასალისგან შეკერილი ფეხსაცმელი, რომელიც ფეხს ძლიერ არ გაგიოფლიანებთ
- ❖ფეხსაცმელი არ უნდა იყოს ვიწრო, რომ არ მოხდეს მიკროტრავმების წარმოქმნა კანზე
- ❖თუ დღის განმავლობაში ფეხსაცმელი და წინდები მეტისმეტად გიტენიანდებათ, ფეხსაცმელი კარგად გააშრეთ, წინდები ხშირად იცვალეთ
- ❖ბანაობის დროს, განსაკუთრებით საერთო საშხაპეში და აუზზე აუცილებელი ინდივიდუალური რეზინის ჩუსტების ჩაცმა
- ❖აუზის, პლაჟის ან მსგავსი ადგილების სტუმრობის შემდეგ პირსახოცი საგულდაგულოდ გარეცხეთ და გააუთოეთ (უმჯობესია ორთქლით)
- ❖აუცილებელია ფეხების ყოველდღიურად დაბანა. დაბანის შემდეგ კარგად გაიმშრალეთ ტანი, განსაკუთრებით ტერფები და თითებშუა არეები
- ❖აუზის, საერთო საშხაპის ან აბანოს შემდეგ ფეხები საპნით დაიბანეთ, რომ მათზე მიკრული სოკოს სპორები კარგად ჩამოიბანოთ. კარგად გამშრალებულ ფეხისგულებზე წაისვით სოკოს საწინააღმდეგო და დამატენიანებელი კრემი კორესატინი.




კორესატინის კრემი ხელს უშლის სოკოვანი დაავადების განვითარებას, აქვს დამატენიანებელი და დამარბილებელი მოქმედება. იგი ეფექტურია ტერფის კანის გასქელების, გამოშრობის, აქერცვლის და ნახეთქების სამკურნალოდ, სწრაფად ხსნის კანის წვას და ქავილს. კორესატინის კრემი აბსოლუტურად უსაფრთხოა ყოველდღიური გამოყენებისათვის ყველა ასაკის ადამიანისათვის, მათ შორის ბავშვებში, ორსულებსა და მეძუძურ დედებში.



### კმაყოფილი პაციენტი

ლია რამდენიმე წლის განმავლობაში პერიოდულად უჩიოდა ქავილს და წვას ფეხების თითებშუა არეში, კანის აქერცვლას, ქუსლების გაუხეშებას. ზაფხულობით ქუსლებზე უჩნდებოდა მტკივნეული ნახეთქები, რის გამოც უჭირდა სიარული.
ლიამ დაიწყო ციკლოდერმის კრემის გამოყენება - დღეში ორჯერ ისვამდა ტერფებზე. ამასთანავე ახდენდა ფეხსაცმელებისა და წინდის სათანადო დამუშავებას და იცავდა პირად ჰიგიენას. თითებისა და თითებშორის ნაოჭების ქავილი და წვა მოიხსნა მკურნალობის დაწყებიდან მეორე დღესვე. ვიზუალური ცვლილებები აშკარა გახდა 4 დღეში. ორი კვირის შემდეგ ქუსლები გახდა გლუვი, ნაზი. თითებს შორის ნაოჭებში კანი ასევე იყო სადა და აღარ იქერცლებოდა.
პაციენტმა კვლავ გააგრძელა ციკლოდერმის კრემის გამოყენება სოკოვანი ინფექციის სიმპტომების ალაგებიდან კიდევ 1 კვირის განმავლობაში. ამის შემდეგ ტერფის სოკოს სიმპტომები აღარ გამოვლენილა.


მკურნალობამდე


მკურნალობის შემდე

ფარმადეპო გთავაზობთ სათანადოდ მოუარაოთ კანს და დაიცვათ ჰიგიენური ნორმები, რათა თავიდან აიცილოთ სოკოვანი ინფექციის განვითარება და გამწვავება.

ფარმადეპოს აფთიაქების ქსელში
შეგიძლიათ შეიძინოთ პრეპარატები
ციკლოდერმის კრემი
და მიკოტას ფხვნილი
ახლა უკვე სპეციალურ ფასად



ფარმადეპო
PHARMADEPOT

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# დეველოპერული კომპანია „m²“ თამარაშვილის ქუჩაზე ახალ სამშენებლო პროექტს იწყებს

**კომპანია „m²“ სამშენებლო ბაზარზე დამკვიდრების დღიდან ცდილობს, მომხმარებელს მნიშვნელოვანი პროექტები წარუდგინოს. კომპანიის წარმატებას ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის ნოვატორული მიდგომები, სწორად გათვლილი მენეჯმენტი და მაღალ ხარისხზე ორიენტირებულობა.**

**დეველოპერულმა კომპანია „m²-მა” ამჯერად თამარაშვილის ქუჩა 6-ში ახალი სამშენებლო პროექტის „m² თამარაშვილზე“ დაწყების შესახებ განაცხადა მასმედიისთვის სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე.**

**ირაკლი ბურდილაძე** ***(კომპანია „m²-ის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე):*** თავდაპირველად, მინდა, აღვნიშნო, რომ ჩვენი ახალი პროექტი გამოირჩევა მოსახერხებელი მდებარეობით, რადგან კომპლექსთან მოხვედრა შესაძლებელია როგორც ვაკე-საბურთალოს გზიდან, ასევე, ყაზბეგის გამზირიდან. მნიშვნელოვანია, რომ პროექტი საერთაშორისო-საფინანსო კორპორაციის (IFC) და კანადის მთავრობის მიერაა დაფინანსებული. დაფინანსების საერთო მოცულობა 14 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, საიდანაც 4 მილიონი ამერიკული დოლარი კანადის მთავრობამ გამოყო, უშუალოდ ენერგოეფექტური მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობის მიზნით. „m² თამარაშვილზე“ 23 პროცენტამდე ენერგოეფექტური სახლი იქნება, რაც მცხოვრებლებს, კომუნალურ ხარჯებსა და გადასახადებს დაუზოგავს. საცხოვრებელ კომპლექსში იქნება 24-საათიანი დაცვის მომსახურება, ასევე, სადარბაზოების, ლიფტების დასუფთავება და გარე გამწვანების მოვლა. ახალი 270-ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი, განთავსებულია 19 სართულზე, საიდანაც პირველი სართული მთლიანად ავტოსადგომს დაეთმობა. თითოეულ ბინას მთლიან ფასადზე გახსნილი ვიტრაჟული კარ-ფანჯარა და აივნები ექნება. პროექტს უნიკალურს ხდის არსებული გამწვანებული გარემო, მრავალწლიანი ნარგავები კორპუსის მახლობელ სკვერებში. კომპანია ზრუნავს საკუთარ მობინადრეებზე და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მათ დაზოგონ დრო და ენერგია. ბინის მფლობელები პირდაპირ შეძლებენ შესვლას და ცხოვრებას, უკვე გარემონტებულ ბინებში, სადაც მათ ასევე, დახვდებათ, „m²-ისგან” საჩუქრად იტალიური სამზარეულო, ჩაშენებული გაზქურითა და გამწოვით. რაც შეეხება ბინის დაგეგმარებას, ინტერიერის დიზაინს და სარემონტო მასალებს მობინადრის მოთხოვნის და გემოვნების თანახმად შეირჩევა. „m² თამარაშვილზე“ საცხოვრებელი კომპლექსის



მშენებლობა 2016 წლის სექტემბერში დასრულდება.

რაც შეეხება უახლოეს გეგმებს, დეველოპერული კომპანია „m²“ მომხმარებელს ორ ახალ სამშენებლო ხაზს შესთავაზებს: უფრო ხელმისაწვდომი ოპტიმალური ხაზი, რომლის შემთხვევაშიც, ოროთახიანი, სრულად გარემონტებული ბინის ფასი დაიწყება 29 000 აშშ დოლარიდან; ასევე, მაღალი შემოსავლის მქონე პირებისთვის განკუთვნილი პრემიუმ-ხაზი, რომლის შემთხვევაშიც, თითოეული პრემიუმ-კლასის ბინა ინდივიდუალურად იქნება მორგებული მფლობელის საჭიროებებსა და ცხოვრების სტილს.

**სოფი ლორია**


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

# ერთი - ოთხზე

## Nothing personal

რაკი **ამ ბოლო დროს ისე გავეშებულან ჩვენი თანამემამულე მამაკაცები** (მადლობა ღმერთს, სულ ყველანიც არა), **რომ ცოლებსა და მეგობარ ქალბატონებს დარევიან** (მკვლელობების რიცხვმა საგრძნობლად იმატა ამ მხრივ), **დავინტერესდით ძალადობის ფაქტების სტატისტიკით.**

ალმოჩნდა, რომ **შსს-ს 2007 წლიდან 2014-ის ივნისამდე 1 102 ძალადობის ფაქტი აღუნუსხავს**, რომლებშიც 2 223 პირი იღებდა მონაწილეობას და, ბუნებრივია, **მოძალადეებს შორის მამაკაცები (1 014) ჭარბობენ**, მოძალადე **ქალების რიცხვი შეუდარებლად**



**მოკრძალებულია,** სულ რაღაც, 82.

**ოჯახური ძალადობის სახეობებიდან ჩვენს სამშობლოში ყველაზე გავრცელებული ფსიქოლოგიური ძალადობა ყოფილა** (საერთო რაოდენობის 55 პროცენტი), **ფიზიკურ ძალადობას მოძალადეთა ოდენ 36 პროცენტი მიმართავს**, ხოლო **დანარჩენ ადგილებს ძალადობის სხვა, უფრო კრეატიული ფორმები ინაწილებენ**.

**სისხლისსამართლებრივი დევნა** 2014 წლის ივნისის ჩათვლით **310 პირის მიმართ განხორციელებულა,** საიდანაც **მამაკაცია 2 890, ხოლო ქალი – 21**. რაც უნდა სამწუხარო იყოს, **ძალადობის ყველაზე მეტი ფაქტი თბილისში მომხდარა,** ამის ფონზე კი **შეუდარებლად მშვიდობიანად გამოიყურება კახეთი** – საქართველოს რეგიონებს შორის **ძალადობის მაჩვენებლით მას ბოლო ადგილი უჭირავს.**

**სტასტიტიკა აშკარად ასიმეტრიულია** (მოძალადე ქალები 8 პროცენტსაც ვერ „ქაჩავენ“), შესაბამისად, **ვფიქრობ, მონაცემთა გაუმჯობესების**, ანუ **გენდერული ბალანსის დამყარების მიზნით**, **თითო ქალმა,** გათანაბრებამდე, **თავის თავზე,** სულ მცირე, **ოთხ კაცზე ძალადობა უნდა აიღოს**, თორემ, **ხომ შევრცხვით ევროკავშირის მასშტაბით!**

**P. S. ძვირფასო მამაკაცებო, It’s just business, nothing personal! –**

# ზედაახლოებულები

## ანუ „წამოდით ფეხებით!“

გასულ კვირას **„ნატოს“ საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია გვესტუმრა და ჩვენებური პატიოსანი გვამები მოინახულა**. მანამდე კი **არასამთავრობო სექტორიც დააფასა**, რომლებთანაც **ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ აღძრული საქმეები, ზედაც, საშინაო და საგარეო პოლიტიკა გაარჩია**. ბუნებრივია, **შეხვედრებს „ნატოს“ უელსის სამიტზე საუბრის გარეშე არ ჩაუვლია.**



ან კი **როგორ ჩაივლიდა, როდესაც იქ იმას ველოდებით, რაც აქამომდე არ გვქონია?!** არადა, აქამომდე, სულ ერთმანეთზე უკეთესები და მეტ-მეტები გვქონდა! ჰოდა, რაკი არ გვქონია თუ გვქონია, დელეგაციის ხელმძღვანელმა, ასამბლეის პრეზიდენტმა **ჰიუ ბეილმა მაინც შეგვაგულიანა** (მომყავს ციტატა): „ნატოს“ უელსის სამიტი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. **ვიმედოვნებთ, რომ საქართველო „ნატოს“ კიდევ უფრო დაუახლოვდება** და ამ პროცესში ჩვენ მაქსიმალურ მხარდაჭერას გაგიწევთ.“

რაკი, რა დისტანციაზეც ვართ, **იმაზე მეტად დაახლოება წარმოუდგენელია,** ყოველ შემთხვევაში, **ჩემი „იწრო, დედაკაცური“ ბუნებით**, სავარაუდოდ, ბ-ნ ბეილის უნდოდა ეთქვა: შემოტრიალდით და **წამოდით ფეხებით!**

# ჩამოსაპარლამენტარებლები

## „შენი ხელფასი ჩემსას სჯობია“

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, **ჩვენმა დეპუტატებმა დაადგინეს, რომ ხელფასების გაზრდას იმსახურებენ,** რადგან, მათი მტკიცებით, **პარლამენტის წევრის ხელფასი ადეკვატური არ არის**. არ არისო, ვინაიდან, **ბევრ უწყებაში დეპარტამენტის უფროსებს უფრო მაღალი ხელფასები ჰქონიათ**, ვიდრე **არათუ თვით პარლამენტის თავმჯდომარესა და ვიცე-სპიკერებს**, უბრალო **მოკვდავ დეპუტატებსაც კი**. ამიტომაც აცხადებენ, რომ **საკითხი დასარეგულირებელია!**



რაკი აღმოჩნდა, რომ **2015 წლის ბიუჯეტში ჩვენი რჩეულებისთვის ხელფასის ზრდა გათვალისწინებული არ ყოფილა** – , **კოლეგები** საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ **დავით ონოფრიშვილმა დაამშვიდა**: თბილისში **პარლამენტის შენობის სარემონტო სამუშაოები სრულდება და, შესაძლოა, დარჩეს თანხა, რაც, შეგვიძლია, ჩვენი ხელფასების ზრდას მოვახმაროთო.**

ზედაც, დაამატა, რომ **პარლამენტარის ხელფასი, სულ რაღაც, 2 000 ლარია, დაქვითვის შემდეგ კი 1 600 რჩებაო**. ხოლო, რადგან **საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტის როლი უმნიშვნელოვანესია,** რის გამოც **უზარმაზარი პასუხიმგებლობა გვაწევს სუსტ მხრებზე**, უპატივცემულობაა ასეთი დაბალი ხელფასებიო. ბუნებრივია, ბ-ნ ონოფრიშვილს აზრი **ზუსტად ამ სიტყვებით არ გამოუთქვამს, თუმცა მისი ნააზრევის არსი ზუსტად ასეთი გახლდათ.**

მაგრამ, იმ მარტივი მიზეზით, რომ **2012 წლის ოქტომბრიდან გამჭვირვალობის ხარისხი გაიზარდა** (ყოფილები, მართალია, მაღალ-მაღალ ხელფასებს იღებდნენ, მაგრამ ამ ინფორმაციას არ ასაჯაროებდნენ), მალევე **გაირკვა, რომ, თუმცა ხალხის რჩეულის ყოველთვიური სარგო 2 000 ლარია**, დეპუტატები ამას გარდა **კანონით გათვალისწინებულ დანამატებსაც იღებენ**, რის წყალობითაც **რიგითი რჩეულის ყოველთვიური შემოსავალი 3 790 ლარია, ფრაქციის თავმჯდომარის – 4 635 ლარი, პარლამენტის თავმჯდომარის** კი, სულაც, **5 905.**

მეორე მხრივ, **რთულია, არ დაეთანხმო საპარლამენტო უმრავლესობას,** სადაც ის ამბობს, რომ **დეპუტატის ხელფასი ჩამორჩება აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ხელფასებსა და დანამატპრემიებს,** მაგრამ, რადგან პენსიონერთა ყოველთვიური შემოსავალი, საერთოდაც, 150 ლარია და სახელმწიფოს მართლაც არ აქვს პენსიის გაზრდის შესაძლებლობა, იქნებ უპრიანი ყოფილიყო, **პარლამენტარების ხელფასის სამინისტრო ხელფასამდე გაზრდის ნაცვლად, სამინისტრო ხელფასები ჩამოექვეითებინათ საპარალმენტოების 2 000 ლარამდე?!**

**P. S**. ***სხვათა შორის, უმრავლესობის ინიციატივა უმცირესოელმა ქ-ნმა ჩიორა თაქთაქიშვილმა გააქილიკა და თავის მხრივ, ამხილა ბ-ნი ონოფრიშვილი – ხელფასი 4 000 ლარზე მეტი ჩამერიცხაო. შესაბამისად, თუკი ქ-ნი ჩიორა აგრერიგად შეუშფოთებია სინდისის ხმას მრავალნულიანი ხელფასის გამო, მას ამ ხმის დასამშვიდებლად ნულებზე უარის თქმა ნებისმიერ დროს შეუძლია. –***

# „მოსკოვი“ VS „მისტრალი“

## ხელების მოსაფშვნეტი

**ევროკავშირი ჯერაც ვერ ჩამოყალიბებულა, დაუწესოს თუ არა რფ-ს რეალური სანქციები**. უფრო მეტიც, **კვლავაც ძალაშია საფრანგეთის მიერ რუსეთისთვის განა ერთი, ორი „მისტრალის“ მიყიდვის საკითხიც**. პრეზიდენტმა **ფრანსუა ოლანდმა ბრძანა**, რომ **საფრანგეთი დათქმულ ვადებში მიართმევს რუსეთს დაპირებულ სადესანტო ხომალდებს** (ერთ-ერთი უკვე ოქტომბერში იქნება მზად გადასაცემად).



ყოველი შემთხვევისთვის, შეგახსენებთ, რომ **უნივერსალური სადესანტო ტიპის ხომალდის, „მისტრალის“ სიგრძე 210 მეტრია**, ნაოსნობის **სიშორე კი – 20 000 მილი, ეკიპაჟის რიცხოვნობა – 170**, ბორტზე **50 ადამიანის მიღება შეუძლია**, ავიაჯგუფი მოიცავს **16 ვერტმფრენს**, რომელთაგან **6 ერთდროულად განთავსდება ხომალდზე**. ხომალდის სატვირთო ნაწილში **ეტევა 40 ტანკი ან 70 ავტომანქანა** (400 რუსი მეზღვაური უკვე გადის შესაბამის მომზადებას).

რაკი **რფ-მ თანხა უკვე გადაიხადა, შეთანხმება კი 2011 წელს გაფორმდა,** საფრანგეთის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ სანქციების **მიღების შემთხვევაშიც კი შეზღუდვები შეეხება ამის შემდეგ გაფორმებულ კონტრაქტებს**. ამდენად, **ამ გარიგებას ვერაფერი შეაჩერებსო**. შესაბამისად, ორი „მისტრალიც“ ჩაეხუტება რუსეთის შეიარაღებულ ძალებს.

თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ, **სახელდობრ, ჩვენ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი „მოსკოვიც“ გვეყოფა წირვის გამოსაყვანად**, პირადად მე, მთლად ხელების ფშვნეტითაც არა, მაგრამ **მოთმინებით დაველოდები, როდის აჩვენებს საკუთარ ტყავზე ევროკავშირს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი „მისტრალის“ ძალას.**

# ქვემოტივირებულნი

## „აბჯარი თუნდაც ხისაო“

ალბათ, იმიტომ, **ყველაფერი სა-უცხო-ო უცხოურია** ან იქნებ იმის გამო, რომ **შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს**, გადაწყდა, რომ **ჩვენს სამართალდამცავ სტრუქტურებს უცხოელ პროკურორებს დაახმარენ**. რა თქმა უნდა, **იმ მიზნით, რომ ქართულმა მართლმსაჯულებამ კიდევ უფრო იზეიმოს.**



ეს ფაქტი საზოგადოებამ **არაერთგვაროვნად მიიღო, მკვეთრად უარყოფითად, ცხადია, საპარლამენტო უმცირესობამ,** ანუ ყოფილმა მმართველებმა (თუმცა, როცა თავად ზემოთ იყვნენ, მაშინ ფასობდა, თუ ფასობდა ყოველივე უცხო-ური!). ასე, **მაგალითად, ყოფილი სამართალდამცველი, ახლა კი უფლებადამცველი** ბ-ნი **ონიანი ზემოხსენებულ ინფორმაციას სოციალური ქსელით გამოეხმაურა**: „სამი პროკურორი კი არა, **რუსეთის ესკადრილია რომ ჩამოიყვანოთ, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მაინც არ დაგაჭერინებთ**.“

თუმცა **მხოლოდ ამ მშრალი ლოზუნგით არ შემოფარგლულა და მსჯელობაც შემოგვთავაზა** (მთლად პლატონის „სახელმწიფოს“ დარად თუ ვერა, სამაგიეროდ, „ნაციონალური“ ლოგიკით). კერძოდ, იგი (ბ-ნი ონიანი) ბრძანებს: **„დღეს არ არის საუბარი იმაზე, ჰქონდა თუ არა შეცდომები ამ ადამიანს** (იგულისხმება ბ-ნი სააკაშვილი), **აქ საკითხი დგას, პუტინი შეძლებს თუ არა თავის ოცნების ასრულებას**... ქართული სახელმწიფო აუცილებლად განაგრძობს განვითარებას და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს განვითარებული მსოფლიოს გვერდით, ხოლო **პოლიტიკური დევნის გზით ხელისუფლება მიიღებს ჯოჯოხეთს და მათ ამ განაჩენს გამოუტანს ქართველი ხალხი.“**

ვფიქრობ, **ამ საქმეში ქართველი ხალხის იმედი ცოტა გადაჭარბებულია**, თუმცა **ენას ძვალი არ აქვს, ფანტაზიას კი – საზღვარი.**

ხოლო, თუ **გასული კვირის ბ-ნი მერაბიშვილის ნატვრას გავიხსენებთ** (თავისუფალი რომ ვიყო, იარაღს ავიღებდი ხელში და უკრაინას გავათავისუფლებდიო) და ბ-ნი **ონიანისას დავამატებთ** (რუსეთის ესკადრილიაც რომ ჩამოიყვანოთ, არ დავაჭერინებთო), კიდევ უფრო **მტკიცდება ეჭვი, რომ 2008 წლის აგვისტოში ოკუპანტებთან შესაბრძოლებლად აშკარად მოტივაცია არ ეყოთ!**

# ერიდეთ ქალებს!

## „განსაკუთრებით, ევროპის ტერიტორიაზე!“

შესაძლოა, იმიტომ, რომ **ძალადობის სტატისტიკას გაეცნო და გული დაეწვა** (ქალებს გვირტყამენო), ან, სულაც, **მერკანტილური მოსაზრებებით,** გასულ კვირას **ტაქსის მძღოლი მგზავრმა ქალმა გაძარცვა**. როგორც ჩვენი მშობლიური სააგენტოები წერდნენ – „მძარცველი ქალბატონიო (და მერე რა, რომ სად – ქალბატონი, სად – ძარცვა, მაგრამ, ეს სულ სხვა, სიტყვების მნიშვნელობისამებრ გამოყენების პრობლემაა).“





ეს სამწუხარო ამბავი კი შემდეგნაირად მოხდარა: **მწუხრის ჟამს სანდომიანი გარეგნობის ქალბატონი ტაქსიში ჩამჯდარა** (ჩაჯდომისას არ ეტყობოდა, რომ ფინალში უბრალოდ ქალი აღმოჩნდებოდა) და **დანიშნულების ადგილზე მისვლამდე მძღოლისთვის აფთიაქში წამლის ყიდვა უთხოვია**. გულისხმიერი **მძღოლი ჯეროვანი ყურადღებით მოჰკიდებია მგზავრი ქალბატონის** (ერთი შეხედვით, მასაც ქალბატონი ჰგონებია) **თხოვნას** და **ავტოდან მორჩილად გადასულა** კლიენტისთვის თხოვნის შესასრულებლად, მაგრამ **უკან დაბრუნებულს აღმოუჩენია**, რომ **მგზავრი და** ტაქსიში არსებული **თანხა ერთდროულად გაუჩინარებულიყო.**

მართალია, **მძღოლმა საშველად პოლიციას მოუხმო** და **კრიმინალისტებმაც გულდასმით იმუშავეს**, მაგრამ **კვალს ჯერჯერობით ვერ მიაკვლიეს**. იმედია, მიაკვლევენ და **სამართლიანობაც იზეიმებს**, თუმცა, **თუ გავიხსენებთ, რომ ეს კონკრეტული კრიმინალი მეტად ცივილიზებულად,** ყოველგვარი ძალადობის გარეშე **იქნა ჩადენილი**, აშკარაა, რომ, ჯერ ერთი, **ტყემლით** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქალით) **მაინც სულ სხვაა** და, რაც მთავარია, **მძღოლებს არ აწყენთ პაპინია ერისთავის შეგონება – ერიდეთ ქალებს, განსაკუთრებით, ევროპის** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში კოსტავას ქუჩის მიმდებარე) **ტერიტორიაზე**!

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან



ზარი ფასიანია

**მეოთხე ბრიგადის 41-ე ბატალიონის კაპრალი, საქართველოს ეროვნული გმირი 23 წლის გიორგი ანწუხელიძე 2008 წლის 9 აგვისტოს დაიღუპა რუსეთ-საქართველოს ომში, სავარაუდოდ, ის წამებით მოკლეს ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა. მისი წამების ვიდეოჩანაწერი თავად მწამებლებმა გამოაქვეყნეს ინტერნეტსივრცეში (საბედისწერო დამთხვევაა – მერაბ მინდიაშვილი, მეტსახელად „ვირო“, 1991 წელს სეპარატისტებმა ერედვის სიცოცხლის გზაზე ხეზე მიბმული ცოცხლად დაწვეს. ვირო „შავლეგოს“ მღეროდა, ვიდრე მისი სხეული ფერფლად არ იქცა. ეს ისტორიაც ამის ჩამდენებისგან გახდა ცნობილი). სწორედ ამ ჩანაწერით დაადგინა ოჯახმა, რომ გიორგი ანწუხელიძე დაიღუპა. მისმა მეუღლემ მაია ჩიკვილაძემ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიმართა და მათი დახმარებითვე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სარჩელიც შეიტანა. საქმის დეტალებს საიას-ის იურისტი ნინო ჯომარჯიძე მოგვიყვება. მანამდე კი გეტყვით, რომ, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, აგვისტოს ომში დაღუპული საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის დედა – ლილი ანწუხელიძე უშედეგოდ ითხოვდა დახმარებას სტიქიისგან დაზიანებული სახლის აღსადგენად ახმეტის რაიონის გამგეობისგან. ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ახმეტის გამგეობამ სახლის სახურავი დროებით შეაკეთა, ხოლო თავდაცვის სამინისტრომ 10 000 ლარი გადარიცხა სახურავის შესაცვლელად.**

# რატომ იღებდნენ გიორგი ანწუხელიძის დაკითხვასა და წამებას ოსი და რუსი სამხედროები და რა ბედი ელის სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქმეს ანწუხელიძე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

**– როგორ აღმოჩნდა საია ჩართული გიორგი ანწუხელიძის საქმეში?**

– 2008 წლის დეკემბერში მოგვმართა გიორგი ანწუხელიძის მეუღლემ და მოგვაწოდა ინფორმაცია მისი მეუღლის გაუჩინარების შესახებ. მას იმ პერიოდისთვის საქართველოს ხელისუფლებისგან არ ჰქონია გადაცემული დე ენ ემის ანალიზის ასლი და ასევე, არ ჰქონდა არანაირი ინფორმაცია თავისი მეუღლის ადგილსამყოფელის შესახებ.

**– მან ომის დასრულებიდან 4 თვის შემდეგაც კი არ იცოდა, ცოცხალი იყო მისი მეუღლე თუ დაღუპული?**

– არა, მან არ იცოდა, გიორგი ანწუხელიძე დაიღუპა თუ ტყვედ ჰყავდათ სეპარატისტებსა და ოკუპანტებს. მისი მეუღლის მომართვის შემდეგ დავიწყეთ მუშაობა ამ საკითხზე, მტკიცებულებების მოპოვება, დეტალურად გამოვკითხეთ საქმის გარემოებები, ყველა ის დეტალი, რაც მისთვის იყო ცნობილი.

**– რა დეტალები შეიტყვეთ?**

– რომ გიორგი მსახურობდა ვაზიანის მეოთხე ბრიგადის 41-ე ბატალიონში, 6 აგვისტოს გამოიძახეს სამსახურში, 7 აგვისტოს იგი მონაწილეობას იღებდა შეტაკებებში ცხინვალთან ახლოს, ეგრეთ წოდებულ შანხაის დასახლებაში და უკვე 9 აგვისტოდან გიორგი ანწუხელიძის ადგილსამყოფელი უცნობი იყო ოჯახის წევრებისთვის, მასთან კონტაქტი იმ დღის შემდეგ არ ჰქონიათ.

**– არავინ დაჰკავშირებია ოჯახს, გიორგის თანამებრძოლები, მეგობრები?**

– როგორც ვიცი, არა. მისთვის არავის დაურეკავს და არ უცნობებია, სად იყო გიორგი, მაგრამ 2009 წლის იანვარში გავრცელდა ორი ვიდეომასალა, რომლებშიც ასახულია გიორგი ანწუხელიძის მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები; ამ ვიდეომასალაში კარგად ჩანს, როგორც აწამებენ მას რუსი და ოსი ეროვნების სამხედრო პირები. ისმის ამ პიროვნებების საუბარი. რამდენიმე მათგანი სუფთა რუსულით საუბრობს, ნაწილი – ოსური აქცენტით რუსულად, ასევე, ისმის ოსურად და ქართულად ლაპარაკი. როგორც გითხარით, ორი ვიდეომასალაა, ერთზე ასახულია გიორგის დაკითხვა, როდესაც მას ეკითხებიან, რას აკეთებდა ამა და ამ დროს, იყო თუ არა ამა და ამ კონკრეტულ ადგილას, თუმცა გიორგი ანწუხელიძე ამ კითხვებს უპასუხოდ ტოვებს და მეორე ვიდეომასალაში, რომელიც ცხინვალის მეხუთე სკოლის ტერიტორიასთანაა გადაღებული, ჩანს, როგორ სცემენ მას როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო პირები.

**– პირადად მე ვერაფრით შევძელი ამ ვიდეომასალის ნახვა თავიდან ბოლომდე.**

– ჩვენ გავშიფრეთ ეს ვიდეომასალა, რადგან მნიშვნელოვანი იყო ის საუბარი, რომელიც ისმის. ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერში, ისმის ადამიანის ხმა, ოღონდ რთული გასარჩევია, ვის ეკუთვნის, რომელიც ამბობს, მოვკლათო; მეორე უარზეა, იქნებ რამე ინფორმაციას ფლობს და არ მოვკლათო, მაგრამ ისმის მესამე პირის ხმა, რომელიც ამბობს, უნდა მოვკლათ, მან ხომ გუშინ ჩვენი ოსი ძმები დახოცაო. სამწუხაროდ, სხვა წინადადებები არ იკვეთება, სულ ეს არის, რის დადგენაც მოვახერხეთ ამ ვიდეომასალიდან. სიკვდილის მომენტი არც ერთ ვიდეომასალაში არ ჩანს, მხოლოდ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტებია. მეორე ვიდეომასალაში გიორგი მიწაზე ზის, ხელები ზურგს უკან აქვს შეკრული, ოსი სამხედროები ზურგზე ახტებიან და ეუბნებიან, „მიწას აკოცე“. გიორგის სახე აქვს გასისხლიანებული, ეტყობა ძალადობის კვალი. ეს ვიდეომასალა ვაჩვენეთ მის მეუღლეს და ორივე ვიდეომასალაში მან ამოიცნო და დაადასტურა, რომ ეს იყო გიორგი ანწუხელიძე. ორივე ვიდეომასალაში გიორგი ცოცხალია, შესაძლოა, არსებობდეს სხვა ვიდეომასალაც, რომელიც გიორგის სიცოცხლის ხელყოფას ასახავს,



გარდა გიორგი ანწუხელიძის საქმისა, სტრასბურგში არის კიდევ ერთი საქმე, რომელიც ეხება სამხედრო ტყვეებს, 5 მათგანი ცოცხალი გადარჩა, 2 – დახოცეს

მაგრამ ამ ორი ვიდეომასალიდან იმის თქმა, როდის მოკლეს გიორგი, რთული სათქმელია.

**– თუ სწორად მახსოვს, რიცხვიც აწერია ვიდეოჩანაწერს.**

– 10 აგვისტოთია დათარიღებული, თუმცა ერთი მათგანი გავრცელდა 2009 წლის იანვრის დასაწყისში, მეორე – იანვრის ბოლოს... 2008 წლის ნოემბერში, იცით, რომ გადმოასვენეს ჩვენი დაღუპული მებრძოლების ცხედრები ცხინვალიდან, მათ ჩაუტარდათ შესაბამისი ექსპერტიზა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ერთ-ერთი ცხედარი იყო გიორგი ანწუხელიძის.

**– და, რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, საიდან გადმოასვენეს, სად იყო დაკრძალული.**

– ამის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობთ. არც სახელმწიფოს მოუწოდებია მსგავსი ინფორმაცია. ძალიან რთულიც იქნებოდა ამის დადგენა, სხვა ცხედრებიც იყო.

**– ძალიან უცნაურია, შენს ტერიტორიაზე იყოს ომი და გენეტიკური ექსპერტიზა დაგჭირდეს დაღუპულთა ამოსაცნობად. როგორც სამხედრო ექსპერტები ამბობენ, ამდენი უგზო-უკვლოდ დაკარგული საკუთარ ტერიტორიაზე ნიშნავს, რომ ისინი ცოცხლები, ანუ დაჭრილები მიატოვეს ბრძოლის ველზე, მაგრამ ეს სხვა თემაა. დეკემბერში მოგმართათ გიორგის მეუღლემ, ესე იგი, ექსპერტიზის პასუხი არ აცნობეს?**

– ექსპერტიზის პასუხი დათარიღებულია 2008 წლის 8 დეკემბრით, მაგრამ გიორგის მეუღლემ ამის შესახებ არაფერი იცოდა. მას ექსპერტიზის დასკვნის ასლი დეკემბრის ბოლოს გადაეცა. ამის შემდეგ ჩვენ შევთავაზეთ, რომ საქმე გაგვეგზავნა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გიორგი ანწუხელიძის მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობისა და სიცოცხლის უკანონო ხელყოფის ფაქტების გამო. მომჩივანმა გამოთქვა სურვილი, გაესაჩივრებინა ეს ფაქტი ევროპულ სასამართლოში. ამის შემდეგ დავიწყეთ მუშაობა ამ საჩივარზე, სწორედ იმ პერიოდში გავშიფრეთ ვიდეომასალები. მივმართეთ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტს და მოვთხოვეთ, ჩაეტარებინათ გამოძიება გიორგი ანწუხელძის მიმართ სავარაუდო დარღვევების გამო, თუმცა რუსეთის საგამოძიებო კომიტეტიდან პასუხი გაგვცეს, რომ გამოძიება მიმდინარეობს და რუსეთი იძიებს გენოციდისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს, რომლებიც განხორციელდა ოსი ეროვნების მოქალაქეებისა და რუსი მშვიდობისმყოფელების მიმართ. მათ, ასევე, გვაცნობეს, რომ ჩვენ მიერ გაგზავნილი წერილი გადაუგზავნეს „სამხრეთ ოსეთის“ პროკურატურას შემდგომი რეაგირებისთვის. თუმცა შემდგომ არც ერთი ორგანოდან პასუხი არ მოგვსვლია. ამის შემდეგ ჩვენ უნდა მიგვემართა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის, რადგან რუსეთის ფედერაციამ ამ წერილით პირდაპირ გვითხრა, რომ ისინი ქართველი ეროვნების მოქალაქეების მიმართ ჩადენილ დარღვევებს არ იძიებდნენ და იძიებდნენ მხოლოდ ოსი ეროვნების მოქალაქეებისა და რუსი მშვიდობისმყოფელების მიმართ ჩადენილ სავარაუდო დარღვევის ფაქტებს. 6 თვის ვადაში მივმართეთ ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ეს იყო 2010 წლის აპრილი და საქმეს ჰქვია: ჩიკვილაძე და ანწუხელიძე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

**– ამჟამად რა სტადიაშია ეს საქმე?**

– 2010 წლის 10 ივნისს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოდან გვეცნობა, რომ

სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ „ანტროპოსში“ უფასოდ

გულსისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა კომპიუტერულ-დიაგნოსტიკური სისტემა „ანტროპოსის“ მეშვეობით.

დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აყვანა.

დაკვირვება თქვენს ჯანმრთელობაზე მთელი წლის განმავლობაში.

*გამოკვლევაზე ჩაწერა ხდება წინასწარ*



საზაფხულო აქცია!

ფასდაკლება:

1. ტრენაჟორები – 1.5 საათი, კვირაში ორჯერ. მთელი თვის ღირებულება ნაცვლად 51 ლარისა 30 ლარი.
2. ჰიდრომასაჟი – 20-წუთიანი პროცედურა ნაცვლად 20 ლარისა 14 ლარი.
3. ზურგის მასაჟი – ნაცვლად 18 ლარისა 9 ლარი.

სტომატოლოგია

* თერაპიული მკურნალობა – 50% ფასდაკლება.
* პროთეზირება – 25% ფასდაკლება.
* კბილის ამოღება – უფასო.

ჯანმრთელობის დღე – ხუთშაბათი

*მხოლოდ ამ დღეს – სპეციალისტების კონსულტაცია 25% ფასდაკლებით!*

სპეციალისტები: რევმატოლოგი, ნევროლოგი, კარდიოლოგი, გინეკოლოგი, პედიატრი.

უფასოდ – თერაპევტის კონსულტაცია (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დემურ ჩაპანძე).

მიღების საათები – 14-დან 18-მდე.

მიღება პაციენტების წინასწარ ჩაწერის შემდეგ.

*ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ!*

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 74 61 00: 5 71 74 61 00.

მისამართი: თბილისი, მეტრო „ისანთან“, ნავთლუღის ჩიხი №9.

www.antropos.ge


ჩვენ მიერ გაგზავნილ საჩივარს მიენიჭა სარეგისტრაციო ნომერი და სასამართლომ დაგვიდასტურა დოკუმენტაციის მიღება.

**– რას ითხოვთ ამ სარჩელით?**

– მომჩივნებს წარმოადგენენ გიორგი ანწუხელიძის მეუღლე და მისი ორი მცირეწლოვანი შვილი. აღნიშნულ საჩივარში ჩვენ ვასაჩივრებთ ევროპული კონვენციის მეორე მუხლს, რაც გულისხმობს სიცოცხლის უფლებას; მესამე მუხლს – წამების აკრძალვა; მეხუთე მუხლს – თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება და მეცამეტე მუხლს – სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება. ამასთან, აღნიშნულ საჩივარში ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ კონვენციის აღნიშნული მუხლების დარღვევა გიორგი ანწუხელიძის მიმართ განპირობებული იყო სწორედ მისი ეთნიკური წარმოშობით და საქართველოს მოქალაქეობით, ეს კი არღვევს კონვენციის მეთოთხმეტე მუხლს, რაც გულისხმობს დისკრიმინაციის აკრძალვას.

**– რა შედეგს ელოდებით ადამიანის უფლებათა სასამართლოდან კონკრეტულად ამ სარჩელის გამო?**

– ამ ეტაპზე რამე სიახლე მოცემულ საქმესთან დაკავშირებით არ არსებობს, თუმცა 2010 წელს გაიგზავნა და დღემდე განხილული არ არის. როგორც იცით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ აქვს საქმის განხილვის კონკრეტული ვადები, ამდენად, ჩვენთვის რთულია იმის თქმა, რა ვადაში განიხილავენ ამ საქმეს. ევროპულ სასამართლოში შეტანილია სახელმწიფოთაშორისო განაცხადი რუსეთ-საქართველოს შეირაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით: საქართველო რუსეთის წინააღმდეგ და ვფიქრობთ, უპირველესად, ამ საქმეს განიხილავენ და ამის შემდეგ მიიღებს სასამართლო მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილებას, ანუ სახელმწიფოთაშორისო სარჩელის განხილვის შემდეგ დაიწყება ინდივიდუალური საქმეების განხილვა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მომხდარ დარღვევებს ეხება.

ადამიანის უფლებათა სასამართლოში ორი საქმე იყო წარდგენილი საქართველოს სახელმწიფოს მიერ. პირველი შეეხება 2007 წელს რუსეთიდან ქართველების კოლექტიურ გამოძევებას.

**– ეს ხომ უკვე გადაწყდა ჩვენ სასარგებლოდ და რუსეთს დაეკისრა კომპენსაციის გაცემა დაზარალებულებისთვის?**

– დიახ, რუსეთის ფედერაციას დაეკისრა პასუხისმგებლობა და მეორე საქმე შეეხება უშუალოდ აგვისტოს ომის დროს მომხდარ სავარაუდო დანაშაულებს რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ. ამ საქმეზე რამე სიახლე არ არის, როგორც ვიცი, იმიტომ რომ ჩვენ მხარეს არ წარმოვადგენთ და სასამართლო არ გვაწვდის ინფორმაციას ამ განაცხადთან დაკავშირებით, მაგრამ მას შემდეგ არც განიხილება სახელმწიფოთაშორისო განაცხადი, ამის შემდეგ განიხილავენ ინდივიდუალურ განაცხადებს.

**– რა შეიძლება მოჰყვეს ამ ინდივიდუალური განაცხადების განხილვას?**

– თუ სასამართლო დააკმაყოფილებს ჩვენს საჩივარს და საჩივარში დაყენებულ ჩვენს მოთხოვნებს და დაადგენს, რომ რუსეთის ფედერაციამ ამ მომჩივნების მიმართ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლები, საუბარია იმ მუხლებზე, რომლებზეც მომჩივნები საჩივარში დაობენ, ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს ფულადი კომპენსაციის საკითხი და მომჩივნის მიმართ რუსეთის ფედერაციას დაეკისრება თანხის გადახდა და მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიება: რუსეთის ფედერაციას მოვთხოვოთ ეფექტიანი გამოძიების ჩატარება მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, რომ გამოიძიოს გიორგი ანწუხელიძის მიმართ ჩადენილი დანაშაული და დაადგინოს პასუხისმგებელი პირები.

**– გარდა გიორგი ანწუხელიძის საქმისა, აგვისტოს ომთან დაკავშირებული სხვა ინდივიდუალური საქმეები თუ გაქვთ გადაგზავნილი სტრასბურგის სასამართლოში?**

– საიას დაახლოებით 50-მდე საქმე აქვს გაგზავნილი ევროპულ სასამართლოში, რომელიც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მომხდარ დარღვევებს. მათი ნაწილი ეხება კონვენციის იმ მუხლების დარღვევებს, რაც გიორგი ანწუხელიძის საქმის შემთხვევაშია და, ასევე, საკუთრების უფლების დარღვევასაც. ძალიან ბევრი ადამიანის სახლი გადაწვეს რუსმა და ოსმა სამხედროებმა ომის დროს, რის გამოც ადამიანებმა მატერიალური და მორალური ზიანი განიცადეს.

**– უშუალოდ სამხედრო მოსამსახურეებთან დაკავშირებული სხვა საქმე თუ გაქვთ გადაგზავნილი სტრასბურგში?**

– არის კიდევ ერთი საქმე, რომელიც ეხება სამხედრო ტყვეებს. 7 მომჩივანია, 7-ვე სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც აგვისტოს ომის პერიოდში დააკავეს. ისინი ჰყავდათ ცხინვალის მეექვსე სკოლაში და მათ მიმართ ადგილი ჰქონდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას. ერთი მათგანი უშანგი სოფრომაძე იქვე გაიყვანეს და მოკლეს. ეს ფაქტი დაინახეს დანარჩენებმა. მეორე ადამიანი – კახაბერ ხუბულური, რომელიც მათთან ერთად იყო დაკავებული, წაიყვანეს და მისი ბედი უცნობია. მისი ცხედარი გამოვლინდა დე ენ ემის ანალიზის შედეგად. დანარჩენი 5 ადამიანი გაათავისუფლეს 19 აგვისტოს, ტყვეების ორმხრივი გაცვლის დროს.

**ნინო ხაჩიძე**

**ცნობილია, რომ ვითომ კონფიდენციალობადაცულ სოციალურ ქსელებთან წვდომა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს და ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურები, ჰაკერების პარალელურად, იმდენ და იმ სახეობის ინფორმაციას იღებენ ჩვენ შესახებ, რაც და როცა გაუხარდებათ. სულ ახლახან „ფეისბუქის“ წარმომადგენლებმა ოფიციალურად გამოაქვეყნეს, თუ რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებს მიაწოდეს ინფორმაცია თავიანთი მომხმარებლების შესახებ (2013 წლის იანვრიდან პერიოდში). აღმოჩნდა, რომ ამ კონკრეტულ სოციალურ ქსელს 38 000 მომხმარებელზე მიმართა 74 ქვეყნის შესაბამისმა ორგანომ, თუმცა ყველა მათგანი არ დაკმაყოფილებულა. ყველაზე მეტი მოთხოვნა აშშ-ს წარუდგენიათ, მაგრამ მათ არც გერმანია, საფრანგეთი და იტალია ჩამორჩენიან. რაც მთავარია, საქართველოს მხრიდან, თურმე, არც ერთი განაცხადი არ ყოფილა წარდგენილი. როგორ ვეხმარებით ჩვენ, მომხმარებლები, დაინტერესებულ სპეცსამსახურებს ჩვენ შესახებ ინფორმაციის მოგროვებაში და რამდენად დაუცველები ვართ ვირტუალურ სივრცეში, – თემას არასამთავრობო ორგანიზაცია სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის დამფუძნებელთან და თავმჯდომარესთან, ბესო ალადაშვილთან ერთად განვიხილავთ.**

# რისთვის შეიქმნა სოციალური ქსელები, რა ფასდაუდებელ სამსახურს უწევს სპეცსამსახურებს და როგორ იქცევა თქვენი კომპიუტერი სამიზნედ ინტერნეტში შესვლისთანავე

**– ჩვენ ვიცით, რომ ვირტუალურ სივრცეში არასდროს არაფერი იშლება. „ფეისბუქის“ ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე, სპეცსამსახურებს ვითომ არ აქვთ საშუალება, თავად შეიტყონ ნებისმიერი პრივატული ინფორმაცია მომხმარებლების შესახებ?**

– რა თქმა უნდა, აქვთ, მაგრამ არის საფრთხე, რომ შეღწევა დაფიქსირდეს. ცნობილია, რომ ძალიან ბევრი საიტი, სოციალური ქსელები იქმნებოდა ზუსტად ინფორმაციის მიღებისთვის. ეს ეხება იმავე „ოდნოკლასნიკებსა“ და „ვ კონტაქტეს“. ადამიანები იყენებენ ამ საშუალებებს და დიდი ნაწილი არ აქცევს ყურადღებას, რომ თავად გასცემენ ინფორმაციას საკუთარი თავის შესახებ. როგორც წესი, უცხო ადამიანს არ გაუმხელთ თქვენი მეგობრების ვინაობას, მაგრამ ამ სოციალურ ქსელებში ეს ინფორმაცია თავისუფლად დევს. მახსოვს, „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე მინისტრი ტრაბახობდა, რომ „ოდნოკლასნიკებში“ უამრავი მეგობარი შეიძინა. მონაცემთა ასეთ ბაზას ნებისმიერი სპეცსამსახური ინატრდებდა – ეს არის ნაკლები ხარჯით მაქსიმალური ინფორმაციის მიღების საშუალება. მაგრამ აქ არის მეორე მომენტი, თუ ეს მონაცემები გამოიყენება ტერორისტების წინააღმდეგ, ეს მისაღებია, მაგრამ სად გადის ზღვარი მოქალაქის პირად ცხოვრებაში ჩარევასა და ანტიტერორისტულ ღონისძიებებს შორის?! როგორც ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, ცდუნება ძალიან დიდია და მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებსაც კი სული წასძლევთ ხოლმე და რა უნდა ვთქვათ მაშინ ჩვენს დიდ მეზობელზე, რომელსაც ეს სისტემა საკმაოდ კარგად აქვს აწყობილი?!



რამდენადაც ვიცი, წინაპირობა ასეთი იყო, ქსელები დაშვებული იქნებოდა ამა თუ იმ ქვეყანაში, თუ ისინი ითანამშრომლებდნენ კრიმინალთან და ტერორიზმთან წინააღმდეგ იმ ქვეყნის ბრძოლაში

**– ვთქვათ, ტექნიკურად „ოდნოკლასნიკებისა“ თუ „ვ კონტაქტეს“, ანუ რუსული სოციალური ქსელების კონტროლის საშუალება მხოლოდ რუსულ სპეცსამსახურებს აქვთ და ისინი იცავენ ამ ქსელს, რომ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს არ ჰქონდეთ წვდომა ქსელის შიდა ინფორმაციასთან?**

– აქ საუბარია ინფორმაციის დაცვასა და ხელმისაწვდომობაზე. დამტკიცებულია, რომ გარედან ნებისმიერი ვებ-გვერდის გატეხაა შესაძლებელი. ამდენად, სოციალური ქსელებისაც.

**– ისინი თავად იყენებენ ჰაკერულ ნიჭს.**

– რა თქმა უნდა, კიბერომებისთვის. მაგრამ სოციალურ ქსელებში ინფორმაცია იმდენად მასობრივია, რომ საჭიროა იქიდან მიზნობრივი ინფორმაციის მიღება, ყველაზე მოკლე გზა კი პროვაიდერი და თვითონ ამ ქსელის შემქმნელია. რამდენადაც ვიცი, წინაპირობა ასეთი იყო, ქსელები დაშვებული იქნებოდა ამა თუ იმ ქვეყანაში, თუ ისინი ითანამშრომლებდნენ კრიმინალისა და ტერორიზმის წინააღმდეგ იმ ქვეყნის ბრძოლაში.

**– ანუ, მაგალითად, „გუგლი“ დაშვებულია აშშ-სა თუ გერმანიაში იმ პირობით, რომ აშშ-ისა და გერმანიის სპეცსამსახურებს მიაწვდის ინფორმაციას?**

– დიახ, მიაწვდიან ინფორმაციას კომპეტენტურ ორგანოებს სათანადო დასაბუთების შემთხვევაში. კომპეტენტურ ორგანოებში იგულისხმება, ძირითადად, საგამოძიებო ორგანოები, მათ კი დასაბუთება არ გაუჭირდებათ: კრიმინალი, ანტიტერორისტული ღონისძიებები, ქვეყნის უსაფრთხოება.

**– არადა, იგივე „გუგლიც“ კერძო სტრუქტურაა, ესე იგი, დასაბუთების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს კერძო სტრუქტურა?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ ის კერძო სტრუქტურაც ხომ კანონებს ექვემდებარება?!

**– მესმის, მაგრამ სად კერძო სტრუქტურა და სად, მაგალითად, სტრასბურგის სასამართლო.**

– სხვათა შორის, მსოფლიოში ინტერნეტქსელის გაკონტროლებას წინ უძღოდა საბანკო ქსელის გაკონტროლების მოთხოვნა. იცით, რომ ყველაზე ტრადიციულად და საიმედოდ მიიჩნეოდა შვეიცარიის ბანკები, რომლებსაც კლიენტებთან ჰქონდათ კონფიდენციალურობის ვალდებულება, მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ერაყის მოვლენების, ტერორისტული აქტების გახშირების გამო, აშშ-ის ადმინისტრაციამ მიაღწია იმას, რომ შვეიცარიის კერძო საბანკო სისტემამ გარკვეული თანხის ზემოთ გადარიცხვებისა და ანაბრების შესახებ ინფორმაცია გახსნა. მაშინ ამდენად არ იყო განვითარებული ინტერნეტსივრცე და ამიტომ ბანკების კონტროლით დაიწყეს. მიზანი იყო ფინანსური ნაკადების გაკონტროლება. შემდეგ უკვე, როდესაც ინტერნეტი შემოვიდა და 2000 წლიდან, თავდაპირველად, „გუგლი“, შემდეგ სხვა საძიებო სისტემები და სოციალური ქსელები, ისინი მაშინვე ჩაჯდა სპეცსამსახურების ოპერატიული მუშაობის პროგრამაში. ამიტომ არის,

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

რომ დღეს კარგი პროგრამისტი ისევე ფასობს, როგორც ადრე ბირთვულ ფიზიკაში მომუშავე სპეციალისტი ფასობდა. უამრავი პროგრამაა შექმნილი, რომლებიც ღია სივრციდან იღებენ სპეცსამსახურებისთვის საჭირო მონაცემებს. საინტერესოა, რომ რამდენიმე წლის წინათ რუსეთის სპეცსამსახურებმა ღია ტენდერი გამოაცხადა ლინგვისტური გამფილტრავი პროგრამის შექმნაზე. მინიშნება იყო ჩრდილოკავკასიურ ენებზე. ამ ენების სპეციალისტები საჭიროა ინტერნეტსივრცეში ამ ენებზე არსებული ინფორმაციის შესაგროვებლად და ამ ზღვა არასაჭირო ინფორმაციიდან საჭირო ინფორმაციის ამოსარჩევად.

**– ლინგვისტური ფილტრი საჭიროა ინტერნეტმიმოწერიდან თუ აქტივობიდან ტექსტების ამოსაგდებად კონკრეტული სიტყვიდან გამომდინარე?**

– დიახ. ამას გარდა, მოხდა ვიწრო სპეციალიზაცია. მაგალითად, თუ სამხედრო ტერმინოლოგია აინტერესებთ, ფილტრი უკვე სხვა არის და ის აგდებს ყველა იმ მიმოწერას „სკაიპით“, ელფოსტით თუ სოციალური ქსელებით, რომლებშიც ეს კონკრეტული სამხედრო შეიარაღებაა ნახსენები. ასე რომ, მიდის ამაზე მუშაობა და თანდათან იხვეწება ტექნოლოგიები. ნებისმიერ შემთხვევაში, თუმცა კერძო სტრუქტურებია „გუგლი“ თუ „ფეისბუქი“, „ოდნოკლასნიკები“ თუ „ვ კონტაქტე“, გარკვეულ სფეროებში მათ უნდა ითანამშრომლონ სპეცსამსახურებთან. ვიმეორებ, აქ ყველაზე რთულია ზღვრის გავლება დემოკრატიასა და ეროვნულ უსაფრთხოებას შორის.

**– თქვით, რომ, თუ სპეცსამსახურები გატეხავენ ამა თუ იმ მომხმარებლის პროფილს, შეღწევა დაფიქსირდებაო, მაგრამ ვინ დაამტკიცებს, რომ, მაინცდამაინც, სპეცსამსახურებმა გატეხეს?**

– ესეც არის, რა თქმა უნდა. მაგალითად, ყველაზე ცნობილი ჰაკერული ორგანიზაციაა „ანონიმუსი“ და უკრაინასთან დაკავშირებული მოვლენების გამო, როგორ ჩანს, „ანონიმუსში“ უკრაინელები იყვნენ ან სხვა მიზეზებით, მათ შუაგული რუსეთის, ომსკის მცხოვრებლები გააფრთხილეს შემდეგნაირად. ომსკელები აპირებდნენ სეპარატისტების დასახმარებლად წასვლას და „ანონიმუსმა“ 7 000 ომსკელის პირადი ინფორმაცია გამოაქვეყნა. ამით გააგებინეს, რომ შეგვიძლია, შევაღწიოთ თქვენს მონაცემთა ბაზაში და ხელმისაწვდომი გავხადოთო, ხოლო ამის შემდეგ, ვინ როგორ გამოიყენებს ამას, უკვე არავინ იცის. იცით, რომ დღეს ყველაფერი ონლაინ ხორციელდება და პირადი საბანკო ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში, ადამიანი შესაძლოა, ისე გაღატაკდეს, ვერც კი გაიგოს, მაგრამ ეს მაინც პარტიზანული ბრძოლაა. ამას სპეცსამსახურები ერიდებიან და მეტი სოლიდურობისთვის ურჩევნიათ, თვითონ ინტერნეტსტრუქტურებთან ჰქონდეთ ოფიციალური ინფორმაცია.

**– ვთქვათ, ვარ საფრანგეთის სპეცსამსახურის წარმომადგენელი, მხოლოდ ჩემი ქვეყნის მოქალაქეებზე შემიძლია, მივიღო ინფორმაცია „ფეისბუქის“ ადმინისტრაციისგან?**

– თქვენ მხოლოდ თქვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული სიტუაციის გაგება შეგიძლიათ. ტერიტორიული პრინციპი მოქმედებს. თუმცა შემდეგ უკვე შეიძლება, ინტერპოლიც ჩაერიოს.

**– ინტერპოლსაც შეუძლია, გამოითხოვოს ინფორმაცია ინტერნეტმომხმარებლების შესახებ?**

– უფლება აქვს, მაგრამ ინტერპოლის ოპერატიული შესაძლებლობები ჩამორჩება ცალკეული ქვეყნის სპეცსამსახურების შესაძლებლობებს. ინტერპოლი მაინც ფორმალური ორგანიზაციაა, სადაც ყველა ერთმანეთს უღიმის, მაგრამ საიდუმლოებას არ უმხელს.

**– ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოდან განაცხადი არ ყოფილა, ანუ ორი ვარიანტია: ან ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურები არ დაინტერესებულან ჩვენი პირადი მონაცემებით, ან „ფეისბუქის“ ადმინისტრაციის გარეშეც ახერხებენ ამ ინფორმაციის მიღებას.**

– სხვა ვარიანტი, ალბათ, არ არსებობს. ან შესაძლოა, ხელი არ მიუწვდებათ მუშაობის ამ სფეროზე. არაერთხელ მითქვამს, რომ პროფესიონალიზმი საქართველოს მუდმივი პრობლემა იყო და იქნება, კადრების ხშირი ცვლა იწვევს იმას, რომ პროფესიონალიზმი არ ფასდება.

**– ხანდახან ეჭვიც მიჩნდება, რომ პროფესიონალი კადრები უბრალოდ არ სჭირდებათ.**

– ამას კიდევ შეიძლება ბევრი ძალიან ცუდი მოტივი მოვუძებნოთ: შეგნებულად ან შეუგნებლად, პირადი შიშის გამო, ამბიციების გამო და ასე შემდეგ, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ პროფესიონალები არიან და არ იყენებენ. წინა ხელისუფლების დროს ვნახეთ, რომ გვყოლია პროფესიონალი ახალგაზრდებიც და ზრდასრულებიც, მაგრამ მათ შესაძლებლობებს იყენებდნენ არა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის, არამედ პოლიტიკური, პარტიული, პიროვნული და სხვა ვიწრო ინტერესებისთვის. მართლაც კრიმინალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. განადგურდა 22 000 ფარული ჩანაწერი, თუმცა ჩვენ არ ვიცით, რეალურად, რამდენი ჩანაწერი იყო. და, სამწუხაროა, რომ ის ინფორმაცია ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ არის, მაშინ, როდესაც ყველა ქვეყანაში ხელმისაწვდომია. სასამართლოები აქვეყნებენ, რამდენჯერ მიმართეს შესაბამისმა სამსახურებმა და რამდენი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ეს გვაჩვენებდა, როგორ აქტიურობენ ოპერატიული სამსახურები, რაც დაგვეხმარებოდა მათი პოლიტიკის განსაზღვრაში. სამწუხაროდ, დღეს მათი საქმიანობა ჩაკეტილია.

**– ხანდახან მგონია, რომ უბრალოდ სალათას ძილით ჩაეძინათ. მაგალითად, არის ასეთი პერსონა იური ღვინჯილია, რომელიც ინეტრნეტსივრცეში აქტიურ სეპარატისტულ საქმიანობას ეწევა: აქვს ინტერნეტრადიო, რომელიც, რატომღაც, თურქეთიდან მაუწყებლობს. ამტკიცებს, რომ მეგრელები სხვა ხალხია, „დამპყრობელი“ ქორთუების მიერ „დაჩაგრული“ და, თუ აქამდე სამეგრელოს ავტონომიას მოითხოვდა, ახლა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ითხოვს. ჩემთვის გაუგებარია, რას აკეთებენ ჩვენი სპეცსამსახურები და პოლიციაც, რატომ არ აკავებენ ამ კანონდამრღვევს?**

– ყველაზე კარგი ვარიანტია და პირადად მე, ასე გავაკეთებდი, როდესაც სპეცსამსახურები თავად ქმნიან ასეთ პიროვნებას, რომ მან, როგორც თაფლმა ფუტკარი, მიიზიდოს ის ხალხი, ვინც ამ იდეას თანაუგრძნობს. მაგრამ ეს უმაღლესი პილოტაჟია და ჩვენს სპეცსამსახურებს არ ემუქრება. თუმცა ეს პირდაპირ სეპარატიზმის გაღვივებაა, რაც ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით. მაგრამ იქაც ზღვარია გასავლები ადამიანის პირად შეხედულებებსა და სეპარატიზმისკენ მოწოდებას შორის.

**– ესე იგი, ნებისმიერს შეუძლია იმავე სოციალური ქსელიდან ჩვენს პერსონალურ კომპიუტერში შემოსვლა?**

– ნებისმიერის კომპიუტერში შეღწევაა შესაძლებელი, ჩაირთვება თუ არა და ინტერნეტში შევა, ის უკვე ხვდება ამ საერთო ობობას ქსელში და როგორც ობობაა სადღაც ჩასაფრებული და რომელიღაც ძაფს მიჰყვება, ასევეა ჭკვიანი ჰაკერიც. უკვე მის მომზადებაზეა დამოკიდებული, რას გააკეთებს და რა აქვს მიზნად. კიბერომები სახელმწიფო დონეზეა აყვანილი და ეს არ არის მხოლოდ გართობა. ეს იწვევს ქვეყნის პარალიზებას, იმიტომ რომ, დღეს ყველაფერი ელექტრონულ მმართველობაზეა გადაყვანილი.

**– თავი დავანებოთ სახელმწიფო ინტერესებს, წარმოვიდგინოთ, რომ ერთ დღეს გასაჯაროვდა პირადი მიმოწერა და ადამიანებმა შეიტყვეს სიმართლე, რას ფიქრობენ მასზე რეალურად სხვა ადამიანები, მათ შორის, ახლობლებიც. ეს ხომ იქნება ატომურ აფეთქებაზე უარესი?**

– შესაძლოა, ამ ინფორმაციასაც ინახავენ ბაზაში და შანტაჟისთვის გამოიყენონ საჭირო დროს. ამიტომ პირად ინფორმაციას უფრო მეტი გაფრთხილება სჭირდება. გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება მათ, ვინც სახელმწიფო სამსახურშია, ასევე, მათი ოჯახის წევრებსაც. დღეს ჩვენი გეოპოლიტიკური ვითარება ისე არ არის დარეგულირებული, რომ ამას არ მივაქციოთ ყურადღება, მეტი სიფრთხილე გვმართებს.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 200 200
SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან
ზარი ფასიანია

**თუმცა ჯერჯერობით ჩვენი საზღვრები ღიაა და ნებისმიერ მსურველს საზღვარზევე შეუძლია საქართველოს ვიზის მიღება, რის გამოც ძეხორციელმა არ იცის, ვინ და რატომ შემოდის, გავრცელებული ინფორმაციით, სექტემბრიდან სავიზო რეჟიმი მკაცრდება და უცხოელებს ქვეყანაში შემოსასვლელად დამატებითი დოკუმენტაცია და პროცედურები დასჭირდებათ, ზოგიერთ ქვეყანასთან კი სავიზო რეჟიმის დაწესებაც იგეგმება: შემომსვლელებს ჩვენს ტერიტორიაზე ყოფნის ვადებიც დაუწესდებათ და დეპორტაციაც გამკაცრდება. ამის მთავარი მიზეზი მაინც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაა, რათა საქართველო ევროპაში წამსვლელთა კარიბჭედ არ იქცეს. დემოგრაფ ავთანდილ სულაბერიძესთან შევეცდებით საქართველოს სავიზო რეჟიმის პერსპექტივის განხილვას, ბუნებრივია, სხვა ქვეყნების სავიზო რეჟიმების ფონზე.**

# რატომ გადაიკეთეს საქართველოში სამუშაოდ შემოსულმა ჩინელებმა გვარები და როგორ უწყობენ ხელს ქართველი მაღალჩინოსნები უცხოური დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის შემოდინებას

**– სანამ საქართველოსთვის ხელსაყრელ სავიზო პოლიტიკაზე ვისაუბრებთ, მიმოვიხილოთ სხვა ქვეყნების სავიზო პოლიტიკა. დავიწყოთ ამერიკის შეერთებული შტატებიდან.**

– ამერიკის შეერთებული შტატები, მსოფლიოში მიგრანტთა ყველაზე დიდი მიმღები ქვეყანა, ტრადიციულად, ორიენტირებულია მიგრანტთა შემოდინებაზე, ესე იგი, პირებზე, რომლებიც შემოდიან ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებლად. ყოველწლიურად, საშუალოდ, დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანი იღებს აშშ-ში მუდმივად ცხოვრების ლეგალურ უფლებას. ამასთან აშშ-ში მიგრაციული ნაკადების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ შრომითი მიგრანტები, რომლებიც განიხილებიან, როგორც ნაციონალური შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი კომპონენტი. არსებობს ორი ძირითადი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს აშშ-ში შრომითი მიგრანტების შემოდინებას: ესენი არიან – შრომითი იმიგრანტები, პირები, რომლებიც შემოდიან ქვეყანაში ამერიკული კომპანიებისა და სამუშაოს მიმწოდებლების მოწვევით, მუდმივ სამუშაოზე ყოველწლიურად 140-ათასიანი კვოტის ფარგლებში და დროებითი შრომითი მიგრანტები, რომლებიც შემოდიან აშშ-ში კონტრაქტის საფუძველზე, ამერიკულ კომპანიებთან ან ადგილობრივ მეწარმეებთან შეზღუდული პერიოდით. მათი რაოდენობა კანონმდებლობით არ იზღუდება და ამჟამად ყოველწლიურად 230 ათას ადამიანს აღწევს. შრომითი მიგრაცია აშშ-ში ხორციელდება მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. პირები, რომლებიც შემოდიან ქვეყანაში პირველი არხით, იღებენ იმიგრანტის სტატუსს და, შესაბამისად, საიმიგრაციო ვიზებს, რომლებიც უფლებას აძლევს, დროთა განმავლობაში აშშ-ის მოქალაქეობა მიიღონ; ხოლო ის პირები, რომლებიც შემოდიან ქვეყანაში დროებით სამუშაოზე, კვალიფიცირდებიან, როგორც არაიმიგრანტები და იღებენ არასაიმიგრაციო ვიზას მუშაობის უფლებით.



ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერის შემდეგ დადგა საკითხი, რომ საქართველო არ უნდა იყოს მიგრანტების გამტარი და უნდა ჩაკეტოს საზღვარი

**– რა დონის სპეციალისტები მიდიან უმეტესად ამერიკის შეერთებულ შტატებში?**

– მათი დიდი უმეტესობა, ვინც აშშ-ში შრომითი მიგრაციის არხით შედის, არის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ტექნიკური და საინჟინრო მეცნიერებათა სფეროდან, მენეჯმენტიდან; პროგრამისტები; პირები, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული უნარი მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში, აგრეთვე კვალიფიციური მუშები და სპეციალისტები სამუშაოს იმ სახეობებში, რომლებიც აშშ-ს არ ჰყავს. არაიმიგრანტებისთვის გათვალისწინებულია დროებითი ვიზების სხვადასხვა კატეგორია, რომლებიც აძლევს მათ მუშაობის უფლებას. არის პროფესიები, რომელთა წარმომადგენლებს აშშ-ში მწვანე შუქს უხსნიან სამუშაო ვიზის გაცემისას, რამდენადაც ნაციონალურ შრომის ბაზარზე არ ყოფნით იმ სფეროს სპეციალისტები, ხოლო მათზე მოთხოვნა იზრდება. ასეთი პროფესიებია: პროგრამისტები; გარემოს დაცვის სპეციალისტები – კერძოდ, ნარჩენების უტილიზაციის ინჟინრები; ბიომედიცინის – მოლეკულური ბიოლოგია, გენეტიკა, ბიოქიმია, გერონტოლოგია ამ სფეროს მკვლევრები; გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების პედაგოგები და ასე შემდეგ. აშშ-ში მოქმედი მიგრაციული კანონმდებლობა უცხოელის ქვეყანაში დროებით სამუშაოდ შესასვლელად ითვალისწინებს რთულ პროცედურას არასაიმიგრაციო ვიზის გაცემისას. ვიზა და, შესაბამისად, სამუშაო ადგილი უცხოელ მოქალაქეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევა, თუ ამერიკელმა შრომის მიმწოდებელმა ვერ შეძლო ეპოვა შესაბამისი მუშაკი ადგილობრივ შრომის ბაზარზე. ეს დასტურდება აშშ-ის შრომის სამინისტროს დასკვნით, რომელიც აღნიშნავს, რომ მოცემული კონკრეტული უცხოელის შრომითი მოწყობა არ მოახდენს არავითარ გავლენას ანალოგიური სპეციალობის ამერიკელი მუშაკის ხელფასსა და შრომის პირობებზე.

**– რა სანქციებია სავიზო რეჟიმის დამრღვევებისთვის?**

– ამერიკული პოლიტიკა სავიზო რეჟიმის დამრღვევების მიმართ განსაკუთრებული, მკაცრი ზომებით გამოირჩევა. მაგალითად, თუ უცხოელი მოქალაქე ცდილობს, შევიდეს აშშ-ში ყალბი დოკუმენტებით ან საერთოდ დოკუმენტების გარეშე, საიმიგრაციო ხელისუფლებას აქვს სრული უფლებამოსილება, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება მისი დეპორტაციის შესახებ. თანაც ასეთ შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება გადასინჯვას აღარ ექვემდებარება. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა უცხოელი მოქალაქის არაკანონიერად ყოფნის ფაქტი აშშ-ის ტერიტორიაზე 6 თვის განმავლობაში, დეპორტაციის გარდა, მას ეკრძალება აშშ-ში შესვლის უფლება სამი წლის განმავლობაში. ხოლო არაკანონიერად 12 თვის განმავლობაში ყოფნის გამო, მას ეკრძალება ქვეყანაში შესვლა 10 წლის განმავლობაში. თუ გამოვლინდა, რომ უცხოელმა მოქალაქემ, რომელიც აშშ-ის ტერიტორიაზე ლეგალურად იმყოფებოდა, მაგრამ დაარღვია იქ ყოფნის ვადა თუნდაც ერთი დღით, ასეთ შემთხვევაში, მას ეკრძალება შევიდეს ქვეყანაში 5 წლის განმავლობაში. უცხოელი მოქალაქეების არაკანონიერად დაქირავების შემთხვევაში, ამერიკელი სამუშაოს მიმწოდებლები ჯარიმდებიან 10 ათას დოლარამდე თანხით.

**– საინტერესო იქნება თურქეთის გამოცდილება ამ მხრივ. ჩვენ უვიზო რეჟიმი გვაქვს, თუმცა ჩვენს მოქალაქეებს ექმნებათ პრობლემები თურქეთის შრომით ბაზარზე.**

– თურქეთი წარმოადგენს იმ ქვეყნების მაგალითს, რომელიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში, აქტიურად ატარებს შრომითი რესურსების ექსპორტის წახალისების სახელმწიფო პოლიტიკას. ის საერთაშორისო შრომით მიგრაციაში 1961 წელს ჩაერთო, როდესაც თურქეთის მოქალაქეებს კონსტიტუციამ მიანიჭა უფლება, თავისუფლად წასულიყვნენ უცხოეთში. მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალმა ტემპმა და ჩამორჩენილმა ეკონომიკამ, განაპირობა მოსახლეობის გადანაწილება აგრარულ სექტორში და უმუშევრობის ზრდა. ამავე დროს დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა, უპირველესად, გერმანიამ, რომელსაც სხვა ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ გააჩნდა კოლონიები, საიდანაც შეეძლო შემოეყვანა დამატებითი სამუშაო ძალა, ყურადღება მიაქცია თურქეთის შრომის ბაზარს, როგორც იაფი, არაკვალიფიციური სამუშაო ძალის წყაროს, რომელიც იმ პერიოდში საჭირო იყო ევროპული ეკონომიკის აღსადგენად. თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა თავისი დაინტერესება სამუშაო ძალის მასობრივ ექსპორტში, რითაც ის შეარბილებდა ქვეყნის შიგნით დასაქმების პრობლემას, ხოლო მუშა-მიგრანტები მიიღებდნენ პროფესიულ მომზადებას და თანამედროვე სპეციალობებს. გარდა ამისა, ქვეყანაში შევიდოდა უცხოური ვალუტა მიგრანტთა ფულადი გზავნილების სახით. ხელი მოეწერა ორმხრივ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას თურქეთის სამუშაო ძალის გამოყენების შესახებ: 1961 წელს – გერმანიასთან, 1964 წელს – ავსტრიასთან, ბელგიასთან და ნიდერლანდებთან, 1965 წელს – საფრანგეთთან, 1967 წელს – შვედეთთან და ავსტრალიასთან. თურქეთში სამუშაო ძალის ექსპორტს მხარს უჭერდა და არეგულირებდა ქვეყნის ხელისუფლება. 1960-იან წლებში დასაქმების ეროვნულ სამსახურთან შეიქმნა უცხოეთში დასაქმების სახელმწიფო საშუამავლო სააგენტოების ქსელი, რომლებიც ორმხრივი შეთანხმების შესაბამისად არეგულირებდა უცხოეთში გამსვლელთა რაოდენობას და რიგითობას, მიგრანტებს უზრუნველყოფდა სამედიცინო გამოკვლევით, აუცილებელი დოკუმენტაციის გაფორმებით, მათ შორის თურქი მუშების უცხოელ სამუშაოს მიმწოდებლებთან შრომითი კონტრაქტების პირობებით. 1961 წლიდან 1975 წლამდე ამ სააგენტოებმა ევროპაში

(გაგრძელება 36-ე გვერდზე)

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

# რა „სიურპრიზებს“ გვთავაზობს ზაფხული

წელიწადის დროებს შორის ზაფხული ყველაზე საყვარელია. ეს ის პერიოდია, როცა ნანატრი შვებულება დასვენებისა და დროის საუკეთესოდ გატარების საშუალებას გვაძლევს. თუმცა, შესაძლოა, გაუთვალისწინებელმა გარემოებებმა არათუ ის მოლოდინი არ გაამართლოს, რომელსაც ზაფხულისგან ველოდით, არამედ, სერიოზული პრობლემებიც შეგვიქმნას. საუბარია მთელ რიგ დაავადებებზე, რომელთა პროვოცირებასაც ზაფხულის სიცხეები იწვევს, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სწორედ ამ პერიოდში ვერ ვუთმობთ ჯეროვან ყურადღებას იმ პროდუქტების ხარისხს, რომელთაც საკვებად ვიყენებთ. ძირითადად ვიკვებებით სწრაფი კვების ობიექტებში, დავდივართ ქალაქგარეთ პიკნიკებზე, პირდაპირ პლაჟზე მივირთმევთ ხილსა და საზამთროს. გარდა ამისა, ძალიან ბევრი პროდუქტი ზაფხულში მალე ხდება საკვებად უვარგისი და, არცთუ იშვიათად, მარკეტები ვერ უზრუნველყოფენ მათი შენახვის პირობებს. ამიტომაც, სწორედ ზაფხულზე მოდის ისეთი დაავადებების რისკის მაღალი დონე, როგორიცაა: დიარეა, მეტეორიზმი, გასტროენტერიტი, პერესტალტიკის დარღვევა, ასევე, დიზინტერია და დისბაქტერიოზი. შეიძლება ბუტერბროდით ან სენდვიჩით ერთმა წახემსებამ ან ერთმა ნაჭერმა საზამთრომ დიდი ხნით გაგვიუარესოს ჯანმრთელობა. საფრთხის წინაშე დგანან ბავშვებიც, რომლებსაც, მოზრდილებისგან განსხვავებით, პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვაც უჭირთ.

როგორ დავიცვათ თავი ამ რეალური უსიამოვნებებისგან?! უკვე არსებობს უნიკალური რეჰიდრატაციული საშუალება, ფრანგული პრეპარატი **ალტაფლორა** – ელექტროლიტი. მისი მიღება დაავადების პირველივე სიმპტომების გამოვლენისას არის შესაძლებელი, თანაც, ექიმის დანიშნულების გარეშე; არ გააჩნია არანაირი უკუჩვენება და აბსოლუტურად უსაფრთხოა; არ არის შეზღუდული მისი მოხმარების არეალი. **ალტაფლორას** მიღება შეუძლიათ ბავშვებსაც. **ალტაფლორა** არ შეიცავს ხელოვნურ დანამატებს, შაქარს, ლაქტოზას და ფრუქტოზას და ამიტომ მას მოიხმარენ დიაბეტით დაავადებულებიც.




**ალტაფლორას** შემადგენლობაში შედის ორგანიზმისთვის აუცილებელი ყველა ელემენტი: ნატრიუმის ქლორიდი, კალიუმის გლუკონატი, მაგნიუმის გლუკონატი და პრობიოტიკები.

**ალტაფლორა** ელექტროლიტი სწრაფად აღადგენს წყლისა და ელექტროლიტების დანაკარგს, ამცირებს დიარეის მოცულობასა და ხანგრძლივობას, აქვს ვანილის სასიამოვნო არომატი და მოსახერხებელი გამოშვების ფორმა (წყალში ხსნადი პაკეტები).

*დოზირება*: ბავშვებს 1 წლიდან, შეგიძლიათ, მისცეთ ერთი პაკეტი დღეში; მოზრდილის ნორმაა 1-2 პაკეტი დღეში: იხსნება 200 მილილიტრ წყალში (დიარეის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია, გაიხსნას რძეშიც).

**ალტაფლორა** შეუცვლელია არასწორი დიეტების დროს.

**თამარ მეგრელიშვილი** *(ექიმი-ინფექციონისტი, პროფესორი):* ეს არის ძალიან კარგი და ეფექტური საშუალება გულის რევის, ღებინების და ნაწლავური აშლილობების დროს. მისი ეფექტურობა განისაზღვრება იმითაც, რომ თამამად შეიძლება გამოვიყენოთ 2 წლიდან ზემოთ. **ალტაფლორა** ყველაზე ეფექტური საშუალებაა იმ პრეპარატებს შორის, რომლებიც დღეისთვის მთელ მსოფლიოში ფართოდაა მიღებული ინფექციური დიარეული დაავადებების სამკურნალოდ. ხშირ შემთხვევაში, ის გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ინტრავენური ხსნარები, იწოვება ადვილად და სწრაფად აღადგენს საჭირო მინერალების ბალანსს; ასევე, უხვად შეიცავს ეგრეთ წოდებულ „მეგობარ“ ბაქტერიებსაც. ამიტომაც, ინფექციონისტები ფართოდ ვიყენებთ **ალტაფლორას** გაუწყლოების შემთხვევაშიც. ის სრულიად უსაფრთხოა და არანაირი უკუჩვენება არ გააჩნია.

*P.S. ალტაფლორა – ელექტროლიტის შეძენა შეგიძლიათ საქართველოს აფთიაქებში, რეცეპტის გარეშე.*

*კომპლექსური საკვები ბიოდანამატი.*

**ცნობილი რეჟისორის, კოტე მარჯანიშვილის უფროსი და სქემიღუმენია თამარი მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში დაიბადა. მამამისი – ალექსანდრე გარდაიცვალა ჯერ კიდევ მაშინ, როცა თამარი ძალიან პატარა იყო, ხოლო დედა 20 წლის ასაკში დაეღუპა, რის შემდეგაც, ის ძალიან მალე მონაზვნად აღიკვეცა. მისი მონაზვნური ცხოვრება საკმაოდ საინტერესო და რთული იყო. თუმცა, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დოქტორი დავით გაჩეჩილაძე.**

# რა განსაცდელებისა და ტანჯვის გადატანა მოუწია კოტე მარჯანიშვილის უფროს დას, დედა თამარს და რატომ შიშობდნენ მის გამო სინოდის წევრები

**– რას საქმიანობდა კოტე მარჯანიშვილის და, თამარი მონაზვნად აღკვეცამდე?**

– თამარს დიდი მუსიკალური ნიჭი და შესანიშნავი ხმა ჰქონდა. პეტრბურგის კონსერვატორიაში შესასვლელად ემზადებოდა და საქმროც ჰყავდა. დედის გარდაცვალების შემდეგ, ზაფხულში, ის თავის დასა და ორ უმცროს ძმასთან ერთად, ქალაქ სიღნაღში დეიდასთან ჩავიდა სტუმრად. ერთ დღეს ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, სოფელ ბოდბეში ახლად დაარსებულ წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში მისულიყვნენ. როდესაც ტაძარში შევიდნენ, იმ დროს მიმდინარეობდა საღვთო ლიტურგია, ილუმენია იუბენალია ლოცვებს კითხულობდა, რამდენიმე და კი, გალობდა. თამარი მარტო დარჩა წირვის ბოლომდე და ისე მოეწონა იქ გამეფებული სულიერი სიმშვიდე, მტკიცედ გადაწყვიტა, მონაზვნად აღკვეცილიყო. როცა წირვა დამთავრდა, თამარი მივიდა ილუმენიასთან, აუწყა თავისი სურვილი და სთხოვა, მიეღო მონასტერში.

**– მის სურვილს თუ გაუწიეს წინააღმდეგობა?**

– თამარმა ნათესავებს განუცხადა, რომ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მონაზვნად აღკვეცა. ვერანაირმა თხოვნამ, მუდარამ, ვერც დაცინვამ ვერ გაჭრა და თამარს ხელი ვერ აღებინა ჩანაფიქრზე. ახლობლებმა გადაწყვიტეს, მისი გულისყური როგორმე მონასტერზე ფიქრისათვის მოეწყვიტათ და გულის გადასაყოლებლად თბილისში ჩამოიყვანეს. ის გასართობად დაჰყავდათ კონცერტებსა და თეატრში. როცა თამარი დარწმუნდა, რომ ნათესავებსა და ახლობლებს არ უნდოდათ მისი მონასტერში გაშვება და მონაზვნად აღკვეცა, ჩუმად გაიპარა სახლიდან და მივიდა მონასტერში. ახლობლებმა მიაგნეს, მაგრამ თამარმა უარი განაცხადა დაბრუნებაზე. ბოლოს დედა იუბენალიამ დაიყოლია ნათესავები და მათაც დართეს ნება, თამარს მის მიერ არჩეული გზით ევლო. მონასტერში ის ცხოვრობდა ილუმენია იუბენალიას უშუალო ხელმძღვანელობით. ცოტა ხნის შემდეგ, თამარი მონაზვნად აღკვეცეს, საეკლესიო სახელად კი იუბენალია უწოდეს. რამდენიმე ადამიანის ცნობით, რომლებიც დედა თამარის მონაზვნად აღკვეცას ესწრებოდა, იმ დროს მის თავზე თეთრი მტრედი დაფარფატებდა. 1902 წელს ილუმენია იუბენალია-უფროსი გადაყვანილ იქნა მოსკოვში, სადაც ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. იუბენალია-უმცროსი კი, საქართველოს ეგზარქოსის ბრძანებით, ბოდბის მონასტრის ილუმენიად განამწესეს.

**– რა თვისებებით გამოირჩეოდა დედა თამარი და როგორ ართმევდა ახალგაზრდა დედა თამარი მონასტრის წინამძღვრობას თავს?**

– მონასტერში იმხანად სამასი და იმყოფებოდა. ძალიან უყვარდა ბოდბის მონასტერი დედა თამარს, ხშირად იგონებდა მას, მაგრამ დიდხანს არ ყოფილა მისი წინამძღვარი. 1905 წელს რევოლუციურად განწყობილი მთიულები თავს ესხმოდნენ საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობას, აწიოკებდნენ და ყოველნაირად ავიწროებდნენ მათ. გლეხები ხშირად მიმართავდნენ დახმარებისათვის დედა თამარს და ისიც ყველას ეხმარებოდა, თავგამოდებით იცავდა და თავშესაფარსაც აძლევდა მონასტერში. რევოლუციონერები ძლიერ განაწყენებული იყვნენ ახალგაზრდა ილუმენიაზე, ხშირად უგზავნიდნენ მუქარის ანონიმურ წერილებს. სინოდში შეშფოთებულნი იყვნენ მისი ბედით, რომლის სიცოცხლესაც აშკარა საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომ, უწმიდესი სინოდის ბრძანებით, შეიძლება ითქვას, დედა თამარის სურვილის წინააღმდეგ, ის გადაიყვანეს მოსკოვში და დაინიშნა პოკროვის საზოგადოების წინამძღვრად. სწორედ აქ გაუჩნდა მას სურვილი, განმარტოებულიყო და ბინა დაედო საროვოს მონასტრის მახლობლად, მისი წინამძღვრის, სერაფიმეს მფარველობაში. დედა თამარმა ერთხელ, როცა ღვთისმშობლის ხატის წინ ლოცულობდა, თითქოს ბრძანება მიიღო მისგან. ეს საოცარი ნიშანი რამდენჯერმე განმეორდა. დედა თამარი მიხვდა: ღვთისმშობელს არ სურს, რომ მან მარტოობაში განვლოს თავისი ცხოვრება. ის ავალებდა, შეექმნა ახალი სავანე, არა მარტო თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც. ძნელი აღმოჩნდა დედა თამარისთვის ხელი აეღო განდეგილობაზე. თან, შიშობდა: საცდური ხომ არ იყო ღვთისმშობლის ეს ბრძანება? გადაწყვიტა, რჩევა ეკითხა გამოცდილი სასულიერო პირისთვის და ოქტომბერში გაემართა ზოსიმეს უდაბნოში, განდეგილ მამა ალექსისთან. მან მოუსმინა დედა თამარს და მტკიცედ განუცხადა, რომ ის არ უნდა მიეცეს განმარტოებას, ვალდებულია, დააარსოს ახალი სავანე, როგორც ამას თავად ღვთისმშობელი ავალებს. ხელაღებით მაინც არ მიუღია ეს გადაწყვეტილება. ეძნელებოდა უარი ეთქვა განმარტოების სურვილზე. მაგრამ, მოსკოვში დაბრუნებულს, მოულოდნელი ამბავი დახვდა: რიაზან-ურალის რკინიგზის სამმართველო მოლაპარაკებას იწყებდა პოკროვის საზოგადოებასთან, რათა რკინიგზის საჭიროებისთვის ეყიდა ტყიანი სააგარაკო ნაკვეთი, რომელიც საზოგადოებას ეკუთვნოდა. მოლაპარაკება გაჭიანურდა, მაგრამ ბოლოს დედა თამარის სურვილის მიხედვით დამთავრდა, რკინიგზის სამმართველოს უარი ეთქვა ნაკვეთის შესყიდვაზე. სწორედ ამ პერიოდში, ტყიანი აგარაკის დათვალიერებისას, მივიდა დასკვნამდე, რომ ეს იყო იდეალური ადგილი ახალი სავანის დასაარსებლად. უნდოდა, ამ დიდი და სერიოზული საქმის დაწყებამდე, ერთხელ კიდევ შეემოწმებინა საკუთარი თავი და რჩევისთვის გამოცდილ ბერ, მამა ანატოლისთან მივიდა, რომელიც დაჟინებით მოუწოდებდა, შეესრულებინა თვით ღვთისმშობლისაგან მიღებული დავალება. დედა თამარი კიდევ რამდენჯერმე ჩავიდა მამა ალექსი ზოსიმელთან, რომელიც მთელი სულითა და გულით უჭერდა მხარს ახალი სავანის დაარსებას. მამა ალექსისთან ბოლო სტუმრობიდან დაბრუნებისას, დედა თამარმა სერგიევის სამების ლავრაში შეიარა, რათა მოთათბირებოდა მამა თეობას. დედა თამარი სულის სიღრმეში იმედოვნებდა, რომ მამა თეობა, როგორც გამოცდილი და საქმიანი ადამიანი, ურჩევდა, უარი ეთქვა ასეთ მძიმე წამოწყებაზე, მაგრამ მან ჯერ სიყვარულით და ყურადღებით მოუსმინა დედა თამარს, შემდეგ კი დალოცა ახალი სავანის შესაქმნელად. ბერების – მამა ალექსი ზოსიმელის, მამა ანატოლი ოპტინელისა და სერგიევის სამების ხელმძღვანელის, მამა თეობას რჩევითა და ლოცვა-კურთხევით, საბოლოოდ, გადაწყდა სერაფიმო-ზნამენსკოეს ახალი სავანის დაარსება. აშკარა იყო ღვთის შემწეობა რიაზან-ურალის რკინიგზის სამმართველოსთან მოლაპარაკებისას, მას საბოლოოდ უარი ეთქვა მიწის აღნიშნული ნაკვეთის შესყიდვაზე. ღვთის აშკარა შემწეობითვე გამოჩნდა საჭირო სახსრები ამ უზარმაზარი საქმის განსასრულებლად. 1910 წლის 27 ივლისის საძირკველი ჩაეყა-



**დედა თამარი, თურმე, განდეგილის ჯაჭვს ატარებდა ტანზე. შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ კოხტად მორგებული მონაზვნის ფაქიზი ტანსაცმლის ქვეშ, რომელიც სისუფთავისგან ქათქათებდა, ჯაჭვს ატარებდა**

**საკნის ყველა ბინადარი – მორწმუნე თუ ურწმუნო, ქურდი თუ ქუჩის ქალი, მიდიოდა მასთან, რათა კურთხევა მთხოვა და ხელზე მთხვევით გამომშვიდობებოდა**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

რა ახალ სავანეს, რომელიც 1912 წლის სექტემბრამდე შენდებოდა. სავანის გარე თუ შიდა მოწყობის ყველა საჭირბოროტო საკითხებზე, დედა თამარი ეთათბირებოდა მეუფე არსენ ჟადანოველს, რომელიც 1916 წლიდან მისი და სავანის ყველა დის სულიერი მოძღვარი გახდა. სავანის კურთხევა მოხდა 1912 წლის 29 სექტემბერს. ის აკურთხა მოსკოვის მიტროპოლიტმა ვლადიმირმა, რომელიც დედა თამარისა და მისი ახალი სავანის მიმართ დიდი პატივისცემით იყო განმსჭვალული. სერაფიმო-ზნამენსკოეს სავანემ მხოლოდ 12 წელი იარსება. ის 1924 წელს დახურეს და გაანადგურეს ბოლშევიკებმა. დები სხვადასხვა მხარეს დაიფანტნენ. დედა თამარმა პატარა სახლი იშოვა, პერხუშკოვოს დასახლებაში და იქ დაიდო ბინა თავის ათ დასთან ერთად. პერხუშკოვოში ცხოვრება დაახლოებით ისე აეწყო, როგორც სავანეში. უამრავი ხალხი მოდიოდა დედა თამართან რჩევა-დარიგებისთვის. დედა თამარის დარიგება ყოველთვის განსაზღვრული, კონკრეტული, ავტორიტეტული იყო, ყველას ნდობას იმსახურებდა. გულითადად იღებდა ყველა მიმსვლელს, საოცრად ახლო მიჰქონდა გულთან ყველას წუხილი, დარდი თუ სიხარული, საოცარი გარდასახვის უნარი ჰქონდა – შეეძლო საკუთარი თავი ჩაეყენებინა მასთან მისული შეჭირვებულის მდგომარეობაში, მთელი არსებით განეცადა მისი წუხილი. მის მზერაში დიდი სითბო, სიყვარული და ყურადღება ირეკლებოდა. შესანიშნავი, საოცრად დიდრონი შავი თვალები ჰქონდა. სიბერის მიუხედავად, სახეზე მაინც შენარჩუნებული ჰქონდა არაჩვეულებრივი სილამაზისა და ქართული წარმომავლობის კვალი. დედა თამარს საოცრად ლამაზი ჰქონდა ყველაფერი, ბრწყინავდა სინატიფითა და თვალწარმტაცი სისუფთავით. ეკლესიაში წინ ხელსახოცს იფენდა და ლოცვისას ზედ იჩოქებდა. სისუფთავის ასეთ მოყვარულს ცხოვრება მოუხდა ჯერ ციხის საერთო საკანში, ხოლო შემდეგ – გლეხის ღარიბულ ქოხში. დედა თამარი თურმე განდეგილის ჯაჭვს ატარებდა ტანზე. შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ კოხტად მორგებული მონაზვნის ფაქიზი ტანსაცმლის ქვეშ, რომელიც სისუფთავისგან ქათქათებდა, ჯაჭვს ატარებდა. ისევე, როგორც ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ საწოლზე ულეიბოდ, შიშველ ფიცარზე იწვა. იმ ოთახიდან, სადაც პერხუშკოვოში დებს ეძინათ ღამე, თუ ვინმე გამოიღვიძებდა, აშკარად ხვდებოდა, რომ ტიხარს იქით, სენაკში, დედა თამარი ფხიზლობდა. ცხადი იყო, ლოცულობდა. დიდი ძალა ჰქონდა მის ლოცვას! ის რწმენის უზარმაზარი ცეცხლით იყო აღვსილი. მკაცრიც იყო. დედა თამარი და დები მკაცრად იცავდნენ ყველა მარხვას, ზეთიან საზრდელსაც კი არ იხმევდნენ, უზეთოს ჭამდნენ. ვნების კვირაში მხოლოდ შავი პურით კმაყოფილდებოდნენ. თვითონ დედა თამარი ავადმყოფობის დროსაც კი, არ არღვევდა მარხვას. ზღვა ხალხი მოდიოდა მასთან და ყველა ექცეოდა მისი სულიერი მფარველობის ქვეშ. ყველას ისე გულითადად ხვდებოდა, როგორც საკუთარ შვილებს. მისი ლოცვა-კურთხევა დღესაც თანადგომასა და მფარველობას უწევს ყველას.



**– მისთვის, ალბათ, ყველაზე რთული პატიმრობის წლები იყო.**

– 1931 წელს დედა თამარი, თავის რამდენიმე დასთან ერთად, დააპატიმრეს. ციხეში მასთან ერთად იჯდა მისი ერთგული მორჩილი. საკანში სხვადასხვა ჯურის პატიმრები იყვნენ – პოლიტიკური და სისხლის სამართლის დამნაშავეები. როგორღაც მოხერხდა და დედა თამარს საერთო საკანში რაღაც ფარდის მსგავსით თავისი კუთხე გამოუყვეს. სისხლის სამართლის დამნაშავენი ხშირად ხმაურობდნენ და უწმაწურ სიმღერებს მღეროდნენ, მაგრამ როგორც კი დედა თამარი სთხოვდა, მაშინვე ჩუმდებოდნენ. მთელი საკანი დიდ პატივს მიაგებდა მას. ამანათს რომ მიიღებდა, დედა თამარი ყველას თანაბრად უნაწილებდა და ისინიც ამას ისე იღებდნენ, როგორც ღვთის წყალობას. დედა თამარს საკანში საუკეთესო ადგილი ჰქონდა დათმობილი. იქ ყველაფერი თეთრით იყო შემოსილი. დედა თამარიც ხალისიანად და მხნედ გამოიყურებოდა, მუდამ სხვათა დამშვიდებასა და დაწყნარებას ცდილობდა. ყოველ ღამე, როგორც კი საკანში სიწყნარე დაისადგურებდა, საწოლზე მუხლმოყრილი, ლოცვას იწყებდა. მასთან ყოველთვის ძღვენი მიჰქონდათ და ყოველ დილით მისი სახელით ერთ-ერთი მონაზონი ამ „ძღვენს" იქ მყოფთ ურიგებდა. მთელ თავის „მისაგებელს" ნაწილ-ნაწილ ყოფდა, აკურთხებდა და უგზავნიდა ყველას. ვიღაც ახალგაზრდა, შეღებილი მსახიობი ქალი თურმე ძლიერ ნერვიულობდა, ხშირად ხმამაღლა ქვითინებდა, რითაც, ყველას უფუჭებდა გუნება-განწყობას. ერთხელ დედა თამარმა მიიხმო ის თავისთან, დასვა, დაუწყო გამოკითხვა სამუშაოზე. მერე სთხოვა, რამე წარმოეთქვა. მსახიობ ქალს შთაგონებით დაუწყია კითხვა, მაგრამ რასაც ის წარმოთქვამდა, საოცრად შეუფერებელი იყო ილუმენიის ყურთასმენისთვის. დედა თამარმა ბოლომდე დიდი ყურადღებით მოუსმინა. მერე რაკილა შეატყო, რომ ქალს ლაპარაკი ამშვიდებდა, თურმე ყოველდღე უხმობდა და აიძულებდა, რამეს წაეკითხა. დიდი იყო მისი ზეგავლენა საკანში მყოფ სხვადასხვა ჯურის ადამიანზე: სხვადასხვა წრის წარმომადგენლებზე, ტროცკისტებსა და ოპოზიციონერებზე, ებრაელებზე, ქურდის ქალებზე, რომლებითაც სავსე იყო მაშინ ქალების სატუსაღოები. ხშირად უნახავთ, რომ დედა თამარი მთელ ღამეებს ლოცვაში ატარებდა და ამიტომ დღისით, როცა იგი მოსასვენებლად წამოწვებოდა, მთელი ორმოცდაათკაციანი აგუგუნებული საკანი ჩუმდებოდა: „დედას სძინავს, დედა ისვენებსო", – ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. დედა თამარის ზეგავლენა უფროსობაზეც ვრცელდებოდა. ქალთა აბანოებს მამაკაცები ემსახურებოდნენ. აუცილებელი იყო მთლად გაშიშვლება და ტანსაცმლის სადეზინფექციოდ ჩაბარება. ეს წესი, რა თქმა უნდა, ყველაზე ვრცელდებოდა. გამონაკლისს მხოლოდ დედა თამარისთვის უშვებდნენ. მას ხუთი წლით თავისუფალი გადასახლება მიუსაჯეს ირკუტსკის ოლქში. ის მხნედ მიდიოდა, მისი საუცხოო თვალები ცეცხლით ბრწყინავდნენ. ბევრი ტიროდა. საკნის ყველა ბინადარი – მორწმუნე თუ ურწმუნო, ქურდი თუ ქურდის ქალი, მიდიოდა მასთან, რათა კურთხევა ეთხოვა და ხელზე მთხვევით გამომშვიდობებოდა.



გადასახლებაში დედა თამარს თან გაჰყვა უბრალო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მონაზონი, გლეხის ქალი ნიუშა. დედა თამარი და ნიუშა ფეხით გაუდგნენ გზას დანიშნულების ადგილისკენ. დედა თამარმა იქ ხუთი წელი დაჰყო. ცხოვრობდნენ ქოხში ერთ გლეხთან. დედა თამარმა სამხრეთელი ადამიანისთვის უჩვეულო კლიმატს ვერ გაუძლო და ტუბერკულოზით დაავადდა. საზოგადოდ, ამ სენმა გამოასალმა ის სიცოცხლეს. გადასახლებაში დედა თამარი, როგორც ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელი, ორ-სამ თვეში ერთხელ ადგილობრივ კომისარიატში უნდა გამოცხადებულიყო ხელის მოსაწერად. პირველად კომისარმა ძალიან პირქუშად, ლამის მტრულად მიიღო. მაგრამ, დედა თამარის სახე, რაღაც საოცარი სულიერი ძალა, რომელსაც მისი თვალები ასხივებდა, თანდათანობით მოქმედებდა და ამ ადამიანის პირქუში კილოც მალე შეარბილა. უკვე მშვიდად ესაუბრებოდა დედა თამარს. გადასახლების დასასრულს, როცა დედა თამარი უკანასკნელად გამოცხადდა კომისარიატში ხელის მოსაწერად, კომისარი საოცარი სითბოთი დაემშვიდობა და უსურვა, მეტად აღარ შეხვედროდნენ ერთმანეთს. დედა თამარს დიდხანს აწუხებდა ავადმყოფობა. გადასახლებაში უფრო და უფრო უარესდებოდა მისი ჯანმრთელობა. დაბრუნების შემდეგ ის დასახლდა პატარა სახლში ბელორუსიის რკინიგზის სადგურ პიონერსკაიასთან. თუმცა, უკვე ძალიან ავად იყო. გადასახლებაში ყელის ტუბერკულოზიც დაწყებია.

**– როდის გარდაიცვალა?**

– დედა თამარი გარდაიცვალა 1936 წლის 10/23 ივნისს. როცა კვდებოდა, ყველას სთხოვდა, ელოცათ. ყველას გამოემშვიდობა, დალოცა და სულ მეუფეს უხმობდა, რომელიც იქვე სწირავდა და ლოცულობდა. სწორედ მის ლოცვაში დახუჭა თვალები. წესი მეუფე არსენმა აუგო. დაკრძალეს მოსკოვში, ვვედენის მთაზე, მამა ალექსი მეჩევის საფლავის ახლოს. დედა თამარის საფლავზე აღმართულია ხის თეთრი ჯვარი, რომელშიც ღვთისმშობლისა და ღირსი სერაფიმეს ხატებია ჩასმული.

**ნათია უტიაშვილი**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

# მიიღეთ

# ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

**დიზაინერმა ლაკო ბუკიამ ცოტა ხნის წინ, ნიუ-იორკში, დიზაინის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა – „პარსონსში“ მაგისტრატურა წარმატებით დაამთავრა, დიპლომიც დაიცვა და ცოტა ხნით თბილისში დაბრუნდა. თუმცა, აგვისტოს ბოლოს ისევ ნიუ-იორკში მიემგზავრება, რადგან სადიპლომო ნამუშევარი ნიუ-იორკის „ფეშენ-ვიქზე” უნდა წარადგინოს.**

# როგორი სახით აპირებს ლაკო ბუკია საკუთარი ისტორიის გატანას ნიუ-იორკის „ფეშენ-ვიქზე” და რა შეფასებები მისცა მას დონა კარანმა

**ლაკო ბუკია**: „პარსონსში“ და ზოგადად, ნიუ-იორკში გატარებულმა პერიოდმა ძალიან დიდი გამოცდილება მომცა. ეს იყო ჩემთვის ორწლიანი დიდი, ცხოვრებისეული გაკვეთილი. მგონია, რომ ძალიან გავიზარდე – ამ ორ წელიწადში ხუთი წელი მომემატა. ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, იმის მიუხედავად, რომ დეპრესიის, სასოწარკვეთილების ბევრი დღე მქონდა, განსაკუთრებით დიპლომზე მუშაობისას. გითხარი, ჩემს პროექტზე რომ ვმუშაობდი, პარალელურად, ფსიქოლოგთან დავდიოდი და სულ მეუბნებოდა: ხელოვანი ადამიანებისთვის, ვინც ძალიან დატვირთული გრაფიკით ცხოვრობს და საქმეში სულსა და გულს დებს, შედეგის მიღება ბავშვის გაჩენასავით არის და შემდეგ დეპრესიაში ვარდებიანო. არ მეგონა, მეც თუ დამემართებოდა ასეთი რამ. რომ დავამთავრეთ, გამოფენა გავაკეთეთ, სადაც ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ყველანი დეპრესიაში ჩავვარდით – ასეთი არაფერი გამომიცდია. ახლა ნელ-ნელა გამოვდივარ მდგომარეობიდან. მთელი ენერგია, შინაგანი ემოცია, ყველაფერი, რაც კი გვქონდა, ბოლომდე გამოგვწურეს. ზოგჯერ ძალიან ცუდად გვექცეოდნენ, გვეჩხუბებოდნენ, სასოწარკვეთილებამდე მივყავდით, რადგან მათ ასეთი ტაქტიკა აქვთ. თან, მიაჩნიათ, თუ აქამდე მოხვედი, ახლა უნდა გააკეთო საუკეთესო, რაც კი შეგიძლია. შენ ხომ იცი, რის შესაძლებლობაც გაქვს, რის კეთება შეგიძლია, მაგრამ ისინი ბოლომდე იღებენ ყველაფერს – სანამ არ დავარდები, თავს არ განებებენ. ეს მხოლოდ დიდი შრომა კი არ არის, არამედ, თუ რამდენად ხარ ფსიქოლოგიურად მზად, რამდენად ძლიერი ხარ და შეგიძლია თუ არა, ამ ყველაფერს გაუძლო.

**– რა იყო შენი სადიპლომო თემა?**

– სადიპლომო თემას დავარქვი „პორტრეტი“. ასე ვთქვათ, ჩემი პორტრეტი იყო, ოღონდ სხვა სახით. ანუ, გადმოტანილია ის ხედვა, რაც მოგწონს, გიყვარს, რაც შენს ქვეცნობიერშია, შიშები... თან ყველაფერი მანამდე, ფსიქოლოგთან განვიხილე. სეანსებზე ყოველდღიურად საკუთარ თავს ვეჯახებოდი, – პრობლემებს, რასაც თავად არ აღიარებ. ესეც საკმაოდ რთული პროცესია. თან, რომ ხვდები, ამას რატომ აკეთებ, მაგრამ არ აღიარებ, ეს იწვევს ბევრ ფიქრს, უარყოფით გრძნობებს. ასე რომ, საინტერესო პროექტი იყო, მაგრამ ძალიან ემოციურად დატვირთული. ამერიკაში არის ფოტოგრაფი ელენე დამენია. მას შევთავაზე, გვეთანამშრომლა და იმ დღეს ფსიქოლოგთან სეანსზე რასაც გავივლიდი, აღმოვაჩენდი, მერე მას ვურეკავდი და ვუებნებოდი: ასეთი რამის გადაღება მინდა-მეთქი. ანუ, მინდოდა, ჩემი ისტორია ყოფილიყო, რომელიც შემდეგ კოლაჟებად ავაწყვე და პრინტი გავაკეთე. შვიდი სხვადასხვა სახეობის ქსოვილი მქონდა და მათზე გადავიტანე ეს ყველაფერი. რაც მთავარია, არც ერთ კაბას არ ჰქონდა თარგი. მოდელი გოგონა მყავდა და მის ტანზე საათობით ვმუშაობდი, რისკზე მივდიოდი: დაპრინტულ ქსოვილს, სადაც გავჭრიდი, იქ იქნებოდა სახელო ან სხვა რამე. მერე ქინძისთავით ვამაგრებდი. ანუ, კოლექცია ისეთივე ქაოსური იყო, როგორც, ზოგადად, თემა. მერე საქართველოში ჩამოვიტანე, მინდოდა, არ შეკერილიყო, არ ჰქონოდა ნაკერები და ნაქარგით, პირდაპირ მანქანით გადაბმულიყო. ძალიან დიდ რისკზე მივდიოდი, თხელი ქსოვილები იყო: შიფონი, ორგანზა... ნაქარგი ქაჩავდა, ან კაბა გაფუჭდებოდა, ან ფერები არ მოუხდებოდა ერთმანეთს. მოკლედ, დიდი სტრესი იყო, მაგრამ, საბოლოოდ, ძალიან კარგი გამოვიდა. რაც მთავარია, ბევრი რამ ვისწავლე: ასე კოლექცია არ გამიკეთებია – თარგი არ მქონოდა და გოგონაზე ამეწყო. კოლექციაში ხეც გამოვიყენე. ავეჯის დიზაინერთან ვიმუშავე, რომელმაც მხრები ხისგან გამიკეთა. შემდეგ ვიპოვე კომპანია, რომელმაც პრინტი ხის სტრუქტურაზე გადაიტანა. ტყავის ხელთათმანები გავაკეთე პრინტით, ასევე ფეხსაცმელები – პრინტით, წინდები – ხელით მოხატული... საბოლოოდ, ვიზუალურად გამოვიდა ასეთ რამ: ვიღაცის ცხოვრება ქაოსურად გამოსახული, რომელიც ერთ ადამიანს აცვია. ფოტოებში ჩემი სახეც არის, მაგრამ ვეცადე, აშკარად არ გამოჩენილიყო და ვიღაცას არ ეფიქრა – ლაკო საკუთარ თავზეა შეყვარებულიო. ლექტორმაც მითხრა: ისე მიკვირს, საკუთარ თავზე რომ აკეთებ დიდ პროექტს, რადგან ყველაზე მორიდებული ხარო. უბრალოდ, ფაქტი მაინტერესებდა: ადამიანი გარეგნულად შეიძლება, სულ სხვანაირი იყოს, მაგრამ შინაგანად განსხვავებული, აქვს ბევრი ემოცია, შეგრძნება, რაც თვითონაც არ იცის – არ ულრმავდება რატომ აქვს ეს. არადა, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს.



**სეანსებზე ყოველდღიურად საკუთარ თავს ვეჯახებოდი, ჩემს პრობლემებს, იმას, რასაც თავად არ ვაღიარებ. ესეც საკმაოდ რთული პროცესი იყო**

**– როგორ ჩაიარა პრეზენტაციამ?**

– გამოფენა, რომელიც ორი კვირის განმავლობაში იყო, „გუჩიმ“ დაგვიფინანსა. თავის ოფისში ადგილი გამოგვიყო. ძალიან ლამაზი გამოვიდა, ყველამ გავაკეთეთ პრეზენტაცია. ჩვენს ფაკულტეტს დონა კარანი აფინანსებს, ამიტომ, მეორე დღეს მოვიდა. გახსნაზე ბევრი ხალხი იყო, მას კი უნდოდა, ყველას პირადად გასაუბრებოდა. ძალიან უშუალო, საყვარელი ადამიანია, ვერც წარმოიდგენ, რომ დონა კარანია. ყველას სათითაოდ გაგვესაუბრა, გამოგვკითხა რაღაცეები. ჩემთან ძალიან მოეწონა ვიზუალური მხარე: ძალიან კარგი ხედვა გაქვს და ხომ არ აპირებ ფოტოგრაფიას გაყვეო. არა-მეთქი. მერე მკითხრა: რას გააკეთებდი, დიზაინერი რომ არ იყოო. აუცილებლად ვიქნებოდი ფსიქოლოგი-მეთქი. ძალიან საინტერესოა და იქნებ გაიგო, რა სჭირთ დიზაინერებს, ცოტა შერყეულები რომ არიანო. ყველას გვკითხა, საიდან ხართო. რომ ვუთხარი: საქართველოდან-მეთქი. ასეთი ქვეყანა არც გამიგიაო. გული დამწყდა და ვუხსნიდი, სად არის ჩვენი ქვეყანა, სად მდებარეობს. ბოლოს მითხრა: მიხარია, დღეს რაღაც ვისწავლე ისტორიიდანო.

**– რით იყო შენი კოლექცია გამორჩეული?**

– ბევრი ფერი იყო, ფოტოები, თვალისთვის ძალიან დატვირთული და ტექნოლოგიურადაც განსხვავებული. ყველას კოლექცია ტექნიკისა და იდეის მხრივ გამორჩეული იყო. იმდენად დაინახეს ჩვენში სიძლიერე, რომ ბოლომდე მოგვცეს საკუთარი თავის, სურვილების პოვნის საშუალება. ფსიქოლოგთან ბოლო გასაუბრებები რომ მქონდა, მკითხა: წარმოგიდგენია, რომ ეს კოლექცია ვინმეს ეცვასო. არ წარმომიდგენია-მეთქი, რადგან ეს ჩემთვის უფრო ხელოვნების ნიმუშია, სკულპტურა. არადა ისეთია, რომ რეალურად ჩაიცვამ და გახვალ. თან, ვერ წარმომიდგენია, ვინმეს ეცვას ჩემი ცხოვრება, სახე, პორტრეტი. ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულები სექტემბერში ნიუ-იორკის „ფეშენ-ვიქზე” გამოვალთ, ჩვენება გვექნება. ალბათ, ეს ორი წელი იმისთვის შრომობ, რომ ნიუ-იორკის „ფეშენ-ვიქზე” მოხვდე. მაგისტრატურის დამთავრებულთა ჩვენება მხოლოდ ორ უნივერსიტეტში ხდება: „სენტ-მარტინში“, რომელიც ლონდონის „ფეშენ-ვიქზე” გასვლის უფლებას გაძლევს და „პარსონსში“, რომელიც ნიუ-იორკის „ფეშენ-ვიქზე” გასვლის საშუალებას გაძლევს. თან, ყველა უყურებს, აკვირდება ამ შოუს: აინტერესებთ სიახლეები, ახალი ხედვები, იდეები. ახლა ეს არის ჩემთვის ყველაზე მთავარი და მგონია, ამით ბევრი რამ გაირკვევა: სად წავალ, რას გავაკეთებ. ცხრა კოსტიუმია და ყველა იტყვის თავის სათქმელს. ჩემი დიზაინერული შესაძლებლობების ნახვაც შეიძლება.

**– ალბათ, „ლაკოს“ და „ლოლას“ მოაკლდა შენი ხელი.**

– კი, რადგან არ მეცალა. მაგრამ, ახლა მეტი თავისუფალი დრო მაქვს და ვაპირებ, უფრო მეტად ჩავერთო, მივხედო, რადგან ძალიან მიყვარს. ჩემი ნაშრომია და აქამდე მოვიტანე. ვამზადებ კოლექციას და შემოდგომაზე გავიტან „ფეშენ-ვიქზე”. ნელ-ნელა გამოვდივარ დიპლომის ემოციებიდან და რეჟიმში ვერთვები. გარდა ამისა, „იავნანას“ 20 წლისთავი რომ იყო, გავაკეთე მაისურები, რომლებიც კონცერტის დროს გაიყიდა, შემდეგ მაღაზიაში იყიდებოდა და ის თანხა ბავშვებს გადაერიცხათ. ასეთ საქველმოქმედო ღონისძიებებში ყოველთვის ვერთვები, განსაკუთრებით ვგულშემატკივრობ „იავნანას“ და მიხარია, რომ ჩვენი პროექტი შედგა.

**– აპირებ ამერიკაში დარჩენას?**

– „ფეშენ-ვიქის” შემდეგ ველოდები შემოთავაზებებს. თან, ჩემი გეგმებიც მაქვს – მინდა დიზაინერულ კომპანიაში ვიმუშაო, ამის ერთწლიანი უფლება მაქვს და უნდა გამოვიყენო. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ, რასაც აწყობილ კომპანიაში ვისწავლი, მერე ჩემს კომპანიას ძალიან გამოადგება. მე ძალიან პატარა ასაკში დავიწყე და ბევრი რამ ჩემს შეცდომებზე ვისწავლე, როცა შემეძლო, ეს სხვისგან მესწავლა. ამიტომ, ყველას ვურჩევ, სხვასთან იმუშაოს, იმოგზაურონ, მეტი გამოცდილება მიიღონ. ჩვენთან უნივერსიტეტში ვიქტორია ბექჰემი იყო მოსული, გაგვესაუბრა და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. მან თქვა: გამიმართლა, რადგან ძალიან კარგი მეგობრები მყავსო და ისეთი ხალხი ჩამოთვალა... მე ვიდექი და მათთან ერთად ვსწავლობდიო. სულ თავის გუნდს იხსენიებდა. ბევრჯერ აღნიშნა, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვართ და რომ არა ისინი, მე არ ვიქნებოდიო.

**ნათია უტიაშვილი**

# მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი „ლანცეტი“ – ხელოვნურ განაყოფიერებას თურქეთში ცნობილი სპეციალისტი ჩაატარებს

**მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი „ლანცეტი“ ორი თვის წინ დაფუძნდა, მაგრამ არსებობის მცირე პერიოდის მიუხედავად, ამ უნიკალურ სამედიცინო ცენტრს, რომელიც თანამედროვე ევროპული სტანდარტის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, რეგიონში ანალოგი არ აქვს. „ლანცეტი“ არის მრავალპროფილური ცენტრი, სადაც წარმოდგენილია სრული სამედიცინო სპექტრი ოთხი მიმართულებით: დიაგნოსტიკა-პოლიკლინიკა, სტაციონარი, საოპერაციო და პარაკლინიკური სამსახური. ცენტრში ფუნქციონირებს სრული პროფილი: ქირურგია, გულმკერდისა და სასუნთქი გზების ქირურგია, გინეკოლოგია, უროლოგია, ორთოპედია, ნეიროქირურგია, ტრავმატოლოგია, სამშობიარო ბლოკი, ინ ვიტრო განაყოფიერება, ორგანოების ტრანსპლანტაცია, ბავშვთა ქირურგია, ოფთალმოლოგია, ლარინგოლოგია, პლასტიკური ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია და ასე შემდეგ. ცენტრში შესაძლებელია ისეთი ანალიზების, გამოკველევებისა და ქირურგიული ოპერაციების ჩატარება, რაც აქამდე საქართველოში შეუძლებელი იყო. ევროპიდან მოწვეულნი არიან ის ექიმები, რომლებიც დარგის საუკეთესო წარმომადგენლები არიან.**

**„ლანცეტი“ უკვე სრული დატვირთვით მუშაობს. ახლახან ცნობილი გახდა, რომ „ლანცეტში“ ხელოვნური განაყოფიერების პროცედურებს თურქეთში ცნობილი სპეციალისტი – დენიზ ოზგენი ჩაატარებს. ბატონი დენიზი სტამბულის იმ ყველაზე პრესტიჟული და პოპულარული კლინიკის წამყვანი სპეციალისტია, რომლის ხელმძღვანელიცაა თურქეთში ცნობილი ექიმი – აითულ ქოლანქაი. როგორც კლინიკა, ასევე, თავად ბატონი დენიზი, ხელოვნურ განაყოფიერებაში საქმიანობის საუკეთესო შედეგებით არიან ცნობილი. საქართველოში უშვილობის პრობლემა აქტუალურია, შესაბამისად, ქართველი მკითხველის ინტერესის დასაკმაყოფილებლად რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ ბატონ დენიზ ოზგენს და გავესაუბრეთ, თუ რა არის საქართველოში მისი ჩამოსვლის მიზანი და რას სთავაზობს მისი გუნდი „ლანცეტში“ უშვილო წყვილებს.**

**დენიზ ოზგენი:** ჩვენი გუნდი ოც წელზე მეტია, ამ საქმიანობით არის დაკავებული. ის, რასაც ამ წლებში მივაღწიეთ, საუკეთესო შედეგი და მაჩვენებელია არა მხოლოდ თურქეთში, არამედ, ევროპაშიც. ჩვენს გუნდში მუშაობენ საუკეთესო სპეციალისტები. სტამბულის კლინიკაში ჩვენი პაციენტები არიან უშვილო წყვილები მსოფლიოს სხვადასხვა ევროპული ქვეყნიდან. როდესაც ჩვენი კლინიკისა და სამედიცინო ცენტრ „ლანცეტის“ ხელმძღვანელობას შორის დაიწყო მოლაპარაკებები თანამშრომლობის შესახებ, ჩვენ ჩამოვედით თბილისში, რათა მოგვენახულებინა ცენტრი „ლანცეტი“ – ამიერკავკასიაში უალტერნატივო სამედიცინო ცენტრი როგორც ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ასევე პროფესიონალი და მაღალი კვალიფიკაციის სამედიცინო გუნდით, ვისთან ერთადაც მუშაობა ძალიან საინტერესოა. იმავე პერიოდში გვქონდა მოლაპარაკებები სხვადასხვა ქვეყნის წამყვან კლინიკებთან, სადაც უშვილობის პრობლემა ისევე აქტუალურია, როგორც თქვენთან, თუმცა, საბოლოოდ არჩევანი გაკეთდა „ლანცეტზე“. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჩვენი იმიჯი, ის პროფესიული რეპუტაცია, რაც გვაქვს ამ დარგში. ხელოვნური განაყოფიერება არის მედიცინის მიმართულება, რომელსაც მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობა ესაჭიროება, ჩვენთან კი მუდმივად ინერგება ის სიახლეები, რითაც გამორჩეულია ეს მიმართულება, ჩვენი მიზანი ყოველთვის იყო, პაციენტებისთვის შეგვეთავაზებინა ყველაზე საუკეთესო პირობები და „ლანცეტში“ ამისთვის ყველა საშუალება არსებობს. აქაური გარემო, ინფრასტრუქტურა, მაღალი სტანდარტი, ქართველი ექიმების პროფესიონალიზმი იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რის გამოც ჩვენი თანამშრომლობა შედგა. ხელოვნური განაყოფიერების მაღალი სტანდარტის განყოფილების შექმნაში ძალიან შეგვიწყო ხელი „ლანცეტის“ ხელმძღვანელობამ. აქაური პირობები არაფრით ჩამორჩება იმ პირობებს, რაც არის სტამბულის კლინიკაში და, ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ საქმიანობა გავაგრძელოთ საქართველოში, სადაც უშვილობის პრობლემა ისევე აქტუალურია, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში.

**– უშვილობის პრობლემის გადასაჭრელად რას სთავაზობს „ლანცეტის„ ხელოვნური განაყოფიერების სამსახური უშვილო წყვილებს?**

– უშვილობის პრობლემის გადაწყვეტის მეთოდები მრავალფეროვანია. ჩვენი გუნდი მუშაობს ყველა იმ თანამედროვე მეთოდით, რაც მსოფლიოს წამყვან კლინიკებშია დანერგილი, თუმცა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალური, ყველაზე ოპტიმალური მეთოდის შერჩევა. იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ვართ ხელოვნური განაყოფიერების განყოფილება, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა უშვილო წყვილს ერთმნიშვნელოვნად ხელოვნური განაყოფიერების პროცედურები ჩავუტაროთ. ჩვენ ვართ ექიმები, შევაფასებთ მდგომარეობას და ვეცდებით საჭირო მეთოდებით ამ პრობლემის გადაჭრას. ჩვენთან მუშაობენ საუკეთესო ემბრიოლოგები, ენდოკრინოლოგები, გინეკოლოგები, ქირურგები და ჩვენ ერთობლივად ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომელი გზა და რომელი მეთოდია ამა თუ იმ შემთხვევაში ოპტიმალური. ჩვენს განყოფილებაში ხდება მამაკაცების სრული დიაგნოსტიკური გამოკვლევა, რაც ხელოვნური განაყოფიერების პროცესში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ქალბატონების გამოკვლევა, რადგან, სტატისტიკის მიხედვით, უშვილობის მიზეზი ქალებსა და მამაკაცებში თანაბარია და შეადგენს 30 პროცენტს. სანამ თბილისში ჩამოვიდოდით, რა თქმა უნდა, შევისწავლეთ ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემები საქართველოს შესახებ, უშვილობის პრობლემასთან დაკავშირებით. აქაური სტატისტიკა ბევრად არ არის განსხვავებული ზოგადი სტატისტიკისგან, თუმცა, ჩემი დაკვირვებით აღმოვაჩინე ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – საქართველოში უშვილო წყვილები საკმაოდ გვიან მიმართავენ ექიმს, ევროპასა და სხვა ქვეყნებში კი უფრო ადრეული ასაკიდან იწყება ამ პრობლემაზე ზრუნვა. ასაკობრივი ჯგუფი პირდაპირ არის დაკავშირებული შვილოსნობის პრობლემის გადაწყვეტის შედეგთან და, აქედან გამომდინარე, რაც უფრო ადრეულ ასაკში ხდება ხელოვნური განაყოფიერება, მით უფრო სწრაფად დგება დადებითი შედეგი. ამის მიუხედავად, ჩვენ ვმუშაობთ უფროსი ასაკის პაციენტებთან და, თან, საკმაოდ წარმატებით. როდესაც სტამბულის კლინიკაში ჩვენ ამ თემის განხილვა დავიწყეთ, ერთხმად გადაწყდა, რომ, ისეთ შემთხვევებში, როგორიც არის თქვენთან, ანუ, როდესაც საქმე გვაქვს უფროსი ასაკის პაციენტებთან, მუშაობა მეტად საინტერესოც კი არის, მით უფრო, რომ ჩვენ ამის დიდი გამოცდილება გვაქვს.



**– იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ხელოვნური განაყოფიერების მიმართულებას უკვე დიდი ისტორია აქვს, უშვილო წყვილები კლინიკიდან კლინიკაში დადიან სასურველი შედეგის მისაღწევად, უფრო ხშირად კი უცხოეთის კლინიკებს ანიჭებენ უპირატესობას. რატომ უნდა გააკეთონ მათ არჩევანი თქვენზე?**

– პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ჩვენთან დანერგილია მკურნალობის მაღალი სტანდარტი. ეს არის შედეგი იმ დიდი გამოცდილებისა, რაც მოიტანა წლებმა და თანამშრომლობამ მსოფლიოს წამყვან კლინიკებთან. მე სტამბულის კლინიკაში მომიწია, გავცნობოდი არაერთი ქართველი პაციენტის ისტორიას, ისინი მკურნალობდნენ მრავალ კლინიკაში, მაგრამ არ ჰქონდათ სასურველი შედეგი. ჩვენ მიერ, მათთან გამოყენებული იყო დამატებითი მეთოდები და ტექნოლოგიები, რამაც განაპირობა მათთვის სასურველი შედეგის მიღწევა. ჩვენთან უკვე ჩამოდიან პაციენტები სხვადასხვა სახელმწიფოდან, რადგან მათ ქვეყნებში არსებობს საკანონმდებლო შეზღუდვები. ის პაციენტებიც კი „გადმოვიბირეთ“, ვინც თურქეთში გეგმავდნენ ჩამოსვლას ***(იცინის).*** ჩვენ მკურნალობის პროცესში ზედმიწევნით ვითვალისწინებთ ყველა დეტალს, რათა ჩვენგან დამოუკიდებელმა მიზეზებმა არ შექმნას პრობლემა; არ ვზოგავთ რესურსს იმისთვის, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ყველა ტექნიკური და ტექნოლოგიური რისკი, რაც ახლავს ამ საქმეს, ეს კი წარმატებული ხელოვნური განაყოფიერების ერთ-ერთი საფუძველია. ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი – მივანიჭოთ ბედნიერება და სიხარული ადამიანებს, რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში არ ჰყავდათ შვილები.

კლინიკა „ლანცეტი“ აცხადებს პაციენტების მიღებას უფასო კონსულტაციებზე, რომელშიც შედის პაციენტის გასინჯვა, დაავადების ისტორიის გადახედვა, ჩატარებული გამოკვლევების ანალიზი, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, საჭირო გამოკვლევების გეგმა.

აქცია გრძელდება პირველ სექტემბრამდე!

კლინიკაში, ასევე, გამოცხადებულია ერთკვირიანი უფასო აქცია ორთოპედიულ და ტრავმატოლოგიურ განყოფილებებში.

*P.S. მიიღეთ მონაწილეობა სამედიცინო ცენტრის უფასო აქციაში! ანდეთ თქვენი ჯანმრთლეობა „ლანცეტის” პროფესიონალ ექიმებს! ეწვიეთ სამედიცინო ცენტრ „ლანცეტს”, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე, აგრარული უნივერსიტეტის ასახვევთან.*

*დეტალური ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონზე: 2 101 100.*

**თამუნა ნიჟარაძე**

**მეოცე საუკუნის 70-იანი წლები ქართული ფეხბურთის ისტორიაში „ოქროს ხანა“ იყო. ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი კი, რომელმაც ამ ეპოქის შექმნაში, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა, მანუჩარ მაჩაიძეა. მის მიერ ჩატარებული თამაშის, მოპოვებული ჯილდოებისა და დიდოსტატური გოლების ჩამოთვლას არ დავიწყებ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მის ტრანსფერში 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიდნენ. რაც იმ დროს ძალიან დიდი თანხა იყო. ლეგენდარულ მანუჩარ მაჩაიძეს კი მაშინ 200-მანეთიანი ხელფასი ჰქონდა. სანაცვლოდ – ქართველი ხალხის უზომო სიყვარული არ აკლდა.**

**დარწმუნებული ვარ, უფროსი თაობის წარმომადგენლებმა მის შესახებ ყველა დეტალი ზეპირად იციან, მაგრამ იმისთვის, რომ რაღაცეები ახალგაზრდა თაობისთვისაც შეგვეხსენებინა, ბატონ მანუჩარს ვეწვიეთ. მან იმ უამრავ წარმატებაზე, სიხარულსა და უსამართლობაზე გვიამბო, რომელიც მის მოღვაწეობას ახლდა თან.**

# რის გამო თქვა მანუჩარ მაჩაიძემ უარი უამრავ სახარბიელო შემოთავაზებაზე და რა უსამართლობას წააწყდა ის კარიერის განმავლობაში

**– ბატონო მანუჩარ, როგორც გავიგე, სპორტის სხვა სახეობებშიც გქონდათ წარმატებები. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ფეხბურთი?**

– კი, ნამდვილად ასე იყო. ვჭიდაობდი, ვცურავდი. ფრენბურთს, კალათბურთს და ჭადრაკს კარგად ვთამაშობდი. მაგრამ მაშინაც, ისევე როგორც ყოველთვის, ფეხბურთი ყველაზე მეტად პოპულარული იყო და მეც ძალიან მიყვარდა. ამიტომ, გადავწყვიტე, ფეხბურთელი გავმხდარიყავი.

**– როგორ იქცა პატარა, ეზოს ბიჭი „დიდ მანუჩარად“?**

– თავიდან ეზოში ვთამაშობდი, შემდეგ 35-ე სკოლაში დავიწყე ვარჯიში. 1967 წელს ჩემი თამაში თბილისის „დინამოს“ მწვრთნელმა ვიაჩესლავ სოლოვიოვმა ნახა და დუბლებში ამიყვანა. თავიდან ამხანაგურებით დავიწყე, თუმცა მალევე ძირითადში გადამიყვანეს. უამრავ თამაშში მაქვს მონაწილეობა მიღებული. აბსოლუტურად ყველა რომ შევკრიბო, სხვადასხვა თანრიგისა და სხვადა სხვა ჯგუფის სახელით ნათამაშები, 900-დან 1 000-მდე გამოვა.

**– ბევრი საინტერესო მატჩი გაქვთ ჩატარებული, თუმცა ორი, განსაკუთრებით მინდა, გამოვყო. მოდი, გავყვეთ ქრონოლოგიას და ჯერ ერევნის „რაზდანის“ გახსნასა და „არარატთან“ ჩატარებულ თამაშზე გვიამბეთ.**

– 1971 წელს ერევნის „არარატს“ მათსავე ახალგახსნილ მოედანზე, „რაზდანზე“ შევხვდით. ეს პირველი თამაში იყო ამ მოედანზე. ჩვენ შორის ძალიან დიდი კონკურენცია გახლდათ, ამიტომ თამაშს დიდი მოლოდინი და გამოხმაურება ჰქონდა. „დინამომ“ ძალიან კარგად ითამაშა – ანგარიშით 1:0 ჩვენს სასარგებლოდ. ეს ერთი და ამ მოედნისთვის პირველი გოლი, მე გავიტანე. რაც ძალიან დიდი სიხარული იყო. მეორე გოლიც გავიტანე, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა.

**– საფრანგეთი – „პარკ დე ფრენსის“ მოედანზე მოპოვებული გამარჯვება.**

– აქაც პირველი გოლი მე გავიტანე, დაახლოებით 45 მეტრიდან. გახსნის მატჩი იყო და საფრანგეთის ნაკრები დავამარცხეთ. კიდევ ერთი თამაში მქონდა 1973 წელს როსტოვში, „სკას“ სტადიონის გახსნაზე. 3:0 მოვუგეთ და ამ თამაშზეც პირველი გოლი მე გავიტანე.

**– ჩატარებული თამაშებისა და გატანილი გოლების მიხედვით, დღესაც რეკორდსმენი ხართ. რომელი იყო მათ შორის, პირადად თქვენთვის, ყველაზე გამორჩეული?**

– ყველა მატჩს ერთნაირი მონდომებით ვთამაშოდი. ყოველთვის მაქსიმალურს ვაკეთებდი, თუმცა, რასაკვირველია, რამდენიმე თამაში განსაკუთრებულად დამამახსოვრდა. მაგალითად, საკავშირო თასის 1979 წლის ფინალური შეხვედრა. თამაში არგენტინასთან, რომელიც 1977 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ლუკე, არდილესი, პასარელა, რომლებთანაც „ბონ ბონერას“ მოედანზე ფრე ვითამაშეთ.



**ახლა ამისთანა რამ შეიძლება, წარმოუდგენელია, მაგრამ მაშინ, საბჭოთა პერიოდში, მე რომ ასეთ შემოთავაზებას დავთანხმებოდი, ამას სამშობლოს ღალატად ჩამითვლიდნენ და ოჯახს გამიციმბირებდნენ**

ასევე, „დინამოს“ თამაში „ბოკა ხუნიორთან“, სადაც მთელი შეხვედრა 1:0 ვიგებდით და მასპინძლებმა მხოლოდ თამაშის ბოლოს გაგვიტანეს საპასუხო გოლი.

თამაში მილანის „ინტერთან“, სადაც თამაშობდნენ: ფაკეტი, ბარეზი, მარინი, ორნო, არტიბელი. ისინი ჩვენ ამ თამაშში დავამარცხეთ.

**– უამრავი სახელგანთქმული გუნდი გთავაზობდათ თანამშრომლობას, „ლივერპულის“ მწვრთნელი – ბობ პეისლიზე 5 მილიონ გირვანქას იხდიდა თქვენს ტრანსფერში. რატომ ანაცვალეთ ამ ყველაფერს 200-მანეთიანი ხელფასი?**

– ახლა ამისთანა რამ შეიძლება, წარმოუდგენელია, მაგრამ მაშინ, საბჭოთა პერიოდში, მე რომ ასეთ შემოთავაზებას დავთანხმებოდი, ამას სამშობლოს ღალატად ჩამითვლიდნენ და ოჯახს გამიციმბირებდნენ. არც მე მელოდა კარგი დღე ***(იცინის).***

**– რას ნიშნავს თქვენთვის, როცა, როგორც ფეხბურთელს, გადარებენ არწივს და გიორგი სააკაძეს?**

– არწივს, ალბათ, იმიტომ, რომ გრძელი ცხვირი მაქვს ***(იცინის).*** თან, გამორჩეული სტილი მქონდა, გრძელ თმას ვატარებდი. აქ უფრო მწერლის ფანტაზიაა, თუმცა, ძალიან სასიამოვნოა. ალბათ, იმიტომ, რომ ორიგინალურად ვთამაშობდი. 5 წელი კაპიტანი ვიყავი და ბევრ წარმატებას მივაღწიეთ.

**– გაიხსენეთ პერიოდი, როცა პოპულარობის ზენიტში იყავით, როგორ გამოხატავდა ხალხი თქვენ მიმართ სიყვარულს?**

– ქუჩაში რომ გავდიოდი, ტრანსპორტიდან მიყურებდნენ, მეფერებოდნენ. 1978 წელს, როცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გავხდით, მთელი ქალაქი გარეთ იყო გამოსული, გვეგებებოდნენ, გვეფერებოდნენ და გვილოცავდნენ.

1976-ში ერევნის „არარატთან“ თასის ფინალი მოვიგეთ. აეროპორტში უამრავი ხალხი დაგვხვდა და იქიდან დილმის ბაზამდე დიდი სიყვარულით და მოლოცვებით მიგვაცილეს.

1981 წელს კი, როცა ქუთაისის „ტორპედოში“ ვთამაშობდი და პირველი ლიგიდან უმაღლესში გადავედით, მთელი ქალაქი მანუჩარს იძახდა და მთელი ღამე ქეიფი მიდიოდა.

**– თქვენი წასვლა ფეხბურთიდან გარკვეულ უსამართლობას უკავშირდება, ზოგადად, ეს ფონი მთელ თქვენს მოღვაწეობას გასდევს. რას გვეტყვით ამაზე?**

– მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი, 4-ჯერ მოვიგე ბრინჯაოს მედალი, ვერცხლის მედალი, 1976, 1979 წლებში – ორჯერ საბჭოთა კავშირის თასი და ასე შემდეგ, მაშინდელი პრესა და ხელისუფლება უსამართლოდ მექცეოდა. ვიღაცეებმა შურის გამო შექმნეს მითები, რაც რეალობას არ შეეფერებოდა.

საქართველოში ყველა ფეხბურთელი ლეგენდარულია – ის, ვინც სულ 10-15 თამაში ითამაშა და ისიც, ვინც 10-15 წელი. ამ ცრუ მითებმა და ლეგენდებმა დაღუპა ქართული ფეხბურთი. ამ სფეროში დიდი შური ტრიალებს და ეს მეც შემეხო. ყველანაირად ცდილობდნენ ფეხბურთისგან ჩემს ჩამოშორებას და მოახერხეს კიდევაც. თუმცა, დრო ყველაფერს ნათელს ფენს და როგორც ხედავთ, დამტკიცდა, რომ ხალხი, რომელთაც თავი ფეხბურთის დიდი სპეციალისტები ეგონათ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებდნენ, არარაობები აღმოჩნდნენ და ქართული ფეხბურთი დაღუპეს.

**– რა მიგაჩნიათ მდგომარეობის გამოსწორების საშუალებად?**

– თანამედროვე ქართული ფეხბურთი ძალიან დაბალი დონისაა, რის გამოც ძალიან მტკივა გული. გაკვირვებული ვარ. კარგი, ჩვენმა თაობამ არ ვიცოდით ფეხბურთი, ნუთუ ახალგაზრდებშიც არავინაა კარგი მწვრთნელი? არ მინდა, რომელიმე მწვრთნელზე ცუდი შეფასება გავაკეთო, მაგრამ შედეგი სახეზეა. უამრავი გაჭირვებული ქვეყანაა, მაგრამ ძლიერი ნაკრებები ჰყავთ. თუნდაც კოსტა-რიკა. სამწუხაროდ, ჩვენ ამას ვერ ვახერხებთ. მე ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, ფეხბურთში ნეპოტიზმით, უზნეობითა და კუთხურობით შედეგს ვერ მივაღწევთ. მთავარი კი სწორედ შედეგია. დანარჩენი მითი და ლეგენდაა. თუ შედეგი არ გაქვს, რა აზრი აქვს რამეს?

**(გაგრძელება 81-ე გვერდზე)**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### საქუაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **საქუა.**

1721 წლის ყმების ნასყიდობის წიგნში, რომელიც გიორგი სოლოღაშვილს ოგანეზა ვარდიგულაშვილისთვის მიუცია, მოიხსენიება **საქუაშვილი**.

ტაბახმელელი ბალდასარა **საქუაშვილი** მოიხსენიება 1736 წელს თავდახსნილობის წიგნში, რომელსაც ელიზბარ და სხვა სოლოღაშვილები აძლევენ მელიქო **საქუაშვილს**.

ხაბაზი დათუა **საქუაშვილი** მოიხსენიება 1782 წელს, ზაალ გურამიშვილის ყმების ნუსხაში.

საქართველოში 208 **საქუაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 51, ახმეტაში – 40, თბილისში – 34. არიან სხვაგანაც.

### დუშუაშვილი

**დუშუაშვილი** ძირძველი ქართული გვარია. „ამათნი წინაპარნი ჩანან ადგილსა სურამის სამთავროსა შინა და აზნაურის ხარისხით არიან მიღებულნი“.

**დუშია** გაუვრცობელი ფორმით, სუფიქსის გარეშე იყო გავრცელებული და მოიხსენიება როგორც ქვემო, ისე შიდა ქართლსა და სამეგრელოში. დღეს შემორჩენილია მხოლოდ გვარი **დუშუაშვილი.**

საქართველოში 148 **დუშუაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 51, საჩხერეში – 41, ქუთაისში – 28. არიან სხვაგანაც.

### მანგოშვილი

გვარის ფუძეა ქალის საკუთარი სახელი – **მანგო**.

ქართულ საისტორიო წყაროებში გვხვდება, ასევე, მამაკაცის საკუთარი სახელი – **მანგია.**

ამავე ფუძისაა გვარი **მანგიაშვილი.**

**მანგიაშვილები** მთიულები არიან და ქართლის მთიანეთში ცხოვრობენ, **მანგოშვილები** კი კახელები არიან.

საქართველოში 607 **მანგოშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 167, სიღნაღში – 145, რუსთავში – 85. არიან სხვაგანაც.




### ჩიფირაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჩიფა.**

ჩხიკვთაში მცხოვრებმა ზაქარია **ჩიფირაშვილმა** 1874 წელს დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მონათლა შვილი – ნინო. მიმრქმელი იყო ჩხიკვთელი დიმიტრი საგინოვი.

1873 წელს სოფელ ჩხიკვთაში მოიხსენიება სოლომონ **ჩიფირაშვილი**.

ამავე ძირისაა გვარები: **ჩიფარაშვილი, ჩიფრაშვილი** და **ჩაფაშვილი**.

საქართველოში 46 **ჩიფირაშვილი** ცხოვრობს: გურჯაანში – 30, თბილისში – 4, თელავში – 2. არიან სხვაგანაც.

### შემაზაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **შემაზა.**

1721 წელს, სამღერეთში მოიხსენიება გიორგი **შემაზაშვილი**.

**შემაზაშვილები** იყვნენ მებატონეებიც.

1721 წლის აღწერით, მებატონე **შემაზაშვილებს** ჰყავდათ ყმები სოფელ კარაქაში.

საქართველოში 99 **შემაზაშვილი** ცხოვრობს: ასპინძაში – 31, რუსთავში – 26, გორში – 14. არიან სხვაგანაც.

### აზრუმელაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარ სახელად ქცეული გეოგრაფიული სახელი – **არზრუმი**, იგივე **ერზრუმი** (ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში). „**არზრუმი**" სპარსულად „რომის მიწას" ნიშნავს.

თომა და გიორგი **აზრუმელაშვილები** 1873 წელს მოიხსენიებიან დიდ თონეთში.

საქართველოში 151 **აზრუმელაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 83, თეთრი წყაროში – 33, რუსთავში – 15. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# აკადემიკოსი ნიკო ვახანია – ხსოვნა

ქვეყნის სამეცნიერო-პედაგოგიურმა საზოგადოებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა – შეწყდა ღირსეული მამულიშვილის, ქართული მათემატიკური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნიკო ვახანიას სიცოცხლე.

წავიდა ჩვენგან უაღრესად კეთილშობილი, მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე პიროვნება, რომლის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა, მაღალი პროფესიონალური ავტორიტეტი და საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება – ქვეყნისა და ხალხისათვის გაწეული დიდი ღვაწლის ჭეშმარიტი მაგალითია.

ნიკო ვახანია დაიბადა 1930 წლის 28 აგვისტოს. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, რომელთა გვერდით ყოფნისას, სტუდენტობის წლებშივე გამოვლინდა მისი განსაკუთრებული ნიჭიერება, რამაც შესაძლებლობა მისცა, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე წარმატებული ყოფილიყო მისი პირველი მეცნიერული ნაბიჯები.

ნიკო ვახანიამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მათემატიკის ერთ-ერთ ახალ მიმართულებას – ალბათობის თეორიას უსასრულოგანზომილებიან ვექტორულ სივრცეებში. მან შემოიკრიბა ახალგაზრდობა და შექმნა სამეცნიერო სკოლა, რომელმაც მოკლე დროში მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა. ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც ეს სკოლა ვექტორულ სივრცეებში ალბათობის თეორიის ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო ცენტრად ითვლება. ბატონი ნიკოს კლასიკურმა მონოგრაფიებმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მათემატიკის ამ ურთულესი მიმართულების განვითარებაზე, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბატონი ნიკო 1961 წლიდან, ხუთი ათეული წლის განმავლობაში, სათავეში ედგა ალბათობის თეორიისა და ფუნქციური ანალიზის განყოფილებას ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის კედლებში, სადაც მისი ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა დაეუფლა მეცნიერული კვლევაძიების უახლეს მეთოდებს. ბატონი ნიკოს ხელმძღვანელობით დაცულია 12 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.



ნიკო ვახანია აქტიურად მონაწილეობდა მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესის, სიმპოზიუმისა და კონფერენციების მუშაობაში, სადაც უცხოელი კოლეგები ერთსულოვნად აღიარებდნენ მათემატიკის დარგში მისი ღვაწლისა და ნიჭის მასშტაბურობას. იგი ჭეშმარიტად საერთაშორისო დონის მეცნიერი გახლდათ.

ბატონი ნიკოს შემოქმედებითი აქტივობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით. იგი მათემატიკოსთა ფართო საზოგადოებაში სავსებით კანონიერად ითვლებოდა მეცნიერების ჭეშმარიტ ორგანიზატორად, რაც მკაფიოდ და სრულად გამოვლინდა გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე 27 წლის განმავლობაში მოღვაწეობისას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ნიკოს ნაყოფიერი საქმიანობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრის გამგედ მუშაობისას, რაც სამ ათეულ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ამასთან ერთად, წლების განმავლობაში ეკავა მას თსუ-ს კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა და დაუღალავად ილვაწა ფაკულტეტის თანამედროვე, უნივერსალური ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით აღჭურვისთვის; აგრეთვე ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრებით სამეცნიერო ქვედანაყოფების შესავსებად.

„ის, ვინც სწავლის დაწყებამდე ჩვევად გაიხდის სისტემურ, მუყაით მეცადინეობას, სიბეჯითეს, გატაცებული იქნება სწავლით – მიაღწევს ნამდვილ წარმატებას", – ეს სიტყვები ეკუთვნის დიდ მეცნიერსა და მასწავლებელს, ნიკო ვახანიას. მისი დამსახურება ეროვნული მეცნიერებისა და განათლების საქმეში ღირსეულად დაფასდა – იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. აკადემიკოსი ნიკო ვახანია აქტიურად მონაწილეობდა მრავალი სამეცნიერო, საპრობლემო თუ ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში. იგი გახლდათ გამოთვლითი მათემატიკის საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტისა და საერთაშორისო ინოვაციის ფონდის წევრი. მას მინიჭებული ჰქონდა ანდრია რაზმაძისა და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პრემიები; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლები; აგრეთვე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით".

აკადემიკოს ნიკო ვახანიას მათემატიკური საზოგადოების ისტორია ღირსეულ ადგილს მიაკუთვნებს, როგორც საერთაშორისო დონის მეცნიერსა და დიდ პედაგოგს. მისი ღვაწლი ქვეყნის წინაშე ფასდაუდებელია როგორც დაულალავი შრომისა და საქმიანობის შედეგით, ასევე, ეროვნული მნიშვნელობით. აკადემიკოს ნიკო ვახანიას ნათელი სახე, როგორც მეცნიერისა, რაინდისა და მოაზროვნისა, სამუდამოდ იცოცხლებს ქართული საზოგადოების მეხსიერებაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ნიკოს სული!

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი**

**ჩვენი ინტერვიუ, იური მეჩითოვთან დიდ დიღომში, მის საცხოვრებელ ბინაში შედგა. ცუდად არ გამიგოთ (უპირველესად, თვითონ მან), მაგრამ მასთან დამშვიდობებისას გავიფიქრე: არ უხდება ამ კაცს და მის სულიერ სამყაროს ეს უბანი-მეთქი... თუმცა, 9-სართუალიანი კორპუსი, თავისი კომუნისტური არქიტექტურით, ვერ შეცვლის მის მობინადრეთა ხასიათს, ურთიერთობის ფორმებს, გენს... ასე მგონია, იური მეჩითოვს, ძველი თბილისის სურნელი თან დასდევს, ყველგან სადაც არ უნდა იყოს.**

# რატომ შეუკვეთეს იური მეჩითოვის მამას თბილისში ბრეჟნევის ჩამოსვლასთან დაკავშირებით 15 ერთნაირი ქუდი და რის გამო არ ელაპარაკებოდა ის შვილს 3 თვის განმავლობაში

**იური მეჩითოვი**: ძალიან დაძაბული ცხოვრება მაქვს, უამრავ პოლიტიკურ პერიპეტიასა და გლობალურ პრობლემებში ჩაფლულსა თუ ლექციების კითხვაში, ერთადერთი საშუალება, რომ ყოველდღიურობას გამოვეთიშო, ამ ეტაპზე ჩემთვის ღვინის თემაზე ნატურმორტების შექმნაა. ცოტა ხნის წინ ძველი თბილისიც ჩავრთე ამ ნატურმორტებში.

**– ძველი თბილისი და ღვინო... ისე, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ღვინოსთან?**

– ძალიან კარგი. მე ღვინის გარეშე ვერ ვცოცხლობ, დღეში ერთ ან ორ ჭიქას ყოველთვის ვსვამ, განსაკუთრებით სადილზე.

**– თქვენ თვითონ თუ აყენებთ ღვინოს სახლის პირობებში?**


**არც ერთი საბუთი არ მაქვს, რომელიც დაადასტურებს, რომ ფოტოგრაფი ვარ**

– მე არა, მამაჩემი აყენებდა ღვინოს და ეს მისთვის, ერთ-ერთი დიდი სიხარულის მომნიჭებელი საქმე იყო. მახსოვს, თვითონ ჩაყარა ქვევრები ჩვენი სახლის სარდაფში.

**– სად ცხოვრობდით?**

– ვარანცოვზე.

**– ყურძენს ყიდულობდით?**

– რა თქმა უნდა, ვყიდულობდით. აბა, ჩვენ ვენახები ვინ მოგვცა, გორელი ხალხი ვართ, სადა გვაქვს ვენახი... მეჩითოვები ყველანი გორელები ვართ, სოფელ ზერტიდან. მამაჩემის მამა ჩამოვიდა თბილისში. ახლაც ინახება ჩვენს ოჯახში, გორში, პაპაჩემის სახელზე გაფორმებული სავაჭრო დახლის პროექტი. ხედავთ, არშაკას, რამხელა დახლი ჰქონია?.. *(იცინის)*

**– ვაჭრობდა, ესე იგი არშაკ მეჩითოვი?**

– ჰო, საერთოდ ჩვენი გვარი მოდის ჩითის წარმოებიდან, ან გაყიდვიდან – მეჩითოშვილებით სავსეა მთელი ზერტი.

**– მამათქვენი რას საქმიანობდა?**

– პირველი მექუდე თბილისში მამაჩემი იყო. მანამდე იყო იოსება, ებრაელი მექუდე, მერე მამაჩემი.

**– ცნობილი ადამიანები დადიოდნენ მისი შეკერილი ქუდებით?**

– ივ სენ ლორანი, სერგო ფარაჯანოვი... *(იცინის)*.

**– ფარაჯანოვი მესმის, ივ სენ ლორანმა სად აღმოაჩინა თბილისელი, თუნდაც ნომერ პირველი მექუდე?**

– 1988 წელს, სერგო ფარაჯანოვმა წაუღო მამაჩემის შეკერილი ქუდი საფრანგეთში ივ სენ ლორანს. ჩვენს ოჯახში ინახება, ამასთან დაკავშირებით, ფარაჯანოვის მიერ მამაჩემისთვის მოწერილი დეპეშა, სადაც ის წერს: გილოცავ, შემოქმედებით გამარჯვებას. ივ სენ ლორანი, მსოფლიოში სახელგანთქმული მოდელიერი, პარიზში თქვენი კეპით, თქვენი ოსტატობითა და გემოვნებით აღტაცებული გაფრინდაო.

ყველაზე სასაცილო ისტორია იყო ბრეჟნევთან დაკავშირებით. ბრეჟნევი რომ ჩამოვიდა 1981 წელს თბილისში, მამაჩემთან მისულან და დაუკვეთიათ 53-დან – 67 სანტიმეტრამდე, ყველა ზომის ერთნაირი, 15 ცალი ქუდი. ამდენი რად გინდათო? – უკითხვას მამაჩემს, რაზეც უპასუხიათ, – საჩუქრად გვინდა მაღალი სტუმრისთვის და რა ვიცით, რომელი მოერგებაო *(იცინის)*.

**– არ უნდოდა, რომ მის პროფესიას გაჰყოლოდით?**

– არა. მამას უნდოდა, მე ინჟინერი ვყოფილიყავი. ეს აღსრულდა კიდეც. ჩავაბარე „გპი-ში" და გამოვედი სამთო ინჟინერი, თუმცა ვაბარებდი, ავტომატიკა-ტელემექანიკაზე. ისე, ჩვენი 28-კაციანი ჯგუფიდან, 25 ვიყავით შეუმდგარი ავტომატიკოსი და ტელემექანიკოსი, რომლთაც ქულები არ გვეყო და სამთოზე მოვხვდით. მაგრამ კმაყოფილი ვარ. ბევრი ისეთი რამ შევისწავლე, რასაც სხვაგან ვერ ვისწავლიდი.

**– ფოტოგრაფიაში როგორ მოხვდით?**

– 8-9 წლიდან ვარ ამ საქმეში. უმაღლესი რომ დავამთავრე, ვმუშაობდი საპროექტო ინსტიტუტში და 92 მანეთი მქონდა გასამრჯელო. რაც ძალიან ცოტა იყო. მით უმეტეს, რომ 2 შვილი მყავდა უკვე იმ დროისთვის. მერე სხვაგან გადავედი, კიდევ ვცადე ინჟინრობა, იქ 120 მანეთი მქონდა. მერე ამ ყველაფერს თავი დავანებე და ამით ისე ვაწყენინე მამაჩემს, რომ 3 თვე არ მელაპარაკებოდა.



**– ერთი ბიჭი ჰყავდით?**

– სამი ვაჟკაცი!

**– სერიოზულად როდის მოჰკიდეთ ხელი ფოტოგრაფიას?**

– არც ერთი საბუთი არ მაქვს, რომელიც დაადასტურებს, რომ ფოტოგრაფი ვარ.

**– რა მნიშვნელობა აქვს, პურს ხომ ამ საქმიანობით ჭამთ?**

– ღვინოსაც ვსვამ *(იცინის).* სულ იყო ჩემს


Ф. ТГ-12
МИНИСТЕРСТВО СВЯЗИ СССР
ТЕЛЕГРАММА
ПРИЕМ: го ч. м.
ПЕРЕДАЧА: го ч. м.
Адрес:
БЛ. № 58
№ связи
Передал:
Принял:
Из №*)
сл. го ч. м.
Служебные отметки:
наименования пункта, откуда послана телеграммы, 2) количество слов, 3) число, когда время отправления телеграммы (первые две следующие за цифры — минуты).
МОСКВА 85/98 24 6 1729=
ТБИЛИСИ 2 КАЛИНИНА 40 МЕЧИТОВУ МИХАИЛУ=
ПОЗДРАВЛЯЮ ТВОРЧЕСКОЙ ПОБЕДОЙ ИВ САН ЛОРАН ВЫДАЮЩИЙСЯ МОДЕЛЬЕР МИРА ВЫЛЕТЕЛ ПАРИЖ ВАШЕЙ КЕПКЕ ПОТРЯСЕННЫЙ ИСПОЛНЕНИЕМ И ВКУСОМ=ПАРАДЖАНОВ-. 17-57
01 212002/1 ДОС
01 212902/26УПТ
17.58
Пинская тип. з. 33—86

ცხოვრებაში ფოტოგრაფია, ოღონდ ხელობის დონეზე. ხან მჭირდებოდა, ვთქვათ, რაღაც აკრძალული ლიტერატურის გადაღება, ხან რა და ხანაც რა. პირველი გამოფენა 29 წლის ასაკში მოვაწყვე ჩემი მეგობრების მითითებით. სამი წლის შემდეგ ნამდვილად ძლიერი გამოფენა მქონდა. მერე კი იგივე ფარაჯანოვის გავლენით შევედი ფოტოგრაფიის ხელოვნების სამყაროში.

რაც შეეხება ღვინოსა და თბილისს, ჩემთვის ეს ცნებები, როგორც ჩანს, განუყოფელია. ჯერ ერთი, თბილისი გეოგრაფიულად საქართველოს შუაგულშია და აქ დაირწა ღვინის აკვანი. ღვინის ტურებიც არის ტურისტებისთვის. მათ აქვთ საშუალება შეხვდნენ ოჯახებში უამრავ მეღვინეს, ვინც ღვინის წარმოებაში ბევრ ენდემურ ჯიშს იყენებს, რომელიც არსებობს საქართველოში. ჩვენი კომერციული ღვინის წარმოება ხომ ძირითადად ორ ჯიშზეა დაფუძნებული – რქაწითელსა და საფერავზე.

**– უფრო შავი ღვინისკენ იხრებით?**

– იცით რა, რადგან მე დაბალი წნევა მაქვს, შავი ღვინო არ მვნებს. თუ ერთი-ორი ჭიქა უნდა დავლიო, შავ ღვინოს ვსვამ, ხოლო თუ ვქეიფობ, თეთრს ვამჯობინებ. ღვინო მიყვარს და თბილისი ხომ მიყვარს და მიყვარს.

**– როგორი თბილისის ნოსტალგია გაქვთ?**

– ასაკი აძლევს თავის ელფერს ნოსტალგიას. შესაძლოა, არც იქ იყო ყველაფერი დალაგებული, მაგრამ მასშტაბები, ან თუნდაც იგივე ურთიერთობა ჩემს სერგოსთან როგორი იყო: მე ვარანცოვზე ვცხოვრობდი, ის კიდევ – მთაწმინდაზე. რამ გაყო ვარანცოვი და მთაწმინდა? – ერთმა მტკვარმა და ორმა ხიდმა. ჰოდა, გადაირბენდი ვარანცოვის ხიდს, მერე მშრალ ხიდს, კიდევ „დააწვებოდი" ახალგაზრდულად და 15 წუთში ახვიდოდი მთაწმინდაზე.

**– ფარაჯანოვზე მიამბეთ.**

– 1978 წელს გავიცანი და მაშინვე შევქმენი მისი პორტრეტი, რომელსაც მან „ჯოკონდა" დაარქვა და თავისივე ხელით მიაწერა. ბევრი ლამაზი ამბავია გასახსენებელი. ძნელი იყო მისთვის იმის მიღება, რომ მე არაფერი მესმოდა მატერიალურ კულტურაში, გაუნათლებელი ვიყავი ზოგადად ხელოვნებაში. ამიტომ, მტუქსავდა და გვქონდა ყოველთვის გაწევ-გამოწევა სხვადასხვა საკითხზე. მიაჩნდა, რომ ყველამ უნდა იცოდეს და აღიქვამდეს სილამაზეს; ესმოდეს სხვადასხვა სტილი თუ მიმდინარეობა. თვითონ იყო ძალიან განათლებული კაცი, თუმცა წიგნი მის ხელში არ მინახავს. სხვა ადამიანი იყო, მას არ სჭირდებოდა წიგნის ბევრჯერ წაკითხვა. როგორც ინგლისელები ამბობენ – ტორტის გემო რომ გაიგო, არ არის აუცილებელი, მთლიანად შეჭამოო.

ბევრი რამ მახსენდება. ერთხელ მახსოვს, რაღაც ნატურმორტივით გადავიღე და მივუტანე... შექებას ველოდი, მან კი შეხედა – ეს რა არის, შენ ასეთი 100 მაინც უნდა მოიტანო დღეშიო. ამბობდა, რასაც ვნებით აკეთებ, მხოლოდ ის გამოდის ფასეულიო... მე ვიცოდი კადრის დაჭერა, სერგომ კი მასწავლა კადრის შექმნა. ახლა რომ ნატურმორტებს ვიღებ, ყველაფერი სერგოს დამსახურებაა.

რაც შეეხება თბილისს... მახსენდება ბავშვობაში დავდიოდი „პესკებზე" – რიყე, იყო ასეთი

**(გაგრძელება 36-ე გვერდზე)**

**მომღერალი ჯაბა ქარსელაძე და ივენთ-მენეჯერი, თაკო დოლაბერიძე, წლებია მეგობრობენ. ერთმანეთი 12 წლის წინ გაიცნეს და მას შემდეგ თავს ერთად ძალიან კომფორტულად გრძნობენ. მართალია, ჯაბა უკვე რამდენიმე წელია, უცხოეთში ცხოვრობს, მაგრამ ამას მათი მეგობრისთვის ხელი არ შეუშლია. ცოტა ხნის წინ ერთმანეთს პარიზში შეხვდნენ. რამდენიმე დაუვიწყარი დღე ერთად გაატარეს და თბილისში ერთად დაბრუნდნენ.**

# რატომ იყო თაკო დოლაბერიძესთან ერთად პარიზში გატარებული დღეები ჯაბა ქარსელაძისთვის დიდი ზეიმი და რა სიურპრიზებს უწყობდნენ ისინი ერთმანეთს

**თაკო**: დაახლოებით 12 წლის წინ მივედი სახლში ნატო დუმბაძესთან და იქ გავიცანი ბუკა და ჯაბა. მაშინ ვნახე პირველად პატარა მომღერალი – ჯაბა ქარსელაძე, რომელიც მას შემდეგ ერთი წელი აღარ მინახავს. მეორედ ბაკურიანში შევხვდით ცეცხლაძეების სასტუმროში. მას შემდეგ კი დღემდე, ვმეგობრობთ. რამდენი წელია, ჯაბა წასულია, მაგრამ ურთიერთობა მაინც არ გაგვიწყვეტია. არ არსებობს, პარიზში ჩავიდე და არ ვნახო. ამ ჩასვლაზე კი მთლად ჯაბასთან ვიყავი სახლში. იმდენად კარგი დრო გავატარეთ ერთად, რომ ეს ზაფხული ყველაზე კარგი ზაფხულია ჩემთვის, თუკი სადმე ვყოფილვარ. კი ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ჯაბა ძალიან კარგი მასპინძელია.

**ჯაბა**: რაც პარიზში გადავედი, ბევრი დამპირდა სტუმრად ჩამოვალო, მაგრამ თითქმის არავინ შეასრულა პირობა. დედაჩემი იყო ჩამოსული ცოტა ხნის წინ და მერე – თაკო, რომელმაც დანაპირები შემისრულა. მეგობრებში, თაკო ერთადერთია, ვინც პირობა შეასრულა. ვგიჟდები თაკოზე, ძალიან მიყვარს. ძალიან გამილამაზა ის რამდენიმე დღე, რომელიც პარიზში ერთად გავატარეთ. ერთმანეთზე ვზრუნავდით.

**თაკო**: ჯაბა ამზადებდა საჭმელს, მე ვრეცხავდი. ისეთ გემრიელ რაღაცეებს აკეთებდა, გადავწყვიტე, მეორედ რომ ჩავალ, აუცილებლად მასწავლოს. მიუხედავად იმის, რომ გემრიელ საჭმელებს მივირთმევდი, 3 კილო დაკლებული ჩამოვედი თბილისში.

**ჯაბა**: იმდენად მიყვარს ეს ადამიანი, რომ მის გამო მთელი კვირა სპორტი გავაცდინე. ისე კარგი დრო გავატარეთ და ისე შევეწყვეთ ერთმანეთს, ერთხელაც არ წავსულვარ ვარჯიშზე. თაკოსთან ერთად ყოფნა ჩემთვის დიდი ზეიმი იყო, მინდა, კიდევ ბევრჯერ ჩამოვიდეს ჩემთან სტუმრად.

**თაკო**: სულ 4 დღე ვიყავი, რაც მართლა არ მეყო.

**ჯაბა**: აი, მე თბილისში რომ ჩამოვდივარ, თაკო ყოველთვის სიურპრიზს მიკეთებს. ერთხელ ჩინური ახალი წელი მომიწყო „თუ საიდში," წელს კი „ვან საიდის" პრეზენტაცია ჩემს დაბადების დღეს დაამთხვია.

**– ჯაბა, შენ რა სიურპრიზებს უკეთებ თაკოს?**

– ერთადერთი, რაც შევძელი, თაკოს პარიზი ცოტა სხვა კუთხით დავანახვე.

**თაკო**: ძალიან ბევრჯერ ვარ ნამყოფი და მეგონა, კარგად ვიცნობ პარიზს, მაგრამ ისეთ ადგილებში მატარა, სადაც მანამდე არ ვყოფილვარ. სხვანაირად შევიგრძენი ამჯერად ყველაფერი და დრო გავატარე. ერთადერთი პრობლემა გვქონდა, მე დილის 7 საათზე ვიღვიძებდი, ჯაბა კი – 12-ზე.

**ჯაბა**: ღამის 4 საათზეც რომ დაგვეძინა, 7-ზე მაინც ფეხზე იყო. პირველ დღეს რომ ასე ადრე ადგა, მივხვდი, შარში ვიყავი და ერთი რაღაც მოვიფიქრე, რაც თაკომაც არ იცის. ტელეფონზე საათს ორი საათით უკან ვწევდი. 7-ზე რომ იღვიძებდა, ვეუბნებოდი, თაკო ჯერ 5 საათია-მეთქი. სხვანაირად ვერ გავქაჩავდი, რადგან 8-საათიან ძილს ვარ მიჩვეული.

**– მოკლედ, კარგად გაერთეთ.**

– კი, ძალიან, ერთმანეთს მართლა კომფორტს ვუქმნიდით. ბოლო დღეს ძალიან მაგარ ადგილას ვიყავით, კაბარეში. იქ ჩვენი მეგობარია, უნიჭიერესი მომღერალი – ელგა ფორჩხიძე, რომელიც ადრე საქართველოში მოღვაწეობდა. თან, იმ პერიოდში ნინა იყო ჩამოსული, იასენიასთან ერთად. მოკლედ, ყველამ ერთად მართლა ძალიან კარგი დრო გავატარეთ, ვიმღერეთ კიდეც, ვიცეკვეთ და თითქოს უცებ, საქართველოში აღმოვჩნდით. ძალიან მეამაყებოდა, რომ ამდენ ლამაზ მანდილოსანთან ერთად ვიყავი, ალბათ, შურდათ კიდეც ჩემი.



თაკო: „ჩემს თავზე მეცინება, 200 კილო ვიყავი ლამის და მაშინ ვიცვამდი, რაც მინდოდა და ახლა რა დამემართა"

**თაკო**: იმდენად კარგად ვგრძნობდი ის დღეები თავს ჯაბასთან ერთად, თბილისში გამოსამგზავრებლად რომ ვემზადებოდით და ბარგს ვალაგებდით, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ საკუთარ სახლს ვტოვებდი.

**ჯაბა**: თაკო, სანამ ჩემთან ჩამოვიდოდა, პორტუგალიაში იყო და ძალიან ლამაზი სუვენირი ჩამომიტანა. კედელზე დავკიდე და ძალიან მოუხდა. თან, როცა მას შევხედავ, ავტომატურად თაკო გამახსენდება. მიყვარს გულით ნაყიდი საჩუქრები.

**– თბილისში ერთად დაბრუნდით. აქ თუ ხვდებით ხშირად ერთმანეთს?**

**თაკო**: თითქმის ყოველდღე. თუ არ დავურეკე, მერე მეჩხუბება, სხვებში გამცვალეო?

**ჯაბა**: ეს ხომ ცნობილია, რომ მე ეჭვიანი მეგობარი ვარ. ძალიან მიყვარს ყურადღება, თუმცა ვცდილობ ანალოგიურად მეც დიდი ყურადღება დავუთმო მათ. საერთოდ, უცხოეთში წასვლამ ძალიან ბევრი რამ დამანახვა: ვინ არის ჩემი ნამდვილი მეგობარი, ვის შესტკივა გული და ასე შემდეგ. მირჩევნია, მყავდეს ერთ ხელზე ჩამოსათვლელი მეგობრები, ვიდრე ბევრი. ყველას მეგობარი, ხომ იცით, არავის მეგობარი არ არის. „ფეისბუქში" სულ 500 მეგობარი მყავს და 500-ივეს ვიცნობ, უცხო არავინაა.

**– თაკო, ვიცი, რომ ძალიან მეგობრული ადამიანი ხარ.**

**თაკო**: ძალიან ბევრი მეგობარი მყავს.

**ჯაბა**: პარიზში უცებ 2 000 ქართველი მეგობარი აღმოაჩინა, უბრალოდ, პატივი მცა და არ ნახა, თორემ ვეღარც მოვკრავდი თვალს.

**თაკო**: მეგობრების სიმრავლე, ალბათ, ბავშვობიდან მოდის. 3 სკოლაში ვსწავლობდი, თან უამრავ რაღაცაზე დავდიოდი, სულ აქტიური ვიყავი, პასიურად არასდროს ვყოფილვარ. მერე კი ჩემი სამსახურებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო ბევრი ადამიანი გავიცანი. ძალიან ბევრი საქმიანი ურთიერთობა კი მეგობრობაში გადაიზადრა. თუმცა, წლებმა და გამოცდილებამ დისტანცია მასწავლა. მქონდა პერიოდი, როცა შემეძლო, ყველასთან მემეგობრა, მაგრამ მერე მივხვდი, ასე არ შეიძლებოდა. ძალიან ბევრი სხვადასხვა ეროვნების მეგობარი მყავს: უკრაინელები, რუსები და ასე შემდეგ. განსაკუთრებით გამოვყოფ ქურთებს, რომლებიც სასწაულად მეგობრულები არიან, ქართველებთან მოახლოებული ტიპები არიან ნამდვილად.

**ჯაბა**: თაკო საოცარი ადამიანია. ვხედავ, თავის გარშემო რამდენ კარგ საქმეს აკეთებს მეგობრებისთვის. ყველას ვუსურვებდი, რომ თაკოსნაირი მეგობარი ცხოვრებაში ერთი მაინც ჰყოლოდეს. მე მართლა ბედნიერი ვარ, რომ ის ჩემი მეგობარია.

**– თაკო, არ შემიძლია, არ ვახსენო, შენი ერთი ძალიან მაგარი თვისება, ნებისყოფა. ნებისყოფის წყალობით, ვიზუალურად ძალიან შეიცვალე და კილოგრამები უკან მოიტოვე.**

**ჯაბა**: ნახევარი ადამიანი გახდა.

**თაკო**: თუ გადაწყვეტ, რომ ეს ოპერაცია გაიკეთო, ცხოვრების რეჟიმი აბსოლუტურად უნდა შეცვალო თავიდან ბოლომდე. რასაც ექიმი გეტყვის, ის უნდა გააკეთო. იყო პერიოდი როცა დედაჩემი მეხვეწებოდა, ოპერაცია გაიკეთეო, რასაც სულ უარყოფითად ვიღებდი, თითქოს ვუკადრისობდი. ვისაც ჩემი ვიზუალი არ მოსწონს, გაიაროს-მეთქი. დიეტოლოგი არ დამიტოვებია, რომ არ ვყოფილიყავი, ექსტრასენსთანაც კი დავდიოდი, მაგრამ იქიდან პირდაპირ რესტორანში მივდიოდი. ალბათ, ოპერაციის გაკეთება მაშინ გადავწყვიტე, ცოტა გონზე რომ მოვედი. ცუდად არ გავმხდარვარ, მაგრამ შევატყვე, რომ სიარული მიჭირდა, რაღაც ამტკივდა, ფეხი გამისივდა და უკვე მივხვდი, ოპერაცია უნდა გამეკეთებინა. ჩავფრინდი ექიმთან კონსულტაციაზე, გამესაუბრა და ოპერაციის დღე დავნიშნეთ. ყველას ვურჩევ, ვისაც სჭირდება ეს ოპერაცია, აუცილებლად გაიკეთოს, რადგან უპირველესად, ეს ჯანმრთელობისთვისაა საჭირო. ახლა ვფიქრობ, იმხელა წონის, ან როგორ დავდიოდი, ან როგორ ვიყავი საერთოდ. კარგი ჩაცმის პრობლემა არ მქონდა – არ მაინტერესებდა, მიხდებოდა თუ არ მიხდებოდა, თუ მინდოდა ვიცვამდი. სამაგიეროდ, რა დამემართა, სასურველ წონას რომ მივაღწიე, ახლა ვფიქრობ: ეს რომ ჩავიცვა მომიხდება? ჩემს თავზე მეცინება, 200 კილო ვიყავი ლამის და მაშინ ვიცვამდი, რაც მინდოდა და ახლა რა დამემართა?!

**– ინტერვიუს დასასრულს, ისევ პარიზსა და თქვენს მეგობრობას დავუბრუნდები. ჯაბა, ვიცი, რომ აგვისტოში ბრუნდება უკან, მაგრამ შენ როდის გეგმავ კვლავ ესტუმრო მას?**

**თაკო**: ძალიან მინდა წასვლა, რაც შეიძლება, მალე.

**მარიკა ხიდურელი**

# არსებობს თუ არა ცოლის ღალატის ლოგიკური ახსნა და ახლავს თუ არა მას სინანული



**ქალის ღალატი ყოველთვის უფრო რეზონანსულია, რადგან საზოგადოება ჯერ ისევ მიმტევებლურად უყურებს მამაკაცის მიერ ჩადენილ იმავე საქციელს. ქალს მეტი დაფიქრება და მეტი წინდახედულება მოეთხოვება. თუმცა, პროცენტულად, ქალები მცირედით ჩამორჩებიან მამაკაცებს ღალატში, მაგრამ მათი ორგულობა ნაკლებად ხმაურდება. ახსნა და მიზეზი ყველაფერს აქვს და, შეიძლება, მოღალატე ცოლსაც მოუძებნო გამართლება. როგორ განაგრძობენ ისინი ღალატის შემდეგ ცხოვრებას და აქვს თუ არა ამ ყველაფერს რაღაც ლოგიკა?**

თიკო *(37 წლის):* რომ გითხრათ, ღალატზე არასდროს მიფიქრია-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ, ვფიქრობდი, რომ ეს ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი და წარმოუდგენელი იყო – ქმარს როგორ ვუღალატებ, მე ხომ ის მიყვარს-მეთქი. ზოგადად, ვერც იმ ქალებს ვუგებდი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ღალატზე, შეიძლება, სრულიად გაუცნობიერებლად, იმპულსურად წახვიდე. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ეს რანაირად უნდა მოხდეს-მეთქი. მეგონა, რომ, როგორ ძალიანაც არ უნდა გავემწარებინე ქმარს, საკუთარ თავს ვერ ვუღალატებდი. მაგრამ, როცა მე თავად ვუღალატე ქმარს ალოგიკურად და იმპულსურად, მივხვდი, რომ მთლად ასეც არ ყოფილა საქმე.

**– ლოგიკური ღალატიც არსებობს?**

– ერთი შეხედვით, ცოტა გასაოცარი რაღაც ვთქვი, მაგრამ, ლოგიკას ყველაფერი ექვემდებარება. უბრალოდ, უნდა დაფიქრდე და გაიაზრო შენი ყოველი ნაბიჯი, თუმცა, ეს საკმაოდ რთულია. ფაქტია, რომ რაღაც მომენტში ვერაფერიც ვერ გავიაზრე. ეს არ იყო არც შურისძიება და არც გამწარებით გამოწვეული მყისიერი რეაქცია. ისე არ ყოფილა, რომ სახლიდან ქმრის საღალატოდ გავედი, თუმცა, მასზე გაბრაზებული, ნაწყენი და გაღიზიანებული ვიყავი. ოღონდ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ მე გადავწყვიტე, მეღალატა მისთვის. ახლაც არ ვიცი, რა დამემართა.

**– სხვათა შორის, ყველა ქალი ზუსტად ამას ამბობს, რომ, არ იცის, იმ მომენტში რა დაემართა...**

– მჯერა და მესმის მათი. ვილაცეები აუცილებლად იქნებიან ჩემს მდგომარეობაში, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი ქალი შეგნებულად მიდის ღალატზე; ოღონდ, სხვადასხვა მიზეზით...

**– ანუ, შეიძლება, რამდენი ქალიცაა, ღალატის იმდენი მიზეზი არსებობდეს?**

– რატომაც არა? ადამიანები ხომ ძალიან განსხვავებულები და ინდივიდუალურები ვართ, ამიტომ, მიზეზებიც ინდივიდუალური გვაქვს. აი, მე მიზეზი მართლა არ მქონდა. იმასაც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ღალატის ჩამდენი ვიყავი – პირველივე შეხვედრაზე დავუწექი მამაკაცს. მე, რომელიც გათხოვებამდე მამაკაცისთვის ნაკოცნი არ მქონია. ჩემი ქმარი იყო პირველი და ერთადერთი კაცი და დღესაც ასეა, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ. ვცდილობ, ეს შემთხვევა უკვალოდ წავშალო მეხსიერებიდან და უკან აღარ მივიხედო, მაგრამ, ძალიან ძნელია. ჯერ მომხდარის შოკიდანაც ვერ გამოვსულვარ. ათი წელია, გათხოვილი ვარ და ამ ხნის განმავლობაში ფიქრითაც არ მიღალატია ქმრისთვის. სხვა კაცისკენ თვალი არასდროს გამქცევია... შემთხვევამაც თავისი გააკეთა... ჩემმა ქმარმა უცებ გამომიცხადა – გადავიღალე და ორი კვირით სადმე უნდა წავიდე, თორემ, გადავიწვები; თუ გინდა, შენც წამოდიო.

**– და, თქვენ იეჭვიანეთ.**

– არა, მაგრამ, გავბრაზდი. იმიტომ, რომ მე ვერაფრით ვერ წავიდოდი ჩემი სამსახურის გამო, არადა, ძალიან მინდოდა... ისე მინდოდა, რომ ლამის ვიტირე. გული მაგრად მეტკინა. ხომ შეეძლო, არ წასულიყო და ანგარიში გაეწია ჩემთვის?! არა, აიტეხა, ველარ გავუძლებ ასეთ რეჟიმს, ორი კვირა დასვენება ჰაერივით მჭირდება, მერე შენთან ერთად წამოვალო. მოკლედ, ცოტა ვიჩხუბეთ, მაგრამ, მერე შევრიგდით. ერთმანეთს ვუთხარით, „მიყვარხარ“ და ორი დღის შემდეგ მე თვითონ გავაცილე აეროპორტში. იქ კიდევ უფრო მეტად დამწყდა გული, მაგრად „დავიგრუზე“ და, უკან რომ მოვდიოდი, თვალები ცრემლით მქონდა სავსე. არ ვიცი, ამის ბრალი იყო თუ შემხვედრი მანქანის თავხედობის, საჭე ვერ დავიმორჩილე და ბორდიურს შევასკდი. მაღალი ბორდიურები რომ არის, ხომ იცით?! ვერ ვიტყვი, რომ მანქანა ძალიან დაზიანდა, მაგრამ, ეს იყო ბოლო წვეთი ჩემი მოთმინების ფიალაში. მთელ ხმაზე ავბღავლდი და საჭეს გამეტებით ვურტყამდი მუშტებს... უცებ, მამაკაცის ხმა გავიგონე. ჩემი მანქანის კართან ძალიან სიმპათიური მამაკაცი იდგა და მიღიმოდა, თან მეუბნებოდა, არ ღირს თქვენს ცრემლებად ეს მანქანა, ახლავე მოგიგვარებთ ყველაფერს, ოღონდ დამშვიდდითო. მისმა ძალიან სასიამოვნო ტემბრმა დადებითად განმაწყო. ბრაზი მომერია ჩემს ქმარზე – ახლა ის უნდა ყოფილიყო ჩემ გვერდით და არა სრულიად უცხო მამაკაცი და, უცებ აღმოვაჩინე, რომ ქმარი არასდროს მყოლია გვერდით.

> **არიან მამაკაცები, რომლებიც გამოხედვითაც კი ახვედრებენ ცოლს, რომ სტკივათ მისი პრობლემა; ჩემს შემთხვევაში ეს არასდროს მომხდარა**

**– ანუ...**

– ანუ ის, რომ, შეიძლება, ვუყვარდი, მაგრამ, ჩემზე მზრუნველობით ნამდვილად არ იწუხებდა თავს. ხომ არიან მამაკაცები, რომლებიც გამოხედვითაც კი ახვედრებენ ცოლს, რომ მათი ყველა პრობლემა აწუხებთ და წარმატება ახარებთ. ჩემს შემთხვევაში ეს არასდროს მომხდარა.

**თქვენ ფიქრობთ, რადგან იმ მამაკაცმა თქვენი დახმარების სურვილი გამოთქვა, ამიტომ არის განსაკუთრებულად მზრუნველი პიროვნება?**

– არა, რა თქმა უნდა; ამის ილუზია ერთი წუთითაც არ მქონია. უბრალოდ, რაც ჩემი ქმრისგან თურმე ძალიან მინდოდა, იმ მომენტში აღმოვაჩინე, რომ არასდროს მქონია. ეტყობა, ესეც იყო ერთ-ერთი ფაქტორი ჩემი გონების დაბინდვის. მართლა ძალიან მომხედა და მიპატრონა. მანქანა იმავე საღამოს წაიყვანა ხელოსანთან და ორი დღის შემდეგ მომიყვანა გაკეთებული.

**– სრულიად უცხო მამაკაცს გაატანეთ მანქანა?**

– ნუ მეკითხებით ამას, იმიტომ, რომ, კითხვაზე – რატომ მოვიქეცი ასე, – პასუხი არ მაქვს. მართლა არ ვიცი, ყველაფერს გეფიცებით. ვფიქრობ, ჩემი ფსიქოემოციური მდგომარეობის ლოგიკური შედეგი იყო ის, რაც მოხდა... მანქანა რომ მომიყვანა, მითხრა, ერთად ხომ არ გვევახშმაო. მაშინვე დავთანხმდი და რესტორანში გავყევი. ისევ არ მაქვს პასუხი კითხვაზე – რატომ გავყევი. აშკარად, მინდოდა და იმიტომ... იცით, როგორ მიყურებდა მთელი საღამო?! – კაცი უზომოდ მოხიბლული რომაა ქალით და დარეტიანებულია მისი პიროვნებით.

**– თუ – გარეგნობით? ან, იქნებ, საერთოდაც, თამაშობდა?!**

– არ ვიცი და ახლა უკვე აღარ მაინტერესებს. მოსახდენი მოხდა და, რაღა აზრი აქვს, ვიცოდე, რა ზრახვები ჰქონდა სინამდვილეში? ნეტავი ვინმემ ამიხსნას, რა გარდატეხა, რა ცვლილება მოხდა ჩემში, რომ ასე გადავირიე. საერთოდ არანაირი წინააღმდეგობა არ გამიწევია, მართლა იმპულსურად ვმოქმედებდი... სპონტანურად. ზუსტად ვიცი, იმან რაც იფიქრა – რომ მე მზად ვიყავი ყველაფერზე, შეხვედრის პირველივე წუთებიდან. არა, მის მიმართ არანაირი პრეტენზია არ მაქვს. ჩემს ქმარზე კი ვარ გაბრაზებული, მაგრამ, მასაც არ ვადანაშაულებ.

# ნინო ვარსიმაშვილი – ექსტრასენსი და ნათელმხილველი, ვინც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## როგორ დავამარცხოთ ბოროტი ძალა, გავიხსნათ ბედი და მოვიზიდოთ ბარაქა

***ნინო ვარსიმაშვილი** დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ის ნათელხილვის ფენომენალური უნარით არის დაჯილდოებული და მასზე საოცარ ისტორიებს ყვებიან. ქალბატონი ნინოს შესახებ ქართულ პრესაში ძალიან ბევრჯერ დაწერილა, რადგან მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში, მართლაც არ ჰყავს ბადალი. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუ მას თქვენი პრობლემების მოგვარებას მიანდობთ. ნინო ვარსიმაშვილის მიერ ჩატარებული სეანსებით შეძლებთ, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება – გაიხსნათ ჩაკეტილი პირადი ცხოვრება, მოიზიდოთ ბარაქა, დაძლიოთ პრობლემები და მიაღწიოთ ფინანსურ წარმატებებს.*

**ნინო ვარსიმაშვილი**: საკუთარ თავზე საუბარი რთულია, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ სამი ათეული წელია, ვცდილობ, დავეხმარო ადამიანებს იმ პრობლემების მოგვარებაში, რაც აწუხებთ. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, ბარაქის მოზიდვასა და ეკონომიკურ პრობლემებზე, ვკურნავ სხვადასხვა შიშს. პროცედურები განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომელსაც 16 კომპონენტისგან ვამზადებ. პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე, ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ, მომიწია წასვლა საბერძნეთსა და მოსკოვში. იქ იმ ადამიანების თხოვნითა და მიწვევით ჩავედი, ჩემი ძველი კლიენტები რომ იყვნენ და არაერთხელ გამიწევია დახმარება. დღეს ამ ადამიანებთან მუშაობას სატელეფონო კონტაქტით ვახერხებ.

*ნინო ვარსიმაშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა, ზოგიერთები, ვისაც ქალბატონი ნინო ცხოვრების რთული ეტაპის გადალახვაში დაეხმარა, აქ მადლიერების სათქმელად არის მოსული, ზოგი კი პირველადაა, მაგრამ ნათელმხილველის ფენომენალური უნარის შესახებ საკუთარ შთაბეჭდილებებს არ მალავს. ჩვენ გავესაუბრეთ მათ.*

**ქეთინო ნ-შვილი** *(64 წლის, თბილისი):* მე რომ გასაჭირი მქონდა, მტერს არ ვუსურვებ. ფინანსური პრობლემების გამო იპოთეკაში ჩადებულ სახლს ვკარგავდი. არ ვიცოდი, საშველი თუ დამადგებოდა. ერთ-ერთ გადაცემაში შევიტყვე ნინოს შესახებ და აქეთ გამოვეშურე. დამინახა თუ არა, მაშინვე უთხრა ხალხს: ამ ქალს რიგში ნუ ჩააყენებთ, პირდაპირ გამოუშვით ჩემთან, ისეთი დიდი პრობლემა აქვსო. განვმარტოვდით თუ არა, სიტყვა-სიტყვით მითხრა, რა მდგომარეობაშიც ვიყავი. ისეთი სიზუსტით გამიშალა კარტი და ისე მითხრა ყველაფერი, ვიფიქრე, ადრეც ხომ არ შევხვედრივარ-მეთქი. სულ სამი-ოთხი შეხვედრა დაგვჭირდა და ყველაფერი შეიცვალა – ვალები გავისტუმრეთ, ძველ ბინაშიც დავბრუნდით. უფრო მეტსაც გეტყვით, 40 წლის ვაჟი მყავს, ორდიპლომიანი. არ გაუმართლა ჩემს შვილს, ოჯახის შექმნა დაუგვიანდა. ნინომ იმდენი გააკეთა, რომ დღეს ჩემს შვილს სამსახურიც აქვს და კარგი ოჯახიც შექმნა. ამის შემდეგ ვირწმუნე ნინო ვარსიმაშვილის ძალის. დღესდღეობით ის თბილისში ყველაზე ძლიერი ნათელმხილველია.

**მანონი ჭ-ია** *(41 წლის, რუსთავი):* ჩემს ოჯახში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ჯერ დედა გარდამეცვალა, მერე მოულოდნელად – და, ისე რომ, დიაგნოზიც კი ვერ დაუსვეს. დავრჩი სულ მარტო – შოკში ვიყავი ამ ტრაგედიისგან. ერთ დღეს ჩემი სახლის შესასვლელთან, ძაღლმა მიწის თხრა დაიწყო. უცნაური ორგანო ვიპოვე, მიწაში ჩაფლული. ყველაფერზე ხელი მქონდა ჩაქნეული, მაგრამ ამ ამბავმა ისე შემაშინა, მაშინვე ქალბატონ ნინოსთან წამოვედი. მასზე ბევრი რამ გამეგონა. მითხრა, მგლის გულია, ამით საშინელი, სასიკვდილო ჯადო კეთდებაო. მეორე პროცედურაზე იმ ადამიანის სახე დამიხატა, ვინც ჯადო გააკეთა. გული გამისკდა თეთრ ტილოს რომ შევხედე – მასზე ბიცოლაჩემის სახე იყო გამოხატული. მერე თილისმები მომცა, მათი დახმარებით ჩემი პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა, დეპრესიიდანაც გამოვედი და ჩემი ბინაც გავყიდე ინვესტორზე კარგ ფასად, რასაც წლები ვერ ვახერხებდი. არ ვიცი, რა გითხრათ, საკუთარ თავზე გამოვცადე, რომ ქალბატონ ნინოს ფენომენალური ხედვის უნარი აქვს.

**ლერი მ-ძე** *(52 წლის, თელავი):* კაცების ამბავი ხომ იცით, აქ მოსვლა ძალიან გამიჭირდა. მაგრამ, ცოლმა დაიჟინა, უნდა გამომყვე, მასზე იმდენი რამ გამიგია, ჩვენც დაგვეხმარებაო. სხვა გზა აღარ მქონდა, წამოვყევი ცოლს. დიდი ოჯახური პრობლემები გვქონდა, უმუშევარი ვიყავი. ვფიქრობდი, 52 წლის კაცი ვის რად უნდა, 20 წლის ბიჭებს უჭირთ დასაქმება-მეთქი. არ ვიცი, ამ ქალმა რა მოიმოქმედა, ეს იყო სასწაული. რაღაც თილისმები მოგვცა, დაგვარიგა: ასე მოიქეცითო, ისე მოიქეცითო და ა, ბატონო, ორ თვეში, სრულიად შემთხვევით, კარგ სამსახურში ამიყვანეს. ახლა მადლობის სათქმელად მოვედი.

***გსურთ დაამარცხოთ ბოროტი ძალა, გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი და მოიზიდოთ ბარაქა?!***

***ნინო ვარსიმაშვილთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონზე: 597 82 68 68 (ჩაწერა წინასწარ).***

**თამარ ჩხენკელი**

---

**– მისი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ მარტო დაგტოვათ...**

– ვაიმე, არ ვიცი. შეიძლება, არის, შეიძლება – არა. აბა, როგორ ვთქვა? ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს ამას. თუმცა, ფაქტია, რომ არ დავეტოვებინე, არაფერიც არ მოხდებოდა. დიახ, არ უნდა დატოვო მარტო არც კაცი

**არ უნდა დატოვო მარტო არც ქალი და არც კაცი. შემთხვევის შანსი ასეთ დროს ყოველთვის ჩნდება და რისკის ფაქტორიც მაღალია**

და არც ქალი. შემთხვევის შანსი ასეთ დროს ყოველთვის ჩნდება და რისკის ფაქტორიც მაღალია. ჩვენი ცხოვრება ხომ, დიდწილად, შემთხვევებზეა დამოკიდებული. ვიცი, რომ თქვენი მკითხველების უმრავლესობა მკაცრად გამსჯის. პირველი მე გავაკეთებდი ამას, სხვაზე რომ გამეგო იგივე. სულ ვამტკიცებდი, ის რა ადამიანია, ვისაც საკუთარი თავის, საკუთარი ემოციების კონტროლი არ შეუძლია, აბა, სხვა რითი განვსხვავდებით ცხოველებისგან-მეთქი, მაგრამ, ძალიან რთულად ყოფილა საქმე... რატომ მოხდა ასე, არ ვიცი; უბრალოდ, მოხდა და მორჩა! ღალატი კი მართლა საშინელებაა. ჩემს ქმარს ვერასოდეს გამოვუტყდები ამაში, გამორიცხულია. ვხვდები, რომ ეს კიდევ უარესი საქციელია, მაგრამ, თქვენც ხომ ზუსტად იცით, რომ ვერ გამიგებს. ამიტომ, რისკზე ვერ წავალ.

**– დიდხანს ხვდებოდით ერთმანეთს? ისევ ხომ არ ხართ მასთან?**

– სულ ორჯერ გვქონდა სიახლოვე... კიდევ რამდენიმეჯერ შევხვდით და, უცებ, ქმარმა დამირეკა – ეტყობა, რაღაც უგრძნო გულმა, იმიტომ, რომ მანამდე მხოლოდ მესიჯებს მწერდა ხოლმე: „კარგად ვარ“, „არა მიშავს“, „შენ ხომ კარგად ხარ“... სულ ეს იყო და, უცებ, დამირეკა სად ხარ, რას აკეთებ, არ მოგენატრეო?! – ამან გამომაფხიზლა, ცივ წყალს რომ გადაგასხამენ, ისე... რა უნდა მეპასუხა? მისი ხმა კი ისეთი ახლობელი და ძალიან ნაცნობი იყო... ეგრევე მივატოვე „ის“ და წამოვედი. აღარც დაურეკავს.

**– ნანობთ?**

– არა. ყველაფრის დავიწყებას ვცდილობ, მაგრამ, რთულია. შეიძლება, ეს სინანულიც არის...

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**დიდი სურვილი მაქვს, ჩემს ქმარს როგორმე სამაგიერო გადავუხადო იმ ტკივილისა და შეურაცხყოფისთვის, რაც მან მომაყენა. ჩემს თანამშრომელთან წავასწარი და დღემდე შოკში ვარ, ლამის გავგიჟდე. თვითონ უსინდისოდ მიმტკიცებს, რომ ყველაფერი მომეჩვენა და მსგავსი არაფერი ყოფილა. ყველა უბედურებასთან ერთად, დებილიც გამოვყავარ. რა უნდა ველაპარაკო... იმის ღირსია, რომ ძალიან გავამწარო. რა ვქნა, ავდგე და ვუღალატო? მერე მე როგორ ვიქნები ამის შემდეგ?**

**გამოხმაურება:** ქმარი მართლაც ძალიან ცუდად იქცევა და, ბუნებრივია, რომ გაგიჩნდათ შურისძიების სურვილი, მაგრამ, ნუ გააკეთებთ იმას, რაც თავად შეგიქმნით დისკომფორტს და სინდისი მოსვენებას არ მოგცემთ. ანუ, თქვენი მხრიდან ჯიბრით ღალატი ისევ თქვენ შეგიქმნით პრობლემას. შეეცადეთ, ჯერ ცოტა ჩაგიცხრეთ აგრესია და ცივი გონებით გადაწყვიტეთ, როგორ მოიქცეთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც ცხოველებზე ისეთი სიყვარულითა და სითბოთი საუბრობს, როგორც მსახიობი თაკო აბაშიძე. მის სახლში კი ნამდვილი ეგზოტიკაა, სადაც ძაღლი, კატა, თევზები და ჩიტები თავიანთი პატრონის გვერდით თავს დაცულად გრძნობენ. როგორც თაკო ამბობს, მის სახლში ცხოველები ყოველთვის იყვნენ და, ისინი, ბევრი ადამიანისგან განსხვავებით, მეტი ერთგულებითაც გამოირჩევიან. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველაზე აგრესიული ძაღლიც კი გრძნობს თაკოს კეთილგანწყობილ აურას მის მიმართ, ცდილობს, ფეხებთან დაუწვეს და ასე გამოხატოს ერთგულება და სითბო.**

# რატომ გამოდიოდა სტუმრებთან თაკო აბაშიძის ძაღლი პირში ჩადებული საცვლებით და რის გამო წავიდა მისგან საყვარელი ზაზუნა

**თაკო აბაშიძე**: ცხოველები ყოველთვის მიყვარდა. ბავშვობიდან სულ იყვნენ ჩემს სახლში ძაღლი, ჩიტები, თევზები, ზაზუნები, კატები, ასე რომ, ჩემს სახლში ფლორისა და ფაუნის ნამდვილი კულტია. არ დამავიწყდება, 6 წლის რომ ვიყავი, ჩვენს ეზოს ერთი გაბერილი, ლამაზი ფისო შემოეკედლა. ორსულად იყო, შეგვეცოდა და ვერ გავაგდეთ გარეთ უპატრონოდ. სულ მალე ჩვენს სახლში დაიბადა კუსუნა, მისი შვილი, რომელიც ჩვენთან მთელი ცხრამეტი წელი ცხოვრობდა. მისი სიკვდილი კი ისე განვიცადე, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. კარგა ხანს გონზე არ ვიყავი. წარმოიდგინეთ, ამდენი წელი ერთად ვცხოვრობდით, ოჯახის წევრი იყო და მისი სიკვდილი რა საშინელი ტრავმა და ტკივილი იქნებოდა ჩემთვის. ასევე, ჩემს ძაღლს კიბო დაემართა, ოპერაციებიც დასჭირდა, გავუკეთეთ და რამდენიმე წლით გავუხანგრძლივეთ სიცოცხლე. ჩემს ცხოვრებაში იყო კიდევ ერთი ძაღლი, რომელიც არასდროს დამავიწყდება. ეს ძაღლი ჩემს მეჯვარესა და მის დედას ჰყავდათ, ქუცუნა ერქვა. ბაღში იპოვა სოფომ, დამტვრეული იყო. წაიყვანა სახლში, მოუარა და გადაარჩინა. რომ ვუყურებდი, ნამდვილი ადამიანური თვისებები ჰქონდა ქუცუნას. უჭკვიანესი თვალებით გიყურებდა და მზერით გელაპარაკებოდა. ფანჯარასთან ჯდებოდა, იყურებოდა სივრცეში და ფიქრობდა. არ დამიჯერებთ, მაგრამ, ნამდვილად ფიქრობდა. ერთ დღეს, სპორტის სასახლესთან ძაღლი მოეწონა და იმას აკითხავდა. კეკელიძიდან მიწისქვეშა გადასასვლელებით მარტო მიდიოდა მის შესახვედრად. იმ ძაღლის სიკვდილი ისე განვიცადე, როგორც საკუთარის. ჩემი აზრით, თუ ადამიანს არ შეუძლია, ოჯახის წევრად ჩათვალოს ცხოველი, რომელიც მის გვერდით, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს, მაშინ, ჯობია, საერთოდ არ ჰყავდეს. ცხოველი დეკორაცია არ არის, ის ცოცხალი არსებაა და, ხშირად ადამიანზე ერთგული. ასე რომ, ნუ გეშინიათ ცხოველების, ადამიანების გეშინოდეთ!

**– ამბობ, ცხოველები ყოველთვის გვყავდა სახლშიო. წარმომიდგენია, რამხელა სიხარულთან იქნებოდა დაკავშირებული ახალი წევრის დაბადება. სახელებს შენ არქმევდი თუ მთელი ოჯახი იყო ამაში ჩართული?**

– ახალი ცხოველის დაბადება ნამდვილი დღესასწაულია ჩვენთვის, ხოლო სახელებს მე და დედა ერთად ვურჩევთ ხოლმე. ერთ ამბავს მოგიყვებით: მოკლედ, ჩემს ძაღლს, ჩიკოს, რომელიც თხუთმეტი წელი ცხოვრობდა ჩემთან ერთად, ისე უნდოდა დედა გამხდარიყო, რომ ცრუ ორსულობა დაემართა, ანუ, ფსიქოლოგიური ორსულობა – მუცელი გაებერა, თუმცა, მხოლოდ წყალი ჰქონდა. მის მაგივრად მე ვნერვიულობდი, მაგრამ, მე ხომ ვერ გავუჩენდი შვილს?! ***(იცინის)*** სამწუხაროდ, ასეთი რამეებიც ხდება. ამჯერად კი ჩვენს ოჯახში პიკო, ტასო, პუპა და კიდევ ბევრი ცხოველი და ფრინველი ცხოვრობს. ტასიკო ჰქვია დედაჩემის საყვარელ ფისოს, თეთრია, ფუმფულა და ულამაზესი. შეიძლება, მთელი დღე ხმა არ ამოიღოს, ბურთივით დაგორავს და, შეუძლებელია, არ შეგიყვარდეს. სახლში რემონტს ვაკეთებ და დროებით ჩემი ძაღლი და კატები დედასთან არიან, ჩემთან კი თუთიყუში, თევზები და მთის ჩიტები დავტოვე. სტუმრები რომ მოდიან, თვალში რომ აკლიათ ჩემი ცხოველები და მეკითხებიან, სად არიან შენი ძაღლი და კატაო, ვეუბნები: ზაფხულია, ბატონო და, დასასვენებლად გავამგზავრე-მეთქი ***(იცინის).*** სხვათა შორის, დედას იადონებიც ჰყავს და, ისე გალობენ, თავი სამოთხეში მგონია, მათ რომ ვუსმენ. სამწუხაროდ, ზაზუნა აღარ მყავს – გამეპარა და ველარ ვიპოვე. ვხუმრობ ხოლმე, ნეტა რა ვაწყენინე, სახლიდან რომ წავიდა და აღარ დაბრუნდა-მეთქი ***(იცინის).*** ახლა ძალიან მინდა, ჩემს შვილს ვუყიდო პატარა ძაღლი – ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ცხოველი დაუცველი არსებაა, რომელიც უნდა გიყვარდეს, გაზარდო და მოუარო. რასაკვირველია, სანამ პატარები არიან და არ იციან, როგორ მოიქცნენ, ბავშვივით აფუჭებენ კიდეც და ცუდადაც იქცევიან, მაგრამ, ამის გამო ხომ არ უნდა ურტყა და მოკლა ცემით?! არ დამავიწყდება, ერთი ძაღლი გვყავდა, ჭკვიანი კი იყო, მაგრამ, ცელქი და, რომ დააშავებდა რამეს და დედა უყვირებდა, სამაგიეროს სხვისი თანდასწრებით უხდიდა.



**ჩემს ძაღლს კიბო დაემართა, ოპერაციებიც დასჭირდა, გავუკეთეთ და რამდენიმე წლით გავუხანგრძლივეთ სიცოცხლე**

**– ეს როგორ?**

– როგორ და, წყენას გულში იდებდა და სტუმარი რომ მოვიდოდა, გაიქცეოდა, თათებით გააღებდა უჯრას, იქიდან საცვლებს პირით ამოიღებდა და სტუმართან ისე გამოდიოდა ***(იცინის).*** თუ ტელეფონი რეკავდა და არ გვესმოდა, გამოიქცეოდა და ყეფით გვაგებინებდა, ტელეფონი რეკავს და აიღე ყურმილიო. აი, ასეთი ჭკვიანი და თან ცელქი იყო.

**ჩემი სახლის ცხოველები ბევრ ადამიანზე მეტად იცავენ პირად ჰიგიენას, ბევრ ადამიანზე სუფთებიც არიან ჯიშითაც და სულიერადაც**

**– სიმართლე გითხრა, ჩემი აზრით, სადაც პატარა ბავშვია, იქ ცხოველის ყოფნა ცოტა საშიშია, არ მეთანხმები?**

– დამიჯერეთ, ჩემი სახლის ცხოველები ბევრ ადამიანზე მეტად იცავენ პირად ჰიგიენას ***(იცინის)*** და ბევრზე სუფთებიც არიან ჯიშითაც და სულიერადაც. თუ სახლში გყავს ცხოველი, მის ჰიგიენაზეც უნდა იზრუნო, სწორად აღზარდო და ასწავლო სწორი ქცევა. დარწმუნებული ვარ, ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავენ, ბევრი იტყვის, რაებს ამბობს ეს თაკო, ცხოველებზე ისე საუბრობს, როგორც ნამდვილ ადამიანებზეო, მაგრამ, ნამდვილად ასეა და, ვინც მათ მიმართ ზიზღს ამჟღავნებს ან აგრესიას გამოხატავს, ვფიქრობ, იმათ ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ და „უჭირთ" ადამიანურ თვისებებში.

**– ხშირად გამიგია, ცხოველები პატრონებს ემსგავსებიან ხასიათით და თვისებებითო. შენ როგორ ფიქრობ, იმსგავსებ მათ?**

– ცნობილია, რომ, ზოგადად, ადამიანები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთმანეთს ემსგავსებიან როგორც თვისებებით, ასევე ქცევითაც. ცხოველების შემთხვევაშიც ასეა, რადგან გარემო და გარშემო მყოფები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მათ ცხოვრებაში. მაგალითად, თუ ცხოველი აგრესიულ გარემოში იზრდება, სადაც მას ხშირად უბიძგებენ აგრესიისკენ, ისიც აგრესიული ხდება. იმაში კი, რომ ცხოველი პატრონს ემსგავსება, გეთანხმებით – არის ამაში სიმართლის რაღაც მარცვალი. თუმცა, თუ გაინტერესებთ, მგვანან თუ არა ჩემი ძაღლი ან თუთიყუში, კარგად თუ დაგვაკვირდებით, ჯანმრთელი თვალი ადვილად დაინახავს მსგავსებას ***(იცინის).***

**– ასეთი სიყვარულით რომ საუბრობ ცხოველებზე, დავიჯერო, ძაღლს არასდროს უკბენია შენთვის ან კატას არ გაუკრავს ბრჭყალი?**

– დამიჯერეთ, მართლა არასდროს უკბენია ჩემთვის ძაღლს და არც კატას დავუპორჭყნივარ. ყველაზე ბრაზიანი ძაღლებიც კი ფეხებთან მიწვებიან და მელაქუცებიან ***(იცინის).***

**– ეტყობა, კარგი აურა გაქვს და, თან, ისინი გრძნობენ, რომ ძალიან გიყვარს, არა?**

– ალბათ ***(იცინის).*** სხვათა შორის, ყოფილა შემთხვევა, ძალიან აგრესიულმა ძაღლმა, რომელიც ეზოში არავის უშვებდა და თან საკმაოდ დიდი იყო და ბომბორა, ეზოში უპრობლემოდ შემიშვა. იმის მაგივრად, რომ დაეყეფა, გამოიქცა ჩემკენ კუდის ქიცინით, დამიწყო ყნოსვა და კარგი მეგობარივით და ნაცნობივით გამატარა. გადაირია სახლის პატრონი, მითხრა, ასეთი რამ არ მომხდარა, ყველას უყეფს და, შენ როგორ მოეწონე, ვერ ვხვდები; ეტყობა, აურა გაქვს კარგი და იგრძნო, რომ ძალიან გიყვარს ცხოველები, თორემ, ეზოში რომ მის დაუკითხავად შემოსულიყავი და არ მოსწონებოდი, დაგგლეჯდა და შეგჭამდაო. მართლა არანაირი ძაღლის არ მეშინია, პირიქით, ვგიჟდები მათზე და, ალბათ, ამ სიყვარულს გრძნობენ. არასდროს გავრბივარ, როცა ცხოველს დავინახავ, რაც არ უნდა ავი იყოს და, შესაბამისად, არც ისინი გამოხატავენ აგრესიას.

**ნონა დათეშიძე**

**ჩვენს წინა შეხვედრაზე, რამდენიმე თვის წინ, მსახიობი ზუზუ ბექაშვილი ამბობდა, რომ საკმაოდ წარუმატებელი შემოქმედებითი პერიოდი ჰქონდა. თავს ვერ დავდებ, მაგრამ მომეჩვენა, რომ, ეს მისი განწყობის შედეგი უფრო იყო, ვიდრე რეალობა. ჩვენს დღევანდელ ინტერვიუში დავინტერესდი, თუ რა სიახლეებია ამჟამად მის კარიერაში, ცხოვრებაში, ყოველდღიურობაში, შეიცვალა თუ არა მდგომარეობა.**

# რატომ გაიფილტრა ზუზუ ბექაშვილის მეგობართა რაოდენობა და ჰქონია თუ არა მას რომანი ქმრიან ქალთან

**ზუზუ ბექაშვილი**: იცი რა, ცოტა გაზვიადება ვიცი, გრძნობებში. პატარა რაღაცამ შეიძლება მაფიქრებინოს, რომ ყველაფერი დამთავრდა და ასევე, პატარა რაღაცას შეუძლია, მაფიქრებინოს: სულელი ხომ არ ვარ-მეთქი. მილიონი სამუშაოა, ხელი მაქვს, ფეხი მაქვს და მეგობრები მყავს....

დღეს ყველაფერი კარგადაა, მოუგვარებელი არაფერია. მართლა არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა. ჩვენი ბოლო შეხვედრის დროს, მე ვამბობდი, რომ ვიყავი ცუდ „პალასაზე", პროფესიაში არ მიმართლებდა... მთლად ასეც არ იყო, შეიძლება, ცოტა გავაზვიადე, რადგან ისეც არ ხდება, რომ ვთქვა, არსად მეძახიან-მეთქი. ღმერთმა დამიფაროს! ***(იცინის)*** მეძახიან, მაგრამ ყველაფერზე უკვე აღარც მე ვთანხმდები. იმიტომ რომ, საკუთარ შეცდომებზე ვისაწვლე, რომელ პროექტში წავიდე და რომელში – არა. პრინციპში, რომ გადავხედე, აღარც არაფერი ხდება ისეთი, რომ გული დამწყდეს, არ ხორციელდება ისეთი საინტერესო პროექტები, რომელშიც მე მომინდება მონაწილეობის მიღება, შემოქმედებითად ვგულისხმობ. იმ პროექტებში კი, რომლებიც არც შემოქმედებითია, და ფულის ხამი არ ვარ, მაგრამ არც ანაზღაურებაა შესაბამისი, ჩემი ადგილი უკვე ნაღდად არ არის. ეს არ არის ხმამაღალი ნათქვემი, არც ამბიციური. მე ყველაფერი გავიარე, ვარ 38 წლის და ნეგატიურად მოვდივარ ისეთი გადაღებიდან, სადაც არ ვიხარჯები შემოქმედებითად და ვერც ანაზღაურებას ვიღებ. ალბათ, მთელმა თბილისმა იცის, რომ მე მხოლოდ მსახიობის საქმით მაქვს შემოსავალი. მყავს დედა, ძმა, არ მაქვს სახლი და ჩემი პროფესიიდან ველოდები შემოქმედებით, ან ფულად ანაზღაურებას. მართლა გულდასაწყვეტია, რომ ვერც ერთ მთავრობაში ვერ ეშველა მსახიობს. ყველაფერი გაძვირდა – სტომატოლოგის ვიზიტი, სახლის აშენების საფასური, მარტო მსახიობის ანაზღაურება რატომ დარჩა დაბალი, ვერაფრით ვხვდები ***(იცინის).*** თან, ის მომენტიცაა, როცა რომელიმე პროექტზე მიდიხარ მოსალაპარაკებლად, საუბარს იწყებენ იქიდან, რომ არ აქვთ ბიუჯეტი. იცი რა, თუ არ გაქვს ბიუჯეტი, ან საერთოდ არ მოკიდო ამ საქმეს ხელი, ან ისეთი მაგარი პროექტი მოიფიქრე, რომ სულ არ მაინტერესებდეს ანაზღაურება და ერთი სული მქონდეს, როდის დავიწყებ მუშაობას. საბედნიეროდ, ასეთი პროექტებიც ყოფილა ჩემს კარიერაში.

საერთოდ, დამოკიდებულებას აქვს დიდი მნიშვნელობა. პირველი ზარიდან ვხვდები, ღირს კონკრეტულ პროექტზე მისვლა, თუ – არა. აქ მარტო ფული არ არის. ჩემი პროფესია მე იმდენად მიყვარს, რომ კარგ ადამიანთან ფულზე ნამდვილად არ ვილაპარაკებ. ახლახან პერფომანსი გადაიღო ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა, ძალიან საინტერესო. მე და მაკა შალიკაშვილმა უნდა გავახმოვანოთ და თურმე, იმიტომ ვერ ახმოვანებს, რომ ფული არ აქვს, რომელსაც ჩვენ გადაგვიხდის ამ სამუშაოში. რომ გავიგე, ვკითხე, – ხომ არ აფრენ-მეთქი ***(იცინის).***

**– კიდევ რა შემოქმედებითი სიახლეები გაქვს?**

– სიახლეა, ის რომ მე დავიჩხვლიტე უკვე ქასთინგებით. იმიტომ, რომ მივდივარ ქასთინგზე, უარს არ მეუბნებიან, უნდათ ჩემთან თანამშრომლობა, მაგრამ თვითონ პროექტების დაწყებას არ დაადგა საშველი. რეჟისორს ლოს-ანჟელესის კინოსკოლა ჰქონდა გავლილი და ისეთი საინტერესო ქათინგები ჩაატარა, წამოსვლა არ მინდოდა – ჩართე და რაც გინდა, იმას გავაკეთებ-მეთქი. ასეთი ქასთინგები მიყვარს. აბა, მარტო პროფილში და ანფასში გადაღებული სურათებით რომ შემოიფარგლებიან, იმ ქასთინგის ორგანიზატორების არ მესმის. ასევე, იტალიურ-ქართული პროექტია, რომლის ქათინგშიც მივიღე მონაწილეობა. არის კიდევ პროექტი მოსკოვიდან. მე ერთ რამეს მივხვდი, რომ ძალიან ბევრ დროს ვკარგავ ჩვენს ქალაქში. იმასაც



ჩემი პირადი ცხოვრება ხანდახან დასამალია, ქალბატონებისთვის, თორემ მე რა...

მივხვდი, რომ მაკლია დიპლომატია. უფრო სწორად მე არ მაკლია დიპლომატია, მაკლია დიპლომატიას რასაც ეძახიან, ის. მაგრამ, ვიცი, რომ დილპომატია, რომელიც მლიქვნელობაში გადადის, ის უკვე დიპლომატია აღარაა. მე ასეთი დიპლომატიის ნაკლებობა მაქვს,

> **თქვენ, ჟურნალისტებს გავიწყდებათ, რომ ინტერვიუ აღსარება არ არის, რაღაცას ჩემთვისაც დავიტოვებ...**

რაც არ მწყინს. ბედს მე ვერავინ გადამიწყვიტს, რადგან ჩემი პროდიუსერი ღმერთია.

**– ქასთინგებს გულისხმობთ?**

– ქასთინგებს კი არა, პროექტებში რა ხდება, არ იცი. თუნდაც ახლა მაკლია დიპლომატია, ამას რომ გეუბნები. ის არავინ თქვას, რომ მე არ მომწონს ჩემი ნათამაშები და სულ უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავისო. თუ უკმაყოფილო ხარ, მაშინ შენი პროფესიით ვერ იკაიფებ.

შემოქმედებითი სიახლე მაქვს კიდევ ის, რომ გაგა გოშაძემ შემაწუხა, უნდა ვიყო თეატრში. იმდენად მოვინდომე და ისე მომანდომა, რომ ახლა მე ვაწუხებ იქით, მინდა, მოვსინჯო. ამ კატეგორიის რეჟისორთან სიამოვნებით ვიმუშავებ. ზუსტად ვიცი, რომ კარგ პიესას შეარჩევს და მალეც გააკეთებს.

**– და ძალიან მაგარიც იქნება.**

– ეს ვნახოთ... ***(იცინის).***

**– მიუხედავად იმისა, რომ ზუზუ მარტო არ არის, მის გვერდით ცხოვრების თანამგზავრი დღემდე ვერ ვიხილეთ.**

– არასდროს მიყვარს ამ თემაზე საუბარი, რადგან ჩემი პირადი ცხოვრება ხანდახან დასამალია, ქალბატონებისთვის, თორემ მე რა... ***(იცინის).*** არასდროს ვარ მარტო, მაგრამ არ შემიძლია, სტაბილურობა და ვალდებულების აღება. არ გავზრდილვარ ***(იცინის).*** დიდი ბიჭი რომ გავიზრდები, აუცილებლად ჩამოვყალიბდები. არ შემიძლია ყოველდღე ერთად... მიყვარს როგორ არა, ამწუთას არ მიყვარს ოღონდ. მქონია რამდენიმეწლიანი ურთიერთობაც, მყოლია ისეთი ადამიანიც, რომელსაც ჩემთვის გაუგია და ასეთი მივუღივარ. ისეთი ადამიანის მოძებნა ადვილი არაა ზუზუსთვის, რომელთანაც გადახლართული გავიღვიძებ, ცხვირმიდებული... ასევე, არ შემიძლია, ყოველდღე რეკვები, ვალდებულებები... იცი, რა, ხალხს ჰგონია, რომ მიცნობს, არადა, მე თვითონ არ ვიცნობ საკუთარ თავს ***(იცინის).***

**– არც რომანტიული ხარ, არც ყვავილების მირთმევა, არც საყვარელოს დაძახება...**

– არანაირი ფისო და საყვარელო, მაგრამ ძალიან ბევრი რამე მიყვარს და ბევრი რამ შემიძლია. თქვენ, ჟურნალისტებს, გავიწყდებათ, რომ ინტერვიუ აღსარება არაა, რაღაცას ჩემთვისაც დავიტოვებ... ***(იცინის).***

**– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს თვითონ გოგოები არიან ზუზუს გულის მოგებით დაინტერესებული და არა – პირიქით...**

– ეს საერთოდ, ასე ხდება. იცი, რა, დამაინტერესებენ, მომივლიან და ბოლოს, როცა გაბრაზდებიან, მამადლიან ***(იცინის).*** საერთოდ, როცა მართალი ხარ, მაგაზე მაგარი არაფერია.

**– მართალი როგორ ხარ, ქალი რომ ღამის თვითონ გიმღერის სერენადას და შენ?..**

– მე ხომ ეს არ მითხოვია? მე რა დონემდეც მივიღე – მივიღე. თუ ვთხოვ და შევპირდები რამეს, პრეტენზიაც მერე უნდა გაუჩნდეს.

**– ვინაიდან ჩვენ, ვილაცეები არ დავასახელეთ, ვფიქრობ, რომ ისინი არ დაოჯახებული, ან ცნობილები არიან...**

– ასეთებიც ყოფილან ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ არასდროს დაოჯახებულ, ქმრიან ქალთან მე არ გადამიდგამს პირველი ნაბიჯი.

მყვარებია კიდეც, როგორ არა, მაგრამ... რომ ამბობენ, ყოველი დღე უნდა გქონდეს ისეთი როგორც პირველიო, ეს არ შემიძლია.

**– ასე მგონია, გაცილებით მარტივია შენთან მეგობრობა.**

– საქმეშიც, მეგობრობაშიც, პირადშიც, ადამიანზე მანერებით არ უნდა გამოიტანო დასკვნა. აუცილებლად „გალსტუკი" უნდა გეკეთოს და დებილი პიჯაკი გეცვას საქმეზე მისულს, იმის საჩვენებლად, რომ პასუხიმგებლობა მაღალი გაქვს, დინჯი და პუნქტუალური ხარ?!

ჩემი მეგობართა რაოდენობა ძალიან გაიფილტრა. არ ვიბუტები, მონტაჟს ვაკეთებ ტვინში – აღარ არის ის ადამიანი და მორჩა. იცი, რა?! მართალია, პოზიტივის მომტანი უნდა იყო მეგობრისთვის, მაგრამ, როცა შენ რამე გიჭირს და ამ დროს ის მეგობარი სირაქლემის პოზაში ყოფნას და სადღაც „ჩივასის" დალევას ამჯობინებს, ასეთ ადამიანთან მე აღარ შემიძლია ურთიერთობა. საბედნიეროდ, 2-3-4 მეგობარი მყავს... მეოთხე, მგონი, მოვიგონე ***(იცინის).***

**– ქალის და კაცის მეგობრობის გჯერა?**

– რა თქმა უნდა! იცი რა, ჩემი ბავშვობის მეგობარი გათხოვდა ახლახან, 42 წლის ასაკში და გაჰყვა მასზე უფროსს. ქმარმა აუკრძალა ჩემთან მეგობრობა, იმიტომ რომ, არ სჯერა ქალისა და კაცის მეგობრობის. მე ამ კატეგორიის მამაკაცებს არ ვეკუთვნი, ღმერთმა დამიფაროს!

**ეკა სალაღაია**

**მაცხოვარი იესო ქრისტე ბრძანებს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“, ესე იგი, ვინც ქრისტეს სარწმუნოებით არ ცხოვრობს და არ მიჰყვება მაცხოვრის გზას, ის ცოდვილ ცხოვრებას ეწევა. აღსარებისა და ზიარების შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# როგორ უნდა შეცვალოს მორწმუნემ საკუთარი ცხოვრების წესი და როდის გადაიქცევა აღსარება და ზიარება ადამიანისთვის სასჯელად

– რაც არ არის სარწმუნოებრივი და არ ეთანხმება ქრისტეს სარწმუნოებას, ის არის ცოდვა. ცოდვას კი ყოველთვის წინ უსწრებს ურჩება, რომელიც ჯერ კიდევ ზეცაში, ერთ-ერთ ქერუბიმში განხორციელდა და შემდეგ სამოთხეში ადამიანის მოქმედებაშიც აირეკლა. ცოდვის მიზეზი სატანაა და მისი მცდელობებითა და შთაგონებებით წარმოიქმნება ადამიანში წინააღმდეგობა უფლისა, ანუ ცოდვა. რაც მთავარია, უფალი თავის ქმნილებებს არ ტოვებს დაცემულ მდგომარეობაში და მათ გამოიხსნის ცოდვის მონობიდან. მაგრამ, ყოველი ადამიანი, რომელიც მონადინებულია, განეშოროს ცოდვას, მოვალეა, დაიცვას სწავლება ქრისტესი, რომელსაც ეკლესიური ცხოვრება ჰქვია. ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც თავის ცოდვებს გულწრფელად აღიარებს მღვდელმსახურის წინაშე, თვით იესო ქრისტესგან მიიღებს შენდობას.

**– ხშირად მოძღვრის წინაშე ცოდვების არაღიარების მიზეზი, სირცხვილია.**

– ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სირცხვილი ცოდვით დაცემის შემდეგ შემოვიდა. ადამიანი, რომელიც ცდილობს თავისი ცოდვების დამალვას, ადამის უგუნურ საქციელს იმეორებს და უფრო შორდება უფალს. ვისაც საკუთარი ცოდვების აღიარების რცხვენია, ის ეშმაკის საქმეს აღასრულებს. როგორი მომაკვდინებელი ცოდვაც არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, თუ ის ჭეშმარიტად შეინანებს და განუდგება მას, ღმერთიც იმწამსვე აპატიებს და დაიხსნის მას ამ ცოდვისგან.

**– აუცილებელია ხშირი აღსარების თქმა და ზიარება?**

– ხშირად ისეც ხდება, რომ, საკმარისია, ადამიანმა მოინანიოს ცოდვები, მიიღოს წმიდა ზიარება, მაგრამ არ გავა რამდენიმე წუთი და ის ისევ იმავე და უფრო მეტ ცოდვას სჩადის. მონანიების მთავარი ფაქტორი არის ის, რასაც მაცხოვარიეუბნება შეცოდებულ ადამიანს: „წადი და ნუღარ შესცოდავ!“ ძალიან ბევრი მოძღვარი მკაცრად მსჯელობს და ამიტომ ბევრს ჰგონია, რომ მძიმე ცოდვის მონანიებას გარკვეული წლები სჭირდება და ეს ასეც არის რჯულის კანონით. მაგრამ, რჯულის კანონში რომ წერია, გარკვეული ცოდვის მოსანანიებლად 5-10 წელია საჭირო, ბუნებრივია, დღეს ამას ვერ განვახორციელებთ. ადამიანი 5-10 წელი რომ არ ეზიაროს, ის საერთოდ აღარ მოვა ეკლესიაში. სულიერი ზრდის პირველი ფორმულა მამებისგან, არის ხშირი აღსარება და ზიარება. დღეს სასულიერო პირები აცხადებენ, რომ ხშირი აღსარებითა და ზიარებით თითქოს გაუბრალოვდება ეს საიდუმლოებები, ამიტომ, უკრძალავენ ხშირ აღსარებასა და ზიარებას და უდგენენ – თვეში ერთხელ, წელიწადში ოთხჯერ ან ერთხელ ეზიარეო. ეს, რა თქმა უნდა, ცრუ სწავლებაა და, არ ვიცი, საიდან წარმოიშვა. თუ ქრისტიანი მზად არის, მას არა მხოლოდ ყოველკვირა, კვირაში რამდენჯერმე შეუძლია ზიარების მიღება. თუმცა, როგორც იოანე ოქროპირი ბრძანებს: მთავარი ის კი არ არის, რამდენჯერ ეზიარები, არამედ, როგორ ეზიარები. ამიტომ, ნუ გათამამდებიან ისინი, რომლებსაც ყოველკვირა უშვებენ ზიარებაზე. არიან ადამიანები, რომლებიც, როგორც კი მოდიან აღსარებაზე, მაშინვე უნდა მიიღონ ზიარება. მაშინვე ითხოვენ შენდობას. მაგრამ, მოძღვარმა შეამჩნია, რომ არ არის სინანულში, შეიძლება, დროებით არ მისცეს ზიარება, ესეც იმიტომ, რომ მისთვის არის კარგი. გარკვეული დროის შემდეგ კი, თუ ის მოძღვრის დავალებას – მეტანიებს, ეპიტიმიას შეასრულებს, მიიღებს შენდობასა და წმიდა ზიარებას, რადგან, თუ ადამიანმა მოუნესრიგებლად, სინანულის გარეშე მიიღო წმიდა ზიარება, ეს იქცევა მისთვის სასჯელად და არა საკურნებლად სულისა და ხორცისა.



**ბევრი მოდის და ვერ გაუგია, რა თქვას აღსარებაში; ან, იცის, რა უნდა თქვას, მაგრამ, შეგნებულად არ ამბობს, ანუ, მას არ ესმის სინანულის საიდუმლოს მნიშვნელობა**

**– თუმცა, ჩვენ ხშირად ერთსა და იმავე ცოდვებს ჩავდივართ და ამიტომაც გვრცხვენია მოძღვართან მათი აღიარების.**

– ვინც დარწმუნებულია, რომ არ არის ცოდვილი და არ სჭირდება მონანიება, სწორედ მათ შეახსენებს იოანე ნათლისმცემელი, რომ, თუ არ მოინანიებენ, აუცილებლად თავს დაატყდებათ რისხვა. როდესაც მოვინანიებთ ცოდვებს ეკლესიაში, საზოგადოებას ჩვენი ქცევით უნდა დავანახვოთ, როგორ მოვინანიეთ და არა იმავე ცოდვების ჩადენით. საზოგადოებამ უნდა თქვას: ეს იწყევლებოდა – აღარ იწყევლება, აღარ იგინება, აღარ მრუშობს... ანუ, ადამიანმა უნდა შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი. არადა, პირიქით ხდება – ძალიან ბევრზე ამბობენ: რა აზრი აქვს მის სიარულს ეკლესიაში, როდესაც ის ახალ-ახალ ცოდვებს სჩადის და ამბობს: არა უშავს, მივალ ჩემს მამაოსთან, კეთილია და მომიტევებსო... ეს არის ფარისევლური, საშინელი მდგომარეობა: ისინი გარეგნულად სიმპათიურად გამოიყურებიან – ატარებენ ჯვრებს, ფსკვნილს, ისწავლეს ეკლესიური საუბარი, ტერმინები, მილოცვა, მაგრამ, ამ დროს, შეიძლება, გაჭირვებული დაინახონ და ტკბილი სიტყვაც არ გაიმეტონ. რაც შეეხება სირცხვილის გრძნობას და ამის გამო აღსარებაში საკუთარი ცოდვების დამალვას, აღსარების თქმის რამდენიმე ფორმა არსებობს. ყველაზე კარგია, მოძღვარმა დიალოგით ათქმევინოს აღსარება, რაც ათ მცნებაზე უნდა იყოს დამოკიდებული. თუ ადამიანი მოაზროვნეა, მას უნდა ჰქონდეს სინანული და არ უნდა სჩადიოდეს ერთსა და იმავე ცოდვას.

**– როგორ უნდა გადაეჩვიოს ადამიანი ცოდვის ჩადენას?**

– ბევრი ცოდვის ჩადენას მიჩვეულები, როდესაც გადავეჩვევით ცოდვების ჩადენას, მხოლოდ მაშინ გვექნება ჭეშმარიტი აღსარება. აღსარება არსებობს მოგონილი და გულიდან გამომდინარე. ბევრი მოდის და ვერ გაუგია, რა თქვას აღსარებაში; ან, იცის, რა უნდა თქვას, მაგრამ, შეგნებულად არ ამბობს, ანუ, მას არ ესმის სინანულის საიდუმლოს მნიშვნელობა. როცა ქრისტიანი მოდის ეკლესიაში, რომ თქვას აღსარება და სინანულის საიდუმლოში მიიღოს მონაწილეობა, უნდა ახსოვდეს, რომ იქ უხილავად მყოფობს მაცხოვარი; იქ არის დაბრძანებული ხატი, ჯვარი, სახარება და ჩვენ ადამიანებს შევახსენებთ, რომ ისინი აღსარებაზე მიდიან არა მხოლოდ მოძღვართან, არამედ, უფლის წინაშე, რომელმაც ყველაფერი იცის; რომელიც ყველგან მყოფია; ამიტომ, რაღაცის დამალვას და ართქმას არ აქვს აზრი. ზიარება ღმერთის მოწყალების უდიდესი გამოვლინებაა. ჩვენ, ადამიანები კი, ღმერთის წინაშე ყველანი ცოდვილები ვართ და თითოეულ ჩვენგანს სჭირდება შეწყალება. იყო წმიდა საიდუმლოთა ღირსი – ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარ ულირსებას ხედავდე. ზიარებისას მთავარი სინანულია. ადამიანის წმიდა ძღვენისგან განყენება შეუნანებელი ცოდვის მიმართ გამოყენებული ერთ-ერთი უკიდურესი საშუალებაა, რომლითაც ეკლესია მის გულში სინანულის გაღვივებას ცდილობს. ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა ცოდვის დროებით განყენება ზიარებისგან და მისი ეპიტიმიით დასჯა, მაგრამ, კაცმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რისთვის დაისაჯა, რას ითხოვენ მისგან და რა უნდა გამოასწოროს. ზიარების შემწეობის გარეშე ადამიანი იოლად მიიდრიკება ცოდვისკენ, ცოდვა კი სულის სიკვდილია. ევქარისტია ორი ნაწილისგან შედგება: პურისა და ღვინის გადაქცევა უფლის ხორცად და სისხლად და ამ წმიდა ძღვენის ზიარება. სწორედ ამიტომაც ეწოდება მას საიდუმლო, უფლის სერობა, უფლის ტრაპეზი. ამ საიდუმლოში ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეწოდება „ზეციური პური და სასმელი სიცოცხლისა,“ „უსისხლო მსხვერპლი“. ეს უდიდესი საიდუმლო ქრისტემ მანამდე აღუთქვა ადამიანებს, სანამ პირველად აღასრულებდა მას საიდუმლო სერობაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, ვინც გულწრფელად, სათნოებით, უფლის მცნებების დაცვით ეზიარება ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ექნება საუკუნო ცხოვრება და ბოლო ჟამს აღდგება დიდების სასუფევლისთვის. ადამიანი მხოლოდ ზიარებით ხდება ზიარების ღირსი, რადგანაც, ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღების გარეშე არ ძალგვიძს, ვძლიოთ ჩვენსავე ვნებებს და სული განვიწმინდოთ მისგან. ამგვარად, ის, ვინც გამუდმებით არ ეზიარება, კარგავს ყოველივე ზეციურ და საღმრთო სიკეთეს. მოციქულთა მერვე და მეცხრე კანონები, რომლებიც მეექვსე მსოფლიო კრებამ დაადასტურა, გვაუწყებენ და ამტკიცებენ ხშირი ზიარების აუცილებლობას.

**ნათია უტიაშვილი**

## ღვთისმშობლის საგალობელი

982 წელს, წმიდა ათონის მთაზე, კარიესის მახლობლად, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის პატარა სენაკში, ბერები თავიანთ მორჩილებთან ერთად მოსაგრეობდნენ.

10 ივნისს, შაბათ საღამოს, ხუცესი ღამისთევის მსახურებისთვის კარიესში გაემართა, მორჩილი კი აკურთხა, უთხრა, სენაკიდან არ გამოსულიყო და თვითონვე წაეკითხა ლოცვები.

ის იყო დაბინდდა, რომ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ახალგაზრდა მოღვაწემ კარი გააღო და უცნობი ბერი დაინახა. მათ ერთად დაიწყეს ლოცვა. კანონის მეცხრე საგალობლის წინ, ახალგაზრდამ იმ დროისათვის ცნობილი წმიდა კოსმას საგალობელი იგალობა – „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა...“ ის იყო, დაამთავრა, რომ სტუმარმა სასწაულებრივად იგალობა მანამდე უცნობი საგალობელი – „ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ, შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად უბიწოდ და დედად ღვთისა ჩვენისა...“ ახალგაზრდამ ეს რომ მოისმინა, აღტაცებით უთხრა:

– ჩვენ მხოლოდ „უპატიოსნესსას...“ ვგალობთ, „ღირს არსი...“ პირველად მესმის. გთხოვ, დამიწერე ეს ლოცვა და მეც ასე ვადიდებ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს.

– მომეცი კალამი და ქაღალდი.

– სამწუხაროდ, არც ერთი არ მაქვს.

– მაშინ, დაფა მომეცი.

ბერმა მოუტანა დაფის ნაჭერი, სტუმარმა კი თითით დაწერა მასზე ეს საგალობელი, თითქოს ის რბილი თიხისაგან ყოფილიყო დამზადებული.

– ამიერიდან უკუნისამდე იგალობეთ თქვენც ეს საგალობელი! – უთხრა ღამის სტუმარმა და გაუჩინარდა.

ზეციდან ღვთის მიერ წარმოგზავნილი ანგელოზი იყო, რომელსაც ადამიანებისათვის ანგელოზებრივი გალობა უნდა გამოეცხადებინა. როდესაც ხუცესი ღამისთევიდან დაბრუნდა და მომხდარის შესახებ შეიტყო, ადიდა სამპიროვანი ღმერთი და მადლობდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს მისი გასაოცარი წყალობისათვის. შემდეგ მან მომხდარის შესახებ წმიდა მთის პროტს აცნობა. მან კი, თავის მხრივ, ანგელოზის თითით დაბეჭდილი დაფა კონსტანტინოპოლში პატრიარქთან გაგზავნა და თან დაურთო სასწაულის აღწერა. მას შემდეგ ეს მთავარანგელოზის გალობა შეტანილია ღვთაებრივ ღვთისმსახურებაში და დღემდე იგალობება მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაზე.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს, რომლის წინაშეც ეს სასწაული აღსრულდა, „ღირს არსი“ ეწოდა. ის ათონის საკრებულო ტაძარში დააბრძანეს. „სვინაქსარის“ თანახმად, ანგელოზი, რომელმაც ბერს ეს საოცარი საგალობელი უგალობა, მთავარანგელოზი გაბრიელი იყო.

## ჯვარი მტვერში

1991 წლის გაზაფხულზე მოსკოვში ახალი ბინა მივიღეთ – იგონებს კონსტანტინე სკურატი (მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი, საეკლესიო ისტორიის დოქტორი) და მაშინვე შევსახლდით. როგორც წესი, ახალაშენებულ ბინაში ხან გათბობა გამოირთვება, ხან დენი ან ლიფტი, წყალიც – არა მხოლოდ ცხელი, არამედ ცივიც... ამიტომ, მოსკოვში სასულიერო სკოლის მეცადინეობებზე რომ ვიყავი წმიდა სამების სარგის ლავრის სასტუმროში დაბინავებულმა, საღამოს აბაზანის მიღება გადავწყვიტე. განზრახვის აღსრულების შემდეგ, სასტუმროს ნომერში დავბრუნდი და უეცრად გამახსენდა, რომ აბაზანაში ოქროს ჯვარი დამრჩა. იგი ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო. 1991 წელს უცხოეთშიც და ჩვენს ქვეყანაშიც ყველა მოგზაურობისას მუდამ თან მქონდა. თან მქონდა ათონის წმიდა მთაზე, იერუსალიმში მაცხოვრის საფლავზე დავდე, ბარში (იტალია) – წმიდა ნიკოლოზის წმიდა ნაწილებთან. წმიდა სამების სერგის ლავრაში – ჩვენ დიდი ღირსი მამის, სერგის წმიდა ნაწილებთან... ათონზე მისთვის გრძელი ვერცხლის ჯაჭვი ვიყიდე... დანაკარგის აღმოჩენისთანავე სააბაზანოსკენ გავემართე, მაგრამ უკვე დაკავებული აღმოჩნდა. დაველოდე, და როგორც კი გათავისუფლდა, ჯვრის ძებნა დავიწყე, მაგრამ ვერსად მივაგენი. არც იმას ენახა, ვინც ჩემ შემდეგ დაიკავა სააბაზანო ოთახი. მაშინ საკუთარ ნაკვალევს გავყევი და სასტუმროს ნომრის თითოეული მეტრი გულმოდგინედ დავათვალიერე და მაშინ, როცა ზემოთა თარო მოვსინჯე ხელით, აღმოვაჩინე მტვრით დაფარული ალუმინის ჯვარი. ერთ მხარეს ჯვარცმა იყო გამოსახული, მეორეზე კი სიტყვები: „შემინდე და შემიწყალე“. გავწმინდე მტვრისგან, ვემთხვიე ჯვარს, გავუყარე ძაფი და გულზე დავიკიდე... მაშინვე გამიჩნდა აზრი, რომ ის ჯვარი ჩემთვის არ იყო განკუთვნილი. საკვირველია, განვიცდიდი, რომ ჩემთვის მეტად ძვირფასი ჯვარი დავკარგე, მაგრამ რადგან მეორე ვიპოვე, არათუ დავმშვიდდი, თითქოს რაღაც სიხარულიც ვიგრძენი... და რა მოხდა? ყოველგვარი შემდგომი ძებნის გარეშე, იქვე აღმოჩნდა ჩემი დაკარგული ჯვარიც.

აზრი, რომელიც მტვერში დაკარგული ჯვრის პოვნის დროს გამიჩნდა, დღემდე დამრჩა. ოქროს ჯვარი სახლში სიწმიდეების კუთხეში დავკიდე, წმიდა ხატების გვერდით. ძაფით მოქსოვილ თოკზე კი ვატარებ იმ ალუმინის ჯვარს, რომელზეც ჯვარცმული მაცხოვარია გამოსახული და ამოტვიფრულია მისკენ მიმართული სიტყვები: „შემინდე და შემიწყალე“.

## მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: მოქმედებს თუ არა ცოდვის გამომწვევი საგნების ქონა ოჯახში მცხოვრებთა სულებზე?**

**პასუხი:** არათუ მოქმედებს, არამედ ამახინჯებს კიდეც სულს, განსაკუთრებით მოზარდებისას – ბავშვები ხომ უფრო მეტად მგრძნობიარენი არიან ყველაფრის მიმართ. ამიტომ, უფრთხილდით სახლში ღვთისმგმობი ლიტერატურის არსებობას, ბანქოს, სიგარეტის კოლოფებს, პორნოგრაფიას (ჟურნალები, ფილმები) და ასე შემდეგ.

**კითხვა: გამიგია, რომ შავი გიშერი ავი თვალისგან გვიცავს, ადამიანის გათვალვის შემთხვევაში კი ის იბზარება. ამის გათვალისწინებით, შავი გიშრის ჯვარი ხომ არ ვატარო?**



**პასუხი:** გიშრის გაბზარვის მიზეზი შეიძლება იყოს მისი ცუდი ხარისხი, ანუ, ქვის ხარისხი და არა ავი თვალი. ამიტომ მსგავს ინფორმაციას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ისე კი, შეგიძლიათ, მშვიდად ატაროთ როგორც შავი გიშრის, ისე ნებისმიერი სხვა მასალის ჯვარი.

**კითხვა: ზოგიერთ ეკლესიას რამდენიმე შესასვლელი კარი აქვს. აქვს თუ არა რამე მნიშვნელობა, რომელი კარიდან შევალთ ტაძარში?**

**პასუხი:** როდესაც წირვა-ლოცვის დროს ტაძარში ბევრი ხალხი იკრიბება, რამდენიმე კარის არსებობა უფრო ხელსაყრელია. ამიტომ, ისარგებლეთ იმ კარით, რომელიც მოცემულ სიტუაციაში უფრო ახლოსაა. სხვა დატვირთვა მათ არ აქვთ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, წმიდა წერილი მჯდომარე მდგომარეობაში წავიკითხო?**

**პასუხი:** შეგიძლიათ, დაჯდეთ და ისე წაიკითხოთ, მაგრამ სასოება არ შეამციროთ.

## მამა გაბრიელის გამონათქვამები

ღმერთი არ იძლევა დიდ ნიჭს დიდი განსაცდელის გარეშე. ღმერთი ყველას იმ ზომით მოგვივლენს განსაცდელს, რისი ატანაც შეგვიძლია. შესაბამისად გვეძლევა ღვთის მადლიც.

***

ნათლული რომ წარწყმდეს და ჯოჯოხეთში მოხვდეს, ნათლიასაც მოეკითხება, თუ როგორ და რამდენად იზრუნა მან თავისი ნათლულის სულის გადარჩენისთვის.

ზიარებისთვის პირველად მისული კაცი, მღვდელმა, მიუხედავად მისი ცოდვების სიმძიმისა, აუცილებლად უნდა აზიაროს.

***

ნუ მოგერიდებათ, რომ ყოველთვის და ყველაფერს ჯვარი გარდასახოთ. ჯვარშია მთელი ძალა.

***

საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს. ქართველ ერს მიცემული აქვს სიყვარულის ნიჭი და თუ არ გამოიყენა ეს ძალა, როგორც იონა წინასწარმეტყველი გადაყლაპა ვეშაპმა, ისე მოუვა მასაც. თქვენი ნიჭი რწმენაა, ამრავლეთ იგი და სხვებსაც ეს უთხარით.

***

ყველა უნდა გიყვარდეს, მაგრამ, თუ ვერ შეძელი ყველას სიყვარული, სიკეთე მაინც უნდა გინდოდეს ყველასთვის.

***

საშინელი განსაცდელი მოელის ყველას, ვინც აბორტს იკეთებს, აკეთებს ან ამის ნებას იძლევა. სანამ დროა, უნდა შეინანონ ცოდვები და განუწყვეტლივ ილოცონ ღვთის წინაშე, რომ ჩვილთმკვლელობის ცოდვა მიეტევოთ.

***

ბოლო ჟამია, თქვენ ანტიქრისტეს მოესწრებით, იგი კარზე კი არ აკაკუნებს, არამედ შემოგლეჯას ლამობს. ცალცალკე ნუ ივლით, ერთად იარეთ, რომ ბოროტებამ არ გადაგჩეხოთ, ლოცვა მთებს ძრავს.

***

პროდუქტებზე რომ აწერენ ანტიქრისტეს რიცხვს, ვერაფერს დაგიშავებთ. ეს არ არის ბეჭედი. უნდა თქვათ „მამაო ჩვენო“, ჯვარი გარდასახოთ, ასხუროთ ნაკურთხი წყალი და ასეთი საჭმელი განიწმინდება.

***

გულით სინანული მეტია ცრემლით სინანულზე.

***

წმიდა წინასწარმეტყველების – ენუქისა და ელიას ბრძოლას ანტიქრისტესთან ტელევიზიით გადასცემენ.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ტონი კროოსი – გერმანიის ნაკრების ლიდერი და „რეალის" ახალწვეული

*მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ აქტუალური გახდა სატრანსფერო ციებ-ცხელება. ევროპული გრანდების ნადირობა ფეხბურთელებზე აქტიურ ფაზაში შევიდა და უკვე ცნობილია რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერის შესახებ. ერთ-ერთი ასეთია გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის, ტონი კროოსის გადაბარგება მადრიდულ სუპერკლუბში – „რეალში".*

*გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს მსოფლიოს ჩემპიონის, ტონი კროოსის შესახებ.*




* ტონი კროოსის დედა, ბრიგიტა კროოსი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი იყო ბადმინტონში.
* მამა, როლანდ კროოსი, ბავშვთა პროფესიონალი საფეხბურთო მწვრთნელია, რომელიც დღემდე ავარჯიშებს ბავშვებს.
* ტონის ჰყავს უმცროსი ძმა, ფელიქსი, ასევე ფეხბურთელი, რომელიც ამჟამად ბრემენის „ვერდერში" ირიცხება.
* დიდი ხანია, ტონი კროოსი ჯესიკა ფარბერს ხვდება. გასულ ზაფხულს წყვილს ვაჟი – ლეონი ეყოლა.
* 24 წლის ასაკში ტონი კროოსს 50-მდე მატჩი აქვს ჩატარებული გერმანიის ნაკრებში.
* ტონის ორი ძაღლი ჰყავს: იული და ლენოქსი.
* მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად ტონი კროოსს შვეიცარიელი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი მიაჩნია.
* ბავშვობაში ტონი კროოსი „ვერდერის" ფრანგ ნახევარმცველ იოან მიკუს ჰბაძავდა თამაშის სტილით.
* თავისუფალ დროს ტონი კროოსი პოკერის ან „სონი ფლეისთეიშენის" თამაშით ერთობა. მისი თქმით, რომ არა ოჯახი, ის გაცილებით მეტ დროს დაუთმობდა თამაშებს.
* თამაშის დღეს ტონი კროოსი მხოლოდ სპაგეტითა და ინდაურის ხორცით სადილობს.
* მადრიდში გადაბარგებამდე ტონი კროოსი საყვარელ ქალაქებად ლონდონსა და ბარსელონას ასახელებდა.
* გიუნტერ ნეტცერის, ული შტილიკეს, პაულ ბრაიტნერის, ბოდო ილგნერის, ბერნდ შუსტერის, კრისტოფ მეტცელდერის, მესუთ იოზილისა და სამი ხედირას შემდეგ, ტონი კროოსი მეცხრე გერმანელია ისტორიაში, რომელიც „რეალის" მაისურს მოირგებს.
* ტონი კროოსის პრეზენტაციაზე მადრიდული სუპერკლუბის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა განაცხადა, რომ აწ გარდაცვლილი ლეგენდა, ალფრედო დისტეფანო, აღფრთოვანებული იქნებოდა ამ ტრანსფერით.

## კალიფორნია ექვს შტატად დაიყოფა

ამ იდეის განსახორციელებლად ამერიკელმა კაპიტალისტმა და მილიარდერმა ტიმ დრეიპერმა 4,9 მილიონი ჩადო და 5 თვეში 1,3 მილიონი ხელმოწერაც მოაგროვა. ამ შტატში მცხოვრები 38 მილიონი მცხოვრებიდან ასეთი ხმის უფლება 23,9 მილიონს აქვს, რეფერენდუმის ჩასატარებლად კი მხოლოდ 808 ათასი ხელმოწერაა საკმარისი.

„ჩვენ მზად ვართ ცვლილებებისთვის – ვაქციოთ ერთი არაეფექტური შტატი ექვს ძლიერ, აყვავებული შტატად, რომელსაც სწრაფად რეაგირებადი, ლოკალური, პროგრესული მთავრობა ეყოლება", – განაცხადა დრეიპერმა. მისი გეგმით, სან-ფრანცისკო, ოკლენდი, სან-ხოსე, სანტა-კრუსი და მონტერეი – სილიციუმის ველის შტატში გაერთიანდება; სან-დიეგო და ორანჟის ოლქი – სამხრეთ კალიფორნიის შტატში; ლოს-ანჯელესი და სანტა-ბარბარა – დასავლეთ კალიფორნიაში. სტოკტონი და სიერუ, სხვა ცენტრალურ ოლქებთან ერთად – ცენტრალურ კალიფორნიას შექმნის, სონომი და საკრამენტო – ჩრდილოეთ კალიფორნიას, ხოლო უკიდურესი ჩრდილოეთის ტერიტორიები ჯეფერსონის შტატში შევა.

ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ მილიარდერის ჩანაფიქრი სათავეშივე განწირულია. მათი აზრით, იდეას მხარს არ დაუჭერს ამერიკის კონგრესი, გამოკითხვამ კი აჩვენა, რომ მოსახლეობის 59 პროცენტი კალიფორნიის მთლიანობას უჭერს მხარს.

ტიმ დრეიპერმა 1985 წელს დააფუძნა კომპანია Draper Fisher Jurvetson, რომელიც ინვესტიციებითაა დაკავებული, მათ შორისაა Skype და Tesla Motors.

## 23,6 მილიარდი დოლარი ჯარიმა – არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდებისთვის

ფლორიდის შტატის სასამართლომ თამბაქოს კომპანია R.J.Reynolds-ს მაიკლ ჯონსონის ქვრივის სასარგებლოდ 23,6 მილიარდი დოლარი ჯარიმის გადახდა დააკისრა. ქალბატონმა სინტიამ სარჩელი 2008 წელს შეიტანა. მისმა ქმარმა 13 წლის ასაკში დაიწყო მოწევა და დღეში ერთიდან სამ კოლოფამდე ეწეოდა. ის 36 წლის ასაკში გარდაიცვალა და ბოლო დღემდე ვერ დაანება მოწევას თავი, რადგან R.J.Reynolds-მა არასაკმარისი ინფორმაცია მიაწოდა მოწევის მავნებლობის შესახებ, რაც მისი ქმრის სიკვდილის მიზეზი გახდა. სინტიას დაცვის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ეს ყველაზე დიდი ჯარიმაა ფლორიდის შტატში მსგავსი საქმეების ისტორიაში. მართალია, 1994 წელს საქმე აღიძრა თამბაქოს სხვადასხვა კომპანიის წინააღმდეგ და 2000 წელს გამოტანილი განაჩენით კომპანიებს 145 მილიარდი დოლარის გადახდა დაეკისრათ, მაგრამ 2006 წელს ფლორიდის უმაღლესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა.

აღსანიშნავია, რომ კომპანია R.J.Reynolds ამერიკაში სიდიდით მეორეა Philip Morris International-ის შემდეგ. ის უშვებს ისეთ ცნობილ სიგარეტებს, როგორებიცაა: Camel, Pall Mall და Winston.

## ნეიმარმა სასამართლო მოიგო

ფეხბურთის ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, ნეიმარმა, სასამართლოში უჩივლა და საქმე მოუგო „ფლეიბოის" ბრაზილიურ გამოცემას. ივლისის ნომრის ყდაზე „ფლეიბოიომ" სექსუალური მოდელის, პატრისია ჟორდანის ფოტოსურათი განათავსა, რომელზეც ეწერა: „ლამაზმანი, რომელმაც ნეიმარი მოხიბლა". ჟურნალის გამოსვლამდე ბრაზილიური მედია იუწყებოდა, რომ ნეიმარს რომანი ჰქონდა პატრისიასთან. ნეიმარის მტკიცებით, ის არ იცნობს პატრისიას და ამჟამად მოდელ გაბრიელა ლენზის ხვდება, რომელთანაც რომანი აქვს. 22 წლის ვარსკვლავმა უჩივლა გამოცემას და „ფლეიბოის" ეს ნომერი მთლიანად ამოიღეს გაყიდვის ქსელიდან.

## „რეალ მადრიდი" – ყველაზე ძვირად ღირებული კლუბი მსოფლიოში

ჟურნალმა „ფორბსმა" მსოფლიოს უმდიდრესი საფეხბურთო კლუბების ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის პირველ ადგილზე ესპანური გრანდი, სამეფო კლუბი „რეალ მადრიდი" მოხვდა. მადრიდელების ფასი 3,44 მილიარდი დოლარია; მეორე ადგილზე „ბარსელონაა" 3,2 მილიარდი დოლარით, ხოლო მესამე ადგილზე – წინა წლების ლიდერი „მანჩესტერ იუნაიტედი" 2,8 მილიარდი დოლარით. მსოფლიოს უმდიდრეს კლუბებს შორის ფიგურირებენ: „არსენალი" – 1,33 მილიარდი დოლარი; „ბაიერნი" – 1,85 მილიარდი დოლარი; „ჩელსი" – 0,87 მილიარდი დოლარი; „მილანი" – 0,85 მილიარდი დოლარი.

## ირინა შეიკის პიკანტური ფოტოები იტალიური ბრენდისთვის



რუსმა სუპერმოდელმა ირინა შეიკმა მორიგ პიკანტურ ფოტოსესიაში გაიელვა თავისი უმშვენიერესი სხეულით. იტალიურმა ბრენდმა „ტვინ სეტმა" სწორედ კრიშტიანუ რონალდუს საცოლე შეარჩია თავისი ახალი, 2014-2015 წლების სეზონის კოლექციის სახედ და, ფოტოებიდან გამომდინარე ნათელია, რომ კომპანიამ იდეალური არჩევანი გააკეთა.

## ხავიერ ძანეტი ბოროტმოქმედების ხელში ჩავარდა

ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი, მილანის „ინტერის" კაპიტანი ხავიერ ძანეტი ბუენოს-აირესის ერთ-ერთ უბანში მძარცველების მსხვერპლი გახდა. შეიარაღებულმა პირებმა ხავიერი და მამამისი ავტომობილიდან გადმოსვეს, იარაღის მუქარით ჩამოართვეს ძვირად ღირებული ნივთები და გაურკვეველი მიმართულებით მიიმალნენ. ბუენოს-აირესის ჟანდარმერიის თქმით, მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა დამნაშავეების დაკავება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ცნობისთვის, ძანეტიმ სპორტული კარიერა 41 წლის ასაკში, გასული სეზონის ბოლოს დაასრულა და ამჟამად მილანური კლუბის დირექტორად მუშაობს.

გვერდი მოამზადა
უშანგი რუხაძემ

# ბილ გეითსი – მსოფლიოს ნომერ პირველი მილიარდერი

***ბილ გეითსმა 2014 წელს „ფორბსის" მილიარდერთა რეიტინგში ლიდერობა დაიბრუნა. მისი კაპიტალი 80 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს და ის ისევ მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანია.***

* ბილ გეითსი ოფიციალურად არის დასახელებული ყველაზე წარმატებულ ადამიანად მათ შორის, ვინც მიატოვა სწავლა ჰარვარდის უნივერსიტეტში. სხვათა შორის, წლების შემდეგ, გეითსმა მაინც დაასრულა სწავლა ჰარვარდში და საპატიო დიპლომი მიიღო.



* თავდაპირველად გეითსის მიერ დაარსებული კომპანიის სახელწოდება ცალ-ცალკე იწერებოდა „Micro Soft".

* 17 წლის ასაკში ბილ გეითსმა თავისი პირველი კომპიუტერული პროგრამა სკოლის ადმინისტრაციას 4 200 დოლარად მიჰყიდა.

* ბილ გეითსის დიდი ბაბუა მოსამართლე და მერი იყო; ბაბუა – შტატის სახელმწიფო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო მამა – წარმატებული ადვოკატი.

* ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორებს ბილ გეითსმა განუცხადა, რომ 30 წლის ასაკში მილიონერი გახდებოდა.

* 31 წლის ასაკში ბილ გეითსი მილიარდერი გახდა.

* თავისი პირველი პროგრამა გეითსმა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს დაწერა და ის ეხებოდა სასწავლო საათების დაგეგმარებას. ამ პროგრამის საშუალებით, გეითსი საკუთარ თავს იმ კლასებში ახვედრებდა, რომლებშიც საუკეთესო გოგონები სწავლობდნენ.

* ბილ გეითსი და მელინდა ფრენჩი 1994 წელს ჰავაის ერთ-ერთ კუნძულზე დაქორწინდნენ. ეს კუნძული გეითსმა სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის იქირავა.

* ბილ გეითსი ყოველწლიურად ერთ მილიონამდე დოლარს იხდის კომუნალურ გადასახადებში.

* ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო და საშინაო ვალი 5,62 ტრილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. თუკი ბილ გეითსი ამ ვალის გასტუმრებას დააპირებს, მას ამაზე ათ წელზე ნაკლები დასჭირდება.

* ბილ გეითსს უყვარს ჩოგბურთის, გოლფისა და ბრიჯის თამაში.

* 1977 წელს ბილ გეითსი ნიუ-მექსიკოს შტატის ქალაქ ალბუკერკეს პოლიციამ დააპატიმრა ავტომობილის მართვის მოწმობის გარეშე ტარებისა და წითელ შუქზე შუქნიშნის დაუმორჩილებლობის გამო.

* საერთო ჯამში, ქველმოქმედებაზე ბილ გეითსს თავისი სახსრებიდან 30 მილიარდამდე დოლარი აქვს დახარჯული.

* ბილ გეითსი ცნობილი აგნოსტიკოსია. ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვაზე, სწამს თუ არა მას ღმერთის, გეითსმა უპასუხა: მე არ გამაჩნია მისი არსებობის არანაირი ფაქტები.

* სიკვდილის წინ სტივ ჯობსი ბილ გეითსის მიერ გამოგზავნილ გამოსამშვიდობებელ წერილს კითხულობდა.

* 1994 წელს ბილ გეითსმა 30 მილიონ დოლარად ლეონარდო და ვინჩის ნამუშევართა კრებული – „ლესტერის კოდექსი" შეიძინა. 2003 წლიდან ექსპონატი სიეტლის მუზეუმშია გამოფენილი.

# მხოლოდ ფაქტები

* დიზაინერმა მელანი ჩერნოკიმ გამოუშვა თითქოს უჩვეულო საგანთა ნაკრები – სასმელი, შოკოლადი, ცხვირსახოცები, დისკი მუსიკალური ჩანაწერებით; ჩათვალა, რომ ყველაფერი ეს ძალიან ეხმარება ადამიანებს საყვარელ ადამიანთან განშორების გადატანაში და „გატეხილი გული" უწოდა.

* ო ჰენრიმ ლიტერატურული მოღვაწეობა ციხეში დაიწყო.

* ქვიშის საათით სიცხეში დრო ნელა გადის, სიცივეში – უფრო სწრაფად, რადგან სიცხეში მარცვლების შეჭიდულობა წნევის გამო იზრდება და ქვიშის ცვენის სიჩქარე მცირდება.

* მეჩვიდმეტე საუკუნეში, ავსტრია-უნგრეთის ომის შემდეგ, ვინმე კოლშიცკი, რამდენიმე ტომარა ყავის მარცვლით თურქეთიდან მშობლიურ ვენაში დაბრუნდა და ყავას მთელ ევროპაში გაუთქვა სახელი.

* ინდონეზიის არქიპელაგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია: ერთი კუნძული იძირება, მეორე – წარმოიქმნება.

* კოპერნიკმა წინასიტყვაობაში დაწერა, რომ წიგნი სემპრიონიის ეპისკოპოსის თხოვნით შეიქმნა. სწორედ მისი თხოვნით, საეკლესიო კალენდრის დასაზუსტებლად, კოპერნიკი შეუდგა მზისა და დედამიწის მოძრაობებზე დაკვირვებას.

* სანკტ-პეტერბურგში მდებარე, ეგრეთ წოდებული მიხაილოვის სასახლე, დღესაც პაველ პირველის ფავორიტის – ანა გაგარინას ხელთათმანის ფერადაა შეღებილი.

* სიერა-ლეონეში აღმოაჩინეს ალმასის საბადოები. ამ ქვეყნის მცხოვრებლებმა მიწის თხრა საკუთარი სახლების ქვეშაც დაიწყეს, რამაც ნაგებობათა მასობრივი ნგრევა გამოიწვია.

* „ნასა" გეგმავს, მთვარის ორბიტაში ეგრეთ წოდებული ასტრონომიული ლასოთი მიიტანონ ასტეროიდი, რომლის შესწავლასაც შეუდგებიან მეცნიერები. შერჩეული ასტეროიდების რაოდენობა ორამდე შემცირდა.

* ავსტრია-უნგრეთში დაბადებული მილუტინ მილანკოვიჩი დააპატიმრეს და სამხედრო ტყვის სტატუსით ჩასვეს ციხეში, რათა გამოთვლებით დაემტკიცებინა თავისი თეორია გამყინვარების შესახებ.

* ფრენკ სინატრას ცნობილი სიმღერა „ჩემი ხმა" ისე მოეწონათ მომღერლის თაყვანისმცემელ ფილიპინელებს, რომ რამდენიმე ადამიანიც კი მოკლეს – ისინი, ვინც კარგად ვერ მღეროდნენ. ამიტომ 1970-იან წლებში ეს სიმღერა კარაოკეებიდან ამოიღეს.

* ასტრონომიაში ობიექტებს, რომლებიც გრავიტაციით არ არიან მიჯაჭვულნი დიდ პლანეტებზე ან ვარსკვლავებზე, „პლანეტა-ობლებს" ეძახიან.

# ჯონი დეპი – ჰოლივუდის უკანასკნელი „მეკობრე"

***ჯონი დეპი ყველაზე ცნობილი „მეკობრეა" თანამედროვე ჰოლივუდელ მსახიობებს შორის. ის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი და მილიონობით ქალის გულთამპყრობელია.***

* დეპის საყვარელი სასმელია შოტლანდიური ვისკი – Lagavulin.

* ფილმ „კარიბის ზღვის მეკობრეებში" ჯონის ხელზე სპეციალურად დაუხატეს ტატუები. ფილმის გამოსვლის შემდეგ ჯონიმ ზუსტად იმავე ნახატის მიხედვით ნამდვილი ტატუირება გაიკეთა, იმ განსხვავებით, რომ ბელურა სხვა მიმართულებით მიფრინავდა; ხოლო, სახელი „ჯეკი" მისი შვილის პატივსაცემად ეწერა და არა თავისი გმირის, მეკობრე ჯეკ ბელურას.



* მისი სრული სახელი და გვარია: ჯონ კრისტოფერ დეპ მეორე.

* ჯონი დეპის წინაპრები იყვნენ ჩეროკის ტომის ინდიელები, ირლანდიელები და გერმანელები.

* ჯონი დეპი ფლობს სერიული მკვლელის, ჯონ უეინ გეისის ფერწერული ტილოების კოლექციას.

* ჯონი დეპი მარლონ ბრანდოს შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელია.

* ჯონი დეპის სხეულზე 13 სხვადასხვა სვირინგია.

* ჯონის მშობლები მაშინ განქორწინდნენ, როდესაც ის 16 წლის იყო.

* ბავშვობაში ჯონი ხშირად იყო დაცინვის ობიექტი თანატოლებს შორის, ისინი მას „ჯონი დიპის" – „ჯონი შეშლილს" ეძახდნენ (dippy – შეშლილი).

* ჯონი დეპი აბსენტის დიდი მოყვარულია, ასევე მისი ჰობია იარაღის და მწერების კოლექციონირება.

* ჯონი დეპის კინოდებიუტი შედგა 1984 წელს, საკულტო საშინელებათა ფილმში – „კოშმარი თელას ქუჩაზე," სადაც მან ლეგენდარული ფრედ კრიუგერის მსხვერპლის როლი განასახიერა.

* 2004 წელს ჯონი დეპმა ატლანტიკის ოკეანეში, ბაჰამის კუნძულებიდან ერთ-ერთი შეიძინა. კუნძულის ოფიციალური სახელწოდება Little Hall's Pond Cay, თუმცა ჯონი მას „შორეულ კუნძულს" უწოდებს.

* „კარიბის ზღვის მეკობრეებში" თავისი გმირის, კაპიტან ჯეკ ბელურას როლზე მუშაობის დროს, ჯონი „როლინგ სთოუნზის" გიტარისტის, კიტ რიჩარდსის ქცევებისა და მიმიკის კოპირებას ახდენდა. მოგვიანებით კიტ რიჩარდსმა მამამისის როლი ითამაშა გახმაურებულ ბლოკბასტერში.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**



## საუზმეზე რძე და ბანანი მიირთვით

დილა საუკეთესო დროა ნივთიერებათა ცვლის ოპტიმიზაციისთვის. ამიტომ, აუცილებლად ისაუზმეთ დილით, რადგან, თქვენ მიერ მიღებულ საკვებზე ბევრადაა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად დახარჯავთ კალორიებს მთელი დღის განმავლობაში.

ღამით სასიცოცხლო პროცესები ნელდება, ამიტომ, აქტიური გამოფხიზლება დილითაა საჭირო. მაგიდას გამოღვიძებიდან არაუგვიანეს ერთი საათის შემდეგ მიუჯექით, მაშინაც კი, როცა მადა არ გაქვთ და საერთოდ არ გშიათ.

უმჯობესია, დილით ნახევარი ჭიქა შვრიის ფაფა, ნახევარი ჭიქა რძე და ერთი ცალი ბანანი მიირთვათ, ან, ერთი ცალი მოხარშული კვერცხი ჭამოთ და გრეიპფრუტი დააყოლოთ.

ახალგამოღვიძებულმა, აუცილებლად დაუთმეთ რამდენიმე წუთი ვარჯიშს: ოცჯერ მაინც ჩაბუქნეთ და გააკეთეთ აზიდვები – ასე თქვენს ორგანიზმს არა მარტო გამოაფხიზლებთ, არამედ, ნივთიერებათა ცვლის პროცესებსაც დაირეგულირებთ.

## ახდენს თუ არა გავლენას მამაკაცის სქესობრივ ცხოვრებაზე არასწორი კვება

უამრავი ოჯახი ინგრევა დღეს არასრულყოფილი ინტიმური კავშირის გამო. ამას ძირითადად ორი მიზეზი აქვს: ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური. სექსუალური პრობლემების გადასაჭრელად, მთავარია, მოიძებნოს მიზეზი და დაისვას სწორი დიაგნოზი.

სექსუალური პრობლემების მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს, მაგალითად: ჰიპერტონია, სიმსუქნე, სხვადასხვა ინფექცია, ასაკი და ნიკოტინიც კი. პოტენციის დაქვეითება კაცს არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენს, უკარგავს თვითრწმენას, იწვევს დეპრესიას და ყველაფერი ეს კიდევ უფრო ამძიმებს მის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ მდგომარეობას. ასეთი პრობლემები უამრავ მამაკაცს აქვს. არადა, ძალიან ხშირად, ადვილად შეიძლება ამ გართულებების თავიდან აცილება და დაქვეითებული ერექციის სრული აღდგენა, თუკი ჯანმრთელობას ყურადღებას დროულად მიაქცევთ. ამისთვის საჭიროა იმ მიზეზების ცოდნა, რაც მამაკაცებში სქესობრივ დარღვევებს იწვევს.

განსაკუთრებით ბოლო წლებში, ერთ-ერთ ასეთ მიზეზად არასწორი კვება სახელდება. ამ დროს ირღვევა ნახშირწყლებისა და ცხიმების ნორმალური ცვლა, შედეგად, სისხლში შაქრის დონე იმატებს, რაც ხელს უშლის სასქესო ჰორმონის – ტესტოსტერონის გამომუშავებას და ანელებს მათ ნორმალურ ფიზიკურ განვითარებას. თუ სისხლში შაქრის დონე დროულად დარეგულირდება, თავისუფლად შეიძლება ამ ფუნქციის აღდგენა, ხოლო, თუ ამას ყურადღებას არ მიაქცევთ, მომავალში, შეიძლება, უნაყოფობაც გამოიწვიოს.

კაცებისთვის, რომლებსაც ზედმეტი წონის გამო აქვთ სექსუალური დარღვევები, დამახასიათებელია ტესტოსტერონის ჰორმონის ნაკლებობა. სისხლში შაქრის ჭარბი რაოდენობა იწვევს სისხლის შესქელებას, სქელი და ბლანტი სისხლის მიმოქცევა კი უფრო ნელია, რის გამოც ფერხდება ქსოვილების უზრუნველყოფა ჟანგბადითა და მკვებავი ნივთიერებებით. სისხლძარღვები გაჯერებულია ზედმეტი შაქრით, სქელდება და ქსოვილისა თუ ორგანოებისთვის აუცილებელ ნივთიერებებს ცუდად ატარებს. სწორედ ეს უშლის ხელს ერექციას. ასეთ შემთხვევაში, ორგანიზმი კარგავს დიდ ენერგიას და კუნთები სუსტდება, რაც იწვევს ქრონიკულ დაღლილობას და, საბოლოოდ – დეპრესიას.

ასეთ შემთხვევაში საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, უპირველესად კი – სისხლში შაქრის დონის შემოწმება. თუ შაქრის დონე აწეულია, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა დაარეგულიროთ და შემდეგაც ხშირ-ხშირად შეამოწმოთ. რაც უფრო დიდი ხნით იქნება სისხლში ჭარბი შაქარი, მით მალე დაიწყება პრობლემები სქესობრივ ცხოვრებაში.

სპეციალისტები მამაკაცებს არ ურჩევენ ტკბილეულის ჭარბად მიღებას. არასწორი კვება ზოგიერთის აღნაგობაზე არ აისახება, მაგრამ სისხლში ცვლილებები უმრავლესობას აღენიშნება. შაქარმა, შეიძლება, ცხოვრება სერიოზულად გაგირთულოთ და საყვარელ ადამიანთან პრობლემები შეგიქმნათ!

## სახის თითოეული ნაწილი გარკვეულ ორგანოს უკავშირდება და მის მდგომარეობაზე გვაძლევს ინფორმაციას

სახის ქვედა ნაწილში გამონაყარი ენდოკრინული პრობლემების ნიშანია; ასევე, შესაძლოა, საკვერცხეების დაავადებითაც იყოს გამოწვეული. ასეთი დარღვევები ამ ორგანოების დაძაბვაზე მეტყველებს. ხოლო, თუ გამონაყარი შუბლზე, ცხვირზე ან ზედა ტუჩზე ჩნდება ხშირად, ეს ნაწლავების დაავადების ბრალია. ასე რომ, თუ ნაწლავის პრობლემებს დროზე მიხედავთ, გამონაყარიც გაქრება.

თვალების ქვემოთ, უპეების შესიება საშარდე ბუშტის ანთებას მოასწავებს. თვალების ქვეშ შავი რგოლები – ღვიძლის პრობლემის ბრალია, ხოლო მოლურჯო შეფერილობის რგოლები – თირკმელების დაავადების ნიშანი.

სხეულზე გამონაყარიც გარკვეული ინფორმაციის შემცველია: ზურგის ზედა ნაწილში გამონაყარი იმაზე მიანიშნებს, რომ ლიმფური ქსოვილები წესრიგში არ არის; გამონაყარი ზურგის შუა ნაწილში კი ღვიძლის ფუნქციის დარღვევებზე მეტყველებს.

ღამით ღვიძლი აქტიურად მუშაობს. ამ ორგანოს მთავარი მიზანი ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნაა. სწორედ ეს ტოქსინები ხდება გამონაყარისა და სახის ფერის ცვლილების მიზეზი. ამიტომ, ყურადღება მიაქციეთ ძილის ხარისხსა და სწორ კვებას. ასევე, გირჩევთ, ყოველდღიურად დალიოთ მინერალური წყალი.

## ისპანახი კარგია ანემიის, ჰიპერტონიისა და შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ

ისპანახი ბევრ მნიშვნელოვან, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას შეიცავს. კერძოდ: ცილას, კაროტინს, $B_1$, D, E, H და K ვიტამინებს, ნახშირწყლებს, მინერალურ ნივთიერებებს, კალიუმს, კალციუმს, რკინასა და იოდს. ასეთი შემადგენლობის გამო, ის დიეტურ საკვებად გამოიყენება ისეთი დაავადებების დროს, როგორებიცაა: სისხლის პათოლოგია და ტუბერკულოზი. რკინის შემცველობის გამო, ისპანახი კარგია ანემიის დროს, საპონინების მოქმედებით ძლიერდება პერისტალტიკა და საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეცია კარგად მოქმედებს ყაბზობისა და მეტეორიზმის დროს. გარდა ამისა, ის რეკომენდებულია შაქრიანი დიაბეტისა და ჰიპერტონიის სამკურნალოდ.

ისპანახს აქვს ანტირაქიტული ზემოქმედება. ის დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. გამოიყენება პარადონტოზის საწინააღმდეგოდაც.

ისპანახი არ შეიძლება მათთვის, ვინც დაავადებულია ნიკრისის ქარით, ღვიძლისა და თირკმლის პათოლოგიით.

## გაიწმინდეთ ორგანიზმი წიდებისა და ტოქსინებისგან

თუ ორგანიზმს პერიოდულად არ წმენდთ ტოქსინებისა და წიდებისგან, ამით საფრთხეს უქმნით ჯანმრთელობას.

დაგროვილი ტოქსინებისა და წიდებისგან ორგანიზმის გაწმენდის ბევრი ხალხური საშუალება არსებობს:

* ყოველ საღამოს, ძილის წინ, ერთი თვის განმავლობაში, 1 სადილის კოვზ მოხარშულ და გატარებულ ხორბალს დაასხით ერთი ჭიქა კეფირი ან მაწონი და მიირთვით.

* დაიცავით შემდეგი სახის დიეტა ერთი კვირის განმავლობაში. მიირთვით მხოლოდ წყალზე დამზადებული, უცხიმო, ბოსტნეულის მსუბუქი სუპები, ხილი, წვენები, ბალახების ჩაი, გაზგასული მინერალური წყლები.

* კვირაში ორჯერ ორგანიზმს მოუწყვეთ განტვირთვის დღე და მიირთვით მხო-

ლოდ ბოსტნეულის წვენები. სასურველია, ამ დროს უპირატესობა გოგრის წვენს მიანიჭოთ.

* აფთიაქში შეიძინეთ მინდვრის შვიტა და ორი კვირის განმავლობაში დღეში ორჯერ ჩაის სახით მიირთვით.

* ყოველ დილით დალიეთ ცივი წყალი, რომელშიც 2 ჩაის კოვზ ლიმონის წვენს, 1 ჩაის კოვზ ვაშლის ძმარსა და 1 კოვზ თაფლს გაურევთ.

### ასაკის მატებასთან ერთად, ჭამეთ ბევრი ხაჭო, მაწონი, მარცვლეული და სეზონური ხილი

ასაკთან ერთად მკვეთრად იზრდება ოსტეოპოროზის განვითარების რისკიც. პროფილაქტიკისთვის ხალხურ მედიცინაში აპრობირებული მეთოდები დაგეხმარებათ.

მოხარშეთ 8 ცალი კვერცხი და გაფცქვენით. ნაჭუჭს მოაშორეთ აპკი, ნაჭუჭი კარგად გააშრეთ და დაფქვით. დააწვეთეთ ლიმონი და მიიღეთ დღეში ერთხელ. მკურნალობის კურსი სამი კვირაა.

ჩვენი საკვები რაციონი ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების, მინერალური მარილებისა და ბალასტური ნივთიერებებისგან შედგება, არადა, ხანდაზმულობის დროს აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებების ოპტიმალური ბალანსის დაცვა.

ასაკის მატებასთან ერთად, ფერხდება ორგანიზმის მიერ ნახშირწყლების ათვისება, მათ სიჭარბეს კი შეიძლება, შაქრიანი დიაბეტის განვითარება მოჰყვეს. ამიტომ, შეამცირეთ თქვენს რაციონში ცომეულის, ბრინჯისა და შაქრის შემცველი პროდუქტების მიღება. შეგიძლიათ, ისინი ჩაანაცვლოთ ჩირით, ნაკლებად ცხიმიანი ყველით და ასე შემდეგ.

რძის პროდუქტებიდან აუცილებელია მაწონი და ხაჭო. ისინი ხელს უშლის ნაწლავებში ლპობის გამომწვევი მიკრობების წარმოქმნას, არეგულირებს წვრილი ნაწლავის მუშაობას, ებრძვის კოლიტს, ანუ შეკრულობას და ანელებს ორგანიზმის დაბერების პროცესს.

ცხიმები კი, ეცადეთ, შეამციროთ. ჭამეთ რაც შეიძლება ნაკლები ქოლესტერინის შემცველი პროდუქტი, მაგალითად, ღვიძლი, ენა, კვერცხის გული. ხშირად გამოიყენეთ მცენარეული ცხიმი და მოერიდეთ ცხოველური ცხიმების მოხმარებას.

ასევე, ასაკის მატებასთან ერთად, იზრდება ორგანიზმის მოთხოვნა მინერალურ მარილებზე, კერძოდ, რკინაზე, მაგნიუმზე, კალციუმსა და სელენზე. ამ ელემენტებს კი დიდი რაოდენობით შეიცავს ქლიავი, ყველი, ყვავილოვანი კომბოსტო და გარგარის ჩირი.

იმისთვის, რომ ორგანიზმი საკმარისი ვიტამინებით მომარაგოთ, ხშირად მიირთვით ბოსტნეული, კერძოდ, ნიორი, ხახვი, სტაფილო, კომბოსტო, მწვანილი, წიწაკა; ასევე, ხილი – ჟოლო, ცირცელი და ასე შემდეგ, რადგან მათში ბევრია ბეტა-კაროტინი, B, C და E ვიტამინები.

ბალასტური ნივთიერებებით კი მდიდარია ქატო და მარცვლეული. ეს პროდუქტები მკვეთრად აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ამცირებს ჰიპერტონიისა და შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკს.



### ბოლოკი კარგი ანტიდეპრესანტია

ბოლოკში ბევრი უჯრედისია, აქვს ბაქტერიოციდული თვისებები, აკავებს მიკროორგანიზმების ზრდას, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. ამცირებს შაქრის დონეს სისხლში, ამაგრებს კაპილარებს. განსაკუთრებით სასარგებლოა ზეთმოსხმული ბოლოკი. იმ სალათებს კი, რომელშიც ბევრი კამა, ოხრახუში და სხვა სანელებლებია, ორგანიზმი იოლად ითვისებს.

თუ კუჭ-ნაწლავი გაწუხებთ, ბოლოკის წვენი უნდა მიიღოთ სტაფილოს წვენთან ერთად. შეგიძლიათ, მას მწიკვი მარილიც დაუმატოთ. ნაზავი დალიეთ ერთი სუფრის კოვზი, დღეში სამჯერ. ეს წვენი კარგია სისხლნაკლებობის დროსაც.

ბოლოკი კარგი ანტიდეპრესანტიცაა. ამიტომ, თუ გუნება-განწყობა გაგიუარესდათ, გირჩევთ, ჭამოთ ბოლოკისა და მწვანილის ზეთმოსხმული სალათა.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: მაწუხებს ჰაერის უკმარისობა. ხველა არ მაქვს, არც გაციებული ვარ. მაინტერესებს, რა დაავადების სიმპტომია ეს?**

**პასუხი:** ჰაერის უკმარისობის მიზეზი, შესაძლებელია, იყოს სისხლში ჰემოგლობინის დონის დაქვეითება; გარდა ამისა, ეს ჩივილი, შესაძლოა, გამოწვეული იყოს ვეგეტონევროზული აგზნებადობის მატებითაც. მიმართეთ ოჯახის ექიმს, რომელიც გასინჯვისა და გამოკვლევების საფუძველზე დაადგენს დიაგნოზს და მოგცემთ შესაბამის დანიშნულებას ან გადაგამისამართებთ სპეციალისტთან.

**კითხვა: 3 წლის გოგონა მყავს. უმი კარტოფილი უყვარს, ვაშლივით ჭამს. რას ნიშნავს ეს, რამის ნაკლებობაზე ხომ არ მიუთითებს?**

**პასუხი:** მართალია, უმი კარტოფილი კალიუმის წყაროა და აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას; გარდა ამისა, ორგანიზმს ეხმარება შლაკების გამოტანაში, მაგრამ, ბავშვებისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ მისი გადამუშავება ძნელია, დიდი რაოდენობით მისი მიღება სასურველი არ არის; არის თუ არა ორგანიზმში რამე მიკროელემენტის დეფიციტი, ამისათვის უნდა მიმართოთ პედიატრს, შესაძლოა, დაგჭირდეთ სისხლში გლუკოზისა და კალიუმის განსაზღვრა.

**კითხვა: ჩემი ქმარი გაკაწრა ძაღლმა და გაიკეთა 3 აცრა, ბოლო – 4 ივლისს. რამე გავლენას ხომ არ მოახდენს ჩემს დაორსულებაზე? თუ თავის შეკავებაა საჭირო?**

**პასუხი:** ნუ ღელავთ, აცრა ორსულობის დადგომაზე ზეგავლენას არ მოახდენს.

**კითხვა: სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებიდან რომლებზე კეთდება აცრა?**

**პასუხი:** კონტაქტამდე ვაქცინაცია წარმოადგენს ზოგიერთი სგგდ–ების (სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები) პრევენციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდს. ვაქცინაცია B ჰეპატიტის წინააღმდეგ რეკომენდებულია ყველა არაინფიცირებული, არავაქცინირებული პირისათვის, რომლებმაც სგგდ-ებზე გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას.

ადამიანის პაპილომა-ვირუსის საწინააღმდეგო კვადრივალენტური ვაქცინა (HPV ტიპი 6, 11, 16, 18) რეკომენდებულია ყველა მდედრობითი სქესის წარმომადგენლისათვის, 9-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში. კვლევები სხვა სგგდის ვაქცინაციის შესახებ ამჟამად მიმდინარეობს.

**კითხვა: ადამიანიდან ადამიანზე თუ გადადის ცოფი და როგორ?**

**პასუხი:** ცოფით ადამიანებს შორის ურთიერთდაინფიცირება იშვიათია. ცოფით დაავადებული ადამიანის უხვი ნერწყვით მეორე ადამიანის დაზიანებული საფარველის ინფიცირების შედეგად, დასაშვებია ადამიანიდან ადამიანზე ჰიდროფობიის გავრცელება, რის გამოც უნდა ჩატარდეს ანტირაბიული პროფილაქტიკური მკურნალობა.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# რა აკავშირებს ბუბა კიკაბიძეს პეტრე პირველთან და დედა ტერეზასთან

***საკმარისია, ახსენო სახელი – ბუბა, რომ მაშინვე გახსენდება ის ფილმები და სიმღერები, რითაც ის გაიცნო ქართულმა და არა მხოლოდ ქართულმა საზოგადოებამ. მან მთელი ცხოვრების განმავლობაში ბევრი იშრომა, იწვალა და, ისევე, როგორც ნებისმიერ ჩვენგანს, მასაც ჰქონდა იღბლიანი და უიღბლო პერიოდები; ვიღაცას მოსწონდა და ვიღაცას არ მოსწონდა; ვიღაცა, ნებსით თუ უნებლიეთ, გულსაც სტკენდა, ზოგჯერ საშინელ ჭორსაც უგონებდა, მაგრამ ის მაინც იდგა სცენაზე და ამ ადამინებისთვისაც მღეროდა.***

***ახლა კი გთავაზობთ მისი ცხოვრების დღიურებს, საიდანაც რამდენიმე გვერდი სპეციალურად ამოვარდნილია...***



ბუბას, როგორც მომღერლის კარიერა 1959 წლიდან იწყება, აი, იქიდან, მისი თაობის ბიჭები ქუჩაში და სადარბაზოებში რომ გროვდებოდნენ და გიტარით ხელში ლამაზ სიმღერებს მღეროდნენ. ერთხელ მეგობარმა სამედიცინო ინსტიტუტში თვითმოქმედი ანსამბლის რეპეტიციებზე მოსასმენად წაიყვანა. ბიჭს მიკროფონის დანახვაზე ლამის ჭკუა გადაეკეტა და მისი ხელში დაჭერის დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა. დედის მხრიდან (ბაგრატიონთა შტო) გამოირჩეოდა მუსიკალური ნიჭით. ძია ჯანოს, ჯანო ბაგრატიონის ჯაზ-ორკესტრი უკვე განთქმული იყო, სადაც ბუბას დედა, ქალბატონი მანანა ბაგრატიონიც მღეროდა. მართალია, ბუბა კულისებში გაიზარდა და სიმღერა მისთვის უცხო ხილი არ იყო, მაგრამ მომღერლობაზე სერიოზულად არასდროს უფიქრია, ყველაზე მეტად ხატვა იზიდავდა. იმ დღიდან კი, როცა მეგობარმა სამედიცინო ინსტიტუტში წაიყვანა, ქუჩაში აღარავის უნახავს. პირველად პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორკესტრში იმღერა, სადაც შემთხვევით მოხვდა ბიძაშვილის, უმცროსი ჯანო ბაგრატიონის ნაცვლად: მაშინ ჯანო მოსკოვში სტუდენტურ ფესტივალზე ავად გახდა და ბუბას სთხოვა, ჩემ მაგივრად შენ წადიო. მოსკოვში წასვლა მეგობრისგან ნათხოვარი პიჯაკითა და შარვლით მოუწია და მას მერე ესტრადაზე ფიქრი არ შეუწყვეტია. უცხო ენათა ინსტიტუტში ჩაბარებაც შემთხვევითი იყო. მერე ფილარმონიის ორკესტრ „რეროში" ძია ჯანომ მიიყვანა, მაგრამ, ხრინწიანი ხმა დაუწუნეს. ფილარმონიის საბჭოდან, სადაც ბუბას ხმა დაუწუნეს, სულ ცოტა ხანში, ერთ-ერთმა დაურეკა და სთხოვა, მის ჯგუფს რუსეთში წაჰყოლოდა იმ პირობით, თუ სხვა გვარით გამოვიდოდა და ამას დირექცია არ გაიგებდა. მაშინ დედამ ურჩია, ბაგრატიონების გვარით გამოსულიყო. ბუბას პირველი გასტროლიც შედგა, აფიშებზე კი „ვახტანგ კიკაბიძის" ნაცვლად, „ვახტანგ ბაგრატიონი" ეწერა. იქიდან დაბრუნებული, ინსტიტუტიდან უკვე გარიცხული იყო. მალე ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „დიელოში" გადავიდა და მაშინ მოიარა უცხოეთის ბევრი ქვეყანა მასთან ერთად, როცა ეს ძალიან რთული იყო. იმ პერიოდში, ქართველების ახლად აღმოჩენილმა „ბითლზმა" განაპირობა ის, რომ საქართველოშიც შეიქმნა ანსამბლი „ორერა," რომლის ხელმძღვანელიც რობერტ ბარძიმაშვილი იყო და დაიწყო მისი ტრიუმფალური სვლა პროფესიულ სცენაზე. პირველი სიმღერა არ ახსენდება, მაგრამ, ახსოვს, რომელმა სიმღერამ გადაწყვიტა მისი „ორერაში" და, საერთოდ, ესტრადაზე ყოფნა – ეს იყო ცაბაძის „უკანასკნელი მეფაიტონე" და, მიხვდა, რომ ანი მხოლოდ ამ ჟანრში უნდა ემღერა.







***

„ორერაში" მისვლამდე (1965 წელს) კინოში ვიყავი მიპატიჟებული – კოლია სანიშვილმა გადამიღო ფილმში "შეხვედრა მთაში". მაშინ „დიელოში" ვმღეროდი. ასეთი პირობა წავუყენე: თუ ჩემს მეგობრებსაც გადაიღებთ, დავრჩები, ისე ჯგუფს ვერ გავაჩერებ-მეთქი. ასე რომ, მაგ ფილმში „დიელოც" არის. კინემატოგრაფია ძალიან მიყვარს და, რადგან გადამიღეს, მეგონა, ჩემი კინოკარიერა დაიწყებოდა, მაგრამ, ამ სურათის მერე ოთხი წელი არსად მიღებდნენ. ოთხი წლის შემდეგ კი მოსკოვიდან დამიკავშირდნენ დანელიას დავალებით. გიორგი დანელია „არ დაიდარდოს" იღებს, თბილისში ჩამოვიდნენ და, გვინდა, როლზე გაგსინჯოთო, – მეუბნებიან. მერე დამირეკეს, დანელია უკვე თბილისშია, სასტუმრო „საქართველოში" გაჩერდა და, იქნებ ხვალ, ამა და ამ საათზე მოხვიდეთო. დღეს რომ იხსენებს გია, ისეთი სასაცილო ვყოფილვარ – ვიღაც მაღალი, გამხდარი, მხრებში მოხრილი ბიჭი შემოვიდა გახეხილი ჯინსებით, პირში სიგარეტგაჩრილი... არადა, სცენარში ბენჟამენი სულ სხვანაირი იყო – სქელი, წითური თმით... აბსოლუტურად არ ვგავდი მის გმირს. რომ შევედი ნომერში და დანელია დავინახე, არ მომეწონა. იქვე ჩამოვჯექი. მეუბნება: აბა, დაიყვირეო. კაცო, როგორ უნდა დავიყვირო, ხალხს სძინავს, ადრეა; იცით რა, თუ გინდათ, გადამიღეთ, თუ არა და, წავალ, არ მცალია-მეთქი. მე და გია უკვე 30 წელზე მეტია, ვმეგობრობთ და ვიცი, ძალიან არ უყვარს, როცა ეუბნებიან, როლზე ეს აიყვანე, ის გასინჯეო. აუცილებლად თვითონ უნდა მოძებნოს. ვერიკოს უთქვამს ჩემზე – ერთი კარგი ბიჭია და გასინჯეო. ამათ, თურმე, უკვე ერთი მსახიობი ჰყავდათ გასინჯული რუსეთში და არ მოსწონებიათ, არადა, მოსამზადებელი პერიოდი მთავრდებოდა – მაშინ ყველაფერი გათვლილი იყო, თანხებთან დაკავშირებული. ცუდ ხასიათზე იყო. მკითხა, საღამოს რას აკეთებო. მე ვუთხარი, რეპეტიცია მაქვს და მერე არაფერს-მეთქი. საღამოს ჭიაურელებთან ვახშამზე წავედით. ასე დამათრევდა ხან სად, ხან – სად. დაინიშნა გადაღებები. მაგ დროს თურქეთში მივდიოდით ბიჭები გასტროლებზე. წავედით, დარწმუნებული იმაში, რომ დამიძახებდნენ. ცოტა ხანში გადამავიწყდა კიდეც, რადგან, გრანდიოზული კონცერტები გვქონდა. ერთ დღესაც, იქ დამიკავშირდნენ და მთხოვეს – ჩამოდი, ფილმზე დამტკიცებული ხარო. აი, აქიდან დაიწყო ჩემი კინოკარიერა. დანელიას ოთხ სურათში ვითამაშე. ხშირად მეკითხებიან, რა უფრო გირჩევნიათ, კინო თუ სიმღერაო და, მე ვპასუხობ, სიმღერა-მეთქი, იმიტომ რომ, უფილმოდ ცხოვრება შემიძლია, სიმღერის გარეშე კი – არა.





ახალგაზრდები ძალიან ადვილად ამბობენ სიტყვას – „ვარსკვლავი." ვარსკვლავი რომ ხარ, უნდა ანათებდე კიდეც. ჩემი ვარსკვლავი მოსკოვის საკონცერტო დარბაზ „როსიას" წინ დადეს, რომელსაც „ვარსკვლავების მოედანი" ჰქვია. ჩემამდე არც ერთი ქართველის ვარსკვლავი იქ არ ყოფილა. მერე ნანი ბრეგვაძეს გაუხსნეს. თბილისში რომ ჩამოვედი; იმ დღის სინათლე ჩაქრა. ჩემმა მეუღლემ მითხრა, ვარსკვლავი თუ ხარ, რატომ არ ანათებო. ვარსკვლავი ის არის, ვისაც ყოფითი პრობლემები არ აქვს, ვისაც საკუთარი თვითმფრინავი ჰყავს, შვიდ-შვიდი მასაჟისტი, თან მარაოს რომ უნიავებენ... არ შეიძლება, თვითონ იძახო, ვარსკვლავი ვარო. ყოველთვის მერიდება ამის თქმა, მაგრამ, მეტად დიდი ბედნიერება არის, როცა ხალხს უყვარხარ. არის ასეთი წიგნი, მსოფლიო ენციკლოპედია – „ვინ ვინ არის", რომელშიც მსოფლიოს განთქმული ადამიანები არიან შესული. მე 1994 წლიდან ვარ ამ წიგნში. მიღებული მაქვს საერთაშორისო ორდენი, წმინდა



*50 წლის ქეთევან არსენის ასული ოქრუაშვილი ეძებს დაახლოებით 58-60 წლის ტარიელ არსენის ძე ოქრუაშვილს.*

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ძმას, ტარიელ არსენის ძე ოქრუაშვილს. ის ამჟამად დაახლოებით 58-60 წლის უნდა იყოს. ჩემი ძმა 26 წლის წინ წავიდა რუსეთში სამუშაოდ. მას შემდეგ, რაც ძმასთან კავშირი არ მქონია, უკვე დიდი დროა გასული. ვიცი, რომ ის მუშაობდა გამცილებლად მატარებელზე „მოსკოვი-ადლერი" – შეიძლება, ეს ინფორმაცია მის პოვნაში დაგვეხმაროთ. მე და ჩემი ძმა ფიზიკურად ძალიან ვგავართ ერთმანეთს, მაგრამ, სამწუხაროდ ძმის ფოტო არ მაქვს, რადგან ქუთაისში, ძველ სახლში დავტოვე, მე კი ამჟამად ბოლნისში ვცხოვრობ.

**– როგორ დაკარგეთ დედმამიშვილებმა ერთმანეთი და რატომ არ გახსოვთ ძმის ზუსტი ასაკი?**

– ჩემი ძმა, ტარიელი, 26-27 წლის წინ წავიდა რუსეთში სამუშაოდ. მშობლები ადრე დავკარგეთ. მოხდა ისე, რომ ძმის ზუსტი ასაკი არ მახსოვს, მაგრამ, ვიცი, რომ დაბადებულია 21 სექტემბერს, ქალაქ ქუთაისში. ახლა ტარიელი დაახლოებით 58-60 წლის უნდა იყოს. მას შემდეგ, რაც რუსეთში წავიდა, მასთან კავშირი თითქმის არ მქონია. ყველანაირად ვცდილობდი მის მოძებნას, ინტერნეტშიც ვეძებდი, მაგრამ, ვერ ვიპოვე. სანამ რუსეთში წავიდოდა, აქ ოჯახი არ ჰქონია. ამჟამად კი, შეიძლება, უკვე დაოჯახებულიც არის და შვილებიც ჰყავს. მას შემდეგ, რაც თქვენი რუბრიკის შესახებ გავიგე, ძმის პოვნის იმედი გამიჩნდა და მაშინვე დაგიკავშირდით.

**– 26 წელი დიდი დროა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ტარიელი ერთხელაც არ დაგკავშირებიათ?**

– როდესაც ჩემი ძმა რუსეთში წავიდა, იმ

# რატომ დაკარგეს ერთმანეთი დედმამიშვილებმა და ვის ეძებენ საქართველოდან რუსეთში

პერიოდში მე ჯერ კიდევ ქუთაისში ვცხოვრობდი, ახლა კი, რახანია, ბოლნისში ვცხოვრობ და მან ჩემი ახალი მისამართი არ იცის. მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც ქუთაისში ვცხოვრობდი ტარიელი არც ერთხელ არ დამკავშირებია. როგორც უკვე გითხარით, ის რუსეთში მატარებლის გამცილებლად მუშაობდა „მოსკოვი-ადლერის" ხაზზე. არ ვიცი, სად შეიძლება იყოს, რადგან, მისი მისამართი ან სხვა რაიმე კოორდინატი ჩემთვის უცნობია. ვფიქრობ, ის მთელს რუსეთში უნდა ვეძებო, რაც ჩემთვის შეუძლებელია. საერთოდაც, რთულია, მოძებნო ადამიანი, თუ მისი ბოლო საცხოვრებელი მისამართი არ იცი, სადაც ის ცხოვრობდა.



**– მაინც, რას ფიქრობთ, რა არის იმის მიზეზი, რომ ძმასთან კავშირი დაკარგეთ?**

– ჩვენ შორის კავშირის დაკარგვის პირველი მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ ძალიან შორს ვართ ერთმანეთისგან; თან, ისეთი პერიოდი იყო, გვიჭირდა და დაკავშირებასაც ვერ ვახერხებდით ერთმანეთთან... ამასობაში კი წლებიც გავიდა. როგორც გითხარით, მეც შევიცვალე საცხოვრებელი ადგილი და ჩემმა ძმამ ამის შესახებ არაფერი იცის. ძალიან რთულია, როცა დედმამიშვილი შორს გყავს და წლების განმავლობაში არაფერი იცი მის შესახებ.

**– როგორ ფიქრობთ, ის თუ გეძებთ?**

– დარწმუნებული ვარ, რომ მეძებს, ანუ, უნდა ჩემთან დაკავშირება და იმის მიზეზიც აქვს, რომ ამას ვერ ახერხებს. ვფიქრობ, ჩამოსვლა რომ შეეძლოს, ჩამოვიდოდა საქართველოში და ვიპოვიდით ერთმანეთს. იმის იმედილა მრჩება, რომ ის ჯანმრთელად და კარგადაა, ცუდზე ფიქრიც არ მინდა. იქნებ ცდილობს კიდეც ჩემთან დაკავშირებას და ვერ მიკავშირდება.

**– ძმის პოვნის შემთხვევაში რას აპირებთ?**

– მინდა, ვნახო ჩემი ძმა, იქნებ მან შეძლოს და ჩამოვიდეს საქართველოში. ამდენი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს და, ვეცდები, შევხვდეთ. იმედია, ის კვლავ რუსეთშია და სხვაგან არ არის წასული. მესმის, რომ რუსეთი ძალიან დიდია და მთელ რუსეთში მოძებნო ადამიანი, რომლის შესახებაც არც მისი ძველი მისამართი, ტელეფონის ნომერი და არც სხვა ინფორმაცია არ გაგაჩნია, რთულია, მაგრამ მე მისი პოვნის მჯერა.

**თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

კონსტანტინე დიდის რაინდული ოქროს ჯვარი; ეს ორდენი პირველად რუსეთში პეტრე პირველმა მიიღო, შემდეგ ტრეტიაკოვმა, კოსმონავტმა ლეონოვმა და მე მივიღეთ; ასევე, მიღებული მაქვს ნიკოლოზ სასწაულმოქმედის საეკლესიო საერთაშორისო ორდენი, რომელიც უკრაინაში მე და დედა ტერეზას მოგვცეს, რომელსაც აწერია: „ზა პრეუმნოჟენიე დობრა ნა ზემლე" – „ქვეყნად სიკეთის გამრავლებისთვის"; მომცეს ლეონიდ უტიოსოვის პირველი პრიზიც, რომელიც სპეციალურად სიმღერისთვის დაწესდა და მას წელიწადში ერთხელ ანიჭებენ. რომ მაძლევდნენ, ვკითხე, ამდენი თქვენი მომღერალი გყავთ და ქართველს რატომ აძლევთ-მეთქი. ჩვენ ასე გადავწყვიტეთო, – მიპასუხეს. ასე რომ, ვარ თუ არა ვარსკვლავი, ხალხმა თქვას, მე არ ვიცი... ვცდილობ, ქუჩაში ნაკლებად გავიდე – არ მიყვარს, რომ მიყურებენ. სასიამოვნოა, მაგრამ, ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. ის დრო მახსენდება, როცა სხვა ახალგაზრდობა იყო. ქუჩაში ფიზიკურად თუ სულიერად ლამაზი ხალხი დადიოდა, ახლა ქალაქში ამ სახეებს ვერ ვხედავ. ვინმე რომ დაგეჯახოს, ბოდიშს არ მოგიხდ-







ის, ისე განაგრძობს გზას. მაშინ დიდი და პატარა იცოდნენ და გაშეშებული თვალები არ ჰქონდათ...

სოლოლაკში გავიზარდე და, ყოველთვის ვიცოდით, ჩვენი უბნის გოგოებს ვინ ჰყავდათ მოარშიყე ბიჭები. რომ ვიცოდით, ჩვენი უბნის გოგოსთან დადიოდა, იმას ხელს არავინ ახლებდა, მაგრამ, იმანაც იცოდა, რამე რომ ეწყენინებინა გოგოსთვის, შეიძლებოდა, შუაზე გაეხიათ ცემით. ყველა მაინც ბავშვობიდან მოვდიოდით, ყველა ქუჩაში გაზრდილები ვართ და ყველა კარგი კაცი გამოვედით. უმამოდ ვიზრდებოდით, ყველას დაღუპული გვყავდა მამა, ჩვენი დედები კი ოცდაათოთხი საათი შრომობდნენ, რათა პურის ფული ეშოვათ და შვილები გამოეკვებათ. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ეს იყო ჩხუბი, ისიც – გოგოს გამო. ნარკომანი არ იყო ქალაქში. ერთხელ მითხრეს, დიდუბეში ერთი ნარკომანი ცხოვრობს, ვასიკო ჰქვიაო. მე და ჩემს მეგობრებს დაგვაინტერესა – გვეგონა, ან სამი თავი ჰქონდა, ან ხუთი ხელი. არ ვიცოდით, რა იყო ნარკომანი. დანას არავინ ატარებდა ჯიბით, იარაღზე აღარ ვლაპარაკობ. თუ ჩხუბობდნენ, ხელით ჩხუბობდნენ. ჩვენი უბედურება რა არის, იცით? ცუდს ძალიან ჩქარა ვითვისებთ, გვგონია, რომ ვიღაცას უნდა გავასწროთ ამაში. ახალგაზრდები დღეს მიუხედავები არიან.



***

ვერტმფრენის მართვა რთული საქმეა. მე დავფრინავდი ვერტმფრენით, რომელსაც ორმაგი მოწყობილობა ჰქონდა, სასწავლო იყო და გვერდით პილოტი მეჯდა ხოლმე, მაგრამ ის კადრში არ ჩანდა. სხვათა შორის, მასაც ვალიკო ერქვა. ჩვენი ხრიკები გვქონდა. შინაქოში ვცხოვრობდით. აზერბაიჯანში საზამთროების სეზონი როცა იყო, მე და ვალიკო დილით ჩავსხდებოდით ამ ვერტმფრენში და 15 წუთში აზერბაიჯანში ვიყავით, საზამთროებს მოვიპარავდით და მაშინვე უკან ვბრუნდებოდით. მთელი სოფელი გველოდებოდა. ისე, არაა ჩემი საქმე, თორემ, რომ დამჭირდეს, „სლესარობასაც" ვისწავლი, თან, ამის გამოცდილებაც მაქვს – მე და ჩემი ძმაკაცები ენგელსის ქუჩაზე, რუსული სკოლის მშენებლობაზე, ორი თვე ვმუშაობდით, ფული რომ მოგვეგროვებინა და მერე ზღვაზე წავსულიყავით. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები ვიყავით და რამე ხომ უნდა მესწავლა?! სკოლა რომ დავამთავრე, კინოსტუდიაში მულტიპლიკაციაში დავიწყე მუშაობა – ხატვა მეხერხებოდა (დღესაც რალაცეებს ვხატავ ხოლმე), მაგრამ, აღარ მომეწონა იქ მუშაობა და წამოვედი.



**ეკა პატარაია**



**გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ, საკმაოდ ადვილად შეგიძლიათ, დღესვე დაადგინოთ თქვენი უიღბლობის მიზეზი. როგორც პარაფსიქოლოგ-ეზოთერიკოსი ქალბატონი მარინე ამბობს, ფული ძალიან ჭირვეული სუბსტანციაა, ამიტომ, ზუსტად უნდა იცოდეთ, როგორ დაიცვათ თქვენი შემოსავალი ნეგატიური ემოციებისგან, შეინახოთ ის სწორად და მოიზიდოთ თქვენს საფულეში. ასევე, აუცილებელია სახლის სწორად მოწყობა და იმ ნივთის თავიდან მოშორება, რომელსაც უარყოფითი აურა აქვს და, შესაბამისად, ჩვენზეც უარყოფითად მოქმედებს.**

# რა არის ადამიანის უიღბლობისა და უფულობის მთავარი მიზეზი და როგორ გავხდეთ მეტად წარმატებული და შეძლებული

**მარინე**: ფული კოსმიური ენერგიების მატერიალური განსახიერებაა. არიან ადამიანები, რომლებსაც ის თავს არიდებს, ან, პირიქით, მათკენ მიილტვის. ამიტომაა საჭირო იმის ზუსტად ცოდნა, თუ როგორ მოვიზიდოთ ის და რა გავითვალისწინოთ მასთან მიმართებაში. ვიცი, ბევრი თავს არ ზოგავს მატერიალური კეთილდღეობის მოსაპოვებლად, მაგრამ ჯიბეში ფული არ უჩერდება. ერთი სიტყვით, მათთვის ფულს ბარაქა არ აქვს. მე ყველას ვეუბნები, რომ უბარაქობის ძირითადი მიზეზი პიროვნების შემოსავლებისა და ფინანსური მდგომარეობის სამყაროსეული არხის ჩაკეტვაა. ამ არხს „ბარაქის არხი" ეწოდება და, თუ ადამიანი რეინკარნაციულად არ არის იმ პროფესიის მქონე, რითაც ბარაქა უნდა მოიზიდოს და შეინარჩუნოს, მის საფულეში ფული ნამდვილად არ გაჩერდება. ასე რომ, თუ გინდათ, მატერიალურად გამართული და წარმატებული იყოთ, პროფესია რეინკარნაციული კუთხით უნდა აირჩიოთ. ასევე, ასტრალური სხეული ცხოველებთან გვაკავშირებს, ეთერული სხეული კი – მცენარეებთან.

**– გამიგია, რომ ბარაქის მოზიდვაში მცენარეები და ცხოველებიც გვეხმარებიან.**

– ბარაქის მოზიდვაში მცენარეები და ცხოველები მართლაც აქტიურ როლს თამაშობენ. ამიტომ, კარგია, თუ სახლში ძაღლი ან კატა გყავთ, მათ სითბოსა და სიყვარულს აგრძნობინებთ და ხშირად მიეფერებით და მიეალერსებით. მაშინ ისინიც ანალოგიურად გიპასუხებენ და ასტრალურ მატერიალურ არხზე დადებითად იმოქმედებენ თავიანთი დადებითი აურით, რომელსაც თქვენკენ გამოტყორცნიან. მცენარეებიდან კი, ბარაქის მოზიდვის თვალსაზრისით, ყველაზე კარგია გვიმრა და კალანჩოე. გვიმრა ფინანსების არხს ხსნის ოჯახში, კალანჩოე კი მის მოსაზიდად ჯანმრთელობას გვიძლიერებს ადამიანებს. გარდა ამისა, თუ გსურთ, ბევრი ფული გქონდეთ, ატარეთ დიდი ზომის საფულე და მასში აუცილებლად ჩადეთ ფურცელზე თქვენი ხელით დაწერილი ის სურვილი, რომლის ახდენაც გინდათ. ასევე, კარგია „ბულავკაზე" წამოცმული გიშრის თვლის საფულით ტარება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ადრე ჩვენი წინაპრები, ახალდაბადებულ ჩვილს აუცილებლად უმაგრებდნენ სამოსზე „ბულავკაზე" წამოცმულ გიშერს, რადგან ითვლებოდა, რომ ეს თილისმა მას სამომავლოდ ყველა სურვილის ასრულებაში დაეხმარებოდა, სასურველ მეორე ნახევარს აპოვნინებდა და ავი თვალისგან დაიცავდა. აგრეთვე, გაეცით გაჭირვებულებზე თუნდაც მცირედი თანხა და ის მალევე გაორმაგებული დაგიბრუნდებათ. სახლში კი აუცილებლად დადგით გამჭვირვალე ბროლის პატარა ლარნაკი, ჩაასხით მასში წყალი და ჩაყარეთ ხურდა ფული, ოღონდ, აუცილებლად ვერცხლისფერი მონეტები – ის სახლში ფულის ენერგიას ადვილად მოიზიდავს და ოჯახის ბიუჯეტი მუდამ შევსებული გექნებათ. საკმაოდ მარტივი წესია, მაგრამ, უძველესი და გამოცდილი მეთოდია მატერიალური კეთილდღეობის მოსაპოვებლად. თუმცა, ბევრი არ მეთანხმება და ჯიუტად ამბობს, ამ ყველაფრის გათვალისწინება იგივეა, რომ ცრურწმენებს ავყვეთ და ფეხი-ფეხზე გადადებულები დაველოდოთ, როდის გავმდიდრდებითო. მე ამას ნამდვილად არ ვამბობ, როგორც იტყვიან,

**ბინაში ნებისმიერ საგანს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ორგანიზმის თითოეულ ნაწილს ჯანმრთელობისთვის**

გამგები გამიგებს. მესმის, ისეთი დროა, რეალობის დაჯერება გვიჭირს და ილუზიებში ცხოვრება გვირჩევნია, მარტო ოცნებით კი არაფერი გამოდის. თუ იშრომებთ და თან იმასაც გაითვალისწინებთ, რაზეც გესაუბრეთ, მერწმუნეთ, ყველაფერი რიგზე გექნებათ. ზოგს ერთ დღეში უნდა გამდიდრება, მაგრამ, ყველაფერს თავისი დრო და წესი აქვს. ჩემი ახლობლები ადრე სულ მეუბნებოდნენ: რა ეზოთერიკა, რის პარაფსიქოლოგია, კაცმა შენი ბედი შენვე უნდა მართო, იწვალო, იშრომო, რომ ლუკმაპური ჭამოო. მაგრამ, როცა გაუჭირდათ და მიხვდნენ, რომ ბედის მართვა და ლუკმაპურის შოვნა არც ისე ადვილია, ამასაც შნო უნდა და ცოტა სწორედ იმ ეზოთერიკულ-პარაფსიქოლოგიური რჩევების გათვალისწინებაც, მერელა მომაკითხეს და დარწმუნდნენ, რომ მე მათ ცუდს არ ვურჩევ. მტერი ხომ არ ვარ?!

**– ამბობენ, ოთახში კედელზე დაკიდებულ სურათებს უდიდესი მაგიური ძალა გააჩნია და ის ადამიანის ბედზე, შემოსავლებსა და კეთილდღეობაზე დიდ გავლენას ახდენსო. ეს თუ არის სიმართლე?**

– რასაკვირველია, სიმართლეა. იმ სურათებს, რომლებიც უარყოფითი ენერგიით გაჯერებულ ბინაში ეკიდა, ძალიან საშიში აურა აქვს. თუ ისინი მემკვიდრეობით გერგოთ ან ანტიკვარულ მაღაზიაში შეიძინეთ და დაკიდეთ თქვენს საცხოვრებელ ბინაში, იცოდეთ, რომ მათგან წამოსული ნეგატიური იმპულსი თქვენს ცხოვრებას საშიშროებას შეუქმნის როგორც ბედის, ისე ჯანმრთელობისა და შემოსავლების მხრივაც. ასევეა ავეჯიც. მახსოვს, ჩემს მეგობარს ბებიამ მემკვიდრეობით დაუტოვა ანტიკვარული კომოდი. მანაც ჩამოიტანა ის რაიონიდან და სახლში დაიდგა. ერთი თვეც არ გასულა, რომ სრულიად ჯანმრთელი ადამიანი დასუსტდა, დაეწყო პრობლემები მეუღლესთან, ვალებში გადავარდა. ერთი სიტყვით, ცხოვრება გაუუარესდა. ჩემთან რომ მოვიდა და შემომჩივლა, მაშინვე ვუთხარი: ის კომოდი მოაშორე-მეთქი. გაეცინა – ის რა შუაშია, უბრალოდ, ეტყობა, ჩემს ცხოვრებაში ასეთი პერიოდიც უნდა დამდგარიყოო. ავუხსენი სიტუაცია და ვუთხარი, მე ხომ ვიცი, ბებიაშენის სახლში რა აურაც ტრიალებდა. უმძიმესი ცხოვრება განვლო იმ საცოდავმა და, ის აურა ამ ავეჯმა შეიწოვა, შეინახა და ახალ ადგილას გადმოტანილმა თან წამოიღო-მეთქი. სხვა მაგალითებიც მოვუყვანე და იმდენი ველაპარაკე, დავითანხმე, ის კომოდი ისევ უკან წაიღო. გეფიცებით, დღესაც მადლობებს მიხდის. ასევე, ეცადეთ, თქვენს ბინაში მაგიდა და წიგნების თაროები მუდამ მოწესრიგებული გქონდეთ. არ ვარგა, როცა მაგიდაზე ბევრი ნივთი დევს, წიგნის თაროზე კი „აურზაურია". ერთია, რომ სახლში მაგიდისა და წიგნის თაროს მიხედვით მიხვდებით, თუ როგორი მოწესრიგებულია დიასახლისი და, მეორეა, როცა ამით სახლში დადებითი ენერგიის მოზიდვა და ფინანსური კვანძის გახსნა ხდება. ზოგადად კი ბინაში ნებისმიერ საგანს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ორგანიზმის თითოეულ ნაწილს – ჯანმრთელობისთვის. ამას თუ გაითავისებთ, თუ გაითვალისწინებთ ჩემს რჩევებს და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენთ ბინაში, ამით საკუთარ კეთილდღეობას შეუწყობთ ხელს.

**ნონა დათეშიძე**

## ფაქიზი... მამაკაცი

მამაკაცის ემოციური ფონი, ერთი შეხედვით კი ჩანს ძლიერი, მაგრამ, სინამდვილეში, ძალიან მყიფეა. კაცი ქალზე უფრო ხშირად ვარდება დეპრესიაში, კარგავს საკუთარი თავის პატივისცემას და უქმს, აქტიურად განაგრძოს ცხოვრება, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქალმა კაცს სასათბურე პირობები შეუქმნას და გაანებივროს; პირიქით, არ აარიდოთ პასუხისმგებლობასა და ყოველდღიურ საზრუნავს, უბრალოდ, გააკეთეთ ისე, რომ გაუძლიერდეს საკუთარი თავის რწმენა; დაიჯეროს, რომ ის მართლაც მთავარია და ბევრი რამ შეუძლია. ქალები ხშირად უშვებენ შეცდომას, როცა ფიქრობენ, რომ მამაკაცისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნა მომგებიანი ვარიანტია მათთვის. ეს სულაც არ არის ასე. კაცი ნელ-ნელა კარგავს ინტერესს ყველაფერი ყოფითის მიმართ და, მერე, როცა თქვენ დაიღლებით და მოსთხოვთ, რომ მანაც გააკეთოს რამე ან გაბრაზდება, ან თავს ვერაფერს მოაბამს. კაცმა უნდა იგრძნოს ოჯახში თავისი მნიშვნელობაც და თავისი წილი პასუხისმგებლობაც. დაავალეთ კონკრეტული საქმე და უთხარით, რომ მას ეს უკეთესად გამოუვა, ვიდრე თქვენ; შეახსენეთ, რომ კაცია და პასუხისმგებლობაც მამაკაცის შესაფერისი უნდა ჰქონდეს. მისი სული ფაქიზია, მაგრამ, მან უნდა იცოდეს, რომ ბუნებამ დიდი ფიზიკური ძალით იმიტომ დააჯილდოვა, რომ დაძლიოს პრობლემები და გაუფრთხილდეს თავის პარტნიორ ქალბატონს, რომელმაც მას პასუხისმგებლობის ტვირთი უნდა შეუმსუბუქოს.

## ფსიქოლოგია და ოჯახი

ეჭვიანი პარტნიორი სერიოზული პრობლემაა. მართალია, ამბობენ, ეჭვი სიყვარულის თანმხლები და მისი განუყოფელი ნაწილიაო, მაგრამ ეჭვს თავისი მიზეზები და საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს. ფაქტია ის, რომ ეჭვიან ადამიანებს ძალიან დაბალი თვითშეფასების კრიტერიუმი აქვთ. მათ არ სჯერათ საკუთარი შესაძლებლობების, მომხიბვლელობის, წარმატებულობის... ფსიქოლოგების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ უფრო ბევრი ეჭვიანი პერფექციონისტებში გვხვდება. ინტელექტუალური მონაცემები აქ არაფერ შუაშია. ის ადამიანი, რომელიც მეტისმეტად ბევრს ითხოვს საკუთარი თავისგან ყველაფერში, ადვილად ექვემდებარება ეჭვიანობას. „ხუთოსნის“ სინდრომი ძალიან საშიშია; იმიტომ კი არა, რომ მან შეიძლება გამოგფიტოს და სასიცოცხლო ენერგია წაგართვას. პრობლემა ისაა, რომ ეჭვიც ადვილად მოგერევათ. შეცდომის უფლება აქვს ყველას, მათ შორის თქვენც და თქვენს პარტნიორსაც. ოჯახი და სიყვარული პატიებას, მოთმენასა და დათმობას გულისხმობს. ერთი შანსი რომ ყველას უნდა მისცე, ესეც აქსიომაა – სხვანაირად, არათუ ოჯახს, ელემენტარულ ურთიერთობასაც ვერ ააწყობ.

თუ ქალი ცოტათი ფსიქოლოგია, ეს ძალიან კარგია, რადგან, ადვილად მიხვდება, რომ ეჭვზე მაღლა უნდა დადგეს ისევ და ისევ თავისი ოჯახის სასიკეთოდ და, ასევე, პატივი სცეს საკუთარ თავს ზუსტად ისეთს, როგორიც ის რეალურად არის...

## ნუ ლაპარაკობ, გააკეთე!

სად არის წარმატების საიდუმლო?! როგორ უნდა მიაღწიო დასახულ მიზანს, რაც ნებისმიერ ადამიანში იწვევს სიხარულის, ბედნიერების განცდას?! იქნებ, არსებობს რამე ფორმულა?! ირგვლივ ხომ ისეთი კონკურენციაა, რომ არც თქვენივე სქესის წარმომადგენლები გინდობენ და არც ისინი, ვინც, წესით, ხელისგულზე უნდა გატარებდნენ.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ თითოეულ ჩვენგანს საკუთარი, ინდივიდუალური წარმატების ფორმულა აქვს და პირადი „მეთოდიკის“ გარეშე არაფერი გამოვა; თან, ძალიან ბევრი უნდა იმუშაო, რომ რაღაცას მიაღწიო, რადგან, არც ამის გარეშე იქნება სასურველი შედეგი. მოეშვები? მაშინვე ჩაგისაფრდება პრობლემა თუ წინააღმდეგობა. როცა რიმე პროექტს, საქმეს ჰკიდებთ ხელს ან მიზანს ისახავთ, თუნდაც განსაკუთრებული არაფერი იყოს, თქვენ მასზე მაქსიმალური ძალისხმევა უნდა დახარჯოთ, რადგან, არ არსებობს პატარა და დიდი საქმე, პატარა და დიდი წარმატება.

კიდევ, არსებობს რამდენიმე „ოქროს წესი“, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ: კბილები დააჭირეთ ენას და არასდროს ილაპარაკოთ იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა; რამე ჩაიფიქრეთ?! – იმუშავეთ და არ ილაპარაკოთ; არ ულალატოთ თქვენს ოცნებას და არ დათმოთ პოზიციები. თავიდანვე იმოქმედეთ რწმენით – ყველაფერი გამოვა!

***P. S. ეს იმ ქალებს, ვისაც საკუთარი თავის რწმენა აკლია...***

## სწორი სტრატეგია!

ქალის ცრემლების დანახვაზე მამაკაცების დიდი უმრავლესობა „ლბება“ და „ტყდება“; მათი პრინციპულობა, სიჯიუტე და სიმკაცრე სადღაც ქრება და ისინი დათმობაზე მიდიან. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ატირებულ ქალს ისინი ჭკუიდან გადაჰყავს, აცოფებს, ანუ, აუცილებელია სწორი სტრატეგია და „ოქროს შუალედი“, ზედმეტი რომ არ მოგივიდეს.

მაინც, როგორ ქალებს აფასებენ კაცები? – ამის ცოდნა ისევ სწორი სტრატეგიის შემუშავებისთვის არის აუცილებელი. რა თქმა უნდა, ყველას ერთნაირი გემოვნება არა აქვს, მაგრამ, რაღაც საერთო ნიშან-თვისებები არსებობს. მაგალითად, ყველა კაცს უნდა, გვერდით ჰყავდეს ქალი, რომელიც მისი მეგობრების დანახვისას ან სტუმრობისას არ მოილუშება; ყურადღებით მოუსმენს, რაზე საუბრობენ მამაკაცები (ბრძენი მამაკაცები) და ხშირად გაუღიმებს. მერე რა, თუ ისინი ხშირად ძალიან სასაცილოები არიან. თუ გინდათ, მათი გული მოიგოთ, გააკეთეთ ის, რაც საჭიროა და არა ის, რისი გაკეთების სურვილიც გაქვთ. შეიკავეთ თავი საკუთარი აზრის გამოთქმისგან. თუ მამაკაცისგან რაიმე ინფორმაციის მიღება გაინტერესებთ, „გამოკითხვა“ ფრთხილად და უმტკივნეულოდ უნდა ჩაატაროთ, მით უფრო, როცა ეს ინფორმაცია კონკრეტული მამაკაცის პირად ცხოვრებას, მისი ხასიათის ნიუანსებსა და წარსულს ეხება. მამაკაცების უმეტესობა ამას ძალიან მტკივნეულად აღიქვამს. მათ უყვართ ლიდერის პოზიციაზე ყოფნა და თქვენი სტრატეგიაც აქეთკენ მიმართეთ, ანუ, აგრძნობინეთ თავი ლიდერად, თუნდაც ლიდერის არც ერთი თვისება არ გააჩნდეს... დიახ, თქვენი სტრატეგია თამაშზე უნდა ააწყოთ.

## მატერიალური ბედნიერება

ცხოვრებაში არჩევნის გაკეთება ხშირად გვიწევს. იმისთვის, რომ პარტნიორთან ჩვენი ურთიერთობა სრულფასოვანი იყოს, აუცილებელია, ერთმანეთისთვის მისაღები ვიყოთ... რა თქმა უნდა, სიყვარული, ურთიერთგაგება და პატივისცემაც აუცილებელია. თუმცა, ეს კიდევ არ არის ყველაფერი. მაგალითად, ბევრი ფსიქოლოგი დარწმუნებულია, რომ ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობა შეუძლებელია მატერიალური კეთილდღეობის გარეშე. ქორწინება ვერაფრით ვერ იქნება ბედნიერი, თუ მამაკაცი ფინანსურად ძლიერი არ არის, არ აქვს შემოსავალი და, შესაბამისად, აკლია თავდაჯერებულობა. თუნდაც ოჯახი სრულად იყოს ფინანსურად უზრუნველყოფილი და ამას ახერხებდეს ცოლი, წყვილს შორის ურთიერთობა ვერ იქნება ჯანსაღი და სრულფასოვანი. მამაკაცი ბუნებით მონადირეა. როცა „მომპოვებელი“ ცოლია, ის ამ ფუნქციას კარგავს და, თავისდაუნებურად, ითრგუნება. კაცის კომპლექსები კი ქალისაზე გაცილებით მძიმეა. შეიძლება, ერთი შეხედვით მოგეჩვენოთ, რომ კაცმა ნებაყოფლობით დათმო პოზიციები და მეორე პლანზე გადავიდა, მაგრამ, რეალობა სხვაა. ის მომავალში აუცილებლად გამოავლენს აგრესიას რაღაც ფორმით. ანუ, სრული ბედნიერებისთვის მამაკაცს ჰაერივით სჭირდება ფინანსური დამოუკიდებლობა და მან ეს როგორმე უნდა მოახერხოს!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# განტვირთვის დღის მოწყობის რამდენიმე იდეა

დიეტის შესანიშნავი ალტერნატივაა განტვირთვის დღე. ეს მეთოდი უნიკალურია იმით, რომ დაგეხმარებათ ზედმეტი კილოგრამების მოშორებაში და მიღებული შედეგის შენარჩუნებაში.

განტვირთვის დღე შეიძლება იყოს: ნახშირწყლების, ცილების და კომბინირებული. ნახშირწყლების დღის მოწყობა შეიძლება ხილით, ბოსტნეულით, ან, ხილითა და ბოსტნეულით ერთად; ცილების დღე – ხორცით, თევზით, რძით, ხაჭოთი ან ამ პროდუქტების ერთმანეთთან შერევით. გახდომის მიზნით განტვირთვის დღეების მოწყობა მიზანშეწონილია კვირაში 1-2-ჯერ, მაგრამ, ამის გაკეთება ეკრძალებათ მათ, ვისაც აწუხებს საჭმლის მომნელებელი ორგანოების ქრონიკული დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემები, ღვიძლის, კუჭქვეშა ჯირკვლისა და თირკმელების პათოლოგიები; განტვირთვის დღეების მოწყობა, ასევე, არ შეიძლება ორსული და მეძუძური ქალებისთვის; აგრეთვე, თავის შეკავება გმართებთ კრიტიკულ დღეებში.



შეარჩიეთ თქვენთვის ყველაზე უფრო გემრიელი პროდუქტები ერთი დღისთვის და მოსინჯეთ, გაძლებთ თუ არა დღის ბოლომდე. საერთოდ კი, უმჯობესია, განტვირთვის დღეები ხორცისა და ხაჭოს მენიუთი დაიწყოთ. ძალიან მნიშვნელოვანია სითხის მიღება – დღეში მინიმუმ 2 ლიტრი (ამ რაოდენობაში ჩაი, ყავა და წვნიანები არ ითვლება). თუ განტვირთვის პირველი დღე ძალიან მსუბუქად გადაიტანეთ, შეგიძლიათ, პირდაპირ მიაყოლოთ მეორეც. ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია, პირველი დღე იყოს ხორცის, მეორე კი – ბოსტნეულის. ამასთან, შეუთავსეთ დიეტას ფიზიკური დატვირთვა და სრულფასოვანი ძილი – დღე-ღამეში 8-9 საათი. ცხადია, მთლიანად უნდა გამორიცხოთ ალკოჰოლი

### ხილის დღე

**საუზმე**: დაბლენდერეთ 200 გრამი ხაჭო, 50 მილილიტრი მინერალური წყალი, ნახევარი ბანანი და 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი.

**სადილი**: 2 ნაჭერ ტოსტზე წასმული ვაშლის პიურე.

**ვახშამი**: 3-4 სახეობის ხილისა და კენკრის სალათა შეაზავეთ 1 ცალი ფორთოხლის წვენითა და 1 სადილის კოვზი თაფლით (სულ – 300 გრამი).

**შუალედური კვება**: დღის განმავლობაში შეგიძლიათ მიირთვათ 3 ცალი ვაშლი და 1 ჩაის ჭიქა სეზონური კენკრა.

### ხაჭოსა და კეფირის მიქსის დღე

**საუზმე**: ხილის, კენკრის, რძისა და თაფლის კოქტეილი (სულ – 300 გრამი).

**სადილი**: 2 ჩამჩა ცივი სუპი „აკროშკა" (მწვანილი, გახეხილი ბოლოკი, კიტრი, უცხიმო კეფირი), 1 ნაჭერი ცხვილი შავი პური.

**შუალედური კვება**: 100-150 გრამი ხაჭო 1 ჩაის კოვზი თაფლით.

**ვახშამი**: 250 გრამი ხაჭო დაჭრილი მწვანილით.

**ძილის წინ**: 1 ჩაის ჭიქა უცხიმო კეფირი.

### ბოსტნეულის მრავალსახეობა

**საუზმე**: 1 პატარა ნაჭერი ცხვილი შავი პური, 1 პატარა ნაჭერი უცხიმო ყველი, 2 ნაჭერი პომიდორი.

**სადილი**: ბოსტნეულის რაგუ (ძალიან ცოტა ცხიმში მოშუშული ბადრიჯანი, ყაბაყი, პომიდორი, ბულგარული წიწაკა, მწვანილი).

**შუალედური კვება**: 1 ცალი კიტრისა და 1 ცალი პომიდვრის სალათა შეაზავეთ ლიმონის წვენითა და მწვანილით.

**ვახშამი**: კიტრის, პომიდვრისა და ვაშლის სალათა, შეზავებული უცხიმო იოგურტით; ჭვავის კისელი.

**ძილის წინ** (1 საათით ადრე): 1 ჩაის ჭიქა ასკილის ნახარში.

### ხორცის დღე

400 გრამი მოხარშული საქონლის (ან ხბოს) ხორცი გაყავით 4 ულუფად. გარნირად მოამზადეთ: ნებისმიერი მწვანილი, ბულგარული წიწაკა, ნებისმიერი ჯიშის კომბოსტო, კიტრი. მარილი გამორიცხეთ. დღის განმავლობაში დალიეთ 3 ჩაის ჭიქა ასკილის ნაყენი (უშაქროდ) და მინიმუმ 2 ლიტრი ჩვეულებრივი სასმელი წყალი.

# ცხელი ეპილაცია

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ეპილაციის უამრავი თანამედროვე აპარატი გამოვიდა, ქალებში მაინც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ეპილაციის გაკეთება ცხელი ცვილით, მაგრამ, ყველამ არ იცის, როგორი მასალა უნდა შედინოს საამისოდ და როგორ ჩაატაროს პროცედურა.



თუ ეპილაციის შემდეგ სრულად არ მოხდა ბეწვის მოშორება, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ მიერ ნაყიდი ცვილი უხარისხო და არაპლასტიკურია. თუ იაფიანი მასალა იყიდეთ, იმასაც შეეგუეთ, რომ ის შედგება ხელოვნური ცვილისგან, რომელიც ნავთობგადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტია, რამაც, ალერგიულ ადამიანებში, შესაძლოა, გამოიწვიოს გამონაყარი, ქავილი და ანთებითი პროცესები. ამიტომ, სალონში მისვლისას, პირველ ყოვლისა, შეამოწმეთ ცვილის წარმომავლობა – ის უნდა შედგებოდეს ბუნებრივი ფუძისგან და მასში უნდა შედიოდეს მცენარეული ექსტრაქტები და ვიტამინები, რაც არბილებს და კვებავს კანს პროცედურის დროს.

ყველაზე კომფორტულ, პროცედურის შემდეგ კანის გაღიზიანების რისკის მინიმუმამდე დამყვან ეპილაციად ითვლება მეთოდი, რომლის დროსაც ცვილი კანზე დაიდება ზეთის წასმის შემდეგ – ასე კანი ტენიანდება და დაცულია დაზიანებისგან. შეგრძნების თვალსაზრისით, ცვილით ეპილაცია შეიძლება შევადაროთ ბრიტვით გაპარსვას, როცა გრძნობ, მაგრამ არ გტკივა. განსხვავება კი მათ შორის ისაა, რომ გაპარსვის შედეგი გრძელდება მხოლოდ 3-4 დღის განმავლობაში, ცვილით გაკეთებული ეპილაციისა კი – თითქმის 4 კვირა. თუ გადაწყვეტთ, რომ „კორექტურა" გაუკეთოთ აქა-იქ ამოსულ ღერებს, გამოიყენეთ ელექტროეპილატორი და არა ბრიტვა. ელექტროეპილატორი ბოლქვებიანად იღებს თითოეულ ღერს და ამგვარად ანელებს მათი ზრდის პროცესს.

ცვილით ეპილაციის სალონური პროცედურა გრძელდება საშუალოდ საათ-ნახევრის განმავლობაში, თუ თმას იშორებთ მთელ სხეულზე; 25 წუთია საჭირო მხოლოდ ფეხების, ნახევარი საათი კი – ბიკინის ზონის ეპილაციისთვის.

კანი რომ არ გაღიზიანდეს, პროცედურის ჩატარების დღეს დაუშვებელია საუნაში ან აუზზე წასვლა, მზის აბაზანების მიღება და სხეულზე სკრაბებით პილინგის გაკეთება.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: რით ჯობია მასაჟის გაკეთება სახლის პირობებში?**

**პასუხი**: სახლის პირობებში მასაჟის გაკეთება უმჯობესია ვაკუუმური მასაჟორით ან სპეციალური ხელთათმანით. საკმარისია, 5-10-წუთიანი ენერგიული წრიული მოძრაობით დაიმასაჟოთ სხეული მუხლიდან თეძომდე (თუ ვენების პრობლემა არ გაქვთ).

**კითხვა: რა შემთხვევაში მოქმედებს ანტიცელულიტური კრემი უფრო ეფექტურად?**

**პასუხი**: ანტიცელულიტური კრემის ეფექტი იზრდება, თუ წინასწარ გაიუმჯობესებთ სისხლის მიმოქცევას ორგანიზმში: კრემის წასმის წინ 2-3 წუთის განმავლობაში მსუბუქად დაიმასაჟეთ პრობლემური ზონები ცელოფნის პაკეტში გახვეული ყინულის კუბიკით.

**კითხვა: გამიგია, რომ შესაძლებელია ტონიკის გადაკეთება დამატენიანებელ ნიღბად. რისი შერევაა ამისთვის საჭირო?**

**პასუხი**: ტონიკის დამატენიანებელ ნიღბად გადაკეთება კი არა, გამოყენება შეიძლება, თან, ძალიან მარტივად: რამდენიმე ფენად დაკეცეთ დოლბანდი (სახის ზომის), დაასველეთ ტონიკში, ოდნავ გაწურეთ და დაბანის შემდეგ მჭიდროდ დაიფინეთ სახეზე 20 წუთის განმავლობაში. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში სპირტზე დამზადებული ტონიკის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

**კითხვა: რა მეთოდით შეიძლება ცელულიტის მთლიანად მოშორება?**

**პასუხი**: ცელულიტის მთლიანად მოშორებას სჭირდება კომპლექსური პროგრამა: სწორი კვება, ფიზიკური აქტივობა, წყლის პროდუქტები, სპეციალური კრემები და პროფესიონალი სპეციალისტის მიერ გაკეთებული მასაჟები.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# ინტიმური საუბრები

## მეგონა, სიკეთე გავაკეთე, მაგრამ...

მეხუთე კლასიდან სამნი ვმეგობრობთ: მე, თიკო და მანჩო. ორივეს ერთი ბიჭი შეუყვარდა (საბა) და ორივე ცალ-ცალკე ურეკავდა და ელაპარაკებოდა სკაიპით. მეგობრებმა არ იცოდნენ, რომ ერთსა და იმავე ბიჭს ურეკავდნენ. იმ ნაგლმა კი იცოდა, რომ თიკო და მანჩო დაქალები იყვნენ, მაგრამ, ვითომ აზრზე არ იყო და, ხან ერთს ხვდებოდა, ხან – მეორეს. მეგობრები რომც არ ყოფილიყვნენ, საბა მაინც უპატიოსნოდ იქცეოდა, რომ ორივეს ცალ-ცალკე უხსნიდა სიყვარულს და იმედს აძლევდა. ეს ამბავი რომ გავიგე, საშინლად გავბრაზდი და ძალიან დიდხანს ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი. ბოლოს, სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ჩემი დაქალები სახლში დავიბარე და საბა ვამხილე. მე მეგონა, მადლობის მეტყოდნენ, მაგრამ, პირიქით მოხდა: ორივემ შურიანობაში დამადანაშაულა, მათ პირად ცხოვრებაში ჩარევაში დამდეს ბრალი და ორივე გამებუტა, საბა კი გაამ-



ართლეს – არ იცოდა, რომ ჩვენ დაქალები ვიყავითო (არადა, დანამდვილებით გავიგე, რომ იცოდა).

მე მათთვის სიკეთე მოვინდომე, არ მინდოდა, რომ სიცრუეში ეცხოვრათ, მათ კი მოღალატე და შურიანი გამომიყვანეს და საერთოდ აღარ მეკონტაქტებიან. ეს კიდევ არაფერი, საბას ორივემ ცალ-ცალკე უამბო, როგორ „დავწამე ცილი“ და ისე გაალიზიანეს ჩემ წინააღმდეგ, რომ დამირეკა (ცხადია, ჩემი ტელეფონის ნომერიც რომელიღაცამ მისცა), უკანასკნელი სიტყვებით მლანძღა და ბოლოს დამემუქრა: ერთი ადგილი დააყენე, თორემ, ისეთ დღეში ჩაგაგდებ, თავ-ბედს გაწყევლინებო.

ეტყობა, მართლა არ უნდა ჩაერიო სხვის საქმეში, მაგრამ, ვერ მოვითმინე, რომ ვიღაც ნაძირალა ბიჭი ჩემს დაქალებს ასე აცუცურაკებდა, შედეგად კი ის მივიღე, რომ სამუდამოდ დავკარგე ბავშვობის მეგობრები, რასაც ძალიან განვიცდი; თუმცა, მიმაჩნია, რომ მართალი ვარ მათ წინაშე.

**მაკა, 16 წლის.**

## შეყვარებული ძლივს მოვიშორე

მყავს შეყვარებული, რომელსაც უკვე ნახევარი წელია, ვხვდები. რომ ჰკითხო, ძალიან ვუყვარვარ, არადა, ისეთი უხეში და უტაქტოა ხოლმე, განსაკუთრებით, თუ თავისი მეგობრების გარემოცვაში ვართ, ლამის ხმამაღლა მატიროს. ისე, მისი ძმაკაცებიც საკმაოდ ვირულად ელაპარაკებიან ხოლმე თავიანთ შეყვარებულებს – ვითომ ეხუმრებიან და მერე თვითონვე იხოცებიან სიცილით. იმ გოგონებს კი არც სწყინთ და არც არაფერი, ეტყობა, მიჩვეულები არიან; უფრო მეტიც, თვითონაც იცინიან; არც მათ უზრდელ იუმორზე აქვთ რეაქცია და ხშირად თვითონაც ტოლს არ უდებენ უზრდელობაში, თუმცა, უზრდელობა რა სათქმელია, ისეთ უწმაწურობებს აფრქვევენ, ყურები ამეწვება ხოლმე სირცხვილისგან, ისინი კი ერთად ხარხარებენ და მეც დამცინიან, ცუდ სიტყვებს რომ არ ვამბობ. იმდენად მიუღებელია ჩემთვის ასეთი რაღაცეები, რომ, კარგა ხანია, ვფიქრობდი გოჩასთან დაშორებაზე, მაგრამ, რაღაცნაირად, მომენტი ვერ ჩამივარდა ხელში და ამიტომ სულ სამომავლოდ ვდებდი. ძალიან გვიან მივხვდი – ამ ნაბიჯს იმიტომ ვერ ვდგამდი, რომ, სინამდვილეში, მეშინოდა მისი. არც ის მინდოდა, ჩემი ძმისთვის მეთქვა – ძალიან ფსიხია და, შემეშინდა, შარში არ გაეხვიოს-მეთქი. ამიტომ, ვცდილობდი, ნელ-ნელა ჩამოვშორებოდი: ხან ტელეფონზე არ ვპასუხობდი, ხან ვეუბნებოდი, ავად ვარ და ვერ გამოვალ-მეთქი. ამ ორი კვირის წინ კი ისე მოხდა, რომ ჩემს კოლეჯთან შემხვდა შემთხვევით. ნასვამი იყო და გადამეკიდა, ჩემი ძმაკაცის დაბადების დღეზე უნდა წამოხვიდეო. რა არ მოვიმიზეზე, მაგრამ, გაგონებაც არ უნდოდა. მერე შუა ქუჩაში ყვირილი ატეხა. შემრცხვა, ვინმე ნაცნობმა არ დამინახოს-მეთქი და წავყევი. ისევ ის სამეგობრო იყო შეკრებილი – ოთხი ბიჭი თავიანთი შეყვარებულებით. გოჩამ იქაც დალია და მთლად გაითიშა. დანარჩენებიც მთვრალები იყვნენ და თავისებურად უზრდელურად დაიწყეს ვითომ ხუმრობა. მერე ყველა ერთად ჩვენი, გოგოების შაყირზე და გამასხარავებაზე გადავიდა. ბოლოს ერთმანეთში ვითომ ჩურჩული დაიწყეს და, გავიგონე, როგორ უთხრა გოჩამ თავის ერთ ძმაკაცს, შემდეგ შეხვედრაზე ნაშები ხომ არ გავცვალოთო და ისიც მაშინვე დაეთანხმა. ისე ჭკუიდან გადამიყვანა ამის გაგონებამ, შიშის გრძნობა დავკარგე, ორივეს მივახალე, ნაგვები და ნაძირლები ხართ და თქვენი დანახვა აღარ მინდა-მეთქი; მერე გოგოებსაც ვუთხარი, წავიდეთ, ამ არაკაცებთან რა საერთო გვაქვს-მეთქი, მაგრამ არ წამომყვნენ. მაშინ, ავდექი და მარტო წამოვედი. ბედზე, ტაქსიც მაშინვე გამოჩნდა და თხუთმეტ წუთში სახლში ვიყავი. კიდევ კარგი, მარტო დედაჩემი დამხვდა. ასეთი განერვიულებული და ნამტირალევი რომ დამინახა, გადამეკიდა, რა მოხდაო და მეც ყველაფერი ვუამბე. ეტყობა, ისეთი გაუბედურებული სახე მქონდა, არ გამიჯავრდა, საყვედურიც კი არ მითხრა; პირიქით, გულში ჩამიკრა და დამშვიდება დამიწყო. მე შევეხვეწე, რომ ჩემი ძმისთვის არ ეთქვა არაფერი. დედა შემპირდა: არავინ მჭირდება, იმ ნაძირალას მე თვითონ მოვუგრეხ კისერსო. მეორე დღეს დედაჩემმა თვითონ დაურეკა, შეხვდა და ისეთი დღე აყარა, ის იდიოტი აქეთ ეხვეწებოდა მუხლებზე დავარდნილი, ოღონდ თავი დამანებეთ და ჩემს სიცოცხლეში ახლოს აღარ გავეკარებიო. იმ დღის შემდეგ, ჯერჯერობით, მართლაც აღარ გამოჩენილა. მხოლოდ ახლა მივხვდი, რა ბედნიერება ყოფილა შიშისა და დაძაბულობის გარეშე ცხოვრება.

**ნინო, 19 წლის.**

## ქმარს ყველაფერს ვაპატიებ

ხუთი წელია, გათხოვილი ვარ. სხვათა შორის, სანამ ცოლად გავყვებოდი, ჩემი ქმარი ორ წელიწადზე მეტხანს დამდევდა კუდში და იმდენი მოახერხა, რომ თავი შემაყვარა. გათხოვებიდან ოთხი წელი ძალიან ბედნიერები ვიყავით, ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეგონა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში კი ჩემი ქმარი შეიცვალა: მეც უხეშად მექცეოდა, ბავშვსაც საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას; თან, ძალიან ხშირად ღამით სახლში აღარ მოდიოდა და, თუ მოვიდოდა – ძალიან გვიან, ნასვამი და შარიან ხასიათზე. მერე ერთმა ნაცნობმა მითხრა, ქმარი გღალატობსო. რატომღაც, მაშინვე დავიჯერე. თუმცა, რაღა „რატომღაც“, როცა ისედაც აშკარა იყო. ეს ამბავი ჩემს დაქალს გავანდე. იმან რაღაც ხერხებით გამოიკვლია და დაადგინა, რომ ჩემს ქმარს მართლა ჰყავდა საყვარელი, სხვათა შორის, ქმრიანი ქალი. ჩემი დაქალი ამას რომ მეუბნებოდა, თან ბოდიშს მიხდიდა და თან მარწმუნებდა, არ უნდა აპატიო და უნდა გაშორდეო, მაგრამ ამ ნაბიჯს ვერ ვდგამ, რადგან, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მიყვარს. გარდა ამისა, არ მინდა, ჩემი ერთადერთი შვილი უმამოდ გაიზარდოს. მე თვითონ დანგრეულ ოჯახში გავიზარდე და ახლაც მახსოვს ის სიმწარე, რაც მთელი ბავშვობის განმავლობაში განვიცადიდი. სულ მენატრებოდა მამა, რომლის სახე ბუნდოვნად მახსოვდა, რადგან, 4 წლის ვიყავი, რომ მიგვატოვა და იმის მერე მხოლოდ ერთხელ მოვიდა ჩემს სანახავად და მაშინაც ძალიან მალე წავიდა. მისი ზრუნვის ერთადერთი გამოხატულება ის იყო, რომ დედაჩემს ფულს უგზავნიდა ხანდახან. ისიც კარგად მახსოვს, დედა ყოველ დილით ნამტირალევი თვალებით რომ გამოდიოდა თავისი ოთახიდან, მერე მთელი დღე ცდილობდა, ჩემთვის არ ეგრძნობინებინა თავისი ტკივილი და ძალით იმხიარულებდა თავს. რომ წამოვიზარდე, იმ დროიდან დღემდე, სულ თან დამყვება დედაჩემის სიბრალულის შეგრძნება. სულ სევდიანი ვიყავი ამის გამო და, არასდროს დავდიოდი ჩემს თანატოლებთან ერთად მხოლოდ იმის გამო, რომ დედა მარტო არ დამეტოვებინა. ბავშვებიც შეეჩვივნენ ამას, არსად აღარ მეძახდნენ და ამიტომ მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა თითქმის მეგობრების გარეშე გავატარე. ეს ყველაფერი ძალიან მწარედ მახსოვს და არ მინდა, ჩემმა შვილმაც იგივე გადაიტანოს. ამას მირჩევნია, მე ვეწამო. ყველაფერს ვაპატიებ, ოღონდ არ მიგვატოვოს.

**მაია, 27 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით:**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# რატომ გადაიკეთეს საქართველოში სამუშაოდ შემოსულმა ჩინელებმა გვარები და როგორ უწყობენ ხელს ქართველი მაღალჩინოსნები უცხოური დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის შემოდინებას

(მე-10 გვერდიდან)

800 ათასზე მეტი თურქი მუშა განათავსეს. უცხოეთში სამუშაოდ წამსვლელთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ლოდინის პერიოდი ხშირად რამდენიმე წელს გრძელდებოდა. ამიტომ სახელმწიფომ წარმატებით გამოიყენა ეს სიტუაცია და დაიწყო „სოფლის განვითარების კოოპერატივების“ შექმნა. კოოპერატივების წევრები უპირატესობას უცხოეთში შრომით მოწყობაში იღებდნენ იმის სანაცვლოდ, რომ მათ მიერ სამშობლოში გამოგზავნილი ფულის ნაწილი გამოყენებული იქნებოდა, როგორც კოოპერატივის კაპიტალდაბანდება. საერთოდ, მიგრანტთა ფულადი გზავნილები სამშობლოში იყო თურქეთის მთავრობის პოლიტიკის მიზანმიმართული საგანი, რომელიც ხელს უწყობდა გამომუშავებული თანხების, რაც შეიძლება მეტი ნაწილის გადმორიცხვას სამშობლოში. ამისთვის მუშა-მიგრანტებს მიეცათ ნებართვა, გაეხსნათ ანგარიშები სახელმწიფო ბანკებში, რომლებსაც სახელმწიფო შეღავათიანი კურსით უკონვერტირებდა ვალუტას. მიგრანტთა ფულადი გზავნილების ეროვნულ ეკონომიკაში ჩადების სტიმულირებისთვის მთავრობის მხარდაჭერით შეიქმნა მუშათა საინვესტიციო ბანკი, რომელიც უცხოეთში მყოფი თურქი მუშების სახსრებს აბანდებდა ინდუსტრიულ პროექტებში, ეგრეთ წოდებული „მუშათა კომპანიების“ მეშვეობით. „მუშათა კომპანიების” აქციონერებს სამშობლოში დაბრუნებისას, შეეძლოთ, მიეღოთ იქ შრომითი მოწყობის გარანტია. მეტიც, 1970-1980-იან წლებში თურქეთმა თავისი მოსახლეობა ნავთობმომპოვებელ არაბულ ქვეყნებში გადაანაწილა. 1986 წელს დაახლოებით 200 ათასი თურქი მუშა იმყოფებოდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ამასთან თურქეთის ხელისუფლების სტრატეგია სამუშაო ძალის ექსპორტის მიმართ შეიცვალა: შეიქმნა პირობები თურქეთის კერძო ფირმების მსოფლიო ბაზარზე დასაწინაურებლად, უპირველეს ყოვლისა, შედარებით კონკურენტუნარიანი სამშენებლო სექტორისთვის. თავის მხრივ, ეს ფირმები კონკრაქტის საფუძველზე იზიდავდნენ თურქეთის სამუშაო ძალას სამშენებლო პროექტების განსახორციელებლად. როდესაც 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იან წლებში „გაიხსნა“ ახალი ბაზრები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და თურქეთის მთავრობამ შექმნა პლაცდარმი მსხვილი თურქული კერძო სამშენებლო ფირმებისათვის. 1990-იანი წლების შუა პერიოდში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უკვე მოქმედებდა თურქეთის 200-ზე მეტი სამშენებლო ფირმა, ხოლო თურქეთის მუშები, დაახლოებით 40 ათასი ადამიანი, რუსეთში ლეგალური უცხოური სამუშაო ძალის მესამე ჯგუფს შეადგენდნენ უკრაინელებისა და ჩინელების შემდეგ.

**– ჩვენთან, ძირითადად, რომელი ქვეყნიდან შემოდიან მიგრანტები?**

– ჩვენთან საზღვარი ღიაა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ საქართველოდან გადის უფრო კვალიფიციური ძალა და შემოდის დაბალკვალიფიციური. გვაქვს უარყოფითი მიგრაციული სალდო – უფრო მეტი გადის, ვიდრე შემოდის, თუმცა საზღვრის დაცვის დეპარტამენტი წინა წლებში იძლეოდა ინფორმაციას, რომ მეტი შემოდიოდა, მაგრამ ეს არ იყო რეალური ინფორმაცია. მიგრაციის კანონია, წასულის ადგილს შემოსული იკავებს და, თუ ადრეულ წლებში, ძირითადად, აზერბაიჯანელები და სომხები შემოდიოდნენ, ახლა ნაკლებად, უფრო უცხოეთის ქვეყნებიდან შემოდიან. ზოგადად, მაღალგანვითარებულ ქვეყანაში შემომსვლელი მეტია, დაბალი განვითარების ქვეყანაში – გამსვლელი. ეს, ძირითადად, ეხება შრომით მიგრანტებს. მაგალითად, გერმანიამ შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან გააფორმა ხელშეკრულებები შრომითი მიგრანტების მიღების შესახებ, მაგრამ შრომითი ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ, მათ უნდა დაეტოვებინათ გერმანია. საქართველოს რომ შევადაროთ: ჩინური კომპანიები იგებენ ტენდერებს და შემოჰყავთ თავიანთი ხალხი. ამდენად, თუ ადრე ჩინელები ინდივიდუალურად შემოდიოდნენ, ახლა უკვე ორგანიზებულად მოდიან, ამიტომ ჩინელები ჩანან მხოლოდ მშენებლობებზე. ხაშურში უამრავ ჩინელს ნახავთ, გვარებიც კი გადაიკეთეს: არიან გელაშვილები და ნოზაძეები.

**– ხომ არ მოინათლნენ კიდეც?**

– არ შემისწავლია ეს საკითხი, მაგრამ უკონფლიქტო და შრომისმოყვარე ხალხია, მიწებიც აიღეს ქართლში იჯარით და ამუშავებენ. მიგრაციის განმსაზღვრელი მაინც შრომის ბაზარი და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაა. აქ კვალიფიციური მუშაკი არ შემოვა, თუ რომელიმე კონკრეტულ ბიზნესმენს არ დასჭირდა. ქვეყანაში ელიტური კორუფციის არსებობა გვაძლევს საფუძველს, ვიგულისხმოთ, რომ სახელმწიფო მოხელეები ტენდერებში ამარჯვებინებენ იმ კომპანიებს, რომლებთანაც არიან შეკრულები. მათ კი შემოჰყავთ თავიანთი სამუშაო ძალა. მაგალითად, ძალიან ბევრი ინდოელი და აფრიკელია შემოსული სწავლის მიზნით, მაგრამ ისინი პარალელურად მუშაობენ. ამას წინათ ნიგერიელებმა გამოთქვეს პრეტენზია, თუმცა ევროპაში ასეთ პრეტენზიას არალეგალები ვერ გამოთქვამდნენ, რადგან მაშინვე დეპორტაციას გაუკეთებენ. მაგრამ, რადგან ჩვენთან არანაირი კონტროლი არ არის, გამოდის, რომ არალეგალებიც არ გვყავს. არც არანაირი შეზღუდვები არ არსებობს, მაშინ, როდესაც, თუ მე მყავს ანალოგიური კვალიფიციური სამუშაო ძალა, შემოსულმა ფირმებმა ჩემი სამუშაო ძალა უნდა დაასაქმოს. მაგრამ ჩვენთან არ არსებობს შრომის ბირჟა, რომ ვიცოდეთ, რამდენი მუშახელი სად გვჭირდება. აქვე გეტყვით, რომ ნიგერიაში შობადობის მაღალი დონეა და 2050 წლისთვის მესამე ადგილზე გავა მსოფლიოში მოსახლეობის რიცხოვნობით. ანუ შემოდიან ნიგერიელები, ინდოელები, არაბები ნაკლებად... ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერის შემდეგ, დადგა საკითხი, რომ საქართველო არ უნდა იყოს მიგრანტების გამტარი და უნდა ჩაკეტოს საზღვარი. სავიზო რეჟიმს იმიტომ გვიწესებს ევროკავშირი, რომ აქედან არავინ გავიდეს შეუმოწმებლად. ცნობილია, რომ მიგრანტები აქ ჩამოდიან იმისთვის, რომ მოხვდნენ ევროპის ქვეყნებში. ევროკავშირს შესწავლილი აქვს ეს მარშრუტები. ამდენად, ჩვენ სერიოზული მიგრაციული პოლიტიკა უნდა გვქონდეს. უნდა შეიქმნას სისტემა, როდესაც იქნება საკანონმდებლო ბაზა, შესაბამისი სამსახურები: მიგრაციული პოლიციის ჩათვლით. ასევე, უნდა ააშენონ შენობა დეპორტირებულებისთვის. ამ სისტემას შექმნა სჭირდება.

**ნინო ხაჩიძე**

# რატომ შეუკვეთეს იური მეჩითოვის მამას თბილისში ბრეჟნევის ჩამოსვლასთან დაკავშირებით 15 ერთნაირი ქუდი და რის გამო არ ელაპარაკებოდა ის შვილს 3 თვის განმავლობაში

(მე-18 გვერდიდან)

უბანი, სადაც ძირითადად სომხები ცხოვრობდნენ. ბებიაჩემი ცხოვრობდა იქ, დედის მხრიდან. ძალიან მიყვარდა იქ სიარული. დიდი ეზო იყო, სადაც სამჭედლო ჰქონდათ, ამ სახელოსნოს თვალიერება მომწონდა. გვერდზე სასოსისე იყო, სადაც უგემრიელესი სოსისი იყიდებოდა, რომლის მსგავსსაც ახლა ვეღარსად შეხვდები, შავი პურითა და მდოგვით. ეს უბანი მერე მოსპეს სხვადასხვა მიზეზის გამო. 1956 წელს წყალდიდობა იყო, ხალხი დაიღუპა. მას შემდეგ წყალდიდობა აღარ ყოფილა, მაგრამ გადაწყვიტეს და ეს კოლორიტული უბანი მოსპეს.

წიგნი მინდა გავაკეთო თბილისზე... თბილისური პორტრეტებით... სხვადასხვა დროს გადაღებული სურათებით...

**– თქვენი მეუღლეც თბილისში გაიცანით?**

– ჩემი მეუღლე, ჩემი თანაკლასელია – თამილა ანგლიკოვსკაია. მისი წინაპრები პოლონეთიდან იყვნენ გადმოსახლებულები. 19 წლის ასაკში ვიქორწინეთ. 2 შვილი გვყავს, სამი შვილიშვილი...

**– იყო წლები, როცა ძალიან ბევრმა მიატოვა საქართველო. თქვენ არასდროს გაგჩენიათ ამის სურვილი?**

– მე არადროს მიფიქრია ამაზე. იმასაც განვიცდი, რომ ჩემი შვილი და 2 შვილიშვილი წასული არიან ინგლისში და არ ვიცი, როგორ მოვატრიალო აქეთ. ანეკდოტი რომაა ხომ იცით: ებრაელი გამოიძახეს სუკის განყოფილებაში, მისცეს გლობუსი და უთხრეს: შეარჩიე ადგილი, სადაც წასვლა გინდა და გიშვებთ, ოღონდ წადიო. ატრიალა ეს გლობუსი ებრაელმა: ისრაელში რომ არ მინდა ფაქტია, იმიტომ რომ, ჩემს ქალიშვილს ჯარში წაიყვანენ... იქ ანტისემიტიზმია, იქაც ცივა, იქ კიდევ ცხელა... სხვა გლობუსი არა გაქვთო?... ***(იცინის).***

არ მეგულება გლობუსზე სხვა ადგილი, სადაც ვიცხოვრებდი... ჩემი სამშობლო საქართველოა. ისე, ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი. მაგრამ, სხვისი ცხოვრების მაყურებელი არ მინდა ვიყო – ტურისტს არ აქვს თავისი ცხოვრება. საქართველოში ნურავის ეწყინება, მაგრამ ტურისტი არის იდიოტი აპარატით. მე ისედაც აპარატი ყოველდღე კისერზე მიკიდია და არ მინდა, პლუს ამას იდიოტიც ვიყო.

**ეკა სალაღაია**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# ვინ და რატომ იღებდა სტალინის პირად ცხოვრებას ფარული კამერით



სტალინის პირველი დიდი იუბილე 1929 წლის 21 დეკემბერს გაიმართა, რომელიც მთელმა ქვეყანამ დიდი ერთსულოვნებით აღნიშნა. თავად ბელადი ამის მომხრე არ ყოფილა, მაგრამ ეს საკითხი პოლიტბიურომ ერთხმად მიიღო და, მიუხედავად სტალინის საკმაოდ აქტიური პროტესტისა, დადგენილება არავის შეუცვლია. ქვეყანა საამისოდ ორი თვე საგანგებოდ ემზადებოდა და ამ ხნის განმავლობაში სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი რამდენიმე წიგნი გამოიცა, რომლებშიც ჩვენი პარტიის გამოჩენილი, ძველი ბოლშევიკები დოკუმენტური სიზუსტით გადმოსცემდნენ ბელადის საქმიანობის დეტალებს. გარდა ამისა, ასობით ქალაქს, სოფელს, საწარმოს, გემსა და გიგანტ თვითმფრინავს მიენიჭა დიდი სტალინის სახელი. მრავალი სპექტაკლი შეიქმნა მის ცხოვრებაზე, ხოლო კინოდოკუმენტალისტებმა მასზე უნიკალური მასალა გადაიღეს, რომელიც დღემდე სპეცარქივებშია „ჩამარხული“ და, როდის იხილავს მას ფართო საზოგადოებრიობა, არავინ უწყის. საქმე ისაა, რომ, როდესაც სტალინის იუბილის აღნიშვნის საკითხი გადაწყდა, წამოიჭრა მასზე დოკუმენტური ფილმის შექმნის იდეა და საამისოდ ქრონიკიორთა (ასე ერქვათ მაშინ კინოოპერატორებს) სპეციალური ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც ფარულად უნდა გადაეღო ფოტომასალა სტალინზე და შემდეგ სიურპრიზის სახით ეჩვენებინა მისთვის. ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს, როგორც ჩვენთან, ასევე, „გეპეუსთან“ იყო შეთანხმებული და მკაცრად კონტროლდებოდა. იაგოდა და ვლასიკი კი ამ ნაბიჯზე მხოლოდ და მხოლოდ სერგო ორჯონიკიძის დაჟინებული თხოვნისა და პოლიტბიუროს წევრთა წერილობითი დასტურის შემდეგ წავიდნენ. ხუმრობა ხომ არ იყო, მათ სტალინთან შეთანხმების გარეშე, მისი ფარული გადაღებისთვის უნდა შეეწყოთ ხელი და, თუმცა ყოველივე ეს ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს მიერ იყო სანქცირებული, ვლასიკიც და იაგოდაც საკმაოდ შეშინებულები იყვნენ. ფილმის შექმნის იდეა კი თავად ორჯონიკიძეს ეკუთვნოდა, რომელმაც ჯერ პოლიტბიუროს წევრები დაარწმუნა, შემდეგ კი პირადად ესაუბრა იაგოდასაც და ვლასიკსაც. ორჯონიკიძე სტალინის პირადი მეგობარი იყო და, პოლიტბიუროს ყველა დანარჩენი წევრისგან განსხვავებით, განსაკუთრებულად ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბელადთან. „თავებს დაგვაყრევინებს“, – უთქვამთ ვლასიკსა და იაგოდას ორჯონიკიძისთვის, მას კი ორივე დაუმედებია: „ნუ გეშინიათ, ის არც ისეთი სასტიკია, როგორიც გეჩვენებათ, – შემდეგ კი ხუმრობით დაუმატებია: – ის არა, მაგრამ, მე კი ნამდვილად ვერ გადამირჩებით ორივე“. ერთი სიტყვით, სტალინის მოშიში ხელქვეითების დაყოლიება ორჯონიკიძემ მაინც შეძლო და მუშაობაც გაჩაღდა. მე თავად შევსწრებივარ ამ გადაღებებს. ვლასიკისგან მკაცრად ვიყავით გაფრთხილებულები, რომ ენაზე კბილი დაგვეჭირა და, რასაც ვხედავდით, არავისთვის გაგვემხილა. ქრონიკიორები საკმაოდ შენიღბულად მოქმედებდნენ და თითოეულ გადაღებაზე სამი კამერა მუშაობდა. იღებდნენ თითქმის ყველგან – კრემლში, ზუბალოვოში, სხვადასხვა შეხვედრაზე, შავიზღვისპირეთში. იმ პერიოდში მე იმ კადრებს ვინ მაჩვენებდა და, მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ მოვახერხე ამ უნიკალური მასალის ნახვა, რომელიც თორმეტ საათზე მეტს მოიცავს (რა თქმა უნდა, მონტაჟის გარეშე), ხოლო თავად ფილმი ზუსტად ერთსაათიანია და იმდენად ბრწყინვალედაა შესრულებული, რომ დღესაც (1974 წელი) ანალოგი არ მოეპოვება. აქაა ერთი უნიკალური ეპიზოდი, როდესაც ზუბალოვოში სტალინი თავის შვილებსა და მათ მეგობრებს ეთამაშება. ამ კადრებში სტალინი იმდენად სხვანაირია, რომ მის მნახველს, შესაძლოა, მასხობიც კი ეგონოს. ერთ ეპიზოდში სტალინი დაოთხილი დგას, მას ზურგზე სვეტა აზის, მიქოიანის ბიჭი კი მოხრილია და ცხვირი ცხვირზე აქვს მიდებული მისთვის. ერთი სიტყვით, როდესაც ეს ფილმი სტალინს აჩვენეს, ყველაზე მეტი ამ სცენაზე უცინია. იქაა კიდევ ერთი უნიკალური კადრი, როდესაც სტალინი თავის აგარაკზეა გაგრაში და ზღვაში ცურავს. თვით ეს პერიოდი მეც კარგად მახსოვს, რადგან, იქ ვიმყოფებოდი და დიდი ბელადის უშუალო უსაფრთხოება მევალებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ სტალინი მშვენივრად ცურავდა და დასვენებისას დიდ დროს უთმობდა ამ საქმიანობას. ჩემ მიერ ხსენებული ეპიზოდის დროს, სტალინი წყლიდან ამოვიდა, მყვინთავის მოწყობილობა მოირგო, „გორპუნი” (ხელის თოფი) აიღო და ჯერ ზღვაში შეცურა, შემდეგ კი ჩაყვინთა. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, იღებდნენ. უეცრად, სტალინი წყლის ზედაპირზე ჩნდება, ნაპირისკენ მოცურავს და როდესაც გამოდის, თავზე უზარმაზარი თევზი აწევს, რომელიც „გორპუნის“ ისრითაა განგმირული. მოგვიანებით ეს თევზი ავწონეთ და 23 კილოგრამი გამოვიდა. სხვათა შორის, შავიზღვისპირეთში გადაღებული კადრები ყველაზე კარგია ამ ფილმში. იმ პერიოდში, ანუ 1929 წლის აგვისტოში, ლავრენტი ბერია საქართველოს „ჩეკას“ მაღალჩინოსანი იყო და სტალინის დაცვის უზრუნველყოფა საქართველოს ადგილობრივი ორგანოების მხრიდან, სწორედ პირადად მას ევალებოდა. სტალინთან მისი დაახლოების პირველი ეტაპი სწორედ იმ პერიოდს მოიცავს. მშვენივრად მახსოვს, როგორ ცდილობდა ბერია სტალინთან სიახლოვეს და მისი მოწონების დამსახურებას. ბერია იმ პერიოდში საკმაოდ გამხდარი, მოძრავი და ახალგაზრდა იყო. ამასთანავე, იგი სულ იღიმებოდა. თუმცა ეს ღიმილი საკმაოდ ავისმომასწავებელი იყო. ბერია ძალზე ხშირად ახერხებდა სტალინთან განმარტოებას, მაგრამ, რაზე საუბრობდნენ კონკრეტულად, არავინ უწყის. თუმცა, სტალინის მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, ბერია დააწინაურეს. საგულისხმოა, რომ, როცა სტალინის იუბილესთან დაკავშირებით მოსკოვში მოწვეული სტუმრების სია წარუდგინეს ბელადს, მან საკუთარი ხელით ჩაამატა ლავრენტი ბერია.

> სტალინის ყველა წვეულებას ორჯონიკიძე თამადობდა და ამჟამადაც დარწმუნებული იყო, რომ ეს მისია არ ასცდებოდა

ერთი სიტყვით, სტალინზე გადაღებული მასალის მონტაჟი ნოემბრის ბოლოს დასრულდა და ფილმი მზად იყო, მაგრამ, ორჯონიკიძის ინიციატივით, ეს ფილმი სტალინისთვის 21 დეკემბერს, ზუბალოვოში უნდა ეჩვენებინათ. მოკლედ, სტალინის იუბილემ ბრწყინვალედ ჩაიარა, იყო უამრავი მილოცვა და, ყველასთვის გასაკვირად, სტალინმა ბერიაც მიიწვია ზუბალოვოში. ფილმი უკვე ადგილზე იყო და, ორჯონიკიძის იდეის მიხედვით, ერთ-ერთი სადღეგრძელოს შემდეგ მას სტალინისთვის უნდა ეთქვა: „ახლა კი, მეგობრებო, ყველამ ერთად ვიხილოთ არაგენსეკი სტალინის სახე” – და სიურპრიზიც უნდა ენახვებინათ. ზუბალოვოში სულ 40-მდე ძალიან ახლობელი ადამიანი შეიკრიბა და მათ შორის ბერიას გამოჩენა უჩვეულო იყო. თუმცა, გაოცება სტუმრებს ჯერ კიდევ წინ ელოდათ. ჩვეულებისამებრ, სტალინის ყველა წვეულებას ორჯონიკიძე თამადობდა და, ამჟამადაც დარწმუნებული იყო, რომ ეს მისია არ ასცდებოდა. მაგრამ, როდესაც სტუმრები სუფრას მიუსხდნენ, სტალინმა სასმისი ასწია და წარმოთქვა: „მეგობრებო, დღევანდელ სუფრას გაუძღვება ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი საქართველოდან, ამხანაგი ლავრენტი ბერია. გთხოვთ, პატივი ვცეთ მას და მისი სადღეგრძელო შევსვათ!” სუფრა გაირინდა, თუმცა ყველამ შესვა ბერიას სადღეგრძელო, ამ უკანასკნელმა კი სამადლობელოს მაგიერ სტალინის სადღეგრძელო შესთავაზა სტუმრებს. ცოტა ხნის შემდეგ სიტყვა ორჯონიკიძემ ითხოვა, რათა წინასწარ დაგეგმილი ჩანაფიქრი განეხორციელებინა და სიურპრიზი შეეთავაზებინა თანამესუფრეებისთვის, მაგრამ სტალინმა უეცრად ხმამაღლა თქვა: „რა სულ ჩემზე და ჩემზე... მოდი, სხვა რამეზე, თუნდაც კინოზე ვისაუბროთ, ან, სულაც, რაიმე ფილმი ხომ არ გვენახა, თუნდაც დოკუმენტური? – ამ სიტყვებით მან ბერიას გადახედა და განაგრძო: – ამხანაგებო, სერგოს, თურმე, სცენარისტობა და რეჟისორობა განუზრახავს, უფრო სწორად კი, უკვე დაუწყია და, ამბობენ, რომ წარმატებებსაც მიაღწია. მოდი, ერთი ვნახოთ, როგორ გამოვიყურები შავი ზღვის ფონზე!..” საქმეში ჩახედულები გაშრნენ, ჩაუხედავები ცნობისმოყვარეობით აცეცებდნენ თვალებს, ხოლო სერგო ორჯონიკიძე მწველ მზერას არ აშორებდა სუფრის თამადას, რომელიც სტალინს შესციცინებდა თვალებში. ნათელი იყო, რომ ფილმის გადაღების საიდუმლო ამბავი სტალინს ბერიამ აუწყა.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ქალური შურისძიება

**დასასრული. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №1-29(708)**

მამაკაცებმა დაბნეულებმა გადახედეს ერთმანეთს, მერე ყველა პარკი ქალის წინ დააწყვეეს და უთხრეს:

– ეს მოსაკითხი გუგას მოვუტანეთ, მაგრამ, რადგან შინ არ დაგვიხვდა, თუ არ გეწყინებათ, თქვენ გამოიყენეთ.

– დიდი მადლობა, შვილო, რა არის საწყენი, – ქალს აშკარად შეეტყო, რომ ძალიან გაუხარდა ამდენი სავსე პარკის დანახვა, – ისე, თქვენ ვინ ბრძანდებით, შემთხვევით რომ გამოჩნდეს გუგა, რა გადავცე?

– თუ გამოჩნდა, გადაეცით, რომ აუცილებლად დამირეკოს, – უთხრა კაცმა და პატარა ბარათი გაუწოდა, – აი, ჩემი ტელეფონის ნომერი.

– თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით, რა ვუთხრა? – გაუმეორა შეკითხვა ქალმა და ეჭვი გაუკრთა თვალებში.

– უთხარით, რომ მიშა იყო მასთან და ძალიან უნდა მისი ნახვა.

– სიმართლე გითხრათ, არა მგონია, რომ გამოჩნდეს, რადგან გასაღები ბინის პატრონს ჩააბარა და ყელას ისე დაგვემშვიდობა, თითქოს სხვა პლანეტაზე მიეჩქარებოდა, მაგრამ, თქვენ საიდან იცნობთ გუგას? – ჩაეძია ქალი.

– ციხიდან, – ღიმილით უთხრა კაცმა, – ერთ საკანში ვისხედით და იქ დავმეგობრდით.

ქალმა ცოტა შიშით შეხედა კაცებს, კალთიდან ჩამოცოცებული ბავშვი სასწრაფოდ ისევ კალთაში ჩაისვა და გულზე მიიხუტა.

– ნუ გეშინიათ, ქალბატონო, – გაეცინა მიშას, – არც კაციჭამია ვარ, არც მკვლელი და არც ბანდიტი; უბრალოდ, მოხდა ისე, რომ სხვის სახლში ვიჩხუბე და ციხეში ალმოვჩნდი... კარგად ბრძანდებოდეთ. ბოდიშს გიხდით, რომ შეგაწუხეთ, – კაცები წავიდნენ და ეზოში გაოცებისგან პირდაღებული ქალი დატოვეს.

***

– კაბისა და ფეხსაცმლის საყიდლად ვის გაიყოლებ? – ჰკითხა გიორგიმ მზიას და ყავა ორ ფინჯანში დაასხა, – აბა, ნახე, როგორ ყავას ვადუღებ, მგონი, ვერ დამიწუნებ.

მზიამ ცხელივე მოსვა და მოწონების ნიშნად ცერი თითი ასწია.

– კაბის საყიდლად ვის გაიყოლებ-მეთქი, – გაუმეორა კითხვა გიორგიმ.

– არ ვიცი. ვფიქრობდი, ჩემი მეგობრისთვის დამერეკა, მაგრამ, ოთხი შვილი ჰყავს და, არ ვიცი შეძლებს თუ არა ორი-სამი საათით სახლიდან გამოსვლას. მეჯვარედაც ეგ მიმყავს და ასე ზედიზედ დიდი ხნით ბავშვებს ვერავის დაუტოვებს, – დაფიქრებით თქვა მზიამ, – თუმცა, სიმართლე გითხრა, სულაც არ მიმაჩნია საჭიროდ საქორწილო კაბის ყიდვა. შენ იმდენი ტანსაცმელი მომიტანე, იქიდანაც შეიძლება რამის შერჩევა, შლეიფიანი კაბის ყიდვას ისედაც არ ვაპირებდი, სადა მირჩევნია.

– მაშინ, სადა კაბა იყიდე, მაგრამ, ისეთი, ხელის მოწერასა და ჯვრისწერას რომ მოუხდება.

– კარგი, ასე მოვიქცევი, – დაეთანხმა მზია.

– ოღონდ, ერთ რამეს გთხოვ და შემისრულე. მპირდები?

– გპირდები. რა თხოვნა გაქვს?

– იმსიგრძე კაბა იყიდე, მუხლები ოდნავ რომ დაგიფაროს – ძალიან ლამაზი ფეხები გაქვს და გამოაჩინე, – უპასუხა გიორგიმ და კმაყოფილი ღიმილით შეათვალიერა საცოლე, მერე კი უცებ შესთავაზა: – გინდა მე წამოგყვე?

გიორგის ორიგინალური ქათინაურით გახარებულმა მზიამ უარის ნიშნად თავი გაიქნია, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, ისე შეხედა საქმროს და ჰკითხა:

– შენ როგორ ფიქრობ, ნუცას და ნანიტას რომ დავურეკო და ვთხოვო, უარს მეტყვიან? თან, მაინც ხომ უნდა ვუთხრათ ჩვენი ამბავი... არ მინდა, ისე გამოვიდეს, თითქოს მათ ჩუმად მოგყვები ცოლად, რაც არ უნდა იყოს, შენი რძალი და ძმისშვილი არიან...

– მართალი ხარ, უნდა ვუთხრათ, – დაეთანხმა გიორგი, – უარს კი არა, დარწმუნებული ვარ, ნუცას გაუხარდება კიდეც. თან, იმაზე კარგ მრჩეველს ამ საქმეში ვერსად იპოვი. ცოტა მოთენდეს და დაურეკე, ჯერ მხოლოდ 8 საათია და შეიძლება ეძინოთ.

– ჩემი აზრით, ჯობია, შენ დაურეკო, ასე უფრო სწორი იქნება.

– კარგი, როგორც შენ გინდა.

– ნუცას არ ეტყვი, რომ დიმიტრი ისრაელში მიგვყავს?

– ალბათ, უნდა ვუთხრა: ჩემი აზრით, არასწორი იქნება ასეთი მნიშვნელოვანი ამბის დამალვა. მართალია, რამდენიმე წელია, პრაქტიკულად არანაირი ურთიერთობა არ ჰქონიათ, მაგრამ, რალაცნაირად, უნდა მოვახერხოთ, რომ მამა და შვილები შევარიგოთ. თან, მინდა, ნუცამ თავისი სულელური შურისძიება მოინანიოს ამით.

მზიას უცებ თვალები აუწყლიანდა და მოიწყინა.

– რა მოგივიდა? – მაშინვე შენიშნა გიორგიმ ეს ცვლილება.

– შენმა სიტყვებმა დამაფიქრა. მეც ბევრი რამ მაქვს მოსანანიებელი...

– შენ? – გაუკვირდა გიორგის, – ვის წინაშე?

– ეს ბოლო ხანებია, მივხვდი, რომ მეც ჩვეულებრივი შურისმაძიებელი ქალი ვარ..

– შენ ვის რა დაუშავე?

– მამაჩემს და ჩემს და-ძმას, – თქვა მზიამ, მერე თვალები დახუჭა, რომ ცრემლი შეეკავებინა და ძალიან ჩუმად დაამატა: – და, კიდევ, საკუთარ თავს... მე ჩემს ყველაზე ახლობელ ადამიანებს ვატკინე გული და, მეგონა, რომ სწორად მოვიქეცი.

– ასე ნუ იტანჯავ თავს, შენი საქციელი ჩვეულებრივი უკურეაქცია იყო მათი შენდამი მოპყრობისა.

– მერე, ბავშვები რა შუაში იყვნენ?

– როგორც ვიცი, არც ისინი გექცეოდნენ კარგად.

– ისინი პატარები იყვნენ და არ ესმოდათ, რას აკეთებდნენ, მაგრამ, მე ხომ უკვე დიდი ვიყავი? თან, შენ არ იცი ერთი რამ, რაც აუცილებლად უნდა იცოდე... – მზია იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას და სახე ხელისგულებში ჩარგო.

გიორგი მიხვდა, რომ მზიას ამ აღსარებით გულიდან ტვირთის მოშორება უნდოდა და ხმა აღარ ამოუღია, აცადა, სანამ მისი საცოლე თვითონ დაასრულებდა სათქმელს. რამდენიმე წუთის შემდეგ, ისე, რომ სახიდან ხელები არ ჩამოუღია, მზიამ განაგრძო:

– შენ მე ძალიან კეთილი ადამიანი გგონივარ, მაგრამ ეს ასე არ არის...

– ასეა, – შეაწყვეტინა კაცმა, – და, ძალიან გთხოვ, სისულელეების გამო თავს ნუ იდანაშაულებ.

– ეს სისულელე არ არის, – თქვა ქალმა და ამოიკვნესა, – შენ არ იცი, როგორ ვიტანჯები ამის გამო.

– ასეთი რა ჩაიდინე? – ბოლოს მაინც ჰკითხა გიორგიმ.

– მე ეს არავისთვის არ მითქვამს, მაგრამ შენ უნდა იცოდე, რომ არც ისეთი ანგელოზი ვარ, როგორიც შენ გგონივარ. როგორც უკვე გითხარი, მეც ჩვეულებრივი შურისმაძიებელი ქალი ვარ. რა მნიშვნელობა აქვს, ვისზე იძიებ შურს, რის გამო და რა ფორმით...

– მზია, ნუ მაშინებ! – შეშფოთდა გიორგი.

– რადგან დავიწყე, ბოლომდე გეტყვი, – უცებ მტკიცედ თქვა მზიამ, – ორი წლის წინ ქუჩაში შემხვდა ჩვენი მეზობელი – სოფელში ჩვენ გვერდით ცხოვრობდა – და იმან მითხრა, რომ სწორედ წინა დღით გარდაცვლილა ჩემი დედინაცვალი, თან საშინელი წამებით – გაზის ბალონი აუფეთქდა, საშინელი დამწვრობა მიიღო და ვერ გადაარჩინეს.

– მერე, შენ რა შუაში ხარ?

– ბავშვები დაობლდნენ, დედას მათ თვალწინ წამებაში ამოხდა სული და მე არ წავედი, არც კი მივუსამძიმრე, მაგრამ, ეს ყველაფერი არ არის. იმ დღიდან ყოველდღე ვებრძვი საკუთარ თავს, რომ ჩავიდე და ვინახულო, მაგრამ, ვერ მოვერიე იმ ტკივილს, რაც ბავშვობიდან მწარედ მახსოვდა. მხოლ-

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ოდ ახლახან გავაცნობიერე, რომ ის ტკივილი თანდათან გადამეზარდა ჩუმ ბოლმაში, რომელმაც მძლია და ცუდ ადამიანად მაქცია.

– ეს ბოლმა არ არის... – გიორგი მზიას დამშვიდებას შეეცადა.

– ძალიან გთხოვ, ბოლომდე მათქმევინე, – მზია მაგიდაზე დადგმულ წყლიან ჭიქას დასწვდა და დიდი ყლუპებით დალია, – მერე ისიც გავიგე, რომ მატერიალურადაც საკმაოდ გაუჭირდათ, მე კი არ დავეხმარე...

– შენ თვითონ რა გქონდა, რომ მათთვის გაგეგზავნა? – ისევ სცადა გიორგიმ მისი გამართლება, – რა, გთხოვეს და არ მიეცი?

– იცი, რაშია საქმე? როცა შენს ახლობელს უჭირს და შენ ეს იცი, ისე უნდა დაეხმარო, რომ არ დაამცირო, ანუ, არ უნდა ათხოვნინო. თუ მუხლებზე დაგიდგა, შეგეხვეწა, თავი შეგაცოდა და მერე გაუწიე დახმარება, ეს უკვე მადლი აღარ არის. ყველაზე მეტად კი, იცი, რაში ვამტყუნებ საკუთარ თავს? განა იმიტომ არ გავუგზავნე ფული, რომ დამენანა... რომ დამნანებოდა, უფრო გავამართლებდი ჩემს საქციელს – ვიტყოდი, ძუნწი ვარ და ვერ ვიმეტებ-მეთქი, მაგრამ, ამით ყველას ერთად გადავუხადე სამაგიერო, ანუ, გარკვეულწილად, შური ვიძიე და ამას ვერასდროს ვაპატიებ საკუთარ თავს. სიმართლე გითხრა, სიხარულით შევურიგდებოდი მამაჩემსაც და ჩემს და-ძმასაც, მაგრამ, ველარ ვდგამ ამ ნაბიჯს, სითამამე არ მყოფნის. თან, მეშინია, რომ არ მიმიღებენ...

– და, შენ გგონია, რომ შენი საქციელიც ქალური შურისძიების ერთ-ერთი ფორმაა?

– ქალური... კაცური... რა მნიშვნელობა აქვს, რას დაარქმევ? მთავარი ის არის, რომ, შურისმაძიებელი ადამიანი, გინდა ქალი იყოს, გინდა კაცი, თუ ის ფსიქიკურად ნორმალურია და თუ ოდნავ ინტელექტი და ოდნავ ღვთის რწმენა გააჩნია, აუცილებლად მიხვდება, რომ თვითონ დამარცხდა საკუთარ თავთან ბრძოლაში და სინანულის გრძნობაც გაუჩნდება.

– მოდი ჩემთან, – გიორგი მზიასთან მივიდა, სკამიდან წამოაყენა და გულში ჩაიკრა, – ნუ გეშინია, ყველაფერს ეშველება; ხომ იცი, ყოველთვის და ყველა სიტუაციაში შენ გვერდით ვარ...

– ვიცი, – მადლიერი თვალებით შეხედა მზიამ, კიდევ უფრო მაგრად მიეხუტა და ასე ღრმად, ასე მკვეთრად პირველად იგრძნო, რომ მარტო აღარ იყო, რომ ჰყავდა ძალიან ძლიერი მფარველი და დამცველი და ბედნიერებისგან ტირილი დაიწყო.

***

გიორგიმ იმ დღესვე დაურეკა ნუცას და ყველაფერი შეატყობინა – თავისი დაქორწინებაც და დიმიტრის ისრაელში წაყვანის შესახებაც. მართალია, თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ გიორგიმ იგრძნო, რომ გოგო შეაცბუნა მამის მდგომარეობამ. საუბრის ბოლოს, როცა ნუცა შეჰპირდა, კაბის საყიდლადაც გავყვები მზიას და ჯვრისწერაზეც მოვალო, რაღაცნაირი ჩამქრალი ხმით ჰკითხა ბიძას:

– შეიძლება, მამა ვერ გადარჩეს?

– ყველაფერია მოსალოდნელი, თუმცა რაღაც იმედსაც გვაძლევენ, – სიმართლის თქმა ამჯობინა გიორგიმ.

ნუცამ უხმოდ გათიშა ყურმილი.

***

ჯვრისწერამაც და ხელის მოწერამაც სადად და ლამაზად ჩაიარა. თინანომაც მოასწრო ჩამოსვლა ქმარშვილთან ერთად და ძალიან უხაროდა, რომ ამდენი წლის შემდეგ პირველად ხედავდა მამას ასეთ ბედნიერს. მისალოცად ნუცასთან ერთად ნანიტაც მივიდა, თუმცა დიდხანს არ დარჩენილა – ნეფე-პატარძალს გაბედნიერება მიულოცა, მზიას ულამაზესი ოქროს ბეჭედი აჩუქა და წავიდა. ირაკლი ქებაძე თავის სიმაღლეზე იყო – ღირსეულად შეასრულა დაკისრებული მისია. ტაძრიდან რომ გამოდიოდნენ, გიორგი მზიასკენ გადაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:



– სიურპრიზი მოგიმზადე. შეიძლება, ცოტა აღელდე, მაგრამ, ვიცი, რომ ძალიან გაგიხარდება...

მზიამ სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო – ტაძრის შესასვლელთან ხნიერი მამაკაცი დაინახა, რომელსაც ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, აქეთ-იქიდან ორი ახალგაზრდა ქალი და ორი წარმოსადეგი ვაჟი ამოსდგომოდნენ, რომლებიც შორიდან ულიმოდნენ პატარძალს და ახლოს მისვლას ვერ ბედავდნენ.

– მამა?! – იკივლა მზიამ და კინაღამ მუხლები მოეკვეთა. ჯერ ქმარს მიეყრდნო, შემდეგ ცოტა ძალ-ღონე რომ მოიკრიბა, გაიქცა და ტირილით ჩეხუტა მოხუცს. და-ძმაც მაშინვე შემოეხვია და ისეთი ამბავი ატყდა, ხალხი გაოცებით უყურებდა ერთდროულად ატირებულ და გაცინებულ რამდენიმე ადამიანს, რომლებიც რიგრიგობით ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ ნეფე-პატარძალს.

– არ იცი, როგორი მადლობელი ვარ შენი, – უთხრა მზიამ ქმარს, როცა ყველანი მანქანებში ჩასხდნენ, – ახლა მართლა ბედნიერი ვარ. ერთადერთი, დიმიტრის გამო ვნერვიულობ, თორემ...

– დიმიტრიც კარგად იქნება, მთავარია, გვჯეროდეს. ახლა კი საავადმყოფოში მივიდეთ, რომ ჩემს ძმას დავენახვოთ, თორემ, არასდროს გვაპატიებს...

***

ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. მკურნალობის კურსმაც შედეგიანად ჩაიარა და ექიმებმა გიორგი დაამედეს:

– მინიმუმ ექვსი-შვიდი წელი იცოცხლებს, ოღონდ, წელიწადში ერთხელ უნდა ჩამოიყვანოთ ხოლმე სარეაბილიტაციო კურსის ჩასატარებლად და, რაც მთავარია, მკაცრად უნდა დაიცვას ჩვენი ყველა მითითება. სიმართლე გითხრათ, ასეთ შედეგს თვითონაც არ ველოდით...

დიმიტრის არავისთვის უთქვამს, მაგრამ, ძალიან ეშინოდა სიკვდილის. ახლა კი, როცა ეს დღე სადღაც მომავალში გადაიდო, შვებით ამოისუნთქა. ძალიან უხაროდა სახლში დაბრუნება. დარწმუნებული იყო, შინ გაცილებით უკეთ იგრძნობდა თავს. გიორგი ძალიან დაღლილი, მაგრამ, კმაყოფილი იყო, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. მანქანით სახლს რომ მიუახლოვდნენ, მზიას და დიმიტრის მიუბრუნდა:

– შევალ თუ არა სახლში, შხაპს მივიღებ, ტელევიზორს ჩავრთავ, ჩემს ტახტზე დავწვები და დავიძინებ.

ძმას სიცილი აუტყდა:

– თუ იძინებ, ტელევიზორის ჩართვა რაში გჭირდება?

– ვგიჟდები ჩართულ ტელევიზორთან ძილზე,– თქვა გიორგიმ და ნეტარებით გაიზმორა, – ეს ჩემი ერთგვარი ჰობია.

– მაგრამ, მოგიწევს მაგ ჰობიზე ცოტა ხნით უარის თქმა, – ორაზროვნად უთხრა მზიამ.

– რატომ? – გაუკვირდა გიორგის და ცოლს გამომცდელად შეხედა.

– სიურპრიზები მეც მეხერხება, – ეშმაკურად გაეღიმა მზიას.

ძმები დაინტრიგდნენ და ერთი სული ჰქონდათ, შინ როდის მივიდოდნენ, მაგრამ მზიას კინაღამ ძვირად დაუჯდა თავისი კეთილი განზრახვა.

კარი რომ შეაღეს, მთელი ბინა ჩაბნელებული იყო. გიორგიმ ჩამრთველს თითი მიაჭირა და მოულოდნელობისგან ისე შეუხტა გული, ლამის წაიქცა: ოთახში ერთმანეთის გვერდით იდგნენ ნუცა, თორნიკე და უცხო ახალგაზრდა ქალი, რომელსაც 2-3 წლის ბიჭისთვის ჰქონდა ხელი ჩაკიდებული და დაბნეული სახით უყურებდა შემოსულებს.

დიმიტრიმ იგრძნო, როგორ მისდიოდა გული და საშველად რძალს შეხედა. მზიამ მაშინვე რაღაც აბი ჩაუდო პირში და სასწრაფოდ ჩასვა სავარძელში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ნუცა და თორნიკე თვალს არ აშორებდნენ მამას და მზერით სთხოვდნენ პატიებას, დიმიტრი კი თვალს ვერ უსწორებდა შვილებს და უნდოდა, ხმამაღალი ტირილით მოეხადა ბოდიში ყველაფრისთვის. ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა ეს უსიტყვო დიალოგი, მაგრამ უცებ ბავშვმა დედას ხელი გაუშვა, დიმიტრის მიმართულებით თითი გაიშვირა და თქვა:

– ბაბუ! – მერე კი მისკენ წაბაჯბაჯდა და გაოგნებულ დიმიტრის კალთაზე აბობღდა.

– მამა, ჩვენ მოვედით. ეს ჩემი ცოლშვილია... – თქვა თორნიკემ და სამივე ერთად დაიძრა დიმიტრისკენ, მაგრამ მას შვილებისთვის და რძლისთვის აღარ ეცალა – გულში შვილიშვილი ჰყავდა ჩახუტებული, მთელი არსებით გრძნობდა ამ პატარა სხეულში გაგრძელებულ თავის სიცოცხლეს და, უცებ იგრძნო, რომ სიკვდილის აღარ ეშინოდა...

**დასასრული**

**თითოეული ადამიანი ხელის მოწერით ადასტურებს თანხმობას მოცემულ პირობებზე და აქტიურს ხდის მათ. ასეა დღეს და ასე იყო ოდითგანვე. მეფეებიც თავისი ხელმოწერით ადასტურებდნენ გარკვეულ გადაწყვეტილებებს, რაც შემდგომში მნიშვნელოვნად განაპირობებდა ჩვენი ქვეყნის ბედს.**

**ვფიქრობ, საინტერესოა იმ ხელრთვების გაცნობა (ასე ერქვა ხელის მოწერას ძველად), რომლებიც ამა თუ იმ დოკუმენტს იურიდიულ ძალას აძლევდა და კანონიერს ხდიდა.**

**რას წარმოადგენს ხელრთვა, უფრო ზუსტად, მოაღწია თუ არა ქართველ მეფეთა ხელრთვებმა ჩვენამდე და რა ინფორმაციას გვაწვდიან ისინი ავტორთა შესახებ, ამ საკითხებში გასარკვევად ისტორიის დოქტორს, ქალბატონ გულიკო მჭედლიძეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ვეწვიეთ.**

# როგორ აწერდნენ ხელს ქართველი მეფეები და რა ინფორმაციას შეიცავს მათი ხელმოწერა

**– ქალბატონო გულიკო, რას წარმოადგენს ხელრთვა?**

– ქართულ ისტორიულ საბუთებზე, რომლებიც, ამავდროულად, იურიდიულ აქტებს წარმოადგენენ, მოთავსებულია ხელრთვები. ეს ხელრთვები ეკუთვნის ამ ისტორიული დოკუმენტის გამცემ პირებს, დამამტკიცებლებსა და მოწმეებს.

ხელრთვა, ანუ, დღევანდელი ტერმინოლოგიით – ხელის მოწერა, საბუთს იურიდიულ ძალას ანიჭებდა და ქართული ისტორიული დოკუმენტის შემადგენელ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა, რომელსაც მოგვიანებით ბეჭედი ჩაენაცვლა.

**– ჩვენამდე არის მოღწეული ქართველ მეფეთა ხელრთვები?**

– ბევრი ისტორიული დოკუმენტი განადგურდა ჟამთა სიავის გამო. უამრავი რბევა-განადგურება, ძარცვა და აწიოკება განუცდია ქართულ ეკლესია-მონასტრებს, წიგნსაცავებს, სასახლეებს, სადაც ინახებოდა ხელნაწერები, დოკუმენტები. თუმცა, ღვთის წყალობით, ჩვენამდე მაინც მოაღწია ამა თუ იმ მეფის მიერ გამოცემულმა იურიდიულმა აქტებმა და ისტორიულმა დოკუმენტებმა, რომლებსაც ჩვენი სასიქადულო მეფეების ხელმოწერა ამშვენებს.

**– რა განასხვავებს სხვადასხვა მეფის ხელრთვებს ერთმანეთისგან?**

– თითოეული ხელრთვა ორიგინალურია. საკმაოდ ლამაზად შესრულებული. აქ ჩანს მეფეების მაღალი წიგნიერების დონე, წერის კულტურა. მეფეთა ხელრთვები ქართული კალიგრაფიის შესანიშნავი ნიმუშებია, თუმცა ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ასოთა მოხაზულობის, სიდიდის მხრივ. ზოგი პატარაა, ზოგი კი დიდ ასოებს იყენებს ხელის მოსაწერად; ზოგი მოკლეა, ზოგი კი – ვრცელი.

**– გარდა იმისა, რომ დოკუმენტს იურიდიულ ძალას ანიჭებს, რა ინფორმაციას ატარებს ხელრთვა?**

– ხელრთვების საშუალებით, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, შესაძლებელია, ვიმსჯელოთ მეფეთა ხასიათის ძირითად შტრიხებზე, მათ ფსიქიკაზე, მენტალიტეტზე, პიროვნულ სიძლიერესა თუ სისუსტეზე.

გავეცნოთ რამდენიმე ქართველი მეფის ხელრთვას:

*დავით აღმაშენებელი (1089-1125)*

ყველა დროის უდიდესი ქართველის, დიდი მხედართმთავრისა და უდიდესი მონარქის, დავით აღმაშენებლის ორი ხელრთვა-დამტკიცება ჩვენამდე მოღწეული: ანდერძი (ასლი) და წიგნი – სამოციქულო.



დავითის ხელრთვა სწორედ მის ძლიერ ხასიათზე მიუთითებს. თუ მას დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ის დაწერილია ძლიერი ხელით, ასოები მკაფიოდ არის გამოხატული. ამგვარი დაწერილობა პიროვნების ძლიერ და მტკიცე ხასიათზე მიუთითებს. ასეთმა პიროვნებებმა ზუსტად იციან, რას და რატომ აკეთებენ.

*თამარ მეფე (1160-1207/10/13)*

ჩვენამდე თამარ მეფის ხელით შესრულებულმა სამმა ხელრთვა-დამტკიცებამ მოაღწია: სიგელი გელათის მონასტრისადმი და 2 სიგელი შიომღვიმისადმი.



ხელრთვის მიხედვით ჩანს თამარის ფაქიზი და მშვენიერი ბუნება. ის წერს ლამაზი კალიგრაფიით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ შეკავებული ემოციების პატრონია. თუმცა, ის, რომ, კარგად იცის, როგორ მიაღწიოს მიზანს, ხელნაწერსაც ეტყობა.

*გიორგი მეხუთე (ბრწყინვალე) (1318-1346)*

გვაქვს, ასევე, გიორგი ბრწყინვალის ხელრთვაც, რომელიც მონღოლების დროინდელ ეპოქას ასახავს. როცა მის ხელრთვას უყურებ, გიჩნდება შთაბეჭდილება, რომ მეფეს ხელის მოწერის დროც კი არ ჰქონდა – მისი ხელმოწერა ძალიან გაკრულია.



თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მან ქვეყნიდან განდევნა მონღოლები, შემოიერთა სამცხე-საათაბაგო, დაიბრუნა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, მას ეკუთვნის კანონთა კრებული „ძეგლისდება“ და „ხელმწიფის კარის გარიგება“, ააგო და აღადგინა უამრავი ეკლესია-მონასტერი, მაშინ აღარ გაგვიკვირდება, რომ გიორგი მეფეს ხელის მოსაწერად დრო ნამდვილად ცოტა ჰქონია.

*თეიმურაზ პირველი (1606-1632)*

თეიმურაზ პირველი რთული ხასიათისა და ბედის კაცი იყო. ის გახლდათ მეფე-პოეტი, რომლის თავზეც ბევრმა უბედურებამ გადაიარა: რთული პოლიტიკური მდგომარეობა, უამრავი ბრძოლა, შვილების სიკვდილი, დედის წამება თუ მრავალი სხვა.

მის ხელრთვაში აშკარად ჩანს აფორიაქებული და მშფოთვარე ხასიათი. მისი ყველა ხელრთვა ერთმანეთისგან განსხვავებულია.



*ვახტანგ მეექვსე (1703-1724)*

გარდა პოლიტიკური მოღვაწეობისა, ვახტანგ მეექვსემ ქართული კულტურის ისტორიაში უდიდესი კვალი დატოვა. მან 1709 წელს თბილისში გახსნა სტამბა, 1712 წელს კი დაბეჭდა პოემა „ვეფხისტყაოსანი“. დღემდეა შემორჩენილი მის მიერ ხელმოწერილი მრავალი საბუთი.



მისი ხელნაწერი აჩვენებს, რომ მას შინაგანად აქტიური და ემოციური ბუნება ჰქონდა და დიდ ყურადღებას აქცევდა ესთეტიკას.

მის ხელრთვაში იკითხება მხოლოდ „ვახტანგი“ – ეს არის გამორჩეული ნიშანი, რომელიც მას ინდივიდუალობას ანიჭებს.

*ერეკლე მეორე (1744-1798)*



ერეკლე მეორის ხელრთვა განსხვავებულია სხვა მეფეთა ხელრთვებისაგან, ისევე, როგორც თავად იყო ყველასგან განსხვავებული. იგი ძალზე მკაფიოდ აწერს ხელს, გამოყოფს თითოეულ ასოს, რაც მის მტკიცე ხასიათზე მიგვითითებს. მას ახასიათებდა გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება, იყო კარგი სტრატეგი და მხედართმთავარი.

მისი ხელრთვა განსაკუთრებით მკაფიოდ ატყვია გეორგიევსკის ტრაქტატს (1783 წელი).

**– როგორც ჩანს, ხელრთვები საკმაოდ დიდ ინფორმაციას შეიცავს. შესაძლებელია თუ არა მათი საშუალებით ისტორიული დოკუმენტების დათარიღება?**

– რა თქმა უნდა, შეიძლება. არის უამრავი უთარიღო დოკუმენტი, რომელთა დათარიღება, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, ხელრთვების მეშვეობითაც ხდება.

**ქეთი კაპანაძე**

# როგორი თვისებებით არიან დაჯილდოებული კონკრეტული სისხლის ჯგუფის მქონე ადამიანები ასტროლოგიური კუთხით



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან".*

**კურტ ვონეგუტი**

*ასტროლოგიური თვალსაზრისით, სისხლის ჯგუფსა და ადამიანის მიდრეკილებებს შორის, პირდაპირი კავშირია. როგორც ცნობილია, ადამიანებში ოთხი ჯგუფის სისხლი არსებობს და ეს არც ადამიანის კანის ფერზე, არც სქესზე, ასაკზე ან ეთნიკურ წარმომავლობაზე არ არის დამოკიდებული. მისი გადაცემა გენეტიკურად ხდება და სიცოცხლის ბოლომდე უცვლელი რჩება.*

*სისხლის ჯგუფი გარკვეულწილად დამოკიდებულია ჩვენს კოსმიურ მიდრეკილებებზე, ხასიათსა და ჩვევების განსაზღვრაზე.*

**პირველი ჯგუფის სისხლის** მქონე ადამიანები ენერგიულები, გულღიები და კომუნიკაბელურები არიან; გამოირჩევიან კარგი ჯანმრთელობით; სტრესულ სიტუაციებში არ იბნევიან და წარმატებებს ძნელად, თუმცა, მაინც აღწევენ; უყვართ ლიდერობა და დასახული მიზნისთვის ყოველთვის იბრძვიან, თუმცა, ამავე დროს, არიან ეჭვიანები, ამბიციურები და ადვილად ფეთქებადები.

**მეორე ჯგუფის სისხლის** მქონე ადამიანები ჰარმონიულები, შრომისმოყვარეები და მშვიდები არიან. გამოირჩევიან ერთგულებით და არასდროს გიღალატებენ. არიან ნიჭიერები და ბევრს შრომობენ. ასევე, არიან მეტად მგრძნობიარეები და ემოციურები, თუმცა, ხშირად ჯიუტდებიან კიდეც და მათი დამშვიდება რთულია. უყვართ ყველაფერში მაქსიმალიზმი.

**მესამე ჯგუფის სისხლის** მქონე ადამიანები დელიკატურები და თავშეკავებულები არიან, უყვართ დისციპლინა და სხვებისგანაც ამას მოითხოვენ. არიან ინდივიდუალურები. ხშირად არ უსმენენ სხვების რჩევებს და საკუთარი ჭკუითა და შეხედულებით მოქმედებენ. ასევე, ახასიათებთ მოქნილობა, სისხარტე და სისწრაფე. ადვილად ეგუებიან გარემოს, სადაც ისინი ხვდებიან. თან კარგად აქვთ განვითარებული წარმოსახვის უნარი. უყვართ დამოუკიდებლობა, რის გამოც გარშემო მყოფებთან უსიამოვნებებში ეხვევიან.

**მეოთხე ჯგუფის სისხლის** მქონე ადამიანები გრძნობებს ადვილად ჰყვებიან. ისინი უყვართ და აფასებენ. მათ გვერდით თავს მშვიდად და კომფორტულად იგრძნობთ. ასევე, მათთან არ მოიწყენთ, რადგან მუდმივად ზრუნავენ გარშემო მყოფთა გუნება-განწყობის ამაღლებაზე. არიან ტაქტიანები, სამართლიანები, ობიექტურები, თუმცა, ადვილად ბრაზდებიან, გამოდიან წყობიდან და ძნელად იღებენ გადაწყვეტილებებს ცხოვრებაში და, არ არის გამორიცხული, ასეთ სიტუაციაში უხეშობაც გამოიჩინონ. უყვართ საკუთარ თავში ჩაკეტვა და ფიქრი წარსულსა და მომავალზე.

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **დავიბადე 1996 წლის 8 სექტემბერს, დილის 11 საათზე. რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან მელის სასურველი საოჯახო ურთიერთობა?**

პასუხი: საოჯახო-სასიყვარულო კუთხით თქვენთვის მისაღებია: ლომის, კუროს, თხის რქის, მორიელის ან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი.

კითხვა: **დავიბადე 1998 წლის 23 ივლისს. რა არის ჩემი კარმული მისია, რომელ პროფესიებში მელის წარმატებები და უცხოეთის რომელ ქვეყანას მირჩევთ?**

პასუხი: თქვენი კარმული მისია უკავშირდება სამშობლოს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ უცხოეთი გეკრძალებათ. იქ დაგროვილი ცოდნა და კაპიტალი სამშობლოში უნდა გამოიყენოთ. ასევე, აუცილებელია სტაბილური ოჯახური, ნათესაური კავშირები. სადაც შეხვალთ, შეიტანეთ სიმშვიდე და ჰარმონია და არა აგრესია და დეპრესია. იყავით მეტად ორგანიზებული, დისციპლინირებული, მიზანსწრაფული, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, მომთმენი, ფულის ყაირათიანი მხარჯველი, მარტოხელა მებრძოლი და მოწესრიგებული მუშაკი. საკუთარ თავზე თამამად აიღეთ პასუხისმგებლობა. საქმეს მეტი სერიოზულობით მიუდექით. დაეყრდენით ინტუიციას და ნუ გათქვამთ საიდუმლოს – ეს თქვენი კარმული მისია და წარმატებების მომტანი ფაქტორებია ცხოვრებაში. უცხოეთიდან კარგია შემდეგი ქვეყნები: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი მხარე, შოტლანდია, თურქეთი, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, საფრანგეთის შამპანის მხარე, ჩინეთი, ინდოეთი, იტალია, უზბეკეთი, დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, გერმანია, იაპონია, ლიტვა, ხორვატია, საბერძნეთი, ინდოეთის დასავლეთი მხარე, ესპანეთის ანდალუზიის მხარე, ბელორუსი. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო სფერო, მედიცინის ფართო სპექტრი, პედაგოგიკა, სოციოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ფსიქოლოგია, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია.

კითხვა: **დავიბადე 1999 წლის 26 ოქტომბერს. რომელი პროფესიებია ჩემთვის ასტროლოგიური კუთხით მეტად მისაღები?**

პასუხი: თქვენთვის მისაღებია შემდეგი პროფესიები: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, იურისპრუდენცია, ფოტოგრაფია, დიზაინი, მოდელირება, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი ან შემოქმედება, ქორეოგრაფია, სადალაქო საქმიანობა, სოციოლოგია, პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია.

კითხვა: **დავიბადე 1999 წლის 6 მაისს. რომელი ასტროლოგიური ქვები უნდა ვატარო ცხოვრებაში წარმატებების ადვილად მისაღწევად?**

პასუხი: თქვენთვის წარმატებების მომტანია შემდეგი ასტროლოგიური ქვები: ალექსანდრიტი, ამეთვისტო, მარჯანი, გიშერი, ოქროსფერი ტოპაზი, ქალცედონი, სარდიონი.

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

## ორშაბათი 28 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" 8.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 02.30 "დღეს" 14.20 "ტელებლოგი" 15.00 დ/ფ "ჰაბლი 3" 17.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა** 18.30 დ/ფ "ვინ არის ჯექსონ პოლოკი" 21.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.30 "საფეხბურთო მიმოხილვა" 00.30 მხ/ფ "**ობოლი**".

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00" 01.30 ქრონიკა. 10.03 სერ. "**ბედის ანაბარა**" 11.20, 16.50 TV - მარკეტი 11.30 სერ. "**შურისმაძიებელი**" 12.30 დღის შოუ (პ/ე) 14.45 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.45სერ. "**მინდა გახსოვდე**" 18.50, 19.03 სერ. "**ბამბის ველი**" 21.00 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 სერ. "**20 წუთი**" 1 სერ. 23.00 ადრენალინი 23.45 მხ/ფ "**რემბო 3**" (ს.სტალონე) 01.40 მხ/ფ "**ლამაზი მერის ამბავი**" (ბ.სტილერი).

06.30 სერ. "**არ დამივიწყო**" 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**მათრობელა სიყვარული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ეზელი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქალბატონი დილა**" 22.00 ქ.მხ/ფ."**პოკერი სიყვარულის წესებით**" 00.00 სპორტ ტაიმი - დასკვნითი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 ქვიშით ნაამბობი 06.20 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.45 მხ/ფ "**უკვდავების თეთრი ვარდი**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**არაჩვეულებრივი გამოფენა**" 13.30 კონცერტი - ნიჭიერთა ათწლედი რომში 15.05 სპექტაკლი - "**ეზოში ავი ძაღლია**" 17.00 დ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ"ბრავო,ალბერ ლოლიშ" 20.40 ძილი ნებისა 21.25 პატერიკი 21.30 სახლი ღვთისა 21.45 დ/ფ "ათონის წმინდა მთა" 22.25 დ/ფ "მეფე და ბერი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**ოქროს ციებ-ცხელება**".

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.10 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 8.40, 22.00, 1.40 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 10.03, 11.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** (გ) 12.30 TV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 13.02, 14.03 **სერიალი "ასი"** 15.40, 16.03, 17.03 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.03 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.03 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 **სერიალი "მომავლის გაელვება"** 0.30 ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) 1.20 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში"(გამ.) 2.20 "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება(გამ).

## სამშაბათი 29 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 00.30 "დღეს" 14.20 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 17.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა** 18.30 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 19.15, 02.30 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიაკა" 22.30 მხ/ფ "**მევერიკი**".

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა. 10.03 სერ. "**ბედის ანაბარა**" 11.20, 16.50 TV - მარკეტი 11.30 სერ. "**შურისმაძიებელი**" 12.30 დღის შოუ (პ/ე) 14.45 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.45 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 18.50, 19.03 სერ."**ბამბის ველი**" 21.00 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 სერ. "**20 წუთი**" 2 სერ. 23.00 სერ. "**კენედები**" 1 სერ. 00.00 მხ/ფ "**სიყვარულის დღესასწაული**" (ს.ბლერი) 01.55 მხ/ფ "**რემბო 3**".

06.30 სერ. "**არ დამივიწყო**" 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო" 10.00 სერ. "**მათრობელა სიყვარული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ეზელი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქალბატონი დილა**" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 კომედი კონცერტი 23.30 სოციალური ცელი 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ.

06.10 სპექტაკლი - "**ეზოში ავი ძაღლია**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "მეფე და ბერი" 11.05 დ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" 11.35 პატერიკი 11.40 სახლი ღვთისა 12.10 მხ/ფ "**ბრავო,ალბერ ლოლიშ**" 13.30 კონცერტი - ელისო ბოლქვაძე 14.30 ქვიშით ნაამბობი 14.40 დ/ფ "ათონის წმინდა მთა" 15.05 ტელეზღაპარი 15.25 დ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" 16.40 კონცერტი - პატრიარქის აღსაყდრებიდან 32 წელი 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მოკ./ფ. "**მჭედელი**" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 "ჩვენი ამბავი" 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 23.40 დ/ფ "მეტეორა" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**გაზაფხული გადის**".

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.20 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 8.40, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 10.00 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 12.30, 23.30 TV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 13.03, 14.03 **სერიალი "ასი"** 15.40, 16.03, 17.03 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.03 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.03 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ"ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 **სერიალი "მომავლის გაელვება"** 0.50 ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) 1.40 გადაცემა "ID"(გამ) 2.20 "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

გაგრძელება 47-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**28 ივლისი – 3 აგვისტო**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.30, 20.00 - **„ჰერკულესი”** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40 წთ.;*

22.30 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია”** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 10 წთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 20.15, 22.30 - **„ზღვარი”**, *ხანგრძლივობა 1სთ. 25 წთ.;*

14.00, 16.00 - **„ხუთი ნახვით შეყვარება”**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35 წთ.;*

18.00 - **„ტაქსი”**, *ხანგრძლივობა 1სთ. 45 წთ.;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30, 17.30 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი”** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 45 წთ.;*

20.00 - **„22 ჯამფ სტრითი”**, ხანგრძლივობა 1სთ. 55 წთ.;

22.30 - **„ჰერკულესი”** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40 წთ.;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30, 17.15, 20.00 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია”** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 10 წთ.;*

22.30 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა”** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 45 წთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.15, 22.30 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია”** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 10 წთ.;*

20.00 - **„ჰერკულესი”** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40 წთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.30 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი”** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 45 წთ.;*

19.00 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია”** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 10 წთ.;*

22.30 - **„ნაბიჯით წინ”** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 55 წთ.;*

*დარბაზი 3*

12.00, 17.00, 20.00 - **„ნაბიჯით წინ”** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 55 წთ.;*

14.30 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი”** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა 1სთ. 45 წთ.;*

22.30 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია”** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა 2სთ. 10 წთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ხორცის კექსები მწყრის კვერცხით







**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ქათმის ფარში, 8 ცალი მწყრის კვერცხი (შეგიძლიათ, გამოიყენოთ ქათმის პატარა კვერცხებიც), 1 თავი (საშუალო ზომის) ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 100 გრამი ნებისმიერი სოკო, მარილი, სურნელოვანი პილპილი, 1 ჩაის კოვზი ხმელი სუნელი, 1 ცალი ქათმის კვერცხი, 50 მილილიტრი ნაღები (10-პროცენტიანი შეიძლება უფრო ცხიმიანიც), 100 გრამი რბილი ყველი (ან – ჰოლანდიური), მწვანილი (სურვილისამებრ), 50 მილილიტრი ზეთი.

**მომზადების წესი:** ფარში შეიძლება ღორის ან საქონლის ხორცისაც იყოს (შერეულიც), მაგრამ, ქათმის უფრო მსუბუქია. ხახვი დაჭერით კუბიკებად, სტაფილო კი გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე და ხახვი და სტაფილო ზეთში ერთად მოშუშეთ. მწყრის კვერცხი მოხარშეთ. ყველი გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე. ცალკე მოშუშეთ სოკო. თასში მოათავსეთ ფარში, მოშუშული ბოსტნეული, სოკო, უყავით მარილი და პილპილი, 1 ცალი ქათმის უმი კვერცხი, ხმელი სუნელი, ნაღები და კარგად ამოურიეთ. მწყრის მოხარშული კვერცხი გაფცქვენით. ფარში გადაანაწილეთ „ტარტალეტკის“ მოზრდილ ფორმებში, შუაგულში მოათავსეთ კვერცხი და დააფინეთ ისევ ფარში (კვერცხი მთლიანად უნდა დაიფაროს). გააცხელეთ აირღუმელი 180 გრადუსზე და თქვენი „კექსები“ აცხვეთ 40-50 წუთის განმავლობაში. სრულ მომზადებამდე 15 წუთით ადრე ზემოდან მოაყარეთ გახეხილი ყველი. ფანტასტიკური ვახშამი მზად არის.

# საქონლის ენის სალათა





**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი მოხარშული საქონლის ენა, 150 გრამი ლორი (ან შებოლილი ძეხვი), 200 გრამი დაკონსერვებული სოკო, 1 ცალი კიტრი, 1 ცალი ვაშლი, მაიონეზი.

**მომზადების წესი:** კარგად გარეცხილი ენა უნდა მოხარშოთ მარილიან წყალში, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, გადააცალეთ ქერქი და დაჭერით წვრილ ჩხირებად. ჩხირებად დაჭერით ლორიც. სოკო გადაწურეთ და დაჭერით ძალიან წვრილად. ვაშლი უნდა დაჭრათ ძალიან წვრილ ჩხირებად ან გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე. წვრილ ჩხირებად დაჭერით კიტრიც. დაუმატეთ ინგრედიენტებს მაიონეზი და აურიეთ. სალათა მზად არის. გემრიელია და სასარგებლო.

* ნუ შეინახავთ ციტრუსებსა და პომიდორს მაცივარში. დაბალი ტემპერატურა მათ ცუდ გემოს მისცემს.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# ხაჭოს სუფლე



**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი ხაჭო, 2 სადილის კოვზი არაჟანი, 2 სადილის კოვზი მანანის ბურღული, 6 სადილის კოვზი შაქარი, 3 ცალი კვერცხი, ნებისმიერი კენკროვანი ხილი.

**მომზადების წესი:** უპირველესად, კვერცხის გული და ცილა დააცალკევეთ. შეუერთეთ ერთმანეთს და კარგად ათქვიფეთ ხაჭო, არაჟანი, მანანის ბურღული, შაქარი და კვერცხის გული. ყველაფერი ერთად დააბლენდერეთ. ცალკე ათქვიფეთ კვერცხის ცილა და ძალიან ნელა შეურიეთ ხაჭოიან მასას. გადაიტანეთ ფორმაში, ზემოდან მოაყარეთ ხილი და მოათავსეთ აირღუმელში. ნახევარი საათის შემდეგ თქვენი სუფლე მზად იქნება. მოგეწონებათ.

# პუდინგი – „ტერნი“



**საჭირო ინგრედიენტები:** 180 გრამი არაქისი, 1 შეკვრა სიმინდის ბურბუშელა (ტკბილი არ უნდა იყოს), 80 გრამი კარაქი, 250 გრამი ხაჭო, 200 გრამი ნაღები, 150 გრამი კრაბის ჩხირები, 100 გრამი კრევეტები, 1 პატარა შეკვრა სანელებლიანი მაიონეზი, 50 გრამი წითელი ხიზილალა, 1 ცალი კვერცხის ცილა, 25 გრამი მწვანე ხახვი, 25 გრამი ოხრახუში, 15 გრამი მშრალი ჟელატინი, 100 მილილიტრი წყალი ჟელატინისთვის (შეგიძლიათ კრევეტები არც გამოიყენოთ). მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** კარგად დანაყილი არაქისით, დაფხვნილი სიმინდის ბურბუშელითა და გამდნარი კარაქით მოზილეთ ცომი. მოათავსეთ ბრტყელ, ოთხკუთხა ფორმაზე და ხელით კარგად დააბრტყელეთ (ფსკერზე შეგიძლიათ დაუფინოთ პერგამენტის ქაღალდი). ერთგვარ მასად ათქვიფეთ ნაღები, ხაჭო, მაიონეზი, წვრილად დაჭრილი მწვანილი. გემოვნებით უყავით მარილი და შავი პილპილი.

ცალკე ღრუბელივით ათქვიფეთ კვერცხის ცილა. ბლენდერში დააქუცმაცეთ კრაბის ჩხირები, კრევეტები და აკურატულად შეურიეთ ხიზილალა. ეს ყველაფერი ბოლოს ჩაუმატეთ ხაჭოიან მასას, ბოლოს კი შეურიეთ წინასწარ წყალში დამბალი და გახსნილი ჟელატინი (რამდენიმე ცალი კრევეტი შეგიძლიათ შეინახოთ მოსართავად). მიღებული მასა სქლად წაუსვით ბურბუშელას ცომს და მოათავსეთ სიცივეში, სანამ კარგად გამაგრდება. უკვე მზა სუფლე ფრთხილად ამოიღეთ (ამისთვის ფორმის ძირი რამდენიმე წუთით ჩადგით ცხელ წყალში) და მოათავსეთ ლანგარზე. ახლა უნდა მორთოთ: ზედაპირზე გადაუსვით ცოტა ჟელატინი. როცა გაცივდება, ზემოდან დააწყვეთ კრევეტები, მწვანილის ცოცხალი ფოთლები.

* კბილის პასტა ვერცხლს შესანიშნავად წმენდს.

# ბრიუსელის კომბოსტო ბეკონით ზალიკო ბერგერისგან





*მე დიდი კულინარი არ ვარ, მაგრამ, გემრიელი საჭმლის დიდი დამფასებელი გახლავართ. მიყვარს უცხო და მრავალფეროვანი კერძები. თუ რამე იშვიათ რეცეპტს გავიგებ, მაშინვე სახლში მივარბენინებ და, დედაჩემი, ბელა მიმზადებს. ეს კერძი ბრიუსელიდანაა. ვფიქრობ, მოგეწონებათ.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი ბრიუსელის კომბოსტო (პატარა, მუქი მწვანე ბურთულები), 150 გრამი შებოლილი ბეკონი, 1 კბილი ნიორი, 50 გრამი ყველი, ნახევარი ლიმონის წვენი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კომბოსტოს მოაშორეთ გარე ფურცლები და თავებიც მოაჭერით, ცოტა თუ მოზრდილებია, შუა-შუა გაჭერით, პატარები მთლიანი დატოვეთ. ქვაბში აადუღეთ წყალი, უყავით მარილი, ჩაუმატეთ ნახევარი ლიმონის წვენი (იქვე ჩააწურეთ). ჩააწყვეთ მასში კომბოსტო და ხარშეთ ზუსტად 10 წუთი, შემდეგ კი კარგად დაწურეთ. ბეკონი დაჭერით კუბიკებად. ნიორი დანაყეთ ან ძალიან წვრილად დააქუცმაცეთ. ყველი გახეხეთ. მშრალ, გაცხელებულ ტაფაზე ბეკონი შეწვით საშუალო ცეცხლზე. დაუმატეთ ნიორი, ამოურიეთ და კიდევ 1-2 წუთი შუშეთ. ჩაუმატეთ კომბოსტო და 2-3 წუთის განმავლობაში კიდევ შუშეთ. უყავით პილპილი (ან წიწაკა). მზა კერძი ამოიღეთ დიდ, ფართოპირიან ლანგარზე და მოაყარეთ გახეხილი ყველი. გარნირი თვითონ მოიფიქრეთ. მოდური და გემრიელია, რომ იტყვიან – „ფეშენ“ კერძია.

# კივის პანაკოტა



სომელიე თეიმურაზ ბენიძე

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 მილილიტრი 33-პროცენტიანი ნაღები, 250 მილილიტრი რძე, 10 გრამი ჟელატინი, 4 სადილის კოვზი ანადუღარი წყალი, 1 ჭიქა შაქარი, 1 პაკეტი ვანილიანი შაქარი, 3 ცალი კივი, ახალი პიტნის რამდენიმე, ცოცხალი მწვანე ფოთოლი.

**მომზადების წესი:** ჟელატინი დაალბეთ წყალში; ნაღები და რძე შაქართან ერთად მოათავსეთ ქვაბში და გააცხელეთ ისე, რომ ადუღებამდე არ მივიდეს და დაუმატეთ ვანილიანი შაქარი. ჟელატინი დაადნეთ ორთქლის აბაზანაზე და შეურიეთ რძისა და ნაღების მასას. როცა შეგრილდება, ჩაასხით ფორმებში და მინიმუმ 4 საათით გააჩერეთ მაცივარში. სუფრაზე მიტანის წინ მორთეთ კივის ნაჭრებითა და ცოცხალი პიტნის მწვანე ფოთლებით.



# ქათამი ნუშითა და მარწყვის სოუსით

**საჭირო ინგრედიენტები:** ქათმის 4 ნაჭერი ფილე, 1/2 ჭიქა ნუში, 1 კვერცხის ცილა, 1 ჭიქა გარეცხილი მარწყვი, 1 სადილის კოვზი შაქარი, 1 სადილის კოვზი ძმარი „ბალზამიკო“, 1 სადილის კოვზი სიმინდის სახამებელი, 4 სადილის კოვზი ქათმის ბულიონი, 1 სადილის კოვზი წვრილად დაჭრილი ახალი როზმარინი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** გაახურეთ ღუმელი 350 გრადუსამდე. დაფქვით ნუში. ქათმის ხორცი დაჭერით პატარა ნაჭრებად და ამოავლეთ ჯერ კვერცხის ცილაში, შემდეგ კი ნუშის ფანტელში. დაალაგეთ საცხობ ფორმაზე, დაახურეთ თავზე და აცხვეთ 30-35 წუთის განმავლობაში, სანამ დარბილდება და შეყავისფრდება.



მარწყვის სოუსი: ერთმანეთს შეურიეთ მარწყვი, შაქარი, „ბალზამიკო“ და დააბლენდერეთ. ჩაასხით მიღებული მასა პატარა ქვაბში და დაამატეთ ქათმის ბულიონი, სიმინდის სახამებელი და როზმარინის ნაწილი. მიიყვანეთ ადუღებამდე და დაბალ ცეცხლზე ადუღეთ 5 წუთი. ქათმის უკვე მზა ნაჭრებს ზემოდან მოასხით სოუსი და მოაყარეთ როზმარინი.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო



## ზღაპრული ფარდა

ძალიან ლამაზი და ეფექტური აქსესუარია. მაგრამ მის შესაქმნელად საკმაოდ ბევრი პოლიეთილენის, ფიგურულძირიანი ბოთლი და ანკესზე დასამაგრებელი ძუა დაგჭირდებათ. დახედეთ სურათებს. „მასალა“ ნელ-ნელა დაამზადეთ და დაიგროვეთ. ამისთვის ბოთლი ძირში, ყვავილის ფორმამდე შემოჭერით და, სიმეტრიულად, თანაბარ ზომაზე, თითო ყვავილზე ორივე მხრიდან ორ-ორი ფოთოლი ჩაჩხვლიტეთ, რომ ძუა გაატაროთ და აკინძოთ. ასეთი დეკორატიული ფარდა ძალიან ლამაზია ბართან, სტუდიის ტიპის ბინაში, თანაც, საკმაოდ მარტივი გასაკეთებელია.

## ლამაზი, ორიგინალური სამაჯური

ეს ორიგინალური და თანამედროვე სამაჯური ჩვეულებრივი ელვა-შესაკრავებისგან მზადდება (ეგრეთ წოდებული „ზმეიკებისგან”), მთავარია, ელვა-შესაკრავს „კბილები“ ლითონის ჰქონდეს – ვერცხლისფერი ან ოქროსფერი და დაახლოებით 10 სანტიმეტრი სიგრძის უნდა იყოს. გახსენით „ზმეიკა“ შუაზე, გაყავით ორად და შემდეგ სათითაოდ დაახვიეთ ლოკოკინისებურად, როგორც სურათზეა. გააჩნია, რა სისქის სამაჯური გინდათ. უმჯობესია, ბევრი იყოს – 4-5 ცალი „ზმეიკა“ გეყოფათ. ნემსით და ძაფით კარგად შეკარით „ლოკოკინები“ და მერე ერთმანეთზე ასიმეტრიულად მიამაგრეთ. ამავე პრინციპით ააწყობთ ყელსაბამსაც.

ყელსაბამის შემთხვევაში, „ლოკოკინები“ ერთ გრძელ ელვაზე ან აბრეშუმის ლენტზე აკინძეთ, რომ შესაკრავად ადვილი იყოს. დახედეთ სურათს და მოგეწონებათ.



* თუ ხელი დაიწვით, წაისვით მდოგვი. ის ტკივილს დააცხრობს. კარგია ძმარიც.

42-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 30 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00 "მოამბე" 10.30, 01.00 "დღეს" 14.30 "გურმანია" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"დეტექტივი"** 17.00 ტ/სერ. **"ჭორიკანა** 18.30 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი"- ცხოვრების აზრი" 19.15 "ჩვენი ეზო" 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: I სტუდია 23.00 მხ/ფ **"ჟატელი"** (ჟ. დეპარდიე) 03.00 "ჩვენი ეზო" (გ/ჩვ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა. 10.03 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 16.50 TV - მარკეტი 11.30 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30 დღის შოუ (პ/ე) 14.45 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.45 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.50, 19.03 სერ. **"ბამბის ველი"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"20 წუთი"** 3 სერ. 23.00 სერ. **"კენედები"** 2 სერ. 00.00 მხ/ფ **"ჰენრის დანაშაული"** (ვ.ფარმიგა) 01.55 მხ/ფ **"სიყვარულის დღესასწაული"** (ს.ბლერი).

06.30 სერ. **"არ დამივიწყო"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ეზელი"**18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 "ნანუკას შოუ" - დასკვნითი 00.00 კიმონო 01.00 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.).

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.45 მხ/ფ **"გაზაფხული გადის"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 თეთრიდან თეთრამდე 10.45 ქრისტია-ნული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 **"მჭედელი"** 13.25 ქვიშით ნაამბობი 13.30 კონცერტი - მერი დავითაშვილი 14.45 "ჩვენი ამბავი" 15.05 ტელეზღაპარი 15.20 დ/ფ "მეტეორა" 15.30 დ/ფ "ლაზეთის ბულბული" 16.50 კფვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 ქრისტიანული სწავლება 19.35 მხ/ფ **"ვედრება"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "აკაკი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ფატიმა"**.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.15, 1.20 "უცნობი ისტორიები" 8.40, 22.00, 1.40 "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 10.03 **სერიალი "უკანასკნელი გა-ზაფხული"** 11.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 12.30 TV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 13.03, 14.03 **სერიალი "ასი"** 15.40, 16.03, 17.03 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.03 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.03 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმა-ციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 **სერიალი "მომავლის გაელვება"** 0.30 ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) 2.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 2.20 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## ხუთშაბათი 31 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 00.30 "დღეს" 14.30 "ჩვენი ეზო" (ოთხშ. გ/ჩვ) 15.00, 21.00 ტ/სერ. **"დეტექტივი"** 17.00 ტ/სერ. **"ჭორიკანა** 18.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 19.15 "შემოძახილი" 22.00 "არენა" (პ/ტრ) 23.00 "უცნობი მუსიკა" 02.30 "შემოძახილი" (გ/ჩვ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა. 10.03 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 16.50 TV - მარკეტი 11.30 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30 დღის შოუ (პ/ე) 14.45 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.45 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.50, 19.03 სერ.**"ბამბის ველი"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"20 წუთი"** 4 სერ 23.00 სერ. **"კენედები"** 3 სერ. 00.00 მხ/ფ **"დაუსრულებელი სიცოცხლე"** (ჯ.ლოპესი) 01.55 მხ/ფ **"ჰენრის დანაშაული"** (ვ.ფარმიგა).

06.30 სერ. **"არ დამივიწყო"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ეზელი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.00 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.).

06.10 საგალობელი 06.20 მხ/ფ **"ფატიმა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ჩვენი ფონდი 11.05 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"ვედრება"** 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 კონცერტი - ნანა კალანდაძე 15.05 ტელეზღაპარი 15.25 ირაო 15.50 დ/ფ "მე ხომ ლოცვად მინდა" პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 "პორტრეტები" 20.15 მოკ./ფ. **"ქოლგა"** 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 დ/ფ "ლახტის გაკვეთილი" 22.25 "დრო და ტრადიციები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ლაზი ვორე,ლაზი ქართველი ჭანი" 00.35 განთიადის სტუმა-რი 01.00 მხ/ფ **"ბაში-აჩუკი"**.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.10 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 8.40, 22.00, 1.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 10.03, 11.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** (გ) 12.30 TV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 13.03, 14.03 **სერიალი "ასი"** 15.40, 16.03, 17.03 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.03 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.03 **სერიალი "დაკარ-გული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ"ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 **სერიალი "მომავლის გაელვება"** 0.30 ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) 1.20 გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) 2.20 მონიტორის ჟურნალისტური გამო-ძიება"(გამ).

## პარასკევი 1 აგვისტო

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 01.30 "დღეს" 14.30 "შემოძახილი" (ხუთშ. გ/ჩვ) 15.00, 21.00 ტ/სერ. **"დეტექტივი"** 17.00 ტ/სერ. **"ჭორიკანა** 18.30 მხ/ფ **"ჭრიჭინა"** 22.00 თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 მხ/ფ **"წითელი ვიოლინო"**.

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა. 10.03 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 16.50 TV - მარკეტი 11.30 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30 დღის შოუ (პ/ე) 14.45 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.45 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.50, 19.03 სერ.**"ბამბის ველი"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"20 წუთი"** 5 სერ. 23.00 სერ. **"კენედები"** 4 სერ. 00.00 მხ/ფ **"ლარი ქრაუნი"** (ტ.ჰ ენქსი) 01.55 მხ/ფ **"დაუსრულებელი სიცოცხლე"** (ჯ.ლოპესი).

06.30 სერ. **"არ დამივიწყო"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ეზელი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქალბატო-ნი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 ქერის უბანი 22.30 ვანოს შოუ - დასკვნითი 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნი-ასთან ერთად 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 მხ/ფ **"ბაში-აჩუკი"** 07.50 "ჩვენი ამბავი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 "დრო და ტრადიციები" 10.05 სახლი ღვთისა 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.00 მოკ./ფ. **"ქოლგა"** 13.15 კონცერტი - სოსო კეჭაყმაძის საგუნდო ნაწარმოებები 15.05 ტელეზღაპარი 15.25 ირაო 15.55 დ/ფ

"სულიკო" **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** დ/ფ "ილია ჭავჭავაძე" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "პატრიარქობის ჯვარისმტვირთველი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ოთარაანთ ქვრივი**".

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.03, 11.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03 სერიალი "ასი"** **15.40, 16.03, 17.03 სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.03 სერიალი "თანაგრძნობა"** **20.03 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ"ე **22.15** "დიდებული საუკუნე" -იდუმალი სამყარო (დოკუმენტური ფილმი) **23.30 სერიალი "მომავლის გაელვება"** **0.30** ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) **1.20** გადაცემა "უცნობი ისტორიები"(გამ.) **2.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## შ ა ბ ა თ ი  2 ა გ ვ ი ს ტ ო

**08.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **09.30** საბ. ან. "დაქ დოჯერსი" **10.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **13.30** "სპექტაკლის დრო" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა 18.00 კალათბურთი**. თბილისის საერთაშორისო ტურნირი (პ/რ) **22.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ "**დიდი ილუზია**" **00.30** მხ/ფ "**ჯულიან პო**" (კ.სლეიტერი) **02.00** დ/ფ "ვინ არის ჯექსონ პოლოკი".

**07.30** ან/ფ"სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ "**მილიონები**" **10.15** ეკოვიზია **10.50, 16.50** TV - მარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ვაკანსია **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** EMERGENCY – სასწრაფო დახმარება **14.30** ორი ვარსკვლავი (გ/ჩ) **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ."**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**20 წუთი**" **6** სერ. **23.00** შალვა რამიშვილის შოუ **00.00** მხ/ფ "**მწერალი მოჩვენება**" (კ.კეტრელი) **02.05** მხ/ფ "**ლარი ქრაუნი**" (ტ.ჰენქსი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.25** ანიმაცია **08.30** მხ/ფ. **10.00** კომედი შოუ (**3** თვის წინანდელი გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი - დასკვნითი **14.00** იღბლიანი ბორბალი (კვირის გ/ჩ) **15.30** მხ/ფ **18.45** სოციალური ქსელი **29** ივლ. გ/ჩ **19.45** "ვინ დაამარცხებს ვასოს" **22.00** განსხვავებული აქცენტები - დასკვნითი **22.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.30** გააცინე და მოიგე (ძველი გ/ჩ) **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** მხ/ფ "**ოთარაანთ ქვრივი**" **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **10.40** ქართ. მულტფილმი **10.50** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** დ/ფ "ილია ჭავჭავაძე" **13.30** სალვთისმეტყველო საუბრები **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** პატრიარქისადმი მიძღვნილი საღამო **17.10** დ/ფ "მთის მადლიანი საუნჯე" (სვანეთი) **17.40** ფოტოგალერეა (პატრიარქი) **18.10** დ/ფ "ჩემო პატრიარქო" **18.35** ქვიშით ნაამბობი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დ/ფ 'საქართველო, ჩემი სამშობლო" **21.30** დ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" **22.25** "ჩვენი ამბავი" **22.35** ილიაობა **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "დღე სასწაული" **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ "**ლუკას სახარება**".

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.40** ფარული კამერა **9.30** იუმორისტული შოუ -"**4X4**" (გამ.) **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00, 13.05, 16.00, 19.00 სერიალი "თანაგრძნობა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **15.30** NX სპიკერი (ტელე-ლექცია) **18.30** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.30, 2.15** გადაცემა "ფული და სურვილები" **22.00** "დიდებული საუკუნე" -იდუმალი სამყარო (დოკუმენტური ფილმი) **23.00** "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) **23.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **0.15** დ/ფ "სწრაფი ზოლი" **1.15** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში"(გამ.) **1.30** "თქვენი გადახდილია"(გამ).

## კ ვ ი რ ა  3 ა გ ვ ი ს ტ ო

**08.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **09.30** საბ. ან. "დაქ დოჯერსი" **10.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **13.30** ქართ. მხ/ფ "**ორომტრიალი**" **15.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" (შაბ. გ/ჩვ) **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა 18.00 კალათბურთი**. თბილისის საერთაშორისო ტურნირი (პ/რ) **20.30, 01.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" (**გ**) **22.00** მხ/ფ "**მედისონის ოლქის ხიდები**" **00.00** მხ/ფ "**თინეიჯას დი-ბედის მედიატორი**" **02.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა".

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ "**ასტერიქსი და ობელიქსი ცეზარის წინააღმდეგ**" **10.10** ადრენალინი (გ/ჩ) **10.50, 16.50** TV - მარკეტი **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) **17.30** სერ. "**სიყვარულის სეზონი**" **4** სერ. **20.00** პანორამა (**60** წთ) **21.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **22.00** სერ. "**20 წუთი**" **7** სერ **23.00** იუმორინა **00.45** მხ/ფ "**ლამაზმანი და მაწანწალა**" **02.40** მხ/ფ "**ბუჩ კასიდი და სანდენს კიდი**" (რ.რედფორდი) (ტიტ.).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.25** ანიმაცია **08.30** მხ/ფ. **10.30** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) - დასკვნითი **14.00** ქერის უბანი **13** ივნისი და **1** აგვისტოს გ/ჩ) **14.15** განსხვავებული აქცენტები (გ/ჩ) **15.30** პროფილი გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00** P.S. **22.00** სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" **23.00** კომედი შოუ - დასკვნითი **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** თბილისის ტაძრები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** დ/ფ "მთის მადლიანი საუნჯე" **11.30** ქართული ალბომი **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ "**ლუკას სახარება**" **13.25** დ/ფ "დღე სასწაული" **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** სალვთისმეტყველო საუბრები **18.30** "ჩვენი ამბავი" **18.40** დროის ჩანაწერები **19.25** მხ/ფ "**ცისფერი მთები**" **21.30** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "მოქცევაი ქართლისაი" **00.30** პორტრეტები **01.30** მხ/ფ "**ვერის უბნის მელოდიები**".

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.40** ფარული კამერა **9.40** "უცნობი ისტორიები"(გამ.) **10.05, 1.15** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00, 13.05, 16.00, 20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50, 1.40** გადაცემა "ID" **15.30** NX სპიკერი (ტელე-ლექცია) **18.30** "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება **19.00 სერიალი "თანაგრძნობა"** **21.45** "დიდებული საუკუნე" -იდუმალი სამყარო (დოკუმენტური ფილმი) **23.00** იუმორისტული შოუ -"**4X4**" **0.15** დ/ფ "სწრაფი ზოლი" **2.15** ვახო სანაიას რეპორტაჟი (გამ.).

## ვერძი

დაფასდება თქვენი ნიჭი. გეგმებისა და მიზნების შეცვლამ, შესაძლოა, ჩააგდოთ რთულ სიტუაციაში ან გაიძულოთ, მოახდინოთ სასწრაფო ცვლილებები. ეცადეთ, გაითვალისწინოთ სხვისი რჩევები. განწყობა რომანტიკული გექნებათ და სასიყვარულო შეხვედრები ბევრ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

## კურო

ამ პერიოდში არ არის რეკომენდებული სარისკო ფინანსური ოპერაციების მეშვეობით გამდიდრება. მოერიდეთ ფულის გასესხებას ან საქმეში დაბანდებას, რადგან, დიდი ალბათობაა, მოტყუებული დარჩეთ. მოერიდეთ საყვარელი ადამიანის გულის ტკენას. არ გირჩევთ მოგზაურობას.

## ტყუპები

გაიზრდება გადაადგილებებისა და კონტაქტების რიცხვი. ნებისმიერ წრეში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. გაიზრდება ენერგიულობა. თავი შეიკავეთ აგრესიისგან, არ იჩხუბოთ საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან. არ არის გამორიცხული, გაიზარდოს სასიყვარულო ურთიერთობაში ტყუილებისა და ღალატის ალბათობაც.

## კირჩხიბი

მობილიზებული იყავით საქმიან კონტაქტებზე და ფინანსური საკითხების მოგვარებაზე. მოერიდეთ ფარულ საქმიანობას და სასიყვარულო კონტაქტებს, რადგან ეს მალე გამოაშკარავდება და თქვენვე გავნებთ. გაიზრდება თავისუფლების მოთხოვნილება, რაც საფრთხეს შეუქმნის არსებულ სასიყვარულო კავშირს.

## ლომი

მეტი ყურადღება გამოიჩინეთ ფინანსური ოპერაციების ჩატარებისას, რათა არ დაუშვათ შეცდომები. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება გადადეთ სხვა დროისთვის. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს და მოერიდეთ კაპიტალდაბანდებას. კარგია საყვარელ ადამიანთან ერთად დასასვენებლად წასვლა.

## ქალწული

დაიწყეთ შემოსავლების ზრდაზე ფიქრი. საქმიანი პარტნიორებისა და ოჯახის წევრების მხრიდან დახმარების იმედი ნუ გექნებათ. ნუ უღალატებთ საყვარელ ადამიანს, რადგან ეს მალევე გამოაშკარავდება. მოგზაურობა კი, ჯობია, გადადოთ და ყურადღება მიაქციოთ ჯანმრთელობას.

## სასწორი

ნუ იზარმაცებთ და იყავით მეტად აქტიური. ზუსტად ჩამოაყალიბეთ მომავალი გეგმები. მოერიდეთ ეგოიზმსა და სიამაყეს. უჯობესია, გეგმების განხორციელება სხვა დროისთვის გადადოთ. უცხოელებთან კონტაქტი კი მომავალში კარგ პერსპექტივებს გპირდებათ.

## მორიელი

კარიერასთან დაკავშირებით მიიღეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. დროა, მიხვდეთ, რა არის თქვენთვის კარგი. არ არის გამორიცხული, შეგეცვალოთ ცხოვრებისეული მიზნები და გეგმები. მეტი დრო დაუთმეთ პირადი ცხოვრების მოწყობას. გამოიყენეთ ეს დრო მოლაპარაკებებისთვის, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღება ჯობია გადადოთ.

## მშვილდოსანი

სამომავლო ქმედებები წინასწარ კარგად გაიაზრეთ და ისე განახორციელეთ. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს, რადგან გაგიჭირდებათ სწორი გადაწყვეტილებების მიღება. კარგია მოგზაურობა და საყვარელ ადამიანთან ხშირი კონტაქტი. გარშემო მყოფებთან იყავით მეტად თავშეკავებული და ტაქტიანი.

## თხის რქა

მიიღეთ გააზრებული და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებები. ნუ მოერიდებით წინააღმდეგობებს, რადგან მათ ადვილად გადალახავთ. პირველი ნაბიჯი საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში თქვენ გადადგით. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. მოერიდეთ მოგზაურობასა და აგრესიის გამოვლენას.

## მერწყული

გაიზრდება თქვენი პოპულარობა. იუმორის გრძნობა, ორიგინალობა და ინტელექტი ნებისმიერ საქმეში წარმატებებს გიქადით. კარგია ახალი იდეების ჩამოყალიბება, საქმიანი მოლაპარაკებები კი ადვილად წარიმართება. მოერიდეთ მოგზაურობას და საყვარელ ადამიანთან საქმის გარჩევას.

## თევზები

შესაძლოა, ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდეთ, თუმცა, ადვილად მოახერხებთ აქედან თავის დაძვრენას და ნებისმიერი პრობლემის გადალახვას. მოგზაურობა და მეგობრებთან კონტაქტი ოპტიმისტურ განწყობას შეგიქმნით. კარგია იმიჯისა და გარეგნობის შეცვლა. პირად ურთიერთობებში კი სიახლეებია მოსალოდნელი.

**ახალმთვარეობა – 25 აგვისტო, 14 სთ: 30 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

აკონტროლეთ ემოციები და გრძნობები, რათა შეცდომა არ დაუშვათ. პოზიტიური დღეა ახალი საქმის დასაწყებად, საოჯახო და სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, პოლიტიკური საქმიანობისთვის. ნუ აჰყვებით ჭორებს. იკრძალება სიზარმაცე. რთულდება ინფორმაციის მიღება. ატარეთ შავი, ყავისფერი, ყვითელი, ოქროსფერი, ლურჯი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, სელენიტი, ზურმუხტი, ქრიზოპრაზი, ონიქსი ან გიშერი. არ ვარგა ფინანსური ოპერაციები, ოფიციალურ პირებთან ურთიერთობა, ვაჭრობა, ახალი კავშირები, სტომატოლოგთან ვიზიტი. სუსტდება ხერხემალი, ძვლოვანი სისტემა, სახსრები, კანი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

იყავით ფრთხილად. კარგია ყოველდღიური საკითხების გადაწყვეტა. დაიცავით სამართლიანობა. ატარეთ თეთრი, შავი, ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ლურჯი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტურმალინი, ზურმუხტი, ობსიდიანი ან მარგალიტი. არ ვარგა ფინანსური ოპერაციები, ძალაუფლების მქონე პირებთან ურთიერთობა, ვაჭრობა, გაცვლითი ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ოთხშაბათი

ნუ განმარტოვდებით, კარგია კონტაქტები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, ექიმთან კონსულტაცია. ატარეთ ყავისფერი, ჩალისფერი, ოქროსფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი, ვარდისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ცირკონი, ამეთვისტო, ობსიდიანი, ონიქსი ან ქრიზოპრაზი. აკონტროლეთ ემოციები. ნუ გადაიტვირთებით. შეიძლება ყოველდღიური პრობლემების გადაწყვეტა, მოგზაურობა, სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებთან ურთიერთობა. არ ვარგა ფინანსური ოპერაციები, ვაჭრობა. სუსტდება ძვლოვანი და ნერვული სისტემები, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

აქტიური მოქმედების დღეა. ხელს უწყობს საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების გაუმჯობესებას, საქმიან კონტაქტებს, სამეცნიერო კვლევას. ატარეთ თეთრი, იასამნისფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ცისფერი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ამეთვისტო, თეთრი აქატი, საფირონი, აკვამარინი ან ცირკონი. აკონტროლეთ ემოციები. კარგად დაფიქრდით, სანამ რამეს იტყვით. არ ვარგა ხელმძღვანელებთან ურთიერთობა. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, ფულის ვალად აღება, დიეტის დაწყება, გართობა. სუსტდება ნერვული სისტემა, მხედველობა, სისხლძარღვები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

### პარასკევი

ნუ დახარჯავთ ზედმეტ ენერგიას, ნუ მიიღებთ სერიოზულ გადაწყვეტილებებს, ნუ აიღებთ ფულს ვალად. იყავით ობიექტური, აკონტროლეთ ილუზიები, შემოიფარგლეთ ყოველდღიური საქმეებით, გადაწყვიტეთ ფინანსური საკითხები, შეაჯამეთ შედეგები. ნუ იზარმაცებთ. ატარეთ ფირუზისფერი, იასამნისფერი, თეთრი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლაბრადორი, ონიქსი, მწვანე ძოწი, აქატი, ქრიზოლითი ან ქალცედონი. მოერიდეთ ხელმძღვანელებთან ურთიერთობას. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სახლის მშენებლობა, სამეცნიერო კვლევა, დიეტის დაწყება, გართობა, ადგილსამყოფლის შეცვლა. სუსტდება მხედველობა, ნერვული სისტემა, სისხლძარღვები, ფეხის კუნთები, ჯირკვლები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი

თვითშემეცნების დღეა. ადვილად შეიძლება ძველი პრობლემების მოგვარება. აკონტროლეთ ემოციები. კარგია შემოქმედებითი საქმიანობა, სასიყვარულო კავშირი, მოგზაურობა, იურისტებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება, კონტრაქტების დადება, მოსამზადებელი სამუშაოები. ატარეთ: იისფერი, მწვანე, ლურჯი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – წითელი იასპი, მთის ბროლი, ამეთვისტო, გიშერი ან მარჯანი. დაიცავით სიმშვიდე. დაეყრდენით გამოცდილებას. მოერიდეთ ხელმძღვანელებთან ურთიერთობას. სუსტდება ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემები, კანი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

მოიმატებს აქტიურობა, ენერგიულობა, კომუნიკაბელურობა, სულსწრაფობა, უყაირათობა. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, მოგზაურობა, სამართლიანობის დაცვა, კაპიტალდაბანდება, სასიყვარულო კონტაქტები. არ ვარგა მხედველობის დაძაბვა. ატარეთ მწვანე, ლურჯი, ღია იისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ობსიდიანი, ავანტიურინი, ალექსანდრიტი, ცირკონი ან მარგალიტი. შეიძლება საოჯახო პრობლემების გადაწყვეტა. სუსტდება კანი, ფეხის ტერფები, ნერვული, ლიმფური და ენდოკრინული სისტემები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**სპორტული ჟურნალისტი დათო ქლიბაძე იმ ქართველთა შორისაა, ვისაც ბედმა გაუღიმა და მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე დიდ დღესასწაულზე, მსოფლიო ჩემპიონატებზე ყველაზე ბევრჯერ მოუწია დასწრება. მისი „რეკორდი" ათი მსოფლიო და ცხრა ევროპის ჩემპიონატია, რასაც დღეს ის ჩვენთან საუბარში სიამოვნებით იხსენებს. გვიამბობს იმ ისტორიებს, რაც მაყურებლისთვის მუნდიალის კადრს მიღმა რჩება.**

# რა რეკორდი დაამყარა დათო ქლიბაძემ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატებზე და რაში დაეხმარნენ მას არგენტინელი ფეხბურთელების ცოლები

**დათო ქლიბაძე:** ჩემი და ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატების ისტორია დაიწყო ძალიან ადრე, 1978 წელს, როდესაც პირველად მოვხვდი მსოფლიო ჩემპიონატზე, არგენტინაში. არეგინტინიდან დავიწყე და ბრაზილიამდე მოვედი. მაშინ ჩემპიონატები სამი კვირა გრძელდებოდა. საბჭოთა კავშირში იქმნებოდა ჯგუფები. ჩემპიონატის პირველი ათი დღე მიჰყავდათ ფეხბურთის სპეციალისტები და სპორტული ჟურნალისტები საბჭოთა კავშირის „მეორეხარისხოვანი" ქალაქებიდან და რესპუბლიკებიდან, სადაც ფეხბურთი არ იყო ისე პოპულარული, როგორც ჩვენთან, თბილისში. მათ „ვალს" რომ მოიხდიდნენ, მერე იქმნებოდა განსაკუთრებული ჯგუფი – ჩემპიონატის მთავარ ნაწილს ვესწრებოდით მოსკოველები და ქართველები. ეს პრივილეგია ჩვენ ნამდვილად გვქონდა. ქართული ფეხბურთი საბჭოთა კავშირში მიიჩნეოდა, როგორც გამორჩეული ფეხბურთი. რუსებმა კარგად იცოდნენ ჩვენი ფასი. მაშინ ჩვენ გვყავდა იმ რანგის ფეხბურთელები, რომლებიც დღესაც კი სანატრელი შეიძლებოდა, ყოფილიყო თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთისთვის. ჩემამდე ქართველი ჟურნალისტები იყვნენ ნამყოფი 1966 წლის ჩემპიონატზე, უფრო ადრე, ბორის პაიჭაძე და ჩვენი ფეხბურთის სპეციალისტები ჩავიდნენ 1958 წლის ჩემპიონატზე, შვედეთში. ეს იყო ქართველების პირველი შეხება მსოფლიო ფეხბურთის ამ დიდ დღესასწაულთან. 1962 წელს ჩვენგან, ფეხბურთელების გარდა, მსოფლიო ჩემპიონატზე არავინ წასულა. მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშობდნენ სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მიშა მესხი, სლავა მეტრეველი. სპეციალისტების ჯგუფში იყო ავთანდილ ღოღობერიძეც. 1990 წელს, როცა საბჭოთა კავშირი უკვე დაშლილი იყო, ჯგუფი აღარ შედგა. მე და დათო კაკაბაძე იტალიაში ჩემპიონატზე უკვე დამოუკიდებლად წავედით, საქართველოს სახელით. მინდა, გითხრათ, რომ ყველა ჩემიონატს ვესწრებოდი სპორტული ჟურნალისტის სტატუსით. ფეხბურთი, რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს, მაგრამ პროფესიონალურად არ არის სწორი, იქ შენი, როგორც გულშემატკივრის ემოციები გამოხატო.

**– ძალიან ბევრ ფეხბურთელს შეხვედრიხართ, როგორია ჩემპიონატების კულისები? რა ხდება კადრს მიღმა ასეთი მაღალი რანგის ტურნირებზე, რასაც მაყურებელი ვერ ხედავს?**

– შეხვედრივარ ბევრ ვარსკვლავს: ბეკენბაუერს, დი სტეფანოს, მენოტის, ლუის კუბალას, პუშკაშს, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი გახლდათ. აღარ ვსაუბრობ პლატინიზე, რომელიც ბოლო დროს თბილისშიც ხშირად ჩამოდის. მე მქონდა პატარა საფეხბურთო ბურთი, რომლითაც იტალიაში დაგვასაჩუქრეს სპორტული ჟურნალისტები ჩემპიონატის წილისყრის დროს. ამ ბურთზე პირველი ავტოგრაფი პელემ დატოვა, მერე და მერე მოჰყვა დანარჩენი ფეხბურთელების ავტოგრაფებიც. ეს ბურთი არგენტინელი მეგობრის დახმარებით მარადონასთანაც მოხვდა. ჩემი არგენტინელი მეგობარი მიდიოდა ნეაპოლში, სადაც ცხოვრობდა არგენტინის ნაკრები. დილის ექვს საათზე შევხვდი, რომ ბურთი გამეტანებინა მარადონასთან. სამი დღის მერე პრესცენტრში მომიტანა მარადონას ავტოგრაფიანი ბურთი. როცა ვკითხე, ეს როგორ მოახერხე-მეთქი, მითხრა: კარგად ვიცნობ კანიჯას ცოლს, ის კი მარადონას ცოლთან მეგობრობს. მოკლედ, ცოლების დახმარებით გადავეცი ბურთი მარადონასო *(იცინის).* სადაც დავდიოდი, ეს ბურთი ყველგან თან დამქონდა, მერე გაქრა სახლიდან. ჩემი შვილიშვილი გურამი პატარა იყო, როცა ხუმრობდა: ნეტავ, ეს ბურთი მე როდის გადმომეცემაო. მგონი, მან მომპარა, ჩვენს ოჯახში ის ერთადერთია, ვინც ფეხბურთში ერკვევა და ფეხბურთზე მესაუბრება. თუმცა, როცა მივიკითხმოვიკითხე, ვერც მისი „კვალი" აღმოვაჩინე ამ საქმეში. ალბათ, ბებიამისმა დამიმალა, კარგად უნდა დავძებნო *(იცინის).*



ესპანეთში მე და პელე ერთმანეთს ისე დავეჯახეთ, მის დაცვას ტერორისტი ვეგონე

**– ჩემპიონატებიდან მხოლოდ ავტოგრაფები ჩამოგქონდათ?**

– ერთხელ ერთ-ერთი ჩემპიონატიდან ჩამოსულმა სახლში დიდი ჩანთა მოვიტანე. გაუხარდა ჩემს ცოლს, იფიქრა, ჩამოიტანდა რამე ხეირიანსო. გავხსენით ჩანთა და ამოვალაგე სპორტული ჟურნალ-გაზეთები. ახლაც ასე ვიყავი, ბრაზილიიდან მთელი იქაური სპორტული პრესა გამოვზიდე. მე აბსოლუტურად უსმენო და უხმო კაცს, რომელიც კლასიკური მუსიკის დიდი მოყვარული გახლავთ, ყველა ქვეყნიდან ჩამომქონდა მუსიკალური დისკები. ხულიო იგლესიასი მე გავაცანი საქართველოს, მაშინ მას არავინ იცნობდა. მე ჩამოვიტანე სამი ტენორის ცნობილი კონცერტი იტალიიდან, რომელიც გამოვიყენე ჩემს გადაცემაში იქამდე, სანამ მოსკოვი გაუშვებდა. მათ ნაყიდი ჰქონდათ ამ კონცერტის გაშვების უფლება. ჩემპიონატებზე ყოფნას ხშირად ახლავს კურიოზული სიტუაციებიც, ახლა ერთი ისტორია გამახსენდა, რაზეც ადრეც მისაუბრია, მაგრამ მაინც მოვყვები. 1986 წელს, მექსიკაში ჩემი დაბადების დღეს, 22 ივნისს დაემთხვა არგენტინა-ინგლისის თამაში. არ ვთქვი, რომ იუბილარი ვიყავი. ჩემთან ერთად იყვნენ კახი ასათიანი, გურამ ფანჯიკიძე, აჩიკო გოგელია და ავთო გოგოძე. მეხიკოში ვართ, „აცტეკას" სტადიონზე. ჩემს გვერდით სომხური სპორტული გაზეთის რედაქტორი იჯდა. სულ იძახდა: მცხელა, მცხელა, გავალ „კოკა-კოლას" დავლევო. არც მიმიქცევია ყურადღება. სწორედ ამ თამაშზე გავიდა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის ნომერ პირველი გოლი – მარადონამ მიიღო ბურთი მოედნის ცენტრში, მოატყუა ორი ინგლისელი და გაიტანა ისეთი ფანტასტიკური გოლი, ინგლისის მწვრთნელმა რობსონმაც კი, ტაში დაუკრა. ისეთი გოლი იყო, ემოციებს ვერ დამალავდი, რომელ ლოჟაშიც არ უნდა მჯდარიყავი. უნებურად წამოვხტი ფეხზე და უცებ თავზე დამესხა ადუღებული ცხელი სითხე. ყველა ჩემსკენ იყურება და იცინის, თურმე ამ ჩვენს სომეხ რედაქტორს „კოკა-კოლა" აღარ დახვედრია და ასე გადამავლო ცხელი ყავა სახეზე, თავიდან ბოლომდე შავი ვიყავი – ხუთი ფინჯანი მქონდა თავზე გადასხმული *(იცინის).*

## ხულიო იგლესიასი საქართველოს მე გავაცანი, მაშინ მას აქ არავინ იცნობდა

**– მსოფლიოს ათ და ევროპის ცხრა ჩემპიონატზე ხართ ნამყოფი, რომელი ჩემპიონატი გახსოვთ განსაკუთრებულად და როგორ იცვლება დიდი საფეხბურთო დღესასწაული წლებთან ერთად?**

– ხუთ ჩემპიონატს თავიდან ბოლომდე დავესწარი. ჩემპიონატის დაწყებამდე ორისამი დღით ადრე მივდიოდი და ერთი კვირა მაინც ვრჩებოდი კიდევ იქ. დანარჩენ ჩემპიონატებს, ძირითადად, ბოლო თამაშებზე ვუერთდებოდი. ბოლო ორი კვირა ვესწრებოდი ჩემპიონატს სამხრეთ აფრიკაში, სადაც მაშინდელი სპორტისა და კულტურის მინისტრის, ნიკა რურუას დამსახურებით მოვხვდი. ძალიან კარგად მახსოვს არგენტინა, ალბათ, იმიტომ რომ, ეს იყო ჩემთვის პირველი ჩემპიონატი. უცხოეთში უკვე ნამყოფი ვიყავი, მაგრამ შორეული არგენტინის ეგზოტიკა მომხიბლავი აღმოჩნდა ჩემთვის. დღემდე კარგად მახსოვს ყველა თამაში, რომელსაც არგენტინაში დავესწარი. ეს იყო ფეხბურთის ნამდვილი ზეიმი. ძალიან ლამაზად მახსოვს 1990 წლის იტალიის ჩემპიონატი, 42 დღე დავყავი იტალიაში. ეს იყო საოცრება და ახლა უკვე ვხვდები, წელს ბრაზილიაში რომ არ წავსულიყავი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის დახმარებით, ძალიან ბევრი რამ დამაკლდებოდა. ბრაზილიელები არიან საოცრად ლაღი ხალხი, დაბადებული ბედნიერებისთვის. მეორე დღესვე ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს იქ ბევრჯერ ხარ ნამყოფი, ადვილად უშინაურდები იქაურობას. ეს არის ქვეყანა, რომელიც ცხოვრობს ფეხბურთით და იმის მიუხედავად, რომ მასპინძელი გუნდი ასე სასტიკად დამარცხდა გერმანიასთან, მეორე დღეს ბელუ ორიზონტში, სადაც თამაში იყო, ჩვეულებრივ გაგრძელდა ცხოვრება. მხრების აჩეჩვით გამოხატავდნენ ბრაზილიელები თავის რეაქციას. მე დავესწარი ამ თამაშს, ერთი გოლი რომ გავიდა მოედანზე ჩვეულებრივი ემოციები იყო, მეორეზეც, მერე უკვე ყველა გოლი ღიმილს იწვევდა. იმ ერთ გოლზეც კი, რომელიც ბრაზილიელებმა გაიტანეს, იქაურებმა ისეთი სიხარული გამოხატეს, გეგონებოდათ, თამაშს

**(გაგრძელება 81-ე გვერდზე)**

# შანსი ხანგრძლივი სიცოცხლისა




*საკმაოდ სერიოზული ტესტია. მოეკიდეთ ყურადღებით და შეიტყობთ, გაქვთ თუ არა შანსი, იცხოვროთ ხანგრძლივად და ჯანმრთელად. ყოველი დადებითი პასუხისთვის დაიწერეთ 2 ქულა, უარყოფითი პასუხისთვის – 0 ქულა, პასუხისთვის „ზოგჯერ" – 1 ქულა.*

*კითხვები ძირითადად კვებასა და უნარ-ჩვევებს ეხება.*

**1. ხშირად მიირთმევთ თევზსა და ხიზილალას?**

**2. გიყვართ ცხიმიანი ხორცი?**

**3. როდისმე გარეული ცხოველის ხორცი გიჭამიათ?**

**4. ხშირად ჭამთ ცუდად დამუშავებულ ხორცს (მწვადი, შაურმა)?**

**5. გიყვართ და იყენებთ ცოცხალ მწვანილს, კენკრას, ხილს, ბოსტნეულს (კომპოტი და ჩირი არ ითვლება)?**

**6. სეირნობთ ხოლმე ბალახზე ფეხშიშველი?**

**7. ბოსტანი ან ოთახის ყვავილები გაქვთ და უვლით?**

**8. ოჯახში შინაური ცხოველი, ფრინველი ან ქვეწარმავალი გყავთ?**

**9. ყოველთვის გულდასმით რეცხავთ ხილსა და ბოსტნეულს?**

**10. ყიდულობთ ხორცს ბაზარში ან ქუჩაში?**

**შედეგები:**

*ნახეთ თქვენი შედეგები. თუ მოაგროვეთ 5 ქულამდე – რისკი იმისა, რომ იავადმყოფებთ ან თქვენს ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეექმნება, მინიმალურზე მინიმალურია.*

*5 ქულაზე მეტი – არ გაწყენთ პროფილაქტიკური გამოკვლევა და მსუბუქი დიეტა.*

*8 ქულა თუ მოაგროვეთ – აუცილებელია, შევცვალოთ ცხოვრების წესი, კვების რეჟიმი და რაციონი, რომელიც აშკარად არ არის სასარგებლო.*

*12 ქულა და მეტი – ექიმთან კონსულტაცია სასწრაფოდ გჭირდებათ. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ თქვენი ჯანმრთელობა საფრთხის წინაშეა?*

## ალექსანდრე მაკედონელის საფლავი

ეგვიპტეში, კერძოდ, ალექსანდრიაში, აღმოაჩინეს მავზოლეუმი, რომელიც, სრულიად შესაძლებელია, რომ ალექსანდრე მაკედონელის სამარეც იყოს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, მავზოლეუმი ხელოვნების ნამდვილი შედევრია. მიუხედავად იმისა, რომ ეტყობა, არაერთხელ გაუძარცვავთ, მას ჯერაც შერჩენილი აქვს დიდებულება და მდიდრული იერი. არქიტექტურაც განსაკუთრებული აქვს. თავის დროზე მრავლად იქნებოდა გამოყენებული მარმარილო და ოქრო. შემონახულია, ასევე, მთის ბროლისგან დამზადებული სარკოფაგიც; მასში მოთავსებულია ძვლები, რომელიც, ალბათ, ზრდასრულ მამაკაცს ეკუთვნოდა.

ეჭვებს საბოლოოდ გამორიცხავს წარწერა სარკოფაგზე: „მეფე მეფეთა, სამყაროს დამპყრობელი, ალექსანდრე III". ახლა მეცნიერებს ისღა დარჩენიათ, დაადგინონ, ხომ არ არის სამარხი მაკედონელის დაუძინებელი მტრებისთვის თავგზის ასარევად სპეციალურად მოწყობილი ფალსიფიკაცია. ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელი გარდაიცვალა ბაბილონში, 323 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მისი სხეული სპეციალური ბალზამით გაჟღენთეს და ალექსანდრიაში გადაიტანეს, სადაც დაკრძალეს კიდეც. მაგრამ, მისი სამარე დღემდე უცნობი იყო და საიდუმლოებით მოცული.

## დრაკულას სასახლე

შუა საუკუნეების ყველაზე მისტიკური ადგილია დრაკულას სასახლე რუმინეთში, რომელიც სულ ახლახან, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, რუმინეთის მთავრობამ საჯარო აუქციონზე გამოიტანა გასაყიდად, რამდენიმე ათეულ მილიონ ევროდ.

ციხე-კოშკი ბრანი – გრაფი დრაკულას სამფლობელო მეთოთხმეტე საუკუნეშია აგებული. მანამდე იქ ტევტონური ხის ციხესიმაგრე იდგა. ბრანის ციხე-კოშკი თავდასაცავი ნაგებობაც იყო და საცხოვრებელიც. არსებობს ლეგენდა, რომ ბრანის კოშკი გრაფ ვლად ცეპეშს ეკუთვნოდა, რომელსაც ფართო საზოგადოება გრაფი დრაკულას სახელით იცნობს. ანუ, როგორც ყველაზე ცნობილი ვამპირი მსოფლიოში. თუმცა, ეს უფრო ბრემ სტოკერის დამსახურებაა. ბრანიში ყოველწლიურად ნახევარი მილიონი ტურისტი ჩადის. თუმცა, ძირითადი საცხოვრებელი დრაკულასათვის ბრანი კი არა, პოენარის კოშკი იყო, რომელიც დღეს ნანგრევებადაა ქცეული.

დღეისთვის ბრანის მფლობელი, სახელმწიფოსთან ერთად ჰაბსბურგების უკანასკნელი შთამომავალია და თავდაპირველი ფასი კოშკს ერთი მილიარდ 750 მილიონი დოლარი დაადო. თანაც, არსებობს პირობა, რომ ციხე-კოშკი მუზეუმად უნდა დარჩეს. ბრანის ციხე-კოშკს ყოველწლიურად შეამოწმებს სპეციალური კომისია – ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების შემადგენლობით, რათა დარწმუნდნენ, რომ ყველა ექსპონატი ადგილზეა.

თუ მაინც გამოჩნდება მსურველი, რომელსაც არც ფასი შეაშინებს და არც ეს ნიუანსები, დრაკულას სასახლე გაიყიდება... კიდევ ერთიც, მყიდველი ვერანაირად ვერ იქნება თურქი – ეს გამორიცხულია. გრაფმა დრაკულამ ხომ თურქების დაუნდობელი ჟლეტით მოიპოვა ვამპირის სახელი.



## ნივთების ისტორიიდან

ძველ ეგვიპტეშიც ჰქონდათ ჩანთები, მაგრამ, კონკრეტულად რისთვის იყენებდნენ მას? ეგვიპტელებს მიაჩნიათ, რომ უძველესი ქვეყნის მცხოვრებნი ამ პატარა ჩანთებით ატარებდნენ იმ აუცილებელ ნივთებს, რომლებიც საიქიო ცხოვრებაში გამოადგებოდათ. ასირიელი და ძველი ბაბილონის მამაკაცები საჭირო, წვრილმანი ნივთების გადასატანად იყენებდნენ წელზე შებმულ ტილოსგან დამზადებულ ტომსიკებს. ძველმა ბერძნებმა მაშინვე აიტაცეს იდეა და ტომსიკებში ფულის – მონეტების ჩაწყობა დაიწყეს. სავარაუდოდ, ასე გაჩნდა პირველი საფულე, თუმცა, არსებობს სხვა ვერსიებიც. მაგალითად, ძველმა რომაელებმა ფულის შესანახი ტომსიკები ტყავისგან შეკერეს, მორთეს ნაქარგებით და ნახევრადძვირფასი ქვებით. ასე ჩაეყარა საფუძველი საფულეების მოდას. ძველ რომში მალე ქალებმაც დაიწყეს ქამრებზე მიმაგრებული საფულის ტარება.

იაპონიასა და ჩინეთში საფულეების მაგივრად იყენებდნენ ტყავის ან აბრეშუმის ლენტს. ამ ქვეყნებში მონეტებს შუაგულში ოთხკუთხედი ნახვრეტი ჰქონდა და უფრო მოსახერხებელი იყო მათი თასმაზე ან ლენტზე აცმული ტარება.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მ ი ი ღ ე თ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

**გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

# როცა ქალს უყვარს...

**გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №27-29(708)**

კოტემ სიგარეტი საფერფლეზე დასრისა, სავარძლის საზურგეზე ნებივრად გადაწვა და მობილური აიღო...

– სად ხარ? შენი ნახვა მინდა... დღეს ადრე მოვრჩი საქმეებს და, იქნებ, წყნეთში ან კოჯ-ორში ავსულიყავით, ჩემს აგარაკზე... აუზში გავგრილდებით და ერთმანეთით დავტკბებ-ით... რას ნიშნავს, ახლა არ შეგიძლია? – კაცი აშკარად უკმაყოფილო დარჩა პასუხით და არც უცდია ამის დაფარვა, – რატომ გინდა, ნერვ-ები მომიშალო? გოგო... არ გესმის შენ? მინ-და, რომ მოხვიდე, მიზეზები არ მაინტერესე-ბს! რა?!. რას ნიშნავს, ახლა ვერ მეტყვი? უნდა მითხრა... ნუ მანერვიულებ-მეთქი, ნუ... რა?! – კოტემ მთელი ხმით იყვირა, – ახლა გავგიჟდები... კარგი, კარგი, შემეშვი და დღეს



ალარ დამირეკო... რა აზრი აქვს, მომშხამე უკვე! – კოტემ ტელეფონი გათიშა და მაგიდ-აზე მიაგდო, თან უშვერად შეიგინა. რამდენი-მე წუთი უაზროდ დაბოდიალობდა კაბინეტ-ში, მერე თითქოს რაღაც გაახსენდა, ისევ აი-ლო მობილური და დარეკა. კარგა ხანს არავინ პასუხობდა. გაცოფებულმა კბილები გააღრჭ-იალა... რეკავდა და რეკავდა ჯიუტად. ბოლ-ოს, როგორც იქნა, უპასუხეს...

– სად ხარ, ბიჭო, შენ? მეორე დღეა, გირ-ეკავ და ხან გამორთული გაქვს, ხან საერთ-ოდ არ მპასუხობ. შემჭამა დედაშენმა... რატ-ომ?! იმიტომ, რომ ხასიათი აქვს ეგეთი, ვიღ-აც აუცილებლად უნდა ჭამოს, თორემ, ცუდ-ად ხდება... შენ შორს ხარ და ჩემით გამოდის იოლად... ბილეთს ავუღებ და გამოვუშვებ შე-ნთან, ცოტა ხანს ეგეც დაისვენებს და მეც. გადამიყვანა ჭკუიდან!.. ოჰ, კარგი ერთი!.. დე-დაშენია, ხომ არ გავიწყდება? ტვინის გაბურ-ღვასაც უნდა გაუძლო და სხვა რამესაც... მო-კლედ, არ ვიცი, რა, მეტი აღარ შემიძლია. ფული გჭირდება? რამდენი?! – კოტე ლამის წამოხტა და ხელი გამეტებით დაარტყა მაგი-დას, – რას აკეთებ მანდ, ბიზნესს იწყებ თუ ნახევარ ირლანდიას ინახავ?! როგორ გგონია, მე აქ ფულის საჭრელი მანქანა მაქვს თუ რაშია საქმე? ქალებს კი არ უნდა გადაჰყვე, ბიჭო, სასწავლებლად გაგიშვით მანდ... რა აღარ გინდა? მოიცა, მოიცა, გინდა, რომ ინგლისში ისწავლო?! შენ ნორმალური ხარ? დღეს რა ყველა გაგიჟდით და გადაირიეთ, პირი შეკა-რით თუ რა უბედურებაა? შენი საქმე არ არის, კიდევ ვის ვგულისხმობ... დედაშენი, რა, ცოტაა? არ ვიცი, არა... ჩამოეთრევი ზა-ფხულში და მერე დავილაპარაკოთ. კურსი მაინც დახურე, რომ ამდენი ფული წყალში არ გადავყარო. კარგი, კარგი... შემეშვი ახ-ლა... – კოტე ჭარხალივით გაწითლდა ბრაზ-ისგან.

– აუ, ესეც როგორ დაიმსგავსა ჩემმა ცო-ლმა... ორივე ერთად მიშხამავს სიცოცხლ-ეს... რისთვის ვწვალობ ან ვისთვის... კაციშვ-ილს არ ესმის ჩემი, საყვარელსაც კი... – კაცმა ისევ შეიგინა და თავი ხელისგულებში ჩარგო...

***

ტომასმა თანაგრძნობით შეხედა მეგობა-რს:

– მამაშენი იყო?

– ჰო, – მოკლედ მიუგო სანდრომ.

– ასეთი რა უთხარი, რომ მისი ყვირილი მე მესმოდა?

სანდრომ ხელი ჩაიქნია.

– რას ვეტყოდი? ფული ვთხოვე და გაგ-იჟდა – სად ხარჯავ ამდენსო. გეგონება, არა აქვს. ამ ბოლო დროს ძალიან გაძუნწდა.

– დიანასთვის გინდა, ხომ? – ტომასმა მრა-ვალმნიშვნელოვნად მოჭუტა თვალები, – ალ-ექსანდრე, შენ გელაპარაკები.

– ჰო, მაგრამ, კორექტული არ ხარ. შენ ფიქრობ, დეას ფულით ვიყიდი?! რა სისულე-ლეა! სხვანაირი გოგოა, დამიჯერე. უბრალ-ოდ, სადმე რომ დავპატიჟო და, ისედაც, ფუ-ლი არ მინდა?

ტომასმა ამოიოხრა.

– სილვიას უკვე ელაპარაკე?

– შენც რას გადამეკიდე სილვიათი, რაზე ველაპარაკო? ჯერ ერთი, მასთან სერიოზუ-ლი არაფერი მქონია და, რაც მქონდა, ისიც დამთავრდა.

– მე გითხარი და, შენი საქმის შენ იცი. ისტერიულად გირეკავს ის გოგო... გუშინ მეც დამირეკა და მერე პრობლემა არ შეგიქმნას.

– რა პრობლემა უნდა შემიქმნას სილვი-ამ?

– ვერ ხვდები, ხომ? გაიგებს, დიანას რომ დასდევ უკან და ერთ კარგ სკანდალს მოგიწ-ყობს. შეიძლება, დიანაც მოყვეს გაუგებრობ-აში. გინდა ეს? როგორ ფიქრობ, მოეწონება?

სანდრომ ამოიოხრა:

– საერთოდ წასვლა მინდა აქედან...

– ამ ბინიდან? ჰო, ისე, მეც დიდად არ მომწონს. უკეთესი კოტეჯის ქირაობა შეიძლ-ება ამ ფულით, უფრო კომფორტულის... გინ-და, მოვძებნო?

– მაგას არ ვგულისხმობდი. ირლანდიიდან მინდა წასვლა.

– გაგიჟდი? არ მითხრა, რომ საქართველ-ოში ბრუნდები, ვერ დავიჯერებ. ამაზე უკეთ-ეს ადგილას სად უნდა წახვიდე?

– ინგლისში. იქ გავაგრძელებ სწავლას.

– აჰა, ყველაფერი გასაგებია. დიანა, ისევ დიანა... აღიარე, რომ უკვე გიყვარს ეგ გოგო.

– „აღიარე, რომ უკვე გიყვარს ეგ გოგო“, – გამოაჯავრა სანდრომ, – დავუშვათ, ვაღია-რე, მერე შენ რა, ამით?

– ის, რომ, არ მინდა, ჩემი საუკეთესო მეგობარი შარში გაებას.

– სიყვარული შარია?

– აბა, რა არის? მით უმეტეს, რომ უკვე თავი დაგაკარგვინა.

– რას მიედ-მოედები... თავი არ დამიკარგ-ავს. შენ ამძიმებ სიტუაციას და, საერთოდაც, შემეშვი შენი რჩევებით, აღარ მელაპარაკო დიანაზე!

ტომასმა უკმაყოფილოდ გადააქნია თავი და ენა გააწკლაპუნა:

– ეგოისტი ხარ შენ, მარტო საკუთარ თა-ვზე ფიქრობ და მეგობარი არც კი გახსენდე-ბა.

– რა გინდა, მაგით, რომ თქვა, რატომ ვარ ეგოისტი?

– ლინა მომწონს-მეთქი, ხომ გითხარი? სულ არ ცდილობ ჩემთვის.

– აბა, სიყვარული შარიაო?

– მე ვთქვი „მომწონს” და არ „მიყვარს,” განსხვავებას ვერ ხედავ?

– ვხედავ, მაგრამ ჯერ მეც არ ვარ შეყვა-რებული, – მოუჭრა სანდრომ. ტომასი ახლოს მიუჩოჩდა მეგობარს და ეშმაკური ღიმილით ჰკითხა:

– დღეს ხვდები დიანას?

– ჯერ არ ვიცი. რატომ მეკითხები?

– ლინასაც დავურეკავდი და მეც ცოტათი წინ წავიწევდი ურთიერთობაში. თუ, აუცილე-ბლად მარტონი უნდა იყოთ შენ და დიანა?

– აჰა, კიდევ! დაურეკე ლინას და შენ შე-ხვდი, მე რაღაში გჭირდები, არ მესმის. მართ-ლა არ მესმის... როდის აქეთ გახდი გოგოებ-თან ასეთი მორიდებული და ფრთხილი?

– ეგ რა შუაშია, უბრალოდ, ვატყობ, ლინა ძალიან არის დამოკიდებული დიანაზე.

– კარგი, რა, არ მითხრა, რომ ლინას დეა არ უშვებს შენთან პაემანზე, ნუ მაცინებ.

– რა მოხდება, ერთად რომ შევხვდეთ გო-გოებს? – ყელი „გამოიგლიჯა“ ტომასმა.

– კი ბატონო, შევხვდეთ. მაგრამ დღეს, ალბათ, არ გამოვა... – ამოიოხრა სანდრომ, –



**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლ-ია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედუ-რების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

***ჩაწერა ხდება წინასწარ.***

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

სილვია მყავს სანახავი.

ტომასს თვალები აუციმციმდა:

– აბა, მორჩა ყველაფერიო? დიდი მატყუარა ხარ შენ.

– მორჩა, მაგრამ, ეს სილვიამაც ხომ უნდა იცოდეს?

ტომასს ჩაეცინა და თავი გადააქნია:

– ჰმ, შენ გგონია, ასე მარტივად გაიგებს?

სანდრომ მუხლზე დაირტყა ხელი:

– აუ, აბა, ევროპელი ქალები უფრო მარტივები არიანო?! საქართველოში გოგოს წესიერად ვერ დაელაპარაკები, ეგრევე დარწმუნებულია, რომ ცოლად უნდა მოიყვანო.

– ეე, ყველა ქალი ქალია, საქართველოშიც, აქაც და მთვარეზეც, – ბრძენი კაცივით დაასკვნა ტომასმა, – სილვიას მაგრად დაუდექი. ბოლოს და ბოლოს, ხომ არაფერს დაჰპირებიხარ და რა პრეტენზია უნდა ჰქონდეს? გეუბნები, ერთი ნაბიჯიც არ დათმო...

***

საშუალო ასაკის, მაგრამ ძალიან ეფექტური გარეგნობის ქალი ნერვიულად სცემდა ბოლთას ოთახში. იქვე, კომფორტულ სავარძელში მჯდარმა თმაშევერცხლილმა, ძალიან სიმპათიურმა მამაკაცმა რამდენჯერმე შეავლო მზრუნველი მზერა და ამოიოხრა. ბოლოს ტელევიზორი გამორთო და ალერსიანად სთხოვა:

– საყვარელო, იქნებ დამშვიდდე? არ შეიძლება ამდენი ნერვიულობა.

– ახლა მეუბნები ამას? თავიდანვე რატომ არ იფიქრე იმაზე, რომ ვინერვიულებდი? – აღშფოთდა ქალი და ლამაზ თვალებში რისხვა ჩაუდგა, – სიგარეტი მომაწოდე!

კაცმა უკმაყოფილო გამომეტყველებით გაუწოდა კოლოფი.

– რატომ ეწევი? თანაც ამდენს... გულს გაფრთხილება უნდა. ხომ ხედავ, მე აღარ ვეწევი.

– შენ არც ნერვიულობ, დევიდ, განსხვავებას ხედავ? მე კი, რაც დიანა წავიდა, მას მერე ღამეები არ მძინავს... და ეს ყველაფერი შენი ბრალია.

კაცი შეწუხდა:

– ანა, უსამართლო ნუ იქნები. მე მინდოდა, რომ დიანა წასულიყო და შენ გენერვიულა?!

– დიახ, სწორედ შენ გინდოდა. ვინ მოუყვა ყველაფერი, შენი გადაწყვეტილება არ იყო? რატომ არ დამიჯერე, რა გინდოდა?..

– მინდოდა, დიანას სიმართლე სცოდნოდა. სიმართლე ყველასთვის აუცილებელია, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში.

ქალმა ხელები გაშალა:

– ეს შენი პრინციპები ბოლოს მომიღებს. ჩემზე რატომ არ იფიქრე? რატომ არ მკითხე, ჩემთვის რა იქნებოდა უკეთესი?!

კაცი მოიღუშა:

– ანა, ჩვენ ხომ ბევრჯერ ვილაპარაკეთ ამაზე?

– მერე? ვილაპარაკეთ და, მახსოვს, ვერ დამითანხმე. მაგრამ, მაინც დასვი და მოუყევი ყველაფერი. ახლა რა ვქნა? ნერვიულობას მაინც რატომ მიშლი?

– იმიტომ, რომ არა აქვს აზრი. ახლა მხარში უნდა დავუდგეთ. თვითონაც ხომ ნერვიულობს...

– აჰა, ხედავ? ხვდები, რომ თვითონაც ნერვიულობს. რას ერჩოდი ბავშვს? – სიგარეტი ბრაზით დასრისა საფერფლეზე ანამ და მკერდზე მიიდო ხელი, – ნახავ, თუ ეს ამბავი არ გადამიყოლებს, ნახავ... მერე იძახე, რომ სიმართლე უმთავრესია.



დევიდი სწრაფად წამოხტა და წყლის მოსატანად თითქმის სირბილით წავიდა. ოთახში რომ დაბრუნდა, ცოლი სავარძელზე მიწოლილი დაუხვდა, სახეზე ხელისგულები ჰქონდა აფარებული... კაცმა ჭიქა ახლოს მიუტანა და თითქმის შეევედრა:

– გთხოვ, დალიე... ნუ მაშინებ, ანა, ძვირფასო. რა ვქნა, ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ დიანასთვის ისე ჯობდა, როგორც მოვიქეცი.

– ღმერთო, გაჩუმდი მაინც და ნერვებს ნუღარ მიშლი. არ მინდა წყალი, მომაშორე აქედან... აიღე ტელეფონი და დაურეკე... უთხარი, ახლავე ჩამოვიდეს, დედაშენი ცუდად არის-თქო!

დევიდმა ჭიქა დადგა და დაჯდა. ცოლი გაოცებული მიაშტერდა:

– არ აპირებ დარეკვას, დევიდ?

– არა. არ ვაპირებ. რატომ უნდა მოვატყუო და ავაფორიაქო? ანა, ეგოისტი ნუ იქნები!

ქალს ტუჩები აუცახცახდა.

– ზოგჯერ მგონია, რომ ისე არ გიყვარს დიანა, როგორც... როგორც...

დევიდი გაფითრდა.

– რისი თქმა გინდა ამით? ანა, ეს უკვე მეტისმეტია. რადგან სიმართლე ვუთხარი, იმიტომ არ მიყვარს?! შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარს. სიცოცხლეს უყოყმანოდ დავთმობ მისთვის. შეცდი, ანა, ჩემთვის ეს არ უნდა გეთქვა. ძალიან მატკინე გული...

ქალი მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა, ქმართან მიიჭრა და მოეხვია:

– რა ვქნა, დევიდ, ვნერვიულობ, ძალიან ვნერვიულობ... ხომ იცი, რანაირია – ჯიუტი და თავისნათქვამა. მეშინია, გესმის? მეშინია, რამე სისულელე არ ჩაიფიქროს.

– დიანა ჭკვიანი გოგოა. ზედმეტად ჭკვიანიც კი – ამ მხრივ მშვიდად ვარ.

– ზედმეტად ჭკვიანი გოგოებიც სჩადიან სისულელეებს. თან, ყველაფერი რომ მოუყევი, შელამაზების გარეშე... ოი, ღმერთო, რატომ გაგვიმეტე ასე?!

– ნახევარი სიმართლე რაღა სიმართლეა? ანა, დამიჯერე, აუცილებელი იყო ამის გაკეთება.

– შეიძლება, მაგრამ, საქმე ჩემს შვილს ეხება, ჩემს შვილს!

– ვიცი, მაგრამ, დიანა, ჩემი შვილიც არის და მაგიტომაც გავაკეთე ის, რაც გავაკეთე.

– აღარ შემიძლია მეტი. დარეკე აეროპორტში და ბილეთი მაინც ამიღე, უნდა ჩავაკითხო.

– არ გინდა, დამიჯერე. მარა და ვილი კარგად მიხედავენ; ხომ იცი, რომ არაფერს გაუჭირვებენ. ლინასთანაც გაერთობა, ქვეყანასაც ნახავს.

– მერჩივნა, გვერდით მყოლოდა. უფრო მშვიდად ვიქნებოდი, – ამოისლუკუნა ქალმა.

– ჩემო საყვარელო, მალე ჩამოვა და ყველაფერი კარგად იქნება.

– არა, – თავი გააქნია ანამ, – ყველაფერი კარგად აღარ იქნება.

დევიდი მოეხვია ცოლს და თავზე აკოცა. ანას გული ამოუჯდა და ატირდა... კაცი უსიტყვოდ ეფერებოდა მხარზე...

***

კოტემ კარი თავის გასაღებით გააღო. ფეხსაცმელები იქვე მიჰყარა, უწესრიგოდ. ხელები მარმარილოთი მოპირკეთებულ აბაზანაში დაიბანა და სასტუმრო ოთახში შევიდა. ვრცელ, უზარმაზარი ვიტრაჟებით დამშვენებულ დარბაზში რამდენიმე ტყავის სავარძელი იდგა. კედელზე უზარმაზარი, ბოლო მოდელის ტელევიზორი ეკიდა... კოტე დივანზე წამოწვა და თვალები დახუჭა. ცოტა ხანში ოთახში ქალმა შემოიხედა:

– ბატონო კოტე, თქვენ ხართ? რა ადრე დაბრუნდით! არ გელოდებოდით და ვახშამი ჯერ მზად არ არის. თუ გნებავთ, ლორითა და ყველით სენდვიჩებს მოგიმზადებთ.

– არ მინდა, მარიკა, არ შეწუხდე. ყავა მომიდუღე მხოლოდ, შენ რომ იცი, ისეთი – მაგარი და დარიჩინით.

– ვახშამს რა ვუყო? – შეყოყმანდა ქალი, – დაველოდები ლენუკას და ერთად ვივახშმებთ; ალბათ, ისიც მალე მოვა.

– ქალბატონმა ელენემ დარეკა და მითხრა, რომ ამაღამ კოჯორში რჩება. მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა.

– რა?! – კოტეს შეაჟრჟოლა, როცა წარმოიდგინა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, საყვარელი აგარაკზე რომ წაჰყოლოდა. მღელვარებისგან ერთიანად გაწითლდა და წამოხტა.

– აღარ მინდა ყავა, მეც კოჯორში ავალ. აღარ მომამზადო ვახშამი, მეც იქ დავრჩები...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: ბინაში მაქვს „ფრთიანი“ პალმა. როგორ მოვუარო, რომ მცენარემ კარგად გაიხაროს?**

**პასუხი:** პალმის ეს სახეობა ნელა იზრდება, მაგრამ, თუ სათანადო პირობებს შეუქმნით, ძალიან ლამაზ მცენარეს მიიღებთ. ზამთარში ის ყველაზე ნათელ ადგილზე გადაიტანეთ. სიჯანსაღისთვის მას კარგი განათება და კაშკაშა სინათლე სჭირდება, ოღონდ, არა მწველი მზე. სწრაფად იზრდება 22-23 გრადუსზე, ზამთარში კი მინიმალური ტემპერატურა 10 გრადუსია. აქტიური ზრდის პერიოდში მიწა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს. ზამთარში, როცა ტემპერატურა და სინათლე ნაკლებია, მიწას შეშრობა აცადეთ და მცენარე შედარებით იშვიათად მორწყეთ. იმისათვის, რომ პალმამ სასურველი ფორმა არ დაკარგოს, ხშირი განიავება და ოდნავ ტენიანი ჰაერი სჭირდება. ზრდის პერიოდში რეგულარულად მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. ნუ ეცდებით, რომ ამ მცენარემ იყვავილოს, რადგან „ფრთიანი“ პალმა ოთახის პირობებში ვერც ყვავილობს და ვერც ნაყოფს ისხამს.

**კითხვა: როგორ ყვავილობს გრაფტოპეტალუმი?**

**პასუხი:** ეს მომცრო, მკვრივი და ხორციანი მცენარე ყვავილობისას თავის ჩვეულებრივ ზომას რამდენჯერმე აჭარბებს. სქელი ფოთლები მკვრივ, ბორცვისებურ როზეტს ქმნის, რომელიც იშვიათად იზრდება რამდენიმე სანტიმეტრზე მაღალი, სიგანე კი ოდნავ მეტი აქვს; სამაგიეროდ, დიდი, კაშკაშა და თვალისმომჭრელი ყვავილები ამშვენებს. თუ სინათლე არ აკლია, იოლად ისხამს მუქ ვარდისფერ ყვავილებს. ყვავილობა რამდენიმე კვირას გრძელდება. როცა არ ყვავის, მცენარე უსახურია, ამიტომ, გირჩევთ, ფართო, დაბალ ქოთანში რამდენიმე ძირი ჩარგოთ, რომ აყვავებამდეც ლამაზი იყოს. მთელი წლის განმავლობაში მზის შუქი არ მოაკლოთ. ჰყოფნის ოთახის ტემპერატურა. გაზაფხულიდან ადრიან შემოდგომამდე, აქტიური ზრდის პერიოდში, რეგულარულად მორწყეთ, ოღონდ, მორწყვიდან მორწყვამდე ნიადაგი ცოტათი გამოაშრეთ. ეცადეთ, ზედმეტი წყალი არ მოგივიდეთ.

**კითხვა: რა სიხშირით სჭირდება მორწყვა ამარილისს?**

**პასუხი:** ამ მცენარის მშრალი ბოლქვები ქოთანში გამოაზამთრეთ. როცა ფესვების განვითარება დაიწყება, მცენარის მორწყვას შეუდექით. ზრდის პერიოდში მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს. ზაფხულის მიწურულს მორწყვა შეწყვიტეთ, ბოლქვი გააშრეთ და ფოთლები გაახმეთ. შემოდგომაზე მორწყვა განაახლეთ, რომ მცენარემ ზრდა დაიწყოს.

**კითხვა: როგორ მოვუარო იუსტიციას?**

**პასუხი:** უხვი ყვავილობისთვის მცენარე კაშკაშა სინათლეზე დადგით, ოღონდ, შუადღის მზეს მოარიდეთ. მისთვის მშვენიერია ოთახის ნორმალური ტემპერატურა, 18-24 გრადუსი, ზამთრის მინიმალური ტემპერატურა კი 15 გრადუსია. ზამთარში მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო აქტიური ზრდის პერიოდში უფრო უხვად მორწყეთ. ნიადაგი შუა გაზაფხულიდან ზაფხულის მიწურულამდე ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. თუ ახლა გასხლავთ მცენარეს, მოკლე და გაბუჩქული გაიზრდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, 1 მეტრზე მეტსაც მიაღწიოს და საყრდენი დასჭირდეს. გირჩევთ, იუსტიცია დასავლეთის ფანჯარაზე დადგათ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, იმ შემთხვევაში, როცა სააღსრულებო ფურცელი გაცემულია გადაწყვეტილებაში მითითებული კრედიტორის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ, შეიძლება თუ არა, ეს გარემოება გახდეს გადაწყვეტილების აღსრულების შემაფერხებელი გარემოება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სააღსრულებო ფურცელი შეიძლება, გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია, ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა, უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

**კითხვა: დავკარგე გაცემული სააღსრულებო ფურცელი, გთხოვთ, მაცნობოთ, დარჩება თუ არა სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში, გადაწყვეტილება აღუსრულებელი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში, ორგანოს, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, შეუძლია, გასცეს დუბლიკატი.

**კითხვა: ჩემს ბიზნესპარტნიორს აღებული აქვს ერთ-ერთი ობიექტით სარგებლობის ლიცენზია, რომელზედაც მპირდება საქმიანობის განხორციელებას. გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს, ზოგადად, სარგებლობის ლიცენზია და რა უფლებები გააჩნია სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სარგებლობის ლიცენზია არის ლიცენზიის სახეობა, რომლითაც პირს ენიჭება კანონით განსაზღვრული სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის უფლება. სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით და უკავშირდება ობიექტს. ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, დაყოს სარგებლობის ლიცენზია, ანდა მთლიანად ან ნაწილი, გადასცეს სხვა პირს, მათ შორის მემკვიდრეობით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს გენერალური ლიცენზია და რა უფლებები აქვს ამგვარი ლიცენზიის მფლობელს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ გენერალური ლიცენზია გულისხმობს უფლებას, როცა პირს შეუძლია, ერთიანი ზოგადი ლიცენზიის საფუძველზე, მსგავსი ტიპის საქმიანობები განახორციელოს და ვალდებული არ არის, ცალცალკე მოიპოვოს თითოეული საქმიანობის ლიცენზია.

# აზიანებს თუ არა ძრავას ღვედის გაწყვეტა მთლიანად ძრავას

*კბილანური ღვედი ის ნაწილია ავტომობილში, რომლის გამოცვლასაც მძღოლები ყოველთვის აგვიანებენ და თან ყველაზე მეტად შიშობენ, რომ მისმა მწყობრიდან გამოსვლამ, შეიძლება, ძრავაც კი დააზიანოს. რა სიხშირით სჭირდება ძრავას ღვედს გამოცვლა, ამაზე პროფესიონალი მრბოლელი, **მევლუდ მელაძე** ისაუბრებს:* ავტომობილისთვის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

დეტალია ძრავა, რომლის მოძრაობაში მოყვანაც მრავალი სხვადასხვა ნაწილის მუშაობაზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი ასეთია კბილანურ გადაცემათა ღვედი. კბილანური ღვედები იდეალურად გამოიყენება. ძირითადად, საუკეთესო კბილანურ ღვედებს ამზადებს ფირმა „ბოში" და საშუალოდ, კარგია „დაიკო". მათი წარმოების კბილანური ღვედები გამოირჩევა გამძლეობითა და მდგრადობით, სხვადასხვა დატვირთვისა და მაღალი სიჩქარით ბრუნვის დროს. კბილანური ღვედის ხარისხსა და მუშაობაზეა დამოკიდებული გამანაწილებელი ლილვის ბრუნვა, დროულად შემშვებ-გამომშვები სარქველების გახსნა-დახურვა, საწვავის ნაზავის შეფრქვევა და მისი გამოტუმბვა წვის კამერიდან, რომელიც უზრუნველყოფს ძრავას სწორ და კარგ მუშაობას. ავტომობილის ბევრმა მფლობელმა არ იცის, თუ რა სისტემით მუშაობს მისი ავტომობილის ძრავა: კბილანა – ღვედით, ჯაჭვით თუ კბილანური გადაცემით და რა უპირატესობა აქვს თითოეულ მათგანს.

**– როგორ მუშაობს კბილანა ღვედი?**

– ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, მუხლანა ლილვი პირდაპირი გადაცემით უკავშირდება გამანაწილებელ ლილვს და მოჰყავს ის ბრუნვაში. მაგრამ, აქ უკვე ძრავა თავისუფლდება იმ დეტალებისგან, რომლის მოვალეობაც მისი შეზეთვა და ხმაურის დახშობაა. ასევე, რომ არ მოხდეს მისი ჰერმეტულად დახურვა, შემზეთი სითხის გაჟონვა და მრავალი სხვა. თუ განვიხილავთ თითოეულ მათგანს, ვნახავთ, რამდენად ეფექტურია კბილანა ღვედის მოქმედება. კბილანური გადაცემისა და „ცეპით გადაცემის" შემთხვევებში, საჭიროა, მოხდეს კბილანების შეზეთვა და დამატებით, გარკვეული სამუშაოების შესრულება ხმაურის შესამცირებლად, ასევე, ისიც, რომ არ მოხდეს შესაზეთი მასის ზეთის გაჟონვა. ძველი მოდელის ძრავებში კი, აუცილებელია, ნაპერწკლის მიმწოდებელი მექანიზმის დარეგულირება. მისი მეშვეობით, შესაძლებელია, გამანაწილებელი ლილვის დახმარებით გახსნილ სარქველში შესული საწვავის ნაზავისთვის ზუსტად, თავის დროზე ნაპერწკლის მიწოდება და მისი აფეთქება. კბილანური ღვედით გადაცემის დროს კი, სულ სხვაგვარად ხდება. კარგი ხარისხის ღვედი მდგრადია და ფორმას ადვილად არ კარგავს, არ სჭირდება შეზეთვა და რაიმე, ხმაურის ჩამხშობი, დამატებითი დეტალები. ის იდეალურად მუშაობს მაღალ ბრუნვაზე, ასევე გამძლეა ტემპერატურის ცვლილებებისას. აქვს კარგი ელასტიკურობის უნარი, რომელიც ხელს უწყობს მის ხანგრძლივ მუშაობას.

**– რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ღვედმა კარგად იმუშაოს?**

– ზოგადად, ღვედი აუცილებლად უნდა შეიცვალოს ყოველ განვლილ 50 000-ს კილომეტრზე. როდესაც მას იძენთ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ აუცილებლად არა ხელზე, არამედ ლიცენზირებულ მაღაზიაში იყიდოთ, რომ თან ახლდეს საგარანტიო ფურცელი. 52 000-მდე კი იმუშავებს, მაგრამ შემდეგ, უკვე აუცილებლად უნდა გამოიცვალოს. რატომ? ამ დროს მას შესაძლოა, კბილებს შორის ღრმულები გაუჩნდეს. შეიძლება ის არ გაწყდეს, მაგრამ ეს ღრმულები გამოიწვევს კბილის ამოკბეჩას. ბრუნვის დროს კი ეს ადგილი გამანაწილებელ ლილვთან მიდის და შეიძლება, ლილვზე გადახტეს, აღარ დაატრიალოს. ამ დროს მანქანა ჩაქრება.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
**მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
* *დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
* *ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
* *ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
* *მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**– ღვედის გაწყვეტა იმწამსვე აჩერებს მანქანას?**

– რა თქმა უნდა. თუ არ გაჩერდა და რაღაც პერიოდი ასეთი ღვედით იარა ავტომობილმა, ეს გამოიწვევს სარქველის ღეროს გაღუნვას. ამან კი, თავისთავად, შესაძლოა, ცილინდრიც დააზიანოს. ანუ, ეს იმ შემთხვევაში, თუ მომენტალურად არ მოხდება მისი გამორთვა.

**– რამდენადაც ვიცი, შესაძლოა, ერთი მოდელის ღვედი სხვა მოდელის ძრავას მოერგოს.**

– კი ასეა, რადგან მთავარი არა მოდელი, არამედ ის არის, თუ რა ფირმის ძრავა აქვს. ყველა ღვედს თავისი აღმნიშვნელი ნომერი და ზომა აქვს. მაგალითად, „შკოდას" ზოგიერთ მოდელში „ფოლკსვაგენის" ძრავაა და მისი ღვედი სჭირდება.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

***კითხვა:* მაინტერესებს ორსულობის დროს, თუ ძაღლი ფილტვების ანთებით გახდა ავად, რამდენად უქმნის ეს პრობლემას მის ლეკვებს?**

***პასუხი:*** პრობლემას ნამდვილად უქმნის. ფილტვების ანთებისას შეიძლება, მან საერთოდ ველარ იმშობიაროს, მუცელში მყოფი ლეკვები ორგანიზმმა გაიწოვოს და ეს გამოსაჯანმრთელებლად გამოიყენოს. შეიძლება, სუსტი ლეკვები დაბადოს, რომელთა გაზრდა ძნელი იქნება. ასევე, შესაძლებელია, ფილტვების ანთების შემთხვევაში, მშობიარე ძაღლმა მკვდარი ლეკვები დაბადოს. ორსულობის დროს ნებისმიერი პათოლოგია შეიძლება, განვითარდეს, იმისდა მიხედვით, თუ რა სირთულის ფილტვების ანთება აქვს და რა პერიოდში მოხდა ჩარევა. ფილტვების ანთებისგან ძაღლის გამოჯანმრთელება ექიმის ჩარევის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. როგორც წესი, ეს სიკვდილით მთავრდება. ამიტომ, პატრონი ყოველთვის ყურადღებით უნდა იყოს.

***კითხვა:* ჩემი ძაღლი ხშირად გარეთ ყოფნისას, წყალს გუბიდან სვამს. საზიანოა თუ ძაღლის ორგანიზმი იტანს ამას?**

***პასუხი:*** ლეკვის შეძენისთანავე, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ ძაღლს საჭმელი და სასმელი წყალი გამოსაჩენ ადგილას დაუდგათ. წყალი დღის განმავლობაში რამდენჯერმე უნდა ცვალოთ. ძაღლს აუცილებლად, ლეკვობიდანვე უნდა აუკრძალოთ წლის გუბურებიდან და წყალსაცავებიდან დალევა. ეს ყველაფერი, უპირველესად, იმიტომ უნდა გააკეთოთ, რომ დაბინძურებულმა წყალმა, ისევე როგორც საკვებმა, თქვენი ძაღლის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაძლოა, კატასტროფულ შედეგამდე მიიყვანოს.

***კითხვა:* რას უნდა მოვარიდოთ ძაღლი ზაფხულში?**

***პასუხი:*** მოგეხსენებათ, რომ ზაფხული წლის ყველაზე ცხელი პერიოდია და როგორც პატრონებს, ასევე მათ ოთხფეხა მეგობრებს აწუხებთ სიცხე. ამ პერიოდისათვის ჩვენი ცხოველები განსაკუთრებით უნდა მოვარიდოთ სიცხეს და მზის პირდაპირ სხივებს. ძაღლებში თერმორეგულაცია განსხვავებულად არის მოწყობილი. ადამიანისგან განსხვავებით, ძაღლის ორგანიზმში წარმოებული ჭარბი სითბოს გაცემა ხდება ამონასუნთქ ჰაერთან ერთად. ამიტომ, სიცხის ატანა განსაკუთრებით უჭირს გრძელ ბეწვიან ცხოველებს. მზის პირდაპირი სხივების მოქმედებით შეიძლება, განვითარდეს მზის დარტყმა. ამიტომ ზაფხულის პერიოდში განსაკუთრებით უნდა მოვარიდოთ ცხოველები სიცხეს. ზაფხულში ხშირია შემთხვევები, მინდორში სეირნობისას თქვენი ძაღლი ქვეწარმავალს გადააწყდეს. შხამიანი გველის ნაკბენი კი საფრთხეს უქმნის ცხოველის სიცოცხლეს. ამიტომ, უმჯობესია, თუ ამ პერიოდში ძაღლის ისეთ ადგილებში სეირნობას მოერიდებით, სადაც შხამიანი გველებია გავრცელებული. თუ მაინც მოხდა გაუთვალისწინებელი მსგავსი შემთხვევა, მაშინ ცხოველი სასწრაფოდ უნდა მიიყვანოთ უახლოეს ვეტერინარულ დაწესებულებაში.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# კაცობრიობის გადასარჩენად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №29(708)

– როგორ?! – გულწრფელად გამიკვირდა, – თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეს ერთი კაცი, თუ, როგორც თქვენ უწოდეთ – არსება, ამ ყველა სახელმწიფოს უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურებმა ვერ მოიხელთეს?!. დაუჯერებელია... გამოცდილმა აგენტებმა თუ ვერაფერი გააწყვეს, მე, რომელსაც ამ საქმეში არანაირი გამოცდილება არ მაქვს, რა უნდა შევძლო?!

– გიკვირთ, არა? – ეს ბუნებრივია, – კვლავ გამისწორა მზერა და ის ძალიან გულწრფელი მეჩვენა, – თუმცა, თხრობა არ დამიმთავრებია... ყურადღებით მომისმინეთ! მოკლედ, ის არსება არის ყველა სექტის დამფუძნებლის გამომზრდელი, მათი იდეოლოგიური სულისჩამდგმელი და მამამთავარი. მისი ადგილსამყოფელი მხოლოდ ამ სექტების მეთაურებმა იციან. ჩვენ კი მხოლოდ ვვარაუდობთ, რომ ეს ადგილი სადღაც შორეულ აღმოსავლეთში უნდა იყოს, ან მცირე აზიაში. ჩვენი გაერთიანება სულ ხუთი წლის წინ შეიქმნა ამ მოვლენასთან საბრძოლველად... მაგრამ, ყველა მცდელობა, რომელიც განვახორციელეთ, სრული კრახით დასრულდა. აქედან გამომდინარე, დავადგინეთ, რომ სექტების მამამთავარი, ანუ ქურუმი, ასე ვუწოდებთ დაშიფრულად მას, ფლობს გარკვეულ უნარს, რომლის მეშვეობითაც შეუძლია, მთლიანად შეცვალოს ადამიანის ფსიქიკა, მისი მოქმედების მოდელი და ნებისმიერი მათგანი მოიქციოს აბსოლუტური გავლენის ქვეშ. ეს შესაძლოა, იყოს ან ჰიპნოზის, ან რაიმე, ჩვენთვის უცნობი ნივთიერების ზემოქმედების შედეგი...

სისხლი ძარღვებში გამეყინა. ყველაფერი ცხადი გახდა ჩემთვის და საქმის არსი მთელი სიგრძე-სიგანით თვალწინ დამიდგა... აი, თურმე, რატომ ამირჩიეს მე! მე ხომ არც ჰიპნოზს ვექვემდებარებოდი და არც ქიმიური ნივთიერებები ახდენს გავლენას ჩემს ორგანიზმზე. დავიძაბე. მეგონა, ქვესკნელში უნდა ჩავსულიყავი თვით მთავარ ეშმასთან შესახვედრად... ამიტომ, ჩემდაუნებურად წამომცდა:

– ვინ ხართ და რა გინდათ ჩემგან?!



მაგრამ სათვალიან მამაკაცს სანდომიანი ღიმილით გაეხსნა ბაგე და თბილად მითხრა:

– ნუ შეშინდებით, თქვენი ბედი თქვენს ხელთაა... არავინ არაფერს გაძალებთ.

„ნუ შეშინდებითო?" – პირდაპირ ჩემს თავმოყვარეობაზე მიიტანა იერიში. ამან მართლაც გადამწყვეტი როლი ითამაშა და, რაც შემეძლო, მშვიდად ვუთხარი:

– არაფრის მეშინია! განაგრძეთ, თუ შეიძლება.

მამაკაცმა უჯრა გამოსწია, ჰავანური სიგარების ყუთი ამოიღო, გახსნა და მაგიდაზე ჩემკენ მოაცურა.

– ეწევით?

– დიახ, მაგრამ, ამ კლინიკების გადამკიდეს, თვეზე მეტია, არ მომიწევია.

სათვალიანმა ოქროსფერი საკვნეტელა ამოიღო, სიგარას თავი ოსტატურად წააჭრა და სანთებელით მოუკიდა. ინებეთ, – მერე მე მომაწოდა ორივე ნივთი.

სამი წლის წინათ ერთი ლიტველი მოქალაქე გაუჩინარდა, – განაგრძო თხრობა, – იანის დრიზულისი. კარგი, კანონმორჩილი და შრომისმოყვარე ადამიანი იყო. შემთხვევით აღმოვაჩინეთ, რომ ერთი წლის წინ რუსეთში გამოჩენილი „სახალხო ტაძრის" დამფუძნებელი ვლად რიმსკი და ის გაუჩინარებული ლიტველი მოქალაქე – იანის დრიზულისი ერთი და იგივე პიროვნება გახლავთ, ოღონდ – შეცვლილი იმიჯითა და გვარ-სახელით. საკითხავია, სად იყო ის მთელი ორი წლის განმავლობაში... ან როგორ მოახერხა ერთმა ჩვეულებრივმა ლიტველმა მოქალაქემ, რომელიც მანამდე საკმაოდ ცუდად საუბრობდა რუსულად და არც ისე დიდი ჭკუითა და ნიჭიერებით გამოირჩეოდა, ერთ წელიწადში დაახლოებით ნახევარ მილიონამდე ადამიანის შემოკრება და „სახალხო ტაძრის" სახელით ცნობილ სექტაში მათი გაერთიანება?!

– რა გასაკვირია, რომ მრავალმილიონიან რუსეთში ნახევარ მილიონამდე ბრიყვი იყოს?

სიგარის ბოლმა ყელი ამიწვა და ოდნავ ჩავახველე, – ამ საკითხის მოგვარება მარტივად შეიძლებოდა: ამ აფერისტის დაკავებით და მიმდევრების თვალწინ მისი კომპრომეტირებით.

– საქმე ასე მარტივად არ არის, – გაეღიმა სათვალიანს, რომლის არც სახელი ვიცოდი, არც გვარი და არც საქმიანობა, მაგრამ, რატომღაც, ის ჩემში ნდობას აღძრავდა, თუმცა, ჩემი ჭკუის პრაგმატული ნაწილი ნებას არ მაძლევდა, ბოლომდე მივნდობოდი. პაუზის შემდეგ კვლავ განაგრძო: – ეს რომ მარტო რუსეთს ეხებოდეს, კიდევ ჰო... მაგრამ, ეს ეპიდემია პლანეტის ზურგს მოედო. ამას წინათ ჩინეთში იყო მასობრივი სუიციდის რამდენიმე შემთხვევა – 10-მდე ადამიანმა თავი დაიწვა. ამ ამბიდან მოკლე ხანში კი 15-მდე ქალი და მამაკაცი რაღაც ნივთიერებით მოიწამლნენ და გარდაცვლილები იპოვეს. მათი გვამების გამოკვლევით დადგინდა, რომ სიკვდილს მშვიდად და უშფოთველად შეხვდნენ. როგორც აღმოჩნდა, ისინი ერთი და იმავე სექტის წევრები იყვნენ. აქ სექტის ჩინეთის მთავრობას ძალიან ეშინია, რადგან ძალიან დიდი და მრავალრიცხოვანი ძალაა, რომელიც მის დამფუძნებელს – იან ჩი დუნს უსიტყვოდ ემორჩილება. ხსენებული პიროვნება, წარმოშობით კორეელი, სეულის მოქალაქე, აგრეთვე ორი წლით იყო გაუჩინარებული ისე, რომ მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. როცა გამოჩნდა, რა თქმა უნდა – სხვა სახელითა და გვარით, იმდენი ადამიანის გადაბირება შეძლო, რომ ჩინეთის კომპარტიას რიცხობრივად ბევრად აღემატება... წარმოიდგინეთ, სამ წელიწადში! იმ არსებას, ვინც ასეთი იდეოლოგები გამოჰყავს, სამყაროზე გავლენის მოპოვება აქვს გადაწყვეტილი.

– კი მაგრამ, მხრები ავიჩეჩე და თანამოსაუბრეს გაკვირვებით მივაჩერდი, – მე რა უნდა შევძლო, ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ?!

– თქვენ თუ შეიძლება, ასე ითქვას, დიდ ნიჭს ფლობთ: ჩვენ გამოვცადეთ ყველა ნივთიერება, რომელსაც კი მეცნიერება დღემდე იცნობს, მაგრამ თქვენს ორგანიზმსა და ფსიქიკაზე ვერავითარი გავლენა ვერ მოვახდინეთ. ასე რომ, ახლა მთელი იმედი თქვენზე გვაქვს დამყარებული...

– რა უნდა გავაკეთო?

– ამას კი, თუ თანამშრომლობაზე თანახმა იქნებით, ნაწილობრივი ინსტრუქციების სახით, თანდათანობით მოგაწვდით.

– უარი რომ ვთქვა? – დავინტერესდი და რატომღაც გულში გამეცინა, რადგან უარის თქმა არც მიფიქრია... მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება რაღაც უჩვეულო, ფანტასტიკურ თავგადასავალზე ვოცნებობდი და არასოდეს მესმოდა იმ კაცების, ვინც ცხოვრების ექსტრემალურ შეცვლას შიშით შეჰყურებს.

– უარი რომ თქვათ... – სათვალიანი ჩაფიქრდა, – ჩვენი მეგობრები (თვალით იმ ორი პერსონისკენ მიმანიშნა) ჩაგსვამენ თვითმფრინავში და სწორედ იმ გზით გაგისტუმრებენ, რომლითაც აქ ჩამობრძანდით. ეს იქნება და ეს!

– თუ დაგთანხმდით?

– მაშინ ურთიერთნდობის საფუძველზე, ერთ-ერთი ჩვენგანი გახდებით და გაივლით ერთწლიან უმძიმეს წვრთნას მხოლოდ ჩვენთვის ცნობილ ადგილებში. თუმცა, ვადა მცირეა, მაგრამ დრო არ ითმენს... ერთი წლის მერე კი გარკვეული მისია დაგეკისრებათ, რომლის დამთავრების შემდეგ, ჩიტივით თავისუფალი იქნებით და, როგორც ალგითქვით – ცხოვრების ბოლომდე უზრუნველყოფილი.

– მერე, რომ გადავიფიქრო? – მაინც არ ვეშვებოდი.

სათვალიანმა ოდნავ მოჭუტა თვალები, მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო, გადმოიხარა და მკაცრი სახით მითხრა:

– ეს ორივესთვის ცუდი იქნება – ჩვენ წევრს დავკარგავთ, თქვენ – თავისუფლებას მანამ, სანამ ქურუმს არ გავანეიტრალებთ!

მივხვდი, სახუმაროდ მართლა არ მქონდა საქმე. ხანში შესული მამაკაცი კი განაგ-

რძობდა:

– უნდა ხვდებოდეთ, რომ ძალიან სერიოზულ საქმეში ყოფთ თავს. აქ მხოლოდ ერთი ქვეყნის ინტერესზე როდია საუბარი... გლობალური მასშტაბის პრობლემაა, ამიტომ ჯობია, ახლავე გაერკვიეთ და პასუხი დაუყოვნებლივ გვითხარით, რადგან თქვენ უკვე იცით ყველაფერი, რაც საჭიროა.

– გასაგებია! – ჩავილაპარაკე და ფანჯრის მიღმა მივმართე მზერა, საიდანაც მწვანე ქალაქის შენობების სახურავები მოჩანდა.

ჩემ წინ გზა ორად იტოტებოდა – ერთი მხრივ, უინტერესო, უსახური, სიმშვიდის ბილიკი მიიკლაკნებოდა; მეორე მხრივ კი – საინტერესო, თრილერის მსგავსი ცხოვრება, რომელიც მოკლებული არ იყო ხიფათს და აზარტს... ეს კი მგლისთვის დამახასიათებელი ყოფაა... მეც მამაკაცი ვიყავი, გაბედული, თავგადასავლების მაძიებელი, რისკისმოყვარული და ამიტომ, მეორე გზა ავირჩიე. პასუხი დინჯად, აუღელვებლად მოვახსენე:

– თანახმა ვარ!

შემელოტებული მამაკაცი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო, სათვალე ხელით გაისწორა და კმაყოფილებით ჩაილაპარაკა:

– ძალიან კარგი! სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ. ახლა, უპირველესად, შინ უნდა დარეკოთ და ოჯახის წევრებს უთხრათ, რომ ევროპაში რჩებით სამუშაოდ და პერიოდულად აუცილებლად შეეხმიანებით, – სათვალიანს ღიმი გაუკრთა, – ეს არავის გააკვირვებს, რადგან აქ ჩამოსული, უკან თითქმის აღარავინ ბრუნდება. ხვალ დილიდან კონტრაქტს მოვაწერთ ხელს, რომლის თანახმადაც გარკვეული ვალდებულებები დაგვეკისრება ორივე მხარეს. კონტრაქტი იქ დარჩება, „ფესიქიუთის“, ანუ „დევნის“ ჯგუფის შტაბ-ბინაში. მე კი ამ ჯგუფის რუსული ხაზის ხელმძღვანელი კარლ შეფერი გახლავართ! – ამ სიტყვებით მამაკაცი ფეხზე წამოდგა. მეც, რა თქმა უნდა, მას მივბაძე. მან მისი ჯგუფის სახელწოდებაც მითხრა და საკუთარი სახელი და გვარიც. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უკვე სრულიად მენდობოდა. ამიტომ, როცა კარლ შეფერის გამოწვდილ ხელს მარჯვენა შევაგებე, მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრება კარდინალურად შეიცვალა და მეც ისევე გადავეშვი თავით მასში, როგორც ბავშვობაში – ჩქარ და მღვრიე მდინარეში, როცა ბიჭები საბანაოდ ვიპარებოდით ხოლმე.

***

აეროპორტიდან 45-წუთიანი მგზავრობის შემდეგ მიხაილ კირსანოვმა, „ნისანი“ აკადემიკოს სახაროვის ქუჩაზე, მრავალსართულიანი შენობის წინ გააჩერა. მოვედით, – მითხრა და პირველი გადავიდა მანქანიდან. მეც გადავყევი. მანქანა დისტანციური მართვის მოწყობილობის ღილაკით ჩაკეტა და გასაღები საკმაოდ შორიდან გადმომიგდო. გარეული კატასავით მოქნილი და სწრაფი ხართ, – ჩაიღიმა მიხაილმა და კორპუსის სადარბაზოში შემიძღვა. თუმცა, კატასთან შედარება არ მეამა, რადგან კატებს ბავშვობიდან ვერ ვიტანდი, მაგრამ არაფერი მითქვამს, ისე შევყევი ლიფტში, სადაც კარგად შევათვალიერე ჩემი დამხვდური: ასაკით ასე, 37-40 წლის იქნებოდა; საკმაოდ შთამბეჭდავი გარეგნობა ჰქონდა, წარმოსადეგი, ჩემზე ოდნავ მაღალი, ცისფერი თვალებითა და მუქი წაბლისფერი, შეჭაღარავებული თმით; პროპორციული ნაკვთები, გაშლილი მხარ-ბეჭი, ჩამოქნილი თითები და ლარივით სწორი ფეხები – ყველაფერი მის კეთილშობილურ წარმოშობაზე მეტყველებდა. ლონდონში, სადაც ბოლო თვე გავატარეთ, მასზე ხუმრობანარევი ინფორმაციაც მომაწოდეს – მიხაილ კირსანოვი რაღაც იატაკქვეშა კლუბის წევრი ყოფილა, რომელშიც მხოლოდ თავადური წარმოშობის მამაკაცები ერთიანდებიან. წარმოვიდგინე, რომ ეს ერთგვარი არისტოკრატიული ერთობა თუ კლუბი იყო, სადაც ხელოვნებასა და პოლიტიკაზე დარბაისლურად საუბრობდნენ. ძველი თავადებივით დახვეწილად ვახშმობდნენ, თანაც ძველი დროის ხათრით – სანთლების შუქზე. ხანაც ნამდვილი თავადური ნადირობითაც იქცევდნენ თავს. მოკლედ, ჩემ წინ გარდასულ საუკუნეთა ნამდვილი გადმონაშთი, კეთილშობილი რაინდი იდგა, რომელთა მსგავსს ხშირად „შეხვდებოდით“ ორი საუკუნის წინანდელ სასიყვარულო რომანებში.

მოკლედ, მიხაილ კირსანოვი მომეწონა. ალბათ, იმასაც მოვეწონე, რადგან, როცა ამათვალ-ჩამათვალიერა, კმაყოფილი ღიმილი აუთამაშდა სუფთად გაპარსულ სახეზე.

– აი, თქვენი თავშესაფარიც, – მე-7 სართულზე შეაღო რკინის, ყავისფრად შეღებილი კარი და საკმაოდ კომფორტულ ბინაში შევაბიჯეთ, – აქ სამი ოთახია: მისაღები და ორი საძინებელი, პლუს – დიდი სამზარეულო. ყველაფერს იპოვით, რაც დაგჭირდებათ.

ფანჯარასთან მივედი და მოსკოვის სანახებს გადავავლე თვალი – მოშორებით კრემლის კოშკებსა და ოქროსფერ გუმბათებს ჩამავალი მზის სხივები მოწითალო ალს უკიდებდა. მიხაილმა ბარის გასაღები გადაატრიალა და კონიაკის ბოთლს წაავლო ხელი, მერე ვიტრინის შუშა გასწია და ორი მუცელგამობერილი ჭიქა გამოიღო.

– ახლა მე გაგიმასპინძლდები, ალექსანდრ... მერე თვითონ იქნებით ჩემი მასპინძელი, როცა აქაურობასთან „ადაპტირდებით“. სხვათა შორის, ბარში, „ნაპოლეონის“ გარდა, შოტლანდიური ვისკიც არის, ფრანგული შამპანურიც და რუსული სახელგანთქმული არაყიც. ამაზე მე თვითონ ვიზრუნე თუმცა, ჩვენთვის ბევრი სმა მიზანშეწონილი არ არის, – მიხაილმა ბოთლი გახსნა, კონიაკით ჭიქების ერთი მესამედი შეავსო, მერე ჭიქის ფეხი ორ თითს შუა, ხელისგულში მოიქცია, მეორე კი მე გამომიწოდა.

– ჩემთვის მსგავსი ინსტრუქცია არ მოუციათ, – გამეღიმა და არომატული სასმელი მოვსვი.

– ეს იმიტომ, რომ როგორც ვიცი, სიმთვრალის შეგრძნება თქვენთვის უცხოა.

ყური მოვიყრუე და მეორე ყლუპი მოვსვი.

– დღეს დაისვენებთ... ხვალ ნასტია კოვალენკო გეწვევათ; „კოსმოპოისკის“ თანამშრომელია. ეს ორგანიზაცია ამ საქმეში „ფესიქიუთთან“ თანამშრომლობს. თავისი ინტერესები აქვთ. მოკლედ, მისი ინსტრუქციები და დახმარება დაგჭირდებათ.

– „კოსმოპოისკი“?! – გავიკვირვე, – პირველად მესმის.

– დიახ... ისინი ლურჯკომბინეზონიანი ხალხია, კოსმოსურ მოვლენებს იკვლევენ.

გულიანად გამეცინა.

– სად – სექტები და სად – უცხოპლანეტელები?!

– ნუ იცინით, – სერიოზული სახე გაუხდა კირსანოვს, – მათ ქურუმი აინტერესებთ, რადგან ამ სექტების მამამთავრის არადედამიწურ წარმოშობაზე ეჭვობენ.

– მერე თქვენ ეს სისულელე გჯერათ? – გამეცინა კვლავ და, როცა მიხაილის სერიოზულ გამოხედვას წავაწყდი, სიცილის გრიმასა სწრაფადვე ავილაგე სახიდან და დავაყოლე: – თუმცა, როგორც მასწავლიდნენ, „არაფერი გაიკვირვო!“

– ჰოდა, ასეც მოიქეცი!

სხვა რომ ყოფილიყო, იქნებ უხეშად მეთქვა კიდეც, თქვენგან ჭკუის სწავლება არ მჭირდება-მეთქი, მაგრამ მიხაილ კირსანოვის კეთილშობილურ პერსონას ვერ შევკადრე. ოღონდ ეგ იყო, უსიამოვნოდ შემეჭმუხნა შუბლი. კირსანოვი მიმიხვდა:

– კარგი, ნუ მიწყენთ! ეს, უბრალოდ, მეგობრული რეპლიკა იყო.

– ესე იგი, უკვე მეგობრები ვართ.

– რა თქმა უნდა, მე უკვე მეგობრად გთვლი, – შენობით ფორმაზე გადავიდა მიხაილი. მეც მივბაძე:

– ასე იყოს, მიხაილ!

კირსანოვი ერთი საათის შემდეგ წავიდა... მე კი ტელევიზორის პულტი მოვიმარჯვე, დივანზე ფეხმორთხმით დავჯექი და ფიქრმა წამიღო:

ერთი წელი ცოტა დრო არ იყო, უნდა ითქვას, რომ ეს წელიწადი ყველაზე ხანგრძლივად მომეჩვენა ჩემი განვლილი ცხოვრების ეტაპებს შორის. ჯერ საფრანგეთის სამხრეთ პროვინციებში გავდიოდი 6-თვიან სპეცმომზადებას. მერე სკანდინავიური ცივი ქარების ქვეყანაში მიკრეს თავი. შვედეთის პატარა ქალაქ იუკასიერვისში, რომელიც პოლარული წრიდან 200 კილომეტრით არის დაშორებული და სადაც 6 თვის განმავლობაში უმკაცრესი თოვლიანი ზამთარი მძვინვარებს, საბრძოლო ხელოვნებას ვეუფლებოდი. სხვათა შორის, ტულუზაში ფარიკაობის გაკვეთილებიც ჩამიტარეს, ეს კი ყურადღების კონცენტრაციისა და მოწინააღმდეგის დარტყმების მყისიერი მოგერიების ჩვევების გამომუშავებისთვის ყველაზე კარგი მეთოდი ყოფილა. ყველა ეს ვარჯიში თუ სავარჯიშოები ინგლისურისა და რუსულის სრულყოფილი დაუფლების მიზნით – უკვე აუტანლად მეჩვენებოდა, მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც მომავალში მელოდა.

შვედეთის პატარა ქალაქ იუკასიერვისისგან ოდნავ მოშორებით, გასაიდუმლოებულ ბაზაში მწვრთნიდნენ. ზამთარი იყო და თოვლით გადათეთრებული არემარის მეტს ვერაფერს ვხედავდი. ბაზა, ერთგვარი სპორტკლუბი იყო, რომელიც თითქმის მიწისქვეშ მდებარეობდა, რადგან მიწის ზემოთ მხოლოდ ადმინისტრაციული ნაგებობა თუ კორპუსი მოჩანდა. დარბაზში, სადაც მავარჯიშებდნ-



ენ, ფანჯრის ნასახი არ იყო, მხოლოდ ხელოვნური, საკმაოდ მჭახე განათება მჭრიდა თვალს, რადგან ირგვლივ ყველაფერი თეთრად შეეღებათ. იქვე, პატარა ოთახში მეძინა და გარეთ იშვიათად გამოვდიოდი. იქ ჩასვლიდან 2 თვეც არ იყო გასული, რომ ღამის თუ დილის 5 საათზე გამაღვიძეს. წინა საღამოს ნავარჯიშევს მკვდარივით მეძინა, როცა ჩემი ინსტრუქტორი, ანუ მასტერი, როგორც მე ვეძახდი და ვიღაც 40-იოდე წლის კაცი დამადგნენ თავზე. ეს აისმენი კერკ ვერსტინგია! – წარმომიდგინა მასტერმა ნიკოლასმა ის უცნობი. ცოტა გამიკვირდა, რადგან სიტყვა „აისმენმა“, რომელიც სიტყვასიტყვით „ყინულის კაცს“ ნიშნავს, დამაბნია. ვერ მივხვდი, რა პროფესიისა და ვინ იყო კერკ ვერსტინგი. გარეთ ღამეში, მთვარის მკრთალ შუქზე, ბრილიანტის გაბნეული ნამსხვრევებივით ბრწყინავდა თოვლის კრისტალები. ყინვა, ალბათ, – 35 გრადუსი მაინც იქნებოდა. ყველაზე მეტად კი აისმენის შილიფმა ჩაცმულობამ გამაკვირდა, რომელსაც მხოლოდ ერთი სვიტერი, არცთუ სქელი ქსოვილის შარვალი და თხელლანჩიანი ფეხსაცმელი ეცვა. მანქანაში ჩავსხედით და დაახლოებით ნახევარ საათს ვიარეთ ცარიელ, მოყინულ გზაზე. ბოლოს განათებულ შენობას მივუახლოვდით. მომეჩვენა, რომ ნაგებობას ყველაფერი შუშის ჰქონდა და შიგნიდან ანათებდა. „ყინულის სასტუმრო!“ – გამიელვა თავში და უარესად დავიძაბე – აქ რატომ მომიყვანეს-მეთქი. კერკ ვერსტინგმა თამამად შეაბიჯა სასტუმროში და ჩვენც უკან მივყევით. ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავდა; სხვადასხვა ფერის განათებაზე ჯადოსნურად ელავდა ავეჯი, სახელდახელოდ გამოთლილი ქანდაკებები, იატაკი... ბროლისგან დამზადებულივით ლიცლიცებდა ჭაღები, ჭიქები, ბარები... ყველაფერი ზღაპრულად ლამაზი იყო. თუმცა, ცხვირ-პირი ამეწვა სიცივისგან. დიდი იმედი მქონდა, რომ ბართან მიმიყვანდნენ და ყინულის სქელი ჭიქიდან ერთ-ორ ყლუპ არომატულ სასმელს გადავყლურწავდი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა – აისმენმა და ნიკოლასმა ბარს გვერდი აუარეს და სასტუმროს სიღრმეში შეაბიჯეს. მეც მივყევი... ხელების ფშვნეტით. პატარ-პატარა ნომრებს ჩავუარეთ და ყინულის ფართო კარს მივადექით. აისმენმა კარი შეაღო და სახტად დავრჩი – ყინულისკედლებიან აუზში ცისფრად ლივლივებდა წყალი. კერკმა ის ერთადერთი სვიტერი გაიძრო, შარვალი და ფეხსაცმელიც მიაყოლა და, ჩემდა გასაკვირად, ყინულის აუზში ჩასრიალდა. წყალი მხრებამდე სწვდებოდა. ახოვანი კაცი იყო, დაკუნთული. ჩემმა ინსტრუქტორმა იქვე, კედლიდან ტემპერატურის მოგრძო საზომი ჩამოხსნა და წყალში ჩადო. საზომი რამდენიმე წუთში უკან ამოსწია და სახესთან მომიტანა – ნიშნული +1-სა და +2-ს შორის იდგა.

– რა ხდება, ნიკოლას? – ვკითხე.

– ალექს, – სერიოზული სახით შემომხედა ჩემმა ინსტრუქტორმა, რომელიც მაშინ გაუთავებელი ვარჯიშების გამო ძალიან მაღიზიანებდა, ახლა კი, მოსკოვში, მენატრებოდა კიდეც, – შენ ახლა უნიკალურ მოვლენას აკვირდები!

– რას გულისხმობ? – ვკითხე ოდნავ დაძაბულმა, – მე მინახავს ადამიანები, რომლებიც ყინულიან წყალში ცურავენ, ეგრეთ წოდებული, მორჟები.

ნიკოლასს ისე გაეღიმა, თითქოს პატარა ბიჭის გულუბრყვილო სიტყვები მოესმინოს. მერე ღიმილი სწრაფად ჩამოირეცხა სახიდან და მითხრა:

– +2 გრადუს ტემპერატურის წყალში გაუნძრევლად მყოფ ადამიანს ორგანიზმის გადაცივება ეწყება, სისხლძარღვები შევიწროებას იწყებს და 6 წუთში კვდება. მისტერ ვერსტინგს კი შეუძლია, 50 წუთიც გაძლოს... ასე რომ, ეს უნიკალური მოვლენაა და მინდა, ნახო.

– 50 წუთი აქ უნდა ვიდგე?! – სახეზე სასოწარკვეთა გამომეხატა, – მართალია, ჩემზე ანესთეზია და ჰიპნოზი არ მოქმედებს, მაგრამ, მერწმუნეთ, სიცივის შეგრძნება მაქვს, თანაც, მგონი მოჭარბებულადაც.

– დიახ, ეს თავიდან შევამჩნიე. ამიტომაც მივიჩნიე, საჭიროდ რომ საგანგებო წვრთნის სისტემაში ყინულის აბაზანებიც ჩამერთო.

– რაო?! – ცოტა დამაკლდა, რომ იქიდან არ გამოვიქეცი, მაგრამ მერე, ჩემი კონტრაქტი გამახსენდა ბერლინის შტაბ-ბინაში რომ ინახება და ფეხებით ადგილს დავეყინე.

– კი მაგრამ, რა საჭიროა ეს „პოლარული აბაზანები“, ციმბირში ხომ არ უნდა წავიდე?!

– შესაძლოა, ასეც მოგიწიოს... მაგრამ მანამდე, კერკს დააკვირდი, ის უკვე 15 წუთია, რაც გაუნძრევლად დგას.

აისმენს განცვიფრებით მივაშტერდი, მას სახეზე სრული სიმშვიდე ეხატა და ოდნავი ირონიაც შევამჩნიე. ალბათ, შემატყო, ყინულიან წყალს არაამქვეყნიური შიშით რომ ვუყურებდი. ოდნავ გავბრაზდი საკუთარ თავსა და კერკზეც, ამიტომ გადაჭრით წარმოვთქვი:

– თქვენი ნებაა, ნიკოლას! ბოლოს და ბოლოს, თუ ჩაძირული „ტიტანიკის“ წყალში მოტივტივე მგზავრივით გაყინვა დავიწყე, ხომ ამომათრევთ წყლიდან?! თუმცა, ფილტვების ანთება გარანტირებული მექნება!

– ნუ წუხხარ, – ნიკოლასმა პირველად გამიღიმა იმ დღეს, – ახლა მდინარე ტურნე-ელგას წყალში „ჭყუმპალაობა“ არ მოგიწევს... ჯერ ფსიქოლოგიური მომზადება უნდა გაიარო და დღეს პირველი ნაბიჯი გადავდგით მხოლოდ.

შვებით ამოვისუნთქავდი, სიცივისგან ფილტვები რომ არ მქონოდა დაჭიმული.

– იქნებ საკმარისია, – მივმართე კერკ ვერსტინგს, რომელიც ხმისამოუღებლად იდგა წყალში და რატომღაც მითიურ ტანტალოსს მაგონებდა. – თუმცა მგონია, რომ ჩვეულებრივი ადამიანი არ ხართ.

– კარგი, ამოდით, საკმარისია, – სთხოვა ჩემმა ინსტრუქტორმაც და აისმენი ნელნელა, თეთრი დათვივით ამობობღდა ყინულის იატაკზე, იქვე ჩამოკიდებული პირსახოცი ჩამოხსნა და ტანის დაზელა დაიწყო.

– არ გცივათ? – ვკითხე თანაგრძნობით.

კერკმა ნიკოლასს გადახედა და ორივეს ჩაეცინა.

– ასეთ დროს მხოლოდ სიცხეს ვგრძნობ... მცხელა, მეგობარო! შენც ამასვე იგრძნობ, როცა ყინულს მიეჩვევი. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და გასაკვირი ამაში არაფერია. მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და ეს უნარი დაბადებიდან არ დამყოლია.

– წარმოუდგენელია! – ჩავილაპარაკე გაოგნებულმა.

– ამაში წარმოუდგენელი არაფერია... სპეციალური ფსიქოლოგიური მომზადება და ვარჯიში – სულ ეს არის მთელი ჯადოქრობა.

– ადამიანს ყველაფერი შეუძლია, მთავარია, თვითონ ირწმუნოს ამის შესახებ, – სიტყვა ჩამოართვა ნიკოლასმა. აისმენმა კვლავ განაგრძო:

– როცა ყინულიან წყალში ეშვები, გრძნობ, როგორ ებრძვის ორგანიზმი გადაციებას; ტვინი განგაშის სიგნალების ნაცვლად, და ეს სპეციალური მომზადების შემდეგ მოდის, ორგანიზმის გადასარჩენად ამუშავდება და სხეული მისი კარნახით თვითონ იწყებს სითბოს გადანაწილებას მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელი ორგანოებისკენ.

– ნუთუ ეს ყველაფერი იმიტომ უნდა გავიარო, რომ ოდნავ მცივანა ვარ?! – ნირწამხდარმა გადავხედე ყინულის არტახებში მოქცეულ კამკამა წყალს და შევამჩნიე, რომ ფეხის თითებს ვეღარ ვგრძნობდი. ნიკოლასის ნაცვლად კერკ ვერსტინგმა გამცა პასუხი:

– თუ სამთვიანი წვრთნის შემდეგ იმას მიღწევ, რომ ყინულიან წყალში 15 წუთს მაინც გაძლო, ყველა ქრონიკულ, მათ შორის – გულის დაავადებას სამუდამოდ დაემშვიდობები; თავს ჯანსაღად და მხნედ იგრძნობ, სურდო და გრიპი არასდროს შეგაწუხებს და, რაც მთავარია, ყინულიანი წყლიდან ამოსვლის შემდეგ, ისეთ სითბოს იგრძნობ, თავი რიოს პლაჟზე გეგონება ისეთი სიხარული დაგეუფლება, რომლის მსგავსიც არასდროს განგიცდია – ეს გრძნობა კი საკუთარი თავის სრულ ფლობასა და სტიქიაზე გამარჯვების შეუდარებელ შეგრძნებას მოაქვს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# პატიოსანი თაღლითი

## ჩარლზ აინშტაინი

რაფერტი პოკერის სათამაშო მაგიდას მიუჯდა. ამ კაზინოშიც ისე იყო ყველაფერი, როგორც სხვა დანარჩენში. ფეშენებელური და მდიდრული სათამაშო დაწესებულება ასევე, სუპერფეშენებელური ოტელის პირველ სართულზე იყო მოწყობილი. ლას-ვეგასში კაზინო ფულის შემოტანის მთავარ წყაროდ იყო მიჩნეული. აქ ყველანაირ მოთამაშეს ნახავდით. კაზინოს პერსონალი განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა პოკერის მოთამაშეებს – ეს კატეგორია რისკის მაღალ ჯგუფს განეკუთვნებოდა.

რაფერტმა ბოლო ორმოცი დოლარი დადო და კარტი გაშალა. ოცი ქულა ჰქონდა, ანუ, მოგების საკმაოდ მაღალი შანსი. მაგრამ კრუპიემ კარტი გაშალა და... რაფერტიმ ამოიოხრა, კრუპიემ ფიშკები თავისკენ მიიხვეტა.

– ახალი შეკვრა მჭირდება. კარტის, რა თქმა უნდა.

– რა ხდება?! ეს შეკვრა ათი წუთის წინ გავხსენით.

– მე ვთქვი, რომ კარტის ახალი შეკვრა მჭირდება, და, კიდევ ახალი კრუპიეც, – კიდევ უფრო ხმამაღლა წარმოთქვა რაფერტმა. კრუპიემ შეწუხებულმა მიმოიხედა. გვერდითა მაგიდიდან რამდენიმე კაცმა გამოხედა. კრუპიემ ეს შენიშნა და დაიძაბა:

– სინიორ, აგებთ და ამიტომ გამოთქვამთ პრეტენზიებს? ჩვენთან მხოლოდ პატიოსნად ვთამაშობთ.

– მაშინ, მით უმეტეს, რა გაღელვებთ? კარტი არ მომწონს და ახალ შეკვრას ვითხოვ, რა არის აქ გაუგებარი?!

ხმაურზე კაზინოს მენეჯერი მივიდა. ტანდაბალი, მკაცრი გამომეტყველების კაცი.

– რა ხდება? – მიმართა კრუპიეს და რაფერტს შეხედა.

– ჭირვეულობს. სულ ახალი შეკვრა გავუხსენი, მაგრამ, მაინც ახალ შეკვრას ითხოვს. აგებს და აღარ იცის, რას დააბრალოს, – გაღიზიანებული ხმით ჩაილაპარაკა კრუპიემ.

მენეჯერმა შეუბღვირა:

– ენა გააჩერე და კარტი გაშალე!

კრუპიემ კარტი მაგიდაზე გაშალა... მენეჯერი რაფერტს მიუბრუნდა, – კარტი სრულიად ახალია. არ მესმის, რა პრეტენზია გაქვთ?

– დროს ტყუილად კარგავთ. მე არ მომწონს კარტი და ვითხოვ ახალს – რა არის ამაში გაუგებარი? მგონი, კლიენტის სურვილი თქვენთვის მთავარი უნდა იყოს. თანაც, ეს ის დაწესებულებაა, სადაც ხმაურის ატეხა არ უყვართ, ხომ ასეა?

მენეჯერმა ამოიოხრა:

– კარგი, მოვიტანთ ახალ შეკვრას. კმაყოფილი ხართ?

რაფერტმა თავი გააქნია:

– არა.

– რა – „არა"? ეს რა ჭირვეულობაა?

– მე თქვენ არ გენდობით. არ მინდა კარტი თქვენი ყუთებიდან. მე მაქვს ნომერში სულ ახალი შეკვრა. აქვე ვიყიდე, ოტელის ფოიეში. ჩამოვატანინებ და იმით ვითამაშოთ.

მენეჯერმა გაიცინა:

– ხუმრობთ? შესანიშნავად იცით, რომ ეს შეუძლებელია.

– ვითომ რატომ? გეუბნებით, კარტი აქვე, თქვენი სასტუმროს ჰოლში, ჯიხურში ვიყიდე. მინდა, იმ კარტით ვითამაშო და კრუპიეც შემიცვალეთ.

– ჩვენ არ გვინახავს, როგორ იყიდეთ ის კარტი, ამიტომ, თქვენს პრეტენზიას ვერ გავითვალისწინებთ, – უთხრა კრუპიემ.

– მოკეტე! – შეუყვირა მენეჯერმა და ისევ ჭირვეულ მოთამაშეს მიუბრუნდა, – მისტერ რაფერტ, აქ პატიოსანი თანამშრომლები და პატიოსანი მოთამაშეები არიან. ხომ არავინ გაიძულეთ, გეთამაშათ?..

რაფერტის ზურგს უკან სხვა მოთამაშეებმა დაიწყეს შეგროვება. რაფერტმა ირონიულად გაიღიმა და ხმას აუწია:

– მე არ გენდობით თქვენ... თქვენ არ მენდობით მე... რაღაც კონსენსუსამდე ხომ უნდა მივიდეთ?

– ნუ ყვირით, თუ შეიძლება, – მენეჯერმა დამფრთხალი მზერა მოავლო დარბაზს, – კონსენსუსამდე მივალთ. რამდენი წააგეთ?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

– დაგიბრუნებთ მაგ თანხას და მშვიდად დავშორდეთ ერთმანეთს. ჩვენ პატიოსნად ვთამაშობთ, მაგრამ, ხმაური არ გვჭირდება. ფულს დაგიბრუნებთ, თქვენ კი აქ აღარასოდეს დაბრუნდებით.

– სანახევროდ შევთანხმდით. მომისმინეთ, ჩვენ ერთად მივალთ ფოიეში ჯიხურთან და ერთად ვიყიდით კარტის ახალ შეკვრას. მერე



ახალ კრუპიესთან ერთად ვითამაშებ – რევანში მჭირდება, ასე ვთქვათ... თქვენ ხომ პატიოსნად თამაშობთ? მეც პატიოსანი მოთამაშე ვარ, ჰოდა, ორივე დავრწმუნდებით ამაში.

მენეჯერმა მხრები აიჩეჩა:

– აზრს ვერ ვხედავ. გეუბნებით, ყველა კარტი ერთნაირია. ჩვენც მაგ ჯიხურში ვყიდულობთ კარტის შეკვრებს.

– მით უმეტეს, არ უნდა გქონდეთ პრობლემა. პატიოსნება და რეპუტაცია ხომ უმთავრესია, განსაკუთრებით, თქვენი ტიპის დაწესებულებისთვის.

მენეჯერი მიხვდა, რომ კლიენტმა ყველა გზა მოუჭრა. რაფერტმაც იგრძნო ეს, გაიღიმა და ფოიესკენ გაემართა.

– სად მიდიხართ? – უკან დაედევნა მენეჯერი.

– მხოლოდ და მხოლოდ კარტის საყიდლად... კარგია, რომ მომყვებით, ამას თქვენ თვალწინ გავაკეთებ.

– რა ღირს კარტი?

– ერთი დოლარი, სერ, – ლამაზსახიანმა გოგონამ რაფერტს კარტის შეკვრა გაუწოდა.

– ნახავთ? – მენეჯერს მიუბრუნდა რაფერტი.

– არა, რა მნიშვნელობა აქვს? – ხელები გაასავსავა მენეჯერმა.

– ძალიან კარგი. წავიდეთ, ვითამაშოთ.

– კრუპიე მე ვიქნები, პირადად, – მენეჯერი რაფერტს მიაჩერდა, – ოღონდ, პირობა თქვენც უნდა შეასრულოთ – აქ აღარასოდეს გნახავთ.

– ნუ ღელავთ, მაგ პირობას შევასრულებ, – დაუქნია თავი რაფერტმა.

მენეჯერმა პირადად მოჭრა კარტი და დაარიგა... მაგიდის გარშემო ცნობისმოყვარეები შეგროვდნენ. რაფერტმა ირგვლივ მიმოიხედა:

– ნახეთ რამდენი ადამიანი ადევნებს თვალს თამაშს? თაღლითობა გამორიცხულია, ახლა ჭეშმარიტად პატიოსანი თამაში იქნება.

... რაფერტმა ზუსტად ერთი საათი ითამაშა და 18 ათასი დოლარი მოიგო.

– დაკმაყოფილდით? – ჰკითხა მენეჯერმა და ამოიოხრა.

– დიახ... მაგრამ, მე კმაყოფილი იმით ვარ, რომ თქვენს პატიოსნებაში დავრწმუნდი, – მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა რაფერტმა.

მენეჯერს სერიოზულ ძალისხმევად დაუჯდა სიმშვიდის შენარჩუნება.

– ისე, თქვენ მაინც გაქვთ ჩემი ვალი, ერთი დოლარი, რომელიც კარტში გადავიხადე, მაგრამ, რადგან უკვე აღარ გამოდგება თამაშისთვის, გპატიობთ...

– აქ აღარასდროს დაბრუნდეთ, – გამოცრა მენეჯერმა და შებრუნდა.

რაფერტი თავაზიანად დაემშვიდობა, მონაგები გაანაღდა და ნომერში ავიდა. იქ, დიდ საწოლზე, ფეხმორთხმით იჯდა ის გოგონა, რომელმაც ჯიხურში კარტი მიჰყიდა რაფერტს, მშვიდად უსტვენდა და თან, უწვრილესი ფუნჯით, სწრაფად შრობადი სალებავით ახალი კარტის შეკვრაში, კარტებზე ფიგურებს ხატავდა, ანუ, მათი გადაკეთებით იყო დაკავებული.

– საყვარელო, როგორ არის საქმე? – ხელი დაუქნია რაფერტს.

– რამ ამოგიყვანა ნომერში? მენეჯერი რომ გამოგეკიდებოდა? თან, ჯიხურიც ცარიელი დატოვე...

– სულაც არა... ძველი გამყიდველი დაბრუნდა – ჩვენ ხომ მისი შესვენება გამოვიყენეთ. ფული მოიგე?

– რა თქმა უნდა – 18 ათასი დოლარი, შენი წყალობით და ჩემი პატიოსანი თამაშით.

ქალიშვილმა გადაიკისკისა:

– ვეგასში ეს მერამდენე კაზინოა?

– მეოთხე და, უკვე დროა, მოვუსვათ. აქაური კაზინოების მეპატრონეები ერთმანეთს კარგად იცნობენ, ხოლო ასეთი ამბები სწრაფად ვრცელდება. ეგ კარტი კი მოაშორე... ღმერთო, რა გაუფრთხილებლობაა! სუზი, არ გესმის? მოაშორე-მეთქი ეგ კარტი! ფუნჯი და სალებავიც. ნუ დაგავიწყდება, რომ მე პატიოსანი მოთამაშე ვარ... რიოში გასეირნებაზე რას იტყოდი?..

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# მაფიის შვილობილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-29(708)

– მიბრაზდები თამარ?

– არა. რატომ? – მხრები აიჩეჩა თამარმა.

– ბოდიშს გიხდი. მართლა ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გამომიჩნდა. ხომ მაპატიებ?

თამარმა შემრიგებლურად გაუღიმა მერაბს და უთხრა:

– თუ სახლში მიმაცილებ, მაშინ გაპატიებ.

თამარმა მორიგეობა გადააბარა და ლამაზმა წყვილმა გაჩახჩახებულ, ღამის გაგრაში გაისეირნა.

კოლონადასთან რომ მივიდნენ, თამარმა მერაბს უთხრა:

– კაფეში ხომ არ დავსხდეთ? ნაყინი მინდა.

– რომ შეგაგვიანდება, ქალბატონი მართა არ ინერვიულებს?

– დედას სამსახურიდან დავურეკე, დაგავაფრთხილე. იცის, რომ შენთან ერთად ვარ.

წყვილი ნაცნობ მაგიდას მიუჯდა და ნაყინი შეუკვეთა. უცებ, მერაბმა დაჟინებული მზერა იგრძნო და მარჯვნივ გაიხედა. ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით, ფიჭვნარში, სკამზე ზორბა მამაკაცი მარტოდმარტო იჯდა და წყვილს მისჩერებოდა. ბანჯგვლიან, დაკუნთულ ტანზე მეზღვაურის მოკლემკლავიანი მაისური შემოტმასნოდა, კისერზე კი უზარმაზარი დურბინდი ეკიდა.

დურბინდიანი თამარმაც შენიშნა და მერაბს უთხრა:

– ნუ უყურებ, მერაბ. თუ მთვრალია, მოვა, აგვიშარდება და საღამოს ჩაგვიმწარებს. ვერ იტანს, როცა მასაც უყურებენ.

თამარის სიტყვები მერაბს გულზე მოხვდა და ამაყად მიუგო:

– აგვიშარდება და ისეთ შარს მიიღებს, რომ აშარების სურვილი სამუდამოდ დაეკარგება.

– ნუ ცხარობ, მერაბ. გიჟია ეს საცოდავი და ყველა ერიდება.

– გიჟებისთვის საგიჟე არსებობს, – ინერციით თქვა მერაბმა.

– დიდი ხანია, არ ჩანდა და ალბათ, იწვა კიდეც. როგორც ეტყობა, გამოსულია. როცა გარეთაა, ჩამოიკიდებს დურბინდს, დადის და ამბობს, დომარის მკვლელს ვეძებო.

– დომარი ვინ იყო?

– დომარ ბუთბა. არ გსმენია, ცნობილი ქურდი იყო. სერგი რომ მოკლეს, იმ წელს მოკლეს ისიც თბილისში. იმ დომარის უმცროსი ძმაა და ლორიკი ჰქვია.

– ძმები ბუთბები... – ჩაილაპარაკა მერაბმა და თამარს უთხრა, – იმ მოკლულ ქურდს ტყუპისცალი ჰყავს და დაური ჰქვია. ხომ არ მეშლება?

– არ გეშლება. მართალი ხარ. დაურზე მსმენია, კაციჭამიააო და ახლა ციხეში ზის. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა დაურ ბუთბას სახელი ქუხდა მთელ აფხაზეთში.

– მართალი ხარ. ძალიან საშიში ბოროტმოქმედია, – უთხრა მერაბმა თამარს. ინსტინქტურად ფიჭვნარისკენ გაიხედა და ცარიელ სკამს მოჰკრა თვალი, რომელზეც დურბინდიანი ლორიკ ბუთბა უკვე აღარ იჯდა.

– ფიცხი ყოფილხარ, მერაბ, – გაუღიმა თამარმა.

– შენ რომ თქვი, საღამოს ჩაგვიმწარებსო, ცოტა გავცხარდი. აბა, მე რა ვიცოდი, თუ ავადმყოფი იყო.

– ერთი ამ ქალბატონს დამიხედეთ. რომ ჰკითხო, მთელი ცხოვრება ხელოვნებას უნდა მიუძღვნას და კაცებისკენ არც კი იხედება! – წამოიძახა თამარმა და ფიჭვნარში მოსეირნე წყვილს თვალი გააყოლა.

– ვისზე ამბობ, თამარ? – ჰკითხა მერაბმა.

– აი, ამ ტანწერწეტა, ქერა ქალბატონზე, – თამარმა მერაბი მარჯვნივ გაახედა.

– ვინ არის?

– ლია, ჩემი დეიდაშვილი.

– მსახიობია?

– როგორ მიხვდი? – გაოცდა თამარი.

ლამაზია. მოხდენილად ჩაცმული, თან, ხელოვნებაც რომ ახსენე, ვიფიქრე, მსახიობი იქნება-მეთქი და გამოვიცანი, – გაეღიმა მერაბს.

– ლია! ლია! – დაუძახა თამარმა დეიდაშვილს.

– უხერხულია, თამარ, – თამარის შეჩერება სცადა მერაბმა, მაგრამ გვიან იყო.

ლია შემოტრიალდა და დეიდაშვილის დანახვაზე შეცბა. შემდეგ თავის კავალერს რაღაც უთხრა და უხერხული ღიმილით გაემართა მაგიდისკენ.




გოგოებმა ერთმანეთი გადაკოცნეს. თამარმა კი გამომცდელად უთხრა ლიას:

– აკი ხელოვნებაზე ვარ გადამკვდარი და კაცებს არ ვხვდებიო? ვინ არის ეს ვაჟბატონი?

– მერაბ მხეიძეა. ჩვენი დასის ახალი წევრი. თბილისელია და სამუშაოდ სოხუმის თეატრში გაანაწილეს, – მიუგო ლიამ.

– დეიდაჩემმა თუ იცის, ასე გვიან რომ დასეირნობ ფიჭვნარში უცხო კაცთან ერთად?

ლიამ პასუხს თავი აარიდა და თამარს აღტაცებით უთხრა:

– „რომეო და ჯულიეტას“ ვდგამთ და ჯულიეტაზე დამამტკიცა რეჟისორმა.

– ეგ, ალბათ, რომეოა, ხომ? – თავით ანიშნა თამარმა ლიას თბილისელ მსახიობზე.

– როგორ მიხვდი? – გულუბრყვილოდ იკითხა ლიამ, რადგან ვერ მიხვდა თამარის ირონიას.

– არ ეტყობა, რომ? – ირონიულად გაეცინა თამარს, – ისეთი შეყვარებული თვალებით გიყურებს, როგორც რომეო ჯულიეტას.

– მიყურებს და მიყუროს. რა გინდა მერე? ასე გვიან, შენ თვითონ რას აკეთებ აქ? გგონია, არ ვიცი, რომ ყოველდღე ამ კაფეში ხართ? მთელი გაგრა ლაპარაკობს – თამარ ანჩაბაძეს შეყვარებული მილიციელი ესტუმრა თბილისიდანო, – მიაყარა დეიდაშვილს განაწყენებულმა ლიამ.

– რას სულელობ, ლია? – წამოწითლდა თამარი.

– გოგოებო, ნუ ჩხუბობთ, – თქვა მერაბმა. მოღიმარი სახით ფეხზე წამოდგა. ლიას ხელზე ემთხვია და წარუდგა:

– მაიორი მერაბ გამრეკელი.

ლია მოიხიბლა მერაბის გალანტურობით. გაუღიმა და მიუგო:

– მსახიობი ლია კანდელაკი.

– დაბრძანდით, ლია, – მერაბმა სკამი გამოუწია მსახიობ გოგონას, – მე კი თქვენს მეგობარს მოვიპატიჟებ.

მერაბ მხეიძე მარტოხელა ტირიფივით იდგა ფიჭვნარში, ადგილიდან არ იძროდა და მოწყენილი იყურებოდა კაფესკენ. გამრეკელმა ის მაგიდასთან მიიყვანა და თამარს წარუდგინა:

– გაიცანი, თამარ ეს სიმპათიური ახალგაზრდა, მსახიობი მერაბ მხეიძეა.

– თამარ ანჩაბაძე, – ფეხზე წამოუდგომლად ხელი გაუწოდა ახალმოსულს თამარმა.

ჩხეიძემ მაიორს მიბაძა. თამარს ხელზე ემთხვია და უთხრა:

– მსახიობი მერაბ მხეიძე, – და გამრეკელის პირდაპირ დაჯდა.

მიმტანმა ნაყინი მოიტანა და იკითხა:

– კიდევ რამეს ხომ არინებებთ?1

– თუ შეიძლება, ერთი ბოთლი შამპანური მოგვიტანეთ, – შეუკვეთა თამარმა და მიმტანი რომ წავიდა, თქვა:

– ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ.

შემდგომში, როდესაც ეს ლამაზი წყვილები დაქორწინდნენ და ოჯახებით ერთმანეთთან სტუმრობდნენ ხოლმე, ყოველთვის იხსენებდნენ ამ მშვენიერ საღამოს.

ლამაზი ოთხეული კაფედან რომ გამოვიდა, შუაღამეს ნახევარი საათი აკლდა. ორმა მერაბმა ლია და თამარი სახლში მიიყვანეს. გამრეკელმა კი მხეიძეს სოხუმში გამგზავრება არ დაანება და ასთამურ შამბას სახლში წაიყვანა.

– უხერხულია, მერაბ. ასე გვიან, უცხო ადამიანთან სტუმრობა, – მორცხვობდა ლიას კავალერი.

– სტუმარი ღვთისაა, ხომ გაგიგონია? – ძია ასთამური კი ღვთისნიერი კაცია.

– თანაც, ხვალ დილით რეპეტიციაზე უნდა ვიყო თეატრში, – გვიანი სტუმრობისგან თავის დაღწევას ცდილობდა მხეიძე.

– მიხვალ კიდეც. შენ და ლია ერთად გაემგზავრებით. შედი, შედი... ძია ასთამური უნდა გაგაცნო, – მაიორმა მსახიობს ეზოს კარი გაუღო და წინ გაატარა.

ასთამურ შამბას გულწრფელად გაუხარდა მერაბ მხეიძის სტუმრობა. დილით კი მან და მისმა შვილობილმა ავტობუსამდე მიაცილეს სტუმარი. ასთამური გამოემშვიდობა მსახიობს და უთხრა:

– ხშირად მესტუმრე ხოლმე, შვილო. ლიასთან ერთად მოდი. თქვენს პრემიერას აუცილებლად დავესწრები.

– მადლობა, ძია ასთამურ. აუცილებლად გესტუმრებით. ნახვამდის... – ხელი დაუქნია მერაბ მხეიძემ გამცილებლებს და სადგურისკენ მიმავალ ავტობუსში ავიდა, სადაც ლიას უნდა შეხვედროდა.

მეტყევე და მილიციელი სახლში შებრუნდნენ. ასთამურმა კედელზე ჩამოკიდებულ შვილის სურათს ცრემლიანი მზერა შეავლო და თქვა:

– რა კარგია ახალგაზრდობა. სიყვარული, სიხარული, სიცოცხლე. რა იქნებოდა, რომ ჩემს სერგისაც ღირსებოდა ეს ბედნიერება.

მასპინძლის სიტყვებზე მერაბს გააჟრჟოლა. მაიორს სულს უშფოთებდა გოლიათი მეტყევის ტრაგედია. მას მთელი არსებით სურდა, თავის მხსნელს დახმარებოდა. პესკასელთან შეხვედრის შემდეგ კი მიხვდა, რომ სერგის მკვლელობის საქმის გახსნა ძალიან რთული იყო. მაიორი აბსოლუტურად ეთანხმებოდა კაპიტან პესკასელს იმაში, რომ ბევრი რამ შემთხვევაზე იყო დამოკიდებული. ანუ, ბოროტმოქმედებს ახალი დანაშაული უნდა ჩაედინათ და მილიცია ამგვარად გასულიყო მათ კვალზე.

ასთამურმა ცრემლები შეიმშრალა და მერაბს ჰკითხა:

– რა ქენი, შვილო, შეხვდი ნესტორს?

– შევხვდი და ყველაფერი დაწვრილებით გამაცნო. ბევრი სამუშაოა. თბილისში რომ დავბრუნდები, ვალიკო ჟღენტს ვთხოვ, მეც ჩამრთოს გამოძიებაში. თავს არ დავზოგავ, რომ სერგის მკვლელებს მივაგნო, – უთხრა მერაბმა ასთამურს.

– ესე იგი, იმედი არსებობს.

უიმედო საქმე არ არსებობს. ნებისმიერი დანაშაულის გახსნა შეიძლება. სერგის მკვლელები აუცილებლად გამოჩნდებიან და დავიჭერთ.

– ღმერთმა გისმინოს, შვილო. იქნებ გაგიმართლოს და მათ თვალებში ჩამახედო, – უთხრა ასთამურმა მერაბს. შემდეგ სალაპარაკო თემა შეცვალა და შვილობილს ჰკითხა:

– მოგეწონა ლია? ხომ კარგი გოგოა?

– მშვენიერი. ლია და თამარი ძალიან გვანან ერთმანეთს.

– არც შენი სეხნიაა დასაწუნი. კარგი ვაჟკაცია. გული მიგრძნობს, რომ დანათესავდებით და მერე გაიხსენე ეს სიტყვები, – გაუღიმა ასთამურმა მერაბს.




მერაბ გამრეკელს მართლაც ხშირად ახსენდებოდა ასთამურ შამბას ეს სიტყვები და თვალწინ ყოველთვის ამ გოლიათის უზომო სევდით სავსე თვალები წარმოუდგებოდა ხოლმე.

ქუჩიდან საზარელი კივილის ხმა მოისმა. ჯერ სამი ქალი კიოდა. შემდეგ მათ სხვებიც შეუერთდნენ და უბედურების მაუწყებელი ხმა არემარეს მოედო.

– ჯამბულ ეზუხბაია გარდაიცვალა, – დამაჯერებლად თქვა ასთამურმა. სინანულით თავი გააქნია და დაამატა, – ლოგინად იყო ჩავარდნილი. შარშან დათვს შეება ტყეში შიშველი ხელებით და ხანჯლით მოკლა. თვითონ კი ხერხემალი ჰქონდა დაზიანებული და ვერ დგებოდა. კარგი ვაჟკაცი იყო და აფსუსია მისი სიკვდილი. შენ რომ სოხუმში იყავი გუშინ წასული, მასთან გადავედი და მთელი დღე გავჩერდი. ღმერთმა აცხონოს.

– ტიტე, ტიტეეე, – გაჰკიოდნენ ქალები.

ასთამურ შამბას მიტკლისფერი დაედო და მიაყურადა. შემდეგ ფეხზე წამოიჭრა და ფანჯარასთან მივარდა. გაიხედა, თავში ხელები წაიშინა. იღრიალა: ტიტე კალანდია დაღუპულაო და გარეთ გავარდა...

მერაბი ასთამურს უკან გაჰყვა.

ქუჩაში უამრავი ხალხი გამოსულიყო და ყველანი კალანდიების კარმიდამოსკენ მირბოდნენ. კალანდიები ორი ეზოს მოშორებით ცხოვრობდნენ და საზარელი კივილიც იქიდან მოდიოდა.

მერაბი ატირებულ ასთამურს წამოეწია, მხარზე ხელი მოხვია და ჰკითხა:

– რა მოხდა, ძია ასთამურ?

– ტიტე კალანდია დაიღუპა. სულ ბავშვი იყო საცოდავი. იურიდიულზე სწავლობდა დაუსწრებლად, თან მილიციაში მუშაობდა, – ამოისლუკუნა მეტყევემ.

„რიგითი კალანდია“, – გაახსენდა მერაბს კაპიტან პესკასელის სიტყვები და ნორჩი მილიციელის სახე წარმოუდგა თვალწინ, რომელიც წინა დღით გაგრაში ნახა. „ნუთუ ეს ჭკვიანთვალება, ცოცხალი ბიჭი დაიღუპა? ნეტავ, რა დაემართა?“ – ფიქრობდა მაიორი და გული ცუდი წინათგრძნობით ევსებოდა.

მერაბის წინათგრძნობა გამართლდა. ერთმანეთში მოსაუბრე მეზობლებისგან გამრეკელმა შეიტყო, რომ ტიტე კალანდია მოკლული უპოვიათ ყოფილი საკონსერვო ქარხნის ეზოში.

– ამ დილით ბავშვები თამაშობდნენ თურმე იქ და მათ უნახავთ უბედური ტიტე. მილიციას უთქვამს, ტყვია აქვს თავში ნასროლიო, – ტირილით უთხრა შუახნის მამაკაცმა ასთამურ შამბას, რომელიც უკვე აღარ ტიროდა და მრისხანე სახით ისმენდა ტიტე კალანდიას ამბავს. ბოლოს კი ზიზღნარევი სახით მიუგო:

– ცოცხლად უნდა აკუწო ამ ბოროტების ჩამდენი და მისი დამპალი ხორცი ტურებს შეაჭამო.

– უბედურო ტიტე! – აღმოხდა შუახნის მამაკაცს. თავში ხელები წაიშინა და კალანდიების ეზოში შევიდა.

მერაბმა ასთამურს ხელკავი გამოსდო. გვერდით გაიყვანა და უთხრა:

– ძია ასთამურ შემთხვევის ადგილზე უნდა წავიდე. ბოდიში, რომ მარტო გტოვებ, მაგრამ გული მიგრძნობს, ასეა საჭირო.

– წადი, შვილო. მეც წავალ სახლში. აღარ შემიძლია აქ გაჩერება. ამ უბედურებას ვერ ვუყურებ.

– მიგაცილებ და წავალ.

– არა. არ მინდა. შენ წადი, – უთხრა ასთამურმა მერაბს, მიტოვებული საკონსერვო ქარხნის ადგილმდებარეობა აუხსნა და სახლისკენ გაემართა.

მაიორი გამრეკელი იმ დროს მივიდა მკვლელობის ადგილზე, როცა პროზექტურის სანიტრებმა საკაცეზე დაწვენილი ნორჩი რიგითი „პაზიკში“ შეაცურეს.

შემთხვევის ადგილი ფორმიანი და უფორმო მილიციელებით იყო სავსე. მერაბმა შორიდანვე შენიშნა კაპიტანი პესკასელი, რომელიც მაღალჩინოსან მილიციელებს ელაპარაკებოდა. მაღალჩინოსნებში კი მერაბმა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და სოხუმის მილიციის სამმართველოს უფროსი შეიცნო. დაჭრილი გამრეკელი ორივე მათგანმა მოინახულა გაგრის საავადმყოფოში.

სამმართველოს უფროსს უკიდურესი შეშფოთება აღბეჭდოდა სახეზე. მინისტრი კი პირქუში სახით უსმენდა ნესტორ პესკასელს და კაპიტანმა რომ ლაპარაკი დაასრულა, მინისტრმა თანამშრომლების გასაგონად მრისხანე ხმით რუსულ ენაზე თქვა:

– უმოკლეს დროში მოძებნეთ ეს ნაძირალა მკვლელი, რომ საკადრისად დავსაჯოთ. ეს საქმე პირად კონტროლზე ამყავს და ყოველი სიახლე დაუყოვნებლივ შემატყობინეთ დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, – შემდეგ მილიციის სამმართველოს უფროსს მიუბრუნდა:

– მთელი პირადი შემადგენლობის მობილიზაცია მოახდინეთ და დაუყოვნებლივ შეუდექით საქმეს.

– არის, ამხანაგო გენერალო! – გამოეჯგიმა სამმართველოს უფროსი მინისტრს, რომელიც „ვოლგით“ გაემგზავრა სოხუმში.

სამმართველოს უფროსმა პესკასელი იხმო და თავისი მანქანით წაიყვანა. მერაბს რომ ჩაუარეს, კაპიტანმა ნაბიჯი შეანელა და მაიორს უთხრა:

– ძალიან ბევრი საქმე მაქვს. პოლკოვნიკს უნდა გავყვე. მერე გნახავ და დაგელაპარაკები. ბოდიში.

მილიციელები შემთხვევის ადგილს ტოვებდნენ. მერაბ გამრეკელი კი მინისტრის ფრაზას აანალიზებდა, რომელმაც თქვა, ეს ნაძირალა მკვლელი მოძებნეთო. „ესე იგი, მკვლე-



ლის ვინაობა დადგენილია“, – გაიფიქრა მაიორმა და ამ დროს გულბათ მარგიანმა მას მხარზე ხელი დაადო.

– წამოდი, მერაბ, ნათლია ასთამურთან მიგიყვან. გაგრის მილიციაში საგანგებო ოპერატიული თათბირია დანიშნული ნახევარ საათში და უნდა დავესწროთ.

მერაბი თვითონაც გააგნებდა გზას, მაგრამ ტიტე კალანდიას საქმის პირველადი მოკვლევის დეტალები აინტერესებდა და მარგიანს მანქანაში ჩაუჯდა.

გულბათმა მანქანა ადგილიდან მოწყვიტა და გამწარებულმა შეიგინა:

– ვიტია ტარკილის ბოზი დედაც... რა ბიჭი მოგვიკლა. ხელში თუ ჩამივარდა, ცოცხლად გავატყავებ!

– მკვლელი ტარკილია? – გაუკვირდა მერაბს.

– ეგ არის, ეგ ნაძირალა, – ლამის ღრიალებდა გულბათი.

– საიდან იცი?

– ჯონდო სარიას არ შეეშლებოდა. გამორიცხულია. სუპერექსპერტია და რომ იტყვის, წყალი არ გაუვა.

ჯონდო სარია ის ექსპერტ-კრიმინალისტი იყო, რომელიც წინა დღით სანიტარ „შოპენს“ დასცინოდა და რუბენ ჩოჩიანის მკვლელობის ადგილზე მოკვლევა ჩაატარა.

– გულბათ, დამშვიდდი და მითხარი, ტარკილზე როგორ გავიდა სარია? – ჰკითხა მერაბმა მარგიანს.

– ელემენტარული ლოგიკით. საცოდავი კალანდიაც იმ იარაღითაა მოკლული, რომლითაც რუბენ ჩოჩიანი. ჯონდო ამას ტყვიის გულებითა და გილზებით მიხვდა. სამ დღეში ბალისტიკის პასუხი იქნება და ეს ოფიციალურადაც დადასტურდება, – რაც შეეძლო, მშვიდად თქვა გულბათმა. შემდეგ კი ერთბაშად აფეთქდა, – ტარკილო, შენი დედაც... შენს სისხლს დავლევ და ცოცხლად გაგატყავებ, თუკი ხელში ჩამივარდი.

– ამ საქმესაც პესკასელი იძიებს?

– კი. ნესტორს დაავალა სამმართველოს უფროსმა. სარიამ რომ ტყვიების იდენტურობა დაადგინა, უფროსმა მას უთხრა, – ჩოჩიანის და კალანდიას საქმეები გააერთიანეო. თავისი მანქანითაც ამიტომ წაიყვანა. გზაში დეტალებზე ილაპარაკებენ.

– პირველადი მოკვლევის სხვა დეტალებზე რა იცი?

– საცოდავ ტიტეს ორი გამჭოლი ჭრილობა აქვს კეფაში. გილზები და ტყვიის გულები სარიამ იპოვა. როგორც ჯონდო ამბობს, ოთხი-ოთხ-ნახევარი მეტრიდანაა ნასროლი. ქვევიდან – ზევით და ტანმორჩილმა ესროლაო. პათანატომმა კი თქვა, ღამის თორმეტსა და პირველ საათს შორისაა მოკლულიო.

– მკვლელობის ადგილი კალანდიას ტერიტორია იყო?

– არა. თანაც საცოდავი ტიტე საღამოს ცხრა საათზე გამოიცვალა. როგორც გაგრის მილიციის ბიჭები ამბობენ, ტიტე ათის თხუთმეტ წუთზე დაბრუნებულა განყოფილებაში და იარაღი ჩაუბარებია. დაახლოებით ორმოცდახუთი წუთი სამორიგეოში გაჩერებულა და წასულა.

– ორი-სამი საათის მერე კი მოკლეს.

– კი. მასეა.

– საინტერესოა, ამ დროის განმავლობაში სად იყო, რას აკეთებდა და მკვლელობის ადგილზე როგორ აღმოჩნდა?

– ვიტალი ტარკილმა შეიტყუა ან, სულაც, ძალით, პისტოლეტის მუქარით მიიყვანა.

– ტარკილს ტიტეს მკვლელობის რა მოტივი უნდა ჰქონოდა?

– პირდაპირი. ტიტე და ვიტია ტარკილი კლასელები იყვნენ და დინარა მჟავიას გამო წლების განმავლობაში ერთმანეთთან კონფლიქტი ჰქონდათ. ხშირად ჩხუბობდნენ ამის გამო და სასკოლო ბანკეტზე ერთმანეთს ცხვირ-პირიც კი დაალეწეს. მახსოვს, „გაგრიფშში“ ქეიფობდნენ. მაშინ მე და სერგი ჯერ კიდევ გაგრის მილიციაში ვმუშაობდით. იმ ღამესაც ერთად ვმორიგეობდით და რესტორნიდან რომ დარეკეს, ჩხუბიაო, ერთად მივედით. სხვათა შორის, მოჩხუბრები სერგიმ გააშველა. ტიტე და სერგი მეზობლები იყვნენ და კონფლიქტი მშვიდობიანად ამიტომ დასრულდა, თორემ, წესით, ისინი მილიციაში უნდა წაგვეყვანა. მეტიც, მე და სერგი, სერგის თხოვნით, მთელი ღამე „გაგრიფშთან“ ვიდექით და მოქეიფეებს ვდარაჯობდით, რომ კვლავ არ ეჩხუბათ. შარშან დინარა და ტიტე დაქორწინდნენ და დღე-დღეზე უნდა იმშობიაროს ამ საცოდავმა გოგომ. როგორ ელოდა შვილს ტიტე... ასე ამბობდა, ერთი სული მაქვს, ჩემს პატარას ხელში როდის დავიჭერო. ვიტია ტარკილმა კი, იმ ჯუჯამ, ტიტე სიცოცხლეს გამოასალმა.

– ტარკილი ტანდაბალია?

– ტანდაბალია, მაგისი დედაც... მაგისი მოკლულია. ხომ გითხარი, ჯონდომ თქვა, ქვევიდან ზევითაა ტყვიები წასული და ტანდაბალმა ესროლაო. ტარკილია მკვლელი. წყალი არ გაუვა ამას, – თქვა გულბათმა, მანქანა ქუჩის თავში გააჩერა და დაამატა, – აქ მოვტრიალდები, მერაბ. შეხედე, რამდენი ხალხია შეგროვილი. ვერ გავალ და არც მინდა იქ მისვლა. ბოდიში... ცოტა ფეხით მოგიწევს გავლა. მე კი თათბირზე უნდა გავიქცე, ათ წუთში იწყება.

– გულბათ, მაინც უსაქმოდ ვარ და თუ რამეში გამოგადგებით, არ მოგერიდოს და მითხარი. თანაც, ძალიან მაინტერესებს, რას იზამთ და თუ რამე ახალი გამოჩნდა, იქნებ შემატყობინო.

– შევთანხმდით, – გულბათმა ხელი ჩამოართვა მანქანიდან გადასულ მერაბს. გამოემშვიდობა და წავიდა.

მერაბმა სწრაფად გაიარა მგლოვიარე ხალხით გაჭედილი ქუჩა. სახლში რომ შევიდა, თვალებდანითლებულმა ასთამურმა მას უთხრა:

– დინარამ იმშობიარა და ტიტეს ვაჟი შეეძინა. ტიტე დაარქვეს.

– ღმერთმა გაუზარდოს, ბედნიერი და დღეგრძელი უმყოფოს, – ნაღვლიანი ღიმილით მიუგო მერაბმა მასპინძელს და ჰკითხა:

– თქვენ როგორ ხართ, ძია ასთამურ. დღეს ბევრი ინერვიულეთ.

– ახლა ცოტა დავმშვიდდი. ბავშვის დაბადებამ გამახარა და ცოტა გულზე მომეშვა. შენ რა ქენი. გაარკვიე რამე?

– საცოდავი ტიტე, ახლა პროზექტურაშია გადასვენებული და ექსპერტიზა უკეთდება. ორი ტყვია აქვს კეფაში მოხვედრილი. ღამის თორმეტსა და პირველ საათს შორისაა მოკლული. მთელი მილიცია ფეხზე დგას. აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრიც იქ იყო და ეს საქმე პირად კონტროლზე აიყვანა.

– დინარა მოთქვამდა, – სახლში რომ არ მოვიდა, გულმა ცუდი მიგრძნოო. თურმე კინოში უნდა წასულიყვნენ და ელოდებოდა. წინა დღით თერთმეტსაათიან სეანსზე ორი ბილეთი აუღია საცოდავ ტიტეს, – უთხრა მერაბს ასთამურმა და იკითხა, – ვინ და რატომ გაიმეტა, ნეტავ, ტიტე.

– ვინმე ვიტალი ტარკილს ეძებენ?

– ვის? ვიტია ტარკილს? – იკითხა ასთამურმა.

– დიახ. ეჭვი აქვთ, რომ მკვლელი სწორედ ისაა.

– მაგას ვერ დავიჯერებ, – თავი გააქნია მეტყევემ, – ვიტია კი იყო ცოტა ჩქარი ბიჭი და სკოლის დროს მას და ტიტეს დინარას გამო ჩხუბიც მოსდიოდათ, მაგრამ, მერე შერიგდნენ. არა, არ მგონია, რომ ვიტიას ეს ჩაედინოს.

– ასე რატომ ფიქრობთ?

– გულბოროტი არ იყო და იმიტომ. მართალია, უცებ აფეთქება იცოდა, მაგრამ უცებვე მშვიდდებოდა. მამამისივით იყო. მას კი კარგად ვიცნობდი. გაგრის „დინამოში“ ათი ნომრით თამაშობდა ფეხბურთს. თბილისში უნდა გადაეყვანათ, მაგრამ ფეხი მოიტეხა. მერე გალოთდა და ჯერ ფეხბურთს დაანება თავი, შემდეგ კი სასმელმა დაახრჩო. ვიტია მაშინ პატარა იყო. დედამისი მალე გათხოვდა და ვიტია ამის გამო სახლიდან გაიქცა. ბოლოს სარემონტოში მუშაობდა მექანიკოსად და საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. არა... ვერ დავიჯერებ, რომ ვიტიამ ტიტე მოკლა.

– გუშინ დილით ვიტია ტარკილის ოთახში ერთი ბანდიტი იპოვეს მოკლული და ისიც ვიტალი ტარკილს ბრალდება.

– რას მელაპარაკები?! – გაოცდა ასთამური.

– ის მოკლული ბანდიტი კი, მე რომ დამჭრა, იმისი ბიძაშვილია.

– უყურე შენ... – თქვა მეტყევემ, – რა საქმე უნდა ჰქონოდა ბანდიტებთან?

– არ ვიცი, ძია ასთამურ. ეძებენ და ჯერჯერობით არსად ჩანს.

– უცნაურია, – მხრები აიჩეჩა მეტყევემ, – ოთხი დღის წინ „პრიჩალზე“ ვნახე საღამოს. მოვიდა, გადამეხვია, მომიკითხა და სხვათა შორის, ისიც მითხრა, – ტიტეს რომ ბავშვი შეეძინება, უნდა მოვუნათლოო.

– ბავშვი უნდა მოვუნათლოო?

– კი. ასე მითხრა.

– მარტო იყო?

– მე რომ მელაპარაკა, მარტო იყო. კატერში ბადეებს ალაგებდა და ისიც კი ვუთხარი, „რიბნადზორმა“ არ დაგიჭიროს-მეთქი.

– სად მიდიოდა?

– „პრიჩალიდან“ ერთ კილომეტრში ერთი ადგილია, „სკალებს“ ვეძახით. იქ წყალქვეშა რიფებია და ბევრი ჯიშიანი თევზი იცის. სიღრმეც პატარაა. სულ რაღაც ათი მეტრი და სწორედ იქ მივდივარო, მითხრა.

– ვისთან ერთად მიდიოდა, არ უთქვამს?

– არა, შვილო. არც მას უთქვამს და არც მე მიკითხავს. მარტო ბადეებს ვერ ჩაყრიდა და ერთი კაცი მაინც დასჭირდებოდა.

მერაბი წამით ჩაფიქრდა. შემდეგ კი მეტყევეს უთხრა:

– ძია ასთამურ, შენთან ერთი თხოვნა მაქვს.

– გისმენ, შვილო.

– რაც ახლა მითხარი და საერთოდ, ჩვენი ამ საუბრის შესახებ არავის მოუყვე. ერთი აზრი მომივიდა თავში და დროზე ადრე არავინ არაფერი არ უნდა გაიგოს.

– კარგი, გასაგებია.

– შეიძლება, თქვენი დახმარებაც დამჭირდეს, ძია ასთამურ.

– მიმსახურე, როგორც გინდა.

– შევთანხმდით, – უთხრა მერაბმა ასთამურს, მან კი ჰკითხა:

– ხომ არ ისადილებ, მერაბ?

– არა, ძია ასთამურ. თქვენი ნებართვით, ცოტა ხანს წამოვწვები და დავისვენებ.

– დაისვენე, შვილო, დაისვენე. მე ხელს არ შეგიშლი და კალანდიებთან გადავალ. მთელი კუთხე იქაა და მეც მივალ. თანაც, ალბათ, საცოდავ ტიტესაც მოასვენებენ სულ მალე.

ასთამური წავიდა. მერაბი კი ტახტზე წამოწვა და ჩაფიქრდა.

მაიორს თავიდანვე არ სჯეროდა, რომ მკვლელი ოცი წლის ტარკილი იყო. ამის შესახებ პესკასელსაც უთხრა და კაპიტანი ნაწილობრივ დაეთანხმა კიდეც. მერაბის აზრით, ამ საქმეებში მესამე პირიც ფიგურირებდა და სწორედ ეს უხილავი არსება იყო ყველაფრის შემოქმედი.

გამრეკელის ვერსიით, რუბენ ჩოჩიანი და ტიტე კალანდია ამ უხილავმა არსებამ მოკლა და ისეთი ილუზია შექმნა, რომ თითქოს ეს მკვლელობები ტარკილმა ჩაიდინა. თუ ეს მართლაც ასე იყო, თვით ტარკილიც უნდა მოეკლა და გაექრო, რათა მილიციას გაქცეული ჰგონებოდა და მასზე ძებნა გამოეცხადებინა.

„გამოძიების ცრუ კვალზე გაშვებას – აი, რას ცდილობს ეს ფანტომი და თითქმის გამოუვიდა კიდეც. მთელი მილიცია ტარკილს ეძებს. ნამდვილი დამნაშავე კი კვალს თუ არ შლის, ფსკერზე ხომ მაინც წევს და ეჭვგარეშეა, – ფიქრობდა მერაბი, – სწორედ ფსკერი უნდა შევამოწმო. გამორიცხული არაა, რომ მოკლული, ფეხებზე სიმძიმეგამობმული ვიტალი ტარკილი „სკალებთან“ ფსკერზე წევს, მას კი ჯიშიანი თევზები ჭამენ და დანაშაულის კვალს შლიან. ხვალვე უნდა გადავამოწმო ეს ვერსია და ამაში ძია ასთამური უნდა დამეხმაროს. კატერი და საყვინთავი მოწყობილობაა საშოვნელი“.

დაღლილ მერაბს ტახტზე დაეძინა.

ერთი საათიც არ გასულა, რომ მაიორი ქალების საზარელმა კივილმა და მამაკაცების განწირულმა ღრიალ-გოდებამ გამოაღვიძა.

„ტიტე კალანდია მოასვენეს“, – გაიფიქრა მერაბმა და არც შემცდარა. ნორჩი რიგითი მუხის შავ კუბოში ჩასვენებული მიასვენეს თავის სახლში გაგრის მილიციის თანამშრომლებმა და ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე დაასვენეს...

მერაბი ტახტზე წამოჯდა და გააჟრჟოლა. შემდეგ ჩაიცვა. ეზოში ჩავიდა და უკანა კარით ორღობეში ამოჰყო თავი. ვიწრო ქუჩებით იარა, მთავარ გამზირზე დაეშვა და ზღვისკენ გაემართა.

უკაცრიელ ნაპირზე განმარტოებულმა მაიორმა სამიოდე საათი დაჰყო ზღვის პირას. მზე რომ ჩავიდა, ადგა და ნელი ნაბიჯებით გამოემართა უკან. სახლში რომ დაბრუნდა, მასპინძელი შინ დახვდა და ასთამურმა შვილობილს უთხრა:

– ამ უბედურებას გაერიდე, შვილო?

– დიახ, ძია ასთამურ. ტიტე რომ მოასვენეს ველარ გავუძელი და ზღვის პირას ჩავედი.

– მართა და თამარი იყვნენ სამძიმარზე და გიკითხეს. ერთ კვირაში თამარის დაბადების დღეა და დაპატიჟებული ხარ. თუმცა, მანამდე თვითონ ნახავ და გეტყვის, – უთხრა ასთამურმა მერაბს.

– ძია ასთამურ, ხომ არ იცით, ვის კატერზე ტვირთავდა ტარკილი ბადეს? ხომ არ გეცნო კატერი? – ჰკითხა მაიორმა მასპინძელს.

– ვფიქრობ, რომ იქირავა. კატერებს „პრიჩალზე” აქირავებენ. გადაიხდი ათ მანეთს და მთელი დღე შენია. ოღონდ ბენზინი უნდა ჩაასხა.

– კატერის გამქირავებელს რა ჰქვია?

– სლავკა ბაბახანიდი. ბერძენია. ძველი მეზღვაური.

– ესე იგი, ეგ სლავკა ბაბახანიდი ტარკილის მეგზურს ნახავდა?

– წესით, კი.

– ძია ასთამურ, შეგიძლია, ხვალ დილით სლავკა ბაბახანიდი მანახვო?

– როგორ არ შემიძლია. სლავკა იქვე ცხოვრობს და თითქმის არასოდეს ტოვებს იქაურობას.

– ძია ასთამურ, ხვალ დილისთვის საყვინთავ მოწყობილობას ვერსად ვიშოვით?

– რად გინდა?

– სკალებთან უნდა ჩავყვინთო და ვიტალი ტარკილის გვამი მოვძებნო. ეჭვი მაქვს, ის მოკლეს და ზღვაში გადააგდეს.

– მასე რატომ ფიქრობ?

– იმიტომ, ძია ასთამურ, თავიდანვე არ



მჯეროდა, რომ ტარკილმა მოკლა მხეცი რუბენ ჩოჩიანი. დღეს კი თქვენც არ დაიჯერეთ, რომ ტიტე ვიტალი ტარკილმა მოკლა. არა და ჩოჩიანიც და ტიტე კალანდიაც ერთი ადამიანის მოკლულია. თუ ტარკილი მკვლელი არ არის, მაშინ მკვლელი სულ სხვა ვინმეა და ამ სხვას უნდა, რომ ყველას ტარკილი ეგონოს მკვლელი. თუ ეს ასეა, მაშინ ტარკილიც მოკლულია. გვამი კი გადამალული. თქვენ რომ პრიჩალზე ტარკილთან შეხვედრის შესახებ მომიყევით, მაშინ მომივიდა თავში ტარკილის სკალების ფსკერზე მოძებნის იდეა და საყვინთავი მოწყობილობაც ამიტომ მჭირდება. თან, თქვენც უნდა დამეხმაროთ და სკალებზე გამომყვეთ.

– ჭკვიანურია. დიდი შანსია, რომ ყველაფერი სწორედ მასე იყოს. სკალებზე გამოგყვები და საყვინთავ მოწყობილობასაც მოგცემ. ჩემს სერგის უყვარდა ყვინთვა და აკვალანგის სრული კომპლექტიც შეიძინა. ყველაფერი შენახული მაქვს. ჟანგბადის ბალონებიც სავსეა და ორი საათი თავისუფლად გაძლებ წყალქვეშ. ყვინთვა თუ იცი?

– აკვალანგით არასდროს ჩამიყვინთავს. ძნელია?

– სულაც არა. იქვე აგიხსნი და შეძლებ.

– მაშინ, რაც შეიძლება, ადრე წავიდეთ სკალებზე. არ მინდა, ვინმემ დაგვინახოს. მანამდე კი ბაბახანიდს მინდა, გავესაუბრო.

– დილის ხუთ საათზე წავიდეთ. სლავკაც მაგ დროს იღვიძებს და რომ მივალთ, ფეხზე დაგვხვდება. შეიძლება, ისიც წავიყვანოთ, თუ, რა თქმა უნდა, შენ ისურვებ. გამოცდილი მეზღვაურია და დაგვეხმარება.

– თანახმა ვარ. თუ, რა თქმა უნდა, ისიც დაგვთანხმდება.

– მე მგონი, უარს არ გვეტყვის, – თქვა მეტყევემ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# რა გრანდიოზული აფერა ჩაატარა ქართველმა თაღლითმა ლეგენდარული გარინჩას დახმარებით



***ცნობილი ქართველი თაღლითი ჯამბულ აქუბარდია, მეტსახლად „ესპანელი“, შავი სამყაროს ნამდვილი კოლორიტი იყო და მასზე დღემდე ლეგენდები დადის. გთავაზობთ რამდენიმე ეპიზოდს მისი მდიდარი კრიმინალური ცხოვრებიდან.***

### მოტაცება ტალინში

ჯამბულ აქუბარდია 1919 წლის 4 აგვისტოს დაიბადა თბილისში. დედა გერმანისტი იყო, მამა კი – ესპანური ენის სპეციალისტი. ჯამბულმა ბავშვობიდანვე ადვილად აითვისა რამდენიმე უცხოური ენა და, 14 წლის ასაკში, ქართულისა და რუსულის გარდა, უაქცენტოდ ლაპარაკობდა გერმანულად, ესპანურად, ინგლისურად და ფრანგულად. მოგვიანებით კი აითვისა პორტუგალიური, ლათინური, ბერძნული, არაბული და სპარსული ენები.

1931 წელს აქუბარდიები მოსკოვში გადასახლდნენ, რადგან ჯამბულის მშობლებმა საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყეს მუშაობა. ჯამბულმა მოსკოვში დაამთავრა საშუალო სკოლა, 1940 წელს კი – უცხო ენათა ინსტიტუტი გერმანული ენის განხრით, რის შემდეგაც ის ესტონეთში გაამწესეს სკოლის მასწავლებლად, პარალელურად კი საბჭოთა დაზვერვის სათადარიგო, ეგრეთ წოდებული „დაკონსერვებული” მეკავშირის ფუნქცია დააკისრეს. აშკარა იყო, რომ სულ მალე ფაშისტური გერმანია ომს დაიწყებდა საბჭოეთის წინააღმდეგ და „ენკავედე“ კონსპირაციულ ქსელს ამზადებდა.

ბალტიის ქვეყნების ოკუპაციის შემდეგ, ესტონეთის დედაქალაქ ტალინში არსებული ქსელი ჩავარდა და თერთმეტი საბჭოთა მზვერავი დააპატიმრეს. ჯამბული კი იმან გადაარჩინა, რომ სათადარიგო იყო და მას გამცემი არ იცნობდა. 1941 წლის დეკემბერში ჯამბულს მოსკოვიდან დაავალეს, რომ გამცემი აღმოეჩინა და, თუ ვერ დაატყვევებდა, მოეკლა. ქართველმა მზვერავმა წარმატებით შეასრულა ცენტრის დავალება: 1942 წლის იანვარში გამცემს მიაგნო და ჯერ დაატყვევა, შემდეგ კი პარტიზანებს მიუყვანა, რომლებიც ახლომდებარე ტყეებში იყვნენ დაბანაკებულები. მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოსულმა სპეცჯგუფმა მოღალატეც და მისი გამტაცებელიც საბჭოეთის დედაქალაქში წაიყვანეს. მოღალატე დახვრიტეს, ჯამბული კი მოულოდნელად დააპატიმრეს და გულგრილობაში დასდეს ბრალი. პარადოქსი კი ის იყო, რომ მანამდე ის „წითელი ვარსკვლავის ორდენით” დააჯილდოვეს.

### „ესპანელი“

ჯამბულ აქუბარდიას 25 წელი ჰქონდა მისჯილი და სასჯელს ურალს იქით, ერთ-ერთ კოლონიაში იხდიდა. იქ ის თარჯიმნად მუშაობდა და ფაშისტების მხარეზე მებრძოლი და დატყვევებული ჯარისკაცების კურატორი იყო. 1946 წლის ივლისში ბანაკში პოლკოვნიკი პაბლო ზამორა მოიყვანეს, რომელიც დიქტატორ ფრანკოს ადიუტანტი იყო და ბერლინში, ჰიტლერის ბუნკერში აიყვანეს ტყვედ. ზამორა ჯერ „ლუბიანკაზე“ დაამუშავეს, შემდეგ კი გააციმბირეს. ჯამბული ზამორას დაუახლოვდა, მეგობრული კავშირი დაამყარა მასთან და თავისი მოადგილის თანამდებობაც კი მოუხერხა. სწორედ ზამორამ შეარქვა ჯამბულს „ესპანელი“ და ეს მეტსახელი მას სიცოცხლის ბოლომდე შერჩა.

პაბლო ზამორა გონებამახვილი პიროვნება აღმოჩნდა. რაც უნდა უცნაური იყოს, მას გერმანელი ფაშისტები თვალში არ მოსდიოდა და ჯამბულთან ერთად სისხლს უშრობდა მათ. ჯერ ერთი, ზამორა და ჯამბული ყველაზე რთულ სამუშაოს სწორედ ფაშისტებს ასრულებინებდნენ. გარდა ამისა, ორივე ბრწყინვალედ თამაშობდა ბანქოს და მაღალ დონეზეც თაღლითობდნენ. ამიტომ, ზამორა და აქუბარდია ერთად „ფცქვნიდნენ“ აზარტულ ფაშისტ ტყვეებს და ბოლო „პაიოკსაც“ უგებდნენ. მართალია, მთლიანად არ ართმევდნენ და მშივრებს არ ტოვებდნენ მათ, მაგრამ, ვალში აგდებდნენ და საკუთარ თავზე ჰყავდათ დამოკიდებული.

1953 წლის აპრილში, სტალინის გარდაცვალების მერე, აქუბარდია და ზამორა ციხიდან გაათავისუფლეს. პაბლო ესპანეთში გაუშვეს, ჯამბული კი ციმბირის ქალაქ ირკუტსკში დასახლდა, რადგან მას ცენტრალურ ქალაქებში ცხოვრების უფლება ათი წლით ჩამოართვეს. იმ პერიოდში ჯამბული 34 წლის იყო.

„ესპანელმა“ სკოლაში დაიწყო მუშაობა და ბავშვებს ფრანგულ ენას ასწავლიდა, პარალელურად კი თაღლითობას მიჰყო ხელი.

### „მოსყიდული“ ფეოლა

ნიშანდობლივი ფაქტია, რომ იატაკქვეშ სათამაშო ბიზნესი, კერძოდ კი – ტოტალიზატორები, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულს შეიქმნა საბჭოთა კავშირში და მასში მილიონობით ადამიანი მონაწილეობდა. ამ ბიზნესში იყო ჩართული აქუბარდიაც და საკმაოდ დიდ ფულსაც შოულობდა. ამ ბიზნესს ებრაელ საქმოსნებთან ერთად ქართველი კანონიერი ქურდები, ეგრეთ წოდებული „მაზოვშჩიკები“ კურირებდნენ, რომელთა ძირითად ნაწილსაც იატაკქვეშა ბიზნესმენები შეადგენდნენ. ისინი დიდ ფსონებს ჩადიოდნენ და, ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, სხვადასხვა სპორტული ღონისძიების შედეგები წინასწარ იყო შეთანხმებული, რის შედეგადაც ფანტასტიკური თანხები გროვდებოდა.

1965 წლის 4 ივლისს, მოსკოვში, ლუჟნიკის ცენტრალურ არენაზე, საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრებები უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. იმ პერიოდში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ბრაზილიელები თავიანთი ვარსკვლავური შემადგენლობით ჩამოვიდნენ მოსკოვში, რა თქმა უნდა, პელესთან და გარინჩასთან ერთად. იატაკქვეშა ტოტალიზატორი განსაკუთრებულად ემზადებოდა ამ თამაშისთვის. აზარტული, მდიდარი „მაზოვშჩიკები“ დიდ ფსონებს ჩამოდიოდნენ ბრაზილიაზე. „ესპანელმა“ ამ მატჩისთვის გრანდიოზული და საკმაოდ სახიფათო აფერა ჩაიფიქრა. ის ამ იატაკქვეშა ტოტალიზატორის ერთ-ერთ მესვეურთან, იაკობ ფელცმანთან მივიდა და უთხრა, რომ თუკი მილიონ მანეთს გადაიხდიდა, მაშინ ის ბრაზილიელებს მოისყიდდა და ტოტალიზატორს დიდი თანხა დარჩებოდა. ფელცმანი თავად იყო უმაღლესი კატეგორიის თაღლითი და ჯამბულს გარანტიები მოსთხოვა.

– თვით გარინჩა რომ მოგიყვანო და ფული აიღოს, დაიჯერებ ჩემს სიტყვას? – ჰკითხა „ესპანელმა“ იაკობს.

– რა თქმა უნდა, – მიუგო იაკობმა.

– მაშინ, ფული გაამზადე, – უთხრა „ესპანელმა“ ფელცმანს და დაამატა: – ხვალ დილით მოვიყვან მას და ფულსაც ჩავუთვლით.

მატჩამდე ორი დღით ადრე, 2 ივლისის საღამოს, ელეგანტურად ჩაცმულმა ჯამბულ აქუბარდიამ ლუჟნიკის სტადიონზე შეაღწია და, როდესაც ბრაზილიელმა ვარსკვლავებმა წინასამატჩო ვარჯიში დაასრულეს, „ესპანელმა“ გარინჩა გვერდით გაიხმო და გამართული პორტუგალიურით უთხრა:

– სეუ მანუელ, ჩემი ბედი თქვენს ხელთაა და, თუ არ დამეხმარებით, თავს მოვიკლავ.

გარინჩა ძალიან უბრალო, გულისხმიერი ადამიანი იყო და შეწუხდა. მან „ესპანელს“ ჰკითხა:

– რაშია საქმე, რით შემიძლია, დაგეხმაროთ?

აქუბარდიას თვალები აუცრემლდა და მიუგო:

– ჩვენში ტრადიციაა, როცა ცოლი მოგყავს, ქალის მამას დიდი თანხა უნდა გადაუხადო, რომ გამოგატანოს. ამას ჩვენებურად „მოსყიდვა” ეწოდება. თუმცა, მარტო ფული არ კმარა, მომსყიდველი ცნობილი პიროვნება უნდა იყოს. მე ცოლის მოყვანა მინდა. ჩემს სიმამრს, სეუ (ბატონი) ვისენტეს, მილიონ მანეთს ვუხდი და შევპირდი, რომ ამ თანხას მას ლეგენდარული გარინჩა მიუტანს. შეგიძლიათ, დამეხმაროთ და ხვალ, დილის 10 საათზე, სეუ ვისენტეს ფული გადასცეთ?

გარინჩა არც კი შეყოყმანებულა, ისე დათანხმდა „ესპანელს.“ ჯამბული და გარინჩა 3 ივლისს სასტუმრო „ინტურისტების“ შესასვლელთან შეხვდნენ ერთმანეთს. ჯამბულმა ის „პობედაში“ ჩასვა და თავის „მამასთან“, სინამდვილეში კი ფელცმანთან მიიყვანა.

ფელცმანისთვის პირველი შოკი ის იყო, რომ გარინჩა მივიდა მასთან. მანუელი მას მიესალმა და „ესპანელის“ მიერ წინასწარ ნასწავლი ფრაზა უთხრა:

– სეუ იაკობ, სეუ ვისენტეს მოსასყიდი მილიონი მანეთის წასაღებად მოვედი და, გთხოვთ, ფული გადმომცეთ.

ფელცმანს საკუთარმა თარჯიმანმა გადაუთარგმნა. იაკობმა გარინჩას ასმანეთიანების დასტები პატარა ჩემოდანში ჩაუწყო და გაატანა. „ესპანელი“ და გარინჩა კვლავ „პობედაში“ ჩასხდნენ და მაიაკოვსკის ქუჩაზე მივიდნენ, სადაც ლეგენდარულმა ბრაზილიელმა სეუ ვისენტეს მილიონი მანეთი გადასცა. შემდეგ კი ჯამბულთან და მის „საცოლესთან“ ერთად სურათი გადაიღო და სასტუმროში დაბრუნდა.

„სასიმამრო” და „საცოლე” „ესპანელის“ „პაძელნიკი“ აფერისტები იყვნენ. სეუ ვინსენტე კი იმიტომ უწოდეს სასიმამროს, რომ ფელცმანს ჰგონებოდა, რომ თითქოს ეს მილიონი მანეთი ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელის, ვინსენტე ფეოლასთვის იყო განკუთვნილი.

აფერამ ბრწყინვალედ ჩაიარა და „ესპანელი“ და მისი „პაძელნიკები“ ამ ფანტასტიკური თანხით მიიმალნენ. ბრაზილიამ კი საბჭოეთი 5:0 დაამარცხა და ფელცმანს დიდი ფულის გადახდა მოუწია. „ესპანელზე“, რა თქმა უნდა, ნადირობა გამოცხადდა, მაგრამ ის ვერ მოიხელთეს. 1966 წელს კი თავად აქუბარდია ქურდების თანხლებით შეხვდა „გადაგდებულ“ ფელცმანს და ისინი შერიგდნენ...

იატაკქვეშა ბიზნესმენმა ქურდების წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა და „ესპანელს“ ეს ფული შერჩა. თუმცა, სავარაუდოდ, მან ქურდებიც გაიყვანა წილში...

***P. S. ჯამბულ აქუბარდია 1989 წელს, 70 წლის ასაკში გარდაიცვალა ქალაქ სოჭში...***

**ნიკა ლაშაური**

# ვის დააყაჩაღებინა ქალმა მანქანებით მოვაჭრე საყვარელი და ვის მისცა მან „ნაკოლი" კონსპირაციულ ბინაზე

46 წლის ვალერი ა-ოვმა დაყაჩაღების ფაქტის შესახებ, რომლის მსხვერპლიც ის გახდა, თავად შეატყობინა სამართალდამცველებს. დაზარალებულის განცხადების მიხედვით, დროებით ნაქირავებ ბინაში მას თავს დაესხა ორი ნიღბიანი მამაკაცი, რომლებმაც ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცეს 6 500 ლარი და პირადი ნივთები. ვალერი ა-ოვის თქმით, ყაჩაღობა გვიან ღამით მოხდა. თავდამსხმელები მას ფიზიკურადაც გაუსწორდნენ – მამაკაცს სახისა და თავის არეში აღენიშნებოდა ძალადობის კვალი, რაც ცეცხლსასროლი იარაღის დარტყმით ჰქონდა მიყენებული. სამედიცინო დასკვნის მიხედვით, ჭრილობები მძიმე კატეგორიის დაზიანებას მიეკუთვნებოდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. დაზარალებული აცხადებდა, რომ ფიზიკური შეხლა-შემოხლის დროს, რომელიც მის ბინაში მოხდა, ერთ-ერთ თავდამსხმელს სახიდან მოსძვრა ნიღაბი, რომლის ასაღებად ის აღარ მიბრუნებულა და სწორედ მაშინ დაინახა დაზარალებულმა თავდამსხმელის სახე – ის იყო 24-25 წლის შავგვრემანი ახალგაზრდა, თვალის ახლოს კი წითელი „ტყლიპი" ჰქონდა.

საქმის მასალების მიხედვით დადგინდა, რომ ვალერი ა-ოვი ავტომანქანებით ვაჭრობდა. შესაბამისად გადამოწმდა ის წრე, რომელთანაც ის იყო დაკავშირებული. ბინა, რომელშიც დაზარალებული ცხოვრობდა, მას დაყაჩაღებამდე სამი თვით ადრე ჰქონდა დაქირავებული. მისივე განცხადებით, სულ რამდენიმე ადამიანმა იცოდა ამ ბინის არსებობა და სწორედ ეს აღმოჩნდა გამოძიებისთვის მთავარი ხელმოსაჭიდი ფაქტორი. შეკითხვას, თუ რატომ დაესხნენ მამაკაცს თავს იმ ბინაში, სადაც ის დროებით იმყოფებოდა და არა ბინაში, სადაც მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო ოჯახთან ერთად, მოგვიანებით, გამოძიების მსვლელობისას გაეცა პასუხი, რასაც კრიმინალური ფაქტის გახსნაც მოჰყვა.

> **ახალგაზრდა ქალი თავდამსხმელებს სარეზერვო გეგმის დეტალებზეც შეუთანხმდა**

როგორც ვალერი ა-ოვისგან სამართლადამცველებისთვის გახდა ცნობილი, იმ ღამეს, როდესაც მის ბინაში ორი თავდამსხმელი შევიდა, მასთან სახლში იმყოფებოდა დაზარალებულის ნაცნობი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მან სამი თვის წინ ავტომობილი „მაზდა" მიჰყიდა. ვალერი ა-ოვის განცხადებით, ბოლო ორი თვის განმავლობაში იმ ქალთან ინტიმური კავშირი ჰქონდა და კონფიდენციალური ბინაც ამის გამო იქირავა. როგორც გამოძიებამ გაარკვია, თავდამსხმელები სახლში მაშინ შევიდნენ, როდესაც 26 წლის ჯენიფერ შ-შვილი ბინიდან ერთი საათით გავიდა და კარი ღია დატოვა იმ მიზეზით, რომ უკან დაბრუნებულს მამაკაცი არ გაეძღვიძებინა და კარი თავად გაეღო.

ამონაწერი დაზარალებულის ჩვენებიდან: „ჯენის წასვლიდან ნახევარი საათი იყო გასული. საწოლზე მიმძინებოდა. თვალი ხმაურზე გავახილე და დავინახე, რომ თავს ორი ნიღბიანი მადგა. ერთმა საწოლიდან წამომაგდო და მიყვირა – ფული, ოქრო, ყველაფერი სასწრაფოდ მოგვეცი, რაც გაქვსო. მე ვუთხარი, ეს ბინა ნაქირავები მაქვს, აქ არც ფულია და არც არაფერი-მეთქი. ამის თქმა იყო და, მეორე თავდამსხმელმა თავში იარაღის ტარი ჩამარტყა, მერე საწოლიდან გადმომაგდეს და ხან ფეხებით, ხან მუშტებით, სასტიკად მცემეს. ორჯერ იარაღი მომადეს შუბლზე – თავს ნუ მოიკლავ ფულისთვისო, – მითხრეს. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა, რომელიც უფრო აგრესიული იყო, ყელიდან ოქროს ჯაჭვი ჩამომგლიჯა. დაახლოებით თხუთმეტი წუთი მაწამეს. 6 500 ლარი მქონდა სახლში და მივეცი ის ფული. ხელს გააყოლეს ჩემი პირადი ნივთები – ორი ოქროს ბეჭედი და საათი. უკვე გადიოდნენ ბინიდან, როდესაც ერთ-ერთს ნიღაბი ჩამოუვარდა და დავინახე სახეზე, თვალთან, ეგრეთ წოდებული „ტყლიპი" ჰქონდა. ის უკან აღარ მობრუნებულა, ნიღაბი იქვე დატოვა და ორივე მიიმალა. როცა ერთ საათში ჯენიც დაბრუნდა, მე უკვე გამოძახებული მყავდა პოლიცია."

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით დადგინდა, რომ ვალერი ა-ოვის ყოფილი კლიენტისა და მეგობარი ქალის, ჯენიფერ შ-შვილის ძმა წარსულში ყაჩაღობისთვის იყო ნასამართლევი, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ კი ის აზარტული თამაშების დიდი მოყვარული გახდა და, როგორც სამართლადამცველებისთვის გახდა ცნობილი, იმ დღეებში, როცა ვალერი ა-ოვი დააყაჩაღეს, მას წაგებული ფული ჰქონდა ჩასაბარებელი. მალხაზ შ-შვილი გარეგნული მონაცემებით ძალიან ჰგავდა დაზარალებულის მიერ აღწერილ თავდამსხმელს – მას თვალთან ჰქონდა დიდი ზომის მოწითალო ლაქა, რომლითაც დაიმახსოვრა ვალერი ა-ოვმა. გატარებული ოპერატიული ღონისძიებებით დადგინდა ისიც, რომ ჯენი შ-შვილმა ამ ინციდენტამდე რამდენიმე თვით ადრე გაქურდა ირანელი მოქალაქე, რომელთანაც ასევე სქესობრივი კავშირი ჰქონდა. ირანელმა ისე დატოვა საქართველო, რომ კუთვნილი ნივთების დაბრუნება ვერ შეძლო, თუმცა ამის შესახებ ახალგაზრდა ქალის მეზობლებისთვის გახდა ცნობილი. მოპოვებული მტკიცებულებების შემდეგ, სამართალდამცველებმა დააკავეს ჯენი შ-შვილი, რომელმაც თავიდან უარყო ბრალდება, თუმცა, შემდეგ აღიარა, რომ ძმას „ნაკოლი" თავად მისცა. და-ძმამ მალხაზ შ-შვილის მეგობართან ერთად დაგეგმა ყაჩაღური თვადასხმის ყველა დეტალი; ამასთან, მათ ჰქონდათ სარეზერვო გეგმაც იმ შემთხვევისთვის, თუ ბინაში უკან მობრუნებულ ჯენის კარი დაკეტილი დახვდებოდა. ამიტომ მან აივანზე გასასვლელი კარიც ღია დატოვა.

სამართალდამცველებმა მალხაზ შ-შვილი სამდღიანი ძებნის შემდეგ დააკავეს. მან ჩადენილი დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ წაგებული ფულის ჩაბარების დრო ეწურებოდა, როცა დამ „ძუნწი" საყვარლის დაყაჩაღება თავად შესთავაზა. დანაშაულის პირველი ვერსია იყო ძარცვის ინსცენირება: ჯენის მამაკაცისთვის სასმელში ძილის წამალი უნდა ჩაეყარა და დაძინებული გაეძარცვა, თუმცა, საბოლოოდ, და-ძმა მამაკაცის დაყაჩაღებაზე შეთანხმდა იმ მოტივით, რომ ძარცვის ინსცენირება გამოძიებას ახალგაზრდა ქალის კვალზე უფრო იოლად გაიყვანდა, ვიდრე მისი დაყაჩაღება.

სასამართლომ ჯენი შ-შვილი დამნაშავედ ცნო და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; 9-წლიანი პატიმრობა შეეფარდათ მალხაზ შ-შვილსა და მის მეგობარს, რომლის ბინიდანაც სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან გატაცებული ფულის ნაწილი და დაზარალებულის კუთვნილი ნივთები ამოიღეს.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 28 ივლისი

2348 ჩვენს წელთაღრიცხვამდე – ნოემ პირველად გაალო კიდობანი და გაგზავნა მტრედი ხმელეთის აღმოსაჩენად.

1586 – სერ თომას ჰერიოტმა ევროპაში ჩამოიტანა კარტოფილი.

1794 – გილიოტინაზე, მღელვარე ბრბოს თვალწინ, სიკვდილით დასაჯეს რობესპიერი, სენ-ჟუსტი და მათი ოცი მიმდევარი. თერმიდორელების გადატრიალებით დამთავრდა იაკობინელთა დიქტატურა.

1868 – ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში შეიტანეს მეთოთხმეტე შესწორება, რაც ამერიკის მოქალაქეობის უფლებას აძლევდა ყველას, ვინც ქვეყნის ტერიტორიაზე დაიბადა. ამ შესწორების მთავარი მიზანი კი ყოფილი მონებისთვის მოქალაქეობის მინიჭება იყო.

1900 – ლუი ლესინგმა გამოიგონა „ჰამბურგერი".

1914 – ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბიას, რაც მსოფლიო ომში გადაიზარდა.

### 29 ივლისი

1754 – გაიმართა პირველი საერთაშორისო მატჩი კრივში.

1857 – დაარსდა ატომური ენერგიების საერთაშორისო სააგენტო (მაგატე).

1958 – ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცეების კვლევის ნაციონალური სამმართველო („ნასა").

### 30 ივლისი

1838 – ლონდონში მოვიდა ბაყაყების წვიმა.

1898 – ჟურნალმა Skientifoc-მა გამოაქვეყნა ავტომობილების პირველი რეკლამა.

1898 – უილ კოლოგმა გამოიგონა „პოპკორნი".

1935 – გამომცემლობა Penguin-მა პირველად გამოსცა თხელყდიანი, იაფფასიანი, მცირეფორმატიანი წიგნი, რომელმაც რევოლუციური გადატრიალება მოახდინა საგამომცემლო საქმეში, პოპულარული და კლასიკური ნაწარმოებების მასობრივი ტირაჟით გამოცემით.

### 31 ივლისი

1928 – კინოსტუდია Metro-Goldwyn-Mayer-ის ლოგოში პირველად დაიღრიალა ლომმა, რამაც სათავე დაუდო ხმოვან კინოს.

1965 – დიდ ბრიტანეთში აიკრძალა სიგარეტის რეკლამა ტელევიზიით.

### 1 აგვისტო

1291 – შეიქმნა შვეიცარიის სახელმწიფო.

1589 – საფრანგეთში დამკვიდრდა ბურბონების დინასტია.

1774 – ინგლისელმა მეცნიერმა ჯოზეფ პრისტლიმ პირველად მიიღო სუფთა ჟანგბადი.

1790 – გამოცხადდა ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის პირველი აღწერის შედეგები. მაშინ იქ ცხოვრობდა 3 929 214 ადამიანი (აქედან 697 624 – მონა).

1981 – გაიხსნა მუსიკალური არხი – MTV.

### 2 აგვისტო

1769 – დაარსდა ქალაქი ლოს-ანჯელესი (ამერიკის შეერთებული შტატები).

1909 – ამერიკის შეერთებულ შტატების არმიაში მიიღეს პირველი სამხედრო თვითმფრინავი.

1987 – ლუის რეინა გახდა პირველი მატადორი, რომელმაც თავის ტანსაცმელზე რეკლამა განათავსა.

### 3 აგვისტო

1596 – ასტრონომმა დევიდ ფაბრიციუსმა აღმოაჩინა პირველი ცვალებადი ვარსკვლავი.

1778 – მილანში გაიხსნა ოპერა „ლა-სკალა".

1926 – ლონდონში, პიკადილის მოედანზე, დადგეს მსოფლიოში პირველი შუქნიშნები.

1949 – დაარსდა NBA – კალათბურთის ნაციონალური ორგანიზაცია.

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. თავით დაიწყეთ ბულდოგის ხატვა
2. ჩახატეთ ცხვირი
3. დაასრულეთ თავის ხატვა
4. მიახატეთ ტანი
5. თათებიც არ დაგავიწყდეთ
6. დაასრულეთ ნახატი
7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ 5 განსხვავება





## რა არის ზედმეტი



## დაეხმარე გზის გაკვლევაში



# ძაღლი

## (იგავ-არაკი)

ერთი ძაღლი კვერცხის ჭამას შეეჩვია. ერთხელ ნიჟარა დაინახა, ისიც კვერცხი ეგონა, მივარდა და გადაყლაპა. როცა მუცელმა გვრემა დაუწყო, ძაღლმა თქვა: ახია ჩემზე, ყველაფერი მრგვალი კვერცხი რომ მგონიაო.

შეგონება: ვინც ნაჩქარევად მოჰკიდებს საქმეს ხელს, ბევრ უსიამოვნას გადაეყრება.

## რიცხვრებუსი

, , 3, , 5, , , 2, 10, , +ბ 10, ,





უდიდესი სტადიონი

ადვილად იქმევა / ოქელაშვილი

ზღვის ქვა

მოწმობა, წერილობითი ცნობა

უდანაშაულობის საბუთი

მანანწალა

(.....) ცეტკინი

ლევან გოთუა „გმირთა (........)“

წვის „პროდუქტი“

ძველი საბერძნეთის მხარე

ზურიკელას მეგობარი

ხელოვნება

გოგონების ანსამბლი

(.......) გაგარინი

ჭოტი

თოფის სახეობა

ურანოსის და გეას შვილი

ხაჭაპურის სახეობა

ბატონი სტურუა

თავხედი გოგო / ქამრის ნაწილი

მყრალიც არის / საბურთალოს ერთი ბაღის ნათლია

ორმაგი

ხორციანი სადილი

„(........)-ადამიანი?!“

ბევრი ვარსკვლავი

სამხრეთ ამერიკის მწვერვალი

არის ასეთი მწვანილი

რუსთველის ლექსი

ძველ ქართველი ეკატერინე

სომხური წარმოშობის ამერიკელი ჩოგბურთელი ანდრე....

მსახიობს სჭირდება

საგაზეთო თხზულება

ერთიანი და თვრამეტი ნული

რემბრანდტის ნახატი

ქალაქის საქმიანი ნაწილი ევროპაში

დასანაგვებელი რამ

ადგილის ნახატი

ქალის სახელი / ლორი (რუს.)

ჭადრაკის ფიგურა

მაუგლის პითონი / მეექვსე ნოტი

ინდური კაბა

კომენტატორის შეძახილი

კანფეტი

წრის ნაწილი

პრეზიდენტების შეხვედრა / ცეკვა

(.....) ამოს კომენსკი

ზედაპირული

სხეულის ნაწილი

ზამთრისთვის შენახული ბალახი

ფრანგი მევახშე

დედამიწელი

შექსპირის ტრაგედიის მეფე

აზერბაიჯანელი პოეტი ....ვურღუნი

დრეკადი რამ / სხეულის საფარი

მეშვიდე ნოტი / სასადილო

მეცხვარეთა უფროსი

პირველი ნოტი

ფართობის საზომი

საგნის გარემოხაზულობა

დროის აღრიცხვა

პირველი საკვები

ბელგიელი მომღერალი სალვატორე

ხარირემი (რუს.)

(.....) სიაო პინი / ბუხარის „შეფი“

მცენარის ნაწილი

იაპონიის დედაქალაქი

ილუზიონისტი

(......) მერფი

ძველბერძენი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | 2 | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | 3 | 2 | | | | 2 | | | | | 8 | | | | | 3 | 2 | 1 | | | | | | | | |
| | | | | | | | | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 3 | 4 | 2 | | 4 | | 1 | | 7 | 2 | 4 | 3 | 5 | 1 | 2 | | | | | | | |
| | | | | | | | 3 | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 3 | 1 | 8 | 4 | 8 | 3 | 1 | | 13 | 14 | 11 | 9 | 1 | 2 | 2 | 3 | | | | | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 12 | 3 | 12 | 3 | 17 | 2 | 3 | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 3 |
| | | 2 | 2 |
| | | 1 | 1 |
| | 2 | 2 | 2 |
| | | 3 | 2 |
| | | | 2 |
| | | 3 | 3 |
| | 4 | 2 | 2 |
| | 4 | 1 | 1 |
| | 4 | 2 | 2 |
| | | 2 | 3 |
| | | 3 | 6 |
| 2 | 2 | 8 | 2 |
| 1 | 1 | 9 | 2 |
| 2 | 2 | 5 | 8 |
| | 3 | 4 | 9 |
| | 2 | 1 | 3 |
| | | 2 | 7 |
| | | 3 | 5 |
| | | | 10 |
| | | | 11 |
| | | | 12 |
| | | 5 | 5 |
| | | 4 | 5 |
| | | 4 | 4 |
| | | 2 | 2 |
| | | 3 | 3 |
| | | 2 | 2 |
| | 2 | 2 | 2 |
| 11 | 5 | 6 | 6 |

**სუდოკუ**

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 1 | 7 | | 6 | 8 | | 5 |
| | 8 | | 2 | 1 | | | 6 | |
| | 6 | | 5 | 8 | | 1 | | 4 |
| 2 | | 6 | 8 | | 1 | 7 | | 3 |
| | 3 | | | 7 | | 4 | 1 | |
| 1 | | 7 | | 9 | | 5 | 8 | |
| 5 | | 3 | 1 | | 8 | 2 | | 9 |
| 8 | 2 | | | 5 | | | 7 | |
| 6 | 1 | | 4 | | 7 | | 5 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 3 | | | | 7 | | 5 |
| 9 | | | 6 | | | | 3 | |
| | 5 | | 3 | | 7 | | 9 | |
| 3 | | | 5 | | 8 | | | |
| | 6 | | 1 | | | 4 | | |
| | 1 | | | 6 | | 5 | | 3 |
| | | | 9 | | | 1 | | 8 |
| 5 | | | | 1 | | 3 | | |
| 2 | | 1 | | 3 | | | 4 | |

**მაყურებელმა ნინი წიკლაური ჯერ კიდევ წლების წინ „ჯეოსტარიდან“ გაიცნო. მას შემდეგ ნინის მუსიკალური კარიერა მუდმივად ვითარდებოდა, იზრდებოდა და კიდევ უფრო იხვეწებოდა. ახლახან კი, პროექტში „ორი ვარსკვლავი“, მაყურებელმა კიდევ ერთხელ იხილა მისი არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭი, არაერთხელ მოისმინა მისი ძლიერი და ლამაზი ხმა. ამაჟამად ნინი რამდენიმე სიმღერაზე მუშაობს, ერთს ანრი ჯოხაძე უკეთებს. გარდა ამისა, მას ზაზა წურწუმიამ რამდენიმე სიმღერა აჩუქა და მათ ჩაწერას უახლოეს მომავალში გეგმავს.**

# ვის შეცდომებს იღებდა საკუთარ თავზე ნინი წიკლაური და რა სიტუაციებმა და სირთულეებმა გამოაწრთო და გააძლიერა ის

**ნინი წიკლაური**: არ მიყვარს ზაფხული, ზამთარი მირჩევნია. ალბათ იმიტომ, რომ ზამთარი აბალანსებს ჩემს შინაგან სიმხურვალეს. ჩემი წლევანდელი ზაფხული სხვა ზაფხულებთან შედარებით, განსხვავებულია, რადგან სამსახურებრივ წვაში ვარ და ვერც ვგრძნობ, ისე გადის დრო. თან, პარალელურად, კლუბებში ვმღერი, რაღაც რეკლამებს ვახმოვანებ, სულ დატვირთული ვარ. ამიტომ, დიდად არ განვიცდი, რომ შვებულება ვადაზე ადრე მაქვს გამოყენებული. ჩემი შვებულება „ორმა ვარსკვლავმა“ შეიწირა. თუმცა, ამად ნამდვილად ღირდა. ასეთ დროს, თითოეულ ბგერაზე გიწევს მუშაობა, თან არაპროფესიონალთან ერთად სიმღერა, კიდევ უფრო გაათმაგებული შავი სამუშაოა. ჩემს თავზე აღარაფერს ვამბობდი, ოღონდ დუეტი შემდგარიყო. მე და ანრი ხშირად ვსაუბრობთ და ანრი მეუბნებოდა: ზოგჯერ მგონია, ეს პროექტი შენთვის გაკეთდაო. მიუხედავად იმისა, რომ მე ამ პროექტში, როგორც მონაწილე, ისე არ ვიყავი, გამოჩნდა ჩემი შესაძლებლობების ის მხარე, რომელიც აქამდე არ იყო ცნობილი. თუნდაც ის, რომ სხვა პროექტებში პატარა ვიყავი, ახლა უკვე გავიზარდე, სხვა ფაზაში გადავედი და ეს ფართო მასებისთვის არ იყო ცნობილი. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ცნობილი კომპოზიტორი შემხვდა და მითხრა ასეთი რამ: აქამდე სულ უცხოურ ენაზე რომ მღეროდი, ყველა ამბობდა: ნინი საქართველოში შემთხვევით დაიბადა, ამერიკაში რომ ყოფილიყო, უფრო კარგად წავიდოდა წინ. ჩემთვის აღმოჩენა იყო ის ფაქტი, ასე კარგად რომ მღერი ქართულ სიმღერებსო. გაოგნებული დავრჩი. ჩემთვის „ჰერიო ბიჭებოს“ შესრულება არ იყო „აიია“ და ფაფის ჭამა, პირველად ვიმღერე ცხოვრებაში მსგავსი სიმღერა. თუნდაც „დვალეთის წვიმა“ „ეგარის“ ბიჭებთან რომ შევასრულე და ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს. პირველად, რეპეტიციაზე რომ ვიმღერე, „ეგარის“ ბიჭებმა მითხრეს: რა მაგრად მღერი, შენ იმღერე მარტო, ჩვენ არ ვართ საჭიროო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ეს პროექტი ჩემთვის გაკეთდა. თან, ძალიან ბევრი რამ შემეცვალა. კონცერტების ხარისხმა აიწია. მიღებებზე, პომპეზურ საღამოებზე ხშირად მიმღერია, მაგრამ ახლა ქართული სიმღერის, რომანსების საღამოებზე, სადაც ვერასდროს წარმოვიდგენდი თავს, ხშირად მეძახიან. ბევრი მსმენელი მომემატა, რაც ძალიან მიხარია.

**– ასეთ პროექტებში მონაწილეობა საკმაოდ სტრესულია.**

– კი, რადგან ორმაგად ვნერვიულობდი – ის ადამიანი ჩემზე იყო დამოკიდებული. ამიტომ ვცდილობდი, მისი შეცდომაც საკუთარ თავზე ამეღო. რის გამოც ძალიან ხშირად მიწევდა საკუთარ თავზე ბევრი რამის აღება. შეიძლება, რაღაც შემშლოდა და მე უნდა გამომესწორებინა.

**– შენც ფიქრობ, რომ საქართველოში არ უნდა დაბადებულიყავი და შენი ადგილი სხვაგან არის?**

– საქართველოში რომ არ დავბადებულიყავი, ასეთი დაცენტრილი არ ვიქნებოდი. იქ ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, აქ – არა. ეს დაცენტრილობა მე ბევრ რამეში მეხმარება, თუნდაც სიტუაციებში, სცენაზე ხომ მეხმარება და მეხმარება. ამის საშუალებით რაღაცეებს ადვილად გადავალაგ-გადმოვალაგებ ხოლმე. სცენას უხდება ცოტა ხულიგნობა, ცოტა დაცენტრილობა. ცხოვრებაში უფრო მეტად სიწყნარეში დასვენება მიყვარს. ეს, შეიძლება, ჩემი რეჟიმის ბრალია, რადგან ბევრს ვმუშაობ. ბევრჯერ მითქვამს: მოდი, არ წავიდეთ ხალხმრავლობაში, სიმყუდროვეში ვიყოთ-მეთქი და უკვირთ, რადგან წარმოუდგენიათ, რომ მე სულ თავდაყირა უნდა ვიდგე. არადა, არ არის ასე. სცენაზე სულ სხვა რაღაც მემართება: უფრო თავისუფალი ვხდები, გამჭვირვალე, ყოველდღიურობიდან გამოვდივარ და ჩონჩხი ვრჩები. სავარაუდოდ, იმ თვისებებს ვამჟღავნებ, რაც შინაგანად მაქვს. ყველანაირ კომპლექსს ვიხსნი – ყველას გვაქვს ჩაკეტილი, „გრუზინული“ კომპლექსები, მეც მაქვს ერთიორი.

**– როგორც მახსოვს, ადრე გქონდა შემოთავაზება უცხოეთში წასვლაზე.**

– მქონდა რამდენჯერმე შემოთავაზება. ერთი იყო რუსეთში, სერიოზული მოლაპარაკებები ვაწარმოეთ, ძალიან უნდოდათ, რომ წავსულიყავი. მაგრამ საბოლოოდ, უარი ვთქვი. ჩემი ოჯახის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება ამან მიმაღებინა. ყველანაირ პირობას მიქმნიდნენ, მაგრამ საბოლოოდ, აღარ განვიხილე ეს თემა. ახლა ვფიქრობ, რომ რაღაც ეტაპზე, არ მივიღე სწორი გადაწყვეტილება, ჩემს ემოციებს ავყევი.



**მე იმდენს ვმუშაობ, არ მინდა, სახლში მივიდე და ქმარი ტელევიზორთან წამოწოლილი მხვდებოდეს**

**– საკმაოდ პატარა ასაკში საკუთარ თავზე ბევრი პასუხისმგელობის აღება მოგიწია.**

– იმ მომენტში ქმედითუნარიანი ვიყავი, შემეძლო მემუშავა, მემღერა და სიმღერამ ფინანსურად იმდენი მომცა, ჩემდაუნებურად, საკუთარ თავზე ბევრი რამ ავიღე. ახლაც ასე გრძელდება და მე ვერ წარმომიდგენია სხვანაირად ცხოვრება. ხელფასს რომ ავიღებ, გამორიცხულია, წავიდე და ჩემთვის ვიყიდო რამე. ვკითხულობ: აბა, რა გვჭირდება სახლში, რა არ გვაქვს და მივდივარ, ვყიდულობ. თან, ბევრის ყიდვა მიყვარს. ბაზარშიც რომ მივდივარ 1-2 კილოს არასდროს ვიყიდი.

**– ამ ხნის განმავლობაში რა იყო შენთვის ყველაზე დიდი სირთულე?**

– არც ვიცი, ჩემს თავზე რაღაც სირთულეები რომ არ ამეღო, სხვანაირად როგორ უნდა მეცხოვრა. თან, მე ეს არ დამიგეგმავს, ყველაფერი თავისით მოხდა. ახლაც ვამბობ, რომ გავთხოვდები, რაც მექნება, იმის ნახევარზე მეტს ჩემს ოჯახში გავუშვებ და დანარჩენს ახალი ოჯახისთვის დავიტოვებ. ასე რომ, გათხოვების შემდეგაც არ დავანებებ თავს საკუთარ ოჯახზე ზრუნვას. სირთულეები უფრო აძლიერებს ადამიანს. იმ დროს თუ რაღაც დიდ პრობლემად მეჩვენებოდა, ახლა მარტივად ვუყურებ. ანუ, ამ სიტუაციამ, ვალდებულებების, პასუხისმგებლობების აღებამ უფრო მეტად გამომაწრთო.

**– რით განსხვავდება ახლანდელი ნინი იმ ნინისგან, რომელიც პირველად გამოჩნდა მაყურებლის წინაშე?**

– მაშინ ძალიან პატარა ბავშვი ვიყავი გამოუცდელი, ყველაფერს განვიცდიდი. . ახლანდელი ნინი რადიკალურად განსხვავდება იმ ნინისგან, ვერც შევადარებ. წლებმაც თავისი მოიტანა და პასუხისმგებლობამაც და დღეს ერთ-ერთი ძლიერი ქალი ვარ. თუმცა, რაღაც სისუსტეები მაქვს – ემოციური ისევ ვარ, მაგრამ ახლა უფრო მეტად ვაკონტროლებ თავს, ბევრ რამეზე შემიძლია, თავი შევიკავო, ნერვებიც არ მღალატობს. შეცომებიც იმისთვის არის, რომ გაიზარდო. ის, რომ ადამიანი შეცდომებზე სწავლობს, ჩემზე ჭკვიანმა ხალხმა დაასკვნა. კარგია სხვის შეცდომებზე ისწავლო, მაგრამ ადამიანები ამისთვის ძალიან სუსტები ვართ. მაინცდამაინც ყველაფერი საკუთარ თავზე უნდა განვიცადოთ. ვიღაცა რაღაცას რომ მიყვება, ჯერ ავტომატურად, საკუთარ თავთან ვაგზავნი ინფორმაციას, წარმოვიდგენ, ვნერვიულობ და მერე ვიწყებ მის მოსმენას, უკეთ მესმის მისი. მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია, სხვისი შეცდომა მოვისმინო, გავიაზრო, მაინც არ ვარ საკმარისად ძლიერი, რომ ის შეცდომა არ დავუშვა ხვალ და ზეგ.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში? ცოტა ხნის წინ „ფეისბუქზე“ შენს პირად ცხოვრებაში ცვლილებაზე ინფორმაცია გამოაქვეყნე, თუმცა ვისთან ხარ „ურთიერთობაში“ – ეს არ მიგითითებია.**

– ეს როდესღაც ხომ უნდა გამომექვეყნებინა. მეგობრებმა დამირეკეს: უკვე ზედმეტად ხუმრობო. ჯერჯერობით ხუმრობაა. როცა ადამიანი მსგავს ნაბიჯს დგამ, ცდილობ, ფართო მასებმა გაიგოს ეს ინფორმაცია, მაშინ „დავთაგავდი“ კიდეც. კარგი ხუმრობა იყო და ჩემი „ფეისბუქსამეგობრო” ძალიან გაამხიარულა. მერე ვწერდი: ნეტავ, ადრე გამეკეთებინა-მეთქი. ჯერჯერობით სერიოზული არაფერია. თუმცა, ყველაფერი ნაპერწკლიდან იწყება. ნაპერწკალი არის უკვე გაღვივებული, მაგრამ ეს ქართული თავშეკავებულობა, ხომ იცი... ისე, ეს ცოტა ზედმეტია და ხელს გვიშლის, რაც უფრო თავისუფალია გრძნობა, ჩარჩოებიდან გადმოსული, უფრო უკეთესია. უბრალოდ, ამ ეტაპამდე უნდა მიხვიდე, რომ ყველაფერი გახსნა. ეტყობა, მე ჯერ არ ვარ ამ ეტაპამდე. რომ მივალ, მერე გამჭვირვალეს გავხდი.

**– როგორია ახლა მამაკაცებისადმი შენი მოთხოვნები, კრიტერიუმები?**

– ადრე ვიღაც, რომ მომწონებია, ახლა ვფიქრობ: ეს როგორ მომწონდა-მეთქი. დღეს სხვა კრიტერიუმებია. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანი დასაქმებული იყოს, თავის საქმე ჰქონდეს. საქართველოში ჭირს სამსახურები, მაგრამ როცა ადამიანს მუშაობა უნდა, ის არაფერს თაკილობს. მე იმდენს ვმუშაობ, არ მინდა, სახლში მივიდე და ქმარი ტელევიზორთან წამოწოლილი მხვდებოდეს. მინდა, რეალიზებული იყოს, თავისი საქმე ჰქონდეს, იგივე რიტმში ცხოვრობდეს, როგორც მე – ასე უკეთ გამიგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იდილია არ გვექნება, თუნდაც იმიტომ, რომ ვერ გაიგებს, ასე რატომ ვიღლები. რაც დრო გადის, უფრო მეტად გიჭირს გადაწყვეტილების მიღება. პატარ-პატარა რაღაცეებს ეკიდები და კრიტერიუმებიც გეზრდება. თუმცა, იმას მაინც არ მოვთხოვ, რის საშუალება და შესაძლებლობაც არ ექნება. უბრალოდ, ყველაზე მნიშვნელოვანია, იცოდეს, რა უნდა, რა მიზანი აქვს. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ეს მიზანი. მე ერთი დღე ვერ ვიცხოვრებ მიზნის გარეშე. ახლა ერთი მიზანი მაქვს: იმდენი ვიმუშავო, რომ ერთოთახიანი ბინა ვიყიდო ჩემთვის, უკვე ვარ ამ პროცესში. ამის გამო, რაღაცეებზე უარის თქმაც არ მიჭირს.

**ნათია უტიაშვილი**

**მეოთხე წელია, მომღერალ ანი სირაძის გარშემო არ ცხრება ვნებათაღელვა და ძალიან ცოტამ თუ იცის, რეალურად, რა ტრაგედიების სერია გადაიტანა მან 16 წლის ასაკში. იშვიათია ადამიანი, რომელიც ამ ასაკში ამხელა ტკივილს და ცხოვრების გამოწვევას გაუძლებს. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ოთხწლიანმა რთულმა პერიოდმა მორალურად გაამყარა და თვალი აუხილა ჭეშმარიტი მეგობრობის ჯადოსნურ ურთიერთობებზე.**

# როდის დაემხო თავზე ცა და დედამიწა ანი სირაძეს და ვინ მიატოვა ყველაზე რთულ პერიოდში

**– როცა რედაქტორმა დაგვავალა, ახალი რუბრიკებისთვის გაგვეკეთებინა რესპონდენტთა სია, ვინც ამა თუ იმ რუბრიკას შეესაბამებოდა, ჩემდა უნებურად, შენ ამომიტივტივდი თავში. როგორც წესი, ყველა ჟურნალისტს აქვს საკუთარი სია და ეს სია, ძირითადად, პირად ურთიერთობებზეა დამყარებული. მიუხედავად იმისა, რომ შენს შემოქმედებას და ბიოგრაფიას კარგად ვიცნობ, თვით მეც კი, გამომეპარა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაზეც დიდი ხნის წინ უნდა დავფიქრებულიყავი. ამას ჰქვია, არაპროფესიონალიზმი და სამწუხაროდ, დღეს მედია ჩემნაირი არაპროფესიონალებით არის სავსე – ხშირად არაფრისმომცემ საკითხებზე ვამახვილებთ ყურადღებას და მნიშვნელოვანს გვერდს ვუვლით. მინდა, ჩემი შეცდომა გამოვასწორო და დღეს ვისაუბროთ იმაზე, რა ტრაგედია და ტკივილი გადაიტანა 16 წლის გოგონამ.**

– ვფიქრობდი, ადრე თუ გვიან ამ საკითხს ვინმე შეეხებოდა და მხოლოდ კარადაში შეძრომით არ შემოიფარგლებოდნენ. რეალურად, არავინ იცის, რა ტკივილი გადავიტანე და არც არავის ვუსურვებ, ამის გამოცდას, მათ შორის, არც მათ, ვინც ყველაზე მეტად მატკინა. ყველას გვაქვს ცხოვრებაში „შავი პალასა“, რომელიც ადრე თუ გვიან მთავრდება, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, ეს აღარასოდეს დამთავრდა. ძალიან დიდხანს გაგრძელდა და კიდევ დღემდე ტოვებს თავის კვალს.

**– მაია ასათიანისეული კითხვა უნდა დაგისვა: როგორ დაიწყო პრობლემებთან შენი შეჯახება?**

– 2010 წელი უღრუბლოდ და ულამაზესად დაიწყო. იქამდე „იურმალის“ პირველი საბავშვო კონკურსის ფინალისტი გავხდი, საქართველოს შიდა შესარჩევ კონკურსში. ამასობაში, რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატობაც მოვიპოვე. ომის დაძაბული ურთიერთობის გამო, იურმალაში წასვლაზე უარი ვთქვი და გადავიღე კლიპი – „არ გვინდა ვანია“, რომელმაც დიდი წარმატება მომიტანა. მქონდა ბევრი კონცერტი, საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში ჩავედი ამ სიმღერით. ყველა მეგობარი ჩემ გვერდით იყო. ვიღებდი უამრავ სასიყვარულო წერილს და საჩუქრებს უცნობი თაყვანისმცემლებისგან. ერთი სიტყვით, უბედნიერესი ვიყავი და ამასობაში 2 კვირით ბათუმის „შერატონში“ წავედი დედასთან და მომღერალ დათო ძიძიგურთან ერთად, სადაც ქალბატონ მარინა ბერიძეს შევხვდი. მან დამიყოლია, „ჯეოსტარში“ მიმეღო მონაწილეობა. დედას არ უნდოდა, ჩემი ასაკის გამო, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც დავთანხმდით.

**– შემდეგ რა შეიცვალა?**

– არ ვიცი. ამაზე დღემდე ვფიქრობ და ბევრი ვერსია მაქვს. მათ შორის, ვცდილობ, გავამართლო მისი უკომპრომისო საყვედურები, რომელმაც, პრაქტიკულად, რაღაც მომენტში, დამაკომპლექსა. ეს, ერთი მხრივ, ჩემი ასაკისა და გამოუცდელობის გამოც მოხდა, რასაც მოჰყვა სიცხე და ყელის პრობლემა. ამას დაემატა ის, რომ მომიხდა რამდენიმე რეპეტიციის გაცდენა. ასევე, რეპერტუარი, რომელიც მე მქონდა, არ იყო ჩემი. კიდევ იყო რიგი მიზეზები კულისებში, რის გამოც, ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ ვაჩვენე. თუმცა, იყო რამდენიმე ტური, სადაც კარგი გამოსვლა მქონდა.

**– კიდევ სხვა ფაქტორებიც იყო, რომელმაც შენზე ზეგავლენა მოახდინა?**

– სოციალური ქსელი: „იუთუბი“ და „ფეისბუქი“, სადაც დაიწყეს ჩემი კრიტიკა – უფრო ლანძღვა, ვიდრე კრიტიკა. მარინას ყოველი სიტყვა პირდაპირპროპორციულად აისახებოდა ხალხის აგრესიულ კომენტარებზე, რომელმაც ძალიან იმოქმედა ჩემზე. 16 წლის გოგოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ლაიქებს“ და ადამიანების კომენტარებს, რომელთა დაუფიქრებელმა გამონათქვამებმაც მიმიყვანა მძიმე შედეგამდე. ამასობაში რამდენიმე მეგობარი ველარ დავინახე დარბაზში (გულშემატკივართა რიგებში). და მიზეზები ის იყო, რომ ვიღაცას ღამის 10 საათზე ისტორიის გაკვეთილი დაუნიშნა მასწავლებელმა, ვიღაცას ქალაქგარეთ კონცერტი დაუნიშნეს, ვიღაცას ფეხი გადაუბრუნდა და პრაქტიკულად, შემომეცალა მეგობრები, რომელთა გამხნევება ყველაზე მეტად მჭირდებოდა დარბაზიდან. საბოლოო ჯამში, ყველა ჩემს წინააღმდეგ გაერთიანდა იმ თვალსაზრისით, რომ ერთ-ერთმა ყველაზე კეთილისმსურველმა, საუკეთესო მეგობარმა გადაწყვიტა, თავის სახლში მოეწყო თანადგომის საღამოები და ემსჯელათ, როგორ დამხმარებოდნენ. სინამდვილეში კი, ეს საღამოები ჩემ წინააღმდეგ, დანარჩენი მეგობრების ჩამოსაშორებლად იყო გამიჯნული. ამას დაემატა ბაბუას გარდაცვალება, კიდევ ერთმა ჩემი ოჯახის წევრმაც მიგვატოვა. ადამიანმა, რომელიც წლების მანძილზე ჩვენთან ცხოვრობდა, ჩათვალა, რომ მისთვის ზედმეტი თავის ტკივილი ვიყავი, გაიხურა კარი და წავიდა.



არ მაპატიეს, რომ ეთერ ჭელიძის შვილიშვილი ვარ, რომლითაც დღემდე ვამაყობ და მომავალშიც ვიამაყებ. პრაქტიკულად, თინეიჯერობის წლები მთლიანად დავკარგე. მაგრამ, ვფიქრობ, მაინც ძლიერი ადამიანი ვარ და ყველა სირთულეს გავუმკლავდები

**– სანამ ინტერვიუს დავიწყებდით, ამბობდი, ათას სისულელეს მაბრალებდნენო და რას გულისხმობდი?**

– მაშინ იმდენად ცუდად ვიყავი, რომ სასწრაფო სასწრაფოზე მოდიოდა და ფაქტობრივად, ჩემთან ცხოვრობდნენ. წამდაუწუმ მიმდიოდა გული და ვიღაც მიიჩნევდა, რომ მე ამას ვიგონებდი. იმასაც ამბობდნენ, რომ საერთოდაც შეკრული ვიყავი – გადაცემას პიარს ვუკეთებდი. რა ვიცი, მართლა ათას სისულელეს ამბობდნენ. უბრალოდ, ვერ ვხვდები, ტყუილი გულის წასვლა და სასწრაფოს გამოძახება რატომ უნდა დამჭირვებოდა – ეს ხომ მარაზმია?! ყველაზე საოცრება ის არის, რატომ ატყდა ასეთი ამბავი? დავუშვათ, მართლაც ვიღაცას რაღაც არ მოეწონა – შეიძლება, ამის გამო ადამიანი ასე გაიმეტო და ხელაღებით, დაუფიქრებელი სიტყვებით ასეთი ტკივილი მიაყენო?

**– ამ მოკლე პერიოდში მამაც გარდაგეცვალა და ასევე, ბებიის – ქალბატონ ეთერ ჭელიძის დაც გარდაიცვალა, ხომ?**

– ჯერ ბებია გარდაიცვალა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ჩვენი ოჯახის მფარველი ანგელოზი იყო. სამწუხაროდ, მე ვერ მოვესწარი ბებიას (ეთერ ჭელიძე), ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალა. მაგრამ, მთელი ჩემი სიყვარული ამ ბებიის მიმართ მქონდა და ისე მეხმარებოდა, როგორც ეთერ ჭელიძე დამეხმარებოდა. ამის შემდეგ კი, მამაც გარდამეცვალა და ახლა თავად წარმოიდგინეთ, რამდენი გადავიტანე ამ მოკლე ხანში. ცა და დედამიწა ერთად დამემხო თავზე.

**– თუმცა, ამ ყველაფრის შემდეგ, მაინც წამოდექი ფეხზე, კლიპიც გადაიღე და კონცერტებზეც დადიხარ.**

– ამას ბიძაჩემს უნდა ვუმადლოდე. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საწოლში არ დავრჩენილიყავი. წამიყვანა ავსტრიაში, სადაც რეაბილიტაცია გავიარე და ყველა პირობა შემიქმნა, რომ გამოვჯანმრთელებულიყავი. ასე რომ, ბიძაჩემს, თემურ აფხაიძეს და მის მეუღლეს მინდა, გადავუხადო დიდი მადლობა და კიდევ ბექა ხალათაშვილს, მეგობარს, რომელიც მძიმე პერიოდში გვერდში დამიდგა და არ მომცა მოდუნების საშუალება. კახეთში კონცერტს კონცერტზე მიკეთებდა, რომელსაც ვერასდროს დავუვიწყებ. დღეს სულ სხვა სამეგობრო წრე მყავს – იმ დროისთვის სრულიად უცხო ადამიანები, რომლებიც გვერდში დამიდგნენ და ყველანაირად ცდილობდნენ ჩემს გახალისებას.

**– ანი, რა დაგანახვა ან რა გასწავლა ამ რთულმა პერიოდმა?**

– დამანახვა, რა არის ნამდვილი მეგობრობა, უფრო სწორად, ვინ იყვნენ მეგობრები და ვინ ეგრეთ წოდებული „პონტავშიკები“, რომლებიც მეგობრობის ნიღაბს ამოფარებულები კარგ სიტუაციებში ხვდებოდნენ. მერე კი, უბრალოდ, დაეზარათ თანადგომის გაწევა და მშვიდ გარემოში ყავის დალევა ამჯობინეს. თან, უკვე მოდაში იყო ანი სირაძის გალანძღვა. მაგარ „ტიპად“ ითვლებოდი, თუ ანი სირაძეს გალანძღავდი. მოგვიანებით კი, როცა „რუსთავი 2-ის“ ეთერში ჩემი კლიპი გავიდა, იმ „კაი ტიპებმა“ ისევ მოისურვეს ჩემთან დაკონტაქტება, ისევ ულამაზესი, უსაყვარლესი და უნიჭიერესი გავხდი. ანრი ჯოხაძეს მინდა, მადლობა გადავუხადო, მას ყოველთვის სჯეროდა ჩემი, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ის ფაქტი, რომ ამ რთული პერიოდის შემდეგ, ძალიან ლამაზი და თბილი კლიპი გადამიღო.

**– რაც არ გკლავს, გაძლიერებსო, ნათქვამია და გამოდის, რომ ტკივილმა გაგაძლიერა?**

– ეს ყველაფერი რომ არ მომხდარიყო, კარგი იქნებობდა, მით უმეტეს, 16 წლის ასაკში – ბავშვობისა და თინეიჯერობის გზაგასაყარზე. ამ დროს ხარ ყველაზე ბედნიერი, როცა ყველგან და ყველაფერში კარგს, პოზიტივს ხედავ, მე კი, უცებ თავზე დამემხო ყველაფერი. არ მაპატიეს, რომ ეთერ ჭელიძის შვილიშვილი ვარ, რომლითაც დღემდე ვამაყობ და მომავალშიც ვიამაყებ. პრაქტიკულად, თინეიჯერობის წლები მთლიანად დავკარგე, მაგრამ ვფიქრობ, მაინც ძლიერი ადამიანი ვარ და ყველა სირთულეს გავუმკლავდები.

**ბესო მახარაშვილი**

**ქუჩის მუსიკოსი შოთა ადამაშვილი საქართველოში „ქანთრის" ერთადერთი შემსრულებელია. კოვბოის ქუდითა და „კაზაჩოკებით“ ვესტერნის ჟანრის ფილმის გმირს ჰგავს და ეს შემთხვევითი სულაც არ არის, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ბოლნისელი ბიჭის შთაგონების წყარო სწორედ ვესტერნი იყო. „ახალი ხმის“ გამორჩეული კონკურსანტის ცხოვრებისეული სიახლეების, სამომავლო გეგმებისა და პირადი ურთიერთობების შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რატომ მიიჩნევს თავს დაჩაგრულად „ახალი ხმის" კონკურსანტი, ჰეტეროსექსუალი შოთა ადამაშვილი

– სატელევიზიო პროექტმა „ახალი ხმა“ პოპულარობა მომიტანა. ტელევიზიამ თავისი საქმე გაკეთა, მაგრამ, ქვეყანაში არსებული მოცემულეობა არ იძლევა შემდგომი განვითარების საშუალებას. ქუჩის მუსიკით დავიწყე და დღესაც ქუჩაში ვუკრავ. ჩვენთან მუსიკალური ბიზნესი, ფაქტობრივად, არ არსებობს. წელიწადში სულ რამდენიმე ფესტივალი იმართება და იქაც შეკრული ჯგუფებია, რომლებიც ერთსა და იმავე ხალხს ატრიალებენ ყოველ წელს. ხშირად მეუბნებიან, პროექტის მერე აქ რატომ დგახარო, თითქოს ჩემი ბრალია, სხვა გასაქანი რომ არ არსებობს. კრაკოვში პოლონური „X ფაქტორის" გამარჯვებული გავიცანი, რომელიც, წარმატების მიუხედავად, ქუჩაში დაკვრას განაგრძობდა, მაგრამ, არა იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, უბრალოდ, დამოუკიდებელი მოღვაწეობა ანიჭებდა სიამოვნებას.

**– საქართველოში მუსიკალური ინდუსტრიის კრიზისი სტიმულს გიკლავს?**



**ზოგი მიიჩნევს, რომ ქუჩის მოსიკოსობა ხელობაა და არა ხელოვნება. „ქართული დაუკარის“ თემა კიდევ აქტუალურია და, იცი, რატომ? როცა საზოგადოება კონკრეტული კომპოზიციის მუსიკალურ მხარეს ვერ იგებს, მერე ითხოვს მისთვის გასაგებ ენაზე იმღერო. ამის გამო ხშირად ყოფილა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები**

– სტიმულს ვერ მიკლავს, მაგრამ, მთრგუნავს. პროექტის დასრულებიდან თითქმის ერთი წელი გავიდა და, არაფერი შეცვლილა. ეს გზა მე ავირჩიე და მიმაჩნია, რომ ქუჩაში დაკვრა სულაც არ არის დამამცირებელი, საკითხავი ისაა, მეტის პერსპექტივა თუ არსებობს. მუსიკა რომ ჩემთვის მხოლოდ ფულის შოვნის საშუალება იყოს, შემზიზღდებოდა. პროფესიით ჟურნალისტი ვარ, ინგლისური, გერმანული და პოლონური ენები ვიცი, რუსულშიც არა მიშავს. სახელმწიფო სამსახურში მუშაობის დაწყებაც შემეძლო, მაგრამ, ყველაზე მეტად რაც მიყვარს, იმას ვაკეთებ. ქუჩის მუსიკოსობით თვეში მაქსიმუმ 300-400 ლარს ვშოულობ, ცოტას მშობლებიც მეხმარებიან და ეს მინიმუმია იმისთვის, რომ საჭმელი და გზის ფული მქონდეს. რეალურად, შეუძლებელია, ამით ოჯახი შეინახო. მე მყავს მეგობარი, რომელიც დღეში ექვსი საათი უკრავს იმიტომ, რომ ოჯახი ჰყავს სარჩენი. მუსიკა მისთვის უკვე რუტინაა. 1 000 ლარი რომ მქონდეს ამ ეტაპზე, ეგეც მეყოფოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მაქვს. იშვიათად შეიძლება გამოჩნდეს ბარში სალამო. როცა ქუჩაში ყოველდღე ათი-თხუთმეტი ლარისთვის გიწევს ბრძოლა, ეს იმდენ დროს გართმევს, რომ აღარ გაქვს შემოქმედებითი განვითარების საშუალება. მუსიკოსებმაც სოლიდარობა უნდა გამოვიჩინოთ ერთმანეთის მიმართ. მე ვამბობ, რომ ბარში 50 ლარად აღარ დავუკრავ, მაგრამ, ვიღაც წავა და 30 ლარად დაუკრავს. მე ვიცი, რომ ჩემს პოპულარობაში უნდა გადამიხადონ, ამიტომ, მირჩევნია, 10 ლარი გავაკეთო მიწისქვეშა გადასასვლელში. მედიაც ტრაფარეტულად გვიდგება. არ აინტერსებთ კონკრეტული პიროვნება, დღევანდელი დღე და რას აკეთებს ახლა. მათი მიდგომა ძალიან არაინდივიდუალურია. ელვის პრესლის მანერებით რომ იმღეროს თანამედროვე მომღერალმა, მოსაბეზრებელი იქნება. ასეთივე დამოკიდებულებაა მედიის მხრიდან. ერთი წრის ირგვლივ ვტრიალებთ.

**– მედიის წარმომადგენლები იმ საკითხებით ინტერესდებიან, რისი მოთხოვნაცაა საზოგადოების მხრიდან. „ქანთრი" საქართველოში პოპულარული არ არის, შესაბამისად, არც კომერციული. სხვა ჟანრის შესრულებაზე არ გიფიქრია?**

– „ქანთრი" იმიტომ შემიყვარდა, რომ უფორო მეტი თავისუფლება იგრძნობა ტექსტებშიც და მუსიკაშიც. არ გამომდის ქართული სიმღერა, მაგრამ, „ქანთრს" რომ დავიწყებ, თავისით ამოდის ხმა. არ ვარ ამ ჟანრში ნოვატორი და არც უნიკალური ხმის ტემბრი მაქვს, უბრალოდ, ამას საქართველოში მარტო მე ვმღერი. სამწუხაროდ, ვერ ვიზრდები კონკურენციისა და ბენდის გარეშე, ამიტომ, რქებით ვიბრძვი, რომ გზა გავიკვლიო ამერიკისკენ. მე „ჩემი ამერიკა" მაქვს – კენტუკის შტატი ჩემთვის რაღაც ბრენდებთან კი არა, „ქანთრი" მუსიკასთან ასოცირდება. დაახლოებით 20 წლიდან ვცდილობ, მოვძებნო გზები წასასვლელად. არც ერთხელ არ შემიტანია ვიზაზე აპლიკაცია იმიტომ, რომ უფულო ტიპი ვარ და, ვიცი, უარს ჩამირტყამენ. საინტერესო ის უფროა, რომ ოკეანის გადაღმა შემიყვარდა „ქანთრი". ამერიკაში ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა. ჯეკი ჩანი როგორც იტყოდა, მთავარი საუკეთესოობა კი არა, უნიკალურობაა. „ქანთრიმდე" რომ მივედი, ეს კანონზომიერია, ისევე, როგორც ის, რომ „ახალ ხმაში“ მივიღე მონაწილეობა, რასაც ზოგჯერ ვნანობ კიდეც.

**– რატომ?**

– გარკვეულწილად იმიტომ, რომ დრო დავკარგე და ბევრი სიბინძურე ვნახე, მაგრამ, უარყოფითმა გამაძლიერა. მე პატარა ბავშვი არ ვარ, რომელიც, თუ გავარდა, ითრგუნება. ყველაზე თავისუფალი „ბრმა ქასთინგის" დროს ვიყავი, მერე, ვილაცეების მხრიდან იმხელა ზიზღი რომ ვიგრძენი, ძალიან დამთრგუნველი და დამამცირებელი იყო. თამამად შემიძლია, განვაცხადო: საკუთარი რეპერტუარის არჩევანში მეტი თავისუფლება რომ მქონოდა შოუს ხელმძღვანელებისგან, ჩემს ძლიერ მხარეებს უკეთესად გამოვავლენდი, მაგრამ, ეს არ არის ამოსავალი წერტილი. მთავარია, რა ხდება მერე. რა თქმა უნდა, უცხოეთშიც მიდიან კრეატიული ტიპები იქაურ პროექტებში, მაგრამ, მერე სხვა გასაქანი ეძლევათ. მედალს ორი მხარე აქვს. მე მოსაგებად მაინც არ შევსულვარ პროექტში.

**– ცოტა გაუგებარია, რატომ არ უნდა იყოს მუსიკალური პროექტის მონაწილის მიზანი მოგება.**

– გამოცდილების მიღება მინდოდა, რაც იმას გულისხმობს, რომ უნდა შეხვიდე შოუში და შენზე მაგარი ტიპებისგან ისწავლო რაღაცეები. ჩემს შემთხვევაში ასეთი იყო დათო – უდიდესი „ბეგრაუნდის“ მქონე ადამიანი. ჩვენ დღესაც ვმეგობრობთ და მისი თითოეული რჩევა მუსიკალურ თუ ცხოვრებისეულ ასპექტში, ძალიან მადგება ხოლმე. ზოგადად, კონკურსის ჭია არ უნდა გახდე. ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მაინც პირველი წელია და ბევრი ნაკლი აქვს „X ფაქტორს," ბევრი ინდივიდუალისტი გააცნო ხალხს და ეს კარგია.

**– შოთა, მარტო ხმის ტემბრით კი არა, ჩაცმის სტილითაც გამორჩეული ადამიანი ხარ. მახსოვს, ამბობდი, ჩემს იმიჯზე საზოგადოებას არაერთგვაროვანი რეაქცია აქვსო. ამ მხრივ შეიცვალა რამე?**

– კი, ვარკეთილში სახეზე არ დავევასე „სასტავს“ და ფიზიკურად გამისწორდნენ. იმ პერიოდში გიტარაც გამიტეხეს. ეს უკვე საერთო მენტალური პრობლემაა: ზოგი სიტყვიერად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, ზოგიც – ფიზიკური აგრესიით. თითქოს შეიცვალა მიდგომა, მაგრამ, ძირითადად მაინც როგორც მათხოვრის მიმართ, ისეთი დამოკიდებულება აქვთ ქუჩის მუსიკოსისა და მათგან განსხვავებული ადამიანების მიმართ. ზოგი მიიჩნევს, რომ ქუჩის მოსიკოსობა ხელობაა და არა ხელოვნება. „ქართული დაუკარის“ თემა კიდევ აქტუალურია და, იცი, რატომ? როცა საზოგადოება კონკრეტული კომპოზიციის მუსიკალურ მხარეს ვერ იგებს, მერე ითხოვს, მისთვის გასაგებ ენაზე იმღერო. ამის გამო ხშირად ყოფილა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები. ცუდი ტიპები ყველგან არიან, მაგრამ, ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ, „პადზემკის“ მეტი სივრცე არ არსებობს, სადაც დაკვრა შეგვიძლია. ადრე მთაწმინდის პარკში ავდიოდი ხოლმე და პარკინგის ზოლის იქითაც კი არ მიშვებდნენ – არ დაუკრაო. ჩვენთან მიუწვდომელია კონკრეტული ლიცენზიის აღება, რომ ქუჩაში დაკვრის უფლება მოვიპოვოთ. კრაკოვში ცენტრალურ მოედანზე უკრავდნენ მუსიკოსები და მითხრეს, რომ მერიიდან აიღეს ნებართვა. იქ ამის გარკვეული რეგულირების მექანიზმები არსებობს. ჩვენ გავდივართ ქუჩაში მოწყალების მთხოვნელი ადამიანების დონეზე და არც კი აღგვიქვამენ მშრომელებად. მე ვიცნობ ქუჩის მუსიკოსს, რომელიც უმცირესობის წარმომადგენელია და უპრობლემოდ უკრავს საბურთალოსა და ვაგზლის მეტროში, რაც ჩემთვის აკრძალულია. მე რომ არ ვარ უმცირესობა, ამის გამო უნდა დავიჩაგრო?! სქესობრივი უმცირესობების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ მაინც არ უნდა ხდებოდეს ჩვენი დიფერენციაცია. დისკრიმინირებულები ჰეტეროსექსუალები გამოვდივართ.

**– პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

– მყავს მეგობარი გოგო, მაგრამ, რადგან ჩემი სამომავლო გეგმები არ უკავშირდება ამ ქვეყანას, ამის გამო ძალიან მიჭირს, ურთიერთობა უფრო მეტად გავასერიოზულო – ვიცი, რომ, შეიძლება დაშორება მოგვიწიოს. როცა ახალგაზრდა მუსიკოსი მოგზაურობაზე ოცნებობ, რთულია ოჯახის შექმნაზეც იფიქრო. მიუხედავად იმისა, რომ 26 წლის ვარ და საქართველოში ეს უკვე დასაოჯახებელ ასაკად ითვლება, მაინც ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში არ არის აუცილებელი, ცოლი და შვილები გყავდეს. კი, ძალიან მაგარი რამეა, მე ოთხშვილიანი ოჯახიდან ვარ, მაგრამ, ამ ეტაპზე, რამდენიმე წელი მაინც, ცოლ-შვილზე არ ვფიქრობ.

**– სად გაიცანით ერთმანეთი?**

– ინტერნეტსივრცეში, ჩვენი საერთო მუსიკალური გემოვნებიდან გამომდინარე. როგორ განვითარდება მოვლენები ჯერ არ ვიცი. თუ ადამიანი გიყვარს და მას სრულ თავისუფლებას მისცემ, ეს უკვე დიდი ბედნიერებაა. როცა არაფერს ელოდები და მაინც გასცემ, ესეც დიდი ნიჭია, სიყვარული – ვალდებულებებისა და მოვალეობების გარეშე. ანუ, ბუნებრივად რომ აკეთებ ამას: გვერდში რომ უდგახარ, ყურადღებას რომ გამოხატავ და გულიდან მოდის ეს ყველაფერი და არა ვალდებულების გამო, ესაა სიყვარული. თუ შენ ისე უდგები ამას როგორც პასუხისმგებლობას, ეს უკვე რუტინაა. სანამ არ დარწმუნდები, რომ, შეგიძლია მასთან დიდხანს იყო, არ უნდა დაუკავშირო შენი ცხოვრება. მე, მაგალითად, საყვარელ ადამიანთან ერთად ბევრ მოგზაურობას ვისურვებდი – მგონია, რომ ასე უფრო „მუღამიანია“ ცხოვრება.

**ნათია არსენიშვილი**

**გოგონა, რომელიც ხალხის მიერ იქნა აღიარებული და საქართველო თავისი ხმით დაიპყრო – სალომე ტეტიაშვილი, თბილისში დაიბადა და გაიზარდა. ის 20 წლისაა და ნაქირავებ ბინაში დედასთან ერთად ცხოვრობს. გთავაზობთ ყველასათვის საყვარელი და ნიჭიერი მომღერლის ცხოვრების დეტალებს.**

# რას არ თაკილობდა სალომე ტეტიაშვილი და რა მიიღო მან ცხოვრებისგან

**– სალომე, მოგვიყევი შენ შესახებ.**

– განსაკუთრებული არაფერი მაქვს მოსაყოლი, ჩვეულებრივად ვცხოვრობ. ოჯახში მხოლოდ მე და დედა ვართ. მამა ბოლოს რომ ვნახე, პატარა ვიყავი. დედისერთა ვარ. ჩვეულებრივი ოჯახი გვაქვს – დედაჩემი მუშაობს, მე ჩემს საქმეს ვაკეთებ. სხვა ოჯახებისგან განსხვავებული ჩვენთან არაფერი ხდება. მე და დედას ძალიან მეგობრული და თბილი ურთიერთობა გვაქვს.

**– იქნებ, გაიხსენო, რამდენი წლის იყავი როცა მამა წავიდა?**

– 6 თუ 7 წლის, ზუსტად აღარ მახსოვს. მგონი, 6-ის ვხდებოდი, იმიტომ, რომ სკოლაში უნდა შევსულიყავი. მამა კარგად არ მახსოვს, თუმცა, სადმე რომ შემხვდეს, ვიცნობ. ერთი რამე მინდა აღვნიშნო მამაზე: დედა მასზე ცუდად არასდროს ლაპარაკობდა, ალბათ იმიტომ, რომ ერთად ყოფნის პერიოდში ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მე რაც მახსოვს, არ უჩხუბიათ. ზუსტი მიზეზი ვიცი, რატომაც წავიდა მამა – ვიდრე დედას გაიცნობდა, მას ჰქონდა ოჯახი და მას დაუბრუნდა. მყავს უფროსი ძმა მამის მხრიდან. ჩემს მშობლებს ერთად ცოტა ხანს არ უცხოვრიათ, წლები ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, ვიცი, რომ დედა გათხოვდა 22 წლის, ხოლო, მე გავჩნდი, როცა ის 38 წლის იყო.

**– დღეს თუ ეხმიანები მამას?**

– დღეს მასთან არავითარი შეხება არ მაქვს, 13 წელია არ მინახავს და არც დავკონტაქტებივართ ერთმანეთს. მისი ნახვის სურვილი არა ერთხელ მქონია, მაგრამ, მარტო სურვილი არაფერია. როცა ასეთი სიტუაციაა, სურვილი ორივეს მხრიდან უნდა მოდიოდეს. მე ვფიქრობ, მამაჩემს უნდა გამოეჩინა ინიციატივა და ვენახე, მაგრამ, ალბათ, არ უნდოდა და ეს მისი გადაწყვეტილება იყო. მე შემიძლია, ხვალაც მოვინდომო და ვნახო, მაგრამ, ამას არ გავაკეთებ იმიტომ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არ გამოუჩენია ჩემ მიმართ ინტერესი.

**– როცა პოპულარული გახდი ამის შემდეგაც არ შეგხმიანებია?**

– საერთოდ არა. არც ზარი ყოფილა ჩემს ტელეფონზე, არც სოციალური ქსელით დაკონტაქტება. ერთადერთხელ დამეკონტაქტა ჩემი ძმა. ვიდრე კონკურსში გავიდოდი, პირველად გამოვჩნდი ერთ-ერთ გადაცემაში და ამის შემდეგ დამირეკა, მითხრა, რომ უნდოდა, ვენახე და გვერდში დამდგომოდა, მხარი დაეჭირა ჩემთვის. სულ ეს იყო, მას მერე აღარ დაურეკავს.

**– ყველაზე მეტად როდის გაგიჭირდა?**

– მაშინ, როდესაც მამა წავიდა. მახსოვს, დედა არ მუშაობდა, მაგრამ, ის ძალიან ძლიერი ქალია, არ გატყდა და ყველაფერი გააკეთა ჩემთვის. ბავშვობა იყო ყველაზე რთული პერიოდი. ყოფილა შემთხვევა, რომ სახლში არც საჭმელი გვქონია, არც გათბობა. დეტალებში აღარ ვილაპარაკებ, იმიტომ, რომ ხალხში გაჩნდა აზრი, თითქოს ჩემმა ისტორიამ შეიტანა წვლილი ჩემს, ასე ვთქვათ, პოპულარობაში. მართალია, საზოგადოებაზე მოქმედებს მსგავსი ისტორიები, მაგრამ, ვიდრე ჩემი ისტორია გახმაურდებოდა, მანამდე უკვე მიცნობდა ხალხი. ვფიქრობ, რომ ჩემმა გულწრფელობამ იქონია გავლენა და არა ჩემმა ისტორიამ, რასაც ვმღერი, ეს მივიდა მათ ყურამდეც. ყოველთვის მიხარია, როდესაც ვკითხულობ: „მაჟრიალებს, ეს გოგო რომ მღერის”.

**– ახალი რა ხდება შენს ცხოვრებაში?**

– სიახლე ბევრია. ასე მგონია, ყველაზე მეტად რაც მინდოდა, გავაკეთე. პირველ ყოვლისა, ვგრძნობ ხალხის სიყვარულს და ამით ვარ ძალიან მდიდარი. საქართველოში სიმღერის კუთხით რთულია რეპუტაციის მოპოვება. ქართველები კრიტიკოსები ვართ – ყველას ჰგონია, შენს ადგილზე რომ იყვნენ, თავად უფრო მეტს შეძლებდნენ. ჩემს შემთხვევაში ცოტა სხვაგავარად მოხდა – იყო კრიტიკაც, მაგრამ, ძალიან ცოტა და, ისიც ზომიერების ფარგლებში. ლანძღვა, გინება, როგორც გვჩვევია ხოლმე, არ ყოფილა. მე ვგრძნობ მათ სიყვარულს და ამით ვარ ბედნიერი. მინდოდა, რომ ხალხს გავეცანი და შევყვარებოდი და ამისათვის არავის დახმარება არ დამჭირვებია, რაც გავაკეთე ყველაფერი ჩემით შევძელი. მე არ მყოლია ვოკალის მასწავლებელი, დამხმარე ან ვინმე „პატრონი”. კიდევ, მონდოდა, რომ ცოცხალი ბენდი მყოლოდა და ესეც გავაკთე – ზურა მოსიავასთან ერთად შევქმენი ბენდი. სულ ვვარჯოშობთ, რომ მსმენელს არ მოვაკლოთ ჩვენი მუსიკა.



მამა კარგად არ მახსოვს, თუმცა, სადმე რომ შემხვდეს, ვიცნობ

**– რით შემოიფარგლება თქვენი ბენდის არეალი?**

– საერთოდ, საქართველოში მუსიკალური ბაზარი პატარაა. მოიგებენ ხოლმე პროექტებს, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც ბარში მღერიან. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ამ პროფესიაში შენი სიამოვნებისთვის უნდა გააკეთო ყველაფერი და ჩვენც ასე ვართ: სხვადასხვა ბარში ვმღერით, კორპორაციულ საღამოებზეც დავდივართ, თუ დაგვირეკავენ. ამჟამად ვგეგმავთ შავიზღვისპირეთში წასვლას, სადაც უკვე ჩვენს პატარა საღამოებს მოვაწყობთ.

**– რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში პოპულარობის შემდეგ?**

– შეიცვალა ის, რომ საკუთარი შემოსავალი მაქვს და დედაზე აღარ ვარ დამოკიდებული; მოკლედ რომ ვთქვა, ჩემი ჯიბის ფული მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შრომა საკმაოდ იაფად ფასდება. კიდევ ის შეიცვალა, რომ ყურადღების ცენტრში ვარ. ქუჩაში რომ გამოვდიოდი, ადრე ამას ვერ ვგრძნობდი, ახლა კი მაკვირდებიან, თბილ სიტყვებს მეუბნებიან. ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც უცხო ადამიანები მოდიან და მეხუტებიან და ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. მიმაჩნია, რომ, ისეთი ჩეულებრივი ადამიანისთვის, როგორიც მე ვარ, ეს დიდი ბედნიერებაა. ერთ დღეს უცხო ადამიანი ხარ ყველასთვის და მეორე დღეს რომ გცნობენ, მაგარი შეგრძნებაა. შეიცვალა ისიც, რომ გავერკვიე, რა ხდება ჩვენს შოუ-ბიზნესში, გავიჩინე ბევრი მეგობარი, გავიცანი ადამიანები, რომლებიც დღეს რაღაცას წარმოადგენენ. ჩემი კარიერული წინსვლისთვის საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადავდგი, თავის დამკვიდრება დავიწყე. მინდა, ჩემი მქონდეს და ჩემი შევქმნა.

## რომ ჩამებარებინა, უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდას ვერ შევძლებდი

**– რამდენი წლის იყავი, პირევლად მუშაობა რომ დაიწყე?**

– ჩემი პროფესიით, ანუ სიმღერით, რამდენიმე თვეა, რაც ვმუშაობ, მაგრამ მანამდე ბევრგან მიმუშავია. არაფერი არ ვითაკილე, მაღაზიაშიც ვმუშაობდი გამყიდვლად, კონსულტანტადაც. ჩემს ოჯახს უჭირდა და არ მინდოდა, მარტო დედას დასწოლოდა ოჯახის მთელი სიმძიმე კისერზე, ამიტომ, ყველანაირად ვცდილობდი დახმარებას.

**– დედა რას გეუბნება, როგორ უყურებს შენს პროფესიას?**

– საერთოდ, დედაჩემმა აღმოაჩინა ჩემი სიმღერის ნიჭი. ბაღში რომ დავდიოდი, მაშინ მითხრა: „ხომ იცი, სალომე, მგონი, სმენა გაქვს“ ***(იცინის).*** როცა ჩემი სიმღერები ინტერნეტში აიტვირთა და ხალხმა აიტაცა, მაშინ დავფიქრდი სერიოზულად ჩემს შესაძლებობებზე, მანამდე მოყვარულის დონეზე ვმღეროდი ხოლმე. იყო კონკურსები, რომლებშიც ვცადე მონაწილეობის მიღება, მაგრამ, არ გამიმართლა, ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერს მომზადება უნდა, მე კი მოუმზადებელი ვიყავი. არ ვგულისხმობ მხოლოდ პროფესიონალიზმს. როდესაც რამე კონკურსზე გადიხარ, ფსიქოლოგიური მომზადებაცაა საჭირო, მე კი ორივე მხრივ მოუმზადებელი ვიყავი. დედამ ითამაშა დიდი როლი, რომ მე ასპარეზზე გამოვჩენილიყავი. დედა ამაყობს ჩემით – იმედები არ გავუცრუე და, რაც უნდოდა, ნაწილობრივ შევასრულე. მას სურდა, რომ მევიოლინე ვყოფილიყავი და რვა წელი ვიარაე კიდეც, მაგრამ ბოლოს ნერვებმა მიმტყუნა ***(იცინის).***

**– როგორი ბავშვი იყო სალომე ტეტიაშვილი?**

– სალომე იყო ჩვეულებრივი ბიჭი ***(იცინის).*** ძალიან ქაჯანა ვიყავი და სულ ბიჭური რაღაცეები მიზიდავდა – ვთამაშობდი ფეხბურთს, კალათბურთს. სკოლაში კლასებს შორის ჩემპიონატი რომ ტარდებოდა ფეხბურთში, მეც ვთამაშობდი ხოლმე. სულ მეჩხუბებოდნენ – სალომე, გოგო ხარ შენ და გაიგე! ***(იცინის)*** სწავლა მიყვარდა და კარგად ვსწავლობდი. მე-7 კლასში ტესტირება ჩატარდა გერმანულ ენაში და საბოლოოდ მოვხვდი 8 ბავშვში, რომლებიც წაგვიყვანეს გერმანიაში. სამწუხაროდ, სწავლა ვერ გავაგრძელე, რადგან, ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული. აბიტურიენტობის დროს ვერ მოვემზადე და, კიდეც რომ ჩამებარებინა, უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდას ვერ შევძლებდი, მაგრამ, იმედი არ დამიკარგავს და აუცილებლად გავაგრძელებ სწავლას.

**– რა სპეციალობა გინდა, სამომავლოდ აირჩიო?**

– ბავშვობაში მინდოდა, ექიმი გამოვსულიყავი. ჩემი მხიარული ხასიათიდან გამომდინარე, მეგობრები მსახიობობას მირჩევდნენ. ამ ყოველივეს ჩემი მუსიკალური ნიჭიც რომ დაემატა, მომინდა, გამოვსულიყავი მუსკომედიის მსახიობი, თუმცა, დღეს ასე აღარ ვფიქრობ. ისეთი პროფესია უნდა შეარჩიო, რომ ცხოვრებაში გამოიყენო, რათა მყარად იდგე ფეხზე მატერიალურად. ზუსტად არ გადამიწყვეტია, რას ავირჩევ, ჯერ კიდევ ვფიქრობ.

**– რომელია შენი ცხოვრების საუკეთესო მომენტი?**

– ისე ცხელია ეს ჩემი „X ფაქტორის” თემა, ალაბათ, ეგ. ამ გადმოსახედიდან, ეგ არის ჩემი ცხოვრების საუკეთესო მომენტი, რადგან, თვეების განმავლობაში ვაკეთებდი ჩემს საყვარელ საქმეს და შევიძინე უდიდესი გამოცდილება. ბევრი პატარ-პატარა მომენტი მქონია, მაგრამ, ეს ნაწილი გამორჩეულია. ეს იყო დიდ სცენაზე ხალხის წინაშე ჩემი პირველი გამოჩენა.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– ჩემს პირად ცხოვრებაშიც არის სიახლე – გამოჩნდა პიროვნება, მაგრამ, ამ ეტაპზე არის მხოლოდ ურთიერთობის დასაწყისი – მოწონების დონეზეა ყველაფერი. ვნახოთ, როგორ გაგრძელდება და რა იქნება. სახელსა და გვარს გაიგებთ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ურთიერთობა სერიოზულ სახეს მიიღებს ***(იცინის).***

**ეთო ხურციძე**

**ცნობილი ქართველი კალათბურთელი, გიორგი შერმადინი ამჯერად საბერძნეთშია და ეროვნულ ნაკრებს მალე შეუერთდება. მართალია, გიორგი აქ არ არის, მაგრამ მასზე ადრე ჩამოსვლა მისმა ოჯახმა მოახერხა. ჩვენი რესპონდენტი მისი მეუღლე, ანი ამაშუკელია, რომელიც ყოველთვის დიდი სიამოვნებით გვთანხმდება ინტერვიუზე. ანი ბავშვებთან ერთად ზაფხულის ცხელ დღეებს ნატახტარში ატარებს და საყვარელი მეუღლის მოლოდინშია.**

# რას აღიქვამს გამძაფრებულად საქართველოში დაბრუნებული ანი ამაშუკელი და რატომ არ არის ამჯერად მის გვერდით გიორგი შერმადინი

**– როგორ უმკლავდებით ზაფხულის ცხელ დღეებს?**

– ჩამოვიყვანე თუ არა, რა თქმა უნდა, საქართველოს ჰავას გადაჩვეული შერმადინი ჯუნიორები თბილისში, ცოტა რთულად შეეჩვივნენ სიცხეს, მაგრამ რამდენიმე დღეში დაძლიეს ეს პრობლემა და თავს ძალიან კარგად გრძნობენ სამშობლოში. ამჟამად ვართ ნატახტარში, გეგმაში გვაქვს ბაკურიანში წასვლა, მერე კი – ზღვაზეც, თუ რა თქმა უნდა, დროში ჩავეტიეთ.

**– რამდენი ხანია, რაც საბერძნეთიდან დაბრუნდით?**

– ერთი თვე არ არის ჯერ.

**– ჩამოხვედი, შერმადინ-ჯუნიორებთან ერთად, თუმცა გიორგი თქვენთან ერთად არ არის.**

– გიორგი თავის საქმეებშია ჩაფლული, ჩვენ კი – ჩვენსაში. ასე რომ, ჯერჯერობით მის გარეშე გვიწევს მთელ ოჯახს ყოფნა.

**– საქართველოს ნაკრებთან ერთად არის შეკრებაზე?**

– არა, გიორგი ამჟამად ნაკრებთან ერთად არ არის, საბერძნეთშია წასული, სადაც პირად მწვრთნელთან ვარჯიშობს. ფეხზე ჰქონდა პატარა პრობლემა და რეაბილიტაციის პროცესშია. ამიტომ, ინდივიდუალურ ვარჯიშებს გადის პირად მწვრთნელთან. ალბათ, მალე შეუერთდება უკვე ნაკრებს. ყველას ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ნაკრებისთვის ეს ზაფხული წარმატებული იქნება და თავის მაქსიმუმს აუცილებლად გააკეთებენ.



**ადრე რომ იტყოდა ვინმე, ჩემი ინტერესები ოჯახს შევწირე და თავიდან ბოლომდე მათ ვეკუთვნიო, მეცინებოდა. მაგრამ, რეალურად თუ გინდა, რომ მაქსიმალურად ხელი შეუწყო მეუღლეს, მართლა შენი მაქსიმუმი უნდა გააკეთო ამისთვის**

**– საქართველოში ზაფხულობით ჩამოდიხართ. როგორია ერთწლიანი განშორების შემდეგ, შინ დაბრუნება?**

– მთელი წელი თბილისის ისეთი ნოსტალგია მაქვს, რომ, როცა ჩამოვდივარ, მერე უკვე გაორმაგებულად ვგრძნობ ყველაფერს – იქნება ეს დადებითი ემოცია მეგობრებისგან, ნათესავებისგან, ოჯახის წევრებისგან თუ ასე შემდეგ. უფრო მძაფრად აღვიქვამ იმ ემოციას, რასაც ჩვენდამი გამოსცემენ, ჩვენ მიმართ ავლენენ ახლობლები.

**– ბავშვები როგორ ეგუებიან ამდენ გადაადგილებას?**

– უკვე მიეჩვივნენ. ნუციკოს რომ ვეტყვი, სადმე მივდივართ-მეთქი, უკვე მეკითხება, თვითმფრინავით, დეე? სულ იმის შეგრძნება აქვს, რომ თუ სადმე მივდივართ, უნდა გავფრინდეთ. ნუციკოც და ნიკოლოზიც ძალიან ერთობიან და უკვე ყველა ქვეყანაში, სადაც გიორგისთან ერთად გვიხდება ცხოვრება, თავიანთი წრე აქვთ. ბოლო პერიოდში, საბერძნეთში რომ ვიყავით, უფრო კარგად შეეგუვნენ ბავშვებს, რადგან უკვე წამოიზარდნენ. ერთად დადიოდნენ სკვერში, ბაღში და ასე შემდეგ. ისე მიეჩვივნენ იქაურ ბავშვებს, უკვე იმაზე ვფიქრობ და ვნერვიულობ, ქართულ ბაღში რომ შევიყვან, აქაც ანალოგიურად თუ მოიქცევიან. ჰიპოაქტიური ბავშვია ორივე, თუმცა, ნიკოლოზი ბიჭია და უფრო ცელქია.

**– როგორი ურთიერთობა აქვს და-ძმას?**

– არის პერიოდი, როცა ძალიან დიდი სიყვარულის ბუშტი უსკდებათ და კოცნით ახრჩობენ ერთმანეთს, ზოგჯერ კი, ჭიდაობენ. ორივე შემთხვევაში მაქსიმალისტები არიან. ამიტომ ყურადღება უნდათ, მარტო ვერ ვტოვებ. ნიკოლოზს ძალიან უყვარს ფეხბურთი. ფარიც გვაქვს, ბურთიც და სხვა ყველაფერიც, მაგრამ მაინც ფეხბურთი უყვარს – უნდა ფეხი დაარტყას და გოლი გაიტანოს.

**– წარმატებული კალათბურთელის შვილი, ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას. გიორგის რეაქცია როგორია?**

– არ აქცევს ყურადღებას, ჩვეულებრივად აღიქვამს. ალბათ, იმიტომ რომ, ნიკოლოზი ჯერ ძალიან პატარაა, წლინახევრისაა და ადრეა გამოხატული ინტერესი ჰქონდეს ამ სპორტის მიმართ.

**– ანი, ყველასთვის ცნობილია, რომ წლების განმავლობაში, გიორგის მაქსიმალურად უწყობ ხელს, გვერდში უდგახარ, რომ თავის საქმეში არაფერმა შეუშალოს ხელი.**

– ნამდვილად ასეა. ადრე, რომ იტყოდა ვინმე, ჩემი ინტერესები ოჯახს შევწირე და თავიდან ბოლომდე მათ ვეკუთვნიო, მეცინებოდა. მაგრამ, რეალურად თუ გინდა, რომ მაქსიმალურად ხელი შეუწყო მეუღლეს, მართლა შენი მაქსიმუმი უნდა გააკეთო ამისთვის. ამ ეტაპზე მე პრიორიტეტად მიმაჩნია დედობა, მეუღლეობა, ოჯახის დიასახლისობა და ასე შემდეგ. თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ და მხოლოდ ოჯახით. ჩემი აზრით, ყველა ქალისთვის აუცილებელია სამსახური. როცა ადამიანი თვითრეალიზებას ვერ ახდენს, მერე თითქოს ურთიერთობებიც ხუნდება და ხშირად ოჯახში ამის გამო პრობლემები იწყება. ამიტომ, აუცილებელია, თვითგანვითარებაც და სამსახურიც.

**– შენ ისეთი გოგო არ ხარ, წლების განმავლობაში მხოლოდ დიასახლისის სტატუსით რომ შემოიფარგლო. საკმაოდ აქტიური, პოტენციური და ჭკვიანი ხარ. ხომ არ გეგმავ სამსახურთან დაკავშირებით რამეს?**

**საბერძნეთს ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა და პრაქტიკულად, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ გიორგი გადაეყვანათ**

– ძალიან ბევრს ვფიქრობ, მაგრამ ჯერ არ ვიცი. ეს იმიტომ, რომ ყველა საქმეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები და მხოლოდ ის, რომ მინდა სამსახური და უნდა ვიმუშაო, არ კმარა. ამისთვის აუცილებელია, კონკრეტული და საფუძვლიანი განათლების მიღება. პროფესიით ექიმი ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი. ისევ და ისევ დროის მომენტია და ის, რომ ერთ ადგილზე სტაბილურად უნდა ცხოვრობდე. იმედი მაქვს, ყველაფერი წინ არის. ძალიან მინდოდა, გინეკოლოგიის განხრით სწავლის გაგრძელება, ამიტომ მომიწევდა რეზიდენტურაში ჩაბარება და რომ დავამთავრებდი, მივებარებოდი კერძო ექიმს. სხვათა შორის, ვიყავი კიდეც კერძო ექიმთან, დავით ტატიშვილის ცენტრში მქონდა პრაქტიკები, რისთვისაც დიდი მადლობა ბატონ დავითს. მაგრამ, მერე სხვანაირად აეწყო ჩემი ცხოვრება, გავთხოვდი, ბავშვები შემეძინა და ასე შემდეგ. ჩემთვის პრიორიტეტი მაინც ჯერ ოჯახია და მერე სხვა დანარჩენი.

**– შენ და გიორგი ორი შვილის მშობლები ხართ. 3 წლის ნუციკო და წლინახევრის ნიკოლოზი გყავთ. ხომ არ გეგმავთ ოჯახში მატებას?**

– ძალიან მოწადინებული ვარ და არ ვაპირებ ორ შვილზე გაჩერებას. ყველაფერი მაინც ღმერთის ნებაა. სურვილი ნამდვილად მაქვს – მართალია მე უფრო, ვიდრე გიორგის, მაგრამ კონსენსუსამდე მივალთ.

**– რომელი გუნდის ღირსებას დაიცავს ახალი სეზონიდან?**

– რომელი ქვეყნის ღირსებას დაიცავს ამჯერად გიორგი, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ალბათ ახლო მომავალში, ღვთის წყალობით, ყველაფერი გაირკვევა. მართლა არ ვიცით, სად მოგვიწევს მომდევნო სეზონის გატარება.

**– არჩევანი რომ იყოს, შენ სად მოისურვებდი ცხოვრებას?**

– ჩემი გული და სული ათენია, ძალიან მიყვარს. ძველი საბერძნეთი, მათი კულტურა, რელიგია და საერთოდ ყველაფერი, ჩემთან ძალიან ახლოს არის. ფენომენური წარსულის მქონე ადამიანები არიან. მართალია, ჩემთვის ძალიან სათუთია და ძალიან მიყვარს ათენი, მაგრამ მთავარია, ყველანი ერთად და ჯანმრთელად ვიყოთ.

**– ბოლო სეზონი სწორედ ათენში იყო არა გიორგი?**

– ჯერ ესპანეთში ვიყავით და შუა სეზონზე მოხდა გიორგის ტრანსფერი ათენის „ოლიმპიაკოში". საბერძნეთს ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა და პრაქტიკულად, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ გიორგი გადაეყვანათ. ძალიან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ, ალბათ, ჩვენი მხრიდან დიდი შეცდომა იყო შუა სეზონიდან გადასვლა. ეს ჩემი გასარჩევი არ არის, გიორგი უკეთ ისაუბრებს ამაზე, მაგრამ მე ასე ვფიქრობ. როცა ძალიან მაგარი სეზონი გაქვს, შუა სეზონიდან არ უნდა გადახვიდე, თუნდაც ძალიან მაღალი რანგის გუნდში. რომ გითხრა, მოულოდნელი იყო-მეთქი, არა, თითქოს გული მიგრძნობდა, რომ ათენში უნდა წავსულიყავით.

**– საქართველოს ნაკრების თამაშები რომ დაიწყება, დაესწრები?**

– ყველა თამაშს, რაც თბილისში იქნება, აუცილებლად დავესწრები. უბრალოდ, ზუსტად არ ვიცი, სად გაიმართება თითოეული თამაში. რაც თბილისში იქნება, რა თქმა უნდა, ყველას დავესწრები. სულ სხვანაირად ვარ დამუხტული, როცა ნაკრების თამაშს ვესწრები. ძალიან ვნერვიულობ და გულითა და სულით მინდა, რომ ნაკრებმა საქართველო ასახელოს, თავი გამოიჩინოს კარგი თამაშით. მარტო მე კი არა, უკვე ბავშვებთან ერთად ვუგულშემატკივრებ ნაკრებს. ნიკოლოზი „პანათინაიკოსის" თამაშებსაც კი ესწრებოდა. თან, ისეთი ცელქია, ქარივით დაქრის. ალბათ, ერთ წამში მოედნის ერთი ბოლოდან, მეორეში გადახტება. ისეთი სწრაფია, მის დაჭერას ვერ ვასწრებ.

**– მოკლედ, შერმადინის სანომრე მაისურით უკვე სამნი უგულშემატკივრებთ ნაკრებს.**

– გიორგის მაისური მე მაქვს. ახლა უკვე პატარებისთვისაც ვიზრუნებ და სამივე შევიმოსებით.

**მარიკა ხიდურელი**

# რა გზებს მიმართავენ თანამედროვე მამაკაცები საყვარელი ქალების გულის მოსაგებად

*ვინ თქვა, რომ თანამედროვე სამყარო-ში რომანტიკული ადამიანები აღარ არსე-ბობენ; რომ საყვარელი გოგონას გულის მოგება ყვავილებით – ბუნების ამ მშვენი-ერი ქმნილებებით შეუძლებელია, რადგან ის უკვე ეგრეთ წოდებულ „ბანალურ საჩ-უქართა“ რიცხვს მიეკუთვნება?!*

*ქალბატონებო! შეიძლება, მთლად თეთრ რაშზე ამხედრებული პრინცი არ მოგადგ-ეთ კარს, მაგრამ ულამაზესი თაიგულებით გოგონების მოხიბვლა რომ თანამედროვე სამყაროშიც ძალიან აქტუალური ყოფილა, ამაში მას შემდეგ დავრწმუნდი, რაც თბი-ლისში არსებულ ყვავილების მაღაზიებში შევიარე – მათ კურიერებს რამდენიმე სა-ინტერესო და სამახსოვრო ისტორიის მო-ყოლა ვთხოვე...*

### ყველაზე მოულოდნელი რეაქცია

... წელს, წინასაახალწლოდ ჩვენთან ახა-ლგაზრდა მოვიდა და გვთხოვა, გაგვემზადე-ბინა ყველაზე ლამაზი 500 ცალი ვარდი და შეგვეფუთა, ასევე, ძალიან ლამაზად. გარდა ამისა, დაგვავალა შოკოლადის ასორტის მო-მზადება და გვთხოვა, ეს ყველაფერი ახალი წლის ღამეს, ზუსტად 12 საათზე მის საყვა-რელ გოგონასთან მიგვეტანა.

დადგა 12 საათი და გოგონას კარს მივა-დექით. მოსალოდნელი ემოციების მოლოდი-ნში, ერთი სული გვქონდა, კარი როდის გაი-ღებოდა. დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირდა. კარი ულამაზესმა გოგონამ გაგვიღო და ჩვენც საჩუქარი გადავეცით. ადამიანის ფანტაზიას ხომ ზღვარი არ აქვს, ამიტომ, რა არ წარმო-მედგინა, მაგრამ ასეთ რეაქციას არ ველო-დი. გოგონა დგას, ცოტა ხანს გვიყურებს და გვეკითხება: „სად წავიღო ამხელა რაღაც?“ შემდეგ კარგად „ჩხრეკს“ მირთმეულ საჩუქ-არს და როცა დარწმუნდება, რომ „მხოლოდ“ შოკოლადები და 500 ცალი ვარდი მივუტან-ეთ, მთელი სერიოზულობით გვეკითხება: „მე-ტი არაფერია“.

### „ცდა ბედის მონახევრეაო“

ერთი ბიჭი გოგონას, რომელიც ძალიან მოსწონდა, კვირაში ერთხელ, ზუსტად ერთ-სა და იმავე დროს ერთ ვარდს უგზავნიდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო. ეს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა და ბუნე-ბრივია, ამ გოგონასთან დავახლოვდით. რო-ცა ვურეკავდი იმის გასაგებად, თუ სად იყო იმ, კონკრეტულ მომენტში, რომ იქ მიმეტანა ყვავილები, უკვე კითხვა აღარ მჭირდებოდა, ეცინებოდა და პირდაპირ მეუბნებოდა.

ახლა ისე ახლო კონტაქტი აღარ გვაქვს, თუმცა ვიცი, რომ ბიჭის დაუღალავმა მცდე-ლობამ, თავი შეეყვარებინა იმ გოგონასთვის, შედეგი გამოიღო და დღეს ისინი ერთად არ-იან.

### გამომძიებელი ადრესატი

ერთხელ, ერთმა ბიჭმა თაიგული შემიკვ-ეთა გოგონასთვის და თვითონვე მიმიყვანა მის საცხოვრებელ სახლთან. იქვე, შორიახლ-ოს დამელოდა, რადგან უნდოდა, გოგონას რეაქცია ენახა. მხოლოდ მთხოვა, მისთვის ვინაობა არ გამემხილა, რაც პირნათლად შე-ვასრულე. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ გოგონა ძალიან ინტერესიანი იყო და უნდოდა, აუც-ილებლად სცოდნოდა, ვინ გაუკეთა ეს საჩუ-ქარი. რადგან მისი ცნობისმოყვარეობა ვერ დავაკმაყოფილე, გადაწყვიტა, უკან გამომყ-ოლოდა და როგორმე გაეგო სიმართლე. სხვა გზა არ მქონდა, იმ ადგილას უნდა გამევლო, სადაც ის ბიჭი მანქანით მელოდა. გოგონამ რომ დაინახა, აშკარად იცნო. მანქანას მივა-რდა და ყვავილები უხეშად მიაყარა. შემდეგ რა მოხდა, სამწუხაროდ, არ ვიცი.

### გამოცდა ცოლისთვის

ბევრ უცნაურ ხალხთან გვიწევს ურთიერ-თობა ჩვენი პროფესიის წყალობით. თუმცა, ისტორია, რომელსაც ახლა მოგიყვებით, ვინმ-ესთვის შეიძლება, სულაც არ იყოს უცნაური.

მამაკაცმა თაიგული შეგვიკვეთა საკუთარი ცოლისთვის. ზედ ორაზროვანი და საეჭვო წა-რწერა გაგვაკეთებინა და გვთხოვა, მისი ვინა-ობა საიდუმლოდ შეგვენახა. თურმე, ამ გზით ცოლის გამოცდას აპირებდა და მისი რეაქცი-ით უნდა მიმხვდარიყო „რაღაცეებს“. ისეთ დროს დაგვიბარა, თვითონაც რომ სახლში იქნებოდა. ჩვენ მისი თხოვნა და ჩვენი მოვალეობა კი შევასრულეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გავი-გეთ, ჩააბარა თუ არა ცოლმა გამოცდა.

### უხეში მამა და ცხვირწინ „ჩაქროლებული“ ყვავილები

ხდება ხოლმე, როცა ჰგონიათ, რომ რადგ-ან მე მიმაქვს, ესე იგი, მე ვჩუქნი მათ ამ ყვავილებს. სანამ ავუხსნი, რომ მე მხოლოდ კურიერი ვარ და გამომგზავნი სხვა არის, გა-რკვეული უხერხული სიტუაცია იქმნება. ზოგი გა-ნსაკუთრებით აგრესიულია.



ერთი შემთხვევა მახსენდ-ება. კარი გაიღო და გოგონას ყვავილები გადავეცი. ძალიან გაუხარდა, მაგრამ ამ დროს კართან მამამისი მოვიდა და უხეშობა დამიწყო. მითხრა, რომ უკან წამეღო, რაც მივი-ტანე. ავუხსენი, რომ ამის უფ-ლება მე არ მქონდა და შეეძ-ლო, თავად რაც სურდა, ის ექნა. იმდენად გაღიზიანდა, გინებაზე გადავიდა. მოკლედ, როგორღაც მოვახერხე, იმ ოჯახიდან მშვიდობით გამოვასწარი და კიბეებ-ზე დავეშვი. სადარბაზოდან გამოსულს პირდა-პირ ცხვირწინ „ჩამიქროლა“ ჩემმა მიტანილმა თაიგულმა და იქვე, ეზოში გაიფანტა.

### ბედნიერი დასასრული

ხშირად ხდება, რომ გვიკვეთავენ ვინმესთ-ვის საჩუქარს, საკმაოდ ძვირად ღირებულს, მაგრამ არ სურთ ადრესატისთვის საკუთარი ვინაობის გამხელა. ერთ-ერთი, ასეთი შემთხვ-ევა ძალიან რომანტიკული იყო.

ერთ-ერთი ბანკის საკმაოდ მაღალი თანამ-დებობის პირს ამ ბანკის მოლარე მოსწონდა და მთელი თვის განმავლობაში, ყოველ დილ-ით უგზავნიდა ყვავილებს. გოგონა გვეხვეწებ-ოდა, მისი ვინაობა გაგვემხილა, თუმცა ჩვენ ეს სასტიკად აკრძალული გვქონდა.

ერთი თვის შემდეგ, თავად გაუმხილა ვინ-აობა და როგორც ჩანს, სასურველი შედეგიც მიიღო. ამის შემდეგაც ხშირად უგზავნის ყვა-ვილებს და, როცა მიგვაქვს, ერთად არიან რე-სტორანში თუ სხვა ადგილებში.

საკმაოდ დიდი ხა-ნია, ჩვენი თანამშრ-ომლობა გრძელდება და, სხვათა შორის, ერთ-ერთ ბოლო შე-ხვედრაზე, ქორწილ-შიც დაგვპატიჟეს, მხოლოდ ჯერ თარი-ღი აქვთ დასაზუსტ-ებელი.

### ყველაზე, ყველაზე, ყველაზე...

14 თებერვალი იყო... ახალგაზრდა კაცმა ულამაზესი თა-იგული შეგვიკვეთა, თან ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული და გვთხოვა, გადაგვეცა გოგონასთვის, მაგრამ ვინაობის გამხელა მას-აც არ სურდა.

გოგონას სამსახურში მივართვით თაიგუ-ლი. მისი რეაქცია გაინტერესებთ? – საშინე-ლი. უარესს, რომ ვერ წარმოიდგენ. მან ყვავ-ილებს ხელი მოჰკიდა, სულ სათითაოდ დაპუ-ტა და ნაგავში გადაყარა. მეც და მისი თანა-მშრომლებიც გაოცებულები ვუყურებდით.

მამაკაცის რეაქციამ კიდევ უფრო გამაკვ-ირვა. ქალის ამ საქციელმა მხოლოდ მისი ღი-მილი გამოიწვია და მეორე საჩუქარიც მალე-ვე შეგვიკვეთა მისთვის.

მეორე ჯერზე, სამწუხაროდ თუ საბედნიერ-ოდ, მისი რეაქცია ვერ ვნახე. როცა ყვავილები მივუტანე, გასული იყო და თანამშრომლებს და-ვუტოვე გადასაცემად. შემდეგ საჩუქრებმა სის-ტემატური ხასიათი მიიღო, მძაფრმა რეაქციებ-მა ნელ-ნელა იკლო და შედეგმაც არ დააყოვნა.

დღეს ისინი ცოლ-ქმარი არიან და პატარ-აც ჰყავთ.

არ გეგონოთ, კლი-ენტი დავკარგეთ. ის მა-მაკაცი არც ახლა ტო-ვებს არც ერთ მნიშვნ-ელოვან დღეს და ულ-ამაზესი თაიგულებით ანებივრებს თავის მე-უღლეს.

### ბოლოს და... ზოგადად

ეს სამსახური ძალ-იან სახალისოა, რადგ-ან უამრავ სხვადასხვა ადამიანთან გიწევს ურ-თიერთობა. თითოეულს თავისი გეგმა და მიზანი აქვს.

სხვათა შორის, თუ გგონიათ, რომ მხოლ-ოდ მამაკაცები უკეთებენ ასეთ საჩუქრებს ქა-ლბატონებს, ძალიან ცდებით. იცით, რამდენ რუს ქალბატონს გაუგზავნია ასეთი საჩუქრე-ბი ქართველი მამაკაცისთვის და რამდენს უთ-ქვამს უარი, ქორწინებაში ყოფნის გამო?!

სხვათა შორის, დაურეკავთ და მისთვის მირთმეული საჩუქრის ღირებულებაც უკითხ-ავთ. ზოგი ძალიან უხეშად გვექცევა, ზოგს კი ოჯახში, სუფრაზეც მივუპატიჟებივართ.

ზოგ ბიჭს გოგოს ნომერი მოუცია დასაკა-ვშირებლად და მისთვის საჩუქარი შეუკვეთა-ვს. შემდეგ კი მისამართი ჩვენთვის უკითხავს.

ბევრია კურიოზული, არასასურველი, სევ-დიანი ისტორიაც. თუმცა, გოგონებს, ძირით-ადად, დადებითი რეაქცია აქვთ. შესაბამისად, ბიჭებისთვის ეს მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა.

**მოამზადა ქეთი კაპანაძემ**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რატომ სთხოვა გუარამ მამფალმა პატიება გრიგოლ ხანძთელს ჯავახეთის საეკლესიო კრებაზე

ქართული ეკლესიის ერთ-ერთ უდიდეს მოღვაწეს, გრიგოლ ხანძთელს საძმოში ჰყავდა არა ერთი მოწაფე. ზოგიერთ მათგანს აღეძვრებოდა ხოლმე სურვილი („საღმრთო შური“) თავადაც გამხდარიყო დიდი საქმეების ორგანიზატორი, მონასტრების მაშენებელი. იმ დროს, მონასტერი მხოლოდ სასულიერო მოღვაწეობის კერა არ იყო. მონასტრებში მიმდინარეობდა დიდი კულტურული საქმიანობაც.

მამა გრიგოლის მეგობრებმა და მოწაფეებმა – თევდორემ და ქრისტეფორემ გადაწყვიტეს, თვითონაც გამხდარიყვნენ მონასტრის დამაარსებლები. არ განუცხადეს თავისი განზრახვა მამა გრიგოლს, მოძღვრის კურთხევის გარეშე მიატოვეს საძმო და ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოდან გაემგზავრნენ სხვა ქართულ სამეფოში – აფხაზეთში. მათ თან რამდენიმე ძმაც წაჰყოლია.



ერთ დღეს გზად სამცხეში, ცნობილი ფეოდალის, დიდაზნაურ მირიანის მამულში გაჩერდნენ ღამის გასათევად, მინდორში. იმ დროის დიდი აზნაური შემდეგდროინდელი დიდი თავადის რანგი იყო.

აქ ისინი ნახეს მირიანის მსახურებმა და აუწყეს თავის ბატონს. თვითონ მირიანი ეახლა მამებს და თავმდაბლად სთხოვა, სწვეოდნენ სასახლეში. მეორე დილით გააცნო ბერებს ჯერ თავისი მეუღლე კრავაი, მორწმუნე ქალბატონი და მერე კი თავისი სამი პატარა ვაჟი წარუდგინა. როცა წმინდა მამებმა დალოცეს მირიანი, კრავაი და ბავშვები. დიდაზნაურმა მიმართა მეუღლეს:

– ახლა ღვთის მოსაწონად მოვიქცეთ და მივაბაროთ ქრისტეს მოწაფეებს ჩვენი ერთ-ერთი შვილი. რომელი ამოვარჩიოთ?

– ჩემო ბატონო, შენი შვილები არიან და რომელსაც ბრძანებ, უფლის გამორჩეული ის იქნებაო, – უპასუხა კეთილშობილმა კრავაიმ ქმარს.

მაშინ მირიანმა უმცროსი ვაჟი გამოარჩია მონაზვნად და უდაბნოს მამათა სულიერ შვილად. დაალოცინა წმინდა მამებს და თვითონ ჩააცვა მოწესის სამოსი. ბერებმა პატარა მორჩილს არსენი უწოდეს და მამამისს შეპირდნენ, მის ვაჟს მამა გრიგოლს დაუმოწაფებდნენ და მათთან იქნებოდა საძმოში. თვითონ კი გაემგზავრნენ აფხაზეთში.

აფხაზთა მეფე დემეტრე მეორემ დიდი სიხარულითა და პატივით მიიღო მის სამეფოში გადასული ძმები.

საძმოდან მოწაფეების წასვლის ამბავი როგორც კი შეიტყო ნეტარმა გრიგოლ ხანძთელმა, მათ საძებრად გაემგზავრა. ისინი მისი მოწაფეები იყვნენ, და ალბათ, მოძღვარი მიიჩნევდა, რომ ჯერ არ იყვნენ მზად დამოუკიდებელი მოღვაწეობისთვის. თან, მათ ხომ საძმოს განაწესიც დაარღვიეს. ეს კი ცუდი მაგალითი შეიძლება, ყოფილიყო სხვებისთვის.

გრიგოლ ხანძთელი და მისი ოთხი მოწაფე მამა თევდორესა და ქრისტეფორეს ძიება-ძიებაში კლარჯეთიდან ქართლში გადავიდნენ. მამა გრიგოლმა იქ ნახა ერთი ყრმა, ეფრემი, რომელიც ძალიან მოეწონა და დაიმოწაფა.

„უდაბნოს ვარსკვლავად“ წოდებულმა წმიდა გრიგოლმა უთხრა ეფრემს: დავბრუნდები და თან წაგიყვან ხანძთაშიო და თვითონ აფხაზეთში გადავიდა.

აფხაზეთში მამა გრიგოლმა იპოვა თავისი მოწაფეები და უკან წამოიყვანა. გზაში თევდორემ და ქრისტეფორემ მოძღვარს უამბეს მირიანის ძის, არსენის ამბავი. გრიგოლ კლარჯეთის მონასტრების არქიმანდრიტმა ძალიან გაიხარა და უთხრა: ღვთის მადლით, რჩეული იყოს საძმოს მოწესეთა შორის და დიდად დამსახურებული მოღვაწე გახდესო. მანვე უამბო თავის მოწაფეებს ყრმა ეფრემის შესახებ.

ყველა ერთად, სიხარულით გაემგზავდა ჯერ ეფრემის, მერე კი არსენის წამოსაყვანად.

აღსაზრდელად „უდაბნოს ვარსკვლავმა“ ეფრემი და არსენი თევდორესა და ქრისტეფორეს ჩააბარა.

ხანძთელ ბერებს ძალიან გაუხარდათ ძმების დაბრუნება. თუმცა, ზოგიერთს არ მოეწონა პატარა მორჩილების მოყვანა მონასტერში და ეს უთხრეს „უდაბნოს ვარსკვლავს.“ მოძღვარმა დაარწმუნა ისინი თავისი გადაწყვეტილების სიმართლეში და მართლაც, მომავალმა ყველას აჩვენა, რომ არსენი და ეფრემი გამორჩეული წმიდანები გახდნენ.

თევდორემ და ქრისტეფორემ ღირსეულად აღზარდეს თავისი მოწაფეები.

გავიდა წლები.

უფროსი ეფრემი აწყურის მღვდელმთავრად გამოარჩიეს. ის ბრძნულად განაგებდა სამწყსოს.

შემდგომ კი, არსენი მცხეთაში, ქრისტეს კვართის სამკვიდრებელში კათალიკოსად აირჩიეს.

ეპისკოპოსთა ნაწილი განაწყენდა არსენის მამაზე, მირიანზე – ჩვენს უკითხავად სამცხის ეპისკოპოსებს დაადგენინა თავისი ძე კათალიკოსადო.

კათალიკოს არსენის თანააღზრდილი ეპისკოპოსი ეფრემიც, ამ მღვდელმთავართა მსგავსად, არსენის არჩევას უკანონოდ და მძლავრობად მიიჩნევდა.

მათ მხარეს იყო გუარამ მამფალი, აშოტ კურაპალატის ძე, რომელიც მირიანისადმი გულძვირად გახლდათ.

მისი ბრძანებით, შეკრიბეს ეპისკოპოსები და მეუდაბნოე მამები ჯავახეთში. ყველა მოელოდა მამა გრიგოლისა და კლარჯეთელი მამების მოსვლას. ერუშნელმა ეპისკოპოსმა თქვა:

– მოვა ვარსკვლავი უდაბნოთა და იგი იტყვის გადამწყვეტ სიტყვასო.

ამ საუბარში რომ იყვნენ, დაინახეს სახედარზე მჯდომი გრიგოლ ხანძთელი, რომელიც მათკენ მოემართებოდა. მისი უბრალო ბერული ტანსაცმელი გაბრწყინებულ სამოსად ეჩვენათ, ხოლო ბერის თავსაბურავი კუნკული კი – უძვირფასესი თვლებით მოჭედილ გვირგვინად.

ყველა ღვთის დიდებითა და სიხარულით მიეგება ღვაწლმოსილ არქინამდრიტს.

მალე მოვიდა ეფრემ მაწყვერელი – პირველად თავის მოძღვარს, მამა გრიგოლს მიესალმა, მერე სხვებს.

„უდაბნოს ვარსკვლავმა“ განზე გაიხმო თავისი მოწაფე და უთხრა:

– გაფიცებ, წმინდა მღვდელმთავრობის მადლს, ნუ დაუპირისპირდები შენს სულიერ ძმას, არსენს.

– ვერ გადავუდგები ჩემი ძმების, ეპისკოპოსების მართალ საქმეს. ამიერიდან არ ვარ არსენის ცხვარი და არც ისაა ჩემი მწყემსიო. – უპასუხა ეპისკოპოსმა ეფრემმა.

მაშინ მოძღვარმა მწყრალად უთხრა:

– თუ ამას გააკეთებ, მეც უარმყოფ, აღარ ვარ შენი მოძღვარიო!

სულიერი მამის ამგვარმა სიტყვებმა აატირა დიდი ეფრემი:

– მკაცრია შენი სიტყვები, მახვილზე მეტად მჭრელი! იყოს ნება შენი და არა ჩემი, წმიდაო ღმრთისაო! – დაემორჩილა აღზრდილი აღმზრდელს.

„უდაბნოს ვარსკვლავმა“ უთხრა ნეტარ ეფრემს:

– არსენის კათალიკოსობა ღვთის ნებაა. ის ღირსია ამისა, თუმცა მამამისმა მირიანმა იჩქარა, ცუდად განაგო საქმე და დააშავა. კარგია, რომ მიჯერებ, რადგან სიბრაზის დროს, ღვთისთვის მოსაწონი სიმართლე არ დგინდება. არსენის ბრალი ჩემზე იყოსო.

შეატყობინეს გუარამ მამფალს გრიგოლ ხანძთელისა და ეფრემ მაწყვერელის მოსვლა. ის სიხარულით მიესალმა და მდაბლად მოიკითხა. მალე კრებაც დაიწყო. კრებას მიმართა ჯავახეთის, სამცხის, თრიალეთის, ტაშირის, აბოცის, არტაანის ხელმწიფემ, ტფილისის ამირას შემპყრობმა ბაგრატიონმა. მან შეახსენა კრებას, რომ სჯულის კანონის მიხედვით, არ შეიძლება, მძლავრობით ეპისკოპოსისა და კათალიკოსის დასმა და შემდეგ გააკრიტიკა ამის მოქმედნი.

ყველა მამა გრიგოლს და მეუფე ეფრემს უყურებდა.

რომ დაასრულა სიტყვა მამფალმა, ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ეპისკოპოსებმა მეუფე ეფრემს მიმართეს, რაიმე თქვი, როგორ მოვიქცეთო.

მეუფე ეფრემმა განაცხადა: სადაც მამა გრიგოლი იყოს, იქ მე ვერ ვიკადრებ სიტყვის თქმასო.

მაშინ ხელმწიფემ სთხოვა არქიმანდრიტს, პირველად მას მიემართა კრებისთვის, როგორც უხუცესსა და ღვთისთვის სათნო ადამიანს.

ზეცის კაცმა და ქვეყნის ანგელოზმა მიმართა მამფალს:

– ჯერ მღვდელმთავრებს უნდა ეთქვათ სიტყვა, მაგრამ რადგან გნებავს ვიტყვი, ისმინეთ ჩემი, მოხუცებული გლახაკის სიტყვები – არსენი ღვთის ნებით არის კათალიკოსი. მასზე ძვირის მთქმელები კი, რომლებიც არ შეინანებენ, შერცხვებიან ამ საწუთროსა და იმ ქვეყანაზეც.

არ მოეწონა ეს სიტყვები ბრძენ და ღვთისმსახურ ხელმწიფეს, რომელსაც, მირიანისადმი სიბრაზის გამო, არ უნდოდა თავისი აზრის შეცვლა.

გურამ მამფალს მამა გრიგოლმა აუხსნა, რომ არ უნდა განრისხებულიყო და შეახსენა – საეკლესიო კრებების დროს, მეფეები მხოლოდ ისმენდნენ სასულიერო პირების განმარტებებს და არ ერეოდნენ საქმის გადაწყვეტაში, რადგან ეს სულიერი მამების საქმე იყო და არა ერისკაცების. შეიძლება, მათი მსჯელობა სამართლიანი იყოს, მაგრამ ეს სჯულისა და მღდელთმოძღვართა შეურაცხყოფააო.

მაშინ მამფალმა მიმართა ეპისკოპოსებს, თქვენი განსაგებელია ეს საქმე და თქვენ განსაჯეთო.

ეპისკოპოსებმა აუხსნეს ხელმწიფეს, რომ სასწაულით გადაწყდა ყოველივე, როცა მოვიდა „უდაბნოს ვარსკვლავი“ და უამბეს ბაგრატიონს რა ჩვენებაც იხილეს, როცა დაინახეს სახედარზე მჯდომი გაბრწყინებული გრიგოლ ხანძთელი.

თავზარი დაეცა გუარამ მამფალს და პატიება სთხოვა წმიდა არქიმანდრიტს.

– ქრისტემ შეგინდოს ყოველნი ბრალნი! – დალოცა ხელმწიფე ბერმა.

ასე დასრულდა ჯავახეთის კრება. ეს მოხდა დაახლოებით 860 წელს.

გუარამ მამფალმა ყველა სტუმრად მიიწვია. როცა პურობისას ღვინით გამხიარულდა ხელმწიფე, ეპისკოპოსებმა უთხრეს:

– აუცილებელი იყო არსენის მხლება. ამიერიდან ის იქნება ქართლის კათალიკოსი და სულიერი მოძღვარი. ახლა კი, ყველანაირი ეჭვი მოიხსნა, რათა ქრისტეს სარწმუნოებას ისევ მშვიდობით ვემსახუროთო.

– ამინ! – უპასუხა სახელგანთქმულმა ბაგრატიონმა.

არსენ დიდს ახარეს, ღვთის შემდგომ შენმა მოძღვარმა, მამა გრიგოლმა დაამტკიცა შენი კათალიკოსობაო. ისიც მადლობდა ღმერთს და თავის წმიდა მოძღვარს.

ეპისკოპოსი ეფრემი კვლავ სიყვარულით განეწყო კათალოკოს არსენისადმი.

გავიდა დრო.

მეომარი ხელმწიფე გუარამ მამფალი ბერად აღიკვეცა.

ეფრემ მაწყვერელს და არსენ პირველ საფარელს ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვით ქართველი ერის წინაშე. მათ კიდევ უფრო განამტკიცეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და ქართველი ხალხი რწმენაში. ორივე წმიდანად შერაცხა ქართულმა ეკლესიამ.

არსენ საფარელი 27 წელი იყო ქართლის კათალიკოსად, ხოლო ეფრემ მაწყვერელი – 40 წელს მღვდელმთავრად.

**გიორგი მახოზეშვილი**

**ნაჩქარევად ნუ დავადანაშაულებთ ზოროასტრიზმის მიმდევრებს ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ადათში – ეს ტრადიცია სრულიად უცხოა მათი რელიგიისთვის. ბაბილონში სპარსელების ყოფნის დროს ის არსებობდა მხოლოდ როგორც ძველი რწმენის ნაშთი, რომელიც ბევრად უფრო ადრე ჩამოყალიბდა ამქვეყნად წინასწარმეტყველ ზოროასტრის მოვლინებამდე და, მით უმეტეს, მესოპოტამიის მიწაზე სპარსელ ზოროასტრელთა მოსვლამდე. რაც შეეხება პირადად სპარსელებს, მათი რელიგია ასეთ მსხვერპლს არ ითხოვდა. მიუხედავად ამისა, სპარსელები რომ ადამიანის მსხვერპლშეწირვას მისდევდნენ, ეს არაერთხელ იხსენიება და ამის შესახებ თვით ჰეროდოტე გვიყვება თავის სახელგანთქმულ „ისტორიებში,“ სადაც ის წერს, რომ ქსერქსეს ერთ-ერთი საომარი ლაშქრობის დროს, მისი ჯარები აღმოჩნდნენ ედონიის ოლქში, დასახლებულ პუნქტ ენაგოდისთან. აქ სპარსელებმა წინასწარ აშენებული ხიდით გადალახეს მდინარე და, როგორც ჩანს, მდინარის წარმატებით გადალახვის სამადლობლად, გადაწყვიტეს, მსხვერპლი შეეწირათ ღმერთებისთვის. როდესაც მათ გაიგეს, რომ „ენეაგოდი” თარგმანში „ცხრა გზას“ ნიშნავდა, „მათ ადგილობრივ მცხოვრებთა იმდენივე (ესე იგი, ცხრა) გოგო-ბიჭი შესწირეს ღმერთებს მსხვერპლად და თანაც ცოცხლად დამარხეს ისინი. მსხვერპლის ცოცხლად დამარხვა სპარსული წეს-ჩვეულებაა“. შემდეგ ჰეროდოტე წერს: „როგორც სხვადასხვა მონათხრობიდან გავიგე, ხანდაზმულ ასაკს მიღწეულმა ქსერქსეს ცოლმა ამესტრიდამ ბრძანა, როგორც ამბობენ, მიწისქვეშ მცხოვრები ღმერთის სამადლობლად, ცოცხლად დაემარხათ წარჩინებულ სპარსელთა 14 შვილი.**

# რატომ ჩამარხეს 12 ყველაზე წარჩინებული სპარსელი ცოცხლად თავით მიწაში

საინტერესოა, რომ სპარსეთის სხვა მეფემ – კამბიზმა, ისევ ჰეროდოტეს რწმუნებით, „ბრძანა, სრულიად უმიზეზოდ დაეჭირათ 12 ყველაზე წარჩინებული სპარსელი და ცოცხლად, თავით (თავქვე) ჩაემარხათ მიწაში“. თუმცა, შეიძლება, ეს იყო არა რიტუალური მკვლელობა, არამედ, ჩვეულებრივი სიკვდილით დასჯა, რომლის მიზეზებიც ჰეროდოტესთვის უცნობი დარჩა. რაც შეეხება ქსერქსეს, მისი არმია მრავალენოვანი იყო და, არ შეიძლება, გამოირიცხოს, რომ ედონიის ოლქში ადამიანთა მსხვერპლშეწირვა ჩატარებული იყო არა სპარსელების, არამედ დაქირავებული ჯარისკაცების ან სხვა სარწმუნოების ქვეშევრდომთა ინიციატივითა და სახელით. ზოროასტრიზმი გაბატონებული იყო აქემენიდთა დინასტიის მმართველობისას, მაგრამ, არა როგორც ერთადერთი კულტი სპარსეთის სამეფოსი. სახელმწიფო რელიგიად ის მოგვიანებით იქცა, სასანიდების დროს. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ქსერქსეს ცოლს შეეძლო, უცხოტომელთა ღმერთებისთვის ეცა თაყვანი.



ჰეროდოტე ადამიანის მსხვერპლშეწირვის კიდევ ერთ შემთხვევას ასახელებს, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 480 წელს მოხდა სპარსელთა არმიის მხრიდან, საბერძნეთ-სპარსეთის მეორე ომის დროს. ისტორიკოსი წერს: „ამასობაში ქსერქსეს ფლოტი ქალაქ ფერმიდან გამოვიდა და ათმა ყველაზე სწრაფმავალმა ხომალდმა პირდაპირ სკიფისკენ გაცურა. აქ ელინთა სამი მზვერავი ხომალდი იდგა: ტრეზენის, ეგინისა და ატიკის. თვალი მოჰკრეს რა შორიდან ბარბაროსთა ხომალდებს, ელინები გაქცევას შეეცადნენ. ბარბაროსები, პრაქსინის მეთაურობით, ტრეზენის ხომალდს დაედევნენ და მაშინვე ხელში ჩაიგდეს ის. შემდეგ მათ ხომალდის ცხვირთან ყველაზე ლამაზი მხედარი მიიყვანეს და განგმირეს (მათ ბედნიერების მომასწავებლად ჩათვალეს, რომ მათი ხელში ჩაგდებული პირველი ელინი ასეთი ლამაზი მამაკაცი იყო)“. თუმცა, შესაძლოა, ეს ბარბაროსები იყვნენ არა სპარსელები, არამედ ფინიკიელები, რომლებითაც ხდებოდა ძირითადად სპარსეთის მეფეთა ფლოტის დაკომპლექტება.

ლიდიაში მეფესა და მთელ მის ჯარს ადგილობრივი პირის – პიფიას სტუმართმოყვარეობით მოუწიათ სარგებლობა, რომელმაც, მასპინძლობის შემდეგ სპარსელებს შესთავაზა, საომარ ლაშქრობას დაგიფინანსებო. ქსერქსემ ფულის საჩუქრად მიღებაზე უარი განაცხადა. „იყავი ყოველთვის ასეთი, როგორიც ახლა ხარ და შენ არასოდეს მოგიწევს სინანული, არც ახლა და არც შემდგომში“, – უთხრა მეფემ თავის ახალ მეგობარს. მიმნდობმა პიფიამ სპარსელი მბრძანებლის სიტყვები წმინდა წყლის სიმართლედ მიიჩნია, რაც სულ მალე ინანა. ამის შესახებ დაწვრილებით გვიყვება ჰეროდოტე:

„გზაში ქსერქსესთან პიფია მივიდა და უთხრა: „მბრძანებელო! მე მსურდა, შენთვის მეთხოვა ის, რაც შენ შეგიძლია, ადვილად შეასრულო და, ჩემთვისაც შენი თანხმობა ძალზე მნიშვნელოვანი იქნება“. ქსერქსე შეჰპირდა, რომ ყველა თხოვნას შეუსრულებდა და უბრძანა ეთქვა, რაც უნდოდა. მეფის თანხმობით გახარებულმა პიფიამ უთხრა: „მბრძანებელო! მე ხუთი ვაჟი მყავს. ყოველ მათგანს წილად ხვდა, თან გხლებოდნენ ელადაზე გასალაშქრებლად. ოი, მეფეო, შეიცოდე ჩემი ხანდაზმულობა და გაათავისუფლე ჩემი ერთი, უფროსი შვილი ლაშქრობიდან, რათა მან მეურვეობა გამიწიოს მე და ჩემი ქონებაც მართოს. დანარჩენი ოთხი კი წაიყვანე ლაშქრობაში და გისურვებ შენ ბედნიერად დაბრუნებასა და შენი ჩანაფიქრების შესრულებას!“ ხოლო ქსერქსემ, ასეთი თხოვნით უაღრესად განრისხებულმა, უპასუხა: „არამზადავ! შენ გადაწყვიტე, შემახსენო შენი შვილის შესახებ მაშინ, როცა ელადაზე გასალაშქრებლად მიმყავს ჩემი საკუთარი შვილები, ძმები, ნათესავები და მეგობრები?! განა შენ მონა არა ხარ ჩემი, რომელიც ვალდებულია, მთელი თავისი სახლეულით მახლდეს თან?! ახლა კი იცოდე, რომ ადამიანის სული მის ყურებში ბინადრობს: თუ სულს რაიმე კეთილსასურველი ესმის, ის მთელ სხეულს სიხარულით ავსებს, ხოლო თუ საწინააღმდეგოს გაიგებს, სული მრისხანებით ხურდება. შენ მე მართლაც კეთილი საქმე გამიკეთე და მზადყოფნა გამოთქვი, იგივე გაგეკეთებინა, მაგრამ, შენ არ გმართებს ტრაბახი, რომ მეფეს აღემატე სიკეთით. ხოლო ახლა, როცა შენი თავხედობა გამოაჩინე, შენ მაინც არ დაისჯები საკადრისი სასჯელით. შენ და შენს ოთხ შვილს შენი სტუმართმოყვარეობა გადაგარჩენთ, მაგრამ, ერთი, რომელთაგანაც შენ ყველაზე მეტი ერთგულება გაკავშირებს – სიკვდილით დაისჯება“. ასეთი პასუხის შემდეგ, ქსერქსემ მაშინვე უბრძანა ჯალათებს, მოეძებნათ პიფიას უფროსი ვაჟი, გაეჩეხათ იგი შუაზე, ერთი ნახევარი გზის მარჯვენა მხარეს დაეგდოთ, ხოლო მეორე – მარცხენა მხარეს, სადაც ჯარს უნდა გაევლო. ჯალათებმა შეასრულეს მეფის ბრძანება და ჯარმა ორად გაყოფილი სხეულის ნაწილებს შორის გაიარა“.

უნდა ითქვას, რომ ორად გაყოფილი სხეულის ნაწილებს შორის გავლა არ იყო უბრალოდ ჯარის დაშინების აქტი. ზოგიერთ ძველ ხალხებში ამ წეს-ჩვეულებას საკრალური ხასიათი ჰქონდა. ეს აღწერილია, მაგალითად, ძველი აღთქმის „დაბადების” წიგნში, ოღონდ, იქ ცხოველთა სხეულები იყო გამოყენებული. იმ დღეს, როცა უფალმა აღთქმა დადო აბრაამთან, მან „უთხრა: მომიყვანე სამი წლის ხბო, სამი წლის თხა, სამი წლის ცხვარი, გვრიტი და მტრედის ხუნდი“ (დაბ. 15,9). აბრაამმა „აიღო ეს ყველაფერი, შუაზე დახლიჩა და ერთმანეთს მიუწყო ნახლეჩები, ოღონდ ფრინველები არ დაუხლიჩავს“ (დაბ. 15,10). „მზე რომ ჩავიდა და სიბნელე ჩამოწვა... ცეცხლის ალმა გაიარა ნახლეჩებს შორის. ამ დღეს დაუდო უფალმა აღთქმა აბრაამს...“ (დაბ. 15,17-18).

**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ | | რ | ა | მ | ა | ზ | ი | | | | | | | |
| კ | ა | ტ | ო | | | მ | უ | რ | ა | | | | | | |
| | ლ | ა | მ | ა | რ | ა | | ა | რ | | | | | | |
| ყ | ა | ვ | ა | | ტ | რ | ა | პ | ი | | | | | | |
| | რ | ე | ნ | ო | | ა | | მ | | | | | | | |
| ტ | ი | რ | ი | ლ | ი | | მ | ა | ტ | ე | ო | | | ნ | |
| | ა | ნ | ა | რ | ა | | ა | ლ | ი | | რ | ა | დ | ი | ო |
| ა | | ა | | ა | ვ | ა | რ | | ტ | ი | ტ | უ | | ჭ | ა |
| მ | | | ა | კ | ა | კ | ი | | ი | | ი | დ | ნ | ი | ბ |
| ა | ლ | ე | ნ | | | ა | ნ | ა | ნ | ი | | ი | | ე | |
| ლ | | | ტ | | ა | | ა | ნ | ა | დ | | ტ | ა | რ | ი |
| ა | ჩ | ნ | ი | ვ | კ | ს | | ე | | ო | | ი | ს | ი | ვ |
| | ი | | პ | | რ | ე | მ | ი | ს | ი | ა | | ა | | ლ |
| ს | ტ | რ | ო | ფ | ი | | ა | | ა | | ნ | ა | ნ | ტ | ი |
| ვ | ა | ი | დ | ა | | ფ | რ | ო | ნ | ტ | ი | | თ | | ს |
| ა | | ნ | ი | რ | ი | | ი | | ა | ნ | ა | დ | ი | რ | ი |
| ნ | | გ | | ს | უ | დ | ა | ნ | ი | | | ე | | უ | |
| ი | ლ | ო | რ | ი | დ | | ნ | | | ა | დ | ნ | ა | რ | დ |
| | ე | | ო | | ა | ხ | ა | ლ | ი | | ა | ი | რ | ი | |
| ს | ი | გ | მ | ა | | | | ა | ნ | ო | მ | | ლ | | ბ |
| | კ | | ა | რ | ი | ზ | ო | ნ | ა | | ა | ვ | ა | ზ | ა |
| კ | ო | ბ | რ | ა | | ი | ბ | ა | რ | ა | | ა | ნ | ა | ჟ |
| | მ | | ი | ლ | უ | ა | რ | | უ | ჩ | | ლ | ი | რ | ი |
| ჰ | ა | ნ | ო | ი | | | ბ | ა | თ | უ | მ | ი | | ი | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 3 | 6 | 5 | 9 | 1 | 8 | 4 |
| 8 | 9 | 4 | 3 | 1 | 2 | 6 | 5 | 7 |
| 1 | 5 | 6 | 4 | 7 | 8 | 3 | 2 | 9 |
| 6 | 8 | 9 | 2 | 4 | 1 | 5 | 7 | 3 |
| 4 | 2 | 5 | 7 | 3 | 6 | 9 | 1 | 8 |
| 3 | 1 | 7 | 9 | 8 | 5 | 4 | 6 | 2 |
| 5 | 6 | 2 | 8 | 9 | 4 | 7 | 3 | 1 |
| 7 | 4 | 8 | 1 | 6 | 3 | 2 | 9 | 5 |
| 9 | 3 | 1 | 5 | 2 | 7 | 8 | 4 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 3 | 1 | 6 | 2 | 5 | 4 | 7 |
| 6 | 5 | 1 | 7 | 9 | 4 | 8 | 3 | 2 |
| 7 | 4 | 2 | 3 | 5 | 8 | 9 | 1 | 6 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 8 | 9 | 7 | 6 | 1 |
| 1 | 7 | 5 | 4 | 3 | 6 | 2 | 9 | 8 |
| 9 | 6 | 8 | 2 | 7 | 1 | 4 | 5 | 3 |
| 4 | 2 | 7 | 6 | 1 | 5 | 3 | 8 | 9 |
| 3 | 8 | 6 | 9 | 4 | 7 | 1 | 2 | 5 |
| 5 | 1 | 9 | 8 | 2 | 3 | 6 | 7 | 4 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ჭაობს. 2. ლიხტენშტეინი. 3. მენდელეევის პერიოდულ სისტემაში ნაწინასწარმეტყველევი ელემენტების ადგილები – ჰელიუმი, სკანდიუმი... 4. კალიგულას ცხენის, ინციტატის ფლოქვიდან ავარდნილი ნალით. 5. თორმეტი ტაბლოს კანონები. 6. ჯერ გაეთავისუფლებინათ მონები. 7. აკუსტიკა მაყურებლებით სავსე და ცარიელ დარბაზში ერთნაირი უნდა ყოფილიყო. 8. ალმასის, რომელიც სამხრეთ აფრიკაში მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში აღმოაჩინეს. 9. მწვრთნელების. მანამდე იყვნენ მოთამაშე მწვრთნელები. 10. მოცარტი.**

**ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთში, საერთაშორისო მნიშვნელობის არქეოლიგიური გათხრები მიმდინარეობს. ჩვენი რესპონდენტია კახა კახიანი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი და ჭობარეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.**

# როდის დასახლდა საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანი და რატომ არის ჭობარეთის არქეოლოგიური გათხრები საერთაშორისო მნიშვნელობის

**კახა კახიანი**: სოფელ ჭობარეთში, არქეოლოგიური ძეგლი 2009 წელს აღმოჩნდა, როდესაც ამ ტერიტორიაზე ახალციხე-ასპინძის მაგისტრალური გაზსადენი გაჰყავდათ. იქ მოპოვებული კერამიკის მიხედვით, ცხადი გახდა, რომ ძეგლი მიეკუთვნებოდა ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის მეორე ნახევარს. ეს არის ადრე ბრინჯაოს ხანა.

თავდაპირველად აღმოჩენელი მასალები ცხადყოფდა, რომ საქმე გვქონდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლთან. ნაპოვნი იქნა 4 ნაგებობა, 15 სამეურნეო ორმო და 9 სამარხი აკლდამა. ამ მასალებმა მიიქცია საერთაშორისო ყურადღება. 2011 წელს საფრანგეთიდან, ნიცის უნივერსიტეტის პალეო-ბიოლოგები დაინტერესდნენ აქ მოპოვებული პალინოლოგიური მასალებით. მომდევნო წელს საქმეში ჩაერთო ავსტალიიდან, მელბურნის უნივერსიტეტის ჯგუფი. მათი ხელმძღვანელი ანტონიო საგონა ადრე ბრინჯაოს ხანის სპეციალისტია.

**– დღეს მოპოვებული მასალები რა დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა?**

– აღმოჩნდა, რომ ეს ნამოსახლარი დაახლოებით 300 მეტრის სიგრძეზე ვრცელდებოდა, ხოლო სიგანე 150 მეტრამდე აღწევდა. ეს იმ დროისთვის ერთ-ერთი დიდი დასახლებაა, არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მთელ წინა აზიაშიც კი. დღეისთვის გათხრილია 7 ქვის ნაგებობა. მათ შორის ერთი, განსაკუთრებით დიდია. მისი სიგრძე 17 მეტრს აღწევს, ხოლო შემორჩენილი სიგანე, რომელიც დაზიანებულია – 4,5 მეტრია. ბუნებრივია, თავის დროზე, ის გაცილებით განიერი იქნებოდა. ამ ზომის ნაგებობები, არათუ ბრინჯაოს ხანისათვის, არამედ დღეისთვისაც კი, ძალიან დიდია. ეს, თავისთავად, უსვამს ხაზს, რომ დასახლება მეტად მნიშვნელოვანია.

**– შესაძლოა, ცენტალურიც?**

– შესაძლოა, რეგიონის ცენტრიც კი ყოფილიყო. იმიტომ რომ, ის გამართულია ორ ბორცვზე – მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და აკონტროლებს იქ მდებარე რამდენიმე ხეობას. სტრატეგიულ ადგილასაა აგებული. ეს დიდი ზომის ნაგებობა 3 სხვადასხვა დანიშნულების ოთახისგან შედგება. ერთი ოთახი სამეურნეო დანიშნულებისაა. ამ ნაგებობაშიც და დანარჩენებშიც, დიდი რაოდენობით ხორბლის მარცვალი აღმოჩნდა. პალეობიოლოგმა, პროფესორმა ელისო ყვავაძემ გამოიკვლია ეს მარცვლები და დაადგინა, რომ არანაკლებ, 4 ჯიშის ხორბალი მოჰყავდათ იმ დროს ჭობარეთის ნამოსახლარზე. მოგეხსენებათ, სამცხე-ჯავახეთი ისტორიულად საქართველოს ბეღლად ითვლებოდა. ჭობარეთის ნამოსახლარზე ადრე ბრინჯაოს ხანის ფენებში აღმოჩენილი ეს ხორბლის მარცვლები, იგივე ჯიშებს მიეკუთვნება, რაც ისტორიულად და ეთნოგრაფიულად, ამჟამადაცაა დაფიქსირებული სამცხე-ჯავახეთში. აქედან, 3 ტრადიციული ჯიშია, რომელიც, როგორც ჩანს, დაახლოებით 4-5 ათასი წლის განმავლობაში მოჰყავდათ ადგილობრივებს. გარდა ხორბლის მარცვლებისა, ვხვდებით იმდროინდელ წისქვილის ქვებს, ანუ ხელსაფქვავებს, რომლებიც ნავისებური ფორმისაა. ის შედგება 2 ნაწილისგან – ქვედა და ზედა ქვისგან. ამავე ნაგებობაში დაფიქსირებულია კაჟის ნამგლის ჩასართები, რაც ხორბლეულის მომკისთვის გამოიყენებოდა. ამ ნაგებობაში იყო კიდევ რამდენიმე თიხის ჭურჭელი, სადაც ინახებოდა ხორბლეული და შესაძლოა, ფქვილის მარაგიც კი. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს შენობა მაშინვე სამეურნეო დანიშნულების უნდა ყოფილიყო.

**– დანარჩენ ოთახებში რა აღმოაჩინეთ?**

– მეორე ოთახში, კედელთან მეტრ-ნახევარი სიგანისა და 5 მეტრი სიგრძის, 10-15-სანტიმეტრიანი შემაღლება იყო. როგორც ჩანს, ეს საცხოვრებელი სათავსო უნდა ყოფილიყო. აქ აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და რაც მთავარია – კერიის ნაშთი, სადაც შუაცეცხლი ინთებოდა. აღმოჩენილი თიხის ჭურჭლიდან რამდენიმე სიახლეა მტკვარარაქსული კულტურისთვის.



**აღმოჩნდა, რომ ეს ნამოსახლარი დაახლოებით 300 მეტრის სიგრძეზე ვრცელდებოდა, ხოლო სიგანე 150 მეტრამდე აღწევდა. ეს იმ დროისთვის ერთ-ერთი დიდი დასახლებაა, არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მთელ წინა აზიაშიც**

ჩვენი წლევანდელი და შარშანდელი გათხრები ცხადყოფს, რომ ჭობარეთში გავრცელებული იყო ტერასული დასახლება ქვის ნაგებობებით. მათ ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდათ. აქ კუთხეებში შემორჩენილია ძელის ჩასასმელი ადგილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დამჭერ ბოძებად ხის ძელები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სულ 6-7 ტერასაა დადასტურებული ვიზუალურად. ერთი ნაგებობის ბანი, მეორე ნაგებობის გზაც იყო. ჩვენი მცდელობაა, არქეოლოგიური გათხრებით დავაფიქსიროთ და დავადგინოთ, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობდა ამ ტერასებს შორის.

**– სამარხებზეც მიამბეთ.**

– წელს ერთი სამარხი გაითხარა, რომელიც სამეურნეო ორმოში იყო ჩაშვებული და მის თავზე დაფიქსირდა იმდროინდელი ხელსაფქვავები. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ მიცვალებულის საქმიანობა დაკავშირებული იყო ხორბლეულის მოყვანასთან. მიცვალებულს ჩატანებული აქვს ხელსაფქვავები, თიხის ჭურჭელი. კიდევ ერთი საინტერესო ნივთი აღმოჩნდა ამ ორმოში – ეს გახლავთ თიხის ყალიბი. ეს ყალიბი სამგანყოფილებიანია, მცირე ზომის სხმულებით. მასზე ძალიან კარგად ჩანს ლითონის ჩამოსხმის კვალი. ასევე, ხშირი გამოყენების კვალიც თვალშისაცემია, რადგან დაზიანებულია.

**– რას ასხამდნენ ამ ყალიბით?**

– ბრინჯაოს და შემდეგ მისგან სხვადასხვა ნივთს ამზადებდნენ. ამ ყალიბის აღმოჩენით, შეიძლება, დავასკვნათ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ძველი წელთაღრიცხვით მეოთხე ათასწლეულის მეორე ნახევარში მეტალურგიასაც მისდევდა.

**– დაკრძალვის როგორი ტრადიცია იყო იმხანად გავრცელებული?**

– ჭობარეთში აღმოჩენილ სამარხებს აკლდამის სახე აქვს. გვხვდება როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური აკლდამები. როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, შესასვლელი აქვს აღმოსავლეთის მხრიდან. წინიდან კი აფარებული ჰქონდა ბრტყელი ფილა. რადგან კოლექტიური სამარხი იყო, ამ ფილას გაწევდნენ, ძველ მიცვალებულს მიწევდნენ ერთ მხარეს და ახალ მიცვალებულს დაკრძალავდნენ, შემდეგ ისევ ამ ფილას აფარებდნენ. ერთ-ერთ აკლდამაში 5 მიცვალებული იყო დაკრძალული. 4 მიცვალებული მიეხვეტათ სამარხის ერთ-ერთ კუთხეში, მეხუთე კი – დაკრძალული იყო მოხრილი კიდურებით, მარცხენა გვერდზე.

**– ეს რას ნიშნავს?**

– ადრე ბრინჯაოს ხანაში უმეტესად გავრცელებულია დაკრძალვის ასეთი წესი: მიცვალებულებს კრძალავდნენ მარჯვენა, ან მარცხენა გვერდზე ხელ-ფეხმოკეცილს.

**– ემბრიონივით... ანუ როგორც მოევლინენ ქვეყანას, ისევე მიდიან?..**

– სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი ვარაუდიც არსებობს.

აქვე, დადასტურდა დაკრძალვის მეორე ფორმაც. ერთ-ერთ ნაგებობაში იატაკი იყო ჩაჭრილი, შიგ დიდი დერგი (თიხის ჭურჭელი) იდგა რომელშიც 2 წლის ბავშვი გახლდათ დაკრძალული. დაკრძალვის მსგავსი ფორმები წინა აზიის ადრეულ და ამ პერიოდის ძეგლებზე გვხვდება. კავკასიაში დერგში დაკრძალვის თითო-ოროლა შემთხვევაა დაფიქსირებული.

**– დერგს ძირითადად რისთვის იყენებდნენ?**

– ეს სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელია, რომელშიც შესაძლოა, შეინახო, სითხე, ხორბლეული, ან ფქვილი. სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ. ამ შემთხვევაში, გამოყენებულია დასაკრძალავადაც.

გათხრებმა ცხადყო ისიც, რომ 5500 წლის წინათ, ანუ ადრე ბრინჯაოს ხანაში, ჭობარეთში მცხოვრები მოსახლეობა არ იყო ჩაკეტილი. მათ ურთიერთობები ჰქონდათ წინა აზიის მოსახლეობასთან.

**– ეს რით დასტურდება?**

– ერთ-ერთ ნაგებობაში აღმოჩენილია ქვის მცირე ზომის საბეჭდავი, რომელიც თავისი ფორმით წინააზიური წარმოშობისაა. ასეთი საბეჭდავები იმდროისთვის ძალაუფლებისა და საკუთრების უფლების დამადასტურებლად მიიჩნეოდა. აქვეა, ნაპოვნი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელიც წინა აზიიდან უნდა იყოს იმპორტირებული.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, კერძოდ, ასპინძის ტერიტორიაზე, სოფელ ჭობარეთში, ტერასულ დასახლებაზე მოსახლეობა ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის, მეორე ნახევარში. ამ მოსახლეობას ჰქონდა თავისი ტრადიციები, არქიტექტურა, კულტურა, ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან. ჩვენ ვიცით, რომ დმანისის ნაქალაქარზე, ქვედა ფენებში ადრეული ქვის ხანის ადამიანების ნაშთებია აღმოჩენილი. რაც მიუთითებს, რომ მილიონ შვიდასი-მილიონ რვაასი ათასი წლის წინ, უკვე საქართველოს ტერიტორიაზე სახლდება ადამიანი. იქედან მოყოლებული, ბუნებრივი, კლიმატური და გეოლოგიური პირობები იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ადამიანს ნაყოფიერად ეცხოვრა ამ ტერიტორიაზე დღემდე.

**ეკა სალაღაია**

**სხეულზე ხატვის ხელოვნება მოდის ერთგვარი ტენდენციაა. ტატუ, როგორც სხეულის მუდმივი სამკაული, მრავალი ადამიანის განუყოფელი ნაწილი გახდა. რა მიმდინარეობებია დღეს მოდაში ჩვენს ქალაქში და სხეულის რა ნაწილებს იხატავენ ქალები და მამაკაცები, ამ და სხვა საინტერესო საკითხზე, სასაუბროდ ნიკა წერეთელს, ტატუსტუდია „მელანჟიში" ვესტუმრეთ.**

# რა კავშირია ტატუსა და ქართულ ორნამენტს შორის და რა სიახლეების დანერგვას აპირებს ტატუს სპეციალისტი ნიკა წერეთელი

– ეს სტუდია ორ წელზე მეტია, რაც არსებობს. ყოველდღე ვმუშაობთ და მხოლოდ მაშინ ვისვენებთ, როცა გვძინავს ან ნაბახუსევზე ვართ. სტუდიაში სამნი ვართ: მე, ანდრეი აივაზიანი და დათო იაკობიძე. სამივეს აბსოლუტურად განსხვავებული სტილი და მიდგომა გვაქვს.

**– ნიკა, როგორ აღმოჩნდი ტატუს სამყაროში?**

– ბავშვობიდან ვხატავდი, ამიტომ მშობლებმა სკოლის ასაკიდანვე გადაწყვიტეს, რომ ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში მივეყვანე. ფერწერაზე დავდიოდი, ნატურმორტებს ვხატავდი. მერე იყო სხვადასხვა მხატვრის კერძო სახელოსნოები. სულ მაინტერებდა სუბკულტურები, ტატუ, ბაიკერები, პირსინგი... სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში ვიფიქრე, ჩემი ცოდნის რეალიზებაზე და მოვედი ანდრეისთან. სწრაფად დავეუფლე ტატუს გაკეთების სპეციფიკურ ნიუანსებს. არ ვხატავ ჯარის, ქურდული სამყაროსა და სატანისტურ სიმბოლოებს. ისე, ტენდენციებს ჩვენც ვამკვიდრებთ. მე არქიტექტურულზე ვსწავლობდი. ტატუ და ჩემი სპეციალობა ერთმანეთს დავუკავშირე და გეომეტრიული ფიგურები შემოვიტანე. ეს სტილი დიდი ხანია, არსებობს, მაგრამ მე ჩემი ელემენტები დავამატე. აი, ახლა, მაგალითად, ქართულ თემატიკაზე ვმუშაობ. ხომ არსებობს იაპონური, ახალზელანდიური და სხვადასხვა კულტურებისთვის დამახასიათებელი ტატუ, რატომ არ უნდა არსებობდეს ქართული? თუშური, ხევსურული, სვანური ორნამენტები ულამაზესია, რომელსაც, სამწუხაროდ, ყურადღება არ ექცევა.



**– უცნაურია, რომ ქართული თემატიკის ტატუირებით დაინტერესდი. საიდან გაჩდა იდეა?**

– სადიპლომოს ვაკეთებდი ისეთ თემაზე, რომ მომიწია ქართული სახლების, ოდების, დედაბოძის საფუძვლიანი შესწავლა. დედაბოძზე უამრავი და ულამაზესი ქართული ორნამენტია. ძველი თბილისის ქუჩებში ხეტიალი მიყვარს. ესენი ვერ ავიყოლიე, მაგრამ აკადემიის ბავშვები მივდივართ ხოლმე და აქედან დამებადა ორნამენტების ხატვის იდეა. აჟურული აივნები და აზიური ელემენტები იმდენად მაგარია, რომ შოკში მაგდებს. ჩემი კოლეგები ამაში ვერ ერკვევიან და არც აინტერესებთ, მაგრამ მე ვფიქრობ, დავამკვიდრო ეს სტილი. ქართულ წარწერებსაც ვხატავ. ბოლო დროს ამაზე დიდი მოთხოვნაა. ხალხი მიხვდა, რომ არ არის აუცილებელი, ჩინური იეროგლიფის დაწერა მაშინ, როცა უამრავი ქართული წარწერაა ისეთი მორალის, რომ დიდი სიამოვნებით გადაიტანენ სხეულზე. რამდენჯერმე გავაკეთე ქართული ელემენტებით ტატუ და ინტერნეტში დავდე. მერე ვნახე ანალოგები უცხოურ საიტებზე. მივხვდი, რომ იმათ სულაც არ იცოდნენ, რა დაიხატეს, მაგრამ მოეწონათ დიზაინი და ამიტომ გახდა პოპულარული.

**– რა ღირს პირსინგის და ტატუს გაკეთება? ყველაზე ძვირი ტატუ, რაც კი დაგიხატავს, რომელია?**

– ტატუს ფასები 60 ლარიდან იწყება და იზრდება ნახატის ზომისა და სირთულის მიხედვით. ერთი სეანსი, რომელიც 3 საათი გრძელდება, 200 ლარი ღირს. თუ ნახატი დიდია, სეანსის მიხედვით ვახდევინებ. ყველაზე ძვირი დაჯდა ზურგის მოხატვა, რომელსაც 20-ზე მეტი სეანსი დასჭირდა და 5 000 ლარი გადაიხადა კლიენტმა. პირსინგი ცხვირზე, წარბზე და ტუჩზე ჩემთან 60 ლარი ღირს, ჭიპი – 80 და ენა – 100. დიდი მოთხოვნაა ინტიმურ ადგილებში პირსინგის გაკეთებაზე და 80-დან 100 ლარამდე ღირს. საერთოდ, ინტიმურ ადგილებში ტატუსა და პირსინგის გაკეთების, არანაირი ინტერესი არ მაქვს. მინდა, ჩემი ნამუშევარი საჯარო იყოს და არა დამალული. ყველამ იცი, რომ ბიჭების ფასებთან შედარებით, ძალიან იაფად ვხატავ.



**ხალხი მიხვდა, რომ არ არის აუცილებელი, ჩინური იეროგლიფის დაწერა მაშინ, როცა უამრავი ქართული სიმბოლოა ისეთი მორალის, რომ ადამიანები დიდი სიამოვნებით გადაიტანენ სხეულზე**

**– ძირითადად, რა ასაკის ადამიანები იკეთებენ ტატუს?**

– 18 წლიდან ზევით. არასრულწლოვნებს ტატუს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვუკეთებთ, თუ მშობელი მოჰყვება ან სხვა ოჯახის წევრი, ვინც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს. ყველაზე ხანდაზმული 74 წლის ქალი იყო, რომელმაც შემდეგ ათი დაქალი მოიყვანა და დღემდე ჩემი კლიენტები არიან.

**– სხეულის რომელ ადგილებშია სასურველი ტატუს გაკეთება?**

– სტანდარტულად, ტატუსთვის საუკეთესო ადგილებია მხრები, ზურგი და ფეხები. ქალმა ორსულობის დროს არ უნდა დაიხატოს მუცელზე. მშობიარობის შემდეგ, შეიძლება, რადგან სტრიების, საკეისროს ნაკერისა და იარების დაფარვა ძალიან ეფექტურად ხდება ტატუირებით. ამერიკაში 16 წლის მოქალაქეს მინიმუმ ორი ტატუ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ტატუ 30 კილოგრამის ცვალებადობას უძლებს, სხეულის საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე, მისი გაკეთებისგან თავის შეკავებას ვურჩევთ. ასეთ შემთხვევებში, ტატუ შეიძლება გაფუჭდეს. სარისკოა, მუცლის არეში და მკერდზე ტატუს გაკეთება ორივე სქესისთვის.

**– ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები თუ იკეთებენ ტატუს და მათ შორის ვინ არის თქვენი ყველაზე ხშირი სტუმარი?**

– კი, საკმაოდ ხშირად მოდიან. მაგალითად, გუშინ ნინუცა მაყაშვილს ნეკნებზე ძალიან ლამაზი ბუმბული დავახატე. ამას წინათ სალომე ღვინიაშვილი იყო და იმასაც ნეკნებზე ბუმბული გავუკეთე, ოღონდ ნინუცასთან შედარებით, მცირე ზომის. ანდრეისთან იკეთებენ ტატუს გიორგი ქორქია და გეგა ფალავანდიშვილი.

**– მართალია, რომ ერთხელ თუ გაიკეთებ ტატუს, მერე მუდმივად გაქვს სხეულის მოხატვის სურვილი?**

– კი, მართალია. აზარტში შედიხარ, მაგრამ მერე ხვდები, რომ ისეთი დიდი მოცულობის არ არის სხეული, რომ ყველაფერი დაიხატო ზედ, რაც კი მოგინდება. მე, მაგალითად, პირველი ტატუ ახლა დავიხატე და უკვე ვიცი, რომ აუცილებლად მექნება მეორე და მესამე, ოღონდ მაშინ, როცა ჩემს ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი რამე მოხდება, რისი ასახვაც სამუდამოდ მომინდება სხეულზე. ვფიქრობ, ტატუ არანაირად არ უნდა იყოს მოკლებული შინაარს. არის ისეთი შემთხვევები, როცა ვიღაცას ახლობელი დაეღუპა და უნდა, მის სამახსოვროდ დაიხატოს რამე; ან ვინმეს შვილი შეეძინა... ეს შენი ისტორიაა, რომელსაც სხეულზე ტატუს სახით სამუდამოდ აღბეჭდავ.

**– ადრე ვისაც ტატუ ჰქონდა, აუცილებლად კრიმინალურ სამყაროს წევრად მოიაზრებოდა. როგორ უყურებს საზოგადოება ტატუს დღეს?**

– ასეთი შეხედულება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია. ტატუირების ხელოვნება იაპონიიდან და ახალი ზელანდიიდან მოდის. მაგრამ, იაპონიაში ტატუებიან ადამიანს კარგ რესტორანში ან აუზზე არავინ შეუშვებს, რადგან, იქ ტატუ ისევე ითვლება იაკუძას სამყაროს სიმბოლოდ. ეს იგივეა, რაც ჩვენთან ქურდული მენტალიტეტის გამოხატულება. ამერიკაში ამ მხრივ იდეალური მდგომარეობაა, ტატუ ძალიან მოდაშია.

**– ფერადი ტატუ უფრო მოდურია თუ შავ-თეთრი?**

– ადრე იყო შავ-თეთრი. ახლა კი უკვე მიხვდნენ, რომ ფერადიც არ გადადის და არ ხუნდება.

**– ყველაზე უცნაური და ორიგინალური რა დაგიხატავს?**

– ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი იყო, როცა დათოს ხელზე ორიგამის ქაღალდის თვითმფრინავი აეროპორტში, რეალური თვითმფრინავების ფონზე დავუხატე. ეს სპეციალურად არ დაგვიგეგმავს და ამიტომაც იყო საინტერესო. აეროპორტი არაბუნებრივი ადგილია ტატუს დასახატად. ვფიქრობ, ტატუ აურაა. მე მჯერა, რომ, თუ ტატუს დადებითი ენერგიით დამუხტული დავხატავ, ის არასდროს გახდება მოსაბეზრებელი.

**ნათია არსენიშვილი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ყველა პროფესიას ახლავს რისკ-ფაქტორები, რაც ადამიანის ჯანმრთელობას საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის. ყოველწლიურად მსოფლიოში პროფესიული დაავადებების 160 მილიონი შემთხვევა ფიქსირდება, გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც, როგორც ამ მიმართულების სპეციალისტები აცხადებენ, პროფესიული დაავადებების აშკარა მატებაა. რომელი პროფესიის ადამიანებს ემუქრებათ უფრო მეტად საფრთხე და როგორ შეიძლება, ავიცილოთ თავიდან პროფესიით განპირობებული დაავადების რისკი, ამის შესახებ შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, ქალბატონ რუსუდან ჯავახაძეს გავესაუბრეთ.**

# რა შეიძლება, ექცეთ ჯანმრთელობისთვის დიდ საფრთხედ „ოფისის მუშაკებს“ და როგორ ავირიდოთ თავიდან პროფესიული დაავადებები

**რუსუდან ჯავახაძე**: ადამიანის ცხოვრების, უნარ-ჩვევების, თვისებების ჩამოყალიბებაზე, პროფესია, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს. ესა თუ ის პროფესია ადამიანს თვისობრივად აყალიბებს იმ სამუშაოს მიდრეკილებისადმი, რომელიც მან უნდა შეასრულოს. ეს კი იწვევს იმას, რომ ადამიანს ხშირად უყალიბდება უნარ-ჩვევა, რაც მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული პროფესიისთვისაა დამახასიათებელი. გინახავთ ხომ, ხასიათის რა რადიკალური განსხვავებაა პრაქტიკოს ექიმსა და მეცნიერექიმს შორის. ფიცხი და ემოციური მეცნიერი იშვიათი შემთხვევაა. თუმცა, ხასიათის ასეთ ნიშან-თვისებებს, რა თქმა უნდა, მხოლოდ პროფესიას ვერ დავაბრალებთ. ეს მაინც სხვა საუბრის თემაა. აქტიური პროფესიის ადამიანებს ბევრად უფრო აქტიური ხასიათი აქვთ, ვიდრე იმ პროფესიის წარმომადგენლებს, რომელთაც რუტინული, ერთფეროვანი საქმის გაკეთება უწევთ. ჩემი დაკვირვებით, არის პროფესიები, რომლის წარმომადგენლებიც ძალიან გაწონასწორებულები არიან. არის პროფესიები, რომელთა წარმომადგენლებიც მათი საქმიანობის სფეციფიკიდან და ხასიათიდან გამომდინარე, უფრო აზარტულნი, ემოციურნი არიან. ცალკე თემაა ხელოვანი ადამიანების ხასიათობრივი ნიშან-თვისებები.

– **პროფესია გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. როგორია ქართული სტატისტიკა პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებით? რომელი პროფესიების წარმომადგენლები შედიან რისკ-ჯგუფებში?**

– პროფესიულ დაავადებებს იწვევს გარკვეულ პროფესიათა მავნე ფაქტორების ზემოქმედება. ეს დარგი მედიცინის აბსოლუტურად ცალკე მიმართულებაა. მავნე ფაქტორებმა შესაძლოა, გამოიწვიოს ნებისმიერი ორგანოს დაავადება. ანუ, დამახასიათებელია მულტიდაავადებები, რის გამოც, მათი დიაგნოსტიკა საკმაოდ რთულია. მსოფლიოში ყოველწლიურად ფიქსირდება პროფესიული დაავადებების 160 მილიონი ახალი შემთხვევა. ჩვენთან 2000 წლიდან ადგილი ჰქონდა პროფესიული დაავადებების გამოვლენისა და დადგენის ინტენსივობის მატებას. თუ 1996-1999 წლებში სულ რეგისტრირებული იყო პროფესიული დაავადების 28 შემთხვევა, 2000 წლის მონაცემით, ეს მაჩვენებელი შეადგენდა – 11-ს, 2001 წელს იყო 20 შემთხვევა, 2002 წელს - 25, 2003 წელს – 40. ანუ, ბოლო ათწლეულში სახეზეა მაჩვენებლის მატება. ბოლო წლების განმავლობაში გამოვლენილი პროფესიული დაავადებების ყველაზე მეტი შემთხვევით ხასიათდებოდა სამთომადნო წარმოება (45 შემთხვევა), მეტალურგიული მრეწველობა (44 შემთხვევა), ავტოტრანსპორტის სფერო (15 შემთხვევა). შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალისტების შეფასებით, არსებობს 150-ზე მეტი პროფესიული რისკი. აქედან, დაახლოებით 100, წარმოადგენს მუდმივ საფრთხეს 2 000 სხვადასხვა პროფესიის ადამიანისთვის.

– **უფრო ხშირად, რა ტიპის დაავადებები ყალიბდება პროფესიის მავნე ფაქტორების ზემოქმედებით?**

– არსებობს პროფესიული დაავადებების ვეებერთელა სია, რომელიც გამოწვეულია ფიზიკური, ქიმიური, მიკრობიოლოგიური ფაქტორებით. არსებობს ფსიქოლოგიური ფაქტორიც, რომელიც ეხმარება ამ დაავადებების მიმდინარეობას. მსოფლიოში და ასევე, საქართველოშიც ყველაზე ხშირია ვიბრაციული და ფიზიკური ფაქტორებით გამოწვეული დაავადებები: სიყრუე, ხერხემლისა და კიდურების სხვადასხვა დაავადება, მფრინავებსა და სტიუარდესებში მასობრივია სმენის ნევრიტი. ჩვენ ძალიან ბევრი მფრინავი გვყავდა ამ პროფესიული დაავადებით. საქართველოში პროფესიული დაავადებების რიგში მეორე ადგილზეა ინტოქსიკაციებით გამოწვეული დაავადებები, რაც ძირითადად მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის დარგებში დასაქმებულებს აწუხებთ. ამ ჩამონათვალში შედის საპარიკმახეროებსა და ვეტსამსახურებში დასაქმებული პროფესიონალებიც. ინტოქსიკაციით გამოწვეული დაავადებებიდან გავრცელებულია: ფილტვის დაავადებები, სიმსივნეები, ბრონქიტები, ბრონქული ასთმა და ა.შ. ვიბრაციული დაავადებები, ძირითადად, შეიძლება იმ ადამიანებს გაუჩნდეთ, ვისაც ფიზიკური შრომა უწევთ და დაწოლა მოდის



ადამიანს უყალიბდება უნარ-ჩვევა, რაც მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული პროფესიისთვის არის დამახასიათებელი

კიდურებზე. შრომის სტაჟის მატებასთან ერთად, დაავადებები უფრო რთულ ფორმასაც იძენს. წლებთან ერთად, პროფესიული დაავადებები უფრო მრავალრიცხოვანი გახდა. თანამედროვე ეპოქის წარმოებებში, ქარხნებსა თუ ფაბრიკებში დაცვის მეტი მექანიზმია, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ შრომის პირობები ძალიან არის გაუმჯობესებული. პირები რომლებსაც მუშაობის დროს კონტაქტი აქვთ რადიოაქტიურ ნივთიერებებთან, ლაბორატორიებში ქიმიურ ნივთიერებებთან ან ანილინის საღებავებთან, შესაძლოა, დაავადდნენ ავთვისებიანი სიმსივნით. ფარმაცევტულ წარმოებაში ჰორმონულ პრეპარატებთან მომუშავე ადამიანებისთვის დიდი ალბათობაა, რომ განუვითარდეთ კანის სხვადასხვა ფორმის სიმსივნე.

– **რა საფრთხე ემუქრება ინტელექტუალური შრომით დაკავებულ ადამიანებს?**

– ვინც ინტელექტუალურ და საპასუხისმგებლო სამსახურშია, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, მათში ხშირია ნევროზული დაავადებები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით გამოვლინდება. ეს საფრთხე ემუქრებათ ბანკირებს, ეკონომისტებს, ადვოკატებს, იურისტებს. იმ პროფესიის წარმომადგენლებს, ვისაც ბევრი საუბარი უწევთ, მაგალითად, პედაგოგებს, პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, ტელეწამყვანებს, სატელეფონო სადგურებში მომუშავე ადამიანებს, დიდი ალბათობით, შეიძლება, გაუჩნდეთ ფარინგიტი, ლარინგიტი, ფონოასთენია, ხმის ჩახლეჩა. ჩვენ საკმაოდ დიდხანს ვმუშაობდით სამეცნიერო კვლევაზე, რომელიც დაკავშირებული იყო სამედიცინო სექტორის წარმომადგენლების პროფესიულ დაავადებებთან. ექიმს, მით უფრო ქირურგს, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, შეიძლება, განუვითარდეს ვენების გაგანიერება; სტრესის გამო, სხვადასხვა ტიპის ნევროზები. ნევროზი ძალიან აქტუალურია მრავალი სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის წარმომადგენელისთვის, ვისაც უწევს აქტიურ სტრესში ცხოვრება. მათ მიეკუთვნებიან პოლიტიკური ლიდერები, სახელმწიფო მოხელეები. პროფესიულ დაავადებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მავნე ფაქტორის მოქმედების ხანგრძლივობას. ძალიან მნიშვნელოვანია ეგრეთ წოდებული „ოფისების დაავადებები”. ამას წინათ წავიკითხე ამერიკელი მეცნიერების კვლევა: „ოფისის ჰაერი კლავს.”. ჩვენ ხომ, სანამ ამერიკელები არ იტყვიან რამეს, ისე გვიჭირს დაჯერება. ჩვენი სამსახურის წარმომადგენლები ამ საფრთხეებზე დიდი ხნის წინ ვსაუბრობდით. ამერიკული კვლევის მიხედვით, სისხლში აღმოჩენდა ქლოროპოლიმერის მაღალი დოზა. მე არ ვიცი, კეთდება თუ არა ამ ტიპის კვლევა ჩვენთან, თუმცა ეს ძალიან კარგი მესიჯია ჩვენი საზოგადოებისთვის, ვისაც მუდმივად უწევს ყოფნა ოფისში, გაუფრთხილდეს საკუთარ ჯანმრთელობას. ის ადამიანები კი, ვისი კომპეტენციაცაა ეს მაქსიმალურად უნდა ზრუნავდნენ ოფისში სამუშაო პირობების შექმნაზე. „ოფისის მუშაკი” არ არის პროფესია, მაგრამ ოფისებში მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების რისკ-ფაქტორები, ძალიან დიდია. ეს შეიძლება იყოს, მავნე, ქიმიური ნივთიერებები, რომელთა ოფისის ჰაერში მოხვედრის წყარო, შეიძლება იყოს გარედან შემოღწეული ჰაერი. ასევე, ოფისში გამოყენებული მოსაპირკეთებელი მასალა, ავეჯი, საწმენდი ქიმიური საშუალებები, კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები ტექნიკა, მტვერი, ბიოლოგიური დამაბინძურებლები (ბაქტერიები, სოკოები). ჰაერის იონიზაცია, არახელსაყრელი მიკროკლიმატი, ტენიანობა, საოფისე ტექნიკის ელექტრომაგნიტური გამოსხივება, განათება, ხმაური, შრომის ინტენსივობა და დაძაბულობა – იძულებითი მჯდომარე სამუშაო პოზა, ჰიპოდინამია, მონიტორის წინ მხედველობის მრავალსაათიანი დაძაბვა, კლავიატურაზე მუშაობისას ხელების სტატიკურ-დინამიკური დაძაბვა და სხვა ფსიქოლოგიური ფაქტორები.

– **რა არის გამოსავალი? როგორ ვებრძოლოთ პროფესიულ დაავადებებს?**

– ერთადერთი გამოსავალია ის, რომ, როდესაც პროფესიულ არჩევანს ვაკეთებთ და ცხოვრებას ვუკავშირებთ პროფესიულ საქმიანობას, გაცნობიერებული გვქონდეს რისკ-ფაქტორები, რაც ამ პროფესიას ახლავს. ძალიან მნიშვნელოვანია ცხოვრების ჯანსაღი წესი, სუფთა ჰაერზე ყოფნა. ამიტომაცაა, რომ სოფლად პროფესიული დაავადებები უფრო ნაკლებია, ვიდრე – ქალაქში. გლეხი, რომელიც სოფელში მიწაზე ფიზიკურად მუშაობს, ნაკლებად დაავადდება ვიბრაციული და ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედებით, ქალაქში ფიზიკურად მომუშავე კი, დიდი რისკის წინაშე დგას. ამიტომაცაა, რომ სოფლად სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო მაღალია, ქალაქში კი ბევრად მეტია პროფესიით განპირობებული დაავადებები.

**თამუნა ნიჟარაძე**

(50-ე გვერდიდან)

იგებდნენ. გერმანელებმა ის ღამე გაათენეს – რაც ლაპაში დილამდე ლუდი დაილია, მგონი, ევროპაში არ დალეულა ერთად. ბრაზილიელებმაც კარგად იზეიმეს კოლუმბიასთან მოგება. იმ ღამეს ხუთი დინამიტი ააფეთქეს რესტორნებსა და კაფეებში. ასე იყო მექსიკაშიც და არგენტინაშიც, სადაც, როცა მათი გუნდი იგებდა, მთელი ბუენოს-აირესი გარეთ იყო, ხელით გამოჰყავდათ მოხუცი ქალები.

რაც შეეხება იმ ცვლილებებს, რაზეც მკითხეთ და რასაც პროფესიონალის და მაყურებლის თვალით ვხედავ, ფეხბურთი ჩემს, როგორც გულშემატკივრის ცნობიერებაში და გულში, შემოვიდა 1954 წლიდან. ოთხი წლის შემდეგ უკვე ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა და პროფესიონალურად მივუდექი ამ საქმეს. ჩემი სპორტული ჟურნალისტობა იმანაც გამოიწვია, რომ მაშინ იყო ქართული სპორტისა და ფეხბურთის საოცარი აღმავლობის ხანა. ამას დაემთხვა ბრაზილიის ნაკრების პირველი გამარჯვება 1958 წელს. მთელი მსოფლიო ლაპარაკობდა იმაზე, რომ ბრაზილია არის ფეხბურთის განსახიერება. ბუნებრივია, ქართველი კაცისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ვერ წარმომიდგენია ქართველი კაცი, რომელსაც უყვარს ქართული ფეხბურთი, იყოს ინგლისის გულშემატკივარი. მას შემდეგ იცვლებოდა როგორც ჩემი მსოფლმხედველობა, იცვლებოდა ფეხბურთიც. დაიკარგა ის რომანტიკა, რაც წლების წინ ჰქონდა. მაშინ, როცა ბრაზილიური ფეხბურთი იყო ყველაზე მაღალი დონის, არც ერთი ბრაზილიელი ფეხბურთელი არ თამაშობდა ევროპაში. 1982 წლის ჩემპიონატის მატჩები რომ ნახოთ, გაგიჟდებით, ისე თამაშობენ, ხოცავენ ერთმანეთს. ახლა უკვე სხვანაირადაა საქმე, უფრო გაიოლდა თამაში. აღარც ის ოსტატები არიან, როგორებიც იყვნენ ადრე. ისე დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი, სულ ორი თამაში იყო, როცა ერთი ფეხბურთელი მეორეს პერსონალურად ეთამაშებოდა. ამით უპირველესად, ფეხბურთი კარგავს ეშხს.

# რა რეკორდი დაამყარა დათო ქლიბაძემ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატებზე და რაში დაეხმარნენ მას არგენტინელი ფეხბურთელების ცოლები

**– და როცა, ამ ყველაფერში დიდი ფულიც ერევა, ფეხბურთიც აღარ „რჩება" მუნდიალის მოედნებზე?**

– ასე ვერ ვიტყოდი, არ შემიძლია, იმის თქმა, რომ ამ მსოფლიო ჩემპიონატზე რამე არაკანონზომიერი მოხდა. გამოკვეთილად, რომ ერთი გუნდი „დაუწვა" მეორეს, ასეთი რამ, ამ ჩემპიონატს მე ვერ შევატყვე. საქართველო გადასულია ტოტალიზატორზე, ამიტომაც ყველა საფეხბურთო შედეგს უყურებს ეჭვის თვალით, თავისი ჯიბიდან. ვერ ვიტყვი, რომ მარტო საქართველოშია ასეთი ბუმი. ინგლისი ნიძლავების ქვეყანაა. დილით ინგლისელი რომ იღვიძებს, მეზობელს ამინდზეც კი ენიძლავება, მით უმეტეს, ნიძლავებს დებენ ფეხბურთზე, მაგრამ იქ არაა ისეთი საეჭვო ვერსიები, როგორც ჩვენთან. ტოტალიზატორის მოძალებამ ნულამდე დაიყვანა უნგრული და პოლონური ფეხბურთი, სადაც ჩაწყობილმა თამაშებმა ძალიან მოიკიდა ფეხი. ასეთი ფაქტები მსოფლიო ფეხბურთში როგორ არ ხდება. 1995 წელს ორი მალაიზიელი ბიზნესმენი დაიჭირეს და გაასამართლეს იმის გამო, რომ საფეხბურთო ტოტალიზატორების მაფიაში იყვნენ ჩართულები. შავმა ტოტალიზატორმა მიიყვანა ამ დონემდე იტალიური ფეხბურთი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ დღევანდელ ფეხბურთში ეს მასიურია. როცა ვსაუბრობთ ამ ჩემპიონატის კანონზომიერებებზე, ალოგიკური არც არაფერი ყოფილა – გერმანია ღირსეულად გახდა ჩემპიონი მეკარის ხარჯზე. მე თუ ვინმეს საუკეთესოს ტიტულს მივცემდი, ეს იქნებოდა გერმანიის მეკარე.

**– და მესი?**

– მესი გვარით იყო ვარსკვლავი, ფეხბურთით ვერ იკაშკაშა. ბრაზილიაში ჩავიდა როგორც მესი და წამოვიდა, როგორც ჩვეულებრივი ფეხბურთელი, საერთო ჯამში, არაფრით გამოუჩენია თავი.

**– ძველი ვარსკვლავები ესწრებოდნენ ბრაზილიურ ჩემპიონატს?**

– მარადონა ვნახე ბევრჯერ საერთაშორისო სატელევიზიო ცენტრში, რომელიც რიო-დე-ჟანეიროს განაპირა მხარეს იყო გახსნილი. მოდიოდა და ექსპერტის რანგში ინტერვიუებს აძლევდა. ფინალზეც ისე იჯდა, ყველა რომ ხედავდა. დღეს უკვე საკმაოდ მობერებულია, აღარ არის საინტერესო. ის იყო უდიდესი ფეხბურთელი, მაგრამ მოედანს გარეთ თავისი ცხოვრებით, როგორც პიროვნება, არაფერს წარმოადგენდა. აი, ფეხბურთის ღმერთი იყო და ასე დარჩა ბოლომდე პელე, რომელიც ამ ჩემპიონატზე ხშირად არ გამოჩენილა. ბრაზილიას ისეთი გუნდი ჰყავდა, პელეს აქტიური გამოჩენა, ალბათ, არც სურდა. მე მას ბევრჯერ შევხვედრივარ სხვადასხვა ჩემპიონატზე. შევხვდი იაპონიაში, ასევე ესპანეთშიც 1982 წელს. მოედანზე ერთმანეთს ისე დავეჯახეთ, სანამ სიტუაციაში გაერკვნენ, მის დაცვას ტერორისტი ვეგონე *(იცინის).*

**თამუნა ნიჟარაძე**

(მე-16 გვერდიდან)

**– 33 წლის იყავით, როცა ფეხბურთელის კარიერა დაასრულეთ, რა ეტაპი დაიწყო ამის შემდეგ თქვენს ცხოვრებაში?**

– 35 წლის ვიყავი, როცა დავქორწინდი. ორი ქალიშვილი შემეძინა. ჩემი სპეციალობით დავიწყე მუშაობა. დავიცავი დისერტაცია და აკადემიური დოქტორის ხარისხი მაქვს სამშენებლო მექანიკაში. ჩავერთე პოლიტიკაში.

ახლა პატარა შვილიშვილი მყავს, მანუჩარი ჰქვია. ჯერ წლინახევრისაა, თუმცა საკმაოდ აქტიური და ღონიერი ბიჭია. ფეხბურთის თამაშს აუცილებლად ვასწავლი. თუ ფეხბურთელი არ გამოვა, იმედი მაქვს, ეყვარება მაინც.

**– თქვენი გატაცებების შესახებაც გვიამბეთ.**

– ძალიან მიყვარს ხატვა. ამ მიმართულებით სპეციალური განათლება არ მიმიღია, მაგრამ იმპრესიონისტმა მხატვრებმა იქონიეს დიდი გავლენა. 30-35 წელია, ფერწერაში ვმუშაობ და საკმაოდ ბევრი ნახატი დამიგროვდა. ძირითადად გავაჩუქებ, გაყიდვა არ მიყვარს. თუმცა, ერთი მაინც გავყიდე. მითხრეს, სხვა შემთხვევაში მხატვრად არ ჩაითვლებიო. ვფიქრობ, სამომავლოდ შეიძლება, კიდევ გავყიდო.

კიდევ ნადირობა მიყვარს ძალიან. როცა რაჭაში ვარ, ხშირად დავდივარ სანადიროდ. სიმართლე გითხრათ, კლდეებსა და მთებში სიარულის პროცესი უფრო მიყვარს, ვიდრე რამის მოკვლა. რამდენჯერმე კურდღელი და შველი შემხვდა, მაგრამ ვერ ვესროლე. რა ვქნა, ცხოველები მიყვარს. ძირითადად, ფრინველს თუ მოვკლავ. სახლში კურდღელი გვყავს, დეზი, რომელიც ჩემს ქალიშვილს საქმრომ აჩუქა. ახლა დაქორწინებულები არიან და შვილიც ჰყავთ. კურდღელი კი ჩვენ გვყავს.

# რის გამო თქვა მანუჩარ მაჩაიძემ უარი უამრავ სახარბიელო შემოთავაზებაზე და რა უსამართლობას წააწყდა ის კარიერის განმავლობაში

კიდევ იარაღი მიყვარს ძალიან და მცირე კოლექციაც მაქვს.

**– კვლავ ფეხბურთს დავუბრუნდეთ, ახლახან მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა. კმაყოფილი ხართ შედეგებით?**

– ჩემპიონატზე ძალიან მაღალი დონე აჩვენა გერმანიამ, არგენტინამ, ჰოლანდიამ, კოსტარიკამ, ჩილემ. რაც შეეხება ესპანეთს, ინგლისს, იტალიას, საფრანგეთს და რა თქმა უნდა, ბრაზილიას, მათ იმედები ვერ გაამართლეს. მსოფლიო პირველობამ აჩვენა, რომ არცთუ ისე მდიდარ ქვეყნებსაც შეუძლიათ, ძლიერ გუნდებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ, რაც ჩვენთვის მისაბაძი უნდა გახდეს.

**– დაბოლოს, რას იტყოდით ახალგაზრდა ფეხბურთელების გასაგონად?**

– 1970 წელს, „დინამოში" მწვრთნელად გავრილ კაჩალინი ჩამოვიდა. დამხმარედ ქართველი სპეციალისტი ჰყავდა. კაჩალინი ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშეებით დაინტერესდა, ერთადერთ უპერსპექტივოდ მე დამასახელეს. უთხრეს, რომ გულის მანკი მქონდა, თვალებში ვერ ვიხედებოდი და ასე შემდეგ. მაგრამ, ორ კვირაში, ჩვენზე დაკვირვების შედეგად, მან თავად მიიღო გადაწვეტილება – მოვეწონდი და საყრდენ ნახევარმცველად დამაყენა. მომდევნო 12 წელი ასე ვითამაშე.

ასე რომ, ახალგაზრდებს ვურჩევ, ნუ დაუჯერებენ ხოლმე მწვრთნელებს, რადგან ისინი ხშირად ცდებიან. თუ ფეხბურთი უყვართ, იშრომონ დაუღალავად, დაიცვან რეჟიმი და თუ მისაღწევია წარმატება, აუცილებლად მიაღწევენ.

**ქეთი კაპანაძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**იშვიათად მინახავს ისეთი მიზანდასახული ადამიანი, როგორიც მარიამ გიგუაშვილია. ის საკმაოდ ლამაზი, დახვეწილი და, ამავდროულად, ჭკვიანია. იცის, რომ ახლა იმ ასაკშია, როცა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს შანსები, ბევრი იშრომოს, ისწავლოს და მომავალში ამით მიაღწიოს წარმატებებს. როგორც თავად ამბობს, უნდა, ის სტერეოტიპი დაანგრიოს, რომ თითქოს, ლამაზ გოგონებს ჭკუა არ მოეკითხებათ. ასე რომ, 23 წლის მარიამისთვის სილამაზე საქმეში მხოლოდ ხელის შემწყობი ფაქტორია, თუმცა, არასდროს ცდილობს გარშემო მყოფების მხოლოდ ამ „იარაღით" მოხიბვლას.**

# რას სთხოვენ მარიამ გიგუაშვილს პატრულის თანამშრომლები და როდის ხდება ის მორიელივით საშიში

**მარიამ გიგუაშვილი**: ძალიან მიზანდასახული ადამიანი ვარ და, ვცდილობ, ბევრი ვისწავლო, მივიღო გამოცდილება და ჩემი შრომითა და ცოდნით მივაღწიო დასახულ მიზნებს. თეატრალური უნივერსიტეტი დავამთავრე დრამატურგიის განხრით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ვწავლობდი ერთი წელი სარეჟისოროზე. ასევე, სამედიცინო უნივერსიტეტშიც ვისწავლე. ახლახან კი პროექტ „იღბლიან დებიუტში" მივიღე მონაწილეობა და გამარჯვებულებს შორის მოვხვდი. ეს არის რადიო „ფორტუნა ჰოლდინგის" პროექტი, სადაც უნდა დაგეწერა მასალა და იმის მიხედვით შეირჩეოდა გამარჯვებული. მე დავწერე სტატია იმ ქალებზე, რომლებმაც სამყარო შეცვალეს და გამარჯვებულ სამეულში მოვხვდი. ტელევიზიაშიც გავდიოდი სტაჟირებას დოკუმენტური კინოს განხრით.

**– ასაკით პატარა ხარ და ამდენი როგორ მოახერხე?**

– *(იცინის)* ძალიან ენერგიული ვარ, არ მეზარება შრომა და, ვცდილობ, ყველგან მოვსინჯო ძალები. სულ ძიებაში ვარ. სხვათა შორის, გარკვეული პერიოდი, თეატრში ვთამაშობდი ეპიზოდურ როლებს; ასევე, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებშიც" ვარ ეპიზოდურ როლში გადაღებული. ჟურნალისტიკაშიც ვთანამშრომლობ – ვწერ სტატიებს და ვბეჭდავ. ფოტოსესიებზეც მიწევს სიარული. სამოდელო სტუდიებიდანაც მქონდა შემოთავაზება, მაგრამ, თავს ვიკავებ. ახლაც მაქვს პატარ-პატარა შემოთავაზებები და ვნახოთ. ძალიან მიყვარს ხელოვნება და, განსაკუთრებით – კინემატოგრაფია. მეხუმრებიან ხოლმე მეგობრები, როგორი ადამიანი ხარ, ცხოვრებას რქებით აწვებიო. ზუსტად ასეა. თუ გინდა, რომ ცხოვრებაში რამეს მიაღწიო, ასეთი „რქიანი" უნდა იყო *(იცინის)*. ზუსტად ვიცი, უახლოეს მომავალში ძალიან წარმატებული ადამიანი ვიქნები – ამის მჯერა. თან, ზოდიაქოთი მორიელი ვარ, ცოტა კბენაც მეხერხება და ჩემს გაბრაზებას არავის ვურჩევ *(იცინის)*. სხვათა შორის, წაკითხული მაქვს, რომ მორიელის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები სექსუალურები, მიზანდასახულები და ჭკვიანებიც არიან, მაგრამ მათი გაბრაზება ყველას ძვირად უჯდება.

**– უცხოეთშიც ხომ არ აპირებ ძალების მოსინჯვას?**



**თუ გინდა, რომ ცხოვრებაში რამეს მიაღწიო, „რქიანი" უნდა იყო**

– რატომაც არა! მინდა, არა მარტო საქართველოში, არამედ, მის ფარგლებს გარეთაც ვიყო ცნობილი და წარმატებული. საქართველოში პატარა ჩარჩოებია და ძნელია მასში ჩაეტიო, უცხოეთში კი მეტი გასაქანია და უფრო გეძლევა შანსი, მაქსიმუმს მიაღწიო.

**– გამორჩეული გარეგნობა გაქვს. ქუჩაში, ალბათ, ბევრი გაყოლებს თვალს და თაყვანისმცემლების სიმცირესაც არ განიცდი, ხომ ასეა?**

– საკუთარ თავზე საუბარი მიჭირს, მაგრამ, ფაქტია, ქუჩაში რომ მივდივარ, ყურადღებას მაქცევენ *(იცინის)*. მანქანებიდან ყურებას, კომპლიმენტებსა და თვალის გამოყოლებას მიჩვეული ვარ. არ დამავიწყდება, ჩემს მეგობარ გოგონას ვაცილებდი. გაჩერებაზე ვიდექით და მე მობილურ ტელეფონზე ვლაპარაკობდი. უცებ, ვიღაც ტიპი დამეტაკა და ტუჩებში მაკოცა. ისე დავიბენი და შემეშინდა, ვერაფერი ვუთხარი. მაშინვე გავვარდი სახლში და აბაზანაში კბილის ჯაგრისით ვიხეხე ტუჩები *(იცინის)*. დედამ არ იცოდა, რა მოხდა და, რომ დამინახა ტუჩებს ჯაგრისით ვიხეხავდი, ეგონა, გავგიჟდი *(იცინის)*. არც საჩუქრებსა და ყვავილებს მაკლებენ უცნობი თაყვანისმცემლები, მაგრამ, ყვავილების მირთმევა გოგოსთვის ცოტა ბანალური მეჩვენება, უფრო რომანტიკული სიურპრიზი მირჩევნია ბიჭისგან. ჩემთვის რომანტიკა ცოტა სხვა რამაა. მოკლედ, ბანალური რომანტიკა არ მხიბლავს.

**– შეყვარებული არ გყავს?**

– შეყვარებულს ახლახან დავშორდი. ასე რომ, ჩემი გული თავისუფალია *(იცინის)*.

**– ამბობენ ლამაზი ქალები ადვილად აღწევენ წარმატებას გარეგნობის წყალობითო – ამ აზრს ეთანხმები?**

– გეტყვით. მე მინდა, დავანგრიო სტერეოტიპი, რომ ლამაზი ქალები ჭკვიანები არ არიან. ანუ, ის აზრი, რომ არ შეიძლება, ქალი ერთდროულად იყოს წარმატებული თავის საქმეში, ჭკვიანი, განათლებული და, ამავდროულად, მოწესრიგებული და ლამაზიც, სრული აბსურდია. სილამაზე, უბრალოდ, გეხმარება, ადვილად მიაღწიო დასახულ მიზანს, მაგრამ, თუ განათლება, გამჭრიახობა და ცოდნა არ გაქვს, ამას ვერ მიაღწევ. მე კი არ ვოცნებობ, რეალურად ვსახავ ჩემს მიზნებს და, ზუსტად ვიცი, რომ ავიხდენ. აუხდენელი ოცნებები და არარეალურზე ფიქრი არ მიყვარს, თორემ, ფანტაზიის უნარი საკმაოდ განვითარებული მაქვს. დღეს ძიებაში ვარ და ამ ეტაპზე არ მივიჩნევ თავს წარმატებულ ადამიანად, მაგრამ პერსპექტიული გოგო ვარ. ჩემი აზრით, კარგი და სექსუალური გარეგნობა, ერთი მხრივ, კარგია, მეორე მხრივ კი – ცუდი.

**– ცუდი რატომ?**

– სადაც არ უნდა მიხვიდე, მაგალითად, გასაუბრებაზე, სხვანაირად გელაპარაკებიან და სხვა თვალით გიყურებენ, თორემ, იმ სამსახურში მოხვედრის სხვაზე დიდი შანსი გაქვს.

**– ასეთი ფაქტები შენს ცხოვრებაშიც ყოფილა?**

– რამდენიც გინდათ, იმდენი. ეს კი არა, პატრულსაც გავუჩერებივარ და, გული რომ გამხეთქვია, ნეტავ რა დავაშავე-მეთქი, ტელეფონის ნომერი უთხოვია *(იცინის)*. ზოგადად, ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი ვარ, მიყვარს ბევრ ხალხთან ურთიერთობა, მაგრამ, მსგავს რამეებს ვერ ვიტან.

**– თავის მოვლას რამდენ დროს უთმობ?**

## მინდა, დავანგრიო სტერეოტიპი, რომ ლამაზი ქალები ჭკვიანები არ არიან

– საერთოდ არ დავდივარ სალონში, ერთადერთი წარბებს ვიკეთებ. ბუნებრივი თმის ფერი მაქვს, არც ვიჭრი და არც ვიღებავ. მანიკიურ-პედიკიურსაც ჩემით ვიკეთებ. არც ვეწევი, არც ვსვამ და, ვხუმრობ ხოლმე, ნატურალური, პერსპექტიული და ჯანმრთელი სარძლო ვარ-მეთქი *(იცინის)*. დამიჯერეთ, არც დიეტაზე ვყოფილვარ არასდროს, წონას ისე ვინარჩუნებ – 47 კილო ვარ. ჭამას კი ვაკონტროლებ, მაგრამ, შოკოლადის „ნარკომანი" ვარ. ისე ძალიან მიყვარს, ღამის 3 საათზე ჩავსულვარ მაღაზიაში, მიყიდია და მიჭამია. ბევრი მეუბნება, ქეთა თოფურიას ჰგავხარო. ვერ გეტყვით, რამდენად ვგავარ ქეთას, მაგრამ, მგონი, მსგავსი ცხვირები, თმა და მოყვანილობა გვაქვს. არ დაგიმალავთ, ქეთა თოფურია ძალიან მომწონს. ისიც მიზანდასახულია და მეც, ისიც მებრძოლი ადამიანია და მეც და, მგონი, ესეც საკმარისია ჩვენს მისამსგავსებლად. უბრალოდ, ის უკვე წარმატებულია, უცხოეთში ცნობილი, მე კი ჯერ ამ გზას ვადგავარ და, იმედი მაქვს, დავეწევი *(იცინის)*.

**ნონა დათეშიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ოთო ბერიშვილი ქართველებისთვის ცნობილი და საყვარელი მომღერალია. ის დიდ სცენაზე 2012 წელს გამოჩნდა „საქართველოს ვარსკვლავში“. მისი სიმღერები დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც თინეიჯერებში, ასევე ნებისმიერი ასაკის მსმენელებში. ის ამ პოპულარობას დღესაც ინარჩუნებს. ოთო თბილისში დაიბადა და გაიზარდა. როგორც თავად ამბობს, სიმღერა ბავშვობიდან მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა მის ცხოვრებაში და ეს არ იყო მხოლოდ ჰობი – ეს სულიდან მოდიოდა. მომღერლის ცხოვრებაში სიახლეა, რაც ჟურნალ „თბილისელებს“ არ გამოპარვია. ჩვენი რესპონდენტი სწორედ ოთო ბერიშვილი და მისი მეუღლე, ანასტასია იოსელიანია.**

# რატომ იწვა ოთო ბერიშვილი ღამით შუა გზაზე და რა გვარისაა ის სინამდვილეში

**– ოთო, მოგვიყევი შენს შესახებ.**

**ოთო**: 25 წელია, თბილისში ვცხოვრობ, ანუ დაბადებიდან. მყავს სამი ძმა. ბაბუამ მიმიყვანა ვოკალის მასწავლებელთან. მისი ინიციატივით დავიწყე სიმღერა. გვარიც ბაბუასი მაქვს, დედაჩემის მამის – გვარის გაგრძელების მიზნით. სინამდვილეში, ვარ აკობია. სახელიც ბაბუასი მქვია. მყავს მეუღლე და ველოდებით ბავშვს.

**– მოდი, თქვენი ურთიერთობის დასაწყისზე ვისაუბროთ, როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

**ანასტასია**: ვარ ჟურნალისტი და იმ პერიოდში, ვმუშაობდი რადიო „საქართველოს ხმაში“. მუსიკალური გადაცემის წამყვანი ვიყავი. ეს ის პერიოდი იყო ოთო განსაკუთრებული პოპულარობით რომ სარგებლობდა. მისი სიმღერა მქონდა მოსმენილი, მაგრამ პირადად არ ვიცნობდი. ოთო შემთხვევით, სტუდიასთან გამაცნო ჩემმა მეგობარმა. ეს იყო უბრალოდ გაცნობა, წამიერი. იქიდან დაიწყო ყველაფერი და ძალიან მალე განვითარდა ჩვენი ურთიერთობაც. არ გვქონია რომანტიკული სიყვარულის ისტორია, არც სერენადები უმღერია ოთოს ჩემთვის და არც გული დაუნთია. პირიქით, ყოველთვის ვჩხუბობდით ***(იცინის).***

**ოთო**: ანასტასია რომ გავიცანი, მაშინვე გავიფიქრე, ეს გოგო ჩემი უნდა გახდეს-მეთქი და ავასრულე კიდეც. ყველაფერი მართლა უცებ მოხდა. სერენადებს არ ვუმღეროდი იმიტომ, რომ ანასტასიას ბებიის მეშინოდა ***(იცინის).*** სულ ვემალებოდით.

**ანასტასია**: ერთადერთი შვილიშვილი ვარ და ბებიას არავისთვის ვემეტებოდი ***(იცინის).*** ახლა, რა თქმა უნდა, ძალაინ უყვარს და დიდ პატივს სცემს ოთოს. რომ ვთქვა, რამე შეიცვალა ქორწინების შემდეგ-მეთქი, მოგატყუებთ. შეყვარებულობის პერიოდშიც სულ ერთად ვიყავით, ერთად ვისვენებდით, ყველგან ერთად დავდიოდით. განსხვავება ისაა, რომ ახლა ერთ სახლში ვცხოვრობთ.

**ოთო**: აქვე, მინდა, მოგიყვეთ ერთი კურიოზი, რომელიც ჯერ კიდევ შეყვარებულობის პერიოდში გადაგვხდა. ერთხლაც, ძალიან ვიჩხუბეთ და ვერა და ვერ შევირიგე ანასტასია. გაუტკბა გაბუტვის პერიოდი ***(იცინის).*** ამიტომ, გადავწყვიტე, რაიმე ისეთი მომეფიქრებინა, რაც აიძულებდა, შემრიგებოდა. მეგობრებთან ერთად მოვდიოდი, ღამე იყო. ყველასგან მოულოდნელად, გავწექი შუა გზაზე და ვეუბნები ანასტასიას, სანამ არ შემირიგდები, აქედან არ ავდგები-მეთქი. მას ეგონა, ვეხუმრებოდი და პასუხიც არ დააყოვნა, იწექი მერეო. მე იმედი მქონდა, რომ მანქანები გვერდს ამივლიდნენ. აბა, მართლა ხომ არ გადამივლიდნენ?! ამ ფიქრებში ვარ და ერთი მანქანაც პირდაპირ ჩემკენ დიდი სიჩქარით მოდის. ამ დროს მესმის ანასტასიას ხმა, ოღონდ ადექი და გირიგდებიო. მეც გახარებული წამოვხტი, აღარ ვიცოდი სიხარულისგან რა გამეკეთებინა. საფრთხემ რომ ჩაიარა, ანასტასია მომიბრუნდა და მითხრა, მოგატყუეო ***(იცინის).*** ბოლოს მაინც შევირიგე.

**ანასტასია**: საერთოდ, ყველამ იცის, რომ გზაზე გადასვლისა და მანქანების მეშინია, სპეციალრად გააკეთა.

**– როგორც ყველა ახალშეუღლებული წყვილი, თუ კამათობთ ხოლმე?**

– კი, თან ხშირად. ერთი წელი გახდება მალე, რაც დავქორწინდით. წელს გავიდა 4 წელი ერთმანეთის გაცნობიდან. სულ ვკამათობთ.

**ოთო**: რა ვქნათ, ასეთები ვართ, არ შეგვიძლია, მხოლოდ თბილი სიტყვები ვუთხრათ ერთმანეთს. ისეც ნუ გაიგებთ, თითქოს მტრები ვიყოთ ***(იცინის).*** ძალიან გვიყვარს ერთმანეთი

**– ელოდებით შვილს, ოთო რა განცდა გაქვს, როგორც მომავალ მამას?**

– თავიდან, რომ გავიგე, ანასტასია ფეხმძიმედ იყო, დიდად ვერ გამოვხატე ჩემი ემოცია. უბრალოდ, გამიხარდა და მეტი არაფერი

**ანასტასია**: იტყუება! ოთო ჯერ კიდევ შეყვარებულობის პერიოდიდან ოცნებობდა მამობაზე. სულ მეუბნებოდა, ალბათ, შოკში ჩავვარდები, რომ გავიგებ, მამა უნდა გავხდეო. მართლაც, ისეთი სახე მიიღო, რომ ვუთხარი, ფეხმძიმედ ვარ-მეთქი, გაშეშდა. შემეშინდა, რამე არ მოსვლოდა და კინაღამ ვუთხარი, მოგატყუე-მეთქი ***(იცინის).***



**ანასტასია: „ისეთი სახე მიიღო, რომ ვუთხარი, ფეხმძიმედ ვარ-მეთქი – გაშეშდა, შემეშინდა, რამე არ მოსვლოდა და კინაღამ ვუთხარი, მოგატყუე-მეთქი“**

**– რამდენი თვის ფეხმძიმე ხარ და თუ არ არის საიდუმლო გვითხარით ბავშვის სქესი.**

– ხუთი თვის ფეხმძიმე ვარ, გოგოს ველოდებით.

**ოთო**: გოგოს მამა გავხდები.

**– რას არქმევთ პატარა გოგონას?**

– სახელი შერჩეული გვაქვს, თუმცა ჯერ არ ვამბობთ. ერთ ადამიანს სიურპრიზს ვუმზადებთ.

**– ანასტასია, რთულია იყო ოთოს მეუღლე?**

**ანასტასია**: არა, უბრალოდ, იყო პერიოდი, როცა რაღაცეები არ მომწონდა. მაგალითად, ოთოს „ფეისბუქში“ რომ შევდიოდი, 30 გოგო მხვდებოდა დამატებული და უამრავი წერილი. ახლა შევეჩვიე და რეაქცია აღარ მაქვს. მიხარია, რომ გავივლით და გვცნობენ, ბევრ თბილ სიტყვას გვეუბნებიან. მე მეამაყება და ბედნიერი ვარ, რომ ოთო ბერიშვილი ჩემი ქმარია.

**– ოთო, მახსოვს, „საქართველოს ვარსკვლავში“ სიმღერა მიუძღვენი ანასტასიას. რაიმე ისტორია ხომ არ უკავშირდება ამ ფაქტს?**

**ოთო**: ყველა ჩემი სიმღერა ანასტასიას ეძღვნება. მაშინ დაშორებულები ვიყავით, სცენაზეც ისე გავედი, არაფრის სურვილი არ მქონდა. „გუშინ გნახე“ – ეს სიმღერაც იმიტომ ვიმღერე. საერთოდ, სიმღერას რომ ვწერ, ყოველთვის ვუთანხმდები ჩემს მეგობარს, ბინგოს. თუ ის მეტყვის, კარგია, ესე იგი, მართლაც კარგია. მაგრამ, როცა გადავწყვიტე, ამ სიმღერით გავსულიყავი, დავურეკე ანასტასიას და ვთხოვე, ერთი წუთით მოესმინა. მისი აზრი მაინტერესებდა, მოეწონდა და მეც ვიმღერე.

**ანასტასია**: ეს სიმღერა ოთოს შემოქმედებისგან განსხვავებულია და როდესაც მომასმენინა, ვუწინასწარმეტყველე, რომ წარმატებას მოუტანდა. ასეც მოხდა, სადაც მივდივართ, ყველგან ამას ამღერებენ.

**– თუ გამოარჩევდი რომელიმე სიმღერას შენი შემოქმედებიდან?**

**ოთო**: კი, მაქვს ასეთი, ჩემი სიმღერები მართალია, ძირითადად სიყვარულზეა და თითქმის, ყველა დეპრესიის დროს მაქვს დაწერილი ***(იცინის),*** მაგრამ, გამოვარჩევ ერთს – „მთვრალ კაცს.“ ეს სიმღერა არ არის ცნობილი. მისი შინაარსიც განსხვავებულია დანარჩენებისგან.

**– ოთო, როგორი ბავშვი იყავი?**

– ძალაინ ცელქი და მოუსვენარი. არ მიყვარდა სწავლა, დამრიგებელსაც არ ვუყუვარდი დიდად ***(იცინის),*** სამაგიეროდ, დირექტორი იყო კეთილგანწყობილი, რადგან სიმღერა კარგად გამომდიოდა და ყოველთვის სხვადასხვა დიპლომით ვბრუნდებოდი სკოლაში კონკურსებიდან. სკოლაც სიმღერამ დამამთავრებინა ***(იცინის).***

**– რა არის შენთვის მუსიკა?**

– ყველაფერი: საჭმელი, სასმელი, ჰაერი. ყოველდღე ვმღერი, სხვაგვარად არ შემიძლია.

**ანასტასია**: შეიძლება, არ ჭამოს, მაგრამ იმღეროს ***(იცინის).***

**– ოთო, ცოტა გადახვევას გავაკეთებ და გკითხავ, რა ხდება შენს კარიერაში?**

**ოთო**: სიახლეა ის, რომ შევქმენი ბენდი და ერთად ვაგრძელებთ სიმღერას. ვმღერით იმიტომ, რომ მოგვწონს და არა იმისთვის, რომ ვიყოთ პოპულარულები. ჩვენი რამდენიმე სიმღერა უკვე ცნობილია მსმენელისთვის. სამომავლოდ, ვგეგმავთ კონცერტის ჩატარებას, თუმცა ეს დროის საკითხია.

**– რატომ აღარ მიიღე სხვა კონკურსში მონაწილეობა. ეს ერთგვარი იმედგაცრუება ხომ არ იყო?**

– „საქართველოს ვარსკვლავში“ მონაწილეობის სურვილიც არ ყოფილა ჩემი. მეგობრების, ოჯახის წევრებისა და ნათესავების დაჟინებული თხოვნით გავედი. იმედგაცრუება არა, უბრალოდ, ვიცი, ჩემი შესაძლებლობები. იმისთვის, რომ ვიმღერო, საჭიროდ არ მიმაჩნია კონკურსიდან კონკურსში მივილო მონაწილეობა.

**ანასტასია**: ოთოს არ უყვარს თავის ქება, არც ის, სხვა რომ აქებს, არც პოპულარობა ხიბლავს. ყველას ძალიან დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ „საქართველოს ვარსკვლავში“ გასულიყო.

**– ბოლოს, რას მოყვებოდი ისეთს, რასაც შენი მსმენელი „თბილისელებიდან“ გაიგებს...**

**ოთო**: რამდენიმე დღის უკან, დანის ტარების გამო, 200 ლარით დამაჯარიმეს. არ იფიქროთ, რადგანაც ცივ იარაღს ვატარებ, კაცის მკვლელი ვარ ***(იცინის).*** უბრალოდ, ბავშვობიდან მიყვარს დანების შეგროვება და ტარება. რაც ამეკრძალა და ძალიან მწყდება გული.

**ეთო ხურციძე**

# ბრძნული აზრები

**ლაროშფუკო**: ადამიანები, ივიწყებენ რა სიკეთესაც და წყენასაც, ამასთან, მიდრეკილნი არიან, ეჯავრებოდეთ თავიანთი კეთილისმყოფელნი და აპატიონ თავიანთ მაწყინარებს. აუცილებლობა, უმადლოდე სიკეთის გამო და შური იძიო ბოროტებაზე, მათ მონობად მიაჩნიათ, რომელსაც ისინი არ ემორჩილებიან.

**ლაო-ძი**: დასაბამში დაბრუნებას სიმშვიდე ჰქვია; სიმშვიდეს – არსში დაბრუნება ჰქვია, ხოლო, არსში დაბრუნებას – მარადისობა.

**პასკალი**: ადამიანები ძალზე განიცდიან, როცა იძულებულნი არიან მხოლოდ თავისთვის იცხოვრონ და მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნონ.

**შოპენჰაუერი**: ადამიანი გაურბის, იტანს ან უყვარს მარტოობა, იმის მიხედვით, თუ რამდენად ფასეულია მისთვის პირადი „მე".

**ფრომი**: იმას, ვისაც თუნდაც ერთი ადამიანი უყვარს, მთელი სამყარო უყვარს.

**პუბლიუსი**: ვისაც თავისი მოქმედების არ რცხვენია, ის ორმაგად დამნაშავეა.

**ჩერჩილი**: მიწის მონოპოლია არა მხოლოდ მონოპოლიაა, ის მონოპოლიებს შორის უდიდესი მონოპოლიაა; ის სამარადისო მონოპოლიაა და მშობელია ყველა სხვა მონოპოლიისა.

**ემერსონი**: როცა თვალები ერთს ლაპარაკობენ, ხოლო ენა – სხვას, გამოცდილი ადამიანი პირველს უფრო ენდობა.

**კანტი**: მშვენიერება – ეს რაღაც ისეთია, რაც აუცილებლად გემოვნებას მიეკუთვნება.

**ციცერონი**: მტრები ყოველთვის სიმართლეს ამბობენ, მეგობრები – არასოდეს.

**შილერი**: ხმის უმრავლესობა სამართლიანობის საზომად ვერ ჩაითვლება.

**ლემი**: ქონება სასარგებლოა, რადგან ის დროს უწევს ეკონომიას.

**საადი**: ადამიანი სიტყვით დგას ცხოველზე მაღლა, მაგრამ, თუ სიტყვას არასწორად გამოიყენებს, ის უფრო მდაბალია.

**ლაბრუიერი**: დიდებული ჩვენ გვაკვირვებს, არარაობა განგვიზიდავს, ჩვევა კი ეგუება ერთსაც და მეორესაც.

**მაკალეი**: ეშმაკ ადამიანებს სძულთ ცოდნა; უბრალო ხალხს უკვირთ ის, ბრძენნი კი სარგებლობენ მისით.

**კასტელარი**: კაცობრიობის ისტორია არის განუწყვეტელი ბრძოლა იდეებსა და ინტერესთა შორის; წუთით იმარჯვებენ ინტერესები, დიდი ხნით კი – იდეები.

**ანტისთენე**: დრო არის ჩვენი აზრი და საზომი და არა არსი.

**ოვიდიუსი**: დროის ძალაუფლება კანონია და პატივისცემის ღირსია.

**ბომარშე**: ქალებს ძალიან მოსწონთ, როცა მათ სასტიკებს უწოდებენ.

**უაილდი**: ქალი – ესაა ქმედება, აღმატებული გონებაზე, მამაკაცი კი – გონება, აღმატებული მორალზე.

# თუ გაიგებთ

1. მყარი გამონათქვამი: – „ტყე ჩვენი პლანეტის ფილტვებია" – შეცდომაა. ბიოსფეროსგან წარმოქმნილი ჟანგბადი ნაკლებია, ვიდრე ის რაოდენობა, რაც მისი ნარჩენების დაჟანგვისთვის, ანუ, ლპობისთვის გამოიყენება. ჟანგბადის გამოყოფა მაშინ აჭარბებს მის ხარჯვას, თუ ნარჩენები დაუჟანგავად ინახება. **დაასახელეთ, სინამდვილეში რას შეიძლება ეწოდოს „დედამიწის ფილტვები"?**

2. ამ ქვეყანაში წვრილი ფული ოთხგვარი დასახელებით შეგხვდებათ, მაგალითად, ასი ფრანკი შეიძლება მოიხსენიონ როგორც სანტიმად, ისე რაპენად ან ჩენტესიმოდ. საქმე ისაა, რომ ამ ქვეყანაში საქმიანი ურთიერთობისთვის მხოლოდ რეტორომული ენა გამოიყენება, ხოლო ფრანგულს, გერმანულსა და იტალიურს თანაბარი უფლებები აქვს. **დაასახელეთ ქვეყანა.**

3. 1870-იან წლებში ლეკოკ დე ბუაბოდრანმა და ლარს ნილსონმა ორი იმათგანი აღმოაჩინეს, რომელთა ადგილი წინასწარ იყო განსაზღვრული და დატოვებული... ამით დაიწყო ამ გამოტოვებული ადგილების შევსება. **დაასახელეთ, რა ადგილების?**

4. ჭურჭლის გატეხას ყოველთვის ბედნიერების ნიშნად მიიჩნევდნენ, თუმცა, მოწვეული სტუმარი სენატორისთვის იმ საგნით თასის გატეხა, რომელიც, ასევე, ბოროტების თავიდან აცილების სიმბოლოდ ითვლება, კალიგულამ ცუდის ნიშნად ჩათვალა. **რით გატყდა თასი?**

5. სამართლის ტექსტი რომაელებმა სოლონის საბერძნეთში მოგზაურობის შემდეგ მიიღეს და ფორუმზე განათავსეს, რომ ყველა მოქალაქისთვის ყოფილიყო ცნობილი. მოგვიანებით, კონსულების – ვალერიასა და ჰორაციოს მონაწილეობით კიდევ სამი კანონი მიიღეს, რომლებიც სიკვდილით დასჯას შეეხებოდა. **რა სახელით არის ცნობილი რომაელთა ეს კონსტიტუცია?**

6. ლინკოლნმა, რომელიც ცდილობდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის გაერთიანებას, თხოვნით მიმართა ჯუზეპე გარიბალდის, რომელმაც იტალია გააერთიანა, სათავეში ჩასდგომოდა ჩრდილოელთა არმიას. გარიბალდმა ერთადერთი პირობა წაუყენა, რომლისთვისაც ლინკოლნი მაშინ მზად არ იყო. **რა პირობა?**

7. ლოს-ანჯელესის საკონცერტო დარბაზში, რომელიც 2000 წელს აიგო, სკამების გადასაკრავების შერჩევისას გაითვალისწინეს, რომ დარბაზი განკუთვნილი იყო არა მარტო კონცერტებისთვის, არამედ რეპეტიციებისთვისაც. **რა გათვალეს მათ?**

8. სამხრეთ აფრიკის ქალაქ კემბერლის გერბზე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაამტკიცეს, ბრიტანეთის დროშის ფონზე გამოსახულია თეთრი რომბი. **დაასახელეთ, რისი სიმბოლოა ეს გეომეტრიული ფიგურა?**

9. უკანასკნელად NBA-ს ისტორიაში, მან მონაწილეობა მიიღო 1978-79 წლების სეზონში. მას შემდეგ, რაც მოთამაშეთათვის შემოიღეს ხელფასის ზედა ზღვარი, NBA-ს კლუბებს აეკრძალათ მათი მოთამაშედ გაფორმება, რათა თავიდან აეცილებინათ მათი ჩაბმა მაქინაციურ მოლაპარაკებებში. **ვისი?**

10. ფილმ „ოცნების რექვიემის" საუნდთრეკი კომპოზიტორ კლინტ მენსელს ეკუთვნის. თუმცა, ბევრი დარწმუნებულია, რომ მისი ავტორი სულ სხვა კომპოზიტორია. **ვინ?**

*პასუხები იხილეთ 77-ე გვერდზე*

# ფსევდონიმები და ნამდვილი სახელები

**მარტინ ანდერსენი** (დანიელი საბავშვო მწერალი) – მარტინ ანდერსენ-ნექსე.

**გიომ აპოლინერი** (ფრანგი მწერალი) – ვილჰელმ აპოლინარი კოსტროვიცკი.

**ფრედ ასტერი** (ამერიკელი მსახიობი და მოცეკვავე) – ფრედერიკ აუსტერლიცი.

**ანა ახმატოვა** (რუსი მწერალი) – ანა გორენკო.

**რიჩარდ ბარტონი** (ამერიკელი მსახიობი) – რიჩარდ ძენკინსი.

**სანდრო ბოტიჩელი** (იტალიელი ფერმწერი) – ალესანდრო ფილიპეპი.

**დონატო ბრამანტე** (იტალიელი ფერმწერი და არქიტექტორი) – დონატო პასკუჩო დ ანტონიო.

**ვილი ბრანდტი** (გერმანელი პოლიტიკოსი) – ჰერბერტ კარლ ფრამი.

**მონიკა ვიტი** (იტალიელი მსახიობი) – მარია ლუიზა ჩიჩარელი.

**მარინა ვლადი** (ფრანგი მსახიობი) – მარია-ლუიზა პოლიაკოვა-ბაიდაროვა.

**ანა ზაგერსი** (გერმანელი მწერალი) – ნეტი რადვანი.

**მარიო ლანცა** (იტალიელი წარმოშობის ამერიკელი მომღერალი) – ალფრედო არნოლდ კოკოცა.

**ლე კორბუზიე** (შვეიცარიელი არქიტექტორი) – შარლ ედუარდ ჟანერე.

**ჯეკ ლონდონი** (ამერიკელი მწერალი) – ჯონ გრიფიტ ლონდონი.

**ალბერტო მორავია** (იტალიელი მწერალი) – ალბერტო პინკერლე.

**მიშელ მორგანი** (ფრანგი მსახიობი) – სიმონა რუსელი.

**ანდრე მორუა** (ფრანგი მწერალი) – ემილ ერზოგი.

**პარაცელსი** (გერმანელი ექიმი, ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი) – ფილიპ აურეოლ თეოფრასტ ფონ გოგენჰაიმი.

**პარმიჯანინო** (იტალიელი ფერმწერი და გრაფიკოსი) – ფრანჩესკო მაცოლა.

**ჟან ეფელი** (ფრანგი არქიტექტორი) – ფრანსუა ლეჟენი.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი: 1. ლb1-d3!**

**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ორი მეთევზე სანაპიროზე ბოთლს იპოვის. გახსნეს და იქიდან ჯინი ამოიმართა:
– აბა, მითხარით სურვილი...




– მინდა, რომ ზღვა ლუდად იქცეს... – თქვა ერთმა.
იქცა ოქროსფერ ლუდად ზღვა...
ეცა მეორე მეთევზე საყელოში.
– რა ქენი, ლუდს რა მივაყოლოთ... ნავი?

***

– ნოდარ, როგორაა საქმე...
– როგორ უნდა იყოს. პენსიას ჯერ არ მაძლევენ, ქალები კი უკვე აღარ მაძლევენ...

***

– სამსახურში წავიდე თუ დავიძინო... დავიძინო თუ სამსახურში წავიდე... ეჰ, წავალ სამსახურში და დავიძინებ...

***

პატარა ბიჭუნა მშობლების გაყრის პროცესს ესწრება. მოსამართლე მზრუნველი ტონით ეკითხება:
– ვისთან გირჩევნია ცხოვრება, დედიკოსთან თუ მამიკოსთან?
– გააჩნია, ვის დარჩება კომპიუტერი.

***

– სანდრო, თვლა იცი?
– კი... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ვალეტი, დამა, კაროლი...

***

– მამა, აბა, რას იტყვი, უკვე ვიცი მანქანის ტარება?
– შეამჩნიე ტროტუარზე მოკლექაბიანი გოგო?
– არა.
– ესე იგი, არ იცი...

***

– გოგას გაუმარჯოს! როგორ ხარ, რას შვრები... რაც სკოლა დავამთავრეთ, აღარ მინახავხარ...
– აბა, როგორ გარბის დრო... შენ რას აკეთებ?
– რა ვიცი, დავდივარ მანქანით აქეთ-იქით, მძღოლი, „მიგალკა“, სირენა...
– შენ რა, დეპუტატი ხარ?
– არა, სანიტრად ვმუშაობ „სასწრაფოზე“.

***

– გოგონი, რას აკეთებ ამ საღამოს?
– ხვალ დამირეკე და მოგიყვები...

***

ბაბუა „ფეისბუქზე“ დარეგისტრირდა...
– ვნახოთ, შეიძლება ყველა არ მომკვდარა...

***

– ეჰ, კაცებს რა უჭირთ, ქალში რისი შეფასებაც უნდათ, თვალნათლივ ხედავენ... ჩვენ კი მუდამ სიურპრიზს ველოდებით...

***

ჩემი ახლობლების ამბებს „ფეისბუქით“ უფრო სწრაფად ვიგებ, ვიდრე მობილურით...

***

შორი რეისების მძღოლი პენსიაზე გავიდა. საიუბილეოდ ძმაკაცებმა ძველი „კამაზის“ გალამაზებული კაბინა აჩუქეს. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ესტუმრნენ მეგობრები. ქმარი კმაყოფილია, ცოლი ბრწყინავს.
– მადლობა საჩუქრისთვის, ასეთი კმაყოფილება და სიამოვნება მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ მიმიღია, როგორც ამ კაბინაში... ოღონდ ესაა ცუდი, რომ ბოლოს ყოველთვის კაბინის კარს აღებს და მეუბნება... „დავაი, ჩქარა მოშორდი აქედან...“

***

ორი ქირურგი შეხვდა ერთმანეთს ლიფტში.




– წუხელ სიზმარი ვნახე, – ამბობს ერთი, – ოპერაციას ვაკეთებ, ირგვლივ ასისტენტები მახვევია, ყველა მედიცინის დოქტორია, პროფესორი, შენ შუბლიდან ოფლს მწმენდ...
– მე კი ვნახე, რომ ვითომ მოვკვდი და სამოთხეში არ მიშვებენ: შენ ქირურგი ხარ, ადამიანებს ჭრიდი, ტკივილს აყენებდი...
უცბად შენ დაგინახე და ვეუბნები:
– ის რომ შეუშვით, ისიც ხომ ქირურგია?
– არა, ქირურგი შენ ხარ ის მხოლოდ იბრალებს...

***

მოდის შავკანიანი მხარზე ჭრელი თუთიყუშით.
– ვა... ეს სად იყო? – ეკითხება ტიპი.
– აფრიკაში... იქ უამრავია, – უპასუხა თუთიყუშმა.

## ცნობილ ადამიანთა წამახვილური გამონათქვამები

კახეთში, როცა შიშიანობა იყო, ერთი ჯარისკაცი უქებდა ლეკებში მოსიარულე მზვერავს თავის ჯარის უფროსის სიბრძნეს.
– ასე გასინჯეო, ოცი თუ ოცდაათის წლის შემდეგ მზე რა დღეს დაბნელდება, ისიც კი იცისო.




– ეს კარგი, მაგრამ თუ ესეთი გულთმისანი არის ის შენი უფროსი, მე რაღას მეხვეწება: – აბა, ერთი შეგვიტყვე, შამილი სად არისო, – უპასუხა მზვერავმა.

***

ლევან დადიანი ერთხელ ოტია ჩიქოვანს გაუჯავრდა, გამოჩენილი ბერის, გელოვანის დისწულს. ჯერ კარგად შერისხა და შემდეგ მიუბრუნდა გელოვანს:
– ბერო, ამ შენს დისწულს, ცოტა არ იყოს, ჭკუა აკლიაო.
– არა, ბატონო, აკლია კი არა, სულაც არა აქვსო, – მოახსენა მთავარს გელოვანმა.

***

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართველ მწერალ-მოღვაწეთა კომისია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაზე მუშაობდა.
ერთხელ აკაკი იმ დროს მივიდა კომისიის სხდომაზე, როდესაც არჩევდნენ რუსთაველის ფრაზას „ცათა ღმერთი შეარისხეს“.
კომისიის წევრთა შორის კამათი იყო. ერთი ნაწილი ამტკიცებდა, სიტყვა „ცათა“ გადამწერის დამახინჯებას წარმოადგენს. ცა ერთია და რუსთაველსაც, ალბათ, „ცასა“ ექნებოდაო. ასეც აპირებდნენ ტექსტის გასწორებას, მაგრამ ამ დროს აკაკი წამოდგა, სიტყვა ითხოვა და წამოიწყო ლოცვა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“...
საბუთი უკეთესი აღარ შეიძლებოდა, რუსთაველის ტექსტში დარჩა „ცათა ღმერთი შეარისხეს“.

***

საბჭოთა ეპოქაში რადიორეპორტაჟის გაძღოლა მოსკოვში დადგენილი ინსტრუქციით ხორციელდებოდა. ამის გამო, კომენტატორს გარკვეულ ჩარჩოში მუშაობა უწევდა. მაგრამ ეროსი მანჯგალაძე ასეთი შეზღუდვის პირობებშიც ახერხებდა იმპროვიზაციას. ერთ-ერთი მატჩისას მსახიობმა „დინამოს“ მიერ პირველ ტაიმში გატანილი გოლი როგორღაც „დამალა“. ამის შესახებ მხოლოდ მაშინ გამოაცხადა, როდესაც რადიომსმენელებს ეგონათ, რომ თამაში ფრედ დასრულდა.

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რატომ გადაწყვიტეს ბათუმელმა „მაგარმა ბიჭებმა“ იპოლიტე ხვიჩიას გაშაყირება

კინოსტუდიიდან მსახიობები გადაღებაზე ბათუმში წავიდნენ. ბათუმი კი, მოგეხსენებ-ათ, რაცაა – ზღვა, მზე და სიყვარული.

დილაადრიან მიაკივლა მატარებელმა აჭარას.

მზად არიან ბათუმელები, იპოლიტეს ელიან – იპოს... მათ სიყვარულის კერპს და უდიდეს ალმაფრენას. ყველა ცდილობს, როგორმე ხელი ჩამოართვას დიდ მსახიობს. ხელი ჩამოართვას რას ჰქვია, ისიც დიდი ბედნიერებაა, როგორმე ხელი თუ შეახო მის სამოსს და მერე იტრაბახებს: იპოს კოსტიუმზე ხელი მომიხვდაო.

ეს სიტუაციაა და ყველა ქალაქში არიან „მაგარი ბიჭები“. ბათუმის „მაგარმა ბიჭებმაც“ მოილაპარაკეს და „სხოდკაზე“ თქვეს: აბა, გავაშაყიროთო.

იპოლიტეს გაშაყირება თავიდანვე ფუძემორყეული რომ იყო, რა იცოდნენ?! ჩამოვიდა თუ არა მატარებლის კიბიდან იპოლიტე, ბათუმელი ბიჭები „საქმეს“ შეუდგნენ. მომენტიც დაიჭირეს. იპოლიტე ბაქანზე ჩამოვიდა, ყასიდად ამოიღო სიგარეტი და არხეინად გააბოლა.




ბათუმელთა „სქემა“ დაიწყო:

მოვიდა ერთი და:

– ბატონო იპოლიტე, მომიკიდეთ რაა... – მოიმარჯვა სიგარეტი.

იპოლიტემ მოუკიდა და დინჯად მიდის.

ახლა მეორე მიადგა:

– მომიკიდეთ, თუ შეიძლება, ბატონო იპოლიტე!

– ა, შვილო, მოუკიდე, მაგრამ სიგარეტი კლავს, კლავს... მოიგერია მეორეც, მაგრამ ჯერ სადაა?

– ბატონო იპოლიტე, თუ შეიძლება, მომიკიდეთ...

– ა, ბატონო, – აღარ ჩეიწვა ეს სიგარეტი, კაცო! – ჩაიქირქილა თავისებურად.

როგორც ლოგიკა გვეუბნება – ბათუმელებსაც შერცხვათ, მაგრამ ერთმა მაინც ვერ შეიკავა თავი, გამოვარდა, იპოლიტეს წინ შეტევაზე გადასული, ბომბით აფეთქებული ტანკივით „დაატორმუზა“, ჯიბიდან „ბტ“ დააძრო და ჰაერში ააგდო სიგარეტის ღერი. ღერმა დაიბზრიალა და ბიჭმა ტუჩებით დაიჭირა.

სასწრაფოდ გამოიღო პირიდან ხელის თითებით და კიდევ ერთხელ შეაბზრიალა:

– მომიკიდეთ, ბატონო იპოლიტე...

იპო მაგის ჩიტი იყო სწორედ! მდგომარეობა ელვისებურად შეაფასა:

– თქვენ ჟონგლიორი ხომ არ ხართ, ყმაწვილო? – ეკითხება ბიჭს.

– უჰ, – შერცხვა ბიჭს, – გამოიცანით, მე ჟონგლიორი ვარ.

– ასეა, ხომ? – თავისებურად ჩაიქირქილა იპოლიტემ, – ასეა, ხომ?

– დიახ, ასეა.

– აბა, ერთი კიდევ გააკეთე...

ბიჭი გადარევასაა, დამაფასაო – ისევ ააგდო სიგარეტი, ისევ დაიჭირა ტუჩებით და:

– მომიკიდეთ...

იპოლიტემ სიგარეტის უკვე ჩამწვარი ნამწვი (სოროკი) წკიპურტით გაისროლა ზღვის მხარეს.

– აბა, თუ მაგარი ხარ, დეეწიე და მოუკიდე!

***

... დიდხანს მიდიოდა გადაღება და ერთ დღეს, როცა იპო პლაჟზე მისეირნობდა, ზღვიდან კივილის ხმა მოესმა.

მოესმა და გავარდა.

ქალი ამოუყვანიათ ზღვიდან მაშველებს და ხელოვნურ სუნთქვას უტარებენ – ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი...

ქალი გადარჩა, მაგრამ იპოლიტეს თავისი დაემართა.

ქალი ნახევრად წყალში ჰყავდათ და ისე უტარებდნენ „ამოქაჩვებს“ – საწყალიც ყრრ-ყრრ... ამოარწყევდა ხოლმე წყალს (გადარჩა).

იპოლიტეს უთქვამს – ამოიყვანეთ, კაცო, ეგ ქალი, ტრ...ით ნუ გყავთ წყალში, თუ არა მთელ ზღვას ამოტუმბავთო.

ასე ამბობენ... ალბათ, ასე იყო... გგონიათ, არ იქნებოდა?!

ისე კი... ღმერთო, გვიმრავლე ასეთი ხალხი საქართველოში.

**მოამზადა მურმან მერკვილიშვილმა**


**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.


# შეკითხვა ექიმს

HAIRLINE INTERNATIONAL

*კითხვებზე პასუხობს „ჰეალაინის“ დერმატოკოსმეტოლოგი მაკა დოლოგაშვილი.*



**კითხვა: უკვე დიდი ხანია, რაც გაყავისფრებული მაქვს იღლია და საზარდულები. ერთი პერიოდი, მექავებოდა კიდეც და რალაც სითხეც გამოიყოფოდა, მაგრამ ახლა მსგავსი ნიშნები აღარ მაქვს, სიყავისფრე კი დამრჩა. დროდადრო თავს მახსენებს, ანუ მაწუხებს და უსიამოვნო შეგრძნებაც მაქვს, თითქოს მტკივა. რაც შეეხება დეზოდორანტებს, ყველას ვერ ვხმარობ, რადგან ქავილს მაწყებინებს. ამ ეტაპზე სოდას ვიყენებ. მაინტერესებს, რა არის ეს და სწორია თუ არა სოდის გამოყენება.**

**პასუხი:** საზარდულსა და იღლიის მიდამოში მოყავისფრო ლაქებს ყველაზე ხშირად ორი დაავადება იწვევს: ერითრაზმა, რომელიც ბაქტერიული ბუნებისაა, ან ეპიდერმოფიტია, რომელიც სოკოვანი ბუნებისაა. ორივე შემთხვევაში, მაპროვოცირებელი ფაქტორებია ჰიპერჰიდროზი (ჭარბოფლიანობა) და ჭარბი წონა. კონკრეტულად რომელი დერმატოზია, ამის დიფერენცირებას დერმატოლოგი ახდენს კანის ვუდის ნათურით დათვალიერების, ანამნეზის საფუძველზე და ნიშნავს შესაბამის მკურნალობას. რაც შეეხება ანტიპერსპირანტებს და დეოდორანტებს, როგორც ჩანს, მათზე კონტაქტური ალერგიული დერმატიტი ვითარდება. სოდა მავნე არ არის, თუმცა უმჯობესია, შეარჩიოთ საშუალება ჰიპოალერგიული, მგრძნობიარე და ატოპიური კანისთვის, მაგალითად, თერმულ წყლებზე დამზადებული, რომელშიც არ შედის ალუმინის მარილები და ალკოჰოლი.

**კითხვა: მიზანშეწონილია თუ არა გლიცერინის ხსნარის წასმა სახეზე? წავიკითხე, რომ კანის რეგენერაციას უწყობს ხელს. თუ არა, იქნებ, მირჩიოთ რამე, კანზე გამონაყარის შედეგად დარჩენილი ლაქები რომ მოვიშორო. ზინერიტს რომ ვისვამ კანი მექერცლება.**

**პასუხი:** გამონაყრის შემდგომი ლაქები - იგივე აკნეს შემდგომი ჰიპერპიგმენტაციები, საკმაოდ დიდ პრობლემას ქმნის კანისთვის. მის სრულ მოშორებას სახლში მოხმარების გამალიავებელი საშუალებებით, ზოგჯერ 6-12 თვე სჭირდება. მათ შემადგენლობაში აუცილებლად შედის ერთ-ერთი კომპონენტი მაინც: იზოტრეტინოინი, ალფა-არბუტინი, ვიტამინი C, ჰიდროქინონი, ძირტკბილას ექტრაქტი, აზელაინის მჟავა ან გლიკოლის მჟავა. მათ პარალელურად, უნდა გამოიყენოთ მზის დამცავი კრემი. შედეგის მისაღწევად, უკეთესია, სახლში მოვლის პარალელურად, გამალიავებელი პროცედურების ჩატარება დერმატოკოსმეტოლოგთან. ამ პროცედურებიდან გამორჩეულია – გლიკოლის ან რეტინოიდების ქიმიური პილინგი, ლაზერული პილინგი, მეზოთერაპია და ასე შემდეგ. თუმცა, ყველა ამ პროცედურის ჩატარება რეკომენდებული არ არის ზაფხულის განმავლობაში. რაც შეეხება გლიცერინს, ის ძალიან კარგი დამატენიანებელია და თუ კანს არ გიღიზიანებთ, შეგიძლიათ, გამოიყენოთ, აუცილებლად გაზავებული სახით ვარდის წყალთან, ლაიმის წვენთან ან უბრალოდ, მინერალურ წყალთან ერთად. ზინერიტი გამოიყენეთ მხოლოდ წერტილოვნად, გამონაყარზე და არა მთლიანად სახეზე. ეს თქვენს კანს გამოშრობისგან დაიცავს.

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 230-00-30.**

**დიზაინერი გიო გოდეტი იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ნიჭიერებასა და ადამიანურ თვისებებზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. ალბათ, ამიტომაც, ის ჩემთვის არ არის ჩვეულებრივი რესპონდენტი... უკვე წლებია, გიო კანადაში ცხოვრობს და აქვს ძალიან წარმატებული კომპანია „გოდე“. მიუხედავად იმისა, რომ გიო კანადაში საქმიანობს, ის მაინც ცდილობს, საქართველოში ააწყოს სერიოზული წარმოება, შექმნას სამუშაო ადგილები და დაასაქმოს ადამიანები. თუმცა, ამ კუთხით, მას სახელმწიფოსგან ჯერჯერობით არანაირი ხელშეწყობა არ მიუღია...**

# რატომ გადაწყვიტა გიო გოდეტმა მამაკაცის კოლექციის შექმნა და როგორ გადიან წითელ ხალიჩაზე და მიღებებზე კანადის ცნობილი სახეები მისი გარდერობიდან აღებული სამოსით

**გიო გოდეტი**: დიდი ხანია, საქართველოში არ ვყოფილვარ, თითქმის ორი წელია. ამ დროის განმავლობაში გადავწყვიტე, ტაიმაუტი ამეღო და უფრო მეტი დრო დამეთმო ჩემი თავისთვის. ვფიქრობ, საკუთარი თავის ძიებაში ინვესტიცია ყველამ უნდა ჩადოს. სწორედ საკუთარ თავში ჩაღრმავებამ დამანახვა ჩემი შესაძლებლობები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი პროფესიული არჩევანი არის ის, რისი კეთებაც მსიამოვნებს, ამიტომ, მე არც ერთი დღე არ მიწევს მუშაობა. ნამდვილი ბედნიერებაა ნიჭისა და პროფესიის შეთავსება. ადრე არ ვაფასებდი საკუთარ თავს. ბავშვობიდან ვიცოდი, რომ დიზაინერობა მინდოდა, მაგრამ, ვორჭოფობდი – მეშინოდა, ხომ არ ვცდებოდი. საბედნიეროდ, დავრწმუნდი, რომ არ ვცდები და, რაც მთავარია, ობიექტური დამკვირვებლის თვალითაც ჩანს, რომ ჩემში არის საკმარისი ენერგია და პოტენციალი. სწორედ ამიტომ მინდა, საკუთარ თავს მეტი დრო დავუთმო და მივყვე შინაგან ხმას. შემოქმედებითი ადამიანი ვარ, ოღონდ, ერთ ამპლუაში არ და ვერც ვჯდები, ძალიან ბევრი მიმართულებით შემიძლია, განვავრცო ჩემი ნიჭიერება. თუმცა, არ მინდა, რაღაცეებს მივედ-მოვედო; ამ ეტაპზე ზუსტად ვიცი, რა მინდა და მასში ჩავდებ მთელი ჩემი დროის ინვესტიციას.

**– ეს რა მიმართულებაა?**

– გადავწყვიტე, კაცის ტანსაცმელზე ვიმუშაო. ჩემი პირველი ნამუშევარი სწორედ მამაკაცის ტანსაცმელი იყო – პირველად საკუთარ თავს ვაცმევდი. შემდეგ უფრო ქალის სამოსს ვქმნიდი. კაცის კოლექციის კეთება საკუთარი თავის გამო არ გადამიწვეტია. შეიძლება, არ დაიჯერო, მაგრამ, ხშირად მოდიან ჩემთან კანადური ბენდები, „ფეშენ-ფეისები,“ რომლებიც წითელ ხალიჩაზე ან რაიმე მსგავს დაჯილდოებაზე გამოდიან და ჩემს ტანსაცმელს პირდაპირ გარდერობიდან ხსნიან და ირგებენ. სიმართლე გითხრათ, სხვისთვის უფრო რთულია რამის შექმნა, რადგან, სხვისი აზრის გათვალისწინების გამო, ხშირად საკუთარ თავს კარგავ. ამიტომ, კოლექცია საკუთარი თავისთვის უნდა შევქმნა და, ვიცი, ძალიან კარგი გამოვა. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ უკვე ელოდებიან ჩემს კოლექციას, რომელიც არ იქნება ციდან ჩამოვარდნილი აბსტრაქტი; არის მისაღები, განსხვავებული და, რაც მთავარია, იგრძნობა ჩემი ხელწერა.

**– რა სტილი ჭარბობს შენს გარდერობში?**

– ჩემთვის ქსოვილი ყოველთვის მენანება, ნარჩენებისგან ვქმნი ტანსაცმელს და ამიტომ უფრო კარგი გამოდის. რაც შეეხება კოლექციას, რამდენიმე იქნება კლასიკური, რამდენიმე – ყოველდღიური; ასევე, ქეჟუალი. კაცის გარდერობი ერთი ტიპის სამოსით არ შემოიფარგლება – არის საღამოსთვის, ყოველდღიური, გასართობი, ბიზნესისთვის. მთელ მსოფლიოში მოდის ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ, რაც შეიძლება გაათანაბრონ სამოსი, ანუ, უნისექსი გახადონ – ეს წარმოებისთვისაც ძალიან კარგია. ჩემი ტანსაცმელი არის უფრო მეტად კაცური, მაგრამ არის რაღაც ნივთები, თუნდაც ჯინსები, რომელიც უფრო უნისექსია. ასევე, მაქვს ბიზნესლუქი, რომელიც კლასიკაშიც ჯდება.

**– რა ეტაპზეა ახალი კოლექცია?**

– ტორონტოში პირველად ჩატარდა მამაკაცის ფეშენ-კვირეული – „ტომ“. თავად ორგანიზატორმა, ჯეფ რუსტიამ მიმიწვია, მაგრამ, უარი ვთქვი: ჯერ ერთი, ასე უცბად არ ვქმნი კოლექციას, უნდა დავჯდე და ვიფიქრო და, მეორე – არ მქონდა ამის დრო, რადგან, მნიშვნელოვანი შემოთავაზება მაქვს: ოქტომბრიდან უნიფორმების ახალი დიზაინი უნდა შევქმნა ავიახაზებისთვის – „ვესტჯეტი.“ მე კოლექცია გასართობად არ მინდა, მინდა, მას ბიზნესდატვირთვა ჰქონდეს. ამიტომ, პირველი წელი გამოვტოვე და, მომავალი წლის გაზაფხულზე, როდესაც ჩატარდება „მამაკაცის ფეშენ-ვიქი,“ გამოვიტან „გოდეს“ მამაკაცის კოლექციას – „შემოდგომა-ზამთარი 2014-1015“. თუმცა, ისევ გავაგრძელებ ქალის პალტოების შექმნას, რაც კომპანიის ერთგვარი ნიშაა.

**– როცა თბილისში ჩამოდიხარ, ყოველთვის საინტერესო გეგმები გაქვს. რაც მთავარია, მუდმივად ცდილობ, ჩვენს ქვეყანაში ხალხი დაასაქმო, სამუშაო ადგილები შექმნა. ახლაც ხომ არ გაქვს ასეთი გეგმები?**

– ბიზნესპროექტი მაქვს ჩამოტანილი, რომელიც, სავარაუდოდ, აქაურობისთვის საინტერესო იქნება. ქსოვილის წარმოებაზეა საუბარი, რომელიც იწარმოება საერთაშორისო ბაზრისთვის, მოდის სახლებისთვის, დიზაინერებისთვის, იმ კოლექციებისთვის, რომლებიც „ჰაი კუტიურიეა“. ანუ, მე ჩემი ტექნოლოგიით შევ-



**ჩემთვის ქსოვილი ყოველთვის მენანება ნარჩენებისგან ვქმნი ტანსაცმელს, და, ამიტომ, უფრო კარგი გამოდის**

უქმნი დიზაინერებს ქსოვილებს – რა თქმა უნდა, თემიდან გამომდინარე. ეს იქნება გათვლილი ამერიკელ, კანადელ და ევროპელ დიზაინერებზე; ასევე, მინდა, ჩინეთზეც ვიმუშაო – ჩინეთისთვის ეს დიდი ეგზოტიკა იქნება... ის ტექნოლოგიები, რომლებიც ქსოვილების შესაქმნელად მაქვს შემუშავებული, საკმაოდ საინტერესოა და, მინდა, საქართველოში ავაწყო წარმოება. რა თქმა უნდა, „დამზადებულია კანადაში“ – უფრო პრესტიჟული და პატივსაცემია, მაგრამ, მე მინდა, ეს საქართველოში მოხდეს და ხალხი დავასაქმო. აქ იმდენი უმუშევარი ნაცნობი მყავს, ყველას სიამოვნებით დავასაქმებ – რატომ არ მივცე მათ ამის საშუალება?! ეკონომიკის სამინისტროში დავრეკე. მაინტერესებდა, რამდენად რეალური იყო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. როგორც მითხრეს, პროექტი ჯერ ბანკმა უნდა მომიწონოს, გამომიყოს თანხა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთვება სახელმწიფო, ანუ, ორი წლის განმავლობაში დაბალი პროცენტის მისაღებად თავდებში ჩამიდგება. ეს არის სისულელე, ბუტაფორიულად შეფუთული რაღაც. თუ საქართველოში შენი ფული არ გაქვს, სახელმწიფო არ დაგეხმარება და ვერც ვერავის დაასაქმებ. მე ფული კი არ მჭირდება, სამუშაო ადგილები მინდა შევქმნა, ხალხი დავასაქმო და სახელმწიფო ამაში ხელს ყველანაირად უნდა მიწყობდეს. გამოცდილება მაქვს; ვიცი, როგორ მუშაობს საერთაშორისო ბაზარი, როგორ გავყიდო ჩემი პროდუქცია, როგორ ვესაუბრო კოლეგას, როგორ ვიმუშაო მათთან... ეს იდეა მაშინ გამოიჩნდა, როდესაც ჰონკონგში მქონდა მოდის კვირეული. COACH არის ერთ-ერთი გლობალური კომპანია, რომელიც თავიდან ტყავის ჩანთებს ამზადებდა და შემდეგ outerwear-ზე გადავიდა; საშემოდგომო პალტოებიც გააკეთეს, რომელიც 800-900 დოლარი ღირს და არაფრით განსხვავდება „ბარბერისა“ და სხვა ბრენდებისგან. მათ რაღაც სიახლე სჭირდებოდათ და მე აღმომაჩინეს ჰონკონგში, შემდეგ ნიუ-იორკში, სათავო ოფისში შევხვდით და გამოთქვეს სურვილი, მათთვის მეწარმოებინა ქსოვილები. როდესაც ვუთხარი, რომ ორი წლის კომპანია მქონდა, უკან დაიხიეს, რადგან, იმ დროს არ მქონდა ამხელა დატვირთვაზე გათვლილი საწარმო. მაგრამ ახლა შემიძლია, ეს კონტაქტი განვაახლო, თუმცა, ამისთვის სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა აუცილებელია. კიდევ ერთხელ ვამბობ: მინდა, ხალხი დავასაქმო. აქ მყავს ოჯახის წევრები, მეგობრები, ნაცნობები, პედაგოგები, რომლებმაც ჩემში ამდენი რამ ჩადეს და მათთვის მინდა ამის გაკეთება... ამდენი წელია, ვცდილობ, საერთაშორისო ბაზრისთვის საქართველოში ავაწყო სერიოზული წარმოება, მაგრამ, მხარდაჭერა არ არის...

**– იმედია, შენს პროექტს ექნება სერიოზული მხარდაჭერა... ქსოვილების შესაქმნელად ყოველთვის ახალ-ახალ ტექნოლოგიებს იყენებ. ამ მხრივ ხომ არ გაქვს სიახლე?**

– 2015-2016 წლის კოლექციას ვამზადებ – ეს იქნება გაპარსული კანადური („ნორკა“ მატყლთან ერთად. აქ ქურქებს პარსავენ, შემდეგ რჩება „რისაიკლი“ ანუ – ნარჩენი და შემდეგ ნაკლები ხარჯით ქმნი იმას, რაც, შეიძლება, უფრო მეტად გაიყიდოს – ეს ბიზნესისთვის ძალიან სახარბიელოა. თან, „ნორკა“ მატყლთან ერთად არასდროს არავის დაუმზადებია. კანადის „ნორკა“ ყველასთვის ცნობილია. აქ არის ამ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფერმერი ქალი, რომელიც „ნორკით“ ამარაგებს იაპონიას, ჩინეთს. მასთან ვნახე ნაპარსი და მაშინვე დავინტერესდი, ტექნოლოგიურად გავაკეთე და გაამართლა. 2015 წლის გაზაფხულზე მოდის კვირეულზე კაცის კოლექციაც გამაქვს და ქალისაც, რომელიც უკვე ამ ახალი ტექნოლოგიით იქნება დამზადებული.

**– შენი შარფები ძალიან წარმატებულად იყიდება სხვადასხვა ქვეყანაში.**

– შარფების ბიზნესი მომგებიანია. ოთხი-ხუთი ადამიანი მყავს საქართველოში დასაქმებული, რომლებიც ხელით, ჩემი ტექნოლოგიების დაცვით ამზადებენ შარფებს, შემდეგ კი იყიდება ინტერნეტით, გამოფენა-გაყიდვებზე ან კერძოდ. რადგან კანადაში ვარ, იქ უფრო მეტი კონტაქტები მაქვს და შარფებიც უფრო იქ იყიდება. თუმცა, ევროპის ქვეყნებშიც აქტიურად ვყიდით და რუსეთშიც გვაქვს ბაზარი.

**– როგორც ვიცი, მასტერკლასებსაც ატარებ ტორონტოში.**

– მეხუთე წელია, რაც ტექსტილში ვატარებ მასტერკლასებს – ჩემს ტექნოლოგიებს, მამაკაცის შარვლისა და კოსტიუმის კონსტრუირებას, თარგების დამზადებას ვასწავლი; ასევე, კერვისას ხელით როგორ დაამუშაონ სხვადასხვა დეტალი. ინტერესი საკმაოდ დიდია. სხვათა შორის, ისეთი რეპუტაცია მოვიპოვე, ძალიან მალე ივსება ჩემი კლასები და ოქტომბრის ჯგუფები უკვე წინასწარ არის შევსებული. ბევრი ჩემი მოსწავლე ამ სფეროში ტრიალებს, ჩემთან კვალიფიკაციას იმაღლებენ და მიღებულ ცოდნას თავიანთ ბიზნესში დებენ, რაც ჩემთვის სასიამოვნოა.

**ნათია უტიაშვილი**



გვ. 18

**რატომ შეუკვეთეს იური მეჩითოვის მამას თბილისში ბრეჟნევის ჩამოსვლასთან დაკავშირებით 15 ერთნაირი ქუდი და რის გამო არ ელაპარაკებოდა ის შვილს სამი თვის განმავლობაში**



გვ. 74

**რას აღიქვამს გამძაფრებულად საქართველოში დაბრუნებული ანი ამაშუკელი და რატომ არ არის ამჯერად მის გვერდით გიორგი შერმადინი**



გვ. 82

**რას სთხოვენ მარიამ გიგუაშვილს პატრულის თანამშრომლები და როდის ხდება ის მორიელივით საშიში**

ISSN 1987-569X
9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბი ული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * 28 ივლისი – 3 აგვი №30 (709) * ფასი 1,50 ლარი